


ჯეიმზ ფენიმორ
კუპერი
უკანასკნელი
მოვიკანი

While life remains there is hope



ყური მომიპყრია და გულიც მზადაა,შენი პირით ამქვეყნიური უდიდესი უბედურების ამბავიც კი მოისმინოს. მითხარ, განა დაიღუპა ჩემი სამეფო?

შექსპირი. „რიჩარდ მესამე“

ჩრდილო ამერიკის კოლონიურ ომებს ერთი თავისებურება ჰქონდა – სანამ მოწინააღმდეგეები სისხლისმღვრელ ბრძოლას გააჩაღებდნენ, ბევრი ფათერაკი უნდა გადახდენოდათ. საფრანგეთისა და ინგლისის მოქიშპე პროვინციებს შორის უსიერი ტყერი იყო. მეომრები გზას გაუვალ ადგილებში მიიკვლევდნენ, რათა მამაცური ბრძოლა გაემართათ მოწინააღმდეგესთან. იქაურ მეომრებთან ამტანობასა და თავგანწირულობაში შეჯიბრებისას გაწვრთნილმა ევროპელებმაც ისწავლეს ყველანაირი დაბრკოლების გადალახვა. სულ მალე უსიერ ტყეებში ადგილი არ დარჩა, სადაც ფეხი არ დაედგათ მეომრებს, რომლებიც შურისძიებასა თუ ევროპელი მეფეების პატივმოყვარე ზრახვებს სიცოცხლეს სწირავდნენ.

სასაზღვრო ზოლში იქნებ არც მოიძებნოს კუთხე, სადაც იმდროინდელი მხეცური ომის სისასტიკეს უფრო მკაფიოდ ეჩინოს თავი, ვიდრე მდინარე ჰადსონის სათავეებსა და მის ახლომახლო ტბებს შორის.

ჯარების გადაადგილებისთვის ხელსაყრელი პირობები შეექმნა ბუნებას. შამპლეინის წაგრძელებული ფართო ზოლი კანადის საზღვრიდან ღრმად იჭრებოდა მეზობელი ნიუ-იორკის

პროვინციაში და მომავალ ფრანგებს სავალი სანაოსნო გზით უნახევრდებოდათ. სამხრეთიდან მას სხვა ტბა უერთდებოდა, რომლის წყალი ისე კამკამა იყო, რომ იეზუიტ მისიონერებს საგანგებოდ ამოერჩიათ ნათლისღების წესის აღსასრულებლად (შეარქვეს კიდევ შესაფერი სახელი — შაინტ შაცრემენტ). ნაკლებ ღვთისმოსავმა ინგლისელებმა ამ ტბის სპეტაკი წყლისათვის დიდ პატივად მიიჩნიეს თავიანთი ხელმწიფე-ბატონის, ჰანოვერის დინასტიის მეორე წარმომადგენლის სახელი ეწოდებინათ. ერთი სიტყვით, საფრანგეთიცა და ინგლისიც იბრძოდნენ, რათა ამ ტყიანი მიდამოების მეპატრონეებისთვის კანონიერი უფლება წაერთმიათ — ტბისათვის ძველებურად მისი თავდაპირველი სახელი „ჰორიკონი“ დაეძახათ.

თავიანთი გეგმების აღსრულებისას, მოუსვენარმა თავგამოდებამ ფრანგებს თვით ალიგენის შორეულ, მიუვალ ხეობებშიც კი შეაბედვინა. მათ საარაკო გამჭრიახობას არც ჩვენ მიერ ახლახან აღწერილი კუთხის ბუნებრივი ხელსაყრელი პირობები გამოეპარებოდა. იგი მართლა გადაიქცა ამოჩემებულ სისხლიან ასპარეზად, რომელზეც გაიმართა კიდევ კოლონიების დასაპყრობი ბრძოლების უმრავლესობა. მნიშვნელოვან ადგილებში ციხესიმაგრეებს აგებდნენ, რომელთაც ხან ერთი მხარე იგდებდა ხელთ, ხან — მეორე, ხან მიწასთან გაასწორებდნენ, ხან კიდევ აღადგენდნენ. მაშინ, როცა მხვნელ-მთესველნი ერიდებოდნენ სახიფათო ხეობებს. მეომრები, პირიქით, ამ უღრან ტყეებს ეტანებოდნენ. იქიდან გუნდ-გუნდად, დაქსაქსულები გამოდიოდნენ. ან გასაჭირისაგან ქანცმიხდილები იყვნენ, ან დამარცხებისაგან სასოწარკვეთილნი.

ეს საბედისწერო კუთხე მოლაშქრეებს გამოეცოცხლებინათ. ახოებსა და ხევებში გუგუნებდა საომარი მუსიკა, მთები ირეკლავდნენ სიცილსა და საბრძოლო ყიჟინას.

ბრძოლისა და სისხლისღვრის ამ ასპარეზზე დატრიალდა ის ამბები, რომელთა მოყოლასაც ჩვენ ვაპირებთ. ეს მოხდა ინგლისსა და საფრანგეთს შორის ბოლო დროს ამტყდარი ომის მესამე წელს. ეს ომი იმ ქვეყანაზე გაბატონებისათვის გაიმართა, რომლის ხელში ჩაგდება, საბედნიეროდ, არც ერთს ეწერა და არც მეორეს.

სარდლების უნიათობამ და მრჩევლების ნაკლებობამ დიდი ბრიტანეთი დააშორა დიდების მწვერვალს, რომელზეც ის ძველი მეომრებისა და სახელმწიფო მოღვაწეების ძალისხმევას აყევანა. რაკი მტრის შიში აღარ ჰქონდათ, მის ქვეშევრდომებს სწრაფად ეკარგებოდათ საკუთარი ღირსებისა და პატივის გრძნობა. კოლონისტებმა ახლახან ნახეს რჩეული ლაშქარი, ჩამოსული იმ ქვეყნიდან, რომელსაც ეთაყვანებოდნენ როგორც სამშობლოს, და გულუბრყვილოდ სჯეროდათ მისი უძლეველობა. ლაშქარი, რომელსაც საგანგებოდ ამორჩეული მხედართმთავარი სარდლობდა და რომელსაც ერთმა მუჭა ფრანგებმა და ინდიელებმა სამარცხვინოდ ასროლინეს კუდით ქვა, ერთიანად ამოხოცვას მხოლოდ იმ ვირჯინიელი ყრმის საზრიანობამ გადაარჩინა, რომლის ახალგაზრდობის დროინდელი დიდების სახელი შემდეგ ქვეყნიერების უკიდურეს კუნჭულებსაც კი მისწვდა. ამ მოულოდნელმა მარცხმა საზღვრის დიდი ნაწილი დაატოვებინათ და შიშის ბარი დასცათ. შიშმა გონებას სძლია, ყველაზე მამაცებსა და უშიშრებსაც შეეპარათ ეჭვი გამარჯვებაში. ყოველ წუთს იზრდებოდა იმ ადამიანების რიცხვი, რომლებიც წინასწარმეტყველებდნენ, ინგლისის მთელი ამერიკული სამფლობელოები ან ფრანგებს ჩაუვარდება ხელში, ანდა მათი შეუბრალებელი მოკავშირეების თავდასხმებით გაპარტახდებოდა.

ამიტომ, როცა მდინარე ჰადსონსა და ტბებს შორის მოთავსებული სათრევის სამხრეთი ნაწილის დასაცავად აგებულ ციხესი-

მაგრეში ამბავი მოვიდა, მონკალში გამოჩნდა და „ტყის ფოთოლზე უმრავლესი“ ჯარით შამპლენის მოწყვებაო, ეს ჭეშმარიტი ცნობა უფრო მშვიდობისმოყვარეთა ლაჩრული უღიმღამობით მიიღეს, ვიდრე იმ სიხარულით, რომელსაც მეომარი უნდა გრძნობდეს, როცა მტერი ხელის გაწვდენაზე უახლოვდება. ეს ამბავი ინდიელმა მალემსრობლმა მოიტანა ზაფხულის ერთ საღამოს და თან მოაყოლა „წმინდა ტბის“ ნაპირის ციხესიმაგრის უფროსის, მანროს, დაბეჯითებული თხოვნა, სასწრაფოდ დიდი ჯარი მოგვაშველეთო. ამ ორ ციხესიმაგრეს შორის მანძილი ხუთ ლიეზე ნაკლები იქნებოდა. თავდაპირველად მათ შორის ბილიკი იყო, მერე საურმე გზა გააკეთეს, ასე რომ იოლად შეიძლებოდა რაზმს ეს გზა მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე გაევიღო. ბრიტანეთის ტახტის ერთგულ ქვეშევრდომებს ერთი სიმაგრისათვის უილიამ-ჰენრი ეწოდებინათ, მეორისთვის კი — ედუარდის ციხე. ორივე მოენათლათ მმართველი დინასტიის გამოჩენილი უფლისწულების სახელით. სწორედ ახლახან მოხსენიებული ძველი, გამობრძმედილი შოტლანდიელი მეომარი, უილიამ-ჰენრიში იდგა. თან ჰყავდა რეგულარული ჯარის ერთი ლეგიონი და მოახალშენეების მცირერიცხოვანი რაზმი. ეს კი იმდენად მცირე იყო, რომ ვერ გაუმკლავდებოდა მონკალმის მრისხანე ლაშქარს, რომელიც ამ ციხესიმაგრეს უნდა მისდგომოდა. მეორე ციხესიმაგრეში კი ხუთი ათასზე მეტი კაცით გენერალი უები იდგა, რომელიც ინგლისის ჯარებს სარდლობდა ჩრდილო პროვინციებში. ამ სარდალს შეეძლო თითქმის ორჯერ მეტი მებრძოლი შეეკრიბა გამბედავი ფრანგის წინააღმდეგ, რომელიც გაკადნიერდა და არცთუ ისე მრავალრიცხოვანი ჯარით, თავის მაშველ ძალებს მოწყვეტილი, ასე შორს შემოიჭრა.

მაგრამ ისე გასტეხოდათ გული, რომ წინამძღოლებმაც და ჯარისკაცებმაც ამჯობინეს მრისხანე მტერს თავიანთ სიმაგრეებში დალოდებოდნენ.

როცა მოულოდნელი ამბის გაგების შემდეგ ჩოჩქოლი ცოტა მინელდა, სანგრებით შემოსალტულ ბანაკში, რომელიც ჰადსონის კიდებზე გაჭიმულიყო, მითქმა-მოთქმა ატყდა: განთიადისას, ათას ხუთასი რჩეული მეომრისაგან შემდგარი რაზმი უნდა გაემგზავროს სათრევის ჩრდილო ბოლოსთან მდგარი ციხესიმაგრის, უილიამ-ჰენრისაკენ. ის, რაც თავდაპირველად უბრალო მითქმა-მოთქმა იყო, მალე ჭეშმარიტებად იქცა, რადგან სარდლის შტაბიდან უკვე ბრძანება მოუვიდა საამისოდ შერჩეულ რამდენიმე რაზმს, სასწრაფოდ მოემზადეთ სალაშქროდო. ყოველი ეჭვი უების განზრახვის თაობაზე გაქრა და ერთ-ორ საათს ბანაკში დიდმა ფაცაფუცმა და ღელვამ დაისადგურა. ომში ჯერ კიდევ გამოუცდელი ახალბედა ჯარისკაცები ღობე-ყორეს ედებოდნენ და უთავბოლო გულმოდგინებას იჩენდნენ. გამოცდილი მოლაშქრეები კი დინჯად ემზადებოდნენ, აჩქარების ნასახი არ ეტყობოდათ; თუმცა მათ საზრიან, ფხიზელ სახეებსა და შეფიქრიანებულ თვალებს ემჩნეოდა, რომ გული მაინცდამაინც არ მიუწევდათ უდაბურ ადგილებში საბრძოლველად.

მეორე დილას ჯარის ღრმა ძილი დაფების გრიალმა დაარღვია. მათი გუგუნა გამოძახილი დილის ნოტიო ჰაერში ყოველი კუნჭულიდან გაისმა. თვალის დახამხამებაში მთელი ბანაკი ფეხზე დადგა. რაზმის სამზადისი მალე დამთავრდა. მეფის რეგულარულმა და გაწვრთნილმა ნაქირავებმა ჯარისკაცებმა თავმომწონე სიფიცხით დაიჭირეს მარჯვენა ფრთა, ხოლო უფრო თავმდაბალმა მოახალშენებმა მშვიდად დაიკავეს მარცხენა. მზვერავები წინ წავიდნენ. ბარგით დატვირთულ, აჭრიალებულ ურმებს თავსა და ბოლოში ბადრაგი მიჰყვებოდა. სანამ განთიადის მტრედისფერი სინათლე ამომავალი მზის სხივებით შეიფერებოდა, მოლაშქრეთა მთავარი რაზმი დაიძრა და ზვიადი მხედრული იერით გასცდა ბანაკს. ამ სანახაობამ ბევრ გამოუც-

დედ ჯარისკაცს, რომლისთვისაც ეს ომი პირველი იყო, შიში და ავი წინათგრძნობა გაუქრო. ლაშქარი გზას დაადგა.

ლაშქრის წასვლის შემდეგ კარგად გამართული ძელის ქობის წინ სამგზავროდ მზადება გრძელდებოდა. ძელურის ირგვლივ ინგლისელი სარდლის მცველები დადიოდნენ. იქვე იდგა ექვსიოდე ისე შეკაზმული ცხენი, რომ ამათგან ორი მაინც მანდილოსნებისათვის უნდა ყოფილიყო განკუთვნილი; თანაც ისეთი მანდილოსნებისათვის, რომლებსაც მსგავსთა ხილვა არცთუ ისე ჩვეულებრივი ამბავი უნდა ყოფილიყო ამ მიყრუებულ, უდაბურ კუთხეში. მესამე ცხენი ოფიცრის ქეჯიმითა და იარაღით იყო მორთული; ხოლო დანარჩენებს შეკაზმულობასა და საპალნეებზე ეტყობოდათ, რომ იმათზე მსლებლები უნდა შემსხდარიყვნენ. ამ უჩვეულო სანახაობიდან საკმაოდ მოშორებით, ცნობისმოყვარე უქნართა ჯგუფი შეყრილიყო. ზოგი ოფიცრის ფიცხი ბედაურის კეთილშობილ აღნაგობას შეჰხაროდა, ზოგი ხეპრული ცნობისმოყვარეობითა და ბრიყვული გაკვირვებით სამზადისს უჭვრეტდა. ამათში თავისი გარეგნობითა და ქცევით გამორჩეული კაცი იდგა. ის არც უსაქმური ჩანდა და არც ძალიან უბირი.

ეს უცნაური კაცი მეტისმეტად უშნო იყო, მახინჯს ვერ იტყოდი, მაგრამ რაღაცნაირად უპროპორციო ტანი ჰქონდა. როცა ფეხზე იდგა, ძალიან მაღალი იყო, დამჯდარი კი დაბალ კაცად მოგეჩვენებოდათ. თავი დიდი ჰქონდა, ბეჭები — ვიწრო, მკლავები — გრძელი და აქეთ-იქით ულაზათოდ მოქანავე, ხოლო ხელის მტევნები — პატარა. ფეხები და ბარძაყები წვრილი, თითქმის სულ უხორცო, მაგრამ არაჩვეულებრივი სიგრძისა ჰქონდა, მუხლებიც ვეებერთელად მოეჩვენებოდა კაცს, ვეებერთელა ჰქონდა ტერფებიც, შეუხამებელი ჩაცმულობა მის ულაზათობას უსვამდა ხაზს. ცისფერი, მოკლე, ფართოკალთიანი და დაბალსაყელოიანი ქურთუკი სასაცილოდ აჩენდა მის გრძელ, წვრილ კი-

სერსა და კიდევ უფრო გრძელსა და წვრილ ფეხებს. ყვითელი შარვალი ეცვა, მჭიდროდ შემოტკეცილი და მუხლებთან სიძველისაგან ფერშეცვლილი თეთრი ბაფთით დამაგრებული. ბამბის რუხ წინდებსა და წაღებზე მოვერცხილი დებები ჰქონდა გაკეთებული. მოჩითული ჟილეტის ვეებერთელა ჯიბიდან უცნაური საომარი იარაღის მსგავს ხელსაწყოს ამოეყო თავი. მართალია მომცრო იყო, მაგრამ ბანაკში მყოფ ევროპელთა უმრავლესობის დიდ ცნობისმოყვარეობას იწვევდა. ამ კაცს ოცდაათიოდე წლის წინათ მღვდლები რომ ატარებდნენ, ისეთი უშველებელი სამკუთხა ქუდი ეხურა. იგი ღირსებას მატებდა მის გულკეთილსა და ოდნავ გამოთაყვანებულ გამომეტყველებას.

ის კაცი ცხენებთან მომლოდინე მოსამსახურეებს შორის იდგა და ხმამაღლა აქებდა ან აძაგებდა ცხენებს, იმის მიხედვით, თვალში მოსდიოდა თუ არა.

— მე უფრო მგონია, ძმობილო, ეს ოთხფეხი შინაური არ უნდა იყოს, უცხოურია. შეიძლება თვით ოკეანის იქითა პატარა კუნძულიდანაც კი იყოს! — თქვა მან რბილი ხმით, — მე შემიძლია მოგახსენოთ ამისთანა ამბები და ტრაბახში არც ჩამომერთვას, რადგან ორივე ნავსადგურში ვყოფილვარ: იმაშიც, ტემზის შესართავში რომ დგას და რომელსაც ძველი ინგლისის სატახტო ქალაქის მიხედვით უწოდებენ სახელს და იმაშიც, „ნავსადგურს“ რომ ეძახიან და თან „ახალ“-საც რომ უმატებენ. მინახავს ორანდიანი ხომალდები, კუნძულ იამაიკაზე გასაცვლელად პირუტყვებს რომ სხამდნენ შიგ, თითქოს კიდობანიაო. მაგრამ ჯერ არასოდეს შემხვედრია ასეთი ცხენი, საღვთო წერილში აღწერილ ჭეშმარიტ საომარ ტაიჭს ასე ძალიან რომ ჰგავს: „იგი ტორს სცემს მიწას და ხარობს, ღონე რომ ერჩის; იგი მიილტვის შეაბჯრული ხალხისაკენ“, „ბუკების ტკრციალში ხვიხვინებს და შორიდან გრძნობს ბრძოლის სუნს, სარდალთა გრგვინვასა და

ყუინას“. კაცს ეგონება, ისრაელის იმ ცხენის ჯილაგმა ამ ჩვენს დრომდე მოაღწიაო, არა, მეგობარო?

რაკი არავინ გამოეპასუხა ამ უჩვეულო კითხვას, საღვთო წერილის ერთ მოღალადე იმ პიროვნებას მიუბრუნდა, რომელსაც უნებურად მიმართა და უცებ კიდევ უფრო გასაკვირი რამ დაინახა: მის წინ უძრავი, გაჯგიმული ინდიელი მალემსრობოლი იდგა, რომელმაც წინა საღამოს უსიამო ამბავი მოიტანა ბანაკში. სრულიად წყნარად იდგა და დამახასიათებელი თავშეკავებულობით აინუნშიაც არ მოსდიოდა მის გარშემო ფუსფუსი და ფაციფუსი, თუმცა მის სიმშვიდეში რაღაც პირქუში სისასტიკეც იყო. კაცმა განცვიფრებით დაუწყო თვალყურება ინდიელს. თავისი ტომის ტომაჰაუკიც ჰქონდა და დანაც, მაგრამ მეომარს მაინც არ ჰგავდა. პირიქით, იმ ნაჯაფ კაცს მოგაგონებდათ, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მოუცლია თავის მოსავლელად. საომარი მოხატულობის საღებავის ფერები მუქად აბელილიყო ერთმანეთში მის პირქუშ სახებზე და ისედაც ჩაშავებულ იერს ამაზრბენ გამომეტყველებას ანიჭებდა. თვალეში, რომლებიც ჩამოწოლილ ღრუბლებში მოკიაფე ვარსკვლავებივით ელვარებდნენ, სისასტიკე უელავდა. ინდიელმა ერთი წუთით გამომცდელი და ფრთხილი თვალი დააშტერა მის განცვიფრებულ მჭვრეტელს, მერე ნაწილობრივ მზაკვრობით, ნაწილობრივ კი ზიზღით მოარიდა მზერა და სივრცეს გაუშტერა თვალი.

მსახურების ერთბაშად აფუსფუსება მიანიშნებდა, რომ მოდიოდნენ ისინი, ვისაც ელოდნენ.

ოფიცრის მუნდირიანმა ჭაბუკმა ცხენებთან ორი მანდილოსანი მოიყვანა, რომლებიც, როგორც ჩაცმულობაზე ეტყობოდათ, გამზადებულნი იყვნენ ტყეში სამოგზაუროდ. ერთს, უფრო ახალგაზრდას, — თუმცა ორივენი ახალგაზრდები იყვნენ, — ქათქათა სახებზე მშვენიერი ოქროსფერი თმა და ლურჯი ჟუჟუნა თვალები გამოუჩნდა, როცა უეცრად დილის სიომ მწვანე პირბადე გა-

დაუწია. ქალმა გულითადად გაუღიმა ბიჭს, რომელიც ცხენზე დაჯდომაში დაეხმარა. მეორე ქალი, რომელსაც, ჩანდა, ასევე თავაზიანად ეპყრობოდა ახალგაზრდა ოფიცერი, გულმოდგინედ იფარავდა თავს ჯარისკაცების მზერისგან. ეს საქციელი მოწმობდა ოთხი-ხუთი წლით უფროსი ქალის წინდახედულებას. ის უფრო ჭკუადაძვარი იყო, ვიდრე მისი თანამგზავრი.

როგორც კი მანდილოსნები ცხენებზე შესხდნენ, მათი მხლებელი ჭაბუკიც მოახტა ბედაუბედაურს. სამივემ თავი დაუკრა უებს, რომელიც თავისი ჯიხურის ზღურბლზე იდგა და მათ წასვლას ელოდა. მხედრებმა მოატრიალეს ცხენები და ამაღასთან ერთად წყნარი თოხარიკით გაემართნენ ბანაკის ჩრდილოეთი გასასვლელისაკენ. სანამ ამ მოკლე მანძილს გაივლიდნენ, კრინტი არავის დაუძრავს, მხოლოდ უმცრომა ქალმა შეჰკვივლა, როცა ინდიელმა მალემსრობომა ნიავევით ჩაუქროლა, მგზავრებს სათავეში ჩაუდგა და გეზი სამხედრო გზისაკენ აიღო. ინდიელის მოულოდნელმა გამოხდომამ გააოცა მეორე ქალი, ხელი გაეშვა პირბადის კიდებზე და სახე გამოუჩნდა. ის სიბრაღით, აღტაცებითა და შიშით უცქერდა ინდიელს. ამ ბანოვანს ყორნის ფრთასავით შავი და მბზინვარე თმა ჰქონდა. არც სიტლანქე ახასიათებდა და არც ფეროვნება აკლდა, ნატიფი, ამაყი და საოცრად ლამაზი სახე ჰქონდა. მას გაეღიმა, გეგონებოდათ, თავის ამ წუთიერ თავდავიწყებას ნანობსო და ისეთი ქათქათა კბილები გამოუჩნდა, რომ მათი თვალისმომჭრელი სითეთრე უსპეტაკეს სპილოს ძვალსაც კი გაახუნებდა. პირბადე რომ გაისწორა, თავი ჩაღუნა და დუმილით განაგრძო გზა, ეტყობოდა, ფიქრებმა შორს გაიტაცეს.

სოლა, სოლა, ვო, ჰჰო, ჰო! სოლა, სოლა!

შექსპირი. „ვენეციელი ვაჭარი“

მშვენიერი ქალწული, რომელიც ასე უცნაურად წარმოვუდგინეთ მკითხველს, ფიქრებში გაერთო; მეორე კი იმ მცირე შეშფოთების შემდეგ მალე მოვიდა გუნებაზე, სიცილი აუტყდა, ასეთი სისუსტე რატომ გამოვიჩინეო და კეკლუცად ჰკითხა გვერდით მიმავალ ახალგაზრდას:

– ასეთი მოჩვენებები ხშირია ტყეში, ჰეიუარდ, თუ ეს საგანგებოდ ჩვენს გასართობად არის ნაბრძანები? თუ პირველი ვარაუდი სწორია, ორივეს, კორასაც და მეც, დიდი გამძლეობა დაგვჭირდება, რომ მრისხანე მონკალმთან შეხვედრისთვის მხნეობა შემოვიწინახოთ.

– ეგ ინდიელი ჩვენი ჯარის მალემსრბოლია და თავისი ხალხის ადათის მიხედვით გმირადაც კი შეიძლება ჩაითვალოს, – მიუგო ოფიცერმა, – მან იკისრა ნაკლებად ცნობილი ბილიკით ტბასთან მოკლე დროში ჩაგვიყვანოს.

– რაღაც არ მომწონს, – შიში დაეტყო ქალს, – თქვენ ალბათ იცნობთ, დუნკან, თორემ ასე თავისუფლად ხომ არ ენდობოდით?

– ჯობია, თქვათ, ალისა, რომ თქვენს თავს არ ვანდობდი, – უპასუხა ჭაბუკმა, – ვიცნობ, თორემ არც ვენდობოდი, მით უმეტეს, ამ დროს! ამბობენ, ესეც კანადელიაო, და მაინც ჩვენს მეგობრებთან, მოჰაუკებთან ერთად მსახურობდა, რომლებიც, მოგეხსენება, ექვსი მოკავშირე ერის ჯგუფს ეკუთვნიან. როგორც გამიგონია, იგი ჩვენში რაღაც უცნაური შემთხვევის წყალობით მოხვდა, რომელშიც მამაშენსაც მიუძღვის წვლილი და რომ-

ლისთვისაც მკაცრადაც დასაჯეს. მაგრამ დამავიწყდა კიდევ ეს უთავბოლო ამბავი. საკმარისია, რომ ახლა იგი უკვე ჩვენი მეგობარია.

— თუ ეგ მამაჩემის მტერი იყო, მაშ, კიდევ უფრო მეტად მეჯავრება! — შესძახა ახლა კი მართლაც შეშფოთებულმა ქალწულმა, — ვერ გამოელაპარაკებით, მაიორო ჭეიუარდ, რომ მისი ხმა გავიგონო? იქნებ სისულელე იყოს, მაგრამ ხომ გავიგონიათ, როგორ მჯერა ადამიანის ხმის?

— ტყუილი გარჯა იქნება. უეჭველია, მხოლოდ რაიმე შეძახილით თუ მიპასუხებს. შეიძლება გაიგოს კიდევ, მაგრამ თავისი ხალხის უმრავლესობის მსგავსად, ისე იქცევა, თითქოს ინგლისური არ ესმოდეს. მით უმეტეს, ახლა ომია და ეს კი მისგან უაღრეს თავდაჭერასა და ღირსების დაცვას მოითხოვს, ამიტომ ხმას არ ამოიღებს. მაგრამ, აი, გაჩერდა. ალბათ საიდუმლო ბილიკს უკვე მივადექით კიდევ.

მაიორ ჭეიუარდის ვარაუდი გამართლდა. როცა ინდიელთან მიაღწიეს, მან სამხედრო გზის გასწვრივ გაყოლებულ ბუჩქნარზე ანიშნა. იქ ვიწრო და ოდნავ შესამჩნევი ბილიკი მოჩანდა, რომელზეც ერთი კაცი თუ გაივლიდა გაჭირვებით.

— მაშ, ეს ყოფილა ჩვენი გზა, — ხმამაღლა თქვა ახალგაზრდამ, — ნუ აგრძნობინებთ, რომ ყოყმანობთ.

— კორა, როგორ გგონია, — მიმართა ქერა ქალწულმა, — რაზმთან ერთად რომ ვიმგზავროთ, უფრო უშიშრად არ ვიგრძნობთ თავს, მოსაწყენადაც რომ მოგვეჩვენოს მათთან ყოფნა?

— რადგან ველურების ყოფაქცევას არ იცნობთ, ალისა, საფრთხილო ადგილის ვარაუდიც გეშლებათ, — თქვა ჭეიუარდმა, — თუ მტერმა სათრევს მიაღწია — რაც ნაკლებად მოსალოდნელია, რადგან ჩვენი მზვერავები გაგზავნილები არიან — მაშინ ისინი უთუოდ მოლაშქრე რაზმის გარშემო იტრიალებენ, სადაც უფრო

მეტი სკალპის შოვნის საშუალება ექნებათ. რაზმის ლაშქრობის გეზი ცნობილია, ჩვენი კი ჯერ კიდევ საიდუმლოდ რჩება.

— განა მხოლოდ იმიტომ არ უნდა ვენდოთ ვაცს, რომ მისი ყოფაქცევა ჩვენსას არ ჰგავს და მისი პირის კანი ჩვენსაზე შავია? — ცივად იკითხა კორამ.

ალისამ დასძლია ყოყმანი. გადაუჭირა მათრახი თავის ნარაგანსეტულ ცხენს, პირველმა გადაწია აქეთ-იქით ტოტები და ჩაბნელებულ-ჩახლართული ბილიკით მიმავალ მალემსრობოლს გაჰყვა. ჭაბუკმა დაუფარავი აღტაცებით გადახედა კორას. ჩანდა, მხლებლები ადრევე იყვნენ დარიგებულნი, რადგან ბუჩქნარში შებრუნების მაგიერ მოლაშქრე რაზმის კვალს გაჰყვნენ. ეს ღონისძიება, ჰეიუარდის მტკიცებით, მათი მეგბურის გამჭრიახობის ნაყოფი იყო, ასე უფრო დაიფარებოდა ნაკვალევი. დახლართული გზა საუბრის საშუალებასაც არ იძლეოდა კარგა ხანს; ძლივს გაიარეს ბუჩქნარის ფართო ზოლი და შევიდნენ მაღალ, მაგრამ ჩაბნელებულ ტევრში. აქ სიარული შედარებით იოლი იყო. მეგბურმა ანიშნათ, ქალებს თავის ნებაზე შეუძლიათ მართონ ცხენებიო. ჭაბუკი მობრუნდა და ის იყო, შავთვალა კორასთან დალაპარაკებას აპირებდა, რომ უკნიდან ცხენის ფეხის თქარათქური შემოესმა. გაჩერდა, მისმა თანამგზავრებმაც მოსწიეს სადავეებს და მთელი ჯგუფი შედგა, რომ გაეგოთ ამ მოულოდნელი ხელის შემლის მიზეზი.

მალე გამოჩნდა კვიცი, რომელიც ირემივით მოქროდა, კვიცს მოჰყვა წინა თავში აღწერილი უშნო ვაცი, რომელიც თავის გაძვალტყავებულ ჯაგლაგს, რამდენადაც შეეძლო, თავპირის-მტვრევით მოაჭენებდა. ჩვენმა მგზავრებმა ვერ შეამჩნიეს იგი. ეს ვაცი ამხედრებულის საოცარი სანახავი იყო. ცხენიც უცნაური იყო და მხედარიც. ჯაგლაგის ყოველ ფეხის მონაცვლებაზე ცხენოსნის აყლაყუდა ტანი უზანგებზე წამოიზიდებოდა და თავისი მაღალი ფეხების წყალობით უზარმაზარი ჩანდა.

ჰეიუარდმა უცნობი რომ შეათვალა, სანდომიან, ვაჟკაცურ სახეზე შეჭმუხვნილი შუბლი ნელ-ნელა კვლავ გაეშალა და ბაგეებზე მსუბუქი ღიმილიც აუთამაშდა; ალისას მაინცდამაინც არ შეუკავებია თავი, რომ არ გასცინებოდა. თვით კორასაც კი მხიარულად აუციმციმდა ფიქრიანი თვალები.

— ვინმეს ეძებთ? — დაეკითხა ჰეიუარდი, როცა ცხენოსანი საკმარად მოახლოვდა და სვლა შეანელა, — მგონია, რომ ავი ამბის მოციქული არ უნდა იყო.

— ჭეშმარიტად, — მიუგო უცნობმა, თან აქეთ-იქით ქნევა დაუწყო თავის სამკუთხა მაუდის ქუდს, სახე გაიგრილა, სული მოიბრუნა და განაგრძო: — გავიგე, უილიამ-ჰენრიში მიბრძანდებით და ვინაიდან მეც სწორედ იქით მოვდივარ, ვიფიქრე, ჩემთვისაც და მათთვისაც კარგი იქნება-მეთქი...

— ხმათა თანაფარდობა თითქოს სამართლიანად არ უნდა იყოს განსჯილი, — მოახსენა ჰეიუარდმა, — ჩვენ სამნი ვართ, თქვენი კი მოსათათბირებლად საკუთარი თავის მეტი არავინ გყავთ.

— იმაზე უფრო უსამართლოდ მაინც არ იქნება განსჯილი, როგორც ის, რომ ერთ ვაჟკაცს საპატრონოდ ორი ახალგაზრდა ქალი ჰყავს ჩაბარებული, — მიუგო უცნაურმა კაცმა ნახევრად გულუბრყვილოდ, ნახევრად ტლანქი ენამოსწრებულობით, — თუ, მაინცდამაინც, მამაკაცი ნამდვილი ვაჟკაცია, ხოლო ქალები კი ნამდვილი დიაცები, ისინი ვერ მორიგდებიან, მაშასადამე, თქვენც ისევე ვერავის მოეთათბირებით, როგორც მე!

ქერა ქალმა მოცინარი თვალები აღვირს დააშტერა და გაწითლდა. მეორემ გზა განაგრძო, თითქოს საუბრით დაიღალაო.

— თუ ტბისკენ მიემგზავრებით, გზა შეგშლიათ, — ფიცხად მიახალა ჰეიუარდმა, — შარავგზას, სულ ცოტა, ნახევარი მილით მაინც გამოსცდენიხართ.

— ჭეშმარიტად, — უცნობი სრულიადაც არ დაბნეულა ამ მკვახე შეხვედრის გამო, — ერთი კვირა გავატარე ედუარდში და მუნჯი ვიქნებოდი, გზის ამბავი რომ არ გამომეკითხა. ხოლო მუნჯი რომ ვყოფილიყავი, ჩემს ხელობასაც უნდა გამოვთხოვებოდი, — ჯერ ჩაიქირქილა ისეთი კაცივით, რომელსაც მორცხვობა ნებას არ აძლევს, აშკარად გამოხატოს აღტაცება ხუმრობაზე, რომელიც მსმენელებისთვისაც გაუგებარი დარჩა, მერე კი დარბაისლურად განაგრძო: — ჩემი ხელობის კაცისთვის ვერ იქნება გონივრული მათთან დაახლოება, ვინც უნდა დავმოძღვრო. ამ მიზეზით არ გავყევი რაზმს. თანაც, მე მგონია, თქვენისთანა ვაჟკაცს უკეთ ეცოდინება მგზავრობის წესები. ამიტომ გადავწყვიტე თქვენს საზოგადოებას შემოვკედლებოდი, რათა მოგზაურობა უფრო საამური გამხდარიყო და გვესაუბრა კიდევ.

— ერთობ ახირებული და ნაჩქარევი გადაწყვეტილებაა! — ჰეიუარდმა არ იცოდა, გაბრაზებულიყო თუ გადაეხარხარა, — მაგრამ თქვენ დამოძღვრასა და ხელობას ახსენებდით; მოახალშენეთა რაზმს ხომ არ ახლდით, როგორც დაცვისა და ბრალდების კეთილშობილი მეცნიერების ოსტატი? ან იქნებ ის ბრძანდებით, ვინც სულ ხაზებსა და კუთხეებს ხაზავს, აქაოდა, მათემატიკას ვასწავლიო?

უცნობმა ერთ წამს აშკარა გაოცებით გადახედა ჰეიუარდს; მერე კი თავმდაბალი, მაგრამ საზეიმო იერით უპასუხა:

— ბრალდებისა არაფერი ვიცი, დაცვა კი არ მჭირდება, ღვთის მადლით, უკანასკნელი მონანიების შემდეგ არაფერი შესამჩნევი ცოდვა არ ჩამიდენია. ხაზებსა და კუთხეებზე თქვენი ნართაული ლაპარაკის ვერაფერი გავიგე და მასწავლებლობაც მათთვის დამითმია, ვინც ამ წმინდა საქმისათვისაა დაბადებული. მე სხვა ნიჭი არ მაქვს, მხოლოდ ფსალმუნთა გალობაში ვარ დაოსტატებული, ცოტა რამ გამეგება ლოცვა-ვედრებისა და სამადლობელი პარაკლისების დიდებული ხელოვნებისა.

— ეს კაცი ალბათ აპოლონის შეგირდია, — შესძახა გამხიარულეზულმა ალისამ, რომელსაც დაედლია წუთიერი შიში, — და ჩემი განსაკუთრებული მფარველობის ქვეშაც ამყავს. ერთი მეგობარი მაინც შეგვემატება, თუ დაგვჭირდა, — ამ სიტყვების წარმოთქმისას მან კორას გახედა.

— როგორ გგონიათ, ალისა, განა განსაცდელში ჩავყრიდი მათ, ვინც მიყვარს?

— არა, არა, ეგ არ მგონია, მაგრამ ეს უცნაური კაცი კი ძალიან მართობს და თუ მუსიკის ნიჭიც მოეპოვება, უკმეხად ნუ უარვყოფთ მის მეგობრობას.

ქალმა მოსულს მათრახით უჩვენა გზა და ჰეიუარდს მიაცქერდა. ჭაბუკი ფეხს ითრევდა, რომ ეს წუთი გაეხანგრძლივებინა, მაგრამ შემდეგ მანდილოსანს დაემორჩილა, ცხენს ქუსლი ჰკრა და თვალის დახამხამებაში ისევ კორას გვერდით გაჩნდა.

— მიხარია თქვენთან შეხვედრა, მეგობარო, — განაგრძო ქალწულმა და ხელით ანიშნა უცნობს, მიჰყოლოდა, თანაც თავისი ნარაგანსეტული ცხენი კვლავ თოხარიკზე გადაიყვანა, — ნათესავებმა დამარწმუნეს, რომ დუეტებში მეც არ ვარ უნიჭო, მგზავრობა შეიძლება გავიხალისოთ ჩვენი საყვარელი ხელოვნებით. ჩემისთანა უბირისათვის დიდი შეღავათი იქნება ხელოვნებაში თქვენისთანა გამოცდილი ოსტატის აზრისა და რჩევის მოსმენა.

— ფსალმუნების გალობა სულსაც ახარებს და ხორცსაც, — მიუგო გალობის მასწავლებელმა, — და ისე არაფერი ანიჭებს შვებას გულს, როგორც ასეთი თბილი ურთიერთობა. მაგრამ გალობის სათქმელად ოთხი ხმა არის აუცილებელი. თქვენ აშკარად ნაზი და მდიდარი დისკანტი გაქვთ. მე სრული ტენორი შემიძლია ვთქვა სულ უმაღლეს ნოტამდეც კი, მაგრამ კონტრალტო და ბანი გვაკლია, მაგ ოფიცერს, რომელსაც არ სურდა თქვე-

ნი თანამგზავრი ვყოფილიყავი, შეუძლია ბანი თქვას, თუ მისი ხმის კილოს მიხედვით იმსჯელებს კაცი.

— მერწმუნეთ, მისი ხმა ტკბილ ტენორს უფრო შეესაბამება, ვიდრე ბანს, — თქვა ღიმილით ქალმა.

— მაშ, ფსალმუნების გალობაში დახელოვნებულია? — იკითხა მისმა გულუბრყვილო თანამგზავრმა.

ალისა სიცილის გუნებაზე დადგა, მაგრამ თავი შეიკავა და დინჯად მიუგო:

— ვშიშობ, ის საერო კილოს უფრო ეტანება. ჯარისკაცის ცხოვრება ხელს არ უწყობს უფრო სათნო მიდრეკილებების გავივებას.

— ადამიანს ხმა, ისევე როგორც სხვა ნიჭი, იმიტომ აქვს ნაბოძები, რომ კეთილად გამოიყენოს და არა ბოროტად, — თქვა ჰეიუარდმა.

— ვერავინ იტყვის, რომ ოდესმე ჩემი ნიჭი შემებღალღოს! მადლობა ღმერთს, ყრმა მეფე დავითივით, შეიძლება ითქვას, პატარა ბიჭობიდანვე მუსიკას შევწირე სიცოცხლე, მაგრამ საერო ლექსის ერთ მარცვალსაც კი არ შეუბილწავს ოდესმე ჩემი ბაგე.

— მაშ, თქვენ მხოლოდ სასულიერო გალობისთვის გადაგიღიათ თავი!

— ჭეშმარიტად, როგორც დავითის ფსალმუნები აღემატება ყოველ სხვა თხზულებას, ასევე ღვთისმეტყველთა და ბრძენთაგან შეწყობილი ფსალმუნთა საგალობლები აღემატება ყოველ სხვა ამაო პოეზიას. უნდა მოგახსენოთ, ბედნიერი გახლავართ, რომ თვით ისრაელთა მეფის ფიქრებისა და სურვილების მეტს არაფერს წარმოვთქვამ, რადგან თუმცა დროს კი შეუძლია მცირეოდენი ცვლილებები მოახდინოს, მაგრამ ეს თარგმანი, რომელსაც ახალი ინგლისის ახალშენებში ვიყენებთ, იმდენად აღემატება ყველა სხვა თარგმანს, რომ თავის სიმდიდრით, სიზუსტითა და ბრძნული უბრალოებით, რამდენადაც შესაძლებელია,

უახლოვდება გეშთაგონებული პოეტის დიდებულ თხზულებას. ამ ნიჭით აღბეჭდილ წიგნს არასოდეს ვიშორებ. ეს ოცდამეექვსე გამოცემა გახლავთ, გამოქვეყნებული ბოსტონში, ქრისტეს აქეთ 1744 წელსა და სათაურად აქვს: „ფსალმუნები, ჰიმნები და სასულიერო საგალობლები ძველი და ახალი აღთქმისა, ჭეშმარიტად გადმოთარგმნილი ინგლისური ლექსით, სადიდებლად და საამებლად წმინდანებისა, როგორც საჯარო შეკრებილებებში, ისე კერძო პირთათვის, განსაკუთრებით ახალ ინგლისში“.

უცნობმა ჯიბიდან ამოაძრო წიგნი, ცხვირზე რკინის ჩარჩოიანი სათვალე ჩამოიცვა და წმინდა განზრახვის შესაბამისი მოწიწებითა და რიდით გადაშალა. მერე, აღარც სიტყვა გაუგრძელებია, არც მოუბოდიშებია, მაგიური სიტყვა წარმოთქვა: — „უსმინეთ!“ შემდეგ პირზე მიიღო გემოთ აღწერილი უცნაური ხელსაწყო და ტკბილი და საამური ხმით დაიწყო:

ოჰ, რა კარგია და რა საამოერთად, შეწყობით ცხოვრება ძმური. ის არს ვითარცა უცხო მალამოთხემიდან წვერზე ჩამოღვარული; როგორც არონის წვერზე თავიდანდა თვით კალთამდეც კი რომ დავიდა.

გალობას უცნობი მარჯვენა ხელის გამოზომილ მოძრაობასაც აყოლებდა. ძირს დაშვებისას ერთი წამით პატარა წიგნის ფურცლებზე ასვენებდა თითებს, ხოლო გევით აწევისას ისეთი ყოფით იქნევდა, რომ ოსტატის გარდა სხვა ვერავინ მოახერხებდა ასე. ჩანდა, რომ ეს ხელის აყოლების ჩვეულება დიდი ხნის გამოცდილებით ჰქონდა ძვალ-რბილში გამჯდარი.

მიყრუებული ტევრის მდუმარებაში ამ უჩვეულო ახალ ამბავს არ შეიძლება არ მიეპყრო წინ მიმავალი ინდიელის ყურადღება. ინდიელმა დამტვრეული ინგლისურით რამდენიმე სიტყვა წაუბურტყუნა ჰეიუარდს, ის კი უცნობს გამოელაპარაკა:

— მართალია, საფრთხე არ გველის, მაგრამ უბრალო წინდახედულება გვკარნახობს, რაც შეიძლება ჩუმად ვიმგზავროთ ამ

უდაბურ ადგილებში. ამიტომ მაპატიეთ, ალისა, დროსტარებას მცირე ხნით თუ შეგაწყვეტინებთ და ამ ვაჟბატონს ვთხოვ, ღიღინი სხვა დროისათვის გადადოს.

— მართლაც რომ დროსტარებას მაწყვეტინებთ, — მიუგო ცუღლუტმა ქალწულმა, — რადგან ჩემს დღეში არ გამიგია სიმღერისა და ლექსის ისეთი უგვანი შეხამება, როგორც ახლახან მოვისმინე.

— ის კი ვიცი, რომ თქვენი და კორას უსაფრთხოება, — უპასუხა ჰეიუარდმა, — გაცილებით უფრო ძვირფასია ჩემთვის, ვიდრე ჰენდელის მუსიკის რომელიმე კონცერტი.

მან შეწყვიტა ლაპარაკი და სწრაფად მიტრიალდა ხშირი ბუჩქნარისაკენ, შემდეგ ეჭვით გააყოლა თვალი მეგზურს, რომელიც მტკიცე ნაბიჯით არხეინად განაგრძობდა გზას. ჭაბუკს დამცინავად გაეღიმა თავის თავზე, როცა დარწმუნდა, რომ ტყის რომელიღაც ბრჭყვიალა ხილი ჩასაფრებული ველურის ბრიალა თვალებად მოეჩვენა; გზა გააგრძელა და მუსაიფი განაგრძო, რომელიც ამ უეცარმა ფიქრმა შეაწყვეტინა.

ცხენოსანთა ჯგუფს დიდი მანძილი არ გაევლო, რომ ბუჩქნარში ფრთხილად გაიწ-გამოიწია ტოტები და გამოჩნდა ადამიანის სახე, ისეთი შემადრწუნებელი და სასტიკი შესახედაობისა, როგორც კი შეუძლია შექმნას ველურთა ხელოვნებამ და თავშეუკავებელმა ვნებებმა. ინდიელმა გახედა მგზავრებს და გამარჯვების ღიმილი ათამაშდა მის პირქუშ სახეზე, როცა მომავალ მსხვერპლთა კვალს მიაგნო; ისინი კი არხეინად განაგრძობდნენ გზას: მოხდენილი ქალები, ვაჯკაცური გარეგნობის ჰეიუარდი და გალობის მასწავლებელი.

სანამ ამ მინდვრებს გაჩეხდნენ და მოხნავდნენ, პირთამდე ავსილი მოედინებოდა ჩვენი მდინარეები; წყლის ტკბილი დუდუნი ავსებდა ქორთა და უსაზღვრო ტევრს; ნაკადულები მოხხრიალებდა, რუები მორაკრავებდა; ჩრდილიანში კი წყარო ამოჩუხჩუხებდა.

ბრაიენტი

გულდამშვიდებული ჰეიუარდი და მისი თანამგზავრები უფრო ღრმად შევიდნენ ტევრში. ჩვენ ვისარგებლოთ ავტორის უპირატესი უფლებით და სადაც უკანასკნელად ვნახეთ ჩვენი გმირები, იქიდან რამდენიმე მილის დაშორებით დასავლეთისაკენ გადავწიეთ მოქმედების არე.

იმ დღეს ორი კაცი მოჩანდა პატარა, მაგრამ სწრაფი მდინარის პირას, უების ბანაკიდან ერთი საათის სავალზე. ისინი თითქოს ვიღაც წასულს უცდიდნენ, თუ რაღაც ამბავს ელოდნენ. უღრანი ტყე მდინარის კიდემდე აღწევდა. ამ მივარდნილ კუნჭულში ისეთი სულისშემხუთველი დუმილი სუფევდა, როგორც ამერიკის ბუნებას სჩვევია ივლისში. მდუმარებას მხოლოდ კაცების ხმადაბალი ლაპარაკი არღვევდა, ხანდახან კი კოდალას კაკუნი, ჩხიკვის ჩხავილი და ჩანჩქერის შორეული გრუხუნიც ისმოდა.

მოსაუბრეები ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ ხმებს ყურადღებას არ აქცევდნენ. ერთ წითელკანიანს მოლოდინი ემჩნეოდა, ჩაცმულობა ველურისა ჰქონდა; მასავით ეცვა მეორესაც, ოღონდ უფრო თეთრი კანი ჰქონდა, შეიძლება წარმოშობით ევროპელიც კი ყოფილიყო. პირველი ჩამომჯდარიყო ხავსიან მორბე, ეტყობოდა რაღაცაზე დამაჯერებლად საუბრობდა, თან ლაპარაკს ხელს აყოლებდა, მისი ნახევრად შიშველი, ნაიარევებით აჭრელებუ-

ლი სხეული საშინელი სანახავი იყო. წმინდად მოპარსულ თავზე საყოველთაოდ ცნობილი და რაინდული სასკალპო ქოჩორის გარდა სხვა თმა აღარ დაეტოვებინა; სამკაულები არ ეკეთა, კინკრიხობე არწივის ერთადერთი ფრთა გაერჭო, რომლის ბოლო მარცხენა ბეჭამდე სწვდებოდა. სარტყელში ტომაჰაუკი და ინგლისური წარმოების სასკალპო დანა ერჭო; ხოლო შიშველ, ძარღვიან მუხლზე უყურადღებოდ გადაედო იმ ყაიდის თოფი, რომლებითაც თეთრკანიანი პოლიტიკოსები აიარაღებდნენ თავიანთ ველურ მოკავშირეებს. მეომრის განიერი მკერდი, ძლიერი აღნაგობა და ამაყი შესახედაობა ადასტურებდა, რომ ღირსეული კაცი იყო.

თეთრკანიანის აღნაგობა და გარეგნობა ისეთი კაცისას ჰგავდა, რომელმაც პატარაობიდანვე იცის გაჭირვება, ჯაფა და ბედუკუდმართობა. თუმცა ძარღვიანი იყო, უფრო თხელი კაცი ეთქმოდა, ვიდრე ჩასკვნილი; მაგრამ ეტყობოდა, ყოველი ძარღვი და კუნთი განუწყვეტელი გარჯისა და ჯაფისაგან ჰქონდა გაკაჟებული. მონადირის გაცრეცილი ყვითელქობაშემოვლებული, მწვანე ხალათი ეცვა. ბეწვგაცლილი ტყავის საბაფხულო ქუდი ეხურა. უამპუმის სარტყელში იმასაც ინდიელივით დანა ჩაეტანებინა, მაგრამ ტომაჰაუკი არ გააჩნდა. მოკასინები ინდიელთა ადათისამებრ, ჭრელად ჰქონდა შემკული. ირმის ტყავის შარვალის ეცვა, რომელიც გვერდებზე და მუხლებს ზემოთ ირმის ძარღვებითვე ჰქონდა შეკრული. ჩანთა და სათოფისწამლე რქაც მისი მოკაბმულობის ნაწილი გახლდათ. იქვე ახლოს, ხეზე მიეყუდებინა გრძელლულიანი თოფი, რომელიც, გამჭრიახ თეთრკანიანთა აზრით, ყველა ცეცხლსასროლ იარაღზე საშიშია. ეს მონადირე თუ მზვერავი — ვინც უნდა ყოფილიყო იგი — სწრაფ, მახვილსა და მოუსვენარ თვალებს საუბრის დროს აქეთ-იქით აცეცებდა, თითქოს ნადირს ეძებს ან მტრის უეცარ თავდასხმას უფ-

როხისო. მუხედავად ამისა, მკითხველი დარწმუნდება მის უანგარობაში, პატიოსანებასა და უზაკველობაში.

— თვით თქვენი თქმულებებიც კი მე მიჭერს მხარს, ჩინგაჩგუკ, — თქვა მან იმ ენაზე, რომელიც ყველა იქაურმა, ვინც წინათ ჰადსონსა და პოტომაკს შორის მდებარე მხარეში ცხოვრობდა, იცოდა და რომელსაც მკითხველისთვის გადმოვთარგმნით, — თქვენი მამები ჩამავალი მზის მხრიდან მოვიდნენ, გადმოლახეს დიდი მდინარე, შეებრძოლნენ იქაურ ხალხს და დაიპყრეს ქვეყანა; ჩემიანები კი დილის წითელი ცის მხრიდან, მლაშე ტბის იქითა მხრიდან მოვიდნენ და სწორედ ისევე მოიქცნენ, როგორც თქვენები. ამიტომ, დაე, ღმერთმა განსაჯოს ჩვენი საქმე, მეგობრებს კი სადაო არაფერი აქვთ!

— ჩემი მამები ტიტველ წითელ კაცებს ებრძოდნენ! — მიუგო ინდიელმა მკაცრად იმავე ენაზე, — განა ერთმანეთისაგან არ განსხვავდება, ქორის თვალთ, მეომრის ქვისწვერიანი ისარი და თოფის ტყვია, რომლითაც თქვენ ხოცავთ?

— ინდიელი გონიერია, თუმცა ბუნებას მისთვის წითელი კანი მიუცია! — თქვა თავის ქნევით თეთრკანიანმა. ის სამართლიანად განსჯიდა ინდიელის სიტყვებს. ერთი წუთით თითქოს დამარცხებულადაც კი იგრძნო თავი, მაგრამ შემდეგ კვლავ მოიკრიბა ძალ-ღონე და რამდენადაც მისი შეზღუდული ცოდნა ხელს უწყობდა, რიგიანი პასუხი გასცა მოკამათეს: — მე ნასწავლი კაცი არ გახლავარ და დიდ რამედ არ მიმაჩნია ნასწავლობა, მაგრამ იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც ირემზე და ციყვზე ნადირობის დროს თეთრკანიანი დარდიმანდების ყოფა მინახავს, მგონია, მათ წინაპართა ხელში თოფი ისეთი საშიში არ უნდა ყოფილიყო, როგორიც ინდიელის საზრიანობით მოზიდული აქაური თხილის მშვილდი და ნატყორცნი ლაზათიანი კაჟისწვერიანი ისარი იქნებოდა.

— ეგ შენი მამების ნათქვამი ამბავია, — მიუგო ინდიელმა ცივად, თან ამაყად და ამრეზით აიქნია ხელი, — რას ამბობენ თქვენი მოხუცები? განა ისინი უამბობენ ახალგაზრდა მეომრებს, რომ შეხვდნენ საომრად მოხატულ, ქვის ნაჯახიან ან ხის თოფიან წითელკანიანებს?

— მიკერძობებით განსჯა არ მიყვარს, არც ისეთი ვარ, რომ ჩემი შთამომავლობით თავი მომქონდეს; თუმცა ჩემი ყველაზე მოსისხლე მტერიც, ეს მტერი კი იროკვზია, ვერ უარყოფს, რომ მე ნამდვილი თეთრკანიანი გახლავარ, — მიუგო მზვერავმა და თან ფარული კმაყოფილებით ათვალთქვებდა თავის ძვალმსხვილ და ძარღვიან ხელს, — და უნდა ვაღიარო, რომ ჩემს ხალხს ბევრი ისეთი წესი აქვს, რომელიც მე არ მომწონს. მათი ერთ-ერთი ადათია, წიგნებში ჩაწერონ, რაც ჩაიდინეს, ან რაც ნახეს; იმის მაგივრად, რომ ეს ამბები თავიანთ სოფლებში თქვან, სადაც ჯაბანს პირში შეიძლება მიახალო თავისი სიცრუე, ხოლო მამაცმა მეომარმა თავისი სიტყვების სიმართლე იქვე შეიძლება დაადასტუროს ამხანაგების დამოწმებით. ამ უგვანი ჩვეულების წყალობით, ის, ვინც უქმად არ ატარებს დღეებს დიაცებში, შავი ნიშნების სახელების დახსომებაში, ვერასოდეს მოისმენს მამა-პაპათა საგმირო საქმეებს და ვერ იგრძნობს სიამაყეს. მე კი მჯერა, რომ ყველა ბამპომ კარგი სროლა იცოდა, რადგან თანდაყოლილი მაქვს თოფის ხმარების ოსტატობა. თუმცა არც მესიამოვნება სხვების მაგიერ ვაგო პასუხი ამისთანა საქმეებზე. თანაც ყოველ ამბავს ორი მხარე აქვს. ჩინგაჩგუკ, გთხოვ მიაბო, რა მოხდა, როცა ჩვენი მამა-პაპანი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს!

ერთ წუთს სიწყნარე ჩამოვარდა. ინდიელი მდუმარედ იჯდა. მერე საზვიამო კილოთი შეუდგა თხრობას.

— ისმინე, ქორის თვალო, და შენს ყურს სიცრუის ნატამალიც კი არ ჩაეწვეთება. აი, რა უთქვამთ ჩემს მამა-პაპებს და რა ჩაუდენიათ მოჰიკანებს: — იგი ერთი წუთით შეჩერდა, დაკვირვე-

ბით გადახედა ამხანაგს და ისეთი კილოთი განაგრძო ლაპარაკი, რომელიც ნახევრად კითხვას ჰგავდა, ნახევრად კი — მტკიცებას, — განა ეს მდინარე, ჩვენს ფეხებთან რომ მიედინება, ზაფხულისაკენ არ მირბის, სანამ მისი წყალი მარილიანი არ გახდება და დინება არ მობრუნდება?

— ვერაფერ იტყვის, რომ ორივე ეგ ამბავი ჭეშმარიტად არ გადმოუციათ თქვენს თქმულებებში, — მიუგო თეთრკანიანმა, — მე ვყოფილვარ იქ და მინახავს კიდეც ეგენი. თუმცა ჩრდილში ასეთი გემრიელი წყალი მზეში ისეთი მწარე რატომ ხდება, ვერ ვიგებ.

— და მერე დინება! — ჩააცვივდა ინდიელი, რომელიც იმ ცნობისმოყვარეობით ელოდა პასუხს, როცა ადამიანმა იცის, რასაც იტყვიან და მაინც იოცებს ნათქვამს, — ჩინგაჩგუკის წინაპრები არ ცრუობდნენ!

— წმინდა ბიბლიაც კი არ არის მაგაზე მართალი. მაგ უკუდინებას ზღვის მოქცევას ეძახიან, რომელიც ადვილად ასახსნელი ამბავია და საკმაოდ ცხადიც არის. ექვს საათს წყალი შიგნით მიედინება, ექვს საათს კი — ნაპირებისაკენ. და მიზეზი ეს გახლავს: როცა ზღვაში მდინარეზე უფრო მაღლა დგას წყალი, იგი მდინარეში მანამდე შემოდის, სანამ ზღვის დინება უმაღლეს დონეს არ მიაღწევს, შემდეგ კი კვლავ უკუიქცევა.

— ტყეებისა და დიდი ტბების წყალი ქვევით მიდის, სანამ ჩემი ხელისგულივით სწორად არ დადგება, — თქვა ინდიელმა და აჩვენა გადაშლილი ხელისგული, — მაშინ კი აღარსაით გარბის.

— ვერც ერთი პატიოსანი ვაცი ვერ უარყოფს მაგას, — თქვა მოქცევა-უკუქცევის საიდუმლოების მისებური ახსნისადმი უნდობლობის გამომჟღავნებით ცოტა გაცხარებულმა მზვერავმა, — ეგ მართალია პატარა ზომის ადგილებისათვის და სადაც ქვეყანა სწორია, მაგრამ ყველაფერი იმაზე დამოკიდებული, რა ზომით უყურებს ვაცი საგნებს. პატარა საზომით თუ მივუდგებით,

დედამიწა ბრტყელია, ხოლო დიდი საზომის მიხედვით კი მრგვალი გახლავს. ამის შესაბამისად, პატარა ტბები და გუბეები და თვით წმინდა წყლიანი დიდრონი ტბებიც კი უძრავი შეიძლება იყოს, როგორც შენ და მე, ორივემ ვიცით, რომ არის, და ხომ ჩვენი თვალითაც გვინახავს. მაგრამ როცა წყალი დიდ სივრცეზე გაშლილი ზღვასავით, ხოლო დედამიწა კი მომრგვალებულია, რა გააჩერებს წყალს მშვიდად?

კიდევ რომ არ დაეკმაყოფილებინა ამხანაგის თავისებურ ფილოსოფოსობას, ინდიელი ისეთი დარბაისელი იყო, რომ არც გამოამუღავნებდა თავის ურწმუნობას. მან ისე მოუსმინა, თითქოს ყველაფერი დაიჯერა და წინანდელი საზეიმო კილოთი განაგრძო.

— ჩვენ იმ ადგილიდან მოვედით, სადაც ღამლამობით მზე იმალება; გადმოვიარეთ დიდი ტრამალები, სადაც გარეული კამეჩები ბინადრობენ და დიდ მდინარეს მოვალწიეთ. იქ ალიგუებს შევებით და მანამდე ვეომეთ, სანამ მიწა არ გავაწითლეთ მათი სისხლით. დიდი მდინარის ნაპირებიდან მოყოლებული, მლაშე ტბის კიდემდე არავინ შეგვხვედრია. მაკვები შორიახლო მოგვდევენ. ჩვენ ვთქვით, რომ ჩვენი უნდა ყოფილიყო ქვეყანა იმ ადგილიდან მოყოლებული, საიდანაც წყალი აღმა აღარ ბრუნდება ამ მდინარეში, იმ მდინარემდე, რომელიც ოცი დღის სავალზეა ზაფხულის მხარეს. შემდეგ დაპყრობილი ქვეყანა ვაჟუკაცურად შევინარჩუნეთ. მაკვები ტყეებში შევრეკეთ დათვებთან. ისინი მარილს მხოლოდ ნადირთა სატლეკებში თუ იგემებდნენ; ვეღარც დიდ ტბაში თევზაობდნენ, ჩვენ კი მათ მხოლოდ ძვლებს ვუყრიდით.

— ეგ ყველაფერი გამიგონია და მჯერა, — უთხრა თეთრკანიანმა, როცა შეატყო, რომ ინდიელი შედგა, — მაგრამ ეგ ინგლისელების ამ ქვეყანაში მოსვლამდე დიდი ხნით ადრე მოხდა.

— მაშინ ფიჭვი ხარობდა იქ, სადაც ახლა ეს წაბლი დგას. ჩვენში პირველად ჩამოსული ფერმკრთალსახიანები ინგლისურად არ ლაპარაკობდნენ. ისინი დიდი ნავით მოვიდნენ, როცა ჩემმა წინაპრებმა ტომაჰაუკი ჩაფლეს მიწაში მათ ირგვლივ მცხოვრებ წითელკანიანებთან ერთად. მაშინ, ქორის თვალთ, — განაგრძობდა იგი და ღრმა განცდა ხმის იმ ხორხისმიერი ბგერებით შეცვლაზე დაეტყო, რომელიც ხანდახან ასე ტკბილ მუსიკალობას ანიჭებს ენას, — მაშინ, ქორის თვალთ, ჩვენ ერთი ხალხი ვიყავით და ბედნიერადაც ვცხოვრობდით. მლაშე ტბა თევზს გვაძლევდა, ტყე — ნადირს, ჰაერი კი — ფრინველებს. ვირთავდით ცოლებს, რომლებიც შვილებს გვიზრდიდნენ; თაყვანს ვცემდით დიდ სულს და მაკვები ისე შორს გვყავდა გარეკილი, რომ ჩვენი გამარჯვების საზეიმო სიმღერებიც ვერ სწვდებოდა მათ!

— შენი საკუთარი ოჯახის რაიმე ამბავი თუ იცი იმ ხანაში? — ჩაეკითხა თეთრკანიანი, — მაგრამ შენ ხომ ნამდვილი პატიოსანი ინდიელი ვაჟკაცი ხარ და რადგან მგონია, რომ მათი ნიჭი უნდა გამოგყოლოდა, შენი მამა-პაპანიც მამაცი მეომრები და საბჭოს კერასთან ბრძენი მოთათბირენი იქნებოდნენ.

— ჩემი ტომი ერთა მამამთავარია, — თქვა ინდიელმა, — მე კი შეურეველი შთამომავლობისა გახლავარ. ჩემს ძარღვებში ბელადთა სისხლია. ჰოლანდიელები გადმოსახლდნენ და ჩემს ხალხს ცეცხლის წყალი მისცეს. მათ მანამდე სვეს იგი, სანამ არ მოეჩვენათ, ცა და დედამიწა შეერთდაო და უგუნურად იფიქრეს, დიდი სული ვიპოვეთო. შემდეგ ისინი დაიძრნენ თავიანთი ქვეყნიდან. აქაურებს ნაბიჯ-ნაბიჯ დაახევინეს უკან და აი, მე, რომელიც ბელადი და საგამორი ვარ, მზის შუქი მხოლოდ ხეების ფოთლებში ჩამოპარული მიხილავს, წინაპრების სამარეთა ნახვას კი არასოდეს ვღირსებოვარ.

— საფლავების ნახვა დიად გრძნობებს აღვიძებს, — მიუგო მზვერავემა, რომელიც შეაწუხა ამხანაგის თავშეკავებულმა ბოლმამ, — და ხშირად ხელს უწყობს კაცს კეთილი ზრახვების განხორციელებაში, თუმცა სადაა შენი მოდგმის ხალხი, რომელიც თავის ნათესავ დელავერთა ქვეყანაში მოვიდა იმდენი ზაფხულის წინათ?

— სადღა არიან იმ ზაფხულთა ყვავილები? სათითაოდ ჩამოცვივდნენ! მთელი ჩემი ოჯახი გადასახლდა სულთა სამყაროში. მეც უკვე მთის წვერზე ვარ, მალე ხეობისკენ უნდა დავუყვე და როცა უნკასიც მოჰყვება ჩემს კვალს, საგამორთა სისხლისა აღარავინ დარჩება, რადგან ჩემი შვილი უკანასკნელი მოჰიკანია!

— უნკასი აქ არის! ვის უნდოდა უნკასი? — გაისმა იქვე ახლოს სხვა, ასევე რბილი ხორხისმიერი ბგერებით ნათქვამი სიტყვები.

ამ ხმის გაგონებაზე თეთრკანიანმა ტყავის ქარქაშიდან დანა ამოსწია და უნებურად თოფს ხელი სტაცა, ინდიელი კი გაუნძრევლად იჯდა და თავიც არ მიუბრუნებია.

მეორე წუთში მათ შორის ჭაბუკმა მეომარმა გაიარა ფეხაკრეფით და ჩქარი მდინარის ნაპირას ჩამოჯდა. მამას არც გავირვებია მისი გამოჩენა, არც რამე უკითხავს, ჩუმად იყვნენ. ყველა იმ ხელსაყრელ დროს ელოდა, როცა ლაპარაკი დიაცური ცნობისმოყვარეობის ან ბავშვური მოუთმენლობის გამოუმჟღავნებლად შეეძლებოდათ. თეთრკანიანიც მათ ადათს იცავდა: ხელი გაუშვა თოფს და თავშეკავებით, მდუმარედ იდგა. ბოლოს ჩინგაჩგუკმა დინჯად გადახედა თავის შვილს და ჰკითხა:

— მაკვებს ხომ არ გაუბედავთ თავიანთი მოკასინების კვალი დატოვონ ამ ტყეებში?

— მათ კვალს მივაგენი, — მიუგო ახალგაზრდა ინდიელმა, — და ვიცი, რომ ისინი იმდენნი არიან, რამდენი თითიც მაქვს ორივე ხელზე, მაგრამ ლაჩრებივით კი იმალებიან.

— ეგ ქურდები სკალპებსა და ნადავლს უთვალთვალევენ! — შესძახა თეთრკანიანმა, რომელსაც, მისი ამხანაგების მსგავსად, ჩვენც ქორის თვალს ვუწოდებთ, — ის მოუსვენარი ფრანგი მონკალმი, თვით ჩვენს ბანაკშიაც კი შემოგზავნის ჯაშუშებს, რომ როგორმე შეიტყოს, რა გზით ივლიან ჩვენები!

— კმარა! — თქვა მამამ და თვალი შეავლო ჩამავალ მგეს, — მათ ირმებივით გამოვრეკავთ თავიანთი ბუჩქებიდან. ქორის თვალს, მოდი ამ საღამოს დაგნაყრდეთ და ხვალ კი ვაჩვენოთ მაკვებს, რა ვაჟკაცებიც ვართ.

— მე მზად გახლავარ, ერთიც შევასრულო და მეორეც, — მიუგო მშვერავმა, — მაგრამ სანამ იროკეზებს შევებრძოლებოდეთ, ჯერ აუცილებელია მოვნახოთ, სად მიჩქმალულან; ხოლო დასანაყრებლად აუცილებელია, ნადირი ვიპოვოთ... სწორედ ძაღლი ახსენე და ჯოხი ხელში დაიჭირეო: ამ ბაფხულში ამოდენა რქებიანი ირემი არც შემხვედრია, აგე, სერის ძირას ბუჩქებში რომ მოჩანს! აბა, უნკას, — განაგრძო მან ნახევრად ჩურჩულით და თან თავისებურად იცინოდა ისეთი კაცივით, რომელიც შეჩვეული იყო სიფრთხილეს, — სანაძლეოდ ჩამოვდივარ ჩემს სამ რქა თოფის წამალს ერთ უამპუმში, რომ ტყვიას თვალებს შორის მოვახვედრებ და ისიც მარჯვენა თვალთან უფრო ახლოს.

— შეუძლებელია! — ახალგაზრდული სიმკვირცხლით წამოიჭრა ფეხზე ჭაბუკი, — გარდა რქის წვერებისა, სხვა არც არაფერი მოჩანს!

— ჯერ კიდევ ბავშვია, — თავის ქნევით გადაულაპარაკა მამას ქორის თვალმა, — ჰგონია, როცა მონადირე პირუტყვის სხეულის მხოლოდ ერთ ნაწილს ხედავს, არ შეუძლია მიხვდეს, სად იქნება დანარჩები!

ის-ის იყო გამართა თოფი და კიდევ უნდა ეჩვენებინა თავისი სიმარჯვე, რომლითაც თავი ასე მოჰქონდა, რომ ხნიერმა მეომარმა ხელი უტაცა ლულაზე და ჰკითხა:

— ქორის თვალს, მაკვებთან ბრძოლა გინდა?

— ამ ინდიელებს ძვალ-რბილში აქვთ გამჭდარი და გრძნობენ ტყის ბუნებას! — ჩაილაპარაკა მზვერავმა, დაუშვა თოფი და ისეთი იერით მიიბრუნა პირი, რომ ეტყობოდა, ხვდებოდა თავის შეცდომას, — ირემი შენს ისარს უნდა დაუთმო, უნკას, თორემ ეს ნადირი იქნებ იმ ქურდი იროკვეზების საკბილოდ მოვკლათ.

უნკასი მიწაზე განერთხო და დიდი სიფრთხილით მიუახლოვდა ნადირს. წყნარად გამართა მშვილდ-ისარი. ირმის რქები შეირხა, თითქოს ცხოველმა მტრის სუნი იგრძნო.

გაისმა მოზიდული მშვილდის ზუზუნი, თეთრმა ზოლმა გაიელვა ბუჩქებში და დაჭრილი ირემი სწორედ თავისი მტრის ფეხებთან დაეცა. უნკასმა აიცილა გამძვინვარებული ნადირის რქები და ყელში დანა გაუყარა. ირემი მდინარის ნაპირზე დაეცა და წყალი სისხლით შეღება.

— სწორედ ინდიელის სიმარჯვე გამოიჩინა, — თავისებური, ჩუმი სიცილით თქვა უზომოდ კმაყოფილმა მზვერავმა, — და ჩინებული სანახავიც იყო! თუმცა ისარი მარტო ახლოს სასროლად ვარგა და მისი დაწყებული საქმე დანით დასრულებას მოითხოვს.

— ჰუჰ! — წამოიძახა ამ დროს მისმა ამხანაგმა და სწრაფად შემოტრიალდა მეძებარივით, რომელმაც ნადირის სუნი აიღო.

— ღვთის მადლმა, მთელი ჯოგი უნდა იყოს! — შესძახა ნადირობის მოყვარულმა მზვერავმა, რომელსაც თავის ჩვეულებრივი ხელობის გამოყენების სურვილით თვალები გაუბრწყინდა, — თუ ტყვიის მისაწვდენ მანძილზე გამოჩნდნენ, მაინც გავაგორებ ერთს, თუნდაც მთელი ექვსი ერი ერთად იყოს ჩასაფრებული! რა ისმის, ჩინგაჩგუკ? ჩემი ყურისთვის ტყე მდუმარეა.

— ირემი მხოლოდ ერთია და ისიც მკვდარი, — თქვა ინდიელმა და ისე მოიხარა, რომ ყური თითქმის მიწას დაადო, — ფეხის ხმა მესმის!

– ეგებ მგლები მოსდევდნენ ამ ირემს და ახლა მის კვალს მოჰყვებიან.

– არა. თეთრკანიანების ცხენები მოდიან, – მიუგო ინდიელმა. შემდეგ დინჯად წამოდგა და კვლავ ძველებურად, დარბაისლურად ჩამოჯდა წაქცეულ ხეზე, – ქორის თვალთ, ისინი შენი ძმები არიან და გამოელაპარაკე.

– გამოველაპარაკები და ისეთი ინგლისურითაც, რომ მეფეც კი არ იუკადრისებს პასუხის გაცემას, – უთხრა მონადირემ იმ ენაზე, რომელზე ლაპარაკითაც თავი მოჰქონდა, – მაგრამ ვერას ვხედავ და არც ადამიანის ხმა მესმის. უცნაურია, რომ ინდიელს უკეთ ესმის თეთრების ხმები, ვიდრე თეთრკანიანს; თუმცა ისე დიდხანს ვცხოვრობდი წითელკანიანებში, შეიძლება მართლაც ეჭვი შეეპაროთ! ჰა! აი, ხმელი ფიჩხის ტკაცუნის ხმასავით რაღაც გაისმა, კიდევ... ახლა ბუჩქების რხევის ხმაც მესმის... დიახ, დიახ, ცხენის ფეხის თქარუნიც არის, მე რომ ჩანჩქერის ხმაურში ამერია... აი, ისინიც მოდიან; ღმერთო, იხსენი იროკვებებისაგან!

ამ ტყიდან მშვიდობით ვერ გახვალ, სანამ არ დაგსჯი ბოროტ-
მოქმედებისათვის.

შექსპირი. „ზაფხულის ღამის სიზმარი“

მზვერავს სიტყვები არ დაემთავრებინა, რომ გამოჩნდა კიდევ
მოწინავე მხედარი ცხენოსანთა იმ ჯგუფისა, რომლის ფეხის
ხმაც ინდიელის მახვილ სმენას არ გამოეპარა. ვიწრო ბილიკი
მდინარემდე მიდიოდა, სადაც მზვერავი და მისი წითელკანიანი
ამხანაგები იდგნენ. ამ გზას მოჰყვებოდნენ მგზავრები. მათი გა-
მოჩენა უღრან ტყეში მოულოდნელი და უცნაური იყო. ისინი აუჩ-
ქარებლად მოემართებოდნენ მონადირისაკენ.

— ვინ მოდის? — იკითხა მზვერავმა. თოფი უზრუნველად გადა-
იგდო მარცხენა მკლავზე, თუმცა მარჯვენა ხელის საჩვენებელი
თითი ჩახმახის ფეხისათვის არ მოუშორებია, — ვინ მოდის აქეთ,
ნადირებითა და ხიფათით სავსე უღრან ტყეში?

— კანონისა და მეფის მეგობრები, — მიუგო პირველმა მხე-
დარმა, — მგზავრები, რომლებიც დილიდან გზას ადგანან.

— მაშ, გზა აგბნევიათ, — შეაწყვეტინა მონადირემ, — ისე
ხართ, როცა კაცმა არ იცის მარჯვნივ წავიდეს თუ მარცხნივ!

— მართლაც, ძუძუმწოვარა ბავშვიც კი არ არის ისე თავის აღ-
მზრდელზე დამოკიდებული, როგორც ჩვენ ვართ მეგზურზე. ხომ
არ იცით, რა მანძილი იქნება აქედან უილიამ-ჰენრის ციხესიმაგ-
რემდე?

— ფხუ! — წასცდა მზვერავს, მაგრამ მაშინვე თავი შეიკავა, —
თქვენ ძალიან დაშორებიხართ სწორ გზას. თუ მეფის მეგობრები
ხართ, თქვენთვის უკეთესი იქნება, ამ მდინარეს დაუყვეთ ედუ-
არდისაკენ და თქვენი ამბავი უეხსოვრათ, რომელიც იქ ით-

რევს ფეხს იმის ნაცვლად, რომ ხეობებში შეიჭრას და ის თავხედი ფრანგი შამპლეინიდან გააძევოს.

სანამ უცნობი პასუხობდა, მეორე მხედარი ბუჩქებიდან გამოვიდა და ამხანაგის წინ დადგა.

— მაშ, რა მანძილზე ვიქნებით ახლა ედაურდის ციხესიმაგრიდან? — იკითხა ახალმოსულმა, — ის ადგილი, საით წასვლასაც გვირჩევთ, ჩვენ ამ დილით დავტოვეთ და ტბის დასაწყისში გვინდოდა ჩასვლა.

— მაშ, თვალის ჩინიც გამოგლევიათ; თორემ სათრევზე გაყვანილი გზა ათიოდე ნაბიჯის სიგანისა მაინც იქნება, ისეთივე დიდებული შარაგზაა, როგორც ლონდონში შეიძლება იყოს, ანდა თვით ხელმწიფის სასახლის წინ.

— ნუ ვიკამათებთ გზის სიავეარგებზე, — მიუგო ჰეიუარდმა დიმილით (როგორც უკვე მკითხველიც მიხვდებოდა, მოსაუბრე ის გახლდათ), — ჯერჯერობით საკმარისია მოგახსენოთ, რომ ჩვენ მივენდეთ ინდიელ მეგზურს, რომელსაც მოკლე, ნაკლებად ცნობილი ბილიკებით უნდა ვეტარებინეთ, მაგრამ მოვტყუვდით. ერთი სიტყვით, ჩვენ არ ვიცით, სად ვიმყოფებით.

— ინდიელს ტყეში გზა დაეზნეს?! — ეჭვით გადააქნია თავი მზვერავმა, — დაუჯერებელია, რომ ინდიელი დაიკარგოს ჰორიკონსა და მდინარის მოსახვევს შორის! მოჰაუკია?

— დაბადებით არა, მაგრამ ამ ტომმა კი შეიკედლა. მე მგონი, მისი სამშობლო შორს, ჩრდილოეთშია და ჰურონებს რომ ეძახით, იმათგანი უნდა იყოს.

— ჰუჰ! — შესძახა მზვერავის ორმა ამხანაგმა. ისინი აქამდე უძრავად ისხდნენ და თითქოს გულგრილად უგდებდნენ ყურს, მაგრამ ახლა მკვირცხლად წამოიჭრნენ; ალბათ გაოცებამ დააკარგვინათ სიდინჯე.

— ჰურონი! — გაიმეორა მკაცრად მზვერავმა და ეჭვით გაიქნია თავი, — ქურდბაცაცა, ვერაგი ხალხია და მაინც არ ვენდობი,

ვინც არ უნდა შეიკედლოს. მათგან ლაჩრისა და მაწანწალის მეტი არავინ გამოვა. რაკი იმ ერთ კაცს მინდობიხართ, მე მოცებს, ჰურონების ხელში ჩავარდნას როგორ გადაურჩით!

— ვენდეთ, რადგან უილიამ-ჰენრი შორს არ არის. თანაც თქვენ გავიწყდებათ, რომ ჩვენი მეგობრი ახლა მოჰაუკია და, როგორც მეგობარი, ჩვენს ჯარს ემსახურება.

— მე კი მოგახსენებთ, რომ ვინც მინგოდ დაბადებულა, მინგოდვე მოკვდება, — დაბეჯითებით მიუგო მეორემ, — მოჰაუკი! მეგობრებად სამაგალითოები დელავერები და მოჰიკანები არიან!

— დავანებოთ ამას თავი, — მოუთმენლად მიუგო ჰეიუარდმა, — იმ კაცზე ნუ ვიმსჯელებთ, რომელიც თქვენთვის სრულიად უცნობია. თქვენ ჯერ კიდევ არ გიპასუხიათ კითხვაზე: რა მანძილია აქედან ედუარდის ციხესიმაგრის მთავარ ბანაკამდე?

— ჩანს, რომ ეგ თქვენს მეგობრებად დამოკიდებული.

— უქმად თქვენთან კამათი არ მინდა, მეგობარო, — უფრო წყნარი კილოთი დაუწყო ლაპარაკი ჰეიუარდმა, — თუ მეტყვით, რა მანძილია ედუარდის ციხესიმაგრემდე და მიგვიყვანთ კიდევ იქ, ჯილდოსაც მიიღებთ.

— მერედა, ასე რომ ვქნა, რა ვიცი, იქნებ მტერი და მონკალმის ჯაშუში მივაყენო ჩვენი ბანაკის სანგრებს? ყველა ინგლისურად მოლაპარაკე პატიოსანი ქვეშევრდომი კი არ არის!

— თუ თქვენ იმ ჯარს ემსახურებით, რომლის მზვერავიც მე მგონიხართ, გეცოდინებათ კიდევ სამეფო ჯარის მესამოცე ლეგიონი.

— მესამოცე! თუმცა მონადირის ხალათს ვატარებ ალისფერი ქურთუკის ნაცვლად, ამერიკის სამეფო ჯარის ნაწილების შესახებ ნაკლებად შეიძლება მითხრათ ისეთი რამ, მე რომ არ ვიცოდე.

— მაშ, მისი მაიორის გვარიც იქნებ იცოდეთ!

— მაიორის? — შეაწყვეტინა მონადირემ და წელში ისე გაიმართა, როგორც ნდობის გამოცხადებით გაამაყებულ ადამიანს სჩვევია, — თუკი ამ ქვეყანაში ვინმე იცნობს მაიორ ეფინჰემს, ეს მე გახლავარ!

— იმ ჯარის ნაწილში ბევრი მაიორია. თქვენ რომ ვაჟკაცის სახელი ბრძანეთ, ეგ უფროსია. მაგრამ მე ყველაზე უმცროსზე მოგახსენებ, რომელიც უილიამ-ჰენრის მეციხოვნე ჯარში მეთაურობს ასეულებს.

— დიახ, დიახ. გამიგონია, რომ შორეული სამხრეთი კუთხიდან ჩამოსულმა ერთობ მდიდარმა ახალგაზრდამ მიიღო ეგ ადგილი. ის ამ წოდებისა და უკვე ჭაღარაშერეულ ჯარისკაცებზე უფროსობისათვის ჯერ ძალიან პატარა უნდა იყოს, მაგრამ ამბობენ, ცოდნით კი ნამდვილი მეომარია და მამაცი ვაჟკაციც არისო!

— ის ახლა თქვენ წინაშე დგას, რასაკვირველია.

მზვერავმა ერთ წუთს გაოცებით შეათვალიერა ჰეიუარდი, შემდეგ ქუდი მოიხადა და წინანდელზე ნაკლებ თავდაჯერებული, მაგრამ კვლავ დაეჭვებული კილოთი უპასუხა:

— მე მითხრეს, რომ ამ დილით ბანაკიდან რაზმი ტბის ნაპირისაკენ უნდა გამგზავრებულიყო!

— მართალი უთქვამთ, მაგრამ იმ ინდიელის ცოდნას ვენდე და უფრო მოკლე გზა ვამჯობინე.

— იმან კი მოგატყუათ და მერე გაიპარა, არა?

— მე მგონია, არც ერთი უქნია და არც მეორე; გაპარვით კი მართლა არ გაპარულა, რადგან უკან მოგვდევს.

— მინდა, ერთი თვალი შევავლო მაგ ვაჟბატონს. თუ ნამდვილი იროკებია, ცბიერ გამოხედვასა და მოხატულობაზე შევატყობ! — თქვა მზვერავმა.

იგი გასცდა ჰეიუარდის ბედაურს, მოუარა გალობის მასწავლებლის ჭაკს, რომლის კვიცსაც შესვენებით ესარგებლა და დე-

დას მოჰკიდებოდა ძუძუზე, და დაადგა ბილიკს. გასწი-გამოსწია ბუჩქები და რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის მერე გადაეყარა მანდილოსნებს, რომლებიც გულის ფანცქალით უცდიდნენ მოთათბირების შედეგს. მათ იქით კი მალემსრობლი მიჰყუდებოდა ხეს. სანამ მზვერავი აკვირდებოდა, იგი გაუნძრევლად იდგა, თუმცა ისე პირქუშად და მრისხანედ იცქირებოდა, რომ კაცს შიშს აღუძრავდა. მონადირე გამობრუნდა, ქალებს რომ გამოუარა, შედგა, აღისას ღიმილსა და თავის დაკვრას ღიმილითვე უპასუხა. მერე უცნაურ კაცს დააკვირდა, გაბებრებულმა თავი გაიქნია და კვლავ ჰეიუარდს დაუბრუნდა.

— მინგო, მინგოა; ღმერთმა ასეთი შექმნა იგი და ვერც მოჰაუკები შეცვლიან მას, ვერც სხვა რომელიმე ტომი. ჩვენ რომ მარტონი ვიყოთ და მაგ თქვენს ბედაურს ამაღამ მგლების საძიძგნად შეეღეოდეთ, მე თვითონ ერთ საათში მიგიყვანდით ედუარდის სიმაგრეში, რადგან აქედან ერთ საათზე მეტი სავალი არ იქნება, მაგრამ მათთან ერთად ეს შეუძლებელია!

— რატომ არის შეუძლებელი? მართალია, დაქანცულები არიან, მაგრამ კიდევ რამდენიმე მილის ცხენით გავლას კი მოახერხებენ.

— შეუძლებელია! — გაიმეორა მზვერავმა დაბეჯითებით, — რომ ჩამოღამდება, მე ერთ მილსაც არ გავივლი ამ ტყეებში მაგ მალემსრობლთან ერთად, თუნდაც საუკეთესო თოფი მქონდეს. ტევრი სავსეა ჩასაფრებული იროკეზებით. მაგ თქვენმა ნაბუშარმა ჩინებულად იცის, სად იქნებიან ისინი და ჩემს ამხანაგად არ გამოდგება.

— ეგრე გგონიათ? — უნაგირიდან წინ გადმოიხარა ჰეიუარდი და თითქმის ჩურჩულით განაგრძო, — უნდა ვაღიარო, რომ მეც კი ცოტა მეეჭვებოდა, მაგრამ ვცდილობდი, არ შემემჩნია და ჩემი თანამგზავრების გულისთვის ისე ვიქცეოდი, თითქოს სანდო პირთან მქონოდა საქმე. რადგან ეჭვი შემეპარა, ამიტომაც აღარ

ვინდომე მაგის მეგზურობა და, როგორც ხედავთ, უკან ჩამოვიტოვე.

— როგორც კი თვალი მოვკარი, მაშინვე მიხვდი, რომ ტყუის! — მიუგო მზვერავმა და სიფრთხილის ნიშნად საჩვენებელი თითი ტუჩებზე მიიდო.

— ეგ ქურდი იმ ხეს არის მიყრდნობილი, ბუჩქებს ზემოთ თავი რომ ამოუყვია. მე შემიძლია, აქედანვე ერთი გასროლით კოჭსა და მუხლს შორის დავჭრა და ერთი თვე მაინც მოვაშლევინო ტყე-ტყე წანწალი. მე რომ კვლავ იმისკენ წავიდე, ეგ ცბიერი რამეს მიხვდება და დამფრთხალი ნადირივით ტყეში შევარდება.

— ეგ არ ივარგებს. იქნებ უდანაშაულოა და არ მინდა ტყუილად გაფუჭდეს კაცი, თუმცა მართლა დარწმუნებული რომ ვიყო მის ღალატში...

— იროკემის კეთილსინდისიერებაში უნდა შეიტანოს კაცმა ეჭვი, — თქვა მზვერავმა და ინსტინქტური მოძრაობით გადმოიტრიალა თოფი.

— შესდექ! — შეაჩერა იგი ჰეიუარდმა, — ეგ არ ივარგებს... სხვა ხერხი მოვიგონოთ. გული მიგრძნობს, მაგ წუწკმა მართლაც მომატყუა.

მონადირემ, მეთაურის სურვილის თანახმად, თავი დაანება მალემსრბოლს და ერთხანს ჩაფიქრდა. მერე რაღაც ანიშნა თავის წითელკანიან ამხანაგებს და ისინიც თვალის დახამხამებაში მის გვერდით გაჩნდნენ. მათ ცხარე, მაგრამ ხმადაბალი თათბირი გამართეს დელავერთა ენაზე. თეთრკანიანი ხშირად იშვერდა ხელს ხის კენწეროსაკენ. აშკარა იყო, რომ იგი მათ მტრის მდგომარეობას უხსნიდა. ამხანაგებს დიდი დრო არ დასჭირვებიათ მისი სურვილის მისახვედრად: სასწრაფოდ გადატენეს თოფები, გაცალკევდნენ და ბილიკის აქეთ-იქით, ბუჩქნარში უჩუმრად გაუჩინარდნენ.

— ახლა წაბრძანდით უკან, — მიუბრუნდა კვლავ ჰეიუარდს მონადირე, — და ლაპარაკით შეიყოლიეთ ეგ თაღლითი. ეს მოჰიკანები ისე შევიპყრობენ, რომ მოხატულობასაც კი არ დაუზიანებენ!

— არა, — თქვა ამაყად ჰეიუარდმა, — მე თვითონ შევიპყრობ მაგას!

— ჩუ! აბა, ცხენზე მჯდომი რას გახდებით ბუჩქებში მდგარ ინდიელთან?

— კი, მაგრამ მეც ჩამოვხტები ცხენიდან!

— მერე, როგორ გგონიათ, მოასწრებთ ჩამოხტომას? ვინც ტყეში შემოდგამს ფეხს აქაურებთან საბრძოლველად, თუ გამარჯვება სურს, ინდიელთა ადათ-წესებსაც უნდა მისდიოს. მაშ, წადით, გულლიად ემუსაიფეთ და ისე მოაჩვენეთ თავი, თითქოს იმისთანა ერთგული მეგობარი სხვა არ გყავდეთ.

ჰეიუარდს ძალიან ეჩოთირებოდა ამ დავალების შესრულება, მაგრამ მაინც დააპირა, რჩევას დასთანხმებოდა. წუხდა, რომ საკუთარი გაუფრთხილებელი გულარხეინობით ქალბატონები ასეთ მდგომარეობაში ჩაყარა. ღამდებოდა. ამ ავი წინათგრძნობებით წაქეზებულმა უპასუხოდ მიატოვა მზვერავი, რომელმაც ხმამაღალი მუსაიფი გააბა, მოგზაურთა ჯგუფს იმ დილით ასე მოურიდებლად ადევნებულ უცნობთან. ჰეიუარდმა რამდენიმე გამამხნეველებელი სიტყვა უთხრა ქალბატონებს. დაარწმუნა, ვთათბირობთ, რა გზით გავაგრძელოთ მგზავრობაო. მერე ცხენს მათრახი გადაუჭირა და სადავე მაშინ მოსწია, როცა პირქუშ მეგზურს გაუსწორდა.

— ხომ ხედავ, მაგუა, — უთხრა ჰეიუარდმა, თან ცდილობდა, თამამი და გულითადი კილო მიეღო, — ღამდება და ჩვენ ჯერ ისევ შორს ვართ უილიამ-ჰენრიდან. შენ გზა აგებნა და არც მე გამიღიმა ბედმა. მაგრამ, საბედნიეროდ, მონადირეს წავაწყდით; აი, იმას, ახლა მგალობელს რომ ელაპარაკება. მან კარ-

გად იცის ირმების ბილიკები, ტყის მოკლე გზები და გვპირდება, ისეთ ადგილას გაგიყვანთ, რომ დილამდე მშვიდობიანად მოისვენებთო.

ინდიელმა ჰეიუარდს ბრიალა თვალები დააშტერა და თავის დამტვრეული ინგლისურით შეეკითხა:

— მარტოა?

— მარტო! — ყოყმანით მიუგო ჰეიუარდმა, — რომლისათვისაც სიცრუე ახალი ხილი იყო და თამამად ვერ იტყოდა, — ოჰ! რასაკვირველია, მარტო არაა, მაგუა, ჩვენც იმასთან ერთად არ ვართ?!

— მაშ, ცბიერი მელა წავა, — თქვა მალემსრობლმა და გულგრილად წამოავლო ხელი პატარა ჩანთას, რომელიც იქვე ედო, — და ფერმკრთალსახიანები თავიანთი ფერის კაცის გარდა ვერავის ნახავენ.

— წახვალ? ვის ეძახი მელას?

— ეს ის სახელია, რომელიც კანადელმა მამებმა უწოდეს მაგუას, — უპასუხა მალემსრობლმა ამაყად, თუმცა ალბათ სულაც არ ესმოდა შერქმეული სახელის აზრი.

— მერე უილიამ-ჰენრის ბელადს რას ეტყვი? განა შეჰბედავ, უთხრა გულფიცხ შოტლანდიელს, რომ მისი შვილები უმეგზუროდ არიან მითოვებულები? ხომ დაჰპირდი, მე წავუძღვებიო?

— ჭალარათმიან ბელადს მაღალი ხმა და გრძელი ხელი აქვს, მაგრამ ცბიერი მელა, აბა, რას გაიგებს ან რას იგრძნობს ტყეში? — მიუგო ფრთხილმა შიკრიკმა.

— კარგი რა, მაგუა, — უთხრა ჰეიუარდმა, — ჩვენ ხომ მეგობრები ვართ! რატომ უნდა ვეუბნებოდეთ ერთმანეთს მწარე სიტყვებს? მანრო სამსახურისათვის ჯილდოს დამპირდა და მეც შენი მოვალე ვიქნები. დაისვენე და დანაყრდი. ქალები რომ შეისვენებენ, გზას განვაგრძობთ.

— ფერმკრთალსახიანები თავიანთი დიაცების გოშიები არიან, — წაიბუტბუტა ინდიელმა თავის მშობლიურ ენაზე.

— რას ამბობ, მელაგ?

— ცბიერი ამბობს, კარგიო.

შემდეგ ინდიელი დაკვირვებით შეაჩერდა ჰეიუარდს, მაგრამ როცა მის თვალებს შეეფეთა, სასწრაფოდ განზე გაიხედა; ფრთხილად დაჯდა, წინანდელი საუბმის ნარჩენები ამოიღო და ჭამას შეუდგა.

— ეგ კარგია,— განაგრძო ჰეიუარდმა, — მელა ძალ-ღონესა და გამჭრიახობას მოიკრებს და დილით გზას ადვილად იპოვის, — იგი შედგა, რადგან იქვე ბუჩქნარიდან ხმელი ტოტის გატკაცუნების მსგავსი ხმა და ფოთლების შრიალი შემოესმა, მაგრამ მალე გონს მოვიდა და განაგრძო, — მზის ამოსვლამდე უნდა დავიძრათ, თორემ მონკალში შეიძლება გზაში შეგხვდეს.

მაგუას თვალები მიწისთვის დაეშტერებინა, თავი გვერდზე ჰქონდა გადახრილი, ნესტოები გაფართოებოდა, თითქოს ყურებიც კი ჩვეულებრივზე უფრო დაეცქვიტა და ქანდაკებას დამსგავსებოდა.

ჰეიუარდი თვალს ადევნებდა მის მოძრაობას, თან ხელი დამბაჩისაკენ გააპარა, რადგან ინდიელის ციებ-ცხელებიანივით დაცეცებული თვალები ერთ საგანზე არ ჩერდებოდა. სანამ მხედარი ყოყმანობდა, როგორ მოვიქცეო, ცბიერი მელა ნელა, უხმაუროდ წამოდგა. ჰეიუარდმა იგრძნო, ჩემი ხელის გამოღების დრო დადგაო, სასწრაფოდ ჩამოხტა ცხენიდან იმ განზრახვით, რომ მუხთალი თანამგზავრისათვის ჭკუა ესწავლებინა. ოღონდ ფუჭი ალიაქოთის თავიდან ასაცილებლად მშვიდ და მეგობრულ იერს ინარჩუნებდა.

— ცბიერი მელა არა ჭამს, — თქვა ინდიელმა, — მისი პური კარგად არ არის გამომცხვარი და გამხმარიც ჩანს.

— აბა, ერთი ვნახო, იქნებ მე მქონდეს რამე, რაც გეამება!

მაგუამ შულდაკი გამოუწოდა დანაპირების ასაღებად. არც შეშფოთებულა, არც პოზა შეუცვლია. მაგრამ როცა იგრძნო,

რომ ჰეიუარდი მკლავში ჩავლებას უპირებდა, ხელი გაჰკრა, გამაყრუებლად დაიკივლა, დაუსხლტა, ისკუპა და ერთი ნახტომით ბუჩქნარში მიიმალა. მეორე წუთში, მოხატული ჩინგანგუკი მონვენებასავით გამოჩნდა ბუჩქებში და ბილიკს იქით გასხლტა გაქცეულის დასადევნელად. მერე უნკასის ყიჟინა გაისმა, ცეცხლის ზოლმა გაიელვა ტყეში და ამას მონადირის თოფის გრიალიც მოჰყვა.

ასეთ ღამეს, დამფრთხალი თისზე ნამიან მდელზე მიცქრიალებდა, წინ კი უცბად ლომის აჩრდილს მოჰკრა თვალი.

შექსპირი. „ვენეციელი ვაჭარი“

მეგზურის მოულოდნელმა გაქცევამ და მდევართა ველურმა ყიჟინამ გაოცებული ჰეიუარდი რამდენიმე წამს ერთ ადგილს მიაჯაჭვა, მაგრამ როცა მოაგონდა, რა მნიშვნელოვანი იყო ლტოლვილის შეპყრობა, ბუჩქები გადაქელა და მდევრებს შეუერთდა. ასიოდე ნაბიჯიც კი არ ჰქონდა გავლილი, რომ მობრუნებულ მდევრებს შეეფეთა, მათ დევნაზე ხელი ჩაექნიათ.

— რატომ გაგტეხიათ გული ასე მალე! — მიაძახა მათ ჰეიუარდმა, — არამზადა აქვე სადმე ხეს მოეფარებოდა და კიდევ შეიძლება ვიპოვოთ. სანამ თავისუფალია, უშიშრად ვერ ვიგრძნობთ თავს!

— განა ღრუბელი ქარს დაეწევა? — მიუგო უკმაყოფილო მზვერავმა, — მესმოდა, ის ეშმაკი გამხმარ ფოთლებზე როგორ მიხობავდა შავი გველივით. მერე კიდევ სწორედ იმ დიდ ფიჭვთან მოვკარი თვალი და ვესროლე, მაგრამ ბედმა არ გამიღიმა!

— ეს ცბიერი მელას სისხლია! დაჭრილა და იქნებ სადმე წაიქცეს კიდევ.

— არა, არა! — თქვა მზვერავმა, — მე მხოლოდ კანს თუ გავუკაწრავდი.

— ჩვენ ხომ ოთხნი ვართ ერთი დაჭრილი კაცის წინააღმდეგ!

— სიცოცხლე მოგბებრდათ? — შეაწყვეტინა მზვერავმა, — ის წითელი ტარტაროზი თავისი ამხანაგების ხელში ჩაგყრით. მეც დაუფიქრებლად მოვიქეცი, თოფი რომ ვისროლე ჩასაფრებული მტრების გასაგონად; შეჩვეული მაინც არ ვიყო ინდიელთა ფან-

დებს!.. აბა, მეგობრებო, მოვინაცვლოთ ადგილი, რომ ცბიერ მინგოებს გზა-კვალი ავუბნოთ, თორემ ჩვენი სკალპები ხვალ ამ დროს, მზის ჩასვლისას, მონკალმის კარვის წინ იქნება გამოფენილი.

ეს შემადრწუნებელი სიტყვები მზვერავმა ისეთი კაცის მტკიცე, დამარწმუნებელი კილოთი წარმოთქვა, რომელიც კარგად გრძნობდა საფრთხეს, მაგრამ შიშით კი არ ეშინოდა და ამ ნათქვამმა ჰეიუარდს ნაკისრი ვალდებულების სიმძიმე მოაგონა. მიიხედ-მოიხედა, მაგრამ სიბნელეში ვერაფერი დაინახა, ყველა ჩრდილს ადამიანის ფიგურას ამსგავსებდა, ორჯერ ეგონა თავს დაგვესხმებიანო.

— რაღა უნდა ვქნათ! — თქვა სასოწარკვეთილმა ჰეიუარდმა, — ნუ მიმატოვებთ, ღვთის გულისთვის! დარჩით მათ დასაცავად, ვისაც ვახლავარ, და რაც გინდათ მოითხოვეთ!

განზე მდგარი მონადირე და მისი ამხანაგები თავიანთი ტომის ენაზე თათბირობდნენ და ყურიც არ უთხოვებიათ მისი გულმხურვალე ვედრებისათვის. ისინი ხმადაბლა და ფრთხილად, თითქმის ჩურჩულით საუბრობდნენ, მაგრამ ჰეიუარდმა, რომელიც მათ მიუახლოვდა, ადვილად გამოარჩია ახალგაზრდა მეომრის ხვეწნის კილო ხნიერის უფრო დინჯი, თავშეკავებული ლაპარაკისაგან. აშკარა იყო, რომ ისინი მოგზაურთა გადარჩენის საქმეზე მსჯელობდნენ. ხანგრძლივმა თათბირმა მოთმინება დააკარგვინა ჰეიუარდს, მიუახლოვდა ბნელში მდგარ ჯგუფს, რათა გასამრჯელო უფრო გარკვევით შეეთავაზებინა. ამ დროს თეთრკანიანმა ისე დაიქნია ხელი, თითქოს საკამათო საგანი დასთმო, პირი გვერდზე მიაბრუნა და ვითომ თავისთვის ლაპარაკობსო, ინგლისურად წარმოთქვა:

— უნკასი მართალია! რა ვაჟკაცობა იქნება, ბედის ანაბარა დავყაროთ ქალბატონები. ბატონებო, თუ გნებავთ, ეს ნაზი ყვა-

ვილები გველების დაგესლვისგან იხსნათ, არც დრო უნდა დაკარგოთ და არც მხნეობამ უნდა გიღალატოთ!

— ეგეთი სურვილი როგორ შეიძლება საყოყმანო იყოს! განა უკვე არ შემოგთავაზებთ...

— თავი დაანებეთ ფულის შემოთავაზებას, — მშვიდად შეაწყვეტინა მზვერავმა, — იქნებ ვერც თქვენ მოესწროთ დაპირების აღსრულებას და ვერც ჩვენ — მაგით სარგებლის ნახვას. ეს მოჰიკანები და მე ვეცდებით, ყოველი ღონე ვიხმაროთ. ჩვენ გასამრჯელოს იმედი არ გვაქვს, იმას დავჯერდებით, რაც ყოველი კეთილი საქმის ხვედრია. მაგრამ ჯერ ორი პირობა უნდა მოგვცეთ თქვენი და თქვენი მეგობრების სახელით, თუ არადა, ვერც ვერას გიშველით და ჩვენს თავსაც ვავნებთ!

— ბრძანეთ.

— ერთი გახლავთ: რაც უნდა მოხდეს, წყნარად იყავით; მეორე — ის ადგილი, სადაც ჩვენ დაგმალავთ, არ უნდა გაამჟღავნოთ.

— მე ძალ-ღონეს არ დავზოგავ ორივე პირობის შესრულები-სათვის.

— მაშ, მომყევით, რადგან ჩვენ ისეთ წამებს ვკარგავთ, რომლებიც ისევე ძვირფასია ჩვენთვის, როგორც დაჭრილი ირმისათვის ყოველი წვეთი სისხლი!

ჰეიუარდმა საღამოს მომატებულ ბინდბუნდში მზვერავის მოუთმენელი მოძრაობა შენიშნა და სასწრაფოდ გაეშურა იმ ადგილისაკენ, სადაც მისი დანარჩენი თანამგზავრები იყვნენ. როცა ლოდინით გულგადაღეულ, აღელვებულ ქალებთან მივიდა, მათ მოკლედ აცნობა თავიანთი ახალი მეგზურის პირობები და თქვა, ახლავე უნდა დავიძრაოთ და მძიმე გასაჭირიც რომ დავადგეს, აუცილებელია, სიწყნარე დავიცვათო. შემაშფოთებელმა ამბავმა ქალბატონები შეაშინა, თუმცა ჰეიუარდის გულმხურვალე და ვაჟკაცურმა კილომ გული მაინც გაუმაგრათ. ჰეიუარ-

დის დახმარებით, ქალები ცხენებიდან ჩამოხდნენ და სასწრაფოდ ჩავიდნენ წყლის პირას, სადაც მზვერავს უკვე შეეკრიბა დანარჩენები.

— რა უნდა ვუყოთ ამ პირუტყვებს! — წაიბუზღუნა მზვერავმა, რომელსაც, ჩანდა, მთელი შემდგომი მოქმედების გამგებლობა დაეკისრა, — მათი დახოცვა და მდინარეში ჩაყრა დროს წაიღებს, რომ დავტოვოთ, მტერი მიხვდება, რომ აქვე ახლოს ვართ, გზა-კვალი უნდა ავუბნოთ და დავარწმუნოთ, რომ ჩვენს დასაწევად ცხენის სისწრაფით დევნაა საჭირო. ჰო, ჰო, ჰო, რა დაუდგებათ თვალები! ჩინგაჩ... ჩუ... რატომ ირხევა ბუჩქები?

— კვიცია.

— ეგ კვიცი მაინც უნდა მოკვდეს, — წაიბუტბუტა მზვერავმა და ხელი წაატანა პირუტყვს, რომელიც ადვილად გაუსხლტა, — უნკას, შენი ისრები!

— გაჩერდით, — ყურადღება არ მიაქცია სხვების ჩურჩულით ლაპარაკს და ხმამაღლა შეჭლადადა სიკვდილმისჯილი ცხოველის პატრონმა, — შეიბრალეთ მირიამის შვილი! ეგ ერთგული დედის ტურფა ნაშიერია და არავის არაფერს ავნებს!

— როცა ადამიანები თავიანთი სიცოცხლის შესანარჩუნებლად იბრძვიან, — თქვა მზვერავმა მკაცრად, — არაფერს ინდობენ. თუ კიდევ კრინტი დაგიძრავს, მაკვების ანაბარა დაგაგდებ.

მისი მუქარა და ბუზღუნა კიდევ ისმოდა, დაჭრილი კვიცი ჯერ ყალყბე რომ შედგა, მერე კი ჩაიჩოქა. აქ ჩინგაჩგუკი დახვდა, ელვის სისწრაფით გამოუსვა ყელში დანა, აფართხალებულ მსხვერპლს უბიძგა, მდინარეში ჩააგდო და სულთმობრძავი, ახროტინებული ცხოველი წყალს გაატანა. ეს თითქოს გულქვა, მაგრამ სრულიად აუცილებელი მოქმედება მომავალი ფათერაკის წინაშე შემადრწუნებელ გაფრთხილებად დააწვა გულზე მგზავრებს. ამ საქმის მონაწილეთა მშვიდი, მაგრამ მტკიცე და შეუდრეკელი ქცევა შიშს აძლიერებდა. დები ცახცახებდნენ და

ერთმანეთს ეკვროდნენ. ჰეიუარდმა ხელი სტაცა უნაგირის ბუდეებიდან ახლახან ამოღებულ ერთ-ერთ დამბახას და ქალების წინ დადგა.

ინდიელები ერთი წამითაც აღარ შეეყოვნებულან: მოჰკიდეს ხელი აღვირებს და დამფრთხალი და გაჯიუტებული ცხენები მდინარის კალაპოტში ჩაიყვანეს.

ნაპირიდან მცირე მანძილის გავლის შემდგომ, პირაღმა აჰყვნენ მდინარეს და მალე მიიმაღნენ. ამასობაში მზვერავმა ხის ქერქისაგან გაკეთებული ნავი გამოაძრო დაბალი ბუჩქების სამალავიდან და უსიტყვოდ ანიშნა ქალებს, ჩამსხდარიყვნენ. ისინი უყოყმანოდ დაემორჩილნენ, თუმცა შეშფოთებულები კი აცეცებდნენ თვალებს.

როგორც კი კორა და ალისა ჩასხდნენ, მზვერავმა ჰეიუარდს ანიშნა, ერთი მხრიდან ხელი მოეკიდა მხატე ნავისთვის, მეორე მხრიდან კი თვითონვე ამოუდგა და ისინიც პირაღმა აჰყვნენ წყალს, მოკლული კვიცის დამწუხრებული პატრონი უკან მიჩანჩალებდა. ტაღლების დგაფუნი არღვევდა სიჩუმეს. ჰეიუარდმა ნავის მართვა მთლიანად მზვერავს მიანდო, რომელიც ლოდების ანდა მდინარის ღრმა ადგილების ასარიდებლად, ხან მიუახლოვდებოდა ნაპირს, ხან კი დაშორდებოდა. ხანდახან შედგებოდა და ყურს უგდებდა, ტევრიდან ხომ არ მოდიოდა რამე ხმა. როცა დარწმუნდებოდა, სიჩუმეაო, კვლავ ბეჯითად განაგრძობდა ნელ და ფრთხილ სვლას. ბოლოს მდინარეში მიაღწიეს წერტილს, საიდანაც ჰეიუარდმა რაღაც შავი ჯგუფი შენიშნა. ეს ჯგუფი ისეთ ადგილას შეეყუჟულიყო, სადაც ჩაშავებულ წყალს მაღალი ნაპირის ჩვეულებრივზე უფრო ბნელი ჩრდილი ეცემოდა. ჭაბუკი შეეყოყმანდა და ამ ადგილისაკენ მიახედა ამხანაგი.

— ოჰო, — თქვა მშვიდად მზვერავმა, — ინდიელებს თავისებურად მარჯვედ დაუმაღავთ ცხენები! წყალზე კვალი არ ეტყობა და ასეთ წყვდიადში ხომ ჭოტიც ვერაფერს გაარჩევს!

მალე ინდიელებიც შემოუერთდნენ და მზვერავმა და მისმა ამხანაგებმა თათბირი გამართეს. ქალბატონებმა და ჰეიუარდმა კი თავიანთი მდგომარეობა აწონ-დაწონეს.

მდინარე მაღალ კბოდეებში იყო ჩამწყვდეული. ერთი კლდე სწორედ იმ ადგილს გადმოფარებოდა, სადაც ნავი იდგა. ისე ჩანდა, რომ წყალი ღრმა და ვიწრო ხევში მოედინებოდა. ყველაფერი თანაბრად იყო წყვდიადში ჩაფლული. მათ უკან მდინარე უხვევდა და ასეთივე ბნელი და ტყიანი ზოლი იწყებოდა. არც ისე შორს კი ჩანჩქერი მოჩანდა. თითქოს მართლაც თავშესაფრად იყო გაჩენილი ეს კუთხე, ადამიანს გული დაუმშვიდდებოდა. მაგრამ მალე ისევ იგრძნეს ნამდვილი საფრთხე.

მზვერავმა ჰეიუარდს და მის სასოწარკვეთილ თანამგზავრებს უთხრა, ნავის წინა ნაწილში ჩამსხდარიყვნენ, ხოლო თვითონ გაჯგიმული ჩადგა ბოლოში. ინდიელები ფრთხილად დაუბრუნდნენ თავიანთ საფარს, მზვერავმა კი მიაბჯინა ძელი კლდეს და მძლავრი ბიძგით მსუბუქი ნავი პირდაპირ აქოჩრილი მდინარის შუაგულში შეაგდო. მგზავრებს ხელის განძრევა აკრძალული ჰქონდათ და ამოსუნთქვისაც ეშინოდათ, რომ მათი ნავი გაშმაგებულ ჩქერს არ გაეტაცა. არაერთხელ ეგონათ, აბობოქრებული მორევი საცაა ჩაგვითრევეს და დავილუპებითო, მაგრამ მესაჭის ნაცადი მკლავი მაშინვე შეატრიალებდა ხოლმე ნავს და აბორგებულ ტალღები უკან რჩებოდა. მზვერავის ხანგრძლივმა, მძლავრმა და, როგორც ქალებს მოეჩვენათ, თავგანწირულმა ცდამ გაიმარჯვა: როგორც კი შეძრწუნებულმა ალისამ თვალები დახუჭა, ეგონა, მორევმა ჩაგვითრიაო, ნავი წყლის ზედაპირის გასწვრივ გაწოლილი, თავბრტყელი კლდის ნაპირს მიადგა.

— სად ვართ? ახლა როგორღა უნდა მოვიქცეთ? — იკითხა ჰეიუარდმა.

— გლენის ძირში ხართ, — ხმამაღლა მიუგო მზვერავმა, რადგან ჩანჩქერის ხმაურში უკვე აღარ ეშინოდა, რომ სხვა ვინმე გაიგებდა, — ახლა ყოჩაღად უნდა გადავსხდეთ ნაპირზე, თორემ ნავი თუ გადაგვიბრუნდა, თავდაღმა მოგიხდებათ იმ ძნელი გზის გავლა, ოღონდ ამჯერად უფრო სწრაფად იმგზავრებთ. აბა, თქვენ ყველა გადაბრძანდით კლდეზე, მე კი მოჰიკანებს გადმოვიყვან და ირმის ხორცსაც მოვაყოლებ; თორემ ჯობია უსკალპოდ იძინოს კაცმა, ვიდრე საჭმელი ბლომად ჰქონდეს და შიმშილით აფრთხობდეს სულს.

მისი მგზავრები სიამოვნებით დაემორჩილენ ამ განკარგულებას. მზვერავი უკანვე გაბრუნდა, ნაპირზე გადმოსული მგზავრები რამდენიმე წუთს სასოწარკვეთილები და გაოგნებულები იყვნენ; ნაბიჯის გადადგმისაც კი ეშინოდათ, რადგან ფეხის ერთი დაცდენით შეიძლება უფსკრულში ჩაცვენილიყვნენ. მაგრამ მათ შფოთვას მალე მოეღო ბოლო: ნავი სწრაფად დაბრუნდა და მზვერავიც მათ გვერდით გაჩნდა.

— ჩვენ უკვე ციხესიმაგრეშიც ვართ, მეციხოვნეებიც გვყავს და სურსათიც მოგვეპოვება, — მხიარულად შესძახა ჰეიუარდმა, — და შეგვიძლია მონკალმი და მისი მოკავშირეებიც კი არად ჩავაგდოთ. აბა, ახლა, ჩემო ფხიბელო გუშაგო, ხომ არ შეგინიშნავს ისინი, ვისაც თქვენ იროკეზებს ეძახით?

— მე მათ იროკეზებს ვეძახი, რადგან ჩემთვის უცხო ენაზე მოლაპარაკე ყველა ინდიელი მტერია, თუნდაც ჩვენს ქვეშევრდომად მოჰქონდეს თავი! თუ უებს ერთგული და პატიოსანი ინდიელი უნდა, დელავერთა ტომები მოიწვიოს, ეს ხარბი და ცრუპენტელა მოჰაუკები და ონეიდები კი, მთელი თავიანთი ექვსი თაღლითი ერთიურთ, საიდანაც მოსულან, იქით გაუგზავნოს ფრანგებს!

— მაშინ ჩვენ მეომარი მეგობრების უსარგებლო მეგობრებზე გადაცვლა გამოგვივა. გამიგონია, დელავერებმა ნაჯახი განზე გადადეს და თანახმანი არიან, დიაცებს უწოდებდნენო.

— ეჰ, სირცხვილი ჰოლანდიელებსა და იროკეზებს, რომლებმაც თავიანთი ვერაგობით ასეთი ხელშეკრულება დაადებინეს! მაგრამ ოცი წელიწადია ვიცნობ მათ და მატყუარას დავუძახებ იმას, ვინც იტყვის, ჯაბანის სისხლი უჩქეფთ დელავერებსო. მათი ტომები ჯერ ზღვის სანაპიროდან გამორეკეთ, ახლა კი იმათი მტრებისაც გჯერათ, რომ ღამღამომობით ტკბილად გეძინოთ. არა, ჩემთვის უცხო ენაზე მოლაპარაკე ყველა ინდიელი იროკეზია, სულ ერთია, მისი ტომის ბინა კანადაში იქნება თუ იორკში.

ჰეიუარდმა როცა შეატყო, მზვერავი დიდი თავგამოდებით ექომაგება თავის მეგობარ დელავერებს თუ მოჰიკანებსო (რადგან ისინი ერთი და იმავე მრავალრიცხოვანი ხალხის შტოები იყვნენ) და ფუჭი კამათი ალბათ გაგვიგრძელდებაო, საუბრის თემა შეცვალა.

— მშვიდობის ხელშეკრულება დადეს თუ არა, არ ვიცი, მაგრამ თქვენი ორი ამხანაგი ნამდვილად გულადი და ფრთხილი მეომარია! ხომ არაფერი გაუგიათ, ან ხომ არ უნახავთ ჩვენი მტრები?

— მე თვალეებზე მეტად სხვა გრძნობებს ვენდობი, როცა მინგოების კვალს ვეძებ, — უპასუხა კლდეზე ასულმა მზვერავმა და დაუდევრად დააგდო ირემი.

— მერე თქვენი ყურები ხომ არ გატყობინებენ, რომ მათ ჩვენს კვალს მოაგნეს?

— ჩვენს კვალს მოაგნესო, რომ ვფიქრობდე, ძალიან მეწყინებოდა, თუმცა ეს ისეთი ადგილია, კარგი ვაჟკაცური დახვედრით გვარიან შეხლა-შემოხლას შეიძლება გაუძლოს კაცმა. მაგრამ არ დაგიმაღავთ, რომ როცა ამოვიარე, ცხენები ფრთხებოდნენ და აქეთ-იქით აწყდებოდნენ, თითქოს მგლების სუნი აიღესო.

მგელს კი ინდიელთა სამყოფთან უყვარს წანწალი, იქნებ მათი მოკლული ირმის ნარჩენები მაინც მერგოსო.

— თქვენ გავიწყდებათ ეს დაგდებული ხარირემი! ან ეგებ მოკლულ კვიცს უნდა ვუმაღლოდეთ მათ სტუმრობას? ჩუ, ეს რა ხმა უნდა იყოს?

— საბრალო მირიამი, — ბუტბუტებდა მგალობელი, — შენი ნაშეირი ონავარი მხეცებისთვის იყო განწირული! — შემდეგ ხმა აიმაღლა და ეს საგალობელი ილაღადა:

უფალმა მოსრნა პირველშობილნიკაცნი და მხეცნი ეგვიპტი-სანი,ო, ეგვიპტეო! ამა სასწაულთწურთნეს ფარაო და მისნი ყმა-ნი!

— კვიცის სიკვდილი მძიმედ აწევს გულზე პატრონს, — თქვა მზვერავმა, — მაგრამ კარგი ნიშანი კი არის, როცა ადამიანს თავის პირუტყვ მეგობარზე გული შესტკივა. მაგას ასეთი რწმენა აქვს, რაც მოსახდენია, მოხდებაო. ამისთანა ნუგეშით, ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად ოთხფეხის შეწირვასაც ადვილად მიიჩნევს მიზანშეწონილად. შეიძლება მართლა ეგრეც იყოს, — კვლავ დაუბრუნდა ჰეიუარდის უკანასკნელ ნათქვამს, — და მაშინ ხომ კიდევ უფრო გვმართებს შესაწავი ნაჭრების ჩამოთლა და ძვლების მდინარისათვის გატანება, თორემ მგლების ხროვა ამ კლდეებს სულ ყმუილით აიკლებს. თანაც, მართალია, დელავერთა ენისა ისევე არაფერი გაეგებათ იროკეზებს, როგორც წიგნისა, მგლის ყმუილის მიზეზი არ გამოეპარებათ.

ამ ლაპარაკში მზვერავი აუცილებელ ხელსაწყო-იარაღებსაც უყრიდა თავს. როგორც კი შეაგროვა, გვერდი აუარა მგზავრებს. მას ფეხდაფეხ მიჰყვნენ მოჰიკანები, რომლებიც თითქოს წინდაწინვე გრძნობდნენ მის ყოველ განზრახვას და სამივენი სათითაოდ მიიმაღლნენ.

ის ჰანგები, ოდესმე სიონს რომ ატკობდა, მონარნარებს: იგი დიდის გულმოდგინებით ირჩევს კილოს და ზვიადი იერით ბრძანებს, უფალი ვადიდოთო.

ბერნსი

ჰეიუარდი და მისი თანამგზავრი ქალები ამ უცნაურ გაქრობას შიშით შესცქეროდნენ; რადგან, მართალია, თეთრკანიანის ქცევა აქამდე საეჭვო არ იყო, მაგრამ მისი ტლანქი ჩაცმულობა, მკვახე სიტყვა-პასუხი, სიძულვილის მძაფრი გამოხატვა და მდუმარე ამხანაგები ინდიელის ღალატით შეძრწუნებულ ხალხს მაინც უნდობლობას აღუძრავდა. მხოლოდ მგალობელი არ აქცევდა ყურადღებას მომხდარს. იგი კლდის ქიმზე ჩამომჯდარიყო და სიცოცხლის ნიშანწყალი მხოლოდ ხშირსა და მძიმე ხვნეშაზე ეტყობოდა. მერე ყრუ ხმა შემოესმათ, თითქოს სადღაც ადამიანები ელაპარაკებიან ერთმანეთსო; უცბად სინათლის შუქიც გაკრთა და იქაურობა გაანათა.

ვიწრო, ღრმა გამოქვაბულის ბოლოს, რომელიც განსაკუთრებით გრძელი ჩანდა ამ თავისებური შუქის წყალობით, მზვერავი ჩამომჯდარიყო და ხელში ფიჭვის აღმოდებული ტოტების კონა ეჭირა. ცეცხლის ძლიერი ალი მკაფიოდ ანათებდა მის მტკიცე, მზით გარუჯულ სახეს, ტყისკაცურ ჩაცმულობას და ამ ადამიანის გარეგნობას ველური რომანტიკულობის ელფერს ანიჭებდა. ეს კაცი დღის სინათლეზე რომ გენახათ, ყურადღებას მიიქცევდა ჩაცმულობით, ფიზიკური ძლიერებით, გამჭრიახობითა და გულუბრყვილობით. ცოტა წინ უნკასი იდგა. მისი დანახვა კარგად შეიძლებოდა. მოგზაურები აღტაცებით უცქერდნენ ახალგაზრდა მოჰიკანის ატყორცნილ, მოქნილ ტანს, რომელიც

დგომასა და მიხრა-მოხრაში მოხდენილობას, სიმკვირცხლესა და სიმარჯვეს ამჟღავნებდა. შავი, ბრიალა, შეუპოვარი, შიშის ზარის დამცემი და თანაც სათნო თვალები და საოცრად მამაცური იერი ჰქონდა.

დუნკანსა და მის თანამგზავრებს შემთხვევა მიეცათ, რომელიმე ინდიელი მხლებლის გარეგნობა შეეთვალაიერებინათ. ყველას გულმა შვება იგრძნო და ეჭვიც გაიფანტა, როცა მათ ჭაბუკი მეომრის ველური, მაგრამ ამაყი და მტკიცე სახის გამომეტყველება დაინახეს. ისინი მიხვდნენ, რომ შესაძლოა ეს ადამიანი ნაწილობრივ მართლაც იმყოფებოდა უმეცრების წყვილიდში, მაგრამ იმათ რიცხვს არ მიეკუთვნებოდა, ვისაც ღალატი შეუძლია. გულისხმიერი ალისა ისე შეჰყურებდა მის ნათელ, უემშაკო სახეს და ამაყ ქცევა-გარეგნობას, თითქოს რომელიმე ძველბერძნულ დიდებულ ქანდაკებას უცქერსო. თვით ჰეიუარდიც კი, რომელიც შეჩვეული იყო ინდიელებში მომხიბვლელი ვაჟკაცების ნახვას, აღფრთოვანებას ვერ მალავდა.

— მე მშვიდად შემიძლია დავიძინო, — ჩასჩურჩულა ალისამ ჰეიუარდს, — თუ ასეთი უშიშარი და კეთილშობილი სახის ჭაბუკი მეყოლება გუშაგად. უეჭველია, დუნკან, ის ბოროტი ხოცვა-ჟლეტა და ტანჯვა-წამება, რომლის შესახებაც ამდენს ვკითხულობთ, ამისთანების თვალწინ შეუძლებელია ხდებოდეს! მართლაც ბრწყინვალე წარმომადგენელია იმ ბუნებრივი ღირსებების, რომლებითაც ეს თავისებური ხალხი, როგორც ამბობენ, სხვებს აღემატება.

— გეთანხმებით, ალისა, რომ ასეთი შუბლი და თვალი ვინმეს დასაფრთხობად უფროა შექმნილი, ვიდრე გასაწბილებლად, მაგრამ მოდი, თავს ნუ მოვიტყუებთ და ნუ გვექნება იმედი, მან ისეთი სიმამაცე გამოიჩინოს, როგორიც ინდიელის ბუნებისათვის შეუფერებელი იქნება. დიდებული ქცევის ბრწყინვალე მაგალითები თეთრკანიანებშიც იშვიათად გვხვდება, ინდიელებში

ხომ კიდევ უფრო თითებზე ჩამოსათვლელია; თუმცა არც ერთს არ აკლია დიდებული საქმეების ასრულების უნარი. მაშ, იმედი ვიქონიოთ, რომ ეს მოჰიკანი არ გაგვიცრუებს იმედს და მამაცი, ერთგული მეგობარი გამოდგება, როგორც ამას მისი გამომეტყველება გვიდასტურებს კიდევ.

— ახლა კი მაიორი ჰეიუარდი სწორედ ისე ლაპარაკობს, როგორც მას შეჰფერის, — ჩაილაპარაკა კორამ.

უცებ მზვერავის ხმამაღალი მიმართვა გაისმა.

— ცეცხლი გაძლიერდა, შეიძლება მინგოებს ჩვენი კვალი აპოვნინოს. უნკას, ჩამოუშვი ფარდა. მართალია ამერიკელთა სამეფო ჯარის მაიორს უკეთესი ვახშამი შეჰფერის, მაგრამ სახელოვანი რაზმების მეომრები მინახავს, რომ უმ ნანადირევს უმარილოდაც სიამოვნებით შეექცეოდნენ. ჩვენ კი მარილი ბლომად მოგვეპოვება და მანილოსნების დასაჯლომად საქსაფრაქსის ქორფა რტოები გვაქვს, იქნებ ისეთი დიდებული არა, როგორიც მაჰოგანის სავარძლებია, მაგრამ გაცილებით უფრო საამო სურნელებას აფრქვევს, ვიდრე რომელიმე ღორის ტყავი, გნებავთ გვინეური იყოს, გნებავთ სხვა რომელიმე ქვეყნისა. აბა, მეგობარო, კვიცს ნუ გლოვობ, სიკვდილმა საცოდავი ბევრ ჯაფას გადაარჩინა!

უნკასმა შეასრულა მზვერავის განკარგულება და როცა ქორის თვალი დადუმდა, ჩანჩქერის ხმა ისევ გრუხუნით გაისმა.

— ვითომ ეს გამოქვაბული უსაფრთხოა? — იკითხა ჰეიუარდმა, — უეცარი თავდასხმის საშიშროება ხომ არ არის? ერთი შეიარაღებული კაციც რომ მოვიდეს, რასაც უნდა, იმას გვიბამს.

მზვერავის უკან ვილაც კაცი გამოჩნდა, მან ხელი წაავლო ცეცხლმოკიდებულ მუგუზალს და გამოქვაბულის სიღრმისაკენ გაიშვირა. მის დანახვაზე ალისამ შეჰკვივლა და კორაც ფეხზე წამოიჭრა. მაგრამ ჰეიუარდმა დააშოშმინა და დაარწმუნა ისინი, ეს ჩვენი მეგობარი ჩინგაჩგუკიაო, რომელმაც მეორე ფარდა ას-

წია და დაუმტკიცა მათ, რომ გამოქვაბული კი არა, ეს გვირაბი იყო.

— ამ ადგილის საიდუმლო ადვილი გამოსაცნობია, — თქვა სიცილით ქორის თვალმა, — კლდე შავი კირქვისაა და ყველამ იცის, რა რბილია. სასთუმლადაც კი ჩინებულია, თუ გარშემო ბუჩქნარი ან ფიჭვნარი არ ჩანს. ჩანჩქერი ოდესღაც რამდენიმე იარდით ჩვენს ქვემოთ იყო და, უნდა მოგახსენოთ, თავის დროზე ისეთ სწორ და კოხტა ნაკადად მოედინებოდა, რომ ჰადსონის არც ერთ ადგილს არ ჩამოუვარდებოდა. მაგრამ მოხუცებულობა სილამაზის დიდი მტერია, როგორც შემდეგ ამას ეს ტურფა ახალგაზრდა მანდილოსნებიც იწვნევენ. ადგილიც სავალალოდ გადასხვაფერდა! ეს კლდეები ნაპრალებითაა სავსე.

— ჩანჩქერის რა ნაწილში ვიმყოფებით მერე ჩვენ? — იკითხა ჰეიუარდმა.

— სათავესთან ვართ, პირველ სათავესთან.

— მაშ, კუნძულზე ვყოფილვართ.

— ჰო, ორივე მხარეს ჩანჩქერი ჩაგვიდის და ზემოთ და ქვემოთაც მდინარეა. დღე რომ იყოს, ეღირება წვალებად, ახვიდეთ ამ კლდის წვერზე და ჩანჩქერს გადახედოთ.

რაკი მსმენელები გლენის ამ ტლანქი აღწერით გამხნევდნენ და დარწმუნდნენ, ჩვენი თავშესაფარი მიუვალიაო, ჩანჩქერის ველურ სილამაზესაც მზვერავისაგან განსხვავებული თვალით შეხედეს. თუმცა ბუნების მშვენიერებით ტკობისათვის არ ეცალათ, ვახშამზე უფრო ფიქრობდნენ.

პურის ჭამამ, რომელსაც ჰეიუარდმა ცოტაოდენი ნუგბარი სანოვაგეც შემატა, მოაღონიერა მგზავრები. უნკასი ფარეშივით ემსახურებოდა ქალებს. ყველაფერს ალალოდ უსრულებდა, რაც ჰეიუარდს ართობდა. მან ჩინებულად იცოდა, რომ ვაჟკაცის ასეთი ქცევა უჩვეულო იყო ინდიელთა ზნე-ჩვეულებისათვის, რომელიც მეომრებს უკრძალავს ვინმეს, განსაკუთრებით კი — ქალის,

მონა-მორჩილებამდე დამდაბლებას, მაგრამ, რადგან სტუმარ-მასპინძლობის ადათი წმინდათაწმინდად ითვლება მათში, ვაჟკაცური ღირსების ეს მცირეოდენი შებღალვა არავის გაუკიცხავს. იქ რომ ვინმე გულმოდგინე დამკვირვებელი შესწრებოდა, ეგებ შეემჩნია კიდევ, რომ ახალგაზრდა ბელადის სამსახური არცთუ მიუკერძოებელი გახლდათ: ალისას თავაზიანად მიართმევდა წყაროს წყლით სავსე ფიალასა და კოხტად გამოთლილ ხის ხონჩაზე დადებულ ირმის შემწვარ ხორცს; მაგრამ როცა ასეთივე სამსახურს უწევდა მის დას, ჭაბუკი ისეთი სინაზით მიაპყრობდა შავ თვალებს ქალწულის ეშხიან, მეტყველ სახეს, რომ მის გამოხედვაში გულზვაობის ყოველი ნაპერწკალი ქრებოდა. ერთი-ორჯერ ხმის ამოღება მოუხდა, ქალიშვილებს რომ უმასპინძლდებოდა. ამ დროს იგი ინგლისურად ლაპარაკობდა, მართალია, დამტვრეულად, მაგრამ გასაგებად. ამ თავაზიან სტუმარმასპინძლობაში რამდენიმე წინადადებით გამოელაპარაკნენ ერთმანეთს, რამაც ხელი შეუწყო მგზავრებსა და მეგზურებს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებას.

ამ ხნის განმავლობაში ჩინგაჩგუკის სიმშვიდე არ დარღვეულა. იგი ახლოს ჩამომჯდარიყო ცეცხლთან, ამიტომ სტუმრებმა ახლა უკეთ მოახერხეს, გაერჩიათ მისი სახის ბუნებრივი იერი საომარი მოხატულობის ხელოვნური თავზარდამცემი შესახედაობისაგან. აღმოჩნდა, რომ მამა-შვილი ძალიან ჰგავდა ერთმანეთს, მხოლოდ ასაკსა და განცდილ ჭირ-ვარამს თუ დაეტყო კვალი. ჩინგაჩგუკის გამომეტყველების სიმძაფრე და შემადრწუნებლობა ახლა თითქოს მიძინებულიყო და მათ ნაცვლად მარტოოდენ წყნარი, უქმი, გულგრილი თავდაჭერილობა ეტყობოდა, ინდიელ მეომარს რომ ახასიათებს, როცა მისი ძალღონე რაიმე დიდი საქმის შესასრულებლად დაძაბვას არ მოითხოვს. მაგრამ შავგვრემან სახეზე თვალების ხანდახან აელვარება მოწმობდა, რომ საკმაო იყო ვნებათა ოდნავი გაღვივება და

მტრების დასაფრთხობად გაკეთებული თავზარდამცემი მოხატულობა მაშინვე თავის სრულ ძალას გამოამჟღავნებდა. მზვერავის სწრაფი, დაუდევარი თვალი კი იშვიათად ისვენებდა. ისე მაღიანად შეექცეოდა სასმელ-საჭმელს, ვითომდა არავითარი საფრთხე არ აწუხებსო, მაგრამ ეტყობოდა, სიფხიბლე ერთი წუთითაც არ ღალატობდა. ოცჯერ მაინც გაუშეშდა ხელში პირთან მიტანილი ლუკმა. თავს გვერდზე ხრიდა, თითქოს რაღაც შორეულ, საეჭვო ხმიანობას უგდებს ყურსო. მისი ასეთი მოძრაობები ყოველთვის გადაავიწყებდა ხოლმე სტუმრებს ახალი, თავისებური მდგომარეობით ტკბობას და მოაგონებდა იმ შემაშფოთებელ მიზეზებს, რომლებმაც ისინი ამ ყოფაში ჩაჰყარა. რადგან ამ ხშირ შეყოვნებას არასოდეს მოჰყოლია რაიმე შენიშვნა, სტუმრების წუთიერი შეკრთომაც მალე ქარწყლდებოდა და ერთხანს დავიწყებას ეძლეოდა.

ქორის თვალმა ვახშმის დამთავრებისას ფოთლიანი ტოტების ქვეშიდან მომცრო კასრი გამოაძვრინა და გვერდით მჯდარ მგალობელს მიუბრუნდა, რომელიც მის კულინარიულ ოსტატობას პატივით ეპყრობოდა.

— ეს ლუდი გადაკარი, ძმობილო, და ჯავრს დაგავიწყებს. გაუმარჯოს ჩვენს მომავალ უკეთეს მეგობრობას; იმედი მაქვს, ცოტაოდენი ცხენის ხორცი ჩვენ შორის შუღლს ვერ ჩამოაგდებს. რა გქვია?

— გამუტი... დავით გამუტი, — მიუგო გალობის მასწავლებელმა და სანამ მზვერავის საუცხოოდ შეზავებულ, საკმაოდ მაგარ სასმელს დაეწაფებოდა, უნებურად ჯერ პირი მოიწმინდა.

— ჩინებული სახელია, — თქვა მეორემ, რომელიც დიდხანს სვამდა სასმელს, — და, მე მგონი, პატიოსანი მამა-პაპიდანაც გექნება მიღებული. ძალიან მიყვარს ვარგი სახელები, თუმცა, თეთრკანიანების ჩვეულებებს აქ გაცილებით სჯობია წითელკანიანების ადათები. ყველაზე მხდალს ლაიონს ეძახდნენ, მის

ცოლს კიდევ — პეიშენსს; თუმცა ის დედაკაცი უფრო მალე მოახერხებდა ადამიანის გამოლანძღვას, ვიდრე დევნილი ირემი მოასწრებს ორიოდ ნახტომის გაკეთებას. ინდიელებში სახელი სინდის-პატიოსნების საქმეა; ინდიელი რასაც თავის თავს უწოდებს, კიდევ შეეფერება. ოლონდ ჩინგაჩგუკი, დიდ გველს რომ ნიშნავს, განა მართლა გველია — დიდი ან პატარა; ეს იმას მოასწავებს, რომ მას ესმის ადამიანის ბუნების ყოველი საიდუმლო, მდუმარეა და მტერს მაშინ დააცხრება, როცა იგი ყველაზე ნაკლებად მოელის დარტყმას. რა ხელობისა იქნები?

— ფსალმუნების გალობის ხელოვნების უღირსი მასწავლებელი გახლავარ.

— რაო?

— გალობას ვასწავლი კონექტიკუტის ბავშვებს.

— შეიძლებოდა უკეთესი საქმისთვის მოგეკიდა ხელი. ეგ ლეკვები ისედაც დიდი ხარხარითა და სიმღერით დაეხეტებიან ტყეებში, მაშინ, როცა ისე უნდა იყვნენ გასუსულები, როგორც მელია — სოროში. სწორლულიანი თოფის გამოყენება იცი თუ შაშხანის?

— მადლობა უფალს, არასოდეს მომიკიდა ხელი მაგნაირი ბოროტი იარაღისათვის!

— ეგებ კომპასის ხმარება იცი და ქალაღდზე უდაბური ადგილების მდინარეებსა და მთებს გამოსახავ, რომ მგზავრებს გზა არ აერიოთ?

— არც მაგ ხელობას მივდევ.

— ისეთი ფეხები გაქვს, გრძელ გზას მოკლედ რომ აქცევენ! ხანდახან სარდლისათვის ამბავი მიგაქვს?

— არასოდეს! მე სხვა არც ერთ საქმეს არ ვეკარები, გარდა ჩემი დიდებული მოწოდებისა, რომელიც გახლავთ სასულიერო გალობის მასწავლებლობა.

— ახირებული ხელობაა! — წაიბურტყუნა ჩუმი სიცილით ქორის თვალმა, — მთელი ცხოვრება კატაჩიტივით გაატარო კაცმა და სხვების ყანყრატოდან ამოსული ყოველი ხმის აწევ-დაწევას ბაძავდე! აბა, ძმობილო, ეგ შენი ნიჭი ყოფილა და ისევე არ არის უგულვებელსაყოფი, როგორც სროლა, ან სხვა რომელიმე კიდევ უფრო უკეთესი მიდრეკილება. მოდი, ერთი გვიჩვენე, რა უნარი გაქვს მაგ საქმეში. ეს სწორედ მეგობრული ძილი ნებისა იქნება, რადგან უკვე დროც არის, ეს მანდილოსნები ძალას იკრებდნენ მძიმე და ხანგრძლივი ჯაფისათვის, დილის რიჟრაჟზე რომ ვლით, სანამ მაკვები გაიფაჩუნებდნენ.

— ხალისითა და სიამოვნებით გეთანხმებით, — თქვა დავითმა, კვლავ ჩამოიცვა ცხვირზე რკინის ჩარჩოიანი სათვალე, ამოიღო თავისი საყვარელი პატარა წიგნი და ალისას მიუბრუნდა: — მწუხრის საგალობელზე უფრო შესაფერი და მანუგეშებელი რაღა უნდა იყოს დღევანდელისთანა ხიფათიანი დღის შემდეგ.

ალისამ გაიღიმა, მაგრამ ჰეიუარდს რომ გადახედა, აიღეწა და შეეცოყმანდა.

— იმღერეთ, იმღერეთ, — ჩაუჩურჩულა მან, — განა მგალობლის ღირსეული სეხნიის შთაგონება გამამხნევებელი არ იქნება ახლა ჩვენთვის?

ამ სიტყვებით წაქეზებულმა ალისამ აღარ იუარა, მას როგორც საკუთარი ღვთისმოსავობა, ისე ტკბილი ხმებისადმი მიდრეკილებაც უბიძგებდა. კორაც აჰყვა და გალობა დაიწყო.

ჰანგი საზეიმო იყო. ხანდახან იგი წიგნში გატაცებით ჩამყურე ტურფა ქალწულების მდიდარი ხმების მთელ სისრულეს აღწევდა, ხან კი ისე დაბლა ეშვებოდა, რომ წყლის ჩქრიალი ყრუ მოძახილივით იჭრებოდა მათ ტკბილ ღუღუნში. ინდიელებს თვალეები კლდისათვის მიეშტერებინათ და ისეთი გულისყურით უსმენდნენ, თითქოს ქვებად ქცეულანო. მაგრამ მზვერავს სახის

მკაცრი გამომეტყველება შეეცვალა. ლექსი ლექსს მისდევდა და ბოლოს მისი რკინის ბუნებაც მოიდრიკა — მოაგონდა ბავშვობა, როცა იგი ახალშენში ყურს უგდებდა ხოლმე ასეთსავე, თუმცა გაცილებით ნაკლებად ტკბილ ჰანგებს. თვალეებზე ცრემლი მოადგა და სანამ ჰიმნი დასრულდებოდა, მდულარე ცრემლები დაპალუპით გადმოსცვივდა. ამ დროს გარეთ უცნაური ხმა გაისმა, რომელიც არც ადამიანისას ჰგავდა, არც ამქვეყნიურს. შემდეგ კი ისეთი დუმილი ჩამოვარდა, გეგონებოდათ, წყალმაც შეწყვიტა ხმაური ამ უჩვეულო ხმის გაგონებაზე.

— რა არის? — წაიჩურჩულა თავზარდაცემისაგან ერთხანს გაშეშებულმა ალისამ.

— რა არის? — გაიმეორა ჰეიუარდმა ხმამაღლა.

არც მზვერავს და არც ინდიელებს პასუხი არ გაუციათ. ისინი ყურს უგდებდნენ, თითქოს იმ ხმის განმეორებას ელიანო და სახებზე განცვიფრება ეხატებოდათ. ბოლოს დელავერთა ენაზე გააბეს ლაპარაკი. მერე უნკასმა შიდა გასასვლელი გაიარა და ფრთხილად გაძვრა გვირაბიდან. ის რომ გავიდა, მზვერავმა მხოლოდ მაშინ ამოიღო ხმა ინგლისურად.

— რა არის, ან რა არ არის, აქ არავის შეუძლია თქვას; თუმცა ორი ჩვენგანი ოცდაათ წელზე მეტია დაეხეტება ტყეებში! რას ვიფიქრებდი, თუ ინდიელის ან ნადირის ხმას ვერ გამოვიცნობდი; მაგრამ ეტყობა, მეც უბრალო მოკვდავი ვყოფილვარ, ქარაფშუტა და ყოყლოჩინა.

— განა ეს მეომართა ყიჟინა არ იყო, მტრის თავზარდასაცემად რომ იციან ხოლმე! — იკითხა კორამ, თან პირბადეს ისეთი სიმშვიდით იკეთებდა, რომ მის დამფრთხალ დას ეუცხოვა.

— არა, არა, ეს უფრო ავი და შემადრწუნებელია. ვისაც ერთხელ მაინც მოუკრავს ყური საომარი ყიჟინისათვის, მას იგი არასოდეს სხვა რამეში არ აერევა. აბა, უნკას! — მიმართა დელავერულად უკან დაბრუნებულ ახალგაზრდა ბელადს, — რა ნახე?

ჩვენი შუქი გამოსჭვივის შემოსასვლელებში ჩამოფარებულ ფარდებში?

იმავე ენაზე გაცემული პასუხი მოკლე და, ეტყობოდა, მკაფიო იყო.

— გარედან არაფერი ჩანს, — განაგრძო ქორის თვალმა თავის უკმაყოფილოდ ქნევით, — ჩვენი სამალავიც კვლავ წყვდიადშია! ვისაც მოსვენება გჭირდებათ, მეორე გვირაბში გაბრძანდით და ეცადეთ დაიძინოთ; მზის ამოსვლამდე გაცილებით ადრე უნდა ვიყოთ ფეხზე და სანამ მინგოები დილის ძილში იქნებიან, ვცადოთ ედუარდის ციხესიმაგრემდე მიღწევა.

ქალები მორჩილად გავიდნენ, დუნკანს სთხოვეს წამოგვეყვო. უნკასმა გასასვლელში ფარდა გადასწია და როცა დები თავზიანი მოჰყრობისათვის მადლობის სათქმელად მობრუნდნენ, თვალი მოჰკრეს მბჟუტავი ნაკვერცხლების წინ მჯდომ მშვერავს; სახე ხელებზე დაეყრდნო, ეტყობოდა, დიდ საგონებელში ჩაეგდო უცნაურ ხმას, რომელმაც გალობა შეაწყვეტინათ.

ჰეიუარდიც შეუერთდა ქალებს. ისინი ედუარდის საიმედო სანგრების დატოვების შემდეგ ახლალა დარჩენ მარტონი.

— მარტო ნუ დაგვტოვებ, დუნკან, — სთხოვა ალისამ, — ჩვენ არ შეგვიძლია დაძინება ასეთ ადგილას, თანაც ის საზარელი ხმაც კვლავ ყურში გვიწივის.

— ჯერ თქვენი ციხესიმაგრის უსაფრთხოება შევამოწმოთ, — მიუგო მან, — და მერე ვილაპარაკოთ სხვა რამეზე.

ჰეიუარდი მიუახლოვდა გვირაბის მეორე ბოლოს, რომელსაც ფარდა ჰქონდა ჩამოფარებული. გადასწია სქელი საფარველი და ჩანჩქერის გრილი, მაცოცხლებელი ჰაერი შეისუნთქა.

— ამ მხარეს ბუნებას გადაულახავი ზღუდე აღუმართავს, — თქვა მან, სანამ ფარდას ჩამოუშვებდა, — თანაც ის ერთგული ადამიანებიც გვიცავენ. ასე რომ, დაძინება შეიძლება.

– შეიძლება მართაღს ამბობთ, მაგრამ დაძინებას ვერ შევძლებთ, – მიუგო კორამ, – მამაზვეც ვფიქრობთ, ალბათ ის ჩვენ გამო ძალიან ნერვიულობს.

– ყოველთვის რა გულკეთილად ითმენდა ჩემს ცუდლუტობას, მისრულებდა სურვილებს, – სლუკუნებდა ალისა, – ცუდად მოვიქცეით, ამ დავიდარაბაში წამოსვლა რომ დავიჟინეთ!

– იქნებ თავქარიანობა გამოვიჩინე, მაგრამ მე დავუმტკიცებ, რომ გასაჭირში შვილები არ უღალატებენ!

– როცა ედუარდის სიმაგრეში თქვენი მოსვლის ამბავი გაიგო, – თქვა ალერსიანად ჰეიუარდმა, – შეშინდა, მაგრამ ენატრებოდით და მაინც თქვა: „ეს ჩემი კეთილგონიერი კორა მოუძღვით წინ, დუნკან, და მეც არ გადაველობები. ღმერთმა ინებოს, რომ ჩვენი მეფის პატივის მცველთ მისი სიმტკიცის ნახევარი მაინც გამოეჩინოთ!“

– ჩემზე არაფერი უთქვამს, ჰეიუარდ? – ჩაეკითხა ალისა, – უეჭველია, არ გადაავიწყდებოდა თავისი პატარა ელსი!

– ეგ შეუძლებელია, – მიუგო ჭაბუკმა, – ათას საალერსო სახელს გიწოდებდათ...

დუნკანს სიტყვა პირში გაუწყდა, იგივე მძლავრი, შემადრწუნებელი ხმა გაისმა. დუმილი ჩამოვარდა. ერთმანეთს შეშინებულები შეჰყურებდნენ. ბოლოს ფარდა ნელა აიხადა და შემოსასვლელში მზვერავი გამოჩნდა. სახეზე ეტყობოდა, რომ სიმტკიცე უკვე ღალატობდა ამ საიდუმლოს წინაშე, რომელიც რაღაც უცნობ საფრთხეს უქადდა და რომლის წინააღმდეგაც მთელი მისი გამჭრიახობა, სიმარჯვე და გამოცდილება შეიძლებოდა ამალ გამომდგარიყო.

მათ არ სძინავთ, აგე, იმ ქარაფებზე ავბედითი ხროვაა. მე ყველას ვხედავ.

გრეი. „ოდა პინდარეს“

— კლდეზე უნდა გავიდეთ, — თქვა ქორის თვალმა, — ეს ნაზი ქმნილებანი აქ დარჩნენ.

— განა ასე დიდია საფრთხე? — იკითხა კორამ.

— ვინც იმ უცნაური ხმის პატრონია და ადამიანის გასაგონად მას გამოსცემს, მხოლოდ იმას მოეხსენება ჩვენი საფრთხე. ჩემს თავს ცოდვილად ჩავთვლიდი, სოროში რომ დავრჩენილიყავი, როცა ჰაერში ასეთი გაფრთხილების ხმა ტრიალებს! თვით სუსტი სულის პატრონიც კი, სიცოცხლეს გალობაში რომ ატარებს, მზადაა საბრძოლველად. ეს რომ მხოლოდ ბრძოლა იყოს, ადვილად მოეველებოდა საქმეს; მაგრამ გამიგონია, როცა ასეთი ხავილ-წივილი გაისმის, სხვანაირ ბრძოლა-ჭიდილს ნიშნავსო!

— რისიც ჩვენ გვეშინია, ჩემო მეგობარო, თუ მხოლოდ გებუნებრივი ძალები გგონიათ, თავის შესაწუხებელი ბევრი არაფერი გვექონია, — განაგრძო დინჯად ქალწულმა, — დარწმუნებული ბრძანდებით, რომ ჩვენს მტრებს რაიმე ახალი და მზაკვრული ხერხი არ მოუგონიათ ჩვენს თავზარდასაცემად, რათა გამარჯვებას უფრო იოლად მიაღწიონ?

— ქალბატონო, — მიუგო მზვერავმა თავმოძწონედ, — ეს ოცდაათი წელია, ყურს ვუგდებ ტყის ყოველგვარ ხმაურს, არც ჭიქის წკმუილი, არც კატაჩიტის სტვენა, არც ჭინკა მინგოების მოგონილი რაიმე ხრიკი არ გამომეპარება! მე მომისმენია ჩახლართული ხეების რტოებში გამართული ქარის მუსიკა; გამიგონია ჰაერში გავარდნილი, ალმოდებული ჩირაღდანით მოტკა-

ცუნე მეხის ჭეჭა, როცა იგი ნაპერწკლებს აფრქვევდა და ალის ენებს აქეთ-იქით ფანტავდა; მაგრამ ამ ხმას კი ვერც მოჰიკანები და ვერც მე, ნამდვილი თეთრკანიანი, ვერანაირად ვერ ავხსნით.

— საოცარია! — შესძახა ჰეიუარდმა და ხელი მოავლო შემოსვლისას ერთ ადგილას დაწყობილ თავის დამბაჩებს, — მშვიდობის მაუწყებელი სასწაულია თუ ომის ნიშანი, უნდა გავარკვიოთ, მეც მოგვევებით!

გვირაბიდან გამოსვლისთანავე ყველას გულზე მოეშვა, გრილოდა. მთვარე ამოსულიყო, მაგრამ კლდის ქიმი, სადაც ისინი იდგნენ, კვლავ ბნელ ჩრდილში იყო გახვეული. არავინ ჩანდა, ვისაც შეეძლო ის უცნაური, თავზარდამცემი ხმა გამოეცნო.

— აქ არაფერია ღამის წყვდიდისა და მყუდროების გარდა, — წაიჩურჩულა დუნკანმა, — ასეთი სანახაობით სხვა დროს როგორ დავტკბებოდით, კორა! მშვიდობიანობის დროს ეს გარემო გაგამხიარულებდათ და კმაყოფილებით აგავსებდათ...

— ყური უგდეთ! — შეაწყვეტინა ალისამ.

გაფრთხილებაც არ იყო საჭირო. ერთხელ კიდევ გაისმა იგივე ხმა, თითქოს მდინარის კალაპოტიდან ამოვარდა იგი, ვიწრო კლდეებს შორის გამოიჭრა, ტალღასავით გადაუარა ტყეს და სადღაც შორს მიწყდა.

— ვინმე აქ მყოფს შეუძლია ახსნას ეს ხმა? — იკითხა ქორის თვალმა, როცა უკანასკნელი გამოძახილი ტევრში მიიკარგა, — თუ ვინმეს შეუძლია, თქვას. თვითონ მე კი დარწმუნებული ვარ, ამქვეყნიური არ უნდა იყოს.

— თუ აგრეა, აქ გახლავთ კაცი, რომელსაც შეუძლია აზრი შეგაცვლევინოთ, — თქვა დუნკანმა, — მე ჩინებულად ვიცნობ მაგ ხმას, ხშირად გამიგონია ბრძოლის ველზე. ეს შემადრწუნებელი ხივილი ცხენმა იცის, სიკვდილის წინ. ჩემი ბედაური ან ნადირის მსხვერპლია, ანდა საფრთხეს ხედავს, თავის დაღწევის ღონე კი

არ შესწევს. ეს ხმა შეიძლება გვირაბში ვერ გამომეცნო, მაგრამ ახლა არამც და არამც არ შემეშლება.

მზვერავი და მისი ამხანაგები ეჭვით ისმენდნენ ამ ახსნას. ინდიელებმა ამოიხრეს, მზვერავმა კი ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ პასუხის გაცემა გადაწყვიტა:

— ვერ უარვყოფ თქვენს ნათქვამს, რადგან ცხენებს ნაკლებად ვიცნობ, თუმცა ჩემს სამშობლოში ბლომად არიან. მგლები ალბათ მათ ზემოთ, მდინარის ნაპირზე ტრიალებენ და შეწუხებული პირუტყვები, რამდენადაც კი შეუძლიათ, ადამიანებს უხმობენ. უნკას, — განაგრძო მან დელავერულად, — ჩახტი ნავში და ერთი მუგუზალი მიაყოლე იმ ხროვას, თორემ შიშმა შეიძლება ის დამართოს მათ, რაც მგლებს ვერ მოუხერხებიათ და უცხენოდ დავრჩეთ.

ჭაბუკი განკარგულების შესასრულებლად წავიდა, ამ დროს მდინარის კიდებე გაგრძელებული ყმული გაისმა და მერე ტყის სიღრმისაკენ გადაინაცვლა. უნკასმა სწრაფად დაიხია უკან.

— ჩვენ აქამდე იმ მონადირეებს ვგავდით, რომლებსაც რამდენიმე დღე მზე არ უხილავთ, — თქვა ქორის თვალმა, — ახლა კვლავ ვხვდებით ჩვენი მიმართულების ნიშნებს და გზა გაწმენდილია ეკალ-ბარდებისაგან! დასხედით იმ წიფლის ჩრდილში — იქ უფრო ბნელა, ვიდრე ფიჭვების ქვეშ — და ველოდოთ, რა მოხდება მერე. მოდით, სულ ჩურჩულით ილაპარაკეთ; თუმცა ემჯობინება და ეგებ უფრო ჭკვიანურიც იყოს, ცოტა ხანს ყველა გაჩუმდეს.

მზვერავი დინჯი, შეფიქრიანებული კილოთი ლაპარაკობდა, თუმცა უკვე აღარ ეტყობოდა ავი წინათგრძნობის შიშის რაიმე ნიშანწყალი. აშკარა იყო, რომ მისი წუთიერი სისუსტე იმ საიდუმლოს ახსნისთანავე გაქრა, რომლის სიღრმე-ძალის გარკვევა მისმა გამოცდილებამ ვერ შეძლო. ყველა საბრძოლოდ მოემზადა, ჰეიუარდი ქალებთან ერთად უსაფრთხო ადგილას

დაჯდა. აქ მათ კლდეები იფარავდა და თანაც გულსაც მოეშვათ იმ რწმენით, რომ აქედან შეუმჩნეველი არაფერი დარჩებოდათ. დავითიც ჩაიმალა ნაპრალებში.

ამ ყოფაში საათებმა განვლო. მთვარემ ზენიტს მიაღწია. ქალებმა და ჰეიუარდმა დაიძინეს, ქორის თვალი და მოჭიკანები ფხიზლობდნენ.

გათენებისას ქორის თვალი შეინძრა, კლდეზე გაცოცდა და დუნკანი გააღვიძა.

— გამგზავრების დროა, — წასჩურულა მან, — გააღვიძე ქალები და მზად იყავით ნავში ჩასასხდომად, ნაპირთან რომ მოვაყენებ.

— მშვიდი ღამე გქონდათ? — ჰკითხა ჰეიუარდმა, — მე კი მგონი, ძილმა წამართვა თავი და არაფერი გამიგია.

— ჯერ ყველგან სიმშვიდეა. წყნარად იყავით და იჩქარეთ!

დუნკანმა ტურთა ქალწულებს შალი გადახადა. ამ მოძრაობაზე კორამ ხელი ასწია თითქოს მის მოსაგერიებლად, ხოლო ალისამ ნაზი ხმით თქვა: „არა, არა, მამა, გენაცვალე, მარტონი არ დავრჩენილვართ, დუნკანი იყო ჩვენთან ერთად“.

— დიახ, ჩემო ძვირფასო, — წაიჩურჩულა გახარებულმა ჭაბუკმა, — დუნკანი აქ არის და სანამ სული უდგას და საფრთხე გემუქრება, არც არასოდეს მიგატოვებს. კორა, ალისა, გაიღვიძეთ! გამგზავრების დრო დადგა!

უცებ ყიჟინა და ღრიანცელი ატყდა. ხმა რომელიმე კონკრეტული მხრიდან არ ისმოდა, თუმცა აშკარა იყო, იგი ავსებდა ტყეს. მოულოდნელად დავითი წამოიმართა თავისი აყლაყუდა ტანით და ამ ჯოჯოხეთურ ალიაქოთში ხელაწეულმა შესძახა:

— საიდან მოდის ეს ღრიანცელი? ჯოჯოხეთი ხომ არ დაიცალა, ამისთანა ხმები რომ ისმის?

გაღმიდან ცეცხლის ენები და ათიოდე თოფის გავარდნა მოჰყვა ტანის ასე წინდაუხედავად გამოჩენას და საცოდავი გალო-

ბის მასწავლებელი უგრძობლად გაიშოტა იმ კლდეზე, რომელზეც ეძინა. მოჭიკანებმა მამაცურად დასცეს საპასუხო ყიჟინა მტრების თავბარდასაცემად, რომელთაც ველური ზეიმის ნიშნად ღრიალი ასტეხეს, როცა თვალი მოჰკრეს გაშხლართულ დავითს. თოფის სროლა გახშირდა. აღელვებული დუნკანი დაძაბულად უგდებდა ყურს ნიჩბის მოსმის ხმას, რადგან დარწმუნებული იყო, ახლა ჩვენი ერთადერთი ხსნა გაქცევადა არისო. მდინარე ჩვეული სისწრაფით მოედინებოდა, მაგრამ მის ჩაშავებულ ზედაპირზე ნავი არსად ჩანდა. ის-ის იყო გაიფიქრა, მზვერავმა ალბათ ვერაგულად მოგვატყუაო, რომ ქვემოთ, კლდის ძირიდან ცეცხლის ნაკადი გამოიჭრა და სულთმობრძავის ხრიალში შერეულ ყვირილზე მიხვდა, რომ ქორის თვალის გასროლილმა ტყვიამ მსხვერპლს მიაღწია. ამ მსუბუქი წინააღმდეგობის გაწევაზე თავდამსხმელებმა უკან დაიხიეს და ნელ-ნელა კვლავ ისეთივე სიწყნარე ჩამოვარდა, როგორც უეცარი ღრიანცელის ატეხამდე სუფევდა.

დუნკანმა დრო იხელთა, გამუტთან მიიჭრა და დების თავშესაფარ ვიწრო ნაპრალში გადაიყვანა. ერთ წუთში, ამ შედარებით უშიშარ ადგილას მთელმა ჯგუფმა მოიყარა თავი.

— საცოდავს სკალპი კი შერჩენია, — ქორის თვალმა არხენად გადაუსვა თავზე ხელი დავითს, — ეს იმის მაგალითია, რომ ზოგი ადამიანი ერთობ ენაგრძელი შეიძლება დაიბადოს. სიგიჟე იყო გამძვინვარებული ველურების წინაშე ექვსი ფუტის სიმაღლის სისხლ-ხორცის შიშველ კლდეზე გამოფენა და მხოლოდ მარცხებს, სული კიდევ როგორღა შერჩა!

— არ მომკვდარა? — იკითხა კორამ, — შეიძლება ვუშველოთ საბრალოს?

— ჯერ სული უდგას, ცოტა რომ გამოიძინებს, მობრუნდება და უფრო ჭკვიანი კაციც დადგება, სანამ მისი ნამდვილი აღსასრულის ჟამი არ დაჰკრავს, — მიუგო ქორის თვალმა და ერთხელ კი-

დევ აღმაცერად გადაავლო თვალი უგრძობლად გაშოტილ სხეულს, თანაც საოცარი სიმარჯვითა და გულმოდგინებით ტენიდა თოფს, — შიგ შეიყვანე, უნკას, და საქსაფრაქსის ტოტებზე დააწვინე. რაც მეტხანს იძინებს, უკეთესი იქნება მაგისათვის.

— მაშ, გგონიათ, კვლავ თავს დაგვესხმიან? — ჰკითხა ჰეიუარდმა.

— როგორ დავიჯერო, რომ მშვიერი მგლის საღერღელი ერთი ლუკმით დაკმაყოფილდება? ერთი კაცი დაკარგეს, მათში კი ადათია, როცა დანაკარგი აქვთ და თავდასხმა ჩაეფუშებათ, უკან დაიხევენ; მაგრამ მალე კვლავ შემოგვიტევენ, ეცდებიან ახალი ხრიკებით გვძლიონ და ჩვენს სკალპებს დაეპატრონონ. ჩვენი მთავარი იმედია, — განაგრძო მან და თავი ასწია, თანაც მის მკაცრ, ხეშეშ სახეს სწორედ მაშინ გადაუარა შეშფოთების ჩრდილმა, — მანამდე შევინარჩუნოთ კლდე, სანამ მანრო რაზმს მოგვაშველებს! ღმერთმა ინებოს, რომ ეს მალე მოხდეს და თან ისეთი მეთაურის წინამძღოლობით, რომელსაც კარგად ეცოდინება ინდიელთა ადათ-წესები.

— თქვენ მოისმინეთ ჩვენი შესაძლო ბედის ამბავი, კორა, — თქვა დუნკანმა, — და იცით კიდევ, რა დიდი იმედი უნდა გვექონდეს მამათქვენის თავგამოდებული ზრუნვისა და გამოცდილებისა. მაშ, აღისასთან ერთად შედით ამ გვირაბში, იქნებ ჩვენს ამხანაგებსაც მოუაროთ.

დები შეჰყვნენ გვირაბში. დავითი გონს მოდიოდა.

— დუნკან! — მიაძახა აკანკალებული ხმით კორამ, როცა ჭაბუკმა გვირაბის შემოსასვლელს მიაღწია. დუნკანი შედგა, მობრუნდა და თვალი შეავლო ქალს, რომლის სახესაც მკვდრისფერი დასდებოდა; აღელვებისაგან ბაგეები უთრთოდა და ისე მისჩერებოდა მას, რომ ჭაბუკი თვალის დახამხამებაში მის გვერდით გაჩნდა, — გახსოვდეთ, დუნკან, თქვენ უნდა იცოცხლოთ... რას გავალებთ მამაჩვენის წმინდა ნდობა... რამდენად არის და-

მოკიდებული თქვენს წინდახედულობასა და სიფრთხილეზე... ერთი სიტყვით, — დასძინა მან და ერთიანად გაწითლდა, — ძალიან ძვირფასი ხართ მანროს ოჯახის ყველა წევრისთვის.

— თუკი რაიმეს შეუძლია გააძლიეროს სიცოცხლის წყურვილი, — თქვა ჰეიუარდმა და თვალი მდუმარე ალისასაკენ გაექცა, — ეს სწორედ ეგ კეთილი რწმენა იქნება. როგორც მესამოცე რაზმის მაიორმა, ჩვენი პატიოსანი მასპინძლის სიტყვისამებრ, ჩემი წილი უნდა მივიღო შეტაკებაში, მაგრამ ჩვენი საქმე იოლია — ეს მეძებარი ძაღლები მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე საათს უნდა მოვიგერიოთ!

მერე ჭაბუკმა პასუხს აღარ დაუცადა, დებს გასცილდა და შეუერთდა მზვერავსა და მის ამხანაგებს, რომლებიც ორ გვირაბს შორის მოთავსებული ნაპრაღის საფარქვეშ იწვნენ.

— გეუბნები, უნკას, — ამბობდა ქორის თვალი, როცა ჰეიუარდიც მათთან მივიდა, — შენ თოფის წამალს არ ზოგავ, ძლიერი უკუდარტყმა კი მიზანს გიმრუდებს! ცოტა თოფის წამალი, მსუბუქი ტყვია და გრძელი ლულა იშვიათად გიმტყუნებს მინგოს სულის ამოხდის საქმეში! ყოველ შემთხვევაში, მე ასე მაქვს დაცდილი. მოდით, მეგობრებო, საფრებში შევიდეთ, თორემ კაცმა არ იცის, როდის ან საიდან გამოტყვრება მინგოს ტყვია!

ინდიელები ხმამოუღებლად დაუბრუნდნენ თავიანთ ადგილებს. პატარა კუნძულის შუაგულში რამდენიმე დაბალი და ჭუჭა ფიჭვი ამოსულიყო. ქორის თვალი ირმის სიმარდით შევარდა კორომში და თან მკვირცხლი დუნკანიც გაიყოლა. იქ ჩასაფრდნენ, როგორც შეეძლოთ, ბუჩქნარსა და აქა-იქ მიმობნეულ ლოდებს შორის. რაკი ინათა, უკვე შეიძლებოდა საგნების გარჩევა.

ამას მოჰყვა ხანგრძლივი ლოდინი, მაგრამ განახლებული იერიშის რაიმე ნიშანი არ გამოჩენილა. დუნკანს იმედი მიეცა, ჩვენი სროლა ალბათ უფრო საბედისწერო გამოდგა, ვიდრე გვე-

გონა და მტრები ნამდვილად უკუვაქციეთო. როცა ეს მოსაზრება თანამოსანგრეს გაანდო, ქორის თვალმა ეჭვიანი თავის გაქნევით უპასუხა:

— თქვენ არ გცოდნიათ მინგოს ხასიათი, თუ გგონიათ, რომ ასე ადვილად დაახევიანებთ უკან! დღეს დილით თუ ერთი ქაჯის კვილი გაისმა, სამაგიეროდ ორმოცი სხვაც არის. მათ იმდენად კარგად იციან ჩვენი რაოდენობა და მდგომარეობა, რომ ჩვენს დევნას თავს არ დაანებებენ. ჩუ! გახედეთ წყალს სწორედ იმ ადგილის ზემოთ, სადაც იგი კლდეებს ასკდება. კაცი არ ვიყო, თუ თავგანწირული ტარტაროზები სწორედ ქიმს არ დაპირისპირებოდნენ და ჩვენდა საუბედუროდ, კიდეც მოხვედრილან კუნძულის თავში! ჩუ! დასწიეთ თავი, თორემ სამართებელივით გადაგაცლიან კინკრიხოზე თმას!

მათი მოსისხლე მტრების ერთ გუნდს შემოებედა მდინარეში და ამ წერტილისაკენ დაჰყოლოდა ცურვით. იცოდნენ, თუ იქ გამოსვლას მოახერხებდნენ, გზა ხსნილი ექნებოდათ მსხვერპლისაკენ. ქორის თვალმა ლაპარაკი რომ შეწყვიტა, უკვე ოთხი მოთვალთვალე კაცი ჩანდა. მალე მეხუთეც გამოჩნდა, ჩანჩქერის მწვანე კიდეზე კუნძულის ხაზიდან ოდნავ მოშორებით მოცურავდა. ინდიელი თავგამოდებით ცდილობდა სამშვიდობოს გამოსვლას, უკვე ხელიც გამოუწოდა მზად მყოფ ამხანაგებს, რომ ძლიერმა ტალღამ კვლავ უკან გადააგდო. გაისმა სასოწარკვეთილი ყვირილი, შემდეგ კი ისევ სიჩუმე ჩამოწვა.

დუნკანს პირველად იმ საცოდავის გადასარჩენად გაჭრის დიდსულოვანი წადილი აღეძრა, მაგრამ იგრძნო, რომ გაუნძრევლად მყოფი მზვერავის რკინის ხელს ისიც ადგილზე მიეჭაჭვა.

— გინდათ მინგოებს გააგებინოთ, სად ვართ ჩასაფრებულნი და უეჭველი სიკვდილი დაგვატეხოთ თავს? — მკაცრად ჩაუკითხა ქორის თვალი, — ამით ერთი სროლა თოფის წამალი დაგვეზო-

გა, ჩვენთვის კი ახლა ტყვია-წამალი ისევე ძვირფასია, როგორც მოქანცული ირმისთვის სულის მოთქმა!

მზვერავმა პირში ჩაიდო თითები, გრძლად და ყურის წამლებად დაუსტვინა. ქვემოთ, კლდეებიდან, რომელთაც მოჰიკანები იცავდნენ, საპასუხო სტვენა მოისმა. დუნკანმა თვალი მოჰკრა, რომ გაფანტული ნარიყი ხეების უკან ამ ხმის გაგონებაზე თავებმა გაიელვა, მაგრამ ისინი გამოჩენისთანავე გაქრნენ. შემდეგ ჩუმი ფაჩუნი მოესმა ზურგს უკან. მოაბრუნა თავი და რამდენიმე ნაბიჯზე ცოცვით მომავალი უნკასი დაინახა. ქორის თვალმა დელავერულად უთხრა რაღაც და ახალგაზრდა ბელადმა განსაკუთრებული სიფრთხილით დაიჭირა თავისი ადგილი. ჰეიუარდისათვის ეს მოუსვენარი წუთები იყო, თუმცა მზვერავმა კი შესაფერის დროდ მიიჩნია, ლექცია წაეკითხა ახალგაზრდისათვის ცეცხლსასროლი იარაღის ოსტატურად გამოყენების თაობაზე.

— მთელ იარაღებში, — დაიწყო მან, — მარჯვე ხელში ნაქონი გრძელლულიანი, კარგშაშხანიანი, მსუბუქად მოჭედილი თოფია ყველაზე საშიში; მეიარაღეებს ბევრი არაფერი ესმით თავიანთი ხელობისა, როცა ჭედენ ჩიტებზე სანადირო თოფებსა და მხედრების მოკლე...

უნკასის დაბალმა, მრავლისმთქმელმა ამოოხვრამ მზვერავს საუბარი შეაწყვეინა.

— ვხედავ, ვხედავ, ბიჭო! — განაგრძო ქორის თვალმა, — იერიშისთვის ემზადებიან, თორემ თავიანთ შავ ზურგებს არ გამოაჩენდნენ. აბა, მობრძანდნენ, — დასძინა მან და კაჟი გაუსინჯა თოფს, — მოწინავე კი უთუოდ სულს გააფრთხობს, თუნდაც თვით მონკალმი ბრძანდებოდეს.

ამ დროს კვლავ გაისმა ყიჟინა და ნიშანზე ოთხი ინდიელი გადმოევილო ნარიყი ხეების საფარს. ჰეიუარდს მწვავე სურვილმა მოუარა, მათ შესახვედრად გადამხტარიყო, მაგრამ იგი მზვერავისა და უნკასის დინჯმა, წინდახედულმა ქცევამ შეაჩერა. რო-

ცა მტრები, რომლებიც მათ შორის მოქცეულ შავ კლდეებზე ველური ყიჟინითა და დიდი ნახტომებით მოქროდნენ, მოახლოვდნენ, ქორის თვალმა ნელა გამართა თოფი და სტყორცნა საბედისწერო ტყვია. მოწინავე ინდიელი დაჭრილი ირემივით შეხტა და თავდაყირა ჩაეშვა კლდის ნაპრაღში.

— აბა, უნკას! — იძრო თავისი გრძელი დანა და შესძახა მზვერავმა, — ბოლო მტყვიანა ქაჯი შენია, იმ ორს კი ჩვენ მოვუვლით!

უნკასმა აასრულა ბრძანება და ორი მტერიღა დარჩა დასამარცხებელი. ჰეიუარდმა ერთი დამბაჩა ქორის თვალს მისცა და მოწინააღმდეგისაკენ ერთად დაეშვნენ. ორივემ ერთსა და იმავე დროს დაცალა დამბაჩა და ორივემ ააცდინა.

— ვიცოდი ამის ამბავი! ხომ ვთქვი კიდევ! — წაიბურტყუნა მზვერავმა და ათვალწუნებული პატარა იარაღი ზიზღით გადაუძახა ჩანჩქერში, — აბა, მოდით, სისხლისმსმელო ჯოჯობეთის ქოფაკებო!

სიტყვები არც კი დაემთავრებინა, რომ უზარმაზარი მოყვანილობისა და უსაზარლესი შესახედაობის ინდიელს შეეჯახა. იმავე წუთში დუნკანიც ხელჩართულ ბრძოლაში შეხვდა მეორეს. ქორის თვალი და მისი მოწინააღმდეგე ერთმანეთს იარაღიან ხელში ეცნენ, თვალი თვალში გაუყარეს და რამდენიმე წუთს ასე დარჩნენ. მერე კი მზვერავის ღონემ აჯობა, მან დანა პირდაპირ გულში ჩასცა ინდიელს.

ამასობაში ჰეიუარდი მძაფრ სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილში იყო ჩაბმული. მახვილი პირველ შეტაკებაზევე დაემსხვრა და რადგან თავდასაცავად სხვა აღარაფერი მოეპოვებოდა, ახლა ყველაფერი მის ღონიერებასა და სულის სიმტკიცეზე იყო დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ ჭაბუკს არც ერთი ეს თვისება არ აკლდა, მეტოქეც კარგი ვაჟკაცი აღმოჩნდა. საბედნიეროდ, ჰეიუარდმა მალე მოახერხა მოქიშპის განიარაღება. ამის შემდეგ სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა იმისათვის, რომელი

რომელს გადააგდებდა თავბრუდამხვევი სიმაღლიდან ჩანჩქერის მახლობელ უფსკრულში. ნელ-ნელა უფრო ახლოს მიდიოდნენ კლდესთან. ორივე მთელი ძალით იბრძოდა. ჰეიუარდი გრძნობდა, მოწინააღმდეგის ხელი როგორ უჭერდა ყელში და ხედავდა მინგოს ავბედით ღიმილს. ახალგაზრდა კაცმა იგრძნო, რომ მისი სხეული ნელ-ნელა ემორჩილებოდა უფრო აღმატებულ ძალას და შიში ეუფლებოდა. უკიდურესი გასაჭირის წამში თვალწინ ბრინჯაოსფერმა ხელმა და პრიალა დანამ გაუელვა, ინდიელმა ხელი შეუშვა, რადგან მისი მაჯის გადაჭრილი ძარღვებიდან სისხლმა ითქრიალა და სანამ უნკასის მფარველი ხელი დუნკანს უკან გაათრევდა, მაიორის მოჯადოებული თვალები კვლავ მიშტერებოდა მტრის გამძვინვარებულ და განწირულ სახეს, რომელიც თვალუწვდენელ უფსკრულში ეშვებოდა.

— საფარში! საფარში! — იკივლა ქორის თვალმა, რომელმაც სწორედ მაშინ მოულო ბოლო თავის მოწინააღმდეგეს, — საფარში, თუ სისცოცხლე არ მოგბეგრებიან! ჯერ მხოლოდ საქმის ნახევარი თუ მოვითავეთ!

ახალგაზრდა მოჰიკანმა გამარჯვების ყიჟინა დასცა, დუნკანის თანხლებით ელვის სისწრაფით აირბინა ფერდობი, რომელიც იერიშის დროს ჩამოიარეს და კლდეებისა და ჯაგნარის საიმედო საფარი მონახეს.

ისინი კვლავ დაძრწიან, თავიანთი მშობლიური მიწისთვის შურისმაძიებელნი.

„ოდა პინდარეს“, გრეი

მზვერავის გამაფრთხილებელი ძახილი უმიზნოდ არ ყოფილა. ჩანდა, ბრძოლის შედეგის გაფაციცებულ მოლოდინს გაღმანაპირზე მიეჯახვა ჰურონები. მეზობლთა სწრაფი მოძრაობები და მდგომარეობათა ელვისებური ცვლა მართლაც უშლიდა ხელს სროლას, მაგრამ ბრძოლის ბედის გადაწყვეტისთანავე შურისძიებით სავსე ყიჟინა ატყდა. ამას მოჰყვა თოფების სროლა, თითქოს თავდამსხმელებს ამით სურდათ თავიანთი ბოღმა ამოენთხიათ.

ჩინგაჩგუკის თოფი ბეჯით და ფრთხილ ჰასუსს აძლევდა მათ. მას ფეხი არ მოუცვლია თავისი ადგილიდან. როცა გამარჯვებული უნკასის ყიჟინა გაიგონა, მადლიერმა მშობელმაც საპასუხოდ ერთი დასტყვილა. ამის შემდეგ მხოლოდ მისი თოფის ხმა მოწმობდა, რომ იგი კვლავ გულმოდგინებით იცავდა მიჩენილ საგუშაგოს. ამ ყოფაში მრავალმა წუთმა გაიქროლა. თავდამსხმელები თოფებს ხან ბათქებით ისროდნენ, ხან — გაფანტვით და კანტიკუნტად. თუმცა ჩასაფრებულთა გარშემო კლდეები, ხეები და ბუჩქნარი ათას ადგილას იყო გაგლეჯილ-მომსხვრეული, თავიანთ საფრებში ისე კარგად იყვნენ ჩამალულნი და ისე მტკიცედ იცავდნენ, რომ მათი მცირე გუნდიდან დავითის გარდა ჯერ კიდევ არავის მოსვლოდა ზიანი.

— დაე, დაწვან თოფის წამალი, — თქვა ფრთხილმა მზვერავმა, — სროლა რომ დამთავრდება, რა კარგი მოსაგროვებელი იქნება ტყვია! მე მგონია, ეგ ქაჯები მანამდე არ მოიშლიან

აქაურობის გლეჯას, სანამ ეს ხავსმოდებული ლოდები არ შესტი-
რებენ, შეგვიბრალეთო! ხომ გითხარი, იმ ხტუნია წუწკს თეთრი
საღებავის ზოლს ქვეშ დაუმიზნე-მეთქი! ახლა კი, იმის ნაცვლად,
რომ ტყვია ერთი ბეწვის დაშორებით მოხვედროდა, ორი გოჯით
ბემოთ გაუარა.

მშვიდმა ღიმილმა ნათელი მოჭვინა ახალგაზრდა მოჭიკანის
ამაყ სახეს და გამოააშკარავა, რომ ჭაბუკს ინგლისურიც ესმოდა
და ნათქვამის აზრიც გაიგო, მაგრამ არც თავი უმართლებია,
არც პასუხი შეუბედავს.

— მე არ დაგანებებთ, რომ უნკასს ან საზრიანობის ნაკლებო-
ბა დასწამოთ ან სიმარჯვისა, — უთხრა დუნკანმა, — მან უდიდესი
სიმშვიდით და თანაც სიფიცხით გადამარჩინა სიკვდილს და
ამით მოიპოვა მეგობარი, რომელსაც ვერასოდეს ვერაფერი
დაავიწყებს მის ამაგს.

უნკასი წამოიწია და ხელი ჩამოართვა ჰეიუარდს. ახალგაზ-
რდებმა გულითადი პატივისცემით შეხედეს ერთმანეთს. ამასო-
ბაში ქორის თვალმა, რომელიც გულგრილი, მაგრამ ალერ-
სიანი თვალთ უყურებდა ახალგაზრდული გრძნობების ამ ამო-
ხეთქვას, წყნარად შენიშნა:

— სიკვდილს გადარჩენა ისეთი ვალია, ამ უდაბურ ადგილებ-
ში მეგობრებს რომ ხშირად მართებს ხოლმე. უნდა მოგახსენ-
ოთ, რომ წინათ რამდენჯერმე მე თვითონაც გამიწევია ეგეთი
სამსახური უნკასისათვის და ჩინებულად მახსოვს, რომ ეგეც
ხუთ სხვადასხვა დროს ჩადგა ჩემსა და სიკვდილს შორის; სამ-
ჯერ მინგოებთან ბრძოლაში, ერთხელ ჰორიკონს გადასვლის
დროს და...

— ეს ტყვია სხვაზე უკეთ დამიზნებულია! — შესძახა დუნკანმა
და უნებურად შეხტა იმ ნასროლზე, რომელიც იქვე მოხვდა
კლდეს.

ქორის თვალმა ხელში აიღო დამახინჯებული ლითონი, გასინჯა და თავის ქნევით თქვა:

— დავარდნილი ტყვია თავის დღეში არ გაბრტყელდება, ღრუბლებიდან რომ ჩამოვარდნილიყო, მაშინ კი შეიძლებოდა ასე მოსვლოდა!

მაგრამ უნკასის თოფის ტუჩი განზრახ აიწია ზეცისკენ და ამხანაგებს თვალი მიაპყრობინა იმ წერტილისთვის, რომლის დანახვამაც საიდუმლოება ცხადი გახადა. თითქმის მათ გასწვრივ, მდინარის მარჯვენა ნაპირას, ხალვათი სივრცის ძიებაში გვარიანად გადმოხრილი ბებერი მუხა იდგა. კენწეროს ფოთლებში, რომლებიც ძუნწად ფარავდნენ კოჭრიან, დამოკლებულ ტოტებს, შავგვრემანი ინდიელი ჩამჯდარიყო. მას ნაწილობრივ ხის ტანი ფარავდა, ნაწილობრივ კი გადმოწეულიყო, რათა ენახა, რა შედეგი მოჰყვა მის მუხანათურ ნასროლს.

— ეს ტარტაროზები ზეცაშიც კი აფოფხდებიან, რომ როგორმე თავს დაგვიარონ, — თქვა ქორის თვალმა, — მიზანი არ მოაშორო, ბიჭო, სანამ ჩემს „ნადირთმჟლეთს“ გავტენიდე და მერე ხეს ორივე მხრიდან ერთბაშად ვესროლოთ!

უნკასმა დაუცადა მზვერავის სანიშნო სიტყვას. თოფები დაიცალა, მუხის ფოთლები და ქერქი ჰაერში აფრიალდა და ქარმა გააბნია. ინდიელმა კი მათ იერიშს დამცინავი ხითხითით უპასუხა, თანაც ერთი სამაგიერო ტყვია კიდევ მოაყოლა, რომელმაც თავიდან ქუდი გადაუგდო ქორის თვალს. ერთხელ კიდევ ატყდა ველური ღრიანცელი ტყეში. ჩასაფრებულების თავზე კვლავ წამოვიდა ტყვიის სეტყვა, თითქოს მათი ერთ ადგილას მიჯაჭვა უნდათ, რომ ხებე გასულ თამამ მეომარს ადვილად მოანადირებინონ მსხვერპლიო.

— ამ საქმეს მოვლა უნდა! — თქვა მზვერავმა და შეშფოთებით მოავლო ირგვლივ თვალი, — უნკას, დაუძახე მამაშენს, ახლა

ყველა გვჭირდება, რათა ის წუწკი გაიძვერა ქანდარიდან ჩამოვადლოთ.

უნკასმა მაშინვე მისცა ნიშანი და სანამ ქორის თვალი თოფის კვლავ გატენას მოასწრებდა, ჩინგაჩგუკიც შემოუერთდათ. როცა შვილმა გამოცდილ მეომარს საშიში მტრის საფარი დაანახვა, ჩვეულებრივი შეძახილი — „ჰუჰ“ — მოსწყდა მის ბაგეს და ამის შემდეგ გაკვირვების ან შეშფოთების აღარავითარი ნიშანი აღარ დასტყობია. ქორის თვალმა და მოჭიკანებმა ხანმოკლე თათბირი გამართეს დელავერთა ენაზე. შემდეგ ყველამ წყნარად დაიჭირა თავისი ადგილი, რათა გეგმა განეხორციელებინათ. მართლაც, გეგმამ შედეგი გამოიღო. მუხაზე მყოფი მეომარი უკვე უწესრიგოდ ისროდა, რადგან სამალავიდან გამოჩენისთანავე ჩასაფრებული მტრის თოფების ხმა ისმოდა. თუმცა მისი ტყვიები ზოგჯერ აღწევდა მათაამდე. დუნკანი მსუბუქად დაჭრილიყო.

ბოლოს ჰურონმა გადაწყვიტა უკეთესად დაემიზნებინა თოფი. მოჭიკანებს არ გამოეპარათ თხელ ფოთლიანში, ხის ტანიდან ორიოდე გოჯით დაშორებით გამოჩეული ფეხის შავი ბოლი. მათი თოფები ერთად გავარდა და ჰურონი ჩაიკეცა. ქორის თვალმა მოხერხებული შემთხვევით ისარგებლა. გაისმა თოფის ხმა, მუხის ფოთლები შეირხა. ჯერ იარაღი წამოვიდა ბბრიალტრიალით, რამდენიმე წამის შემდეგ კი ველურის სხეულიც გამოჩნდა ჰაერში — ხის კოჭრიან, შიშველ ტოტს გამწარებით ებლაუჭებოდა.

— ესროლეთ, ერთიც ესროლეთ, ცოდოა! — შესძახა დუნკანმა და შეძრწუნებულმა თვალი მოარიდა ადამიანის ტანჯვას.

— არც ერთი ნამცეცის დახარჯვაც არ შეიძლება! — დაიძახა უჯიათმა ქორის თვალმა, — მისი სიკვდილი გადაწყვეტილია, ჩვენ კი თოფის წამალი არ მოგვჭარბდება, რადგან ინდიელებთან ბრძოლები ხანდახან მთელ დღეებს გრძელდება.

ამ სასტიკი და შეუვალი შეგონების პასუხად აღარაფერი უთქვამთ. ამ წუთიდან ტყეში კვლავ შეწყდა ყიჟინა, სროლას თავი დაანებეს და ყველამ, მტრებმაც და მოყვრებმაც საცოდავ, უმწეო სხეულს გაუშტერეს მზერა, ის ზეცასა და დედამიწას შორის გამოკიდებული ირწეოდა. კვნესა არ წამოსცდენია, იყო წამები, როცა კუშტად ჰქონდა მოქცეული პირი მტრებისაკენ. მზვერავმა თოფი სამჯერ ასწია და სამივეჯერ, გონების კარნახით, კვლავ ძირს დაუშვა. ბოლოს მაინც გაისმა ქორის თვალის თოფის ხმა; მსხვერპლს გააკანკალა, დაიკრუნჩხა და თავი მკერდზე დაეკიდა. სხეულმა ტყვიასავით გააპო აქაფებული წყალი და უბედური ჰურონის კვალი სამარადისოდ გაქრა.

ამ მნიშვნელოვან წარმატებას გამარჯვების ყიჟინა არ მოჰყოლია. შეძრწუნებული, ენაჩავარდნილი მოჰიკანები ერთმანეთს შესცქეროდნენ. მხოლოდ ერთი შეყვირება გაისმა ტყიდან და კვლავ დუმილი ჩამოვარდა. ქორის თვალმა, რომელმაც, ჩანდა, ერთადერთმა შეინარჩუნა მსჯელობის უნარი, თავი გაიქნია თავის წამიერ სისუსტეზე და საკუთარი თავისადმი უკმაყოფილება ხმამაღლაც კი გამოთქვა.

— ეს უკანასკნელი სროლა წამალი იყო ჩემს რქაში და უკანასკნელი ტყვია — ჩემს ჩანთაში! სწორედ ბაღღურად მომივიდა! — თქვა მან, — რა აზრი ჰქონდა, იგი კლდეს ცოცხალი დაასკდებოდა თუ მკვდარი! სულს მაინც ხელად გაათრთხობდა. უნკას, ყმაწვილო, ჩაირბინე ნავთან და დიდი რქა ამოიტანე, სულ ეგლაა ჩვენი თოფისწამლის მთელი მარაგი და მისი ყოველი მარცვალი დაგვჭირდება, თუ არადა, მინგოს ბუნება არ მცოდნია!

ახალგაზრდა მოჰიკანი მაშინვე გაეშურა, ხოლო მზვერავი კიდევ უფრო განაწყენებული შეუდგა ჩანთის გადმოტრიალებასა და ცარიელი რქის გამობერტყვას. მაგრამ ამ სინჯვაზე მალე ააღებინა ხელი უნკასის ყვირილმა, რომელიც დუნკანის გამო-

უცდელ ყურსაც კი რაღაც ახალი უბედურების ნიშნად მოესმა. რაკი ყველა მისი ფიქრი გვირაბში შეფარებულ ძვირფას საუნჯეს დასტრიალებდა, ახალგაზრდა კაცი ფეხზე წამოიჭრა. სრულიად არ მიუქცევია ყურადღება საფრთხისათვის, რომელშიაც იგი წამოხტომით იგდებდა თავს. მის ქცევას დანარჩენებმაც მიჰბაძეს და ისეთი სისწრაფით მიაშურეს სტუმართმოყვარე ნაპრალს, რომ ყველა უვნებლად გადარჩა. უჩვეულო ყვირილზე დები და დაჭრილი დავითიც თავიანთი თავშესაფრიდან გამოცვივდნენ და ყველამ ერთი თვალის შეევლებით შეიტყო ის უბედურება, რომელმაც თვით ახალგაზრდა ინდიელი მფარველის ნაცადი, შეუდრეკელი ბუნებაც კი შეაშფოთა.

კლდიდან მცირე მანძილის დაშორებით, მათი პატარა ნავი ბვირთებში იმგვარად მიფარფატებდა, რომ, ცხადი იყო, ვილაცის ფარულ ხელს მიჰყავდა.

რაწამს მზვერავმა ამ არასასიამოვნო სანახაობას მოჰკრა თვალი, გაუაზრებლად გადმოიღო თოფი, მაგრამ არ გაუსვრია.

— უკვე ძალიან გვიანაა, ძალიან! — შესძახა ქორის თვალმა და გამწარებულმა დაუშვა უსარგებლო იარაღი, — წუნკალმა ჩქარ დინებას მიაღწია და თოფის წამალი რომ გვექონდეს, ისიც კი ვერ წაიღებდა ტყვიას ისე სწრაფად, როგორც ახლა წყალი გააქანებს!

მზვერავმა ლაპარაკი რომ დაამთავრა, გაბედულმა ჰურონმა თავდაღმა გამალებული სრიალით მიმავალ ნავში საფარს ამოაცვილა თავი, ჰაერში ხელი აიქნია და დაიკვივლა. ეს გამარჯვების ნიშანი იყო. მის კვილს ტყიდან ყიჟინითა და ტარტარობული ხარხარით გამოეხმაურნენ.

— გულიანად შეგიძლიათ იცინოთ, თქვე ეშმაკის შვილებო! — კლდის ქიმზე ჩამოჯდა და თოფი გულგრილად დააგდო მზვერავმა, — რადგან ამ ტყეებში სამი ყველაზე სწრაფი და უტყუარი თო-

ფი, სამ კომბლად, ან კიდევ ხარირმის შარშან დაყრილ რქებად-
ლა ქცეულა.

— რა ვქნათ? — იკითხა დუნკანმა, რომელსაც წყენა--
მწუხარების პირველმა გრძნობამ გადაუარა და ახლა უფრო ვაჟ-
კაცური სურვილი აღედრა, — რა გვეშველება?

ქორის თვალმა პასუხი არ გასცა, — მხოლოდ თითი შემოივ-
ლო თხემზე ისე ნიშანდობლივად, რომ არც ერთ მაყურებელს
მისი მოქმედების აზრის გაგება არ შეეშლებოდა.

— უეჭველია, რომ ჩვენი საქმე ეგრე დაღუპული არ არის, —
შესძახა ჭაბუკმა, — ჰურონებს ჯერ კიდევ არ ამოუღწევიათ აქამ-
დე. ჩვენ ჩინებულად შეიძლება გამოვიყენოთ გვირაბები; ჩვენ
შეგვიძლია გადმოსხდომა არ დავანებოთ!

— რით? — ცივად შეაწყვეტინა მზვერავმა, — უნკასის ისრებით
თუ დიაცების ცრემლებით? არა, არა, შენ ახალგაზრდა, მდიდა-
რი და მეგობარმრავალი ბრძანდები და მაგ ასაკში, ვიცი, მწარეა
სიკვდილი! მაგრამ, — და თვალით ანიშნა მოჰიკანებზე, — ნუ და-
ვივიწყებთ, რომ ნამდვილი თეთრკანიანები ვართ და ვაცნობოთ
ამ ტყეების ბინადრებს, რომ თეთრის სისხლიც ისევე თავისუფ-
ლად ჩქეფს, როგორც წითლისა, როცა დანიშნული ჟამი მოვა!

დუნკანმა სასწრაფოდ გაიხედა იქით, საითაც მზვერავი ანიშ-
ნებდა და ინდიელთა ქცევაში თავისი ცუდი წინათგრძნობების
დადასტურება ამოიკითხა. ჩინგაჩგუკი ზვიადად ჩამომჯდარიყო
ლოდზე, დანა გვერდზე გადაედო და თავიდან არწივის ფრთას
იცლიდა, თხემზე შეტოვებულ თმას კი ისწორებდა, რათა მას
რაც შეიძლება სწრაფად გაეჩია უკანასკნელი და ამაზრბენი სამ-
სახური. სახე მშვიდი, ოღონდ მწუხარე ჰქონდა.

— არა, არ შეიძლება ჩვენი საქმე ასე უიმედოდ იყოს! — თქვა
დუნკანმა, — იქნებ სწორედ ამ წუთშიაც კი აქვე იყოს მეშველი
რაზმი. მტრები არ ჩანან! ბრძოლა მობებრდათ. ისინი ხომ თავს
წირავენ, გამარჯვების იმედი კი მცირე აქვთ!

— ცბიერი გველები შეიძლება ერთი წუთის, ან შეიძლება ერთი საათის შემდეგაც მოგვეპარონ. საკვირველი არ არის, რომ ახლაც სადმე აქვე იწვნენ და ყურს გვიგდებდნენ, — თქვა ქორის თვალმა, — მაგრამ მოსვლით კი მოვლენ და ისე, რომ საიმედო არაფერი დაგვრჩება. ჩინგაჩგუკ, — დელავერულად განაგრძო მან, — ჩემო ძმაო, ჩვენ ერთად დავასრულეთ ჩვენი უკანასკნელი ბრძოლა და მაკვები იზეიმებენ მოჰიკანთა ბრძენი თავკაცისა და ფერმკრთალსახიანის სიკვდილს, რომლის თვალსაც ღამე დღედ მიაჩნდა და ღრუბლები წყაროებიდან ადენილ მსუბუქ ობ-შივრად!

— დაე, მინგოების დიაცებმა დაიტირონ თავიანთი დახოცილები! — მიუგო ინდიელმა მისთვის დამახასიათებელი სიამაყითა და შეუდრეკელი სიმტკიცით, — მოჰიკანთა დიდმა გველმა მოიკალათა მათ უიგუამებში და მოუშხამათ ზეიმი იმ ობლების მოთქმა-ტირილით, რომელთა მამებიც აღარ დაბრუნებულან! თოვლის დადნობის შემდეგ თორმეტი მეომარი ჩაწვა სამარეში მამა-პაპის საფლავებიდან შორს და ველარავინ იტყვის, სად მარხიან ისინი, როცა ჩინგაჩგუკის ენა დადუმდება! დაე, ამოიღონ უბასრესი დანა და უსწრაფესად სტყორცნონ ტომა-ჰაუკი, რადგან მათი ყველაზე დიდი მტერი ხელში ჰყავთ. უნკას, შვილო, დიდებული ხის კენწეროს რტოვ, გასძახე მხდალებს, აჩქარდნენ, თორემ გული აუჩვილდებათ და დიაცებად იქცევიან!

— ისინი თევზებს შორის ეძებენ თავიანთ მკვდრებს! — გამოეპასუხა დაბალი ხმით ახალგაზრდა ბელადი, — ჰურონები ლორწოიან გველთევზებთან ერთად მისრიალებენ! ისინი შესაჭმელად მომწიფებული ხილივით ცვივიან მუხებიდან, დელავერები კი იცინიან!

— ჰო, ჰო, ჰო, — წაიბუტბუტა მზვერავმა, რომელიც ყურადღებით უსმენდა მოჰიკანთა თავისებურ გულის მოოხებას, — მათ გული იჯერეს და მალე წააქეზეს კიდევ მაკვები, რომ სწრაფად

გამოასალმონ სიცოცხლეს ესენი. მე კი ნამდვილი თეთრკანიანის სისხლი მაქვს და ისე უნდა მოვკვდე, როგორც ჩემი ფერის კაცს შეშვენის, — არც დამცინავი სიტყვები უნდა მადგეს პირზე და არც ბოღმა მიტრიალებდეს გულში!

— რატომ მაინც და მაინც უნდა მოვკვდე? — თქვა კორამ და წინ წამოდგა, — გზა ყოველი მხრით გახსნილია, მაშ, მიაშურეთ ტყეს და ღმერთს შემწეობა სთხოვეთ! წადით, მამაცო ვაჟკაცებო, ჩვენ აქამდეც დიდი ვალი დაგვადეთ; ნუღარ გაიზიარებთ ჩვენს უბედურ ხვედრს!

— თქვენ იროკეზების სიმარჯვეზე ცოტა რამ გცოდნიათ, თუ გგონიათ, რომ ტყის გზა ხსნილი დაგვიტოვეს! — მიუგო ქორის თვალმა, მაგრამ მისებური მიაშიტობით დასძინა: — მართალია, მდინარეს რომ დავუყვებო, მალე გაგვიყვანს ისე შორის, რომ ვერც მათი ნასროლი მოგვწვდება და ვერც მათი ხმა.

— მაშ, სცადეთ მდინარის გზა! რატომ ყოყმანობთ? გინდათ კიდევ გაამრავლოთ ჩვენი უღმობელი მტრების მსხვერპლთა რიცხვი?

— რატომ? — გაიმეორა მზვერავმა და ამაყად მიიხედ-მოიხედა ირგვლივ, — იმიტომ, რომ ჯობს კაცი პატიოსნად მოვკვდეს, ვიდრე მუდამ სინდისის ქენჯნაში გაატაროს ცხოვრება! რა პასუხი გავცეთ ჩვენ მანროს, როცა გვკითხავს, სად და როგორ დატოვეთ ჩემი შვილებიო?

— წადით მასთან და უთხარით, შვილებმა შემოგითვალეს, საშველად აჩქარდი-თქო, — მიუგო კორამ და კეთილშობილი შთაგონებით გატაცებული უფრო მიუახლოვდა მზვერავს, — ჰურონებს ჩრდილოეთის უდაბური ადგილებისაკენ მიჰყავთ ისინი, მაგრამ სისწრაფით ჯერ კიდევ შეიძლება მათი ხსნა-თქო; და თუ მაინც, ზეცამ ინება, და მისმა მშველელმა ხელმა დაიგვიანა, გადაეცით, — განაგრძო მან, მაგრამ მისი ხმის მტკიცე კილო ნელ-ნელა შესუსტდა და კინაღამ სულაც ჩაუწყდა, — მისი ქალიშვი-

ლების სიყვარული, უკანასკნელი ლოცვა-კურთხევა და მოახსენეთ, ნუ იგლოვებს მათ ნაადრევ დაღუპვას.

მზვერავს მკაცრ, მზით დამწვარ სახის ნაკვთებზე დაეტყო, რომ ჩაფიქრდა, როცა ყურს უგდებდა. ქალმა რომ დაამთავრა ლაპარაკი, ქორის თვალმა ნიკაპი დააყრდნო ხელისგულზე და ღრმად ჩაუფიქრდა კორას ნათქვამს.

— აზრიანად ლაპარაკობს! — დასცდა ბოლოს მაგრად მოკუმული და აკანკალებული ბაგეებიდან, — დიახ, რაც სწორი და წესიერია წითელკანიანისათვის, შესაძლებელია დანაშაული იყოს თეთრისათვის. ჩინგაჩგუკ! უნკას! ისმინეთ შავთვალა ქალის ნათქვამი!

ქორის თვალმა ახლა დელავერულად გაუბა ლაპარაკი თავის ამხანაგებს და მისი კილო, თუმცა მშვიდი და დინჯი იყო, მაინც ძალიან მტკიცე ჩანდა. უფროსი მოჭიკანი დიდი გულისყურით უსმენდა, ეტყობოდა, სიტყვებს იაზრებდა, თითქოს გრძნობდა მათ დიდ მნიშვნელობას. წუთიერი ყოყმანის შემდგომ, თანხმობის ნიშნად ხელი დაიქნია და თავისი ხალხისათვის დამახასიათებელი ხაზგასმით ინგლისურად ერთი სიტყვა წარმოთქვა: „კარგი“. მერე დანა და ტომაჭაუკი ისევ გაიკეთა სარტყელში და ხმაამოუღებლად გაემართა კლდის ნაპირისაკენ; რომელიც ყველაზე დაფარული იყო მდინარის მეორე ნაპირზე მყოფი მტრისთვის. აქ ერთ წამს შედგა, ანიშნა ქვემოთ ტყეებისაკენ, თავის ენაზე რამდენიმე სიტყვა წაილაპარაკა, თითქოს განზრახული სვლის გეზს აჩვენებსო, გადაეშვა წყალში და თვალს მიეფარა.

მზვერავმა წასვლა შეაგვიანა, რათა სიტყვა ეთქვა დიდსულოვანი ქალწულისათვის, რომელსაც გულს მოეშვა, როცა დაინახა, ჩემმა რჩევამ გაჭრაო.

— ხანდახან ახალგაზრდასაც ისევე მოუვა ბრძნული აზრი, როგორც ხნიერს, — თქვა მან, — თქვენ რაც თქვით, ბრძნულია და ეგებ უკეთესი სიტყვის წოდების ღირსიც იყოს. თუ ტყეში გა-

ტარეს, გზადაგზა ტოტები დაამტვრიეთ და რაც შეიძლება ფართო კვალი დატოვეთ; და თუ თვალი შექლებს მის შემჩნევას, გჯეროდეთ, რომ გეყოლებათ მეგობარი, რომელიც ქვეყნის კიდემდე ივლის, მიტოვებით კი არ მიგატოვებთ!

ქორის თვალმა გულიანად ჩამოართვა ხელი კორას, აიღო თავისი თოფი, ცოტა ხანს მწუხარებითა და დაღონებით უცქირა, ფრთხილად დადო და ჩავიდა იმ ადგილას, საიდანაც სწორედ ახლა ჩინგაჩგუკი გაქრა. კლდეზე გადაკიდებულმა ერთ წამს განსაკუთრებული ზრუნვით მოავლო თვალი ირგვლივ და მწარედ დასძინა:

— თოფის წამალს რომ არ ემტყუნა, ეს სირცხვილი არ დაგვემართებოდა!

მერე ხელი გაუშვა და ისიც გაუჩინარდა.

ყველას თვალი ახლა უნკასს მიჰყვებოდა, რომელიც მშვიდად და გაუნძრევლად მიჰყუდებოდა უსწორმასწორო კლდეს. მცირე ხანს შეიცადა კორამ, შემდეგ კი წყალზე მიუთითა და უთხრა:

— თქვენი მეგობრები, როგორც ხედავთ, აღარ ჩანან და ახლა უთუოდ სამშვიდობოსაც არიან გასულნი. დრო არ არის მათ კვალს გაჰყვეთ?

— უნკასი დარჩება, — წყნარად მიუგო ახალგაზრდა მოჰიკანმა ჩიქორთული ინგლისურით.

— იმისთვის, რომ ჩვენი შეპყრობის საშინელებას თქვენი დაუმატოთ და ხსნის შესაძლებლობა შეამციროთ?! წადით, დისულოვანო ჭაბუკო, — კორამ თვალი მოარიდა მოჰიკანს, რომელიც დაჟინებით უცქერდა და რაღაც შინაგანი ხმის კარნახით განაგრძო: — წადით მამაჩემთან და იყავით ყველაზე სანდო ჩემს შიკრიკებს შორის. უთხარით, მოგანდოთ თანხა მისი ქალიშვილების თავისუფლების საყიდლად. წადით, ჩემი სურვილია, ჩემი ვედრებაა, რომ წახვიდეთ!

ახალგაზრდა ბელადის დაწყნარებული, მშვიდი გამოხედვა ნაღვლიანმა შეცვალა, მაგრამ აღარ დაუყოვნებია. ფეხაკრეფით გავიდა კლდის ნაპირას და ჩაეშვა მდინარის ზვირთებში. დარჩენილები სუნთქვაშეკრულნი ელოდნენ, სანამ თვალი არ მოჰკრეს შორს, ქვემოთ, ჰაერის ჩასასუნთქავად წყლიდან ამოყოფილ თავს. შემდეგ კვლავ ჩაყვინთა და უკვე აღარ გამოჩენილა.

ყველაფერი ეს რამდენიმე წუთში მოხდა. უნკასს რომ უკანასკნელად მოსწყვიტა თვალი, კორა მობრუნდა და აკანკალებული ხმით მიმართა ჰეიუარდს:

— გამიგონია თქვენი სიმარჯვის ამბავი წყალშიც, დუნკან, — თქვა მან, — მაშ, მიბაძეთ ამ ალალ და ერთგულ ადამიანებს.

— მაგნაირ თავდადებას მოელის კორა მანრო თავის დამცველისაგან? — თქვა ახალგაზრდა კაცმა სევდიანი, მაგრამ მწარე ღიმილით.

— ახლა თავაზიანობისა და ყალბი ახირების დრო არ არის, — მიუგო ქალმა, — ახლა ყოველი მოვალეობა უნდა ავწონდავწონოთ. ჩვენ აქ ვერაფერში გამოგვადგებით, თქვენი სიცოცხლე კი შეიძლება გადაუნარჩუნოთ მეგობრებს.

ჭაბუკს ხმა არ ამოუღია, ოღონდ ნაღვლიანად მიაშტერა თვალი მშვენიერ ალისას, რომელიც უსუსური ბავშვივით ეპოტინებოდა მის მკლავს.

— ბოლოს ისიც მოიგონეთ, — განაგრძო კორამ ერთი წამის შეყოვნების მერე, რომლის განმავლობაშიც ეტყობოდა, შიშზე უფრო ძლიერ გრძნობას ებრძოდა, — რომ ყველაზე უარესი ჩვენთვის სიკვდილია — ხარკი, რომელსაც თავის დროზე ყველა გადაიხდის.

— სიკვდილზე უარესი უბედურებაც არსებობს, — მიუგო დუნკანმა ხრინწიანი ხმით, თითქოს ქალწულის ჩაცვივებამ გააგულისაო, — რომელიც თქვენი გულისათვის თავგანწირულმა კაცმა შეიძლება აგარიდოთ.

კორამ ერთბაშად შეწყვიტა ხვეწნა-მუდარა, სახეზე მანდილი მოიხვია და თითქმის გონწასული აღისა შიგნითა გვირაბის ყველაზე ღრმა ნაპრალში შეიყვანა.

გულიანად იმხიარულე; ღიმილით გადაიყარე, ჩემო მშვენიერო, ძრწოლის ღრუბელი, შენს ნათელ შუბლს რომ დასწოლია.

გრეი. „აგრიფინა“

ბრძოლის ყიჟინის ასე მოულოდნელად შეწყვეტამ და გამეფებულმა დუმულმა ჰეიუარდის გახურებულ გონებაზე ამაფორიაქებელ ზმანებასავით იმოქმედა. თუმცა საკუთარი თვალით ნანახი ყველა სახე და ამბავი ღრმად ჰქონდა ჩაბეჭდილი ხსოვნაში, მაინც გრძნობდა, რომ უძნელდებოდა თავი დაერწმუნებინა მათ სინამდვილეში. რადგან ჯერ კიდევ არაფერი იცოდა მდინარეში გადამხტართა შესახებ, იგი დიდი გულმოდგინებით უგდებდა ყურს რაიმე ნიშანს, ან განგაშის ხმას, რომელიც გააგებინებდა რა ბედი ეწიათ მათ. მაგრამ ყურადღებას ამაოდ ძაბავდა; რადგან უნკასის გაუჩინარებასთან ერთად მათი ყოველი კვალი დაიკარგა.

დუნკანს არ დაუყოვნებია ირგვლივ ადგილების მოთვალიერება. მაგრამ მტრის მოახლოების დამადასტურებელი ნიშნის აღმოჩენის ყოველმა ცდამაც ისევე ფუჭად ჩაუარა, როგორც ამხანაგების ბედის ძიებამ. მდინარის ტყიანი ნაპირები კვლავ უკაცრიელი ჩანდა. ღრიანცელი, რომელიც ცოტა ხნის წინათ გამოძახილებით ავსებდა უღრან ტევრს, აღარ იდგა; მხოლოდ წყლის შხუილს შერჩენოდა ბუნებისათვის დამახასიათებელი სიხალასე. გამხმარი ფიჭვის კენწეროზე არხეინად შემომკდარი თევზიჭამია ქორი, რომელიც შორიდან დასცქეროდა თამაშს, ახლა თავისი მაღალი ქანდარიდან გადმობრძანებულიყო და ნადავლს დასტრიალებდა. ჯაფარაც, ადრე ველურების ყიჟინამ

რომ ჩააწყვეტინა ხმა, კვლავ გაბედულად ჩხაოდა. ამ უწყინარმა ხმებმა დუნკანს გულში იმედის ნაპერწკალი აუკიაფა და გამარჯვების რწმენის მსგავსი გრძნობით აავსო.

— ჰურონები არ ჩანან, — მიმართა მან დავითს, რომელიც ჯერ კიდევ ვერ მოსულიერებულიყო, — მოდით, გვირაბში შევიმალოთ და დანაჩენი კი განგებას მივანდოთ.

— მე მახსოვს, ორ ტურფა ქალწულთან ერთად როგორ ვღაღადებდით სადიდებელ და სამადლობელ საგალობელს, — მიუგო გაოგნებულმა გალობის მასწავლებელმა, — მას შემდეგ კი ცოდვების გამო სასტიკ სამსჯავროში მოვხვდი. ბედმა მასხრად ამიგდო და რაღაც ძილის მსგავსი მომივლინა. ჩემს ყურთასმენას კი ისეთი შეუწყობელი ხმები გლეჯდნენ, თითქოს აღსასრულის დრო დამდგარიყო.

— საბრალო! თქვენი აღსასრული მართლაც ახლოს იყო! მაგრამ ადექით და წამომყევით; ისეთ ადგილას შეგიყვანთ, რომ თქვენი საგალობლის მეტი ხმა არ ისმოდეს.

— ჩანჩქერის ჩხრიალს თავისი მელოდია აქვს და წყალუხვი მდინარის ხმაც გულს ესაღბუნება, — თქვა დავითმა და დაბნეულად მიიჭირა შუბლზე ხელი, — ჰაერი ახლაც ხომ არ არის სავსე ჭყვივლ-ყვირილით, თითქოს ჯოჯოხეთში ჩაცვენილი სულები...

— ახლა აღარ არის, არა, — მოუთმენლად შეაწყვეტინა ჰეიუარდმა, — ახლა შეწყვეტილია და ვინც ის ღრიანცელი ატეხა, ღვთის მადლით, ისინიც გადაკარგულები არიან! მდინარის გარდა ყველაფერი დაწყნარებული და დამშვიდებულია. შიგნით შევიდეთ, იქ იგალობებთ კიდევ.

დავითმა ნაღვლიანად გაიღიმა, თუმცა საყვარელი ხელობის გახსენებაზე სიამის შუქმა გაუნათა სახე. მას აღარ დაუყოვნებია იმ ადგილისაკენ წასვლა, რომელიც ასეთ სანეტარო სიამოვნებას ჰპირდებოდა და ამხანაგის ხელზე დაყრდნობილი შევიდა

გვირაბის ვიწრო შესასვლელში. დუნკანმა მოაგროვა სასაფრასის ტოტები და გულმოდგინედ დაფარა ხვრელი. ამ სუსტი ღობის უკან მზვერავისა და მისი ამხანაგების მიერ დატოვებული საბნები გაშალა და გვირაბის შიგნითა ნაწილი ჩააბნელა, გარე ნაწილს კი ძუნწად აშუქებდა იმ ვიწრო ღარტაფიდან შემომავალი სინათლე, რომელშიც ზათქით მოედინებოდა მდინარის ტოტი, რათა რამდენიმე ნაბიჯის ქვემოთ კვლავ შეერთებოდა თავის დას.

— მე არ მომწონს ინდიელთა ის ჩვეულება, რომელიც უკარნახებს მათ, ხელის გაუნძრევლად დადონ თავი, როცა ბრძოლა უიმედო ჩანს, — თქვა საქმიანობაში გართულმა დუნკანმა, — ჩვენი დევიზი — „სანამ სიცოცხლეა, იმედიც არისო“ — უფრო მანუგეშებელია და უკეთაც ეწყობა ჯარისკაცის ბუნებას. კორა, გამამხნეველელი სიტყვებით თავს არ შეგაწყენთ, საკუთარი სიმტკიცე და დინჯი გონება გიწინამძღვრებთ ყველაფერში, რაც ქალს შეშვენის; მაგრამ ვერ მოვახერხებთ, რომ თქვენს მკერდზე მოქვითინე, აცახცახებულ არსებასაც შევუმშრალოთ ცრემლი?

— მე უფრო დაწყნარებული ვარ, დუნკან, — მიუგო ალისამ, განთავისუფლდა დის მკლავებიდან და ცრემლმორეულმა ძალა დაატანა თავს, მშვიდი სახე მიეღო, — ახლა გაცილებით მშვიდად ვარ. უეჭველია, დაფარულ ადგილას საფრთხე არ გველის, ვერავინ მოგვაგნებს და არც არაფერი დაგვიშავდება. თან დიდი იმედი გვაქვს იმ დიდსულოვანი ხალხისა, ჩვენი გულისათვის აქამდეც რომ ასე წირავდნენ თავს.

— ახლა კი ჩვენი ალისა სწორედ მანროს ასულის შესაფერისად ლაპარაკობს! — ჰეიუარდი ქალთან შედგა და ხელი ჩამოართვა, — ორი ასეთი სამაგალითო მამაცი ქალის წინაშე კაცს უნდა შერცხვეს, რომ გმირზე ნაკლები გამოდგეს, — მერე გვირაბის შუაგულში ჩაჯდა. ხელში დამბაჩა ჰქონდა ჩაბღუჯული. კუმტი გა-

მოხედვა ამჟღავნებდა მის თავგანწირულ განზრახვას, — ჰურონები თუ მოვიდნენ, მათ რომ ჰგონიათ, ისე ადვილად ვერ იგდებენ ხელთ ჩვენს საფარს, — ჩაილაპარაკა მან; თავი კედელს მიაცრდნო და მოთმინებით დაიწყო ლოდინი, თან გვირაბის შემოსვლელს თვალს არ აშორებდა.

ხანგრძლივი და თითქმის სამარისებური დუმილი დამყარდა. დილის გრილმა ჰაერმა გამოქვაბულშიაც შემოაღწია და ნელ-ნელა იმოქმედა დამალულთა გუნება-განწყობილებაზე. ყველას გულში თანდათან გაღვივდა უჩუმრად შეპარული იმედის ნაპერწკალი, თუმცა ხმამაღლა ამას ვერავინ გამოხატავდა.

მხოლოდ დავითი შეეპყრო სხვა განიცდას. ხვრელიდან ჩამომავალი მკრთალი შუქი მისდგომოდა მის გასავათებულ სახეს. წიგნს ფურცლავდა, თითქოს თავიანთი მდგომარეობისათვის უფრო შესაფერის საგალობელს ეძებსო. ბოლოს იპოვა, ხმამაღლა წარმოთქვა — „კუნძული უაიტი“ და გალობას შეუდგა.

— ეს საშიში არ იქნება? — იკითხა კორამ და მაიორ ჰეიუარდს გადახედა.

— საბრალო! მისი ხმა ისე მისუსტებულია, რომ ჩანჩქერის ჩხრიალში ვერც ვერავინ გაიგონებს, — უპასუხა მან, — თან გვირაბიც მეგობრობას გაუწევს. დაე, გული მოიოხოს, რაკი საფრთხილო არაფერია.

— „კუნძული უაიტი“! — გაიმეორა დავითმა და პირადი ღირსების შეგნების იმ მედიდური იერით მიმოიხედა, რომლითაც დიდი ხანია შეჩვეული იყო თავის კლასში სიწყნარის დამყარებას, — ეს ვაჟკაცური კილოა და დიდებულ სიტყვებზეა შეწყობილი. ამიტომ შესაბამისი მოწიწებით უნდა ითქვას!

ერთხანს სამარისებური დუმილის დაცვის შემდგომ, რათა წესრიგი კიდევ უფრო განემტკიცებინა, მოისმა მომღერლის დაბალი, ღულუნა ხმა. მელოდიამ თანდათან იმოქმედა მსმენელებზე.

აღისამ უნებურად შეიშრო ცრემლები და ღმობიერი თვალები მიაპყრო გამუტის გაცრეცილ სახეს; არ ცდილობდა, კმაყოფილება დაეფარა. კორამ მოწონების ღიმილი შეაწია ებრაელთა მეფის სეხნიას. ჰეიუარდმაც მალე მოაშორა მზერა გვირაბის შემოსასვლელს და დავითს გახედა. მსმენელთაგან აშკარა მოწონებამ მალე აღაგზნო მუსიკის მოტრფიალის სული. ხმამ კვლავ მიაღწია ძველებურ ჟღერადობასა და სიმძლავრეს, თანაც არ დაუკარგავს ის გულში ჩამწვდომი სინარნარე, რომელიც მის ჯადოსნურ ძალას წარმოადგენდა. ამ დროს გარეთ ჰაერში გაისმა კივილი, რომელმაც მაშინვე გააწყვეტინა საღვთისმოსავო ჰანგები და მგალობელს ხმა ჩაუწყვიტა.

— დავიღუპეთ! — შეჰკვივლა აღისამ და გაშლილ მკლავებში ჩაუვარდა კორას.

— ჯერ კიდევ არა, — მიუგო შემფოთებულმა, მაგრამ შეუპოვარმა ჰეიუარდმა, — ხმა კუნძულის შუაგულიდან მოვიდა და დახოცილი ამხანაგების დანახვით არის გამოწვეული. ჩვენ ჯერ ვერ გვიპოვეს და იმედიც ჯერ არ უნდა დავკარგოთ.

რაც უნდა მცირე ყოფილიყო გადარჩენის იმედი, დუნკანის სიტყვებმა დებზე მაინც იმოქმედა. პირველს მალე მეორე კივილიც მოჰყვა, შემდეგ კი ხმების ნიაღვარი მთელ კუნძულს მოედო.

ხმაური სწრაფად გავრცელდა მათ გარშემო. ზოგი გაღმა დარჩენილ ამხანაგებს გასძახოდა და მალლობებიდანაც ეპასუხებოდნენ. ყვირილი ისმოდა ძალიან ახლოდანაც — გვირაბებს შორის მოთავსებული ჩაღრმავებული ადგილიდან და იგი ერთვოდა ხრინწიან ჭყვივლს, ღრმა ღარტაფის ძირიდან რომ მოდიოდა. ერთი სიტყვით, ველური ღრიანცელი ისეთი სისწრაფით გავრცელდა მოტიტვლებულ კლდეზე, რომ გულის ფანცქალით მოყურადე მსმენელთათვის ეს თავზარდამცემი იყო.

ამ ღრიალში საზეიმო ყიჟინა გაისმა გვირაბის მიჩქმალული შემოსასვლელიდან ორიოდ ნაბიჯის დაშორებით. ჭეიუარდს იმედის ყოველი ნაპერწკალი ჩაუქრა — დარწმუნდა, ეს ჩვენი აღმოჩენის ნიშანი არისო. მაგრამ ეს ვარაუდი გაუმტყუნდა, რადგან ხმიანობაზე შეატყო, რომ ხალხმა იქ მოიყარა თავი, სადაც თეთრმა კაცმა თავისი თოფი დატოვა. ინდიელთა ყაყანში, რომელიც მას ახლა უკვე მკაფიოდ ესმოდა, ადვილად გამოიჩეოდა არა მარტო სიტყვები, არამედ კანადური კილოკავით ნათქვამი წინადადებებიც. ჰურონებმა ერთბაშად შეჰყვირეს — „გრძელი თოფი!“ ჭეიუარდს გაგონილი ჰქონდა და ჩინებულად ახსოვდა, რომ ეს სახელი მტრებმა ერთ სახელგანთქმულ მონადირესა და ინგლისის ჯარის მზვერავს შეარქვეს. იგი ახლად მიხვდა, ეს სახელგანთქმული მზვერავი სწორედ მისი ამასწინანდელი თანამოსაგრე რომ იყო.

— გრძელი თოფი! გრძელი თოფი! — გადასცემდნენ ერთმანეთს ჰურონები, სანამ ყველამ თავი არ მოიყარა ნადავლის ირგვლივ, რომელიც, ეგონათ, მისი მრისხანე პატრონის სიკვდილსაც აუწყებდათ. ხმამაღალი მოთათბირების შემდგომ, რომელსაც დროდადრო ველური სიხარულის ყიჟინა აყრუებდა, ისინი კვლავ გაიფანტნენ, თან მტრის სახელს გაჰყვიროდნენ. ჭეიუარდმა კილოზე შეატყო, რომ იმედი ჰქონდათ, მის გვამს სადმე ნაპრაღში ჩავარდნილს მიაგნებდნენ.

— ახლა გადაწყდება! თუ ჩვენი სამალავი გადაურჩა ამ ჩხრევა-ძიებას, გადავრჩებით! ყოველ შემთხვევაში, მტრების ყოფაქცევით უკვე დავრწმუნდით, რომ მეგობრები გადარჩნენ და იმედი უნდა ვიქონიოთ, ორიოდ საათში უებისაგან გამოგზავნილი რაზმიც გამოჩნდება, — ჩაუჩურჩულა დუნკანმა აცახცახებულ დებს.

ახლა, რამდენიმე წუთს, შემადრწუნებელი დუმილი დამყარდა, მაგრამ ჭეიუარდმა კარგად იცოდა, რომ ჰურონები უდიდესი

სიფრთხილითა და გულმოდგინებით ეძებდნენ მათ. არაერთხელ გაარჩია მათი ფეხის ხმა, როცა ისინი ქექავდნენ სასაფრასის გროვას. ბოლოს ფოთლების გროვამ ცოტა დაიწია, საბნის კუთხე ჩამოვარდა და სინათლის მკრთალმა სხივმა გაიკიაფა გვირაბის შიგნით. კორამ სასოწარკვეთით ჩაიკრა გულში ალისა, დუნკანი ელვის სისწრაფით წამოიჭრა ფეხზე. ამ დროს თითქოს კლდის შუაგულიდან მომავალი ყვირილი გაისმა, რაც იმას მოასწავებდა, რომ მეზობელ გამოქვაბულში უკვე შევიდნენ.

რადგან ორივე გვირაბის შიდა გასასვლელები ასე ახლო იყო ერთმანეთთან, დუნკანს გაქცევის იმედი გადაუწყდა. საშიშ მდგომარეობაში მოხვედრით თავზეხელაღებული ჰეიუარდი მიუახლოვდა თხელ ხერგს, რომელიც მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯითაა აშორებდა ულმოებელ მდევარს, მიადო სახე შემთხვევით დარჩენილ ჭუჭრუტანას და გულგრილად დაუწყო თვალთვალი მათ მოქმედებას.

იქვე გოლიათური მოყვანილობის ინდიელის ბეჭი მოჩანდა; ბოხ და მბრძანებლურ კილოზე ეტყობოდა, რომ ის ხელმძღვანელობდა ჩხრეკა-ძიებას. იმის იქით დუნკანი ხედავდა ჰურონებით სავსე მოპირდაპირე გამოქვაბულს, სადაც ისინი აქოთებდნენ და ქექავდნენ მზვერავის ნივთებს, თან ისე ღმუროდნენ, გეგონებოდათ, ძაღლების ხროვამ დაკარგულ კვალს მიაგნო. გამარჯვების ჭყვილის შემდეგ გამოქვაბულში მოფენილი სურნელოვანი საფენი მიგლიჯ-მოგლიჯეს, ტოტები, ზოგი ნაპრალში ჩაყარეს, ზოგი აქეთ-იქით გააბნიეს. ერთი სასტიკი და პირქუში შესახედაობის მეომარი ბელადს მიუახლოვდა, ერთი იღლია ბუჩქის ტოტები მიუტანა, გაცხარებით უჩვენებდა მასზე გაფანტულ მუქ წითელ ლაქებს და თავის სიხარულს ინდიელთა ჩვეულებისამებრ ჭყვილით გამოხატავდა, რომლის აზრს დუნკანი მხოლოდ იმით მიხვდა, რომ იგი წარამარა იმეორებდა სახელს — „გრძე-

ლი თოფი“. ეს საზეიმო ღრიალი რომ მოათავა, ტოტების გროვა იმ თხელ ხერგს მიაყარა, რომელიც დუნკანმა გააკეთა მეორე გვირაბის შემოსასვლელში, და ამით სათვალთვალო ხვრელი დაფარა. მის მაგალითს სხვებმაც მიბაძეს. მზვერავის გამოქვაბულში დაფენილ ტოტებს რომ იღებდნენ, ერთ გროვად ახვავებდნენ და უნებურად უმატებდნენ სიმტკიცეს მტრის თავშესაფარს. სწორედ ხერგის სისუსტე იყო მისი უმთავრესი ღირსება, რადგან არავის მოსვლია ფიქრად, რომ ხელი ეხლო აგროვებული ტოტებისათვის, რომლებიც ფაციფუცისა და ალიაქოთის წუთებში ყველას შემთხვევით დაყრილი ეგონა.

როცა სიმძიმისაგან საბნები ჩამოიგლიჯა, ხოლო ტოტების გროვამ საკუთარი სიმძიმითა და სიმკვრივით თვითონვე ამოაფსო კლდეში შემოსასვლელი ხვრელი, დუნკანმა შვებით ამოისუნთქა. მსუბუქი ნაბიჯითა და შემსუბუქებული გულით დაუბრუნდა გამოქვაბულის შუაგულს. სანამ იგი ამას გააკეთებდა, ინდიელები, თითქოს ყველამ ერთბაშად იცვალა განზრახვალ, ერთად გაცვივდნენ გარეთ, ისმოდა, როგორ გაეშურნენ კუნძულის ზემოთა ნაწილისაკენ, საიდანაც ისინი თავდაპირველად ჩამოვიდნენ. აქ მეორე მწუხარე შეძახილმა მიახვედრა დამალულები, რომ ჰურონები ისევ დახოცილი ამხანაგების გვამების გარშემო შეგროვდნენ.

ახლა კი გაბედა დუნკანმა თანამგზავრებისათვის თვალის გასწორება; ყველაზე მძიმე წუთებში იგი შიშობდა, რომ მისი შეწუხებული სახე ქალებს კიდევ უფრო დააფრთხობდა.

— წავიდნენ, კორა! — წაიხურჩულა მან, — ალისა, ისინი უკანვე გაბრუნდნენ და ჩვენ გადავრჩით! დიდება ზეცას, ასე ულმობელი მტრისაგან რომ გვიხსნა!

— მაშ, მეც ზეცას მივუძღვნი მადლობას! — შესძახა უმცროსმა დამ აღფრთოვანებით, კორას მკლავებიდან თავი დაიხსნა და მუხლი მოიდრიკა შიშველ კლდეზე, — იმ ზეცას, რომელმაც

ცრემლისღვრას გადაარჩინა ჭალარა მამა... იხსნა იმათი სიცოცხლე, ვინც ასე ძალიან მიყვარს...

ორივე, ჰეიუარდი და უფრო თავშეკავებული კორა უდიდესი სინაზით შეჰყურებდნენ გრძნობის უნებურ ამოხეთქვას და ჭაბუკი დარწმუნებული იყო, რომ ღვთისმოსაობას არასოდეს ღირსებია ისეთი ტურთა განსახიერება, როგორც ახლა ეპოვა ნორჩი ალისას სახით. თვალები მადლიერი გრძნობის შუქით უბრწყინავდა. სიმშვენიერის ტურთა ყვაველი კვლავ აუყვავდა დაწვებზე; მაგრამ ბაგეები რომ გახსნა, პირზე მომდგარი სიტყვები რაღაც ახალმა და უეცარმა ელდამ შეაყინა. ალანძულ სახეზე უმაღლეს მკვდრისფერი დაედო, თვალები გაუშტერდა და შეძრწუნებისაგან დაუვიწროვდა; ხოლო ერთმანეთს ჩაკიდებული ხელები, რომლებიც ზეცისაკენ აღმართა, მხრების სიმაღლეზე ჩამოუცვივდა და დაკრუნჩხული თითებით წინ ანიშნა რაღაც. ჰეიუარდმა მაშინვე იქით გაიხედა და სწორედ კლდის თავზე, რომელიც გამოქვაბულიდან ღიად დატოვებული შემოსასვლელის ზღურბლს წარმოადგენდა, თვალი მოჰკრა ცბიერი მელის ბოროტ, გაავებულ და მძვინვარე სახეს.

ამ შემადრწუნებელი ელდის წუთშიც არ დაბნეულა ჰეიუარდი. ინდიელს სახის უნდილ გამომეტყველებამ შეატყო, რომ სინათლეს შეჩვეული მისი თვალი გამოქვაბულის სიღრმეში გამეფებულ ბინდბუნდში ჯერ კიდევ ვერაფერს არჩევდა. დუნკანმა განიზრახა კიდევ, გვირაბის კედლის შეღრმავებულ ადგილში შევალთ მე და ჩემი ამხანაგები და უკეთ დავიმალებითო, მაგრამ ჰურონის სახეზე გაელვებულ სხივზე მიხვდა, რომ უკვე დააგვიანდა და დამალვა აღარ უშველიდათ.

მტრის არაადამიანურმა გამომეტყველებამ დუნკანს შიში დაავიწყა, დამბაჩა დაუმიზნა და ესროლა. დამბაჩის დაცლაზე გამოქვაბულმა ვულკანის ამოხეთქვის მსგავსად დაიგრგვინა და როცა ავარდნილი კვამლი ღარტაფიდან მომდინარე ჰაერის ნა-

კადმა გაფანტა, მუხანათი მეგზურის სახე ძველ ადგილას აღარ მოჩანდა. ჰეიუარდი გასასვლელს მივარდა და თვალი მოჰკრა მის შავ სხეულს; ჰურონი ფრთხილად უვლიდა კლდის დაბალ, ვიწრო ქიმს, მალე სულ მიიმალა.

კლდის წიაღიდან სწორედ ახლახან ამოხეთქილმა სროლის ხმამ საზარელი დუმილი ჩამოაგდო ჰურონებში. მაგრამ როცა ცბიერმა მელამ გაგრძელებული და მისახვედრი ყიჟინი დასცა, მის გამგონე ყველა ინდიელს ერთბაშად ამოხდა საპასუხო კვილი. ყიჟინითა და ღრიანცელით კვლავ დაეშვნენ კუნძულის ქვემო ნაწილისაკენ და სანამ დუნკანი უეცარი გაოგნებისაგან გონს მოსვლას მოასწრებდა, ტოტების ხერგი აქეთ-იქით მიფანტ-- მოფანტეს, გვირაბში ორივე მხრიდან შეცვივდნენ, დუნკანი თანამგზავრებითურთ შეიპყრეს და გარეთ გამოიყვანეს, სადაც გამარჯვებულ ჰურონთა მთელი გუნდი გარს შემოერთყათ.

მეშინია გათენება არ გამოგვეპაროს, რადგან ამ ღამეს დიდხანს ვიფხიზლეთ.

შექსპირი. „ზაფხულის ღამის სიზმარი“

როგორც კი ცოტა გაუარა ამ მოულოდნელი უბედურებით გამოწვეულმა თავზარდაცემამ, დუნკანი მტრების გარეგნობასა და ქცევას დააკვირდა. ისინი პატივით ეპყრობოდნენ არა მარტო მოცახცახე დებს, არამედ თვით მასაც, რაც ინდიელებისაგან გასაკვირი იყო. მისი სამხედრო მოკავშილეობის მდიდრულ სამკაულებს არაერთხელ შეახო ხელი ტომის სხვადასხვა მეომარმა, მათ ამ მოსართავეების ხელში ჩაგდება სურდათ, მაგრამ სანამ ჩვეულებისამებრ ძალის ხმარებას მოასწრებდნენ, ზემოთ მოხსენიებულიზობა მეომრის განკარგულებამ შეაჩერა აღმართული ხელი. ამით ჰეიუარდი მიხვდა, რომ მათ ისინი რაღაც განსაკუთრებული საქმისათვის ინახავდნენ.

ისინი გამოქვაბულის ჩხრეკას განაგრძობდნენ, მაგრამ რაკი სხვა მსხვერპლს ვეღარ მიაგნეს, მათ შემოეხვივნენ და მრისხანე სახით გაიძახოდნენ, „გრძელი თოფიო“. დუნკანი თავს ისე აჩვენებდა, თითქოს არ ესმოდა მათი გაცხარებული კითხვები. ასეთი ჩაცვებით გაბებრებულმა და თანაც შეშინებულმა ჰეიუარდმა, ისინი გაჯიუტებული დუმილით რომ არ გაეხელებინა, გარშემო მიმოიხედა მაგუას საპოვნელად, რადგან მას შეეძლო ეთარგმნა მისი პასუხები.

ამ ინდიელის საქციელი ყველა მისი ამხანაგის ქცევისაგან სრულიად გამოირჩეოდა. სხვები თუ გაფაციცებით ცდილობდნენ ზიზილპიპილებისადმი თავიანთი ბავშვური გატაცების დაკმაყოფილებას და თვით მზვერავის საცოდავ ქონებასაც კი

იტაცებდნენ, ანდა შურისძიების სისხლიანი წყურვილით აღტყინებულები ეძებდნენ მის დაკარგულ პატრონს, ცბიერი მელა ტყვეებისაგან ცოტა მოშორებით დამდგარიყო და ისეთი სიმშვიდე და კმაყოფილება ეტყობოდა, რომ აშკარა იყო, მას უკვე მიეღწია დიდი მიზნისათვის. როცა ჰეიუარდის თვალები მათი ყოფილი მეგობრის თვალებს შეეფეთა, მაიორმა შეძრწუნებით აარიდა პირი მის ავბედით, მაგრამ მშვიდ გამოხედვას. ოღონდ მაინც სძლია ზიზღს და გამარჯვებულ მტერს მიმართა.

— ცბიერი მელა იმდენად დიდი მეომარია, — თქვა უხალისოდ ჰეიუარდმა, — რომ არ გააწბილებს უიარაღო კაცს, უთხრას, რას ამბობენ მისი შემპყრობლები.

— ისინი კითხულობენ მონადირეს, ტყეში რომ ბილიკები იცის, — უპასუხა მაგუამ დამტვრეული ინგლისურით და თან მწარე ღიმილით დაიდო ხელი ფოთოლთა გროვებზე, რომლითაც დაჭრილი ბეჭი ჰქონდა შეხვეული, — გრძელ თოფს! მისი თოფი კარგია და მისი თვალი არასოდეს იხუჭება; მაგრამ თეთრი ბელადის მოკლე თოფივით ისიც ვერაფერს დააკლებს ცბიერის სიცოცხლეს!

— ცბიერი მელა ისეთი მამაცია, რომ არ დაიხსომებს ომში მიღებულ ზიანს, ან მათ ხელს, ვინც ის ზიანი მიაყენა.

— განა ომი იყო, როცა დაღლილი ინდიელი ისვენებდა შაქრის ხესთან და პურის ჭამას აპირებდა? ვინ აავსო ბუჩქნარი ხოხვით მომავალი მტრებით? ვინ იძრო დანა? ვისი ენა ამბობდა მშვიდობას, გული კი სისხლით ჰქონდა შესვრილი? განა მაგუამ თქვა, ნაჯახი მიწიდან ამოღებულია, ანდა მე ჩემი ხელით ამომითხრიაო?

დუნკანმა ვერ გაბედა მკვახედ ეპასუხა ბრალმდებლისათვის და ღალატი შეეხსენებინა, არც მობოდიშება იკადრა, ამიტომ კრინტი აღარ დაუძრავს. მაგუა კმაყოფილი იყო როგორც კამათის, ისე საერთოდ ბაასის შეწყვეტით. იგი კვლავ მიეყრდნო

კლდეს, მაგრამ ძახილი — „გრძელი თოფი, გრძელი თოფი“ — იმწამსვე განახლდა, როგორც კი სულწასულმა ჰურონებმა შეამჩნიეს, რომ მოკლე დიალოგი დამთავრდა.

— გესმის, — თქვა მაგუამ ჯიუტი გულგრილობით, — წითურ ჰურონებს „გრძელი თოფის“ სიცოცხლე სწყურიათ, თორემ მათ დახოცავენ, ვინც იმას მალავს!

— ის წასულია — თავს უშველა, იმას ვედარც მისწვდებიან.

ცბიერმა მელამ ცივი, ზიზღნარევი ღიმილით გასცა პასუხი:

— როცა თეთრი ადამიანი კვდება, ჰგონია, სამშვიდობოს არის, მაგრამ წითელმა კაცებმა იციან, როგორ უნდა დატანჯონ თავიანთი მტრების თვით აჩრდილებიც კი. სად არის მისი გვამი? დაე, ჰურონებმა ნახონ მისი სკალპი!

— ის კი არ მომკვდარა, თავს უშველა.

მაგუამ იჭვნეულად გაიქნია თავი და დაუმატა:

— განა ჩიტი იყო, ფრთა გაეშალა? ან თევზი — მზის დაუნახავად ეცურა? თეთრი ბელადი წიგნებს კითხულობს და დარწმუნებულია, ჰურონები სულელები არიანო!

— „გრძელი თოფი“ თევზი არ არის, მაგრამ ცურვა კი იცის. იგი ცურვით დაჰყვა მდინარეს, როცა მთელი თოფის წამალი დაიწვა და როცა ჰურონების თვალებს ღრუბელი ჰფარავდა.

— მერე თეთრი ბელადი რატომ დარჩა? — ჩაეკითხა მაინც დაეჭვებული ინდიელი, — განა ის ქვაა, რომელიც იძირება, თუ სკალპი სწვავს თავს?

— მე თუ ქვა ვარ, შენს ამხანაგს ჰკითხე, — მიუგო გაცხარებულმა ჭაბუკმა და გაგულისებულმა ის ტრაბახა კილო იხმარა, რომელიც ყველაზე მეტად გააოცებდა ინდიელს, — თეთრი კაცი ფიქრობს, რომ მარტო მხდალები თუ მიატოვებენ ქალებს.

მაგუამ კბილებში გამოსცრა რამდენიმე სიტყვა, სანამ კვლავ ხმამაღლა გააგრძელებდა:

– განა დელავერებსაც ისევე შეუძლიათ ცურვა, როგორც ბუჩქებში ხობავენ? სად არის Le Gros Serpent?

დუნკანმა უხალისოდ უპასუხა:

– ისიც მდინარეს გაჰყვა.

– Le Cerf Agile არის აქ?

– მე არ ვიცი, ვის ეძახით „ფეხმალ ირემს“, – უთხრა დუნკანმა და სიამოვნებით ისარგებლა შემთხვევით, რომ დრო გაეჭიანურებინა.

– უნკასი, – მიუგო მაგუამ. დელავერული სახელის წარმოთქმა უფრო უჭირდა, ვიდრე ინგლისურად ლაპარაკი, – „ფეხმალ ცხენირემს“ უწოდებს თეთრი კაცი, როცა უმცროს მოჰიკანს ეძახის.

– ჩვენ ერთმანეთში გვერევა სახელები, ცბიერო მელავ, – უთხრა დუნკანმა კამათში ჩათრევის იმედით, – ფრანგულად „daim“ ნიშნავს ფურირემს, „cerf“ კი – ხარირემს; თუ ცხენირემზეა ლაპარაკი, მაშინ „elan“ უნდა ითქვას.

– დიახ, – წაიბუტბუტა ინდიელმა თავის ენაზე – ფერმკრთალსახიანები ყბედი დიაცები არიან! მათ თითო საგნისათვის ორ-ორი სახელი აქვთ, წითელკანიანი კი თავისი ხმის კილოთი იტყვის სათქმელს, – მერე კვლავ ინგლისურად განაგრძო: ფურირემი სწრაფია, მაგრამ სუსტი; ცხენირემი სწრაფიც არის და მძლავრიც. ასეთია დიდი გველის შვილი. ისიც ჩახტა წყალში და ტყეს შეაფარა თავი?

– თუ ახალგაზრდა დელავერს გულისხმობ, ისიც მდინარეს დაჰყვა.

რადგან ინდიელისათვის არაფერი იყო დაუჯერებელი ამნაირად თავის გადარჩენის საქმეში, მაგუამ ხალისით დაიჯერა დუნკანის სიტყვები. ამით დაადასტურა, რა ნაკლებად აინტერესებდა გაქცეულების ტყვედ ჩაგდება. მის ამხანაგებს კი აშკარად სხვა გრძნობა დაეტყოთ.

ჰურონები მათთვის დამახასიათებელი მოთმინებით ელოდნენ ამ მოკლე საუბრის დასრულებას და თანდათან წყნარდებოდნენ, სანამ საერთო დუმილი არ ჩამოვარდა. როცა ჰეიუარდმა დაამთავრა ლაპარაკი, ყველამ ერთი კაცივით მიაპყრო თვალი მაგუს და ნათქვამის განმარტება მოსთხოვა. თარჯიმანმა მდინარეზე მიუთითა და მოქმედება და რამდენიმე სიტყვაც მოიშველია. ამბავი ყველამ რომ გაიგო, ჰურონებმა თავზარდამცემი წივილ-კივილი ატეხეს, რაც მათ იმედგაცრუებას ადასტურებდა. ზოგი გაშმაგებული მივარდა მდინარის ნაპირზე და გიჟებით მოჰყვნენ ხელების ქნევასა და წყალში ფურთხებას. გუნდის რამდენიმე, არცთუ ნაკლებად მძლავრი და შემადრწუნებელი წევრი პირქუში და მრისხანე თვალთ უცქერდა ტყვეებს და ჩანდა, უსასტიკეს ვნებას მხოლოდ ჩვეული თავდაჭერილობით იკავებდა. ახალგაზრდა ჯარისკაცმა თავგანწირულად სცადა გადამხტარიყო ალისასკენ, როცა დაინახა, ერთმა წითელკანიანმა შავი ხელი როგორ ჩაავლო ბეჭებზე გადაშლილ სქელ თმაში ქალს, მეორე ხელით კი დანა შემოავლო თავზე; მაგრამ ხელებშეკრულმა დუნკანმა პირველსავე განზრახვაზე გუნდის წინამძღოლის, ზორბა ინდიელის მუხრუჭივით მწარე ხელის ჩავლება იგრძნო მხარზე. იგი მაშინვე მიხვდა, რა ფუჭი იქნებოდა ასე ბევრ მოწინააღმდეგესთან ჭიდილი, დაემოწრაფა ბედს და ორიოდე ხმადაბალი, ტკბილი სიტყვით გაამხნევა ქალი — ინდიელებმა მუქარა უფრო იციან, ვიდრე მისი ასრულებათ.

მაგრამ ამ სიტყვებით თვითონ თავს ვერ ინუგეშებდა. კარგად იცოდა, ინდიელი ბელადი ღონით გამოირჩეოდა თაავისიანებში და არა ზნეობით. ამიტომ საფრთხე სწორედ იმდენად იყო დიდი, რამდენადაც — მათ გარშემო თავმოყრილი ველურების რიცხვი. წინამძღოლად მიჩნეულის განკარგულება შესაძლოა თვალის დახამხამებაში დაერღვია ნებისმიერს, ვისაც მოეპრიანებოდა მსხვერპლი შეეწირა რომელიმე მკვდარი მეგობრის ან ნათესა-

ვის სულისათვის. ჰეიუარდი გარეგნულად სიმშვიდესა და სიმტკიცეს ინარჩუნებდა, მაგრამ გული კი ყელში ებჯინებოდა, როცა რომელიმე მძვინვარე მეომართაგანი ჩვეულებრივზე უფრო მეტად მიუახლოვდებოდა უმწეო დებს, ან პირქუშად მიაშტერებდა თვალს მათ უსუსურ სხეულებს.

დუნკანს ცოტა გულს მოეშვა, როცა დაინახა, რომ ბელადმა მეორეები სათათბიროდ შემოიკრიბა. მათი ბჭობა დიდხანს არ გაგრძელებულა და ეტყობოდათ, რომ ერთსულოვანი გადაწყვეტილებაც მიიღეს. მოლაპარაკენი ისე ხშირად იშვერდნენ ხელს უების ბანაკის მიმართულებით, რომ აშკარა იყო, იმ მხრიდან მოსალოდნელი საფრთხისა ეშინოდათ. ამ მოსაზრებამ დააჩქარებინათ საქმის გადაწყვეტა.

უკვე ითქვა, რომ კუნძულის ზემო ნაწილი შიშველი კლდე იყო და ზედ აქა-იქ გაფანტული რამდენიმე ნარიყი ხის გარდა, სხვა საფარი არ მოიძებნებოდა. ჰურონებს ეს ადგილი აერჩიათ გადმოსასხდომად. ამ მიზნით ნავი ტყე-ტყე გადაეტანათ და ჩანჩქერისათვის შემოევლათ. იარაღი პატარა ნავში ჩაეწყათ. თორმეტიოდე კაცი მოსჭიდებოდა აქეთ-იქით კიდევებზე და თავდაღმა დაჰყოლოდნენ ნავს, რომელსაც ორი ყველაზე მარჯვე მეომარი მართავდა. ამ თადარიგიანობის წყალობით მათ მოაღწიეს კუნძულის თავს სწორედ იმ ადგილას, რომელიც საბედისწერო გამოდგა პირველი გადმომსვლელებისთვის, თუმცა ახლა ის უპირატესობა მოეპოვებოდათ, რომ მეტნი იყვნენ და თოფებიც ჰქონდათ. ისინი რომ ამგვარად გადმოვიდნენ კუნძულზე, დუნკანისათვის ცხადი გახდა იმით, რომ ახლა მსუბუქი ნავი კლდის ზემოთა კიდიდან ქვემოთ წაიღეს და გარე გვირაბის შესასვლელის პირდაპირ წყალში ჩაუშვეს. როგორც კი ეს საქმე მოათავეს, ბელადმა ტყვეებს ანიშნა, ჩადით და ჩასხედითო.

რადგან წინააღმდეგობა ან შეკამათება შეუძლებელი და ფუჭი იყო, ჰეიუარდმა მორჩილების მაგალითი უჩვენა სხვებს —

ნავში უხმოდ ჩაჯდა. თუმცა ჰურონებისათვის ამკარად უცნობი იყო მდინარის ჩქერებს შორის ვიწრო გასასვლელი ნაკადები, ამგვარ ნაოსნობაში იმდენად კარგად იყვნენ დახელოვნებულნი, რომ საბედისწერო შეცდომა არ მოსვლიათ. როცა მესაჭემ თავისი ადგილი დაიჭირა, მთელი გუნდი კვლავ წყალში ჩაცვივდა, ნავი სრიალით დაუყვა ჩქერს და ერთ-ორ წუთში ტყვეებმა მდინარის სამხრეთ ნაპირზე ამოყვეს თავი, თითქმის იმ ადგილის გასწვრივ, სადაც ისინი წინა ღამეს მიადგნენ. აქ გაიმართა კიდევ ერთი ცხარე თათბირი. ამასობაში ტყიდან გამოიყვანეს ცხენებიც. გუნდი გაიყო: დიდი ბელადი ჰეიუარდის ბედაურს მოაჯდა, გუნდის უმრავლესობის თანხლებით გადალახა მდინარე და მიიმალა ტყეში, ხოლო ტყვეების სადარაჯოდ ცბიერი მელას მეთაურობით ექვსი ჰურონი დატოვა. დუნკანი შემოფოთებით აკვირდებოდა მათ ყველა მოძრაობას.

ჰეიუარდს უნდოდა თავი დაეჯერებინა, რომ მას მონკალმისათვის გადასაცემ ტყვედ ინახავდნენ. უბედურებაში ჩავარდნილთა გონება ხომ მუდამ ფხიზლობს და სულ მცირე იმედით საზრდოობს. ჭაბუკმა წარმოიდგინა, რომ მანროს მამობრივ სიყვარულსაც გამოიყენებდნენ, რათა მას მოვალეობისთვის ეღალატა, რადგან, მართალია, ფრანგი მხედართმთავარი დიდი მამაცობითა და გამბედაობით იყო ცნობილი, მაგრამ კარგ დიპლომატადაც ითვლებოდა.

ჰეიუარდის მთელი ეს გონებამახვილური სჯა მტრების ქცევამ გააქარწყლა. ზორბა მეომრის მეთაურობით წასულმა გუნდის ნაწილმა ჰორიკონის ქვედა წელისკენ აიღო გეზი და მაიორსა და მის ამხანაგებს უიმედო ტყვეობაღა ელოდათ. დუნკანმა მონდომა, თავიანთი მომავალი გაერკვია და ამ უკიდურეს გასაჭირში ეცადა თავისი სიმდიდრის ძალა; ამიტომ ზიზღს სძლია და მაგუსას გამოელაპარაკა. მისი საუბარი ყოფილ მეგზურთან, რომელსაც ახლა გუნდის მეთაურისა და ტყვეების ბედ-იღბლის გამ-

გებლის უფლება შეეძინა, რამდენადაც კი შეეძლო, მეგობრული და გულითადი უნდოდა ყოფილიყო.

— მე მინდოდა ისეთი რამ მეთქვა მაგუასთვის, მხოლოდ ასეთ დიდ ბელადს რომ შეეფერება.

ინდიელმა ამრეზით შეხედა ახალგაზრდა მხედარს და უპასუხა:

— მაშ, თქვი, ხეებს ყურები არ ასხია.

— მაგრამ წითელი ჰურონები ყრუები არ არიან. თუ მაგუა ყურს არ დაუგდებს, მეფის ოფიცერმა დუმილიც იცის.

წითელკანიანმა დაუდევრად გადაულაპარაკა ამხანაგებს, რომლებიც დებისათვის ჯახირით კაზმავედნენ ცხენებს, ცოტა განზე გადგა და ჰეიუარდს ანიშნა, მიჰყოლოდა.

— ახლა თქვი, — უთხრა მან, — თუ ისეთი სიტყვები გაქვს, მაგუას ყურისათვის რომ ვარგა.

— ცბიერმა მელამ დაამტკიცა, რომ თავისი კანადელი მამები-საგან დარქმეული სახელის ღირსია, — დაიწყო ჰეიუარდმა. — მე ვხედავ მის სიბრძნესა და ყველაფერს, რაც ჩაიდინა ჩვენთვის და მოვიგონებ კიდევ, როცა დაჯილდოების დრო დადგება. დიახ! ცბიერმა მელამ დაამტკიცა, რომ ის დიდი ბელადია არა მარტო ბჭობაში, მას მტრებისთვის თვალის აბმაც შეუძლია!

— რა ქნა ცბიერმა მელამ? — ცივად იკითხა ინდიელმა.

— რა? განა მან არ შეამჩნია, რომ ტყე სავსე იყო ჩასაფრებული მტრის გუნდებით და რომ შეუმჩნევლად მათ შორის გველიც ვერ მოახერხებდა გაძრომას? განა კვალი არ დათარა, რომ ჰურონებისათვის თვალი დაებრმავეებინა? განა თავი ისე არ მოაჩვენა, თითქოს უკან დაუბრუნდა თავის ტომს, რომელიც ავად მოეპყრო მას და ძალღივით გამოაგდო სამშობლოდან? და ჩვენც რომ დავინახეთ, რა უნდოდა მას, განა არ დავეხმარეთ? ეს ხომ მართალია? როცა ცბიერმა მელამ თავისი სიბრძნით დაუხუჭა თვალები და დაუხშო სმენა თავის ხალხს, განა მათ არ დაავიწ-

ყდათ, რომ ოდესღაც ავად მოეპყრნენ მას და აიძულეს, მოჰაუკებთან გაქცეულიყო? განა ცბიერ მელას განზრახული არ აქვს მართლაც მელასავით დაუბრუნდეს თავის კვალს და მიუყვანოს მდიდარ, ჭაღარათავიან შოტლანდიელს თავისი ქალიშვილები? დიახ, დიახ, მაგუა, ყველაფერს ვხედავ და უკვე ვფიქრობდი, როგორ უნდა გადაუხადონ კაცს ასეთი სიბრძნისა და პატიოსნებისათვის. ჯერ ერთი უილიამ-ჰენრის ბელადი, როგორც დიდ ბელადს შეშვების, ისე დააჯილდოებს ამისთანა სამსახურისათვის, მაგუას მედალი კალისა კი აღარ იქნება, არამედ ბაჯადლო ოქროსი; მისი რქა პირთამდე აივსება თოფისწამლით; იმდენი დოლარი ექნება ქისაში, რამდენი კენჭიც არის ჰორიკონის სანაპიროზე, მხეცები ხელის ლოკვას დაუწყებენ, რადგან ეცოდინებათ, რომ ამაოდ გაექცევიან თოფს, რომელიც მაგუას ექნება! მე თვითონ კი არ ვიცი, როგორ გადავაჭარბო მადლიერი შოტლანდიელის გულუხვობას, მაგრამ მე... დიახ... მოგცემ...

— რას მომცემს ახალგაზრდა ბელადი, მზის ამოსვლის მხრიდან რომ მოსულა? — ჩაეკითხა ჰურონი, როცა შენიშნა ჰეიუარდის წაბორძიკება ისეთი საჩუქრის გამოძებნის საქმეში, რომელიც ინდიელისთვის ყველაზე ნანატრი საწადელი იქნებოდა.

— ის მლაშე ტბის კუნძულებიდან წამოღებულ ცეცხლს მაგუას ქოხის წინ ჰუძონზე უფრო ჩქარ და ბათქიან მდინარესავით ადენს, სანამ ინდიელის გული ჩიტის ბუმბულივით მსუბუქი არ გახდება, ხოლო მისი სუნთქვა ველურ სირვაშლასავით არ დატკბება.

ცბიერი მელა გულისყურით ისმენდა ჰეიუარდის წყნარ ლაპარაკს. როცა ახალგაზრდა ვაცმა ახსენა ხრიკი, რომლითაც ჰურონმა საკუთარი ხალხი მოატყუა, ინდიელმა დაფიქრებული გამომეტყველება მიიღო, როცა სიტყვა იმ ავად მოპყრობაზე გადაუკრა, რომლის გამოც, დუნკანის თქმით, ჰურონი გამოექცა თავის ტომს, ისეთი მძვინვარება გამოკრთა მაგუას თვალებში,

რომ გაბედული მოლაპარაკე დარწმუნდა, შესაფერი სიმისთვის მიმიგნიაო, ხოლო როცა იმ ადგილს მიაღწია, სადაც ისე ოსტატურად გადახლართა ერთმანეთში შურისძიების წყურვილი და სარგებლის ნახვის ნდომა, ჰეიუარდმა მთლიანად მიიპყრო წითელკანიანის ყურადღება. ცბიერი მელა მშვიდად და ინდიელის მთელი ღირსების შეგნებით დაეკითხა, მაგრამ ჩაფიქრებულ გამომეტყველებაზე აშკარად ემჩნეოდა, რომ მზაკვრული პასუხის ძებნაში იყო გართული. ჰურონმა ცოტა ხანს იფიქრა, შემდეგ ხელი დაიდო დაჭრილ ბეჭზე და გაგულისებით უთხრა:

— მეგობრები ასეთ ნიშნებს ადებენ ერთმანეთს?

— განა „გრძელი თოფი“ ასე მსუბუქად გაკაწრავდა თავის მტერს?

— განა დელავერები გველებივით ეპარებიან მათ, ვინც უყვართ?

— განა „დიდი გველი“ ვინმეს გააგებინებდა მიახლოებას, თუ ენდომებოდა, რომ იგი ყრუ ყოფილიყო?

— განა თეთრი ბელადი ცხვირწინ უწვავს თოფის წამალს თავის ძმებს?

— განა ის ოდესმე აცდენს მიზანს, როცა ნამდვილად სურს მოკვლა? — მიუგო კარგად გათამაშებული, ამრებილი ღიმილით დუნკანმა.

კვლავ ხანგრძლივი და მძიმე დუმილი მოჰყვა ამ საბრიან კითხვებსა და სწრაფ პასუხებს. დუნკანი ხედავდა, რომ ინდიელი ყოყმანობდა. ის იყო, ჯილდოთა კვლავ ჩამოთვლას აპირებდა, რომ მაგუამ უთხრა:

— კარგი; ცბიერი მელა ბრძენი ბელადია და რასაც იზამს, დაინახავ. წადი და პირს ნუ გააღებ, როცა მაგუა იტყვის, მაშინ უპასუხე.

ჰეიუარდმა როგორც კი შეამჩნია, თანამოსაუბრე ფრთხილად იყურებოდა დანარჩენი წითელკანიანებისაკენ, მაშინვე

უკან დაიხია, რათა არ გამომჟღავნებულყო მისი საეჭვო კავშირი მათ ბელადთან. მაგუა ცხენებს მიუახლოვდა და ისე მოაჩვენა თავი, თითქოს ძალიან მოეწონა ამხანაგების სიმარჯვე. მერე ჰეიუარდს ანიშნა, დებს ცხენებზე შესხდომაში უშველეო.

დუნკანი იძულებული გახდა, დამორჩილებოდა. როცა ამ განკარგულებას ასრულებდა, იმედის მომცემი სიტყვები ჩასჩურჩულა დებს. დავითის ფაშატი ზორბა ბელადის ხალხმა წაიყვანა და მისი პატრონი და დუნკანიც იძულებულნი იყვნენ, ქვეითად ემგზავრათ. ჰეიუარდს მაინცდამაინც არ სწყენია ეს გარემოება, რაკი იგი შესაძლებლობას ანიჭებდა, შეენელებინა მგზავრობის სისწრაფე. ის გაფაცვიცებით იყურებოდა ედუარდის ციხესიმაგრის მიმართულებით, ეგებ ტყეში ყური მოვკრა ისეთ ხმას, მღევრის მოახლოებას რომ გვაუწყებდესო.

როცა ყველა მოემზადა, მაგუამ ნიშანი მისცა, წინ წავიდა და გუნდს თვითონვე ჩაუდგა სათავეში. შემდეგ დავითი მიჰყვა. მას მისდევდნენ დები და ჰეიუარდი, ხოლო ინდიელები კი აქეთ--იქით და უკან მიჰყვებოდნენ.

ჩუმად მიდიოდნენ. ხანდახან ჰეიუარდი გასამხნევებელ სიტყვას ეტყოდა ქალებს, ან დავითი ამოიოხრებდა, რითაც ბედისადმი მორჩილებას გამოხატავდა. გეზი სამხრეთისაკენ ეჭირათ, უილიამ-ჰენრის გზის სრულიად საწინააღმდეგო მიმართულებით. თუმცა, ეტყობოდა, მაგუა არ ღალატობდა გამარჯვებულთა თავდაპირველ გადაწყვეტილებას, ჰეიუარდს არ სჯეროდა, რომ მისი გადაგდებული ანკესი შედეგს არ მოიტანდა და იმედით ელოდა მაგუას მომავალ ნაბიჯს. ხანდახან იგი ფიქრობდა, რომ ფრთხილი წითელკანიანი, რაკი მონკალმის მოალყე ჯარის განლაგებაში მშვიდობიანად გავლის იმედი გადაუწყდა, ცნობილი სასაზღვრო ახალშენისაკენ დაადგა გზას, სადაც ტახტის ერთ--ერთ გამოჩენილ ოფიცერს, ექვსი ერის კარგ მეგობარს, დიდი სამფლობელოები და სახლ-კარიც მოეპოვებოდა. სერ უილიამ

ჯონსონის ხელში მოხვედრა კანადის უდაბურ ადგილებში წაყვანას სჯობდა; მაგრამ თვით იქამდე მისაღწევადაც კი აუცილებელი იქნებოდა მრავალი მილის გავლა ტყეში და ყოველი ნაბიჯი უფრო და უფრო აშორებდა მას ომის ასპარეზს და მაშასადამე არა მარტო პატივის მოპოვების, არამედ მოვალეობის შესრულების შესაძლებლობასაც.

მხოლოდ კორას ახსოვდა მზვერავის გამოსამშვიდობებელი დარიგება და როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემოდა, ცდილობდა, ტოტები დაემტვრია. მაგრამ ინდიელები ამის საშუალებას არ აძლევდნენ. მხოლოდ ერთხელ მოახერხა განზრახვის შესრულება, სუმაქის დიდ ბუჩქს ტოტი ჩამოამტვრია და იქვე ხელთათმანიც დააგდო. მდევრისათვის გათვალისწინებულ ამ ნიშანს ერთ-ერთმა ჰურონმა მოჰკრა თვალი და ხელთათმანი უკანვე დაუბრუნა, ხოლო ბუჩქის დანარჩენი ტოტები კი ისე დაამტვრია, თითქოს ნადირს მიუღწეწ-მოუღწეწიაო. მერე ისე მრავალმნიშვნელოვნად დაიდო ხელი ტომაჰაუკზე, რომ ქალის მცდელობას ბოლო მოუღო.

ჰეიუარდი ოცჯერაც გამოელაპარაკებოდა ბელადს და შეეცდებოდა მის დარწმუნებას, მაგრამ მაგუა ამ ხნის განმავლობაში იშვიათად აბრუნებდა თავს უკან და კრინტს არ ძრავდა. მხოლოდ მზის წინამძღვრობითა და ისეთი უჩინარი ნიშნების შემწეობით, რომლებიც მარტო ადგილობრივი მკვიდრის გამჭრიახ თვალს არ გამოეპარება, განაგრძობდა გზას ფიჭვნარის ტევრში, პატარა ნაყოფიერ ჭალებში. უტყუარი ალღოთი მიიწევდა წინ. მაგუას არასოდეს დასტყობია შეყოყმანება: ბილიკი გინდ ძლივს გასარჩევი ან გამქრალი ყოფილიყო, გინდ აშკარად დასანახი.

მთელი ეს გულმოდგინება და აჩქარება უმიზნო არ ყოფილა. დაბალი ხეობის გავლის შემდეგ, რომელშიც შფოთიანი პატარა მდინარე მიედინებოდა, იგი ისეთ ციცაბო და ძნელად ასასვლელ ბორცვს შეუდგა, რომ დები იძულებულები გახდნენ, ჩა-

მოქვეითებულიყვნენ. როცა თხემს მიაღწიეს, ვაკობზე აღმოჩნდნენ, სადაც შესასვენებლად გაჩერდნენ.

11

წყეული იყოს ჩემი მოდგმა, თუ მივუტევო!

შექსპირი. „ვენეციელი ვაჭარი“

ინდიელმა შესასვენებლად ამ მიზნით ერთ-ერთი ციცაბო, პირამიდული ბორცვი აირჩია, რომელიც ძალიან წააგავდა ხელოვნურ ყორღანს. ასეთი ყორღანები ხშირად გვხვდება ამერიკის შტატების ჭალებში. როგორც დასასვენებელ ადგილს, სხვა უპირატესობა არ ჰქონდა, გარდა სიმაღლისა და მოყვანილობისა, რაც თავდაცვას ხელს შეუწყობდა, უეცარ თავდასხმას კი თითქმის შეუძლებელს გახდიდა. ჰეიუარდს მაინც აღარ ჰქონდა იმედი, რომ მდევარი მოუსწრებდათ, ამიტომ გულგრილად ათვალთქვებდა იქაურობას და ქალების გამხნევებას ცდილობდა.

მიუხედავად სწრაფი სიარულისა, ერთმა ინდიელმა დრო იხელთა, ირმის ნუკრი მოინადირა და შესვენების ადგილამდე ხორცის საუკეთესო ნაჭრები ზურგით ატარა. ჰურონები უმ ხორცს დააცხრნენ. მხოლოდ მაგუა იჯდა განზე, მონაწილეობას არ იღებდა ამ ამაზრგენ ნადიმში, ეტყობოდა, ფიქრებს გაეტაცა.

ინდიელისათვის ასე უჩვეულო თავშეკავებულობამ ჰეიუარდის ყურადღება მიიპყრო. ახალგაზრდა კაცმა ხალისით დაიჯერა, რომ ჰურონი ყველაზე შესაფერ გზას ეძებდა თავისი თანამგზავრების სიფხიზლის მოსადუნებლად, რათა დაპირებული ქრთამი ეგდო ხელთ. დუნკანმა განიზრახა თავისი მხრითაც შემველებოდა გეგმების დაწყობაში და თანაც მასში ცთუნების

გრძნობა განემტკიცებინა. ამიტომ წიფელს მოშორდა და ვითომ-ცდა უმიზნოდ, ხეტიალ-ხეტიალით მიუახლოვდა ცბიერ მელას.

— მაგუას ხომ უკვე დიდი ხანია ადგას სახეზე მზის შუქი, რათა გადაურჩეს კანადელებისაგან მოსალოდნელ ყოველგვარ ხიფათს? — ჰკითხა მან, თითქოს აღარ ეეჭვება მათ შორის დამყარებული კეთილგანწყობილების ამბავით, — უილიამ-ჰენრის ციხესიმაგრის ბელადიც ხომ უფრო ნასიამოვნები იქნება, თუ მალე ნახავს თავის ქალიშვილებს და ჯილდოს გაცემას არ დააყოვნებს?

— განა მკრთალსახიანებს დილით უფრო ნაკლებად უყვართ თავიანთი შვილები, ვიდრე ღამით? — იკითხა ცივად ინდიელმა.

— სულაც არა, — მიუგო ჰეიუარდმა და გულით მოიწადინა შეცდომის გასწორება, — თეთრმა კაცმა შეიძლება დაივიწყოს და ხშირადაც ივიწყებს თავის წინაპართა საფლავებს; მას ხანდა-ხან არ ახსოვს ისინი, ვინც უნდა უყვარდეს და პირობაც აქვს დადებული მოიგონოს, მაგრამ შვილისადმი გრძნობა კი არასოდეს კვდება.

— მერე თეთრკანიანი ბელადის გული ისეთი ნაზია, რომ იფიქროს მისი ცოლებისაგან ნაშობ შვილებზე? თავის მეომრებისადმი იგი მკაცრია და ქვის თვალები უდგას!

— ის სასტიკია უქნარებისა და ავკაცებისადმი, მაგრამ სათნო და ღირსეული ადამიანებისათვის სამართლიანი და გულკეთილია. ბევრი მოსიყვარულე და ნაზი მშობელი ვიცი, მაგრამ ასე რომ ჰყვარებოდეს შვილი, ჯერ კაცი არ მინახავს. შენ გინახავს ჭაღარათმიანი ბელადი მეომართა წინაშე, მაგუა, მე კი მინახავს, თვალები როგორ ავსებია ცრემლით, როცა ლაპარაკობდა ახლა შენს ხელთ მყოფ თავის შვილებზე!

ჰეიუარდი შედგა, რადგან არ იცოდა, როგორ აეხსნა სმენად გადაქცეული ინდიელის შავგვრემან სახეზე გაელვებული უცნაური გამომეტყველება. პირველად ეგონა, ალბათ დაპირებუ-

ლი ჯილდო წარმოუდგა თვალწინ, ყურს რომ უგდებდა მშობლიურ გრძნობათა აღწერას, რომელიც განუმტკიცებს საჩუქრის მიღების აზრსო; მაგრამ როცა დუნკანმა ლაპარაკი განაგრძო, მაგუას სიხარულმა ისე შემადრწუნებლად ბოროტი იერი მიიღო, რომ შეუძლებელია არ მიმხვდარიყო კაცი, ეგ გაცილებით უფრო ავისმომასწავებელი ვნებისაგან მომდინარეობს, ვიდრე სიხარბეაო.

— წადი, — უთხრა ჰურონმა, — წადი შავთმიან ქალიშვილთან და უთხარი, მაგუა უცდის სალაპარაკოდ. მამა გაიხსენებს, რასაც შვილი დაჰპირდა.

დუნკანმა ეს ნათქვამი ისე გაიგო, თითქოს წითელკანიანს სურდა დამატებითი თავდებობა მიეღო, რათა დაპირებული საჩუქრები არ დაჰკლებოდა. იგი ნელა, უგულოდ დაუბრუნდა იმ ადგილს, სადაც ახლა დები ისვენებდნენ.

— თქვენ გესმით ინდიელის წადილი, — დაასკვნა მან, როცა კორა ინდიელისაკენ მიჰყავდა, — და თოფის წამლისა და მოსასხამების გაუგონარი რაოდენობა უნდა შესთავაზოთ. მაგისტანები მაგარ სასმელებსაც ძალიან აფასებენ. არ იქნება ურიგო, თუ რაიმე ფეშქაშს დაუმატებთ. გახსოვდეთ, კორა, რომ ნაწილობრივ მაინც თქვენი სულის სიმტკიცესა და გამჭრიახობაზე დამოკიდებული თქვენი და ალისას სიცოცხლე.

— და თქვენიც, ჰეიუარდ!

— ჩემი სათვალავში არ არის. ჯარისკაცის სიცოცხლე ჯილდოა ყველა მტრისათვის, რომელსაც კი მისი დაპატრონების ძალა შესწევს. მამა არ მყავს, რომ მიმელოდეს, მხოლოდ ორიოდ მეგობარი თუ დამიტირებს... მაგრამ, ჩუ! ინდიელს ვუახლოვდებით. მაგუა, აი, მანდილოსანი, რომელთანაც გინდოდა ლაპარაკი.

ინდიელი წამოდგა და თითქმის ერთი წუთი გაუნძრევლად იდგა. მერე ხელით ანიშნა ჰეიუარდს, გაგვეცალგო და ცივად თქვა:

— როცა ჰურონი დიაცს ელაპარაკება, მისი ტომი სმენას იხშობს.

დუნკანი ფეხს ითრევდა, თითქოს დამორჩილება არ უნდოდაო, მაგრამ კორამ წყნარი ღიმილით უთხრა:

— ხომ გესმით, ჰეიუარდ. წადით ალისასთან და ანუგეშეთ.

კორამ მის წასვლამდე შეიცადა. შემდეგ მიუბრუნდა ჰურონს:

— რას ეტყვის ცბიერი მელა მანროს ასულს?

— მისმინე, — უთხრა ინდიელმა და მაგრად ჩასჭიდა მკლავში ხელი, თითქოს სურს მისი ყურადღება განსაკუთრებით მიიზიდოსო, — მაგუა ბელადად და მეომრად დაიბადა ტბების წითელ ჰურონთა შორის. მან იხილა, ოცი ზაფხულის მზემ როგორ აქცია ნაკადულებად ოცი ზამთრის თოვლი, სანამ თვალს მოჰკრავდა ფერმკრთალ სახეს და იგი ბედნიერი იყო! მერე მისი კანადელი მამები მოვიდნენ ტყეში და ასწავლეს ცეცხლის წყლის სმა და იგი არამზადა გახდა. ჰურონებმა მოაშორეს მამა-პაპათა საფლავებს და ისე სდევნიდნენ, თითქოს გარეულ კამეჩზე ნადირობენო. ის დაჰყვა ტბების ნაპირებს და ჩამოვიდა „ზარბაზნის ქალაქში“. აქ ნადირობდა და თევზაობდა, სანამ ხალხმა კვლავ ტყეში არ შეაგდო იგი და ხელში არ ჩაუგდო მის მტრებს. ჰურონად დაბადებული ბელადი ბოლოს მოჰაუკების უბრალო მეომარი გახდა!

— ამგვარი რაღაც წინათაც გამიგონია, — თქვა კორამ.

— განა ცბიერი მელა დამნაშევე იყო, რომ ქვის თავი არ ჰქონდა? ვინ მისცა ცეცხლის წყალი? ვინ გადააქცია არამზადად? — ფერმკრთალსახიანებმა, შენი ფერის ხალხმა!

— მერე მე უნდა ვაგო პასუხი, რომ არსებობენ თავქარიანი და უსინდისო ადამიანები, რომელთა სახის ფერიც ჩემსას ჰგავს? — წყნარად დაეკითხა კორა აღგზნებულ ინდიელს.

— არა, მაგუა ვაუკაცია და არა სულელი; შენისთანების პირი არასოდეს მიეკარება ცეცხლოვან ნაკადს; დიდ სულს მოუნიჭებია შენთვის სიბრძნე.

— მაშ, მე რა უნდა ვქნა ან ვთქვა შენს ბედუკუღმართობებზე ან, უფრო სწორად, შენს შეცდომებზე?

— მისმინე, — გაიმეორა ინდიელმა და კვლავ დინჯი, მედიდური სახე მიიღო, — როცა ინგლისელმა და ფრანგმა მამებმა ნაჯახი ამოთხარეს მიწიდან, ცბიერი მელა მოჰაუკებს შეუერთდა და საკუთარი ხალხის წინააღმდეგ გაილაშქრა. ფერმკრთალსახიანებმა გააძევეს წითელკანიანები თავიანთი სანადირო ადგილებიდან და ახლა, როცა ისინი ომობენ, თეთრი კაცი მიუძღვით წინ. ჰორიკონის მოხუცი ბელადი, მამაშენი, ჩვენი რაზმის დიდი მეთაური იყო. ის ეუბნებოდა მოჰაუკებს, ესა და ეს გააკეთეთო და უსრულებდნენ კიდევ. კანონად დასდო, თუ ინდიელი ცეცხლის წყალს დაღვედა და მისი მეომრების ქსოვილის უიგუამებში მოვიდოდა, არ აპატიებდნენ. მაგუამ ბრიყვულად გააღო პირი და ცხელმა სასმელმა მანროს ქოხში მოახვედრა. რა ქნა ჭადრათმიანმა?.. დაე, მისმა ქალიშვილმა თქვას.

— მან არ გადათქვა თავის სიტყვა და დამნაშავე სამართლიანად დასაჯა, — შეუპოვრად უპასუხა ქალწულმა.

— სამართლიანად! — გაიმეორა ინდიელმა და გააფთრებულმა გადახედა ქალის შეუდრეკელ სახეს, — განა სამართლია, ჯერ ბოროტება ჩაიდინო და მერე მისი გულისათვის კაცი დასაჯო!? მაგუა აღარ იყო მაშინ, მის ნაცვლად ცეცხლის წყალი ლაპარაკობდა და მოქმედებდა, მაგრამ მანრომ არ დაიჯერა. ჰურონთა ბელადი შეკრეს და მკრთალსახიანი მეომრების წინაშე ძალღვით გაჯოხეს.

კორას ხმა არ ამოუღია, რადგან არ იცოდა, როგორ შეერბი-
ლებინა მამამისის ეს წინდაუხედავი სიმკაცრე.

— შეხედე, — განაგრძო მაგუამ და გადაიღელა ჩითი, რომე-
ლიც ძლივს ფარავდა მის მოხატულ მკერდს, — აი, დანების ნაჭ-
დევები და ნატყვიარები, ამით მეომარს შეუძლია იტრაბახოს
თავისი ხალხის წინაშე, მაგრამ ჭალარათავიანმა ისეთი ნიშანი
დაადო ზურგზე ჰურონთა ბელადს, რომ დიაცივით უნდა მაღაფ-
დეს მას თეთრების ამ აჭრელებული ქსოვილის ქვეშ.

— მე მეგონა, — თქვა კორამ, — ინდიელი მეომარი მომთმენი
იყო და მისი სული არ გრძნობდა და ვერც გაიგებდა ტკივილს,
რომელსაც სხეული განიცდიდა.

— როდესაც ჩიპეუებმა ბოდზე მიაბეს მაგუა და ეს ღრმა
ნაიარევი დააჩნიეს, — მიუგო ჰურონმა და ამაყად დაიდო თითი
მკერდის ღრმა ნაჭრილობებზე, — ჰურონი პირში დასცინოდა
მათ და ეუბნებოდა, დიაცებმა იციან ეგრე მსუბუქი დაკვრაო! მა-
შინ მისი სული ღრუბლებში დაფრინავდა. მაგრამ როცა მანროს
დარტყმებს გრძნობდა, მაშინ მისი სული სახრის ქვეშ იდო. ჰუ-
რონის სული არასოდეს არ თვრება, მას სამარადისოდ ახსოვს!

— მაგრამ იგი შეიძლება დაშოშმინდეს. თუ მამაჩემი ასე უსა-
მართლოდ მოგეპყრო, უჩვენე, როგორ შეუძლია ინდიელს
შეურაცხყოფის პატიება და დაუბრუნე შვილები. მაიორმა
ჰეიუარდმა უკვე გითხრა...

მაგუამ გააქნია თავი და აღარ დაანება იმ საჩუქრების ჩამოთ-
ვლა, რომლებიც მას არად მიაჩნდა.

— მაშ, რა გინდა? — განაგრძო კორამ გულის გამაწვრილებე-
ლი დუმილის შემდეგ და თანაც ეჭვი დაებადა, რომ ფიცხი და
დიდსულოვანი დუნკანი სასტიკად მოატყუა მზაკვარმა ველურ-
მა.

— ჰურონს უყვარს კეთილისათვის კეთილი და ავისათვის ავი.

– მაშ, შენ მანროს ჯავრი მის უმწეო შვილებზე უნდა იყარო? უფრო ვაჟკაცური არ იქნება, წახვიდე იმასთან და როგორც მეომარს, პასუხი მოსთხოვო?

– მკრთალსახიანებს ხელები გრძელი აქვთ და დანები ბასრი! – მიუგო ჰურონმა ღვარძლიანი სიცილით, – რატომ უნდა მიუშვიროს გული ცბიერმა მელამ მისი მეომრების თოფებს, როცა ჭადარათმიანის სული მის ხელშია?

– თქვე შენი განზრახვა, მაგუა, – უთხრა კორამ წყნარად და მტკიცედ, – ტყვეებად გინდა წაგვიყვანო, თუ სხვა უარესი ავკაცობა გიდევს გულში? ნუთუ არ მოიპოვება ისეთი ჯილდო, რომ ეგ დანაშაული გამოისყიდოს კაცმა? ჩემი უწყინარი და მაინც გაათავისუფლე და მთელი ჯავრი ჩემზე იყარე. მისი გამოსახსნელით მოიპოვე სიმდიდრე და შურისძიების გრძნობა მხოლოდ ერთი მსხვერპლით დაიკმაყოფილე. ორივე შვილის დაკარგვა სამარის კარს მიიყვანს მოხუცს და მაშინ როგორღა იყრის ჯავრს ცბიერი მელა?

– მისმინე, – უთხრა ინდიელმა, – ცისფერთვალა შეუძლია დაბრუნდეს ჰორიკონს და უთხრას მოხუც ბელადს, რაც მოხდა, თუ შავთმიანი ქალი დაიფიცებს მამა-პაპათა დიდ სულს, რომ ტყუილს არ იტყვის.

– მერე რა პირობა უნდა მოგცე? – დაეკითხა კორა, რომელიც თავისი დარბაისლური ქცევითა და ღირსეული ქალური თავდაჭერით კვლავ ინარჩუნებდა იდუმალ გავლენას ინდიელის აბორგებულ გულისთქმაზე.

– როცა მაგუა წამოვიდა თავისი ტომიდან, მისი ცოლი სხვას მისცეს. ახლა იგი ისევ დაუმეგობრდა ჰურონებს და დაუბრუნდება წინაპართა საფლავებს დიდი ტბის ნაპირას. ინგლისელი ბელადის ქალიშვილი წაჰყვეს და სამუდამოდ იცხოვროს მის უიგუამში.

რა ამაზრზენიც უნდა ყოფილიყო კორასათვის ეს წინადადება, ზიზღის მიუხედავად ქალმა მაინც მოახერხა თავის შეკავება და აუღელვებლად უპასუხა:

— აბა, რა სიამოვნებას ნახავს მაგუა, თავის ქოხში ისეთ ცოლს თუ შეიყვანს, რომელიც არ უყვარდა, რომელიც სხვა ერისა და ფერის იქნება! უკეთესია მანროს ოქრო აიღოს და საჩუქრებით რომელიმე ჰურონი ქალწულის გული მოიგოს.

ინდიელს თითქმის ერთ წუთს პასუხი არ გაუცია, მაგრამ თვალები ისეთი ვნებით დააშტერა კორას სახეს, რომ ქალწულმა დარცხვენით დახარა თავი, რადგან თავის სიცოცხლეში პირველად ხედავდა ისეთ მზერას, რომელსაც ვერც ერთი უბიწო ქალი შიშით თვალს ვერ გაუსწორებდა. სანამ ქალს გული ეკუმშებოდა, ამ უკანასკნელზე უფრო თავბარდამცემმა სხვა წინადადებამ არ შეურაცხყოს ჩემი სმენაო, მაგუამ ნიშნის მოგების კილოთი მიუგო:

— როცა ნაცემი აეწვევა ზურგზე ჰურონს, მას ეცოდინება სად იპოვოს დიაცი, რომელიც იგრძნობს მწარე ტკივილს. მანროს ქალი მოუტანს წყალს, დაუთოხნის ყანას და შეუწავს ნანადირევს. ჭაღარათავიანის ტანს თავის ბარბაზნებს შორის ეძინება, მისი გული კი ცბიერი მელას დანას ვერსად წაუვა.

— ურჩხულო! სწორედ რომ შეგფერის ეგ შენი მუხთალი სახელი! — გულისწყრომა ველარ შეიკავა კორამ, — მხოლოდ სატანას შეეძლო ასეთი შურისძიების მოფიქრება! შენ უძლეველი გგონია თავი. მართლაც, რომ ხელთა გაქვს მანროს გული, მაგრამ იგი შენს უსაზღვრო ბრაზსა და გულბოროტებას არაფრად ჩააგდებს!

ამ შეუპოვარ გამოწვევას ინდიელმა შემადრწუნებელი ღიმილით უპასუხა, რომელიც ადასტურებდა მის მტკიცე გადაწყვეტილებას და ანიშნა, აქედან გამეცალეო, თითქოს სამუდამოდ გაწყვიტა მოლაპარაკება მასთან. კორამ უკვე ინანა ასეთი გაფიცბე-

ბა და ის-ის იყო მოდრეკას აპირებდა, რომ მაგუა მოსწყდა ადგილიდან და თავის ღორმუცელა ამხანაგებს მიუახლოვდა. ჰეიუარდი მივარდა აღელვებულ ქალწულთან და სთხოვა, ეთქვა საუბრის შედეგი, მაგრამ კორას ალისას შემოფოთება არ უნდოდა და თავი აარიდა პირდაპირ პასუხს, მხოლოდ სახეზე აღბეჭდოდა სრული იმედგაცრუება და თვალს არ აცილებდა მტრების უმცირეს მოძრაობასაც კი. დის კითხვაზე, რა ბედი გველისო, კორამ არაფერი უპასუხა, ალისა ჩაიკრა გულში და წაიბუტბუტა:

— იქ, იქ, იმათ სახეში ამოიკითხავ ჩვენს ბედს! ვნახოთ, ვნახოთ, რა იქნება!

კორას ქცევამ და ბორძიკით ლაპარაკმა უფრო დიდი შთაბეჭდილება დატოვა, ვიდრე მისი გრძლად ნაამბობი მოახდენდა. ყველამ მაგუასა და მის მეგობრებს გახედა.

როცა მაგუამ დანაყრებულ და მიწაზე კმაცოფილებით გაშლართულ ჰურონებს მიაღწია, ინდიელი ბელადის მთელი ღირსების შეგნებით დაიწყო ლაპარაკი. მაგუას წარმოთქმულ პირველსავე ბგერებზე მსმენელები წამოიმართნენ და მოწიწებით მიუგდეს ყური. ჰურონი თავის მშობლიურ ენაზე ლაპარაკობდა, ამიტომ მისი სიტყვის შინაარსს ტყვეები მხოლოდ მიხრა--მოხრითა და მოძრაობით თუ მიხვდებოდნენ.

პირველად მაგუას ლაპარაკი და ქცევა წყნარი და დარბაისლური ჩანდა. როცა საკმაოდ მიიპყრო ამხანაგების ყურადღება, ჰეიუარდმა მისი ხელის მოძრაობიდან გამომდინარე დაასკვნა, რომ ის თავის ქვეყანასა და შორეულ ტომზე ლაპარაკობდა. მსმენელებს კმაცოფილების შეძახილი აღმოხდებოდათ ხოლმე. ცბიერი მელა მეტისმეტად მარჯვე იყო და, რასაკვირველია, წარმატებით დაწყებულ საქმეს ხელიდან არ გაუშვებდა. ის გადავიდა იმ გრძელ და მძიმე ლაშქრობაზე, რომლისათვისაც მიატოვეს სანადირო მიწები და ბედნიერი სოფლები, რათა მოსულიყვნენ და შეჰბმოდნენ თავიანთი კანადელი მამების მტრებს. ჩა-

მოთვალა რაზმის მეომრები, მათი ღირსება, ბევრი დამსახურება ტომის წინაშე, მათი ჭრილობები და მოპოვებული სკალპების რაოდენობა. როგორც კი რომელიმე იქ მყოფს ახსენებდა (ცბიერი ინდიელი არავის ტოვებდა), თავმოქონილ ჰურონს პირ-ქუში სახე ებადრებოდა და არ აყოვნებდა მისი ნათქვამის ჭეშმარიტებაზე კვერი დაეკრა. მერე ორატორის ხმა დადაბლდა და ზეიმის შთამაგონებელი კილო დაკარგა. ცბიერმა მელამ თითი ახალგაზრდა ტყვე ჯარისკაცისაკენ გაიშვირა და იმ საყვარელი მეომრის სიკვდილი აღწერა, რომელიც უფსკრულში გადაჩეხა. შემდეგ არა მარტო მოიხსენიეს იმისი ბედი, ზეცასა და დედამიწას შორის რომ იყო გამოკიდებული და მთელი გუნდისათვის ასეთ შემადრწუნებელ სანახაობას წარმოადგენდა, არამედ კიდევ გაითამაშა მისი საშინელი მდგომარეობა, მისი შეუდრეკლობა და დაღუპვა. წვრილად მოჰყვა ყველა მეგობრის სიკვდილის ამბავს, არ ივიწყებდა მათი ვაჟკაცობისა და განსაკუთრებით ცნობილი მამაცობის შემთხვევებს. როცა ამ ამბების თხრობა დაასრულა, ხმა ერთხელ კიდევ შეეცვალა, — ნაღვლიანი და მუსიკალურიც კი გაუხდა. ის ახლა ლაპარაკობდა დახოცილთა ქვრივებსა და ობლებზე. ბოლოს გაიხსენა შეურაცხყოფა, რომლისთვისაც შური უნდა ეძია. მერე უცბად ხმას აუწია:

— ჰურონები განა ძაღლები არიან, რომ ეს აიტანონ? ვინ ეტყვის მენოუგუას ცოლს, რომ თევზებს ხვდათ წილად მისი სკალპი და რომ მის ხალხს სისხლი არ აუღია? რომელი გაბედავს, ხელცარიელი დაენახოს უასაუატიმის დედას? რა უნდა ვუთხრათ მოხუცებს, როცა სკალპებს მოიკითხავენ, ჩვენ კი თეთრკანიანის თმის ერთი ღერიც არ გაგვაჩნია! დიაცების დასაცინი გავხდებით. ჰურონთა სახელს შავი ლაქა აჩნია და ეს ლაქა სისხლით უნდა ჩამოირცეხოს!

მისი ხმა მრისხანე ღრიანცელმა დაფარა, თითქოს ტყეში ჰურონების მარტო ეს პატარა გუნდი კი არა, მთელი მათი ტომი ყო-

ფილიყოს თავმოყრილი. მთელი იმ ხნის განმავლობაში, რაც ორატორი ლაპარაკობდა, მისი განწყობილების ცვლა დაინტერესებულ დამკვირვებელს ძალიან მკაფიოდ შეეძლო ამოეკითხა მსმენელთა სახეებზე. მის მწუხარე და მგლოვიარე კილოს თანაგრძნობითა და სევდით პასუხობდნენ; მის მტკიცებებს — დამადასტურებელი ხელის მოძრაობით; ხოლო მის ტრაბახს კი — ველური აღტყინებით. როცა მამაცობაზე ლაპარაკობდა, მათი გამომეტყველება მტკიცე იყო და გულისხმიერი; როცა მათ შეურაცხყოფასა და ზიანს გადასწვდა, მათი თვალები რისხვით აელვარდა; როცა მათი დიაცების დაცინვა ახსენა, სირცხვილით ჩაჰკიდეს თავები; მაგრამ როდესაც შურისძიების გზა უჩვენა, ხელი ისეთ სიმს ჩამოჰკრა, რომელიც ყოველთვის იპოვის გამოძახილს ინდიელთა გულში. შურისძიების ხსენებაზე მთელი გუნდი ერთდროულად წამოიჭრა ფეხზე, მრისხანედ და გაშმაგებით დასცეს ყიჟინა, შემდეგ კი გაშიშვლებული დანებითა და შემართული ტომაშაუკებით ერთბაშად მიაშურეს ტყვეებს. დებსა და მტრებს შორის ჩამდგარი ჰეიუარდი თავგანწირვით ეკვეთა მოწინავე მეომარს და ერთი წამით შეაკავა იგი. ამ მოულოდნელ წინააღმდეგობაზე მაგუამ დრო იხელთა, ჩაერია და გაცხარებული ლაპარაკითა და ხელის ქნევით კვლავ მიიპყრო გუნდის ყურადღება; თავისი მზაკვრული, მოქარგული ენით ხელი ააღებინა ამხანაგებს განზრახვის უცბად ასრულებაზე და მოუწოდა მათ, გაეხანგრძლივებინათ თავიანთი მსხვერპლების ტანჯვა. მის წინადადებას მოწონების შეძახილებით შეხვდნენ.

ორი ღონიერი მეომარი ერთად ეცა ჰეიუარდს, ერთი კი — უფრო ნაკლებად საშიშ გალობის მასწავლებელს. არც ერთი ტყვე არ დამორჩილებია მათ თავგანწირული, მაგრამ უნაყოფო წინააღმდეგობის გარეშე. დავითმაც კი დაანარცხა მიწას თავდამსხმელი და ვერც ჰეიუარდი დაიმორჩილეს მანამდე, სანამ დავითზე გამარჯვების შემდეგ ინდიელებმა ერთად არ მიიტანეს

იერიში მასზე. იგი შეკრეს და მიაბეს იმ ხეს, რომლის ტოტებზეც გაითამაშა მაგუამ დაკიდებული ჰურონის მუნჯი სცენა. როცა ახალგაზრდა მხედარი გონს მოვიდა, მიხვდა, რომ ყველასთვის ერთნაირი ხვედრი იყო გამზადებული. მის მარჯვენა მხარეს გაფითრებული და აღელვებული კორაც ასეთივე ყოფაში იყო, მაგრამ მაინც არ აცილებდა თვალს მტრების მოძრაობას. ალისა ერთიანად ცახცახებდა. ხელები ერთმანეთისთვის ჩაეჭიდა ვედრების ნიშნად, მაგრამ გეცისაკენ ცქერის ნაცვლად მისი დაბნეული თვალები ბავშვური უსუსურობით დუნკანის სახეს ეძებდნენ. დავითი ახალ გარემოებას დაედუმებინა — გონებაში წონიდა ამ უჩვეულო საქმის მართებულობას.

ჰურონების შურისძიებამ ახლა სხვა მიმართულება მიიღო და მის შესასრულებლად მთელი იმ ველური ხელოვნების გამოყენებით ემზადებოდნენ, რაშიც საუკუნეების მანძილზე ოსტატდებოდნენ. ზოგი ტოტებს აგროვებდა დიდი კოცონის დასანთებად, ერთი ნაფოტებს ათლიდა ფიჭვს, რათა ეს ცეცხლმოკიდებული ნაფოტები ტყვეების ხორცში ჩაერჭოთ; სხვები ორი ნორჩი ხის კენწეროს ხრიდნენ, რათა ჰეიუარდი გამოეხატა ხელებით. მაგრამ მაგუა თავისი შურისძიებისათვის კიდევ უფრო ღრმა და ავკაცურ სიამეს ეძებდა.

სანამ გუნდის სხვა, უფრო ნაკლებად გულღრძო წევრები მსხვერპლთა თვალწინვე ამზადებდნენ წამების ამ კარგად ცნობილ და ჩვეულებრივ საშუალებებს, მაგუა მიუხელოვდა კორას და უზომოდ ბოროტი სახის გამომეტყველებით მიუთითა იმ ბედზე, რომელიც მას ელოდა.

— ჰა! — თქვა მან, — რას იტყვის მანროს ასული? მისი თავი ისე კარგია, რომ ცბიერის ქოხის სასთუმალი არ ეკადრება, მაგრამ ის ურჩევნია, რომ ამ ფერდობზე დაგორდეს და მგლების საძიძვნად იქცეს? მის მკერდს ჰურონის შვილების ძიძობა არ შეუძ-

ლია, მაგრამ ნახავს, როგორ მიაფურთხებენ მას ზედ ინდიელე-
ბი!

— რას ჩმახავს ეს ურჩხული? — ჰკითხა განცვიფრებულმა
ჰეიუარდმა.

— არაფერს! — მტკიცედ, მაგრამ ალერსიანად მიუგო კორამ,
— ეგ ველურია, ტლანქი და უგუნური ველური და არ იცის, რას
სჩადის. ჩვენი სიცოცხლის ამ უკანასკნელ წუთებში მაგისტრისაც
ვევედროთ მონანიებასა და პატიებას.

— პატიებას! — გაიმეორა გაშმაგებულმა ჰურონმა, რომელიც
გულმოსულობაში ვერ მიხვდა მისი ნათქვამის აზრს, — ინ-
დიელის ხსოვნა მკრთალსახიანთა ხელზე უფრო გრძელია; მისი
შემბრალებლობა კი — მათ სამართალზე უფრო მოკლე! თქვი,
ქერათმიანი გავუგზავნო მამამისს და შენ კი მაგუას წაჰყვები დი-
დი ტბებისაკენ, რომ წყალი უზიდო და პური აჭამო, თუ არა?

კორამ დაუფარავი ზიზღით გაიქნია თავი, მომცილდიო.

— მომშორდი, — უთხრა მან ისე ამაყად, რომ ინდიელის სი-
სასტიკეს ერთი წამით ზღვარი დაუდო: — შენ უკანასკნელ ლოც-
ვას მიმწარებ და ჩემსა და ჩემს ღმერთს შორის დგები!

მაგრამ მსუბუქმა შთაბეჭდილებამ მალე გადაუარა ჰურონს.
მან დაცინვით მიუთითა ალისაზე და განაგრძო:

— შეხედე! ბალღი ტირის! მისთვის ჯერ ადრეა სიკვდილი! გა-
უგზავნე მანროს, რომ ჭაღარა თმა დაუვარცხნოს და სიცოცხლე
შეუნარჩუნოს მოხუცს!

კორამ ვერ მოითმინა და დას გადახედა, რომლის მავედრე-
ბელ თვალებშიც სიცოცხლის წყურვილი ამოიკითხა.

— რას ამბობს ეგ, კორა, გენაცვალე? — ავანკალებული ხმით
ჰკითხა ალისამ, — ალისას გავუგზავნი მამასო?

კარგა ხანს უყურებდა უფროსი და უმცროსს. ბოლოს ლაპა-
რაკი დაიწყო და მის კილოს სიმშვიდე დაჰკარგოდა, მაგრამ დე-
დობრივი სინაზით ჟღერდა.

— ალისა, — უთხრა მან, — ჰურონი ორივეს სიცოცხლეს გვპირდება... და უფრო მეტიც, გვპირდება დაუბრუნოს დუნკანი... ჩვენი ძვირფასი დუნკანი და შენც, ჩვენს მეგობრებს... ჩვენს მამას, ჩვენს გულმოკლულ, შვილებდაკარგულ მამას, თუ მე მოვდრეკ ამ ჩემს უჯიათ ამპარტავნობას და დავთანხმდები...

ხმა ჩაუწყდა, თვალები ზეცისკენ მიეპყრო, თითქოს იქიდან ელოდა შთაგონებას.

— მერე, — შესძახა ალისამ, — ოჰ, ეგ რომ ჩემთვის ეთქვა! შენი გადარჩენისათვის, ჩვენი მოხუცი მამის გახარებისათვის, დუნკანის ხსნისათვის, რა სიამოვნებით მოვკვდებოდი.

— მოვკვდებოდი? — გაიმეორა კორამ უფრო წყნარი და მტკიცე ხმით, — ეგ ადვილი საქმეა, მაგნაირი ბედი რომ მელოდეს. მაგრამ იმას უნდა, — განაგრძო მან და მღელვარებისგან ხმამ უღალატა, — უდაბურ ადგილებში წავყვე; ჰურონთა ქვეყანაში წავიდე და იქ დავრჩე; ერთი სიტყვით, მისი ცოლი გავხდე! აბა, თქვი, ალისა, ჩემო სანუკვარო შვილო! ჩემო საყვარელო დაო! და თქვენც, მაიორო ჰეიუარდ, მირჩიეთ რამე. ღირს განა სიცოცხლის ყიდვა ასეთი მსხვერპლით? მიიღებ, ალისა სიცოცხლეს ამ ფასად? და თქვენც, დუნკან! მითხარით, მიბრძანეთ, რაც გინდათ, რადგან მე მთლიანად თქვენ გეკუთვნით.

— მიიღებო? — გაიმეორა განაწყენებულმა და განცვიფრებულმა ჭაბუკმა, — კორა! თქვენ დასცინით ჩვენს უბედურებას! აღარ ახსენოთ ეგ ამბობენი არჩევანი; მაგაზე მარტო ფიქრსაც კი ათასი სიკვდილი სჯობია!

— თქვენ რომ ამას იტყოდით, კარგად ვიცოდი! — შესძახა კორამ, რომელსაც დაწვები შეუფაკლდა და შავ თვალებში ერთხელ კიდევ გაუელვა მიმქრალმა, მაგრამ წუთიერმა ქალურმა ნაპერწკალმა, — რას იტყვის ჩემი ალისა? მის ნათქვამს კრინტის დაუძვრელად დავემორჩილები.

თუმცა ორივე, ჰეიუარდი და კორა, გულისყურით უსმენდნენ, საპასუხო ხმა არ გაუგონიათ. თითქოს ნაზსა და მგრძობიარე ალისას ამ წინადადების გაგონებაზე გული ჩასწყდაო. თავი მკერდზე ჩამოუვარდა; მთელი მისი სხეული უსიცოცხლოდ ეკიდა ხის ტანს და ერთი შეხედვით მგრძობიარე ქანდაკებას წააგავდა. მაგრამ მალე მტკიცე უარის ნიშნად ნელ-ნელა დაიწყო თავის აქეთ-იქით ქნევა.

— არა, არა, არა; უკეთესია ორივე დავიხოცოთ, როგორც ვცხოვრობდით... ერთად.

— მაშ, მოკვდი! — დასტყვივლა მაგუამ, გაშმაგებით სტყორცნა უმწეო ქალს ტომაჰაუკი და თანაც უკვე შეუკავებელი გააფთრებით გაახრჩიალა კბილები, როცა უცებ ამნაირი სიმტკიცე იხილა ისეთ ადამიანში, რომელიც ყველაზე სუსტად მიაჩნდა. ნაჯახმა ჰეიუარდის წინ გააპო ჰაერი, რამდენიმე გაფრიალებული კულუ-ლი შეაჭრა ალისას, მის თავს ზემოთ შეერჭო ხეს და აძაგდაგდა. ამის დანახვამ დუნკანი გააგიჟა და თავზე ხელი ააღებინა. მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, ერთი გაბრძოლებით შემოიწყვიტა წნელები და მიაშურა მეორე ჰურონს, რომელიც ხმამაღალი ყიჟინითა და უფრო მეტი გულმოდგინებით აპირებდა სროლას. ისინი ეძგერნენ ერთმანეთს და ორივენი წაიქცნენ. მოწინააღმდეგის შიშველ ტანს ჰეიურდმა ხელი ვერ მოჰკიდა. ჰურონი გაუსხლტა, წამოიჭრა, ცალი მუხლი დააბჯინა მკერდზე და გოლიათის სიმძიმით დააწვა. დუნკანმა თვალი მოჰჭრა ჰაერში გაელვებულ დანას, ამას თოფის მჭახე ხმაც მოჰყვა. მან იგრძნო, რომ მკერდზე მოეშვა და შეამჩნია, მოპირდაპირის გამხეცებული სახის გამომეტყველება როგორ შეცვალა გაოგნებამ. ინდიელი უსულოდ გაიშხლართა დამტკნარ ფოთლებზე, მის გვერდით.

ხუმარა: მე მივდივარ, ბატონო ჩემო, და მსწრაფლ ისევ აქ გავჩნდები, ბატონო ჩემო.

შექსპირი. „მეთორმეტე ღამე“

ამხანაგის ასეთმა მოულოდნელმა სიკვდილმა თავგარი დასცა ჰურონებს. ყველამ ერთბაშად წამოიძახა — „გრძელი თოფი-ო“; ამას მოჰყვა ველური და შესაბრალოსი ღრიალი. ამ ღრიალს ხმამაღალი ყიჟინით უპასუხეს პატარა ჯაგნარიდან, სადაც დაუდევარ ჰურონებს იარაღი ეწყობ. მეორე წამში ქორის თვალის გამოჩნდა, რომელიც კეტივით მოიქნევედა იარაღს და მძლავრი ნახტომებით მოაპობდა ჰაერს. თუმცა მზვერავი თავგანწირვითა და გამალებით მოქროდა, მას მაინც გამოუსწრო უნკასმა, რომელიც აუწერელი სიფიცხითა და გაბედულობით შევარდა ჰურონების შუაგულში, კორას წინ ჩადგა და მუქარით იქნევედა ტომაჰაუკსა და აელვარებულ დანას. ამ თავგებულადებულ მოქმედებას ფიქრის უსწრაფესად მოჰყვა სიკვდილის გამოსახულების მატარებელი ვაჟკაცი, რომელიც მოჩვენებასავით გამოჩნდა მათ თვალწინ და მრისხანედ ამოუდგა გვერდში პირველს. მწვალებლები შედრკნენ ამ მამაცი დაუპატიჟებელი სტუმრების წინაშე და ჯერ განცვიფრების ჩვეული შეძახილი აღმოხდათ, მერე კი კარგად ნაცნობი და თავგარდამცემი სახელები:

— ფეხმალი ირემი! დიდი გველი!

მაგრამ ჰურონთა ფრთხილ და ფხიზელ ბელადს ადვილად ვერავინ შეაშინებდა. გამჭრიახი თვალი მოავლო ვაკობს, ელვის სისწრაფით გაითვალისწინა თავდასხმის ხასიათი, სიტყვითა და საქმით შეუდგა ამხანაგების გამხნევებას, იშიშვლა დანა, ყიჟინა დასცა და ჩინგაჩგუკს მიაშურა. ეს იყო ბრძოლის დაწყების ნიშა-

ნი; არც ერთ მხარეს სასროლი იარაღი არ გააჩნდა, ხელჩართული ბრძოლა უნდა გამართულიყო.

უნკასმა ყიჟინას ყიჟინითვე უპასუხა, ერთ ჰურონს მიუხტა და ტომაჰაუკის მარჯვე დარტყმით ტვინი გადმონახევირა. ჰეიუარდმაც აჰგლიჯა ხეს მაგუას იარაღი და თავდავიწყებით ჩაება ბრძოლაში. რადგან მეგრძოლები რიცხოებრივად გათანაბრდნენ, ყველამ თითო მოწინააღმდეგე ამოირჩია. ქორის თვალი სხვა მტერსაც მალე მისწვდა: ერთი მოქნევით მოწინააღმდეგეს უხეირო საფარველი შელეწა და მძიმე დარტყმით მიწაზე გააგორა. ჰეიუარდს გულმა არ მოუთმინა და სანამ ახლოს მიუდგებოდა ჰურონს, შორიდანვე სტყორცნა ტომაჰაუკი. ინდიელს შუბლში მოხვდა იგი და ერთი წამით შეაჩერა. ამ წარმატებით გათამამებული გულფიცხი ახალგაზრდა კაცი ხელცარიელი ეძგერა მტერს. ეს არასწორი საქციელი იყო, რადგან ჰურონის დანას თავი ძლივს დააღწია. ამ დროს მოესმა ძახილი:

— გაწყვიტეთ ეგ წუწკები! არ შეიბრალოთ წყეული მინგოები!

როცა უნკასმა პირველ მოწინააღმდეგეს თავი გაუხეთქა, მშეირი ლომივით სხვის საძებნელად მიმოიხედა. მეხუთე და ერთადერთი ჰურონი, რომელიც პირველ შებმაზე მეტოქის გარეშე დარჩა, შედგა, ხოლო შემდეგ, რაკი დაინახა, რომ მის გარშემო ყველა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იყო ჩაბმული, ჯოჯოხეთური შურისძიებით აღძრული შეეცადა დაესრულებინა ჯავრის ამოყრის ჩაფუშული საქმე. გამარჯვების ყიჟინა დასცა და უმწეო კორასაკენ ისკუპა. ამ დროს ტომაჰაუკმა ქალს მხარში გაჰკრა, გადაუჭრა წნელები, რომლითაც მიკრული იყო ხეზე და გაათავისუფლა. კორა გაუსხლტა ინდიელს, საფრთხეს ყურადღება არ მიაქცია და ალისას მივარდა, რათა დაკრუნხხული, აკანკალებული თითებით მისთვის წნელები შემოეგლიჯა. ურჩხულის გარდა, ყველას მოულობობდა გულს თავგანწირვის ასეთი მაგალითის ხილვა, მაგრამ ჰურონისთვის უცხო იყო ღმო-

ბიერება. მან კორას ხელი სტაცა მბზინვარე, ჩამოშლილ თმაში, დას მოაშორა და ერთი მოქნევით დააჩოქა. ჰურონმა გაშლილ თმას მუჭში მოუყარა თავი, გაჭიმული მკლავით ასწია და გამარჯვებულის დამცინავი ხარხარით შემოავლო გარშემო დანა მსხვერპლის ტურფად ნაქანდაკევ თავს. სწორედ ამ დროს უნკასმა შეასწრო თვალი. ახალგაზრდა მოჰიკანმა ისკუპა, ტყვიასავით დაეცა მტერს და ძირს გააგორა. დარტყმა ისეთი ძლიერი მოუვიდა, რომ უნკასმა თავი ვეღარ შეიმაგრა და ისიც მის გვერდით დაეცა. ორივე ერთად წამოიჭრა ფეხზე, შეიბნენ და სისხლი ადინეს ერთმანეთს. მაგრამ ჭიდილს ბოლო მალე მოეღო: ჰეიუარდის ტომაჰაუკი და ქორის თვალის თოფი ერთდროულად გავარდა, ჰურონი უსულოდ დაეცა.

ცბიერი მელა და დიდი გველი ერთმანეთს ებრძოდნენ. ამ მეომრებმა დაამტკიცეს, რომ სამართლიანად დაემსახურებინათ თაავიანთი ზედსახელები. ბრძოლის ადგილას მხოლოდ მტვრისა და ფოთლების ბული იდგა. ჰეიუარდმა და მისმა ამხანაგებმა ერთდროულად მიაშურეს იმ ადგილს. უნკასი ამაოდ უტრიალებდა მტვრის ღრუბელს, ეგებ მამაჩემის მტერს დანა როგორმე გულში ჩავცეო, ხოლო დუნკანი ტყუილად ცდილობდა, ხელი ჩაეგვლო ჰურონისათვის. სიკვდილის გამოსახულების მქონე მოჰიკანისა და ჰურონის შავი სხეულები ისე სწრაფად მოძრაობდნენ, რომ ჩინგაჩგუკის მეგობრებმა არ იცოდნენ, სად ან როდის დაერთყათ. ამ ყოფით, ბრძოლის ადგილმა ვაკობის შუაგულიდან კლდისაკენ გადაინაცვლა. მოჰიკანმა ახლა კი იხელთა დრო და მძლავრად ჩასცა დანა. მაგუამ ხელი გაუშვა და დაეცა. ჩინგაჩგუკი წამოხტა და გამარჯვების ყიჟინით უღრანი ტყე შეაზანზარა.

— კარგი ნახელავია დელავერთათვის! გაუმარჯოს მოჰიკანს!
— შესძახა ქორის თვალმა და თოფი ერთხელ კიდევ შემართა.

მაგრამ სწორედ იმ წუთში მზაკვარი ჰურონი სწრაფად გადაგორდა ფლატეზე, მერე ფეხზე წამოიჭრა და ერთი ნახტომით

ჩაიმალა დაბალ ჯაგნარში, რომელიც გარს ერტყა ბორცვს. დელავერებმა, რომლებსაც მტერი მკვდარი ეგონათ, გაკვირვებით წამოიძახეს რაღაც და ყიჟინით გამოუდგნენ, როგორც მწევრები გამოენთებიან ნადირს, მაგრამ მზვერავის თავისებურმა ძახილმა განზრახვა შეაცვლევინათ. ისინი კვლავ ბორცვის წვერზე დაბრუნდნენ.

— სწორედ მას ჰგავდა! — შესძახა ტყის ძველმა ბინადარმა, რომელსაც ყოველთვის დალატობდა სამართლიანობის გრძნობა, როცა საქმე მინგოებს ეხებოდა, — ცრუ და მატყუარა წუწკი რომ არის! ნამუსიანი დელავერი ახლა, რაკი პატიოსან ბრძოლაში დამარცხდა, სიკვდილს არჩევდა, ეს წუპაკი მინგოები კი გარეულ კატასავით ებლაუჭებიან სიცოცხლეს. დაე, წავიდეს. ეგ ხომ ერთი კაცია, თან არც თოფი აქვს, არც მშვილდი, ფრანგ მეგობრებსაც მრავალი მილითაა დაშორებული და ვერაფერს გვაზნებს. უნკას, — დაუმატა მან დელავერულად, — მამაშენი უკვე სკალპებს აგროვებს! კარგი იქნება, რომ ჩამოვუაროთ დარჩენილ წუპაკებს და გავსინჯოთ, თორემ ეგებ სხვაც გადაგვიხტეს ტყეში და ფრთამოტეხილი ჩიკვივით მოჰყვეს ჩხავილს!

ეს რომ თქვა, შეუბრალებელმა მზვერავმა ჩამოუარა დახოცილებს და უსულო გვამებს საოცარი გულგრილობით გაუყარა თავისი გრძელი დანა.

უნკასმა კი ძვალ-რბილში გამჯდარი ადათი დაივიწყა და თავაზიანობის გრძნობით აღძრული, ჰეიუარდის თანხლებით გაქანდა დების საშველად; გაათავისუფლა ალისა, რომელიც გულში ჩაეკრა ხელებგამლილ კორას. შეუძლებელია აღვწეროთ ის მადლიერების გრძნობა, რომელიც ქალწულების გულში გაღვივდა. დიდხანს უხმოდ და გულმხურვალედ უალერსეს ერთმანეთს. კორას გვერდით დაჩოქილი ალისა წამოდგა, გულში ჩაეკრა დას და სლუკუნით ახსენა მოხუცი მამის სახელი.

— გადავრჩით, გადავრჩით! — ტიტინებდა იგი, — ჩვენს საყვარელ მამას დავუბრუნდებით, მას დარდით გული აღარ მოუკვდება! შენც გადარჩი, კორა, ჩემო დაო და დაზე უფრო მეტო — ჩემო დედავ; დუნკანიც გადარჩა, — დაუმატა მან და უმანკო ღიმილით გადახედა ჭაბუკს, — ჩვენი მამაცი და კეთილშობილი დუნკანიც კი უვნებლად გადარჩა!

სხაპასხუპით და არევ-დარევით ნათქვამ ამ სიტყვებზე კორას პასუხი არ გაუცია, მხოლოდ უფრო მაგრად ჩაიკრა გულში და და გულაჩუყებული უაღერსებდა. ჰეიუარდს ვაჟკაცისათვის სათაკილოდ არ ჩაუთვლია, რომ ამ ამადელვებელი სურათის ხილვაზე ცრემლები გადმოსცვენოდა. სისხლით მოსვრილი უნკასიც, მართალია, მშვიდი და უძრავი მაყურებლის სახით იდგა, მაგრამ მის თვალებს უკვე დაჰკარგოდა მრისხანება და ნაზი თანაგრძნობით უბრწყინავდა, ეს კი მისი წარმომავლობის ადამიანისათვის უჩვეულო რამ იყო.

როცა ქორის თვალი დარწმუნდა, რომ ჰურონებიდან ცოცხალი არავინ დარჩენილიყო, დავითთან მივიდა, რომელიც მანამდე სანიმუშო მოთმინებით იტანდა თავის ხვედრს, და უთხრა:

— თუ არ გეწყინება რჩევა ისეთი კაცისგან, რომელიც შენზე უფროსი არა არის, მაგრამ რომელსაც სიცოცხლის უმეტესი ნაწილი უდაბურ ადგილებში გაუტარებია და დიდი გამოცდილება მიუღია, სიამოვნებით მოგახსენებდი. ჩემი რჩევაა, ქურთუკის ჯიბეში რომ რაღაც პატარა საპიპინო ხელსაწყო გიგდია, პირველსავე შემხვედრ ტუტუცს მიჰყიდო და იმ ფულით რამე ხეირიანი იარაღი იყიდო, თუნდაც მხედრული დამბაჩა. უფრო გამოგადგება.

— აბჯარი და ბუკ-ნაღარა ომს უნდა, გამარჯვებას კი სამადლობელი საგალობელი შეშვენის! — მიუგო განთავისუფლებულმა დავითმა, — მეგობარო, — დასძინა მან, ალერსიანად გაუწოდა გამხდარი ხელი ქორის თვალს და თვალებში ცრემლი აუკიაფ-

და, — მადლობას მოგახსენებ, რომ არაფერი დამშავებია. შენ გულადი და მარჯვე გამოდექი ბრძოლაში და ამიტომ მადლობას მოგახსენებ, ვიდრე სხვა უფრო მნიშვნელოვანი მოვალეობის აღსრულებას შევუდგებოდე, რადგან შენ დაამტკიცე, რომ ღირსი ხარ ქრისტიანის ხოტბის!

— ეგ უბრალო საქმეა და თუ ჩვენთან დიდხანს დარჩები, მაგისთანებს ბევრს ნახავ, — უპასუხა მზვერავმა, რომელსაც გული მოუღობა მადლიერების გრძნობის ამგვარ გამოხატვაზე, — მე კვლავ ხელში მაქვს ჩემი ძველი ამხანაგი — „ნადირთმჟღეტი“, — დასძინა მან და თოფს ხელი გადაუსვა, — და ეს თავისთავად გამარჯვებაა. იროკეზები ცბიერები არიან, მაგრამ ჭკუა წააგეს, ყველა თოფი რომ მოშორებით დააწყვეს. უნკასსა და მამამისს ინდიელთა დამახასიათებელი ჩვეული მოთმინება რომ ჰქონოდათ, ერთის ნაცვლად სამ ტყვიას ვუთავაზებდით ამ წუჰაკებს და ხელად მოვუდებდით ყველას ბოლოს, იმ ხტუნია თაღლითსაც და მის ამხანაგებსაც. მაგრამ ყველაფერი ბედისწერის საქმეა და ეგებ უკეთესიც იყო, ასე რომ მოხდა!

— მართალს ამბობ, — უთხრა დავითმა, — და ქრისტიანის ჭეშმარიტ რწმენასაც ჩამხვდარხარ. ვინც გადასარჩენია, გადარჩება; ვისაც დასჯა უწერია, დაისჯება! ეს ჭეშმარიტი მოძღვრებაა, იგი მართლმორწმუნეს ძალიან ანუგეშებს და ახალისებს კიდევ.

მზვერავმა, რომელიც ამასობაში დაჯდა და მშობლიური მზრუნველობით ათვალიერებდა თოფს, დაუფარავი უკმაყოფილებით შეხედა დავითს და უკმეხად გააწყვეტინა სიტყვა.

— მოძღვრებაა თუ არა, — თქვა მკაცრმა ტყის კაცმა, — ეგ თაღლითების რწმენაა და პატიოსანი კაცისათვის კი — წყევლა! მე შემიძლია დარწმუნებული ვიყო, რომ ეგ ჰურონი ჩემი ხელით უნდა მომკვდარიყო, რადგან საკუთარი თვალით ვხედავდი ამ ამბავს; მაგრამ ვერ დავიჯერებ, რომ რაიმე ჯილდო ხვდა მას წილად, ანდა რომ აი, ეს ჩინგანგუკი განკითხვის დღეს დაისჯება.

– თქვენ არავითარი საბუთი არ გაგაჩნიათ მაგ მტკიცებისათვის და არც რომელიმე აღთქმა გიჭერთ მხარს, – შესძახა გაცხარებულმა დავითმა. იგი ღრმად იყო გამსჭვალული ღვთისადმი რწმენით.

– აღთქმა! – გაიმეორა ქორის თვალმა განსაკუთრებული და დაუფარავი ამრეზით, – მე სულელი ბავშვი ხომ არ გგონივარ, რომელიმე ბებრუხანის წინსაფრის კალთაზე მიბმული; ანდა ეს საუცხოო თოფი ბატის ფრთის კალაში ხომ არ გგონია, ჩემი სათოფისწამლე ხარის რქა – სამელნე, ჩემი ტყავის ჩანთა კი ჭრელი ხელსახოცი გუშინდელი სადილისათვის? წიგნით! რა საქმე აქვს ჩემისთანა კაცს, უდაბური ადგილების მეომარს, თუმცა ნამდვილ თეთრკანიანს, წიგნებთან? მე ერთი წიგნის გარდა სხვას არ ვკითხულობ და იქ ჩაწერილი სიტყვები ისე უბრალო და მარტივია, რომ ბევრი სწავლა-განათლება არ სჭირდება; თუმცა მე შემეძლია დავიტრაბახო, რომ ორმოცი წელიწადია, რაც ვკითხულობ.

– რა ჰქვია მაგ წიგნს? – ჰკითხა დავითმა, რომელიც ვერ მიხვდა მის ნათქვამს.

– ის გადაშლილია შენ თვალწინ, – მიუგო მზვერავმა, – და ვინც მისი კითხვა იცის, არაფერი დაემალება. ამბობენ, თითქოს მოიპოვებოდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც წიგნებს კითხულობენ, რომ დაირწმუნონ თავი ღვთის არსებობაში! მე არ ვიცი, მაგრამ მხოლოდ ახალშენებში მცხოვრებ ადამიანებს თუ შეუძლიათ საქმის ასე დამახინჯება და ისეთი რამის საეჭვოდ გადაქცევა ვაჭრებსა და მღვდლებს შორის, რაც ტყეში ასე მკაფიოდ ჩანს. თუ მაგნაირი ვინმე მოიპოვება და ერთი მზის ამოსვლიდან მეორემდე თან გამომყვება ტყის მიხვეულ-მოხვეულ ბილიკებში, საკმაოდ ბევრ რამეს ნახავს და დარწმუნდება, რომ სულელია, და მისი უდიდესი სიბრიყვე სწორედ ის არის, რომ ცდილობს

ამაღლდეს იქამდე, რა სიმაღლესაც ვერასოდეს ვერ მიაღწევს ვერც სათნოებითა და ვერც სიმძლავრით.

როგორც კი დავითი მიხვდა, რომ მის მოკამათეს ბუნებისაგან შეეთვისებინა თავისი რწმენა და გაურბოდა მოძღვრების საქმეში ყოველგვარ ჩაღრმავებას, დავა შეწყვიტა, რომელიც, მისი აზრით, არც სარგებელს მოიტანდა და არც პატივს მიანიჭებდა. სანამ მზვერავი ლაპარაკობდა, ისიც დაჯდა, ამოიღო პატარა წიგნი, რკინის ჩარჩოიანი სათვალე და საკითხავად მოემზადა. იგი დასავლეთის კონტინენტის ნამდვილი მგოსანი იყო, ოღონდ გაცილებით გვიანი ხანის, ვიდრე ის ნიჭიერი ბარდები,* რომლებიც წინათ ბარონისა და მთავრის დიდებას უმღეროდნენ. იგი მზად იყო, თავისი ოსტატობა გამოეყენებინა ახლახან მოპოვებული გამარჯვების სადიდებლად, თუ, უფრო სწორად, სამადლობელის სათქმელად. მოთმინებით დაუცადა სანამ ქორის თვალი გაათავებდა, მერე აღაპყრო თვალები, აიმაღლა ხმა და თქვა:

— მოგიწოდებთ, მეგობრებო, ბარბაროსთა და ურწმუნოთა ხელიდან ასე საარაკოდ დახსნის სადიდებლად შემოუერთოთ თქვენი ხმა საუცხოო და დიდებულ ჰიმნს, რომელიც „ნორთჰემპტონის“ კილოზე ითქმის.

ამის შემდეგ დაასახელა გვერდი და ლექსი, სადაც მისი შერჩეული მადლიანი საგალობელი იყო მოთავსებული და კამერტონი ისეთივე ჩვეული, სათანადო სერიოზულობით მიიღო პირზე, როგორც ტაძარში იცოდა ხოლმე. ამჯერად არავინ აპყლოია, დები სწორედ მაშინ აფრქვევდნენ ერთმანეთისადმი ნაზ გრძნობებს. არც მსმენელი ჰყავდა, თუ უკმაყოფილო მზვერავს არ ჩავთვლით, მაგრამ დავითმა ხმა აიმაღლა და ისე დაიწყო და დაასრულა საგალობელი, რომ არც არაფერს შეუშლია ხელი და არც სხვა ამბავი მომხდარა.

ქორის თვალი ყურს უგდებდა, თან აუჩქარებლად ასწორებდა კაუს და ტენიდა თოფს, მაგრამ მისი მთვლემარე გრძნობები საგალობელმა ვერ გაადვიდა. არასოდეს მენესტრელს, — სხვა რა სახელი შეიძლება ეწოდოს დავითს, — არ წარმოუჩენია თავისი ნიჭი ასეთი უგულო მსმენელების წინაშე. მზვერავმა თავი გაიქნია, რამდენიმე სიტყვა წაიბუზღუნა, რომელთა შორის მხოლოდ „ყანყრატო“ და „იროკვებები“ თუ გამოირჩეოდა და წავიდა, რათა შეეგროვებინა და გაესინჯა ჰურონებისაგან დარჩენილი იარაღი. ამ საქმეში ჩინგაჩგუკი წამოეშველა, რომელმაც თავისი და შვილის თოფები იპოვა. ჰეიუარდი და დავითიც კი შეაიარაღეს და ტყვია-წამალიც ბლომად შეაგროვეს.

როცა მზვერავმა და მისმა ამხანაგებმა ნადავლი ამოარჩიეს და გაინაწილეს, ქორის თვალმა ხმამაღლა გამოაცხადა, წასვლის დრო დადგაო. ამასობაში გამუტის გალობა შეწყდა და დებმაც მოასწრეს გრძნობათა დამორჩილება. დუნკანისა და ახალგაზრდა მოჰიკანის დახმარებით ქალები დაუყვნენ ბორცვის ციცაბო ფერდობს, რომელიც ცოტა ხნის წინ აიარეს და რომლის თხემიც კინაღამ მათი საზარელი სიკვდილის ადგილად გადაიქცა. ძირს თავიანთი ცხენები იპოვეს — ბუჩქნარში ბალახს წიწკნიდნენ. შესხდნენ და მიჰყვნენ მეგზურს, რომელმაც უძიმეს სამკვდრო-სასიცოცხლო გასაჭირში ამდენჯერ დაუმტკიცა მათ მეგობრობა. მაგრამ მათი მგზავრობა მოკლე გამოდგა. ქორის თვალმა ჰურონების ოდნავ შესამჩნევი ბილიკიდან მალე მარჯვნივ გადაუხვია, შევიდა ხშირ ბუჩქნარში, გადასერა ჩხრიალა პატარა მდინარე და ვიწრო ხეობაში, რამდენიმე თელის ჩრდილქვეშ შედგა. საბედისწერო ბორცვის ძირიდან მხოლოდ ორიოდუ ათეული ნაბიჯით იყვნენ დაშორებულნი და ცხენები მხოლოდ ნაკადულში გასვლისათვის თუ სჭირდებოდა ქალიშვილებს.

მზვერავმა და ინდიელებმა, ჩანდა, იცოდნენ ეს მივარდნილი ადგილი; თოფები ხეებს მიაყუდეს, შეუდგნენ დამჭკნარი ფოთლების აქეთ-იქით გადაყრას და გამოაჩინეს ჩალურჯებული თიხა, რომლიდანაც ანკარა წყარო ამოჩუხჩუხებდა. თეთრმა კაცმა მიიხედ-მოიხედა, თითქოს რაღაცას ეძებსო, მაგრამ, როგორც ეგონა, ისე მალე ვერ იპოვა.

— იმ ჭინკებს, მოჭაუკებსა და მათ მოძმე ტუსკარორებსა და ონონდაგებს აქ მოუკლავთ წყურვილი, — წაიბურტყუნა მან, — და გოგრა გადაუგდიათ! მიდი და სიკეთე უქენი ამისთანა უმადურ წუპაკებს! უფალმა ინება და აქ, ამ უკაცრიელ, უდაბურ ადგილას მათი გულისთვის დედამიწის წიაღიდან ისეთ წყაროს ამოახეთქინა, რომ მთელ ახალშენებში ყველაზე მდიდარი აფთიაქის წამლებიც კი ვერ შეედრება. დახეთ, არამზადებს ერთმანეთში აუბელიათ თიხა და გაუბინძურებიათ ადგილი, თითქოს ადამიანები კი არა, უგუნური პირუტყვები არიანო!

უნკასმა უსიტყვოდ მიაწოდა ხსენებული გოგრა, რომელიც გაჯავრებისაგან აქამდე ვერ შეენიშნა ქორის თვალს და იქვე კი იყო ჩამოკიდებული თელის ტოტზე. მზვერავმა აავსო იგი წყლით, გავიდა ცოტა განზე, სადაც მიწა უფრო მაგარი და მშრალი იყო, არხეინად დაჯდა და ბეჯითად შეუდგა ჰურონებისაგან დატოვებული სურსათის ნარჩენების ჩხრეკას, რომელიც მკლავზე გადაკიდებულ ჩანთაში ეყარა.

— მადლობელი ვარ, ყმაწვილო, — განაგრძო მან და უნკასს ცარიელი კვახი დაუბრუნა, — აბა, ახლა ვნახოთ, რას მიირთმევენ ეს დამთხვეული ჰურონები, საფარში რომ ისხდნენ. ერთი შეხეთ! იმ თაღლითებს სცოდნიათ ირმის ხორცის საუკეთესო ნაჭრების გემო! მაგრამ სულ უმი კი არის, რადგან ეგ იროკვებები მართლაც რომ ველურები არიან. უნკას, წაიღე ჩემი კვესი და ცეცხლი დაანთე; ერთი ლუკმა რბილი, შემწვარი ხორცი ცოტა მოგვალონიერებს გრძელი მგზავრობის შემდეგ.

როცა ჰეიუარდმა დაინახა, რომ მათი მეგობრები საჭმელზე ფიქრს შეუდგნენ, ქალიშვილებს უშველა ცხენებიდან ჩამოხტომაში, თვითონაც არ აწყენდა ახლახან გამოვლილი სისხლიანი თავგადასავლის შემდეგ შესვენება. სანამ მზარეულობაში იყვნენ გართულნი, ცნობისმოყვარეობამ წასძლია და მათი დროული და მოულოდნელი გამოსხნის ამბავი გამოიკითხა.

— როგორ მოხდა, რომ ასე მალე გხედავთ, ჩემო დიდსულოვანი მეგობარო და თანაც ედუარდის მეციხოვნეთა გარეშე? — ჰკითხა მზვერავს.

— ჩვენ რომ მდინარის მოსახვევისაკენ წავსულიყავით, მხოლოდ თქვენს გვაძებზე ფოთლების გასწორების დროსდა მოგისწრებდით, მაგრამ თქვენს სკალპებს კი ველარას ვუშველიდით, — მშვიდად მიუგო მზვერავმა, — ჩვენ ჰადსონის პირას ჩავსაფრდით და ჰურონების მოქმედებას დავუწყეთ თვალთვალი.

— მაშ, თქვენ ყველაფრის მოწმენი ყოფილხართ!

— ყველაფრის არა, რადგან ინდიელთა მახვილ თვალს ადვილად ვერ მოატყუებ და შორიახლოს ვიყავით. ეჰ, უნკას, უნკას, შენი ქცევა ცნობისმოყვარე ქალისას უფრო ჰგავდა, ვიდრე მტრის კვალში ჩამდგარი მეომრისას!

უნკასმა მხოლოდ ერთი წამით შეავლო გამჭრიახი თვალი მოლაპარაკის მკაცრ სახეს, მაგრამ არც კრინტი დაუძრავს, არც სინანულის სხვა რაიმე ნიშანი გამოუმჟღავნებია თავისი შეცდომის გამო. პირიქით, ჰეიუარდმა შეატყო, რომ ახალგაზრდა მოჰიკანი არათუ აიძრებოდა, ცოტა გაგულისდა კიდევ და გაბრაზებისგან იმ რიდის გამო შეიკავა თავი, რომლითაც ჩვეულებრივ ეპრობოდა თავის თეთრ ამხანაგს.

— დაინახეთ, როგორ შეგვიპყრეს? — დაეკითხა ჰეიუარდი.

— ჩვენ მხოლოდ გავიგონეთ, — იყო მრავლისმეტყველი პასუხი, — ინდიელთა ყიჟინა ნიშანია მისთვის, ვისაც თავისი სიცოცხლე ტყეში გაუტარებია. მაგრამ როცა ხმელეთზე გადმოგიყვა-

ნეს, იძულებულები გავხდით, ფოთლებქვეშ გველებივით გვეხო-
ხა. მერე თვალთაგან მიგვეფარეთ, შემდეგ კი ისევ დაგინახეთ
ხეებზე მიბაწრულები და წამებით დასახოცად გამზადებულები.

— ჩვენი გადარჩენა განგების საქმეა! სწორედ სასწაულია,
რომ კვალი არ აგერიათ, რადგან ჰურონები გაიყვნენ და ორივე
გუნდს ხომ თავ-თავისი ცხენები ჰყავდა!

— ჰო, მაგან აგვირია გზა და იქნებ მართლაც დაგვეკარგა კვა-
ლი, უნკასი რომ არა, — მიუგო მზვერავმა, — ჩვენ მაინც იმ ბი-
ლიკს დავადექით, უდაბური ადგილებისაკენ რომ მიდის, რად-
გან ვიფიქრეთ და სწორადაც, რომ ველურები ამ გზით წაიყვან-
დნენ თავიანთ ტყვეებს. მაგრამ, როცა მრავალი მილი ვიარეთ
და ერთი ტოტიც კი არ შეგვხვდა შეტეხილი, როგორც დათქმუ-
ლი გვექონდა, დავეჭვდი, მით უმეტეს, ყველა ნაკვალევი მოკასი-
ნისა იყო.

— ჩვენი დამტყვევებლები წინდახედულად მოიქცნენ და ფეხ-
ზე ჩვენც მათებურად ჩაგვაცვეს, — თქვა დუნკანმა და აჭრელებუ-
ლი მოკასინი უჩვენა.

— ჰო, ჭკვიანურად უქნიათ, თუმცა ჩვენ იმდენად გამოცდილე-
ბი ვართ, რომ ასე უბრალო ოინით კვალს ვერ აგვიბნევდნენ.

— მაშ, რას უნდა ვუმაღლოდეთ ჩვენს გადარჩენას?

— რას და მე, როგორც წმინდა სისხლის თეთრკანიანს,
მრცხვენია კიდევ გამოვტყდე — ახალგაზრდა მოჰიკანის საზ-
რიანობას ისეთ საქმეში, რომელიც იმაზე უკეთ მე უნდა მცოდ-
ნოდა, მაგრამ რომლის სიმართლე ახლაც არ მეჯერება, თუმცა
საკუთარი თვალით კი ვხედავ.

— საოცარია! აღარ იტყვით, რა იყო მიზეზი?

— უნკასმა გაბედა და თქვა, რომ მანდილოსნების ცხენები, —
განაგრძო ქორის თვალმა და თან ცნობისმოყვარეობით შეაფ-
ლო თვალი ქალების წაბლისფერ ფაშატებს, — ცალ მხარეს ფე-
ხებს ერთად ადგამდნენ მიწაზე, რაც ეწინააღმდეგება ჩემთვის

ცნობილ ყველა ოთხფეხის სიარულს, გარდა დათვისა! ეს ცხენები კი ყოველთვის ასე დადიან, როგორც ჩემი თვალითა ვნახე და როგორც მთელი ოცი მილის მანძილზე მათმა ნაკვალევმაც დაადასტურა.

— ეს პირუტყვის ღირსებაა! ისინი ნარაგანსეტის უბის ნაპირებიდან არიან, პროვიდენსის ახალშენის პატარა კუთხეა, და სახელი გაითქვეს თავიანთი ამტანობითა და ამნაირი სიარულით, თუმცა ხშირად სხვა ჯიშის ცხენებსაც წვრთნიან ასე.

— შეიძლება, შეიძლება, — თქვა ქორის თვალმა, რომელიც დიდი გულისყურით უსმენდა ამ ახსნა-განმარტებას, — მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილი თეთრკანიანი ვარ, ირმისა და დათვის ამბავი უკეთ ვიცი, ვიდრე საპალნე ცხოველისა. მაიორ ეფინჰემს ბევრი კარგი ბედაური ჰყავს, მაგრამ არ შემიმჩნევია, რომ რომელიმეს ასე გვერდელად ევლოს!

— მართალია, რადგან ის სულ სხვა თვისებებს აფასებს ცხენებში. მაგრამ მაინც ამ ჯიშის ცხენები ძალიან ფასობს და ხშირად სწორედ ქალებს სვამენ მათზე.

მოჭიკანებმა შეაჩერეს თავიანთი საქმიანობა მოკიაფე ცეცხლის პირას და სმენა დაძაბეს. დუნკანმა ლაპარაკი რომ დაასრულა, ნიშანდობლივად გადახედეს ერთმანეთს. მზვერავი ჩაფიქრდა; ეტყობოდა, ცდილობდა შეეთვისებინა ახლად შეძენილი ცოდნა და სანამ კვლავ განაგრძობდა საუბარს, ერთხელ კიდევ გააპარა თვალი ცხენებისაკენ.

— უნდა მოგახსენოთ, რომ ახალშენებში კიდევ უფრო უცნაურ სანახაობებსაც შეხვდება კაცი, — თქვა ბოლოს მან, — ადამიანი რაკი ერთხელ გაბატონდება, ბუნებას დაჯაბნის. მაგრამ გვერდელად დადიან ცხენები თუ სწორად, უნკასმა შეამჩნია მოძრაობის თავისებურება და მათმა კვალმა ტოტებდამტვრეულ ბუჩქთან მიგვიყვანა. გარე შტო, ერთ-ერთი ცხენის ნაკვალევის ახლოს, ზემოთ იყო ადრეკილი იმ სახით, როგორც მანდილოსნებმა იცი-

ან ხოლმე ყვავილის მოწყვეტა, ოღონდ ყველა დანარჩენი ტოტი კი მითელილ-მითელილი და დამსხვრეული იყო, თითქოს ვაჟკაცის ღონიერ ხელს დაეგლიჯა! ამიტომ დავასკვენი, რომ მზაკვარ ცუდლუტებს თვალი მოუკრავთ აგრეხილი ტოტისათვის და შემდეგ სხვებიც მიუღეწ-მოუღეწავთ.

— გამჭრიახობას არ უმტყუნია თქვენთვის, რადგან მართლაც მოხდა მაგდაგვარი ამბავი!

— ეგ ადვილი მისახვედრი იყო, — დაუმატა მზვერავმა, თან სულაც არ დასჩნევია, რა არაჩვეულებრივი საზრიანობა გამოამჟღავნა, — და რა შედარებაა გვერდელად მოსიარულე ცხენის ნაკვალევს გამოცნობასთან! მაშინ კი გავიფიქრე, რომ მინგოები ამ წყაროსკენ წამოვიდოდნენ, რადგან თაღლითებმა ჩინებულად იციან მისი ფასი.

— განა ეგრე სახელგანთქმულია? — ჰკითხა ჰეიუარდმა და მეტი ცნობისმოყვარეობით მოავლო თვალი მივარდნილ ხევს, რომელშიც ამოჩუხჩუხებდა მუქი წაბლისფერი მიწით გარშემოვლებული წყარო.

— დიდი ტბების სამხრეთით და აღმოსავლეთით იშვიათად იქნება წითელკანიანი, ამისი ღირსება რომ არ იცოდეს. აბა, თქვენ თვითონაც გასინჯეთ!

ჰეიუარდმა აიღო კვახის სასმისი და როგორც კი ცოტა მოსვა, დაიღმიჭა და უკმაყოფილოდ მოისროლა იგი. მზვერავმა გაიცინა, უბოძო კმაყოფილებით გაიქნია თავი და განაგრძო:

— ოჰო! თქვენ ჯერ კიდევ ვერ გიგრძნიათ გემო, შეჩვევა უნდა. ერთ დროს მეც თქვენსავით არ მომწონდა, მაგრამ მერე შევეჩვიე და ახლა ისე მომენატრება, როგორც ირემს სატლეკი. თქვენს დიდებულად შეზავებულ ღვინოებზე უფრო ეს წყალი ეამება წითელკანიანს, განსაკუთრებით, როცა უქეიფოდ გრძნობს თავს. მაგრამ უნკასს უკვე ცეცხლი დაუნთია და დროა, ჭამაზეც ვიფიქროთ, რადგან წინ გრძელი გზა გვიდევს.

მზვერავმა საუბარი შეწყვიტა და სურსათის ნარჩენებს მიუბრუნდა, რომელიც ჰურონებს გადაურჩა. მალე მოათავეს საჭმლის მომზადება და ქორის თვალი და მოჰიკანები თავიანთ დარიბულ სუფრას მდუმარედ მიუსხდნენ, რათა ძალ-ღონე მოეკრიბათ დიდი და მძიმე ჯაფის ასატანად.

სადილის შემდეგ, მზვერავი და მისი ორი მეგობარი უკანასკნელად გულიანად დაეწაფნენ მივარდნილ წყაროს. მერე ქორის თვალმა გასცა გამგზავრების განკარგულება. დები კვლავ შესხდნენ ცხენებზე; დუნკანმა და დავითმაც აიღეს თავიანთი თოფები და კვალში ჩაუდგნენ მათ; მზვერავი წინ გაუძღვა, მოჰიკანები კი უკან მიჰყვნენ რაზმს. მთელი გუნდი აჩქარებით გაუდგა ჩრდილოეთისაკენ მიმავალ ვიწრო ბილიკს და მიატოვეს იქვე ნაკადულში ჩამდინარე სამკურნალო წყალი, გვერდით ბორცვებზე კი გასახრწნელად განწირული დაუკრძალავი გვამები, რაც ტყის მეომრების ჩვეულებრივი ხვედრია და თანაგრძნობასა და ახსნა-განმარტებას აღარ საჭიროებს.

მე უფრო მოხერხებულ გზას გამოვძებნი.

პარნელი

ქორის თვალის ამორჩეული გზა ხევეებითა და ბორცვებით შეფერადებულ იმ ქვიშიან ველზე გადიოდა, რომელიც დილით მოგზაურთა ჯგუფმა მაგუსს მეგზურობით განვლო. მზე ახლა შორეული მთებისაკენ დაეშვა და სიცხე აღარ აწუხებდათ. ამიტომ საკმაოდ ჩქარა იარეს და ჩამობნელებამდე ბევრი მილი მოიტოვეს უკან.

მონადირე, მისი წინამორბედი ველურის მსგავსად, თითქოს რაღაც ინსტინქტით მიიკვლევდა გზას ძლივს შესამჩნევ უდაბურ ბილიკზე. ელვისებური თვალის შეველება ხეების ხავსზე, დროდადრო გახედვა ჩამავალი მზისაკენ, ანდა დაკვირვებული, მაგრამ წამიერი მზერა მდინარეების კალაპოტებისკენ, რომლებშიც იგი ფონით გადიოდა, საკმარისი იყო გემის განსასაზღვრად და უდიდეს დაბრკოლებათა გადასალახავად.

დები ცდილობდნენ ხეებს შორის თვალი მოეკრათ მოელვარე მზისთვის. უცებ ქორის თვალი შემოტრიალდა, ხელი გაიშვირა დიდებული ზეცისაკენ და თქვა:

— აი, ადამიანისათვის ნიშანი პურის ჭამისა და მოსვენებისათვის. უკეთესი და უფრო ჭკვიანური იქნებოდა, ბუნების ნიშანთა გაგებას თუ შეძლებდა კაცი და ზოგ რამეს ცის ფრინველთა და ველის ნადირთაგან ისწავლიდა! მაგრამ ჩვენი ღამე მალე დასრულდება — მთვარის ამოსვლისთანავე ფეხზე უნდა ვიყოთ და კვლავ გზას დავადგეთ. მახსოვს, აქ სადღაც მაკვებს ვებრძოლეთ პირველ ომში, როდესაც პირველად დავღვარე კაცის სისხლი, ძელების სანგარი ავაგეთ, რათა მოთარეშე თაღლითები-

სათვის ჩვენი სკალპები არ დაგვენებებინა. თუ გუმანი არ მატყუებს, ჩვენ მარცხნივ რამდენიმე ნაბიჯზე უნდა იყოს ის ადგილი.

დასტურს კი არა, პასუხსაც არ დაუცადა. მედგარი მონადირე შეუპოვრად შეიჭრა ქორთა წიფლნარის ხშირ ტევრში. უხვად ნაზარდ ტოტებსა და ყლორტებს, მიწა თითქმის რომ დაეფარათ, აქეთ-იქეთ სწევდა, რათა ნაცნობი ადგილი დაენახა. ხსოვნას არ უმტყუნია. ორიოდე ასეული ნაბიჯის მანძილზე ასკილით ჩახლართულ ჯაგნარში გაძრომის შემდეგ ის გავიდა გაშლილ ადგილას, რომელიც გარს უვლიდა დაბალ, მწვანე ბორცვს. ბორცვზე ზემოხსენებული დამპალი ძელური იდგა. ეს ტლანქი, მითოვებული მიგდებული ნაგებობა იყო. ადამიანთა ასეთი თავგადასავლებისა და ბრძოლების ძეგლები ჯერ კიდევ ბლომად მოიპოვება უდაბური ადგილების განიერ სასაზღვრო ზოლში, რომელიც ოდესღაც მოსისხლე პროვინციებს ყოფდა. ეს ძეგლები დიდ ისტორიას ინახავენ.

სანამ ჰეიუარდი და მისი თანამგზავრები ყოყმანობდნენ, ასე დანგრეულ ნაგებობას მივუახლოვდეთ თუ არაო, ქორის თვალი და ინდიელები დაბალი კედლების შიგნით შევიდნენ, შიში არა, მაგრამ ცნობისმოყვარეობა კი ეტყობოდათ. სანამ მონადირე შიგნით და გარეთ ათვალეირებდა ნანგრევებს იმ ადამიანის ცნობისმოყვარეობით, რომელსაც ყოველი ადგილი ძველ მოგონებებს უღვიძებს ხოლმე, ჩინგაჩგუკი დელავერთა ენაზე გამარჯვებულის სიამაყით მოუთხრობდა შვილს ამ მიყრუებულ ადგილას ჭაბუკობაში გადახდილი ბრძოლის მოკლე ამბავს. ოღონდ სევდის ელფერი კი დაჰკრავდა საზეიმო კილოს და მის ხმას სილბოსა და სიტკბოს მატებდა.

ამასობაში დები გახალისდნენ და საღამოს სიგრილეში შესვენებისათვის მოემზადნენ. მათი რწმენით, ტყის ნადირის გარდა, სხვა ვერაფერი დაურღვევდათ მყუდროებას.

– უკეთესი არ იქნებოდა, ჩემო ღირსეულო მეგობარო, – დაეკითხა მზვერავს უფრო ფრთხილი დუნკანი, როცა ქორის თვალმა დათვალიერება დაასრულა, – ისეთი მივარდნილი ადგილი რომ ამოგვეჩია, რომელსაც ამაზე იშვიათად სტუმრობს ვინმე?

– ძელურის აგების ამბავი თითო-ოროლამ თუღა იცის, – ნელა და ჩაფიქრებით მიუგო მან, – ხშირად არ იწერება და იბეჭდება ამბავი ისეთი შეტაკებისა, როგორც მოჰიკანებსა და მოჰაუკებს შორის მოხდა. მე მაშინ ჭაბუკი ვიყავი და დელავერებს მივუდექი, რადგან ვიცოდი, რომ ისინი შეურაცხყოფილი და დაჩაგრული ხალხი იყო. ორმოცი დღე და ორმოცი ღამე ცდილობდნენ ჩვენი სისხლის დაღვრას ამ ძელურის გარშემო, რომელიც მე მოვიფიქრე და ნაწილობრივ ავაგე კიდეც, თუმცა, როგორც მოგეხსენებათ, ინდიელი კი არა, ნამდვილი თეთრკანიანი გახლავარ. დელავერებმა მიანდეს თავი ამ სიმაგრეს და კარგადაც გავუძელით ათმა ოცს, სანამ მეომრების რიცხვი თითქმის არ გავათანაბრეთ. მაშინ გამოვუხტით წუწკებს და მათი გუნდიდან მოამბეც აღარავინ დაგვიტოვებია. დიახ, დიახ, მე მაშინ ჭაბუკი ვიყავი, სისხლის დანახვა ახალი იყო ჩემთვის და მზარავდა ფიქრი, რომ ადამიანები მიწაზე უნდა ყრილიყვნენ ნადირის საძიძგნად და ავდარს თეთრად უნდა აექათქათებინა მათი ძვლები. ამიტომ საკუთარი ხელით დავმარხე დახოცილები სწორედ მაგ პატარა ბორცვს ქვეშ, სადაც თქვენ დამსხდარხართ; არცთუ ურიგო ჩამოსაჯდომია, თუმცა ადამიანთა ძვლებზე კი არის აღმართული.

ჰეიუარდი და დები ფეხზე წამოიჭრნენ.

– ისინი აღარ არიან და აღარც ვნება შეუძლიათ, – განაგრძო ქორის თვალმა და სევდიანი ღიმილით გაიქნია ხელი, როცა მათი შეშფოთება შენიშნა, – ისინი ვედარასოდეს დასცემენ საომარ ყიჟინას, ვედარც ტომაჰაუკს მოიქნევენ! იმათგან, ვინც

მაშინ აქ იყო, მხოლოდ ჩინგაჩგუკი და მე ვართ ცოცხლები! მოჰიკანის ძმები და ოჯახი შეადგენდა ჩვენს რაზმს და ახლა ხომ ხედავთ, რაღა დარჩა მთელი მისი ტომიდან!

მსმენელებმა თანაგრძნობით მიაპყრეს თვალი ინდიელებს, როდესაც მათი სევდიანი ისტორია შეიტყვეს. უნკასი დიდი ყურადღებით ისმენდა ამბავს, რომელიც ასე განადიდებდა იმათ სახელს, ვის ხსოვნასაც მოწიწებით ეთაყვანებოდა.

— მე დელავერები მშვიდობიანი ხალხი მეგონა, — თქვა დუნკანმა, — თითქოს თვითონ არასოდეს ებმებოდნენ ომში და თავიანთი მიწების დაცვა სწორედ იმ მოჭაუკებს მიანდეს, რომლებიც თქვენ დაგიხოცავთ.

— ეგ ნაწილობრივ მართალია, — მიუგო მზვერავმა, — და თანაც — ბოროტი ტყუილი. ეგეთი ხელშეკრულება დიდი ხნის წინათ ჰოლანდიელთა ეშმაკობის წყალობით დაიდო. მათ სურდათ განეიარაღებინათ იმ ქვეყნის ნამდვილი მკვიდრები და იქ თვითონ მოეკალათებინათ. მოჰიკანებს ინგლისელებთან ჰქონდათ საქმე და არასოდეს მიუღიათ მონაწილეობა იმ ტუტუცური ხელშეკრულების დადებაში, ისინი საკუთარ ვაჟვაცობას დაენდნენ. ჭეშმარიტად ასევე მოიქცნენ დელავერები, როცა მიხვდნენ თავიანთ სისულელეს. თქვენ წინაშე დგას მოჰიკანთა დიდი საგამორების შთამომავალი! ოდესღაც მის ოჯახს შეეძლო ედევნა ნადირისათვის იმაზე უფრო ვრცელ მიწებზე, რაც ოლბენის პატერუნს ეკუთვნის და არც ერთი მდინარე ან სერი არ შეხვდებოდათ, რომ მათი არ ყოფილიყო. ახლა კი რაღა დარჩა მათ შთამომავალს? მას შეუძლია, როცა ღმერთი იწებებს, მხოლოდ ექვსი წყრთა მიწა იპოვოს და მშვიდად განისვენოს; ისიც თუ გულშემატკივარი ეყოლა, რომელიც გაირჯება და იმდენად ღრმად მაინც ჩაფლავს, რომ სახნისის პირი არ წამოედოს მის ძვლებს!

— კმარა! — თქვა ჰეიუარდმა. იგი შიშობდა, რომ ამ საგანზე ლაპარაკი კამათს გამოიწვევდა და დაარღვევდა თანხმობას,

რაც ასე აუცილებელი იყო საფრთხისაგან მისი მშვენიერი თანამგზავრების დასაცავად, — საკმაოდ დიდი გზა გავიარეთ და დასვენება გვჭირდება.

— ჩემი კუნთები და ძვლები მატანინებს ყველაფერს, — თქვა მონადირემ, თან გულუბრყვილოდ დაიხედა ძარღვიან ხელებზე, — ახალშენებში უფრო ზორბა და მოყვანილი კაცები შეიძლება იყვნენ, მაგრამ მრავალ დღეს შეიძლება მოგიხდეთ სიარული ქალაქში, სანამ ისეთს შეხვდებოდეთ, შეუსვენებლად ორმოცდაათი მილის გავლა რომ შეეძლოს ან ნადირობისას საათების განმავლობაში ფეხდაფეხ მისდევდეს მწევარს. მაგრამ დღევანდელი ამბების შემდეგ მანდილოსნებს მოსვენება მართლაც სჭირდებათ. უნკას, ამოწმინდე წყარო, სანამ მამაშენი და მე მათ წაბლის ტოტებისაგან თავშესაფარს და ბალახ-ფოთლებისაგან კი საწოლს გავუკეთებდეთ.

საუბარი შეწყდა, მონადირე და მისი ამხანაგები შეუდგნენ მათზე მინდობილი თანამგზავრების მყუდროებასა და უშიშროებაზე ზრუნვას. წყარო, რომელმაც მრავალი წლის წინათ ინდიელებს ეს ადგილი სიმაგრის ასაგებად აარჩევინა, ფოთლებისაგან მალე გასუფთავდა, ანკარა წყალი ამოჩუხჩუხდა და ამწვანებულ კორდზე გაიშალა. მერე ძელურის ერთი კუთხე გადახურეს, ძირს კი სურნელოვანი რტოები და მშრალი ფოთლები გაფინეს დების მოსასვენებლად.

სანამ მშვერავი და მისი ამხანაგები ამ საქმეში იყვნენ გართულნი, კორამ და ალისამ ისე უმადოდ ივახშმეს, თითქოს მოვალეობას იხდიანო. მერე ძელურში შევიდნენ, სურნელოვან ლოგინებზე დაწვნენ და მიუხედავად მოგონებებისა და ავი წინათგრძნობებისა, მალე დაიძინეს. დუნკანი მოემზადა ღამის გასათევად ნანგრევებს გარეთ, მაგრამ ბალახზე არხეინად გაწოლილი მშვერავი მის განზრახვას მიხვდა და ჩინგაჩგუკზე მიუთითა:

– თეთრი კაცის თვალი უსინათლოა ამისთანა დარაჯობის-თვის! გუშაგად მოჰიკანი იქნება, ჩვენ კი დავიძინოთ.

– წუხელ ზანტი გუშაგი გამოვდექი, – თქვა ჰეიუარდმა, – და ძილიც თქვენზე ნაკლებ მჭირდება. დაე, ყველამ მოისვენოს და მე ვიდარაჯებ.

– ჩვენ რომ მესამოცე ლეგიონის თეთრ კარვებს შორის ვი-ყოთ, ფრანგებისთანა მტრის წინაშე, უკეთეს დარაჯს არ ვისურ-ვებდი, – მიუგო მზვერავმა, – მაგრამ ამ წყვილიადასა და უდაბური ადგილების თავისებურ ნიშნებში, თქვენი გამჭრიახობა ბავშვურ ცელქობად გამოჩნდება. უნკასსა და მე მოგვბაძეთ და მშვიდად იძინეთ.

ჰეიუარდმა მართლაც შენიშნა, რომ უმცროსი ინდიელი პატა-რა ბორცვის ფერდზე წამოწვა და ეტყობოდა ცდილობდა, რაც შეიძლება კარგად გამოეყენებინა მოსვენებისათვის განკუთვნი-ლი დრო. მისთვის მიებაძა დავითს. დუნკანს აღარ უნდოდა, ფუ-ჭი კამათი გაეგრძელებინა და ისე მოაჩვენა თავი, თითქოს დაეთანხმა. ქოსს მიეყრდნო და ნახევრად მიწვა, თუმცა გულში მტკიცედ გადაწყვიტა, მანამ არ მოეხუჭა თვალი, სანამ მანროს ქალებს არ ჩააბარებდა. ქორის თვალს, რაკი ეგონა დავარწმუ-ნეო, მალევე ჩაეძინა და ამ მიყრუებულ არემარეში დუმილი დამყარდა.

დუნკანმა კარგა ხანს მოახერხა სიფხიზლის შენარჩუნება. ვარსკვლავების აკიაფების შემდეგ ბალახზე გაშხლართული მძინარე ამხანაგების გარჩევაც შეძლო და ჩინგაჩგუკიც შენიშნა. ჭაბუკს ესმოდა დების სუნთქვა, იქვე, ორიოდე ნაბიჯის იქით რომ იწვნენ, ფოთლის ყოველი გაფაჩუნება, უმცირესი ჩქამიც კი. მაგრამ ბოლოს ძილმა თავისი გაიტანა, თავი ჩახარა და მო-დუნდა, მალე ღრმა ძილმა წაართვა თავი. ესიზმრებოდა, თით-ქოს ძველი დროის რაინდი იყო, ღამე ტყვეობიდან გამოხსნილ

მეფის ასულს დარაჯობდა და გულში იმედიც უღვიოდა, რომ ასეთი თავგანწირვით მის სიყვარულს მოიპოვებდა.

რამდენ ხანს იწვა დუნკანი ამ მდგომარეობაში, არ გაუგია, მაგრამ მისი სიზმარეული ოცნებები მხარზე ხელის მსუბუქად დარტყმამ შეწყვიტა. ამ ოდნავ საგრძნობ ნიშანზე გამოფხიზლდა და ფეხზე წამოიჭრა.

— ვინ არის? — იკითხა მან და ხმალი მოძებნა, — თქვი, მეგობარი თუ მტერი?

— მეგობარი, — ხმადაბლა უპასუხა ჩინგაჩგუკმა, რომელმაც ცისკენ გაიხედა და თავის ჩიქორთული ინლისურით დასძინა, — მთვარე ამოდის, თეთრი ვაცის ციხე კი შორს, შორს არის, დროა წავიდეთ, სანამ ძილი ორივე თვალს უხუჭავს ფრანგს!

— მართალს ამბობ! გააღვიძე შენი მეგობრები და ლაგამი ამოსდეთ ცხენებს, სანამ ქალბატონებს წასასვლელად მოვამზადებდე.

— ჩვენ გვღვიძავს, დუნკან, — ძელურიდან გამოსძახა ალისამ, — და მზად ვართ მგზავრობისათვის. მაგრამ თქვენ ხომ ჩვენი გულისათვის მთელ ღამეს იდარაჯეთ და თანაც ისეთი დამღლევი დღის მერე.

— ჯობს თქვათ, იდარაჯებდიო. მუხთალმა თვალებმა კიდევ მიმტყუნეს, ვერ შევძელი, გამემართლებინა თქვენი ნდობა.

— არა, დუნკან, ნუ უარყოფთ, — შეაწყვეტინა მოლიმარმა ალისამ და შენობის ჩრდილიდან მთვარის შუქზე გამოვიდა, — მე ვიცი, რა დაუდევარი ხართ თქვენი თავისადმი და რა მზრუნველი სხვებისადმი. არ შეიძლება, რომ ცოტა ხანს კიდევ დავრჩეთ აქ, სანამ თქვენ ცოტას დაისვენებდეთ? სიამოვნებით დავდგებით კორა და მე დარაჯად, სანამ თქვენ თვალს მოატყუებთ.

— ძილისგუდა ვარ, — თქვა დარცხვენილმა ჭაბუკმა და ალისას დააკვირდა, — სამარცხვინოა, რომ მას შემდეგ, რაც ჩემი უთავბოლოობით ხიფათში ჩაგყარეთ, იმდენი უნარიც ვერ გამო-

ვიჩინე, რომ თქვენი სასთუმალი დამეცვა ისე, როგორც ჯარისკაცს შეშვენის.

— თვით დუნკანის გარდა სხვა ვერავინ დააბრალებდა დუნკანს მაგნაირ სისუსტეს! — მიუგო ალისამ, რომელსაც მთელი თავისი ქალური რწმენით დაეჯერებინა თავი, რომ მისი თაყვანისმცემელი ყველაზე სრულყოფილი ახალგაზრდა იყო, — მაშ, წადით და დაიძინეთ. დამერწუნეთ, არც ერთი ჩვენგანი, თუმცა ქალები ვართ, ჩვენს საგუშაგოს არ ვუმტყუნებთ.

უხერხულობისაგან დუნკანი ჩინგაჩგუკის შეძახილმა და მისი ვაჟის დაძაბულმა სახემ იხსნა.

— მოჰიკანებს მტრის ხმა ესმით! — ჩაიჩურჩულა ქორის თვალმა, — რაღაც საფრთხეს გრძნობენ!

— ღმერთმა ნუ ქნას! — შესძახა ჰეიუარდმა, — ჩვენ უკვე საკმაო სისხლი დავღვარეთ!

მაგრამ ამ ლაპარაკში ახალგაზრდა მეომარმა მაინც სტაცა ხელი თოფს და წინ დადგა, რათა დაუზოგავი თავდადებით გამოესყიდა თავისი უგულისყურობა.

— რაღაც ტყის ნადირი დაეხეტება ჩვენ გარშემო, საკბილოს ეძებს! — ჩურჩულით თქვა მან, როგორც კი ყური მოჰკრა ყრუ, შორეულ ხმაურს, რომელმაც მოჰიკანები შეაკრთო.

— ჩუ! — მიუგო დაკვირვებულმა მზვერავმა, — ეგ ადამიანია, ახლა მეც კი ვარჩევ ფეხის ხმას! ალბათ კვალში ჩავვიდგნენ. მეც აღარ მინდა ამ ადგილას კაცის სისხლის დაღვრა, — დასძინა მან და შეშფოთებით მოავლო თვალი დაბინდულ გარემოს, — მაგრამ რაც იქნება, იქნება. ცხენები ძელურში შეიყვანე და თქვენც შიგ შედით, მეგობრებო. მართალია ძელური ძველია, მაგრამ თავშესაფრად კიდევ გამოდგება!

მის განკარგულებას მაშინვე დაემორჩილნენ. მოჰიკანებმა ცხენები ნანგრევებში შეიყვანეს.

მოახლოებული ფეხის ხმა ახლა უკვე გარკვევით ისმოდა. ფეხის ხმასთან ერთად ინდიელთა გადაძახილიც მოესმათ. მონადირემ ჩურჩულით დაუდასტურა ჰეიუარდს, ჰურონულად ლაპარაკობენო. როცა ხალხმა იმ ადგილს მიაღწია, სადაც ცხენებმა ძელურის გარშემო შემორტყმულ ჯაგნარში გადმოუხვიეს, დაიბნენ, რადგან ის კვალი დაეკარგათ, რომელიც მანამდე წინ მოუძლოდათ.

ეტყობოდა, რომ ოცამდე კაცმა სწრაფად მოიყარა თავი. მათი თათბირი ყაყანად გადაიქცა.

— ამ წუწკებმა ჩვენი სისუსტე იციან, — ჩაიჩურჩულა ქორის თვალმა, რომელიც ჰეიუარდის გვერდით იდგა და ძელებს შორის დატოვებულ ნაპრალში იჭვრიტებოდა, — თორემ ასე ყბედობით სიარულს ვერ გაბედავდნენ. ერთი ყური უგდე მაგ გველის წიწილებს! თითქოს ყველას ორ-ორი ენა და მხოლოდ ცალ-ცალი ფეხი აქვსო!

მამაცმა დუნკანმა, რომელიც ბრძოლაში ხანდახან თავგზეულადებულობამდეც მისულა, მზვერავის მშვიდ შენიშვნაზე პასუხი ვერ მოახერხა. თოფი უფრო მაგრად ჩაბლუჯა და თვალი ვიწრო ნაპრალს მიაშტერა. მერე გაისმა მათი წინამძღოლის ბოხი, მძიმე ხმა. მისი განკარგულება, თუ უფრო რჩევა ყურადღებით მოისმინეს, რაც მისდამი პატივისცემას მოწმობდა. ამის შემდეგ ატყდა ფოთლების შარიშური და ხმელი ტოტების ლაწალაწი, აშკარა იყო, რომ ველურები დაკარგული კვალის საძებნელად დაიფანტნენ. დევნილთა საბედნიეროდ, მთვარის შუქი კარგად ვერ ანათებდა იქაურობას. ძებნა უნაყოფო გამოდგა, მგზავრებმა ოდნავ შესამჩნევი ბილიკიდან ხშირ ტევრში გადაუხვიეს.

მაგრამ დიდხანს არ გაუვლია, რომ მოესმათ, ველურები ჯაგნარს როგორ ქექავდნენ და მათ სამყოფელს უახლოვდებოდნენ.

— მოდიან! — წაიბუტბუტა ჰეიუარდმა და თოფის ლულა ნაპრალში გაყო, — რომ გამოჩნდებიან, ვესროლოთ!

– ფრთხილად, – მიუგო მზვერავმა, – კაჟის გატკაცუნება, ან თოფისწამლის სუნი იმ მშვიერი არამზადების ბრბოს ერთბაშად თავს დაგვახვევს. თუ ღმერთი ინებებს, რომ ჩვენი სკალპების გულისთვის ბრძოლაში ჩავებათ, ენდეთ იმ კაცების გამოცდილებას, რომლებმაც იციან ველურების ავანჩავანი და რომლებიც იშვიათად დგებიან უკან, როცა საომარი ყიჟინის ხმა გაისმის.

დუნკანმა შეშფოთებით გადმოიხედა და თვალი მოჰკრა ძელურის შორეულ კუთხეში მიყუჟულ აცახცახებულ დებს და ჩრდილში მდგარ მოჰიკანებს, რომლებიც მზად იყვნენ და ეწადათ კიდევ, ხელი გამოეღოთ, როცა დარტყმა საჭირო იქნებოდა. ჰეიუარდი ელოდა, რა მოხდებოდა. ამ წუთში ხშირი ტყისპირი გაიწ-გამოიწია და მაღალმა, შეიარაღებულმა ჰურონმა გაშლილ კორდზე რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა. მდუმარე ძელურს რომ შემოხედა, მთვარის შუქი დაეცა პირქუშ სახეზე, რომელსაც განცვიფრება და ცნობისმოყვარეობა დაეტყო. მან რაღაც წამოიძახა და ამხანაგიც მაშინვე გვერდში ამოუდგა.

ინდიელები ერთხანს უთითებდნენ ჩამონგრეული შენობისაკენ და თავიანთი ტომის გაუგებარ ენაზე თათბირობდნენ. მერე ნელი და მძიმე ნაბიჯით გამოსწიეს, თან დამფრთხალი ნადირით ყოველ წუთს ჩერდებოდნენ ძელურის შესათვალიერებლად, ეტყობოდათ, მათ გულში ერთმანეთს ცნობისმოყვარეობისა და შიშის გრძნობები ეჭიდებოდნენ. ერთმა მათგანმა ფეხი სამარის ბორცვს წამოჰკრა და შეჩერდა, რათა გაეგო, რა იყო იგი. ჰეიუარდმა შენიშნა, რომ მზვერავმა ქარქაშიდან დანა ამოსწია და თოფის ლულა ძირს დაუშვა. ახალგაზრდამაც მიჰბაძა და მოემზადა ბრძოლისათვის, რომელიც გარდაუვალი ჩანდა.

ველურები ისე ახლოს იყვნენ, რომ ცხენების ოდნავ გაფაჩუნებაც გამოამჟღავნებდა თავშეფარებულებს. მაგრამ როცა ბორცვის ამბავს მიხვდნენ, ჰურონების ყურადღება სხვა რამემ მიიზი-

და. მათ დაბალი და საზეიმო კილოთი დაიწყეს ლაპარაკი. მერე ფრთხილად დაიწიეს უკან, თან თვალს არ აშორებდნენ ნანგრევს, კაცს ეგონებოდა მდუმარე კედლებიდან მკვდართა აჩრდილების გამოსვლას ელიანო. მათ მიაღწიეს კორდის ნაპირს, ნელა შევიდნენ ტევრში და გაუჩინარდნენ.

ქორის თვალმა თოფის კონდახი დაუშვა, შვებით ამოისუნთქა და ხმადაბლა შესძახა:

— ჰო, ისინი პატივს სცემენ მიცვალებულებს!

ჰეიუარდმა ერთი წამით მიაქცია ყურადღება ამხანაგს, მაგრამ პასუხი არ გაუცია, ისევ გარეთ გაიხედა. დაინახა, ორი ჰურონი ბუჩქნარს როგორ გასცდა და მალე აშკარა გახდა, რომ ყველა მათი ნაამბობის მოსასმენად შეიკრიბა. ცხარე და საზეიმო კილოთი ლაპარაკის შემდგომ, ხმები მისუსტდა, უფრო შორს გაისმა, ბოლოს კი ტყის სიღრმეში სულაც მიწყდა.

ქორის თვალმა დაიცადა, სანამ ჩინგაჩგუკის ნიშანმა არ დაარწმუნა, რომ წასული მდევრის ხმაური სრულიად შთანთქა მანძილმა და ჰეიუარდს ანიშნა, გამოიყვანე ცხენები და დები შესვიო. როგორც კი ეს საქმე მოითავეს, გამოვიდნენ ჩამონგრეული გასასვლელიდან, ფეხაკრეფით გაემართნენ იმის საპირისპირო მხარეს, საიდანაც შემოვიდნენ და გზას დაადგნენ. როცა მთვარის ნაზი შუქით მოფენილ კორდს ტოვებდნენ და ტევრის წყვდიადში ინთქმებოდნენ, დები მდუმარე საფლავისა და დარღვეული ნაგებობისაკენ თვალს მალვით აპარებდნენ.

Guard. - Qui est là? Puc. - Paysans;
auvers gens de France.

„მეფე ჰენრი VI“, შექსპირი

ტყეში ღრმად შესვლამდე მგზავრები ჩურჩულსაც კი ვერ ბე-
დავდნენ. მზვერავი კვლავ წინ მიდიოდა, ძალიან ფრთხილობ-
და, რადგან ტყის ამ ადგილებს სრულიად არ იცნობდა. არაერ-
თხელ შედგა თანამოლაშქრე მოჰიკანებთან სათათბიროდ;
მთვარეზე უთითებდა და უდიდესი გულმოდგინებით სინჯავდა
ხეების ქერქს. ამ დროს ჰეიუარდი და დები გაფაციცებით უგდებ-
დნენ ყურს, მტრის რაიმე ნიშანი ხომ არ ისმისო. ოდნავი ჩამიჩუ-
მიც კი არ ისმოდა, გარდა წყლის შორეული და ძლივს გასაგონი
ჩხრიალისა. მგზავრები სწორედ ამ ხმის მიმართულებით აგრძე-
ლებდნენ სვლას.

როცა პატარა მდინარის ნაპირს მიაღწიეს, ქორის თვალი ერ-
თხელ კიდევ შედგა, მოკასინები გაიძრო და ჰეიუარდსა და გა-
მუტს უთხრა, მომძაბეთო. მერე წყალში შევიდა და თითქმის
ერთ საათს მიუყვებოდა მდინარის კალაპოტს. მთვარე უკვე შე-
მალულიყო დასავლეთის ჰორიზონტისკენ ჩამოწოლილი შავი
ღრუბლების ვეება გროვაში, როცა ისინი მდინარის დაბალი და
მიხვეულ-მოხვეული კალაპოტიდან ქვიშიან, ტყით დაფარულ ნა-
პირზე ავიდნენ. მზვერავს უკვე შეეცყო, რომ აქაურობას კარგად
იცნობდა, რადგან გზას ისეთი კაცის რწმენითა და გულდაგულო-
ბით მიიკვლევდა, რომელსაც საკუთარი უტყუარი ცოდნის იმედი
უნდა ჰქონოდა. გზა მალე ოღროჩოღრო გახდა, მგზავრებმა შე-
ნიშნეს, რომ ერთ-ერთი ყველაზე ფართო ხეობა იწყებოდა. უც-
ბად ქორის თვალი შეჩერდა, დაიცადა, სანამ ყველა თავს მოიყ-

რიდა და ლაპარაკი დაიწყო, მაგრამ ისეთი დაბალი და ფრთხილი ხმით, რომ ამ წყნარ, სიბნელით მოცულ არემარეში მის სიტყვებს საზეიმო კილო ჰქონდა.

— ადვილია ბილიკების გაკვლევა და უდაბურ ადგილებში სატლეკებისა და წყლის სადინრების პოვნა, — თქვა მან, — მაგრამ ამ ადგილის მნახველთაგან აბა, ვინ იტყვის, რომ იმ მთებში ჯარის დიდი ნაწილი ისვენებდა!

— მაშ, უილიამ-ჰენრიდან შორს აღარ ვყოფილვართ! — შესძახა ჰეიუარდმა და მზვერავისაკენ მიიწია.

— წინ ჯერ კიდევ გრძელი და მომქანცველი გზა გვიდევს, — მიუგო ქორის თვალმა, — და როდის მივადგებით მას, სწორედ ეს არის ახლა ჩვენი ყველაზე მძიმე საფიქრალი. აი, — დაუმატა მან და იქით გაიშვირა ხელი, სადაც პატარა ტბის წყნარ, კამკამა ზედაპირზე მოკიაფე ვარსკვლავები მოჩანდნენ, — ეს გახლავთ „სისხლიანი გუბე“ და მე იმ მიწაზე ვდგავარ, რომელზეც არა მარტო ხშირად მივლია, არამედ მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე მტერთან მიბრძოლია კიდევ.

— აჰა, მაშ, ეგ პირქუში და შემზარავი წყლის ნაპირი იმ ბრძოლის მსხვერპლთა სამარე ყოფილა! გამიგონია, მაგრამ წინათ კი არასოდეს მინახავს ეს ადგილი!

— ერთ დღეს სამი ბრძოლა გვექონდა გერმანელ ფრანგთან! — განაგრძო ქორის თვალმა, — ჩვენ რომ ჩასასაფრებლად მივემართებოდით, ის იქვე ახლოს დაგვიხვდა და დამფრთხალი ირმებივით მიმოგვფანტა ხეობაში ჰორიკონის ნაპირებამდე. მერე ჩვენ თავი მოვიყარეთ წაქცეული ხეების უკან და სერ უილიამის წინამძღოლობით, რომელიც სწორედ ამ საქმის გულისათვის გახადეს სერ უილიამი, ჩინებულად გავუმკლავდით მას და კარგადაც გადავუხადეთ დილანდელი შერცხვენისთვის სამაგიერო! ასობით ფრანგმა იმ დღეს უკანასკნელად იხილა მზე! თვით მათი მეთაური დისკაუც კი ჩაგვივარდა ხელთ. ტყვიით ისე

დაგლეჯილ-დაფხავებული იყო, რომ თავის ქვეყანაში წავიდა, რადგან ომში აღარ გამოდგებოდა.

— ეგ დიდებული სამაგიერო იყო! — შესძახა ჰეიუარდმა, — მისმა ამბავმა სწრაფად მოაღწია სამხრეთ არმიას.

— დიახ, მაგრამ საქმე ამით არ გათავებულა. თვით სერ უილიამის ბრძანებით მაიორმა ეფინჰემმა გამგზავნა ფრანგების შემოსავლელად და მათი გასაჭირის ამბის მისატანად ჰადსონის ციხესიმაგრეში. სწორედ აგერ იქ, სერზე ატყორცნილი ხეები რომ ჩანს, ჩვენს საშველად მომავალ რაზმს შევხვდი. მათ წავუძეხი მტრისკენ, რომელიც არხეინად შეექცეოდა საჭმელს. დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იმდღევანდელი სისხლიანი საქმეები უკვე მოთავებული იყო.

— და თქვენ თავს მოულოდნელად დაესხით?

— სულის მოთქმაც აღარ ვაცალეთ, რადგან დილას ცუდი დღე დაგვაყენეს. ჩვენს რაზმში იშვიათი იყო კაცი, რომელსაც მათი ხელით მეგობარი ან ნათესავი არ დაღუპოდა. როცა ყველაფერი დასრულდა, დახოცილებიცა და სულთმობრძავებიც იმ პატარა ტბაში ჩაყარეს. საკუთარი თვალით ვნახე სისხლით შეღებილი წყალი!

— მაშ, თქვენ დიდხანს გიმსახურიათ ამ საზღვარზე.

— მე! — შესძახა მზვერავმა და მხედრული სიამაყით გაიმართა, — ბევრი გამოძახილი ჰქონია ჩემი თოფის ხმას ამ მთებში და ჰორიკონსა და მდინარეს შორის არ მოიპოვება არც ერთი კვადრატული მილი, რომ ჩემს „ნადირთმჟლეთს“ სულიერი არ გაეგორებინოს — მტერი ან ნადირი. იმ საღამოს ექიმებს მცირე დრო ჰქონდათ იმის გასარკვევად, ვინ იყო მკვდარი და ვინ ცოცხალი. ჩუ! ახლა გუბის ნაპირას მოსიარულეს ვერავის ამჩნევთ?

— შეუძლებელია, რომ ჩვენსავით მიუსათარი კიდევ ვინმე იყოს ამ პირქუშ ტყეში.

აღელვებულმა მზვერავმა ისე ჩაბლუჯა ჰეიუარდის ბეჭი, რომ ახალგაზრდა მხედარმა იგრძნო, შიშს როგორ აეტანა ეს შეუპოვარი კაცი.

– ზეცას ვფიცავ, ადამიანს ჰგავს და ჩვენ გვიახლოვდება! მეგობრებო, იარაღი მოიმარჯვეთ!

– Qui vive? – იკითხა მკაცრმა და ბოხმა ხმამ, რომელიც ამ უდაბურ და წყნარ არემარეში საიქიოდან მომავალ გამოწვევასავით გაისმა.

– France, – გასძახა ჰეიუარდმა და ხეების ჩრდილიდან წინ, ტყის ნაპირას გავიდა, გუშაგისაგან რამდენიმე ნაბიჯზე.

– d' où venez-vous – où allez-vous, d' aussi bonne heure? – იკითხა გრენადერმა ძველი საფრანგეთის მკვიდრის ენითა და კილოთი.

– Je viens de la découverte, et je vais me coucher.

– Etes-vous officier du roi?

– Sans doute, mon camarade; me prends-tu pour un provincial! Je suis capitaine da chasserus (ჰეიუარდმა კარგად შეატყო რომ ჯარისკაცი სასაზღვრო ჯარის რაზმს ეკუთვნოდა) – j'ai ici, avec moi, les filles du commandant de la fortification. Aha! tu en as entendu parler! Je les ai fait prisonnières près de l'autre fort, et je les conduis au general.

– Ma foi! Mesdames; j'en suis fâché pour vous, – შესძახა ახალგაზრდა ჯარისკაცმა და მოხდენილი და ძალიან თავაზიანი მხედრული სალაში მისცა მათ; – mais – fortune de guerre! vous trouverez notre général un brave home, et bien poli avec les dames.

– C'est le caractère des gens de guerre, – იშვიათი სიმშვიდით მიუგო კორამ, – Adieu, mon ami; je vous souhaiterais un devoir plus agreeable, à remplir.

ჯარისკაცმა მდაბლად და მოწიწებით დაუკრა თავი ამ თავაზიანობისათვის; ჰეიუარდმა დაუმატა, „bonne nuit, mon camarade“-ო და დინჯად გასწიეს წინ. გუშაგმა კვლავ განაგრძო ტბის პირას წინ და უკან სიარული; მას ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ მტერი ასეთ კადნიერებას გამოიჩინდა და თავისთვის დილინებდა იმ სიტყვებს, რომლებიც ქალების დანახვამ და, შესაძლოა, შორეული საფრანგეთის გახსენებამ მოაგონა:

„Vive le vin, vive l'am ur“ და სხვ.

— კარგად კი გააცურე ის თაღლითი, — წაიჩურჩულა მზვერავემა, ცოტა რომ გამოსცდნენ იმ ადგილს და თოფი კვლავ მკლავზე გადაიდო, — მალე შევამჩნიე, ერთი უგერგილო ფრანგი რომ იყო და კიდევ კარგი, ავი არაფერი მოუნდომებია, თორემ მისი ძვლებისთვისაც მოინახებოდა ადგილი მის თანამემამულეთა ჩონჩხებს შორის.

მას სიტყვა გააწყვეტინა კვნესამ, რომელიც პატარა ტბიდან მოისმა, თითქოს გარდაცვლილთა სულები წყლის სამარის გარშემო მართლაც დაეხეტებინათ.

— მართლა ხორციელი იყო! — განაგრძო მზვერავემა, — არც ერთ სულს არ შეეძლო ისე მტკიცედ სჭეროდა ხელში იარაღი!

— ხორციელი კი იყო, მაგრამ ის საცოდავი ახლაც სააქაოს ეკუთვნის თუ არა, ეგ სათუოა, — თქვა ჰეიუარდმა, რომელმაც სწრაფად მოაწვლო ირგვლივ თვალი და ჩინგაჩგუკის არყოფნა შეამჩნია.

კიდევ გაისმა კვნესა, პირველზე უფრო მისუსტებული, ამას მოჰყვა მძიმე ტყაპანის ხმა და კვლავ ყველაფერი მიწყნარდა.

სანამ მგზავრები გულის კანკალით ელოდნენ, რა მოხდებოდა, ფეხაკრეფით მომავალი ინდიელი გამოჩნდა და მათ შემოუერთდა. ცალი ხელით ახალგაზრდა ფრანგის ოხშივარავარდნილ სკალპს იმაგრებდა სარტყელზე, ცალით კი მისი სისხლით მოსვრილ დანასა და ტომაჰაუკს ისწორებდა. მან თავის ჩვეული

ადგილი ისეთი კაცის კმაყოფილი იერით დაიკავა, რომელმაც თავისი რწმენით ღირსეული საქმე ჩაიდინა.

მზვერავმა თოფის კონდახი დაუშვა, ლულას ხელებით დაეყრდნო და ღრმად ჩაფიქრდა. მერე მწუხარედ გაქნია თავი და წაიბუტბუტა:

— თეთრკანიანებისათვის ეს ავი და არაადამიანური საქციელი იქნებოდა, ინდიელისთვის კი ნიჭია. მე მგონია, ამას ვერ უარვყოფთ! თუმცა ვისურვებდი, რომ ეს წყეულ მინგოს დამართოდა და არა ძველი ქვეყნიდან ჩამოსულ იმ ყმაწვილს!

—კარგი! — თქვა ჰეიუარდმა, რომელსაც ეშინოდა, დები შეყოვნების მიზეზს არ მიხვდნენო, — რაც მოხდა, მოხდა, თუმცა სჯობდა არ მომხდარიყო. გამოსწორება აღარ შეიძლება. აშკარაა, რომ ალყაში ვართ და რას ფიქრობთ, რა გზას უნდა დავადგეთ?

— დიახ, — თქვა ფიქრებისაგან გამოფხიზლებულმა ქორის თვალმა, — როგორც თქვენ ბრძანეთ, ეგრეა! ჰო, ფრანგები გულმოდგინედ შემორტყმიან ციხესიმაგრეს და დიდი სიმარჯვე გვმართებს, რომ მათ გავუძვრეთ.

— დროც ცოტა გვაქვს, — დასძინა ჰეიუარდმა.

— დროც ცოტა გვაქვს, — გაიმეორა მზვერავმა, — ეს საქმე ორი გზით შეიძლება ასრულდეს ან განგების შეწევნით, რომლის გარეშეც იქნებ სულაც არაფერი გამოვიდეს!

— თქვით ჩქარა ორივე, დრო აღარ ითმენს!

— ერთია: ქალები უნდა ჩამოვსხათ, ცხენები გავუშვათ; მოჰკანები წინ გავიმძღვაროთ, ეგებ გუშაგების ხაზი გავარღვიოთ და ისე შევიდეთ ციხესიმაგრეში.

— ეგ არ ივარგებს! — შეაწყვეტინა ჰეიუარდმა, — ჯარისკაცს შეუძლია ეგრე გაიკაფოს გზა, მაგრამ ქალებთან ერთად ეგ შეუძლებელია.

– მართლა სისხლიანი გზა კი იქნება ასე ნაზი არსებებისთვის, – მიუგო მზვერავმა, – მაგრამ ეს ვაჟკაცისთვის შესაფერი გეგმაა. მაშინ ჩვენ უნდა შემოვტრიალდეთ, თავი გუშაგების ხაზს დავაღწიოთ, ცოტა დასავლეთისაკენ გადავუხვიოთ და მთებში შევიდეთ. იქ ისე დაგმალავთ, რომ მონკალმის მთელი დაქირავებული ჯოჯობეთის ქოფაკებიც კი რამდენიმე თვეს ვერ მოგვაგნებენ.

– ეგრე ვქნათ, თანაც ახლავე! – მოუთმენლად მიაძახა დუნკანმა.

სიტყვის გაგრძელება აღარ დასჭირვებია, რადგან ქორის თვალმა უბრალოდ წაილაპარაკა, მომყევითო, და იმავე გზით გამობრუნდა, რომელიც ახლახან გაიარეს. მათი მოძრაობა, ისევე, როგორც უკანასკნელი საუბარი, ფრთხილი და უხმაურო იყო, რადგან არავინ იცოდა, რა დროს გადაეღობებოდათ გზაზე მტრის პატრული ან ჩასაფრებული პიკეტი. რაკი მათი მდუმარე გზა ტბის ნაპირს მისდევდა, ჰეიუარდი და მზვერავი ფარულად აპარებდნენ თვალს შემზარავი, პირქუში წყლის ზედაპირისაკენ.

ქორის თვალმა მალე გადაუხვია და მთებისაკენ გაემართა, რომლებიც ვიწრო ვაკეს დასავლეთიდან ესაზღვრებოდნენ. მას სწრაფი ნაბიჯით მიჰყავდა თანამგზავრები მთების მაღალი და დაკბილული მწვერვალების ჩამუქებულ ჩრდილში. ახლა მათი სავალი მძიმე იყო. ამიტომ წინ ნელა მიიწევდნენ. ბოლოს ციცაბო და ოკრობოკრო აღმართს შეუდგნენ. თანდათან რომ ასცილდნენ ხეობის დონეს, სქელი წყვილიადა, რომელიც ჩვეულებრივ უსწრებს ხოლმე დღის მოახლოებას, გაიფანტა. ტყიდან მგზავრები ბრტყელ, ხავსიან, კლდოვან თხემზე გავიდნენ. გათენდა კიდევ.

მზვერავმა დებს უთხრა, ჩამოხტითო. ქანცმიხდილი ცხენები თავისუფლად გაუშვა, რომ ამ მაღლობების ჯაგნარსა და უღიმღამო ბალახბულახში ცოტაოდენი საზრდო მაინც ეპოვათ.

– ნუთუ ცხენები აღარ დაგვჭირდება? – იკითხა ჰეიუარდმა.

– გადახედეთ და თავად განსაჯეთ, – მიუგო მზვერავმა და მთის წვერის აღმოსავლეთ კიდესთან გავიდა, თან სხვებსაც ანიშნა, მომყევითო, – ისევე ადვილი რომ იყოს კაცის გულში ჩახედვა, როგორც ამ ადგილიდან მონკალმის გაშიშვლებული ბანაკის დაზვერვა შეიძლება, თვალთმაქცები შეცოტავდებოდნენ და დელავერის პატიოსნებასთან შედარებით მინგოს მზაკვრობას გასაგალი აღარ ექნებოდა.

როცა მგზავრებმა ფლათის კიდეს მიაღწიეს, მზვერავის ნათქვამის სიმართლეში ერთი თვალის გადავლებით დარწმუნდნენ.

მთა, რომელზეც იდგნენ, ათასამდე ფუტის სიმაღლის კონუსს წარმოადგენდა. იგი ცოტა წინ იყო გამოწეული იმ ქედიდან, რომელიც ტბის დასავლეთ ნაპირებს გასდევდა. ეს ქედი წყალგაღმა სხვა მთაგრეხილებს უერთდებოდა და მარადმწვანე ხეებით დაფარული კანადისაკენ მიემართებოდა. მოგზაურთა ფეხქვეშ, ჰორიკონის სამხრეთი ნაპირი ფართო ნახევარწრედ გაშლილიყო და განიერ სანაპიროს ქმნიდა. რამდენიმე ლიეს იქით, წყლის კალაპოტი მთებში იკარგებოდა. ხეობა სამხრეთისაკენ მიემართებოდა. ამ მხარეს, მრავალ მიღზე, მთები თითქოს ჯიუტოდნენ და არ თმობდნენ თავიანთ საბატონოს; მაგრამ ბოლოს იმ ვაკე და ქვიშიან მიწებად იქცეოდნენ, რომლებიც ჩვენმა მგზავრებმა გამოიარეს. ორივე ქედის გასწვრივ მსუბუქი ნისლის დახვეული ფთილები მიიწევდნენ ზევით, თითქოს ჩამალული ქოხებიდან ამომავალი ბოლიაო.

სწორედ ტყის ნაპირას მდებარეობდა უილიამ-ჰენრის მიწის განიერი სანგრები და დაბალი შენობები. ორი ფართო ბურჯი თითქოს წყალზე იყო დადგმული. დანარჩენი მხარეები და კუთხეები კი ღრმა თხრილითა და ვრცელი ჭანჭრობით იყო დაცული. ციხესიმაგრის გარშემო საკმაო მანძილზე ტყე გაეკაფათ. აქვე გაფანტულიყვნენ გუშაგები. გალავანს შიგნითაც მგზავრებ-

მა ჯერ კიდევ ძილბურანში მყოფი ხალხი შეამჩნიეს. სამხრეთ-- აღმოსავლეთისაკენ, ოღონდ ციხესიმაგრესთან ძალიან ახლოს, გამართული იყო სანგარშემოვლებული ბანაკი. ქორის თვალმა თანამგზავრებს ამ ბანაკში დაანახვა ის მაშველი რაზმები, რომლებიც ამას წინათ მათთან ერთად გამოემგზავრნენ ჰადსონიდან. ცოტა მოშორებით, სამხრეთისაკენ, ტყეებიდან ბევრგან ამოდრიდა შავი კვამლი, ეს იმის ნიშანი იყო, რომ იმ მხარესაც მტრის დიდი ძალები უნდა ყოფილიყო დაბანაკებული.

ახალგაზრდა მეომრის ყურადღება ყველაზე მეტად ტბის დასავლეთ ნაპირას, მის სამხრეთ ბოლოსთან ძალიან ახლოს გადაშლილმა სანახაობამ მიიპყრო. მიწის ზოლზე, რომელიც ზემოდან მეტად ვიწრო ეგონებოდა კაცს ამოდენა ჯარის დასატევად, მაგრამ ნამდვილად კი მრავალ იარაღზე ვრცელდებოდა ჰორიკონის ნაპირებიდან მთების ძირამდე, ათი ათასი მეომრის მოსათავსებელი თეთრი კარვები და სამხედრო შეჭურვილობა მოჩანდა. წინ ბარბაზნები გამოეწყოთ და სწორედ მაშინ, როცა სხვადასხვა გრძნობით გამსჭვალული ჩვენი მგზავრები ზემოდან დასცქეროდნენ მათ წინაშე რუკასავით გადაშლილ სანახაობას, ხეობიდან ბარბაზნების გრიალი ამოიჭრა, რომელმაც გამაყრუებელი გრუხუნით გადაიქროლა აღმოსავლეთის ქედების გასწვრივ.

— დილა ქვემოთ ახლა დადგა, — თქვა დინჯად და ჩაფიქრებით მზვერაუმა, — და გუშაგებს უნდათ, ბარბაზნის ხმით გამოაფხიზლონ მძინარენი. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე საათით შეგვაგვიანდა! მონკალმმა უკვე აავსო ტყეები თავისი წყეული იროკეზებით.

— მართლაც ალყაში ვართ, — მიუგო დუნკანმა, — მაგრამ მგონია, რომ ციხესიმაგრეში ტყვედ ჩავარდნა სჯობია კვლავ მოწინააღმდეგეების ხელში ჩავარდნას.

– შეხედეთ! – შესძახა მზვერავმა და კორას ყურადღება მამამისის სადგომისაკენ მიაქცევინა, – იმ ნასროლმა როგორ მოჭგლიჯა ქვა კომენდანტის სახლის კედელს! როგორი მტკიცე და სქელკედლიანიც უნდა იყოს ეს ციხესიმაგრე, ფრანგები მაინც მალე მიანგრ-მოანგრევენ!

– ჰეიუარდ, გული მიწუხს, საფრთხეს რომ ვხედავ და ვერ ვშველი, – უთხრა შეუპოვარმა, მამის ბედით აღელვებულმა ქალიშვილმა, – მოდით, მივიდეთ მონკალმთან და ვთხოვოთ შეშვება; ასეთ წყალობაზე შვილს უარს ვერ ეტყვის!

– არა მგონია, ცოცხალი მიხვიდეთ ფრანგის კარვამდე! – თქვა მზვერავმა, – იმ ნაპირას მდგარი ათასი ნავიდან ერთი მაინც რომ მქონდეს, შეიძლებოდა ეგ გვექნა. ახლა კი მალე მოედება ბოლო სროლას, რადგან აგერ, ნისლი მოცურავს, დღეს ღამედ აქცევს და ინდიელის ისარს უფრო საშიშს გახდის, ვიდრე ჩამოსხმული ბარბაზნის ყუმბარას. ახლა თუ შეძლებთ და მომყვებით, გაჭრას ვცდი. მე ქვევით ბანაკში ჩასვლა მწადია, თუნდაც იმ რამდენიმე წუპაკი მინგოს გასათფატრავად, ხშირი არციანის ნაპირებში რომ მოჩანან ჩასათფრებულნი.

– შევძლებთ! შევძლებთ! – მტკიცედ შესძახა კორამ, – ამისთანა საქმის გულისთვის, რა საფრთხეც უნდა იყოს, მოგყვებით!

მზვერავი მოწონების გამომხატველი ღიმილით მიუბრუნდა ქალს და მიუგო:

– ნეტავი, თქვენსავით უშიშარი ერთი ათასი მკლავმაგარი, თვალსწრაფი ვაჟკაცი მყავდეს! იმ ყბედ ფრანგებს ერთ კვირაში უკან, თავიანთ ბუნაგში შევრეკავდი და სულ ჯაჭვებშებმული ძაღლებივით ან მშვიერი მგლებივით ვაყმუვლებდი. დავიძრათ! – დასძინა მან და დანარჩენებს მიუბრუნდა, – ნისლი ისე სწრაფად მოიგრაგნება, რომ ჩვენ სწორედ იმდენი დროლა დაგვრჩენია, ვაკებე დაუხვდეთ და ის საფარველად გამოვიყენოთ. გახსოვდეთ, თუ მე რამე დამემართა, გეზი ისე დაიჭირეთ, რომ სიო მარ-

ცხენა ლოყაზე გცემდეთ... ან ჯობია მოჰიკანებს მისდით; ისინი მაინც გაიკვლევენ გზას, გინდა დღე იყოს და გინდა ღამე.

მერე ხელით ანიშნა, მომყევითო და დაქანებულ ფერდობზე დაეშვა აჩქარებული, მაგრამ ფრთხილი ნაბიჯით. ჰეიუარდი დებს შველოდა ჩასვლაში. რამდენიმე წუთში ყველანი მთის ძირას გაჩნდნენ, რომლის კალთებიც ასეთი ჯაფითა და წვალებით აიარეს.

ქორის თვალის მიერ აღებულია გეზმა მგზავრები მალე გაიყვანა ვაკეზე, ციხესიმაგრის დასავლეთ მხარეს ბურჯებს შორის მოთავსებულ გალავანთან, რომელიც დაახლოებით ნახევარი მილით იქნებოდა დაშორებული იმ ადგილს, სადაც მზვერავი შედგა, რომ დუნკანი და მისი თანამგზავრები დასწეოდნენ. გარემო პირობების ხელშეწყობითა და თავიანთი გადამეტებული გულმოდგინებით მათ გაუსწრეს ნისლს, რომელიც მძიმედ მოიგრაგნებოდა ტბაზე. აუცილებელი გახდა შეჩერება, სანამ ჯანდი არ დაფარავდა მტრის ბანაკს. მოჰიკანებმა შეყოვნებით ისარგებლეს, ტყიდან გამოიპარნენ და გარშემო სანახები დაზვერეს.

რამდენიმე წამში მზვერავი გაფიცებისაგან სახეაღწილი დაბრუნდა, ბურტყუნით გამოთქვამდა გულისწყრომას.

— თაღლით ფრანგებს სწორედ ჩვენს გზაზე დაუყენებიათ წითელკანიანებისა და თეთრების მოდარაჯე გუნდი და ამ ნისლში შეიძლება მათ შუაგულში უფრო მოვხვდეთ, ვიდრე გვერდი ავუაროთ!

— არ შეიძლება, რომ გვერდი ავუაროთ საფრთხილო ადგილს და შემდეგ კვლავ დავადგეთ ჩვენს ძველ გეზს? — ჰკითხა ჰეიუარდმა.

— ნისლში რომ ერთხელ გადაუხვევ გზიდან, ვისლა შეუძლია თქვას, როდის და როგორ უნდა შემობრუნდე კვლავ ძველ გზაზე დასადგომად?

მწვერავს ლაპარაკი არ გაეთავებინა, რომ გრიალი და ლაწა-ლუწი მოისმა. ზარბაზნის ტყვია ხეს მოხვდა. უნკასმა გაცხარებითა და ხელების ქნევით დაიწყო დელავერულ ენაზე ლაპარაკი.

— ეგ შეიძლება ეგრე იყოს, — წაიბუტბუტა მწვერავმა, როცა მან სათქმელი დაასრულა, — რადგან მძიმე ციებ-ცხელებას ისე არ მოევლება, როგორც უბრალო კბილის ტკივილს. მაშ, დავიდ-რათ, ნისლი უკვე ჩამოდგა.

— გაჩერდით, — შესძახა ჰეიუარდმა, — ჯერ ამიხსენით, რის იმედი გაქვთ!

— ახლავე შევასრულებთ ამ საქმეს, მცირე წარმატების იმედით შეიძლება ვიქონიოთ, მაგრამ სულ არაფერს მაინც ეს სჯობია. ამ ყუმბარამ, — დასძინა მწვერავმა და ფეხი გაჰკრა უვნებელ ლითონს, — ციხესიმაგრიდან გამოსროლისას მიწაზე კვალი გაავლო და ჩვენც მის გავლებულ ხნულს დაუწყებთ ძებნას, როცა ყველა სხვა ნიშანი გვიმტყუნებს. მეტი სიტყვები საჭირო აღარ არის, მომყევით, თორემ ნისლმა შეიძლება ბედ შუა გზაზე მიგვატოვოს და მაშინ ორივე ჯარის სამიზნე გავხდებით!

ჰეიუარდი მიხვდა, რომ ახლა კი მართლაც უკიდურეს გასაჭირში იმყოფებოდნენ და სიტყვებზე უფრო მოქმედება იყო საჭირო; დებს შუაში ჩაუდგა და სწრაფად გაეშურა წინ, თან თვალს არ აშორებდა წინამძღოლის ბუნდოვან ფიგურას. მალე აშკარა გახდა, რომ ქორის თვალს არ გაეზვიადებინა ნისლის ძალა, რადგან ოცი იარდიც კი არ გაევლოთ, რომ მგზავრებს ერთმანეთის გამოცნობაც კი გაუძნელდათ ბურუსში.

მათ გაიარეს პატარა შემოსავლელი რკალი მარცხნიდან, ის-- ის იყო მარჯვნისაკენ იხრებოდნენ და ჰეიუარდს ეგონა, საიმედო ციხესიმაგრემდე ნახევარზე მეტი გზა მაინც გვექნება გავლილი, რომ დაახლოებით ოციოდე ნაბიჯის მანძილიდან მკაცრი შეძახილი მოესმა.

— Qui va là?

– ფეხი ააჩქარეთ! – წაიხურჩულა მზვერავმა და ერთხელ კიდევ გადაუხვია მარცხნივ.

– ფეხი ააჩქარეთ, – გაიმეორა ჰეიუარდმა, როცა კითხვა ხელახლა დაიძახა ათიოდე ხმამ, რომელთაც სასტიკი მუქარის კილო ეტყობოდათ.

– C'est moi! – შესძახა დუნკანმა, რომელიც მასზე მინდობილ ქალებს უფრო მიათრევდა, ვიდრე მიჰყავდა.

– Bête! Qui? moi!

– Un ami de la France.

– Tu m'as plus l'air d'un ennemi de la France; arête! Ou pardieu je te ferai ami du diable. Non! Feu, camarades, feu!

ბრძანება მაშინვე შეასრულეს, ჯანდი ორმოცდაათი მუშკეტის დაცლამ შეარხია. საბედნიეროდ, ტყვიებმა მიზანს ვერ მიაღწია, თუმცა ახლოს კი ჩაუარა მგზავრებს. დავითსა და ქალწულებს მოეჩვენათ, თითქოს მათგან ორიოდე გოჯის მანძილზე გაისროლეს. შეძახილები განახლდა და ბრძანება, არა მარტო კიდევ სროლისა, არამედ დადევნებისაც, ძალიან მკაფიოდ მოისმა. როცა ჰეიუარდმა მოკლედ აუხსნა გაგონილი სიტყვების აზრი, ქორის თვალი შედგა და მტკიცედ განაცხადა:

– მოდით, ჩვენც დავცალოთ თოფები. ციხიდან გამოსვლა ეგონებათ და გზას მოგვცემენ, ანდა მაშველ ძალას დაუწყებენ ლოდინს!

კარგი ხერხი იყო, მაგრამ შედეგმა უმტყუნათ. როგორც კი ფრანგებმა მათი თოფების ხმა გაიგონეს, თითქოს მთელი ველი ადამიანებით აივსო, ყველა მიმართულებით მუშკეტების სროლა ატყდა.

– მთელ მათ ჯარს ჩვენკენ მოვიზიდავთ და საერთო იერიშს გამოვიწვევთ, – თქვა დუნკანმა, – წაგვიძეხი წინ, ჩემო მეგობარო, შენი და ჩვენი სიცოცხლის გულისთვის!

ქორის თვალი მზად იყო შეესრულებინა მისი თხოვნა, მაგრამ ამ ფაციფუსსა და ტრიალში მიმართულება დაეკარგა. ამოდ უშვერდა სიოს ხან ერთ ლოყას და ხან მეორეს, ორივეზე ერთნაირ სიგრილეს გრძნობდა. ამ დროს უნკასი ზარბაზნის ყუმბარის კვალს წააწყდა, იქვე ახლოს ჭიანჭველების ბუდის პატარა ბორცვი რომ გადაესერა.

— ერთი დამანახეთ გეზი! — შესძახა ქორის თვალმა, დაიხარა, რომ თვალი მოეკრა მიმართულებისათვის, და მაშინვე გაეშურა წინ.

ყვირილი, ლანძღვა, გადაძახილები, თოფების ხმა განუწყვეტლივ ისმოდა ყოველ მხრიდან. უცბად მძლავრმა, ელვარე შუქმა გაანათა იქაურობა — რამდენიმე ზარბაზნმა ერთად გადმოისროლა ცეცხლი და აგრუხუნებულმა მთებმა გრიალის ხმა მძიმედ დააბრუნეს უკანვე.

— ეს ციხიდანაა, — შესძახა ქორის თვალმა და გეზი შეცვალა, — ჩვენ კი გამოყვეყნებულებივით ტყისკენ მივრბოდით, პირდაპირ მაკვების დანებქვეშ მოსახვედრად.

როგორც კი თავიანთი შეცდომა გამოასწორეს, მთელი გუნდი კვლავ უდიდესი გულმოდგინებით დაადგა გზას. დუნკანმა კორას პატრონობა ხალისით მიაწება უნკასის შეთავაზებულ მკლავს და კორამაც სიამოვნებით მიიღო მისი დახმარება. დენისაგან გახურებული და გაბრაზებული ხალხი, ეტყობოდა ფეხდაფეხ მოსდევდა მათ და ყოველ წუთს დახოცვა თუ არა, ტყვეობა ელოდათ.

— Poinv de quartier, aux coquins! — ყვიროდა ერთი გაგული-სებული მდევარი, რომელიც, ჩანდა, მტრის მოქმედებას ხელმძღვანელობდა.

— მტკიცედ იდექით და მზად იყავით, ჩემო მამაცო მესამოცე რაზმელებო! — გაისმა მათ თავზე დინჯი კილოთი ნათქვამი, — დაუცადეთ მტრის გამოჩენას და ესროლეთ დაბლა!

— მამა, მამა! — დაიძახა ქალმა გულისწამლებად, — ეს მე ვარ! ალისა! შენი ელსი! გადაარჩინე შენი შვილები!

— შესდექ! — დაიგრგვინა მის წინ მოლაპარაკემ შემზარავი კილოთი. მისმა ხმამ თვით ტყემდეც კი მიაღწია, — ის არის! ღმერთმა დამიბრუნა ჩემი შვილები. გააღეთ კარი, წინ, მესამოცელებო, წინ! სასხლეთს ხელი არ ახლოთ, თორემ შვილებს დამიხოცავთ! მახვილით გარეკეთ ეგ ფრანგი ძაღლები!

დუნკანმა ჩაქანგებული ანჯამების ღრჭიალი გაიგონა. მან იქით მიაშურა, საიდანაც ხმა მოისმოდა და მუქწითელი ფერის მუნდირებში გამოწყობილ მეომართა გრძელ რიგს შეეფეთა, რომელიც სანგრისკენ მოისწრაფოდა. მან იცნო ამერიკელთა სამეფო ჯარის რაზმი, მათ სათავეში ჩაუდგა და ციხესიმაგრის წინ მალე აღგავა მდევრის ყველა კვალი.

ერთ წამს იდგნენ აცახცახებული და გაოგნებული კორა და ალისა, მაგრამ სანამ რომელიმე კრინტის დაძვრას მოასწრებდა, გოლიათური მოყვანილობის ოფიცერი გამოიჭრა ჯანლიდან. ოფიცრის თმა წლებსა და სამსახურს გაეთეთრებინა, მაგრამ მისი მხედრული სიდიადე დროს უფრო შეელამაზებინა, ვიდრე წაეხდინა. მან მკერდში ჩაიკრა ორივე. მდულარე ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ფერმკრთალ, დანაოჭებულ ღაწვებზე და თავისებური შოტლანდიური კილოთი ამბობდა:

— გმადლობ, უფალო! ახლა რა საფრთხეც უნდა დამატყდეს, შენი მონა მზად არის!

მერე შევედით, რომ მისი მოციქულობა შეგვეტყო, რომელიც, ჩემი მიხედვით, მანამდეც შემეძლო მეთქვა, სანამ ფრანგი კრინტს დასძრავდა.

შექსპირი. „მეფე ჰენრი V“

რამდენიმე დღემ განვლო დიდ გასაჭირში. მანროს წინააღმდეგობის გასაწევად სათანადო ძალა არ გააჩნდა. უებმა და მისმა ჯარმა, ჰადსონის ნაპირებზე რომ თვლემდა, თითქოს გადაივიწყეს თავიანთი მოძმეების მძიმე მდგომარეობა. მონკალმმა სათრევის ტყეები წითელკანიანებით აავსო, რომელთა ყიჟინა ყველას შიშის ზარს სცემდა და ძარღვებში სისხლს უყინავდა.

მაგრამ სხვა იყო ციხესიმაგრეში მყოფთა მდგომარეობა. მათ მეთაურები ამხნევებდნენ და ისინიც სახელსა და პატივს გულმოდგინედ იცავდნენ. ფრანგმა სარდალმა მთებში გამაგრება არ ისურვა, არადა იქიდან უვნებლად შეეძლო ალყაშემორტყმულთა განადგურება. ეს ერთგვარი აბუხად აგდება მაღლობებისა, უფრო სწორად, შიში მათზე ასვლის სიძნელისადმი, მაშინდელი ომების უმთავრეს სუსტ მხარედ უნდა ჩაითვალოს. იგი წარმოშვა ინდიელებთან ომის სიმარტივემ, რომელშიც შეტაკებების ხასიათისა და ტყეების სიხშირის გამო ციხესიმაგრეები იშვიათი იყო და არტილერია არც სჭირდებოდათ. ასეთი დაუდევრობა მემკვიდრეობად ერგო რევოლუციის ომებსაც და შტატებს ხელიდან გამოაცალა მნიშვნელოვანი ციხესიმაგრე — ტიკონდეროგა, რითაც გზა გაეხსნა ბარგონის არმიას ქვეყნის მაშინდელი შუაგულისაკენ. ამისთანა უფიცობას თუ უგუნურებას, რაც გნებავთ ის უწოდეთ — გაოცებით ვუყურებთ დღეს, რადგან ვიცით, რომ მაღლობის უყურადღებოდ დატოვება, რომელზე ასვლის

სიძნელეც მაუნტ-დელიანსის მსგავსად ასე იყო გაზვიადებული, ამჟამად საბედისწერო გამოდგებოდა მის ძირას ციხესიმაგრის დამგეგმავი ხუროთმოძღვრის სახელისათვის და იმ სარდლისთვისაც, რომელსაც წილად ხვდებოდა მისი დაცვა.

ტურისტი, სნეული, ან ბუნების მოტრფიალე ცნობების, ჯანმრთელობისა თუ სიამოვნების მოსაპოვებლად ოთხცხენიან ეტლს რომ მიაგრიალებს სანახებში, ვერ წარმოიდგენს, რომ მისი წინაპრები ასევე ადვილად და მარჯვედ სულაც არ დადიოდნენ აქ.

ასეთი მდგომარეობა ლოდად აწვა უილიამ-ჰენრის ახლანდელი დამცველის, შეუპოვარი შოტლანდიელის ბედს. მისმა მოწინააღმდეგემ მალლობებს ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ თავისი ბარბაზნები საზრიანად განალაგა ველზე და მარჯვედაც ხმარობდა. მათ წინააღმდეგ ალყაშემორტყმულებს მხოლოდ უდაბურ ადგილებში აგებული სიმაგრის არც ისე საიმედო კედლები შეეძლოთ გამოეყენებინათ; ვერც კანადისაკენ გადაჭიმული წყლის ბოლი გაუწევდათ მეგობრულ დახმარებას, პირიქით, იგი გზას მტერს უხსნიდა.

ალყის მეხუთე დღეს მაიორმა ჰეიუარდმა ისარგებლა მოკლე ბავით და წყალზე გადამდგარი ერთ-ერთი ბურჯის მიწაყრილობე გამოვიდა, რათა ტბიდან მონაბერი გრილი ჰაერი ჩაესუნთქა და მოალყეთა წინსვლის საქმესაც დაჰკვირვებოდა. ერთადერთ გუშაგს თუ არ ჩავთვლით, იგი მართო იყო. საამური საღამო იდგა და გრილი, მოალერსე ნიავი უბერავდა. თითქოს ბარბაზნების გრილისა და ტყვიების ზუმუნის შეწყვეტასთან ერთად ბუნებამაც ისარგებლა ხელსაყრელი დროით, რათა უნაზესი და ყველაზე მომხიბლავი სახე მიეღო. მზე უკანასკნელ სხივებს აფრქვევდა. ჰორიზონტზე ამ სხივებით უცნაურად განათებული მთები მოჩანდა.

ორი პატარა, თეთრი, ქათქათა ბაირალი გამოეფინათ: ერთი ციხესიმაგრის გამოწეული კუთხის ქიმზე, მეორე კი — მოალყეთა მოწინავე ბატარეაზე. ეს იყო მოწინააღმდეგეთა შორის არა მარტო მტრული მოქმედების, არამედ საერთოდ მტრობის მოსპობის ნიშანიც. უკან კი მძიმედ ფრიალებდა მოქიშპე სახელმწიფოების, ინგლისისა და საფრანგეთის, დროშები.

ასიოდე მხიარული და თავქარიანი ახალგაზრდა ფრანგი ბადეს ისროდა რიციან სანაპიროზე. ისმოდა ხმამაღალი გადაძახილი. ზოგი ტბის წყალში ბანაობას დახარბებოდა, სხვები კი, მათთვის დამახასიათებელი მოუსვენარი ცნობისმოყვარეობით მიიკვლევდნენ გზას მეზობელი სერებისაკენ. ყველა ამ გართობასა და ფაციფუსს, ალყაშემორტყმულების მოთვალთვალე ხალხი და თვით ალყაშემორტყმულებიც სიამოვნებითა და თანაგრძნობით უყურებდნენ. აქა-იქ მოდარაჯე გუნდებშიც წამოიწყებდნენ სიმღერას ან ცეკვას, რითაც გაოცებულ, მაგრამ მდუმარე, პირქუშ წითელკანიანებს იზიდავდნენ. ერთი სიტყვით, ომი საერთოდ არ იგრძნობოდა.

დუნკანი ჩაფიქრებული იდგა და რამდენიმე წუთს გასცქეროდა ამ სანახაობას. უცებ მისი ყურადღება მოახლოებულმა ფეხის ხმამ მიიპყრო. ის ბურჯის კუთხესთან მიდგა და დაინახა ფრანგ ოფიცრებთან ერთად ციხესიმაგრისაკენ მომავალი მზვერავი. ქორის თვალს გატანჯულ-განაწამები გამომეტყველება და დაღვრემილი იერი ჰქონდა. ეტყობოდა, დიდ დამდაბლებად და სახელის გატეხად მიაჩნდა მტრის ხელში მოხვედრა. თავისი საყვარელი იარაღი აღარ ჰქონდა და ირმის ტყავის თასმებით ხელებიც კი შეებორკათ. ჰეიუარდს ეგონა მოსალაპარაკებლად ამჯერად მტრის სხვა ოფიცრები მოდიანო. მაგრამ როგორც კი იცნო თავისი მეგობარი მონადირის მტკიცე, მაგრამ სევდიანი სახე, გაოცებისაგან შეკრთა და შემოტრიალდა, რათა ბურჯიდან ციხესიმაგრის შიგნით ჩასულიყო.

უცებ სხვა ხმამ მიიპყრო მისი ყურადღება და ერთი წუთით გადაავიწყა თავის განზრახვა. სანგრის შიგნითა კუთხესთან იგი დებს შეეფეთა, რომლებიც მიწაყრილის გასწვრივ, სუფთა ჰაერზე სეირნობდნენ. ერთმანეთი აღარ ენახათ იმ მტანჯველი წუთის მერე, როცა ჭაბუკმა დები ველზე მიატოვა, რათა მათი უშიშროება უზრუნველყო. განშორებისას ისინი შეშინებულები და სასოწარკვეთილები დატოვა, ახლა კი გახალისებულებს ხედავდა. ასეთ დროს, საკვირველი არ არის, რომ ახალგაზრდა კაცს სხვა რამეები ერთი წუთით გადაავიწყდა, რათა მათ მისალმებოდა. აღისამაც არ დააყოვნა:

— ოჰ, მოღალატე რაინდო! ბრძოლის ველზე ბედის ანაბარა რომ ტოვებთ ქალბატონებს, — შესძახა მან ვითომდა საყვედურით, — აქ მთელ დღეებს კი არა, საუკუნეებს გელოდით, რომ მოსულიყავით და ღალატისათვის შეწყალება გეთხოვათ. თქვენ ხომ ისე მოკურცხლეთ, რომ, როგორც ჩვენი ღირსეული მეგობარი მზვერავი იტყოდა, დაკოდილ ირემს აჯობებდით!

— ალბათ გესმით, რომ აღისა ამით ჩვენს მადლობას გიცხადებთ, — დასძინა დინჯმა და დაფიქრებულმა კორამ, — ცოტა კი გვიკვირდა, ასე ჯიუტად რატომ გაურბოდით იმ ადგილს, სადაც ქალიშვილების მადლიერებას მშობლის მადლობაც შეიძლება დამატებოდა.

— თვით მამათქვენს შეეძლო ეთქვა, რომ თქვენთან არ ვიყავი, მაგრამ არ დამვიწყებიათ, — მიუგო დუნკანმა, — იმ ქოხებიანი სოფლის მფლობელობისათვის, — და ხელი გაიშვირა სანგარშემოვლებული მეზობელი ბანაკისაკენ, — სასტიკი ბრძოლა იყო გამართული და მერე ვისაც ეგ უჭირავს, უთუოდ ეს ციხესიმაგრეც მთლიანად მის ხელში იქნება. ჩვენი დაშორების მერე დღე და ღამე სულ იქ ვიყავი, რადგან მეგონა, იქ ყოფნას მომიწოდებდა მოვალეობა. მაგრამ, — დაუმატა მან წყენით, რომლის დაფარვასაც ამაოდ ცდილობდა, — რომ მცოდნოდა, რომ იმას,

რაც მაშინ ჯარისკაცის მოვალეობად მიმაჩნდა, ასე გაიგებდნენ, მოუსვლელლობის სხვა მიზეზებს სირცხვილიც დაემატებოდა.

— ჰეიუარდ!.. დუნკან! — შესძახა ალისამ და ნახევრადშებრუნებული დუნკანისათვის რომ შეეხედა, ისე გადაიხარა, რომ ალექსილ დაწვებზე ოქროსფერი თმა ჩამოეშალა, — რომ მგონებოდა, ჩემი ჭარტალა ენა გულს გატკენდათ, სამუდამოდ დავდუმდებოდი! კორას შეუძლია თქვას, რა სამართლიანად შევაფასეთ თქვენი სამსახური და როგორი ღრმაა ჩვენი მადლიერების გრძნობა!

— მერე განა კორაც დაადასტურებს მაგის სიმართლეს? — შესძახა დუნკანმა და სიამოვნების ღიმილმა სახიდან წყენა გაუქრო, — რას იტყვის ჩვენი დარბაისელი დაიკო?

კორას მაშინვე არ გაუცია პასუხი, ტბისაკენ შებრუნდა, თითქოს ჰორიკონის სწორ ზედაპირს აკვირდებოდა. როცა მან თავისი შავი თვალები ახალგაზრდა კაცს შეანათა, ისინი ჯერ კიდევ ავსილი ჰქონდა ისეთი ტანჯვით, რომ დუნკანს მასზე ზრუნვის საოცარი სურვილი გაუჩნდა.

— თქვენ კარგად ვერ ხართ, ძვირფასო მის მანრო! — მიადახა მან, — ჩვენ ვხუმრობდით, თქვენ კი თურმე იტანჯებოდით!

— არაფერია, — მიუგო კორამ, — მე რომ არ შემძლია ცხოვრების სურათის მზიანი მხარის დანახვა ამ გულალალი, სიცოცხლით აღტაცებული მოტრფიალის მსგავსად, — დასძინა მან და მსუბუქად, მაგრამ ალერსიანად მოჰკიდა მკლავში ხელი დას, — გამოცდილების ბრალია და ეგებ ჩემი ბუნებისათვის თანდაყოლილი უბედურებაც. შეხედეთ, — განაგრძო ძალდატანებით მან, — მიიხედ-მოიხედეთ თქვენ გარშემო, მაიორო ჰეიუარდ, და მითხარით, რა სანახაობას წარმოადგენს ეს იმ ჯარისკაცის ქალიშვილისათვის, რომლის უდიდესი ბედნიერება პატიოსნება და მხედრული სახელია!

— არც ერთი მათგანი არ უნდა შეიბღალოს და არც შეიბღალება ისეთ გარემოებათა გამო, რომელთა წარმართვის საქმეც მის ხელთ არ არის, — გულმხურვალედ უპასუხა დუნკანმა, — მაგრამ თქვენი სიტყვები მოვალეობას შემახსენებს. მე ახლა თქვენს გულად მამასთან მივდივარ, რომ გავიგო, რა გადაწყვეტილება მიიღო ჩვენს დასაცავად. ღმერთმა ბედნიერება მოგანიჭოთ, სულგრძელო... კორა... მე შემძლია, და უნდა კიდევ გიწოდოთ ასე.

ქალმა გულწრფელად გაუწოდა ხელი, თუმცა ბაგეები უთრთოდა და ღაწვებზეც ნელ-ნელა მოედო ნაცრისფერი.

— მშვიდობით, ალისა! მალე ვნახავთ ერთმანეთს, იმედი მაქვს, გამარჯვებულები! — დაემშვიდობა დუნკანი და ქალიშვილების პასუხისათვის აღარ დაუცდია, იგი ბურჯის ბალახოვან საფეხურებზე დაეშვა, სწრაფად გადაირბინა სავარჯიშო მოედანი და მალე მათი მამის წინაშე წარდგა. დუნკანი რომ შევიდა, მანრო ვეება ნაბიჯებით სცემდა ბოლთას ვიწრო ოთახში.

— დამასწარით, მაიორო ჰეიუარდ, — უთხრა მან, — სწორედ ახლა ვაპირებდი, მეთხოვა, პატივი დაგედოთ და მოსულიყავით!

— ვწუხვარ, ბატონო, რომ შიკრიკი, რომლის გაგზავნაც მე ასე თავგამოდებით გირჩიეთ, ფრანგებმა შეიპყრეს! იმედი მაქვს, საბუთი არ გექნებათ მის ერთგულებაში დასაეჭვებლად!

— „გრძელი თოფის“ ერთგულება კარგად ვიცი, — მიუგო მანრომ, — თუმცა, ჩანს, ბედმა უმტყუნა. მონკალმს ჩაუგდია ხელში. წყეული ფრანგული თავაზიანობითა და ვითომ გულშემმატკივარი სიტყვებით გამომიგზავნა — რაკი ვიცი, როგორ აფასებთ ამ კაცს, ჩემთან აღარ დავიტოვეო. ეს სწორედ იეზუიტური ხერხია, მაიორო დუნკან ჰეიუარდ, ადამიანისთვის თავისი უბედურების სათქმელად.

— მერე გენერალი უები და მისი მაშველი ჯარი?..

— რომ შემოდლიოდით, არ გაგიხედავთ სამხრეთისაკენ და არ დაგინახავთ ისინი? — თქვა მოხუცმა მეომარმა მწარე სიცილით.

— მაშ, მოდიან? მზვერავმა ეს ამბავი მოიტანა?

— მერე როდის და რა გზით?! რადგან ბრიყვმა ეს ველარ მითხრა! ეტყობა, წერილიც გამოუტანებიათ და მხოლოდ ეგღაა ერთადერთი ნუგეში. მარკიზ მონკალმის თავაზიანობაზე უნდა მოგახსენო — თავს დავდებ, დუნკან, რომ მისი სამარკიზოსთანა თორმეტი მაინც გამოიჭრება მარკიზ ლოთიანის სამფლობელოში — წერილში ცუდი ამბავი რომ წერებუდიყო, ეს კეთილშობილი კუდაბზიკა ფრანგი ვაჟბატონი ვერ მოითმენდა და უეჭველად გაგვაგებინებდა!

— მაშ, წერილი თავისთვის დაუტოვებია და შიკრიკი გამოუშვია!

— დიახ, ასე მოიქცა, და ისიც ეგრეთ წოდებული ფრანგული დიდსულოვნების გულისთვის. თუ სიმართლე გნებავთ, გავბედავ და იმასაც ვიტყვი, რომ მაგ ვაჟბატონის პაპა იქნებ ცეკვის დიდებულ მეცნიერებასაც ასწავლიდა!

— მაგრამ მზვერავი რას ამბობს? სიტყვიერად რა მოგახსენათ?

— მთელი ამბავი ეს გახლავთ: მდინარე ჰადსონის პირას მდებარეობს მისი უდიდებულესობის ციხესიმაგრე ედუარდი, მოგეხსენებათ, მისი მოწყალე უმაღლესობის, იორკის მთავრის საპატიოდ სახელდებული და როგორც ასეთ სიმაგრეს შეეფერება, გავსებულია შეიარაღებული ხალხით!

— მაგრამ ნუთუ ჩვენს საშველად წამოსვლას არ აპირებენ?

— დილა-საღამოს აღლუმები იმართებოდა და კიდევ, როცა ერთმა ხეპრემ თოფის წამალი მოაფრქვია თავის შეჭამანდს და ნაკვერჩხლებთან ახლოს მიიტანა, იფეთქა! — მერე მწარე, დამცინავი კილო შეცვალა და განაგრძო: — მაინც შეიძლება და უნ-

და იყოს კიდევ იმ წერილში რაღაც, რის გაგებაც ჩვენთვის საჭიროა!

— გადაწყვეტილების მიღება საჩქაროა, — ჩაურთო დუნკანმა, — ვერ დაგიმალავთ, ბატონო, რომ ბანაკის შენარჩუნებას მალე უკვე ვეღარ მოვახერხებთ და უნდა დავძინო ისიც, რომ არც ციხესიმაგრეში უჩანს უკეთესი პირი საქმეებს — ჩვენი ზარბაზნების ნახევარზე მეტი დამსკდარია.

— სხვანაირად როგორ იქნება! ზოგი ტბის ფსკერიდან ამოვართიეთ, ზოგი ამ ქვეყნის აღმოჩენის დროიდან ტყეებში იჯანგებოდა, ზოგი კი სულაც არასოდეს ყოფილა ზარბაზანი, ხომალდების კერძო მესაკუთრეთა უბრალო სათამაშო იყო! თქვენ გგონიათ, ულიჯ-უორენის ზარბაზნები შეიძლება იქონიოთ ამ უდაბნოში, დიდი ბრიტანეთიდან სამი ათასი მილის მანძილზე?

— კედლები თავზე გვექცევა, სურსათიც გველევა, — განაგრძო ჰეიუარდმა და გულისწყრომის ამ ახალ ამოხეთქვას ყური აარიდა, — თვით ხალხიც კი უკმაყოფილოა.

— მაიორო ჰეიუარდ, — თქვა მანრომ და ხნოვანებისა და გემდგომი ხარისხის მთელი ღირსების შეგნებით მიუბრუნდა თავის ახალგაზრდა ამხანაგს, — ნახევარი საუკუნე ამაოდ მიმსახურია ჯარში და შემიძენია ეს ჭალარა, თუ არ მეცოდინებოდა ყველა ეგ თქვენი ნათქვამი და ჩვენი მდგომარეობის მთელი სიმძიმე. მაგრამ მაინც ყველაფერი უნდა შევწიროთ ჩვენი იარაღისა და თვით ჩვენი ღირსების საქმეს. სანამ ცოტაოდენი იმედი მაინც არის, ციხესიმაგრეს დავიცავ, თუნდაც ამისთვის ტბის პირას რიყის ქვის მოგროვება დამჭირდეს. ამიტომ ბარათის ნახვა ჩვენთვის აუცილებელია, რათა ვიცოდეთ იმ ვაცის გეგმები, რომელიც გრაფმა ლუდონმა ჩვენში თავის მოადგილედ დატოვა.

— ხომ არ გამოვდგები მაგ საქმეში?

— დიახ, ბატონო, გამოდგებით. მარკიზმა მონკალმმა, პირადი მოლაპარაკებისთვის მიმიწვია ციხემისაგრესა და მის ბანაკს

შორის, რათა დამატებით სხვა ამბავიც მითხრას. ახლა, მე მგონია, არ ივარგებს უგულისყუროდ მოვეპყრათ მასთან შეხვედრის საქმეს და ჩემ მაგივრობას თქვენ, მაღალი რანგის ოფიცერს მონგანდობთ; რადგან შოტლანდიის სახელს არ შეჭფერის, რომ ვინმეს წამოვაძახებინოთ, მის მკვიდრს თავაზიანობაში სხვამ აჯობაო!

დუნკანმა თავი აღარ გამოიდო და ხალისით დათანხმდა, მომავალ მოლაპარაკებაში მოხუცი მეომრის მაგივრობა გაეწია. ამას მოჰყვა ხანგრძლივი, საიდუმლო საუბარი, რომელშიც ახალგაზრდა ვაცმა მოხუცი მეთაურის გამოცდილებისა და ბუნებრივი გამჭრიახობის გაზიარების წყალობით თავისი მოვალეობის უკეთ შეგნებისათვის საჭირო დამატებითი ცნობები შეიძინა და წავიდა.

რადგან დუნკანს შეეძლო ემოქმედა მხოლოდ როგორც ციხესიმაგრის უფროსის წარმომადგენელს, ცერემონია საჭირო აღარ იყო. ზავს ჯერ კიდევ ჰქონდა ძალა და დარიგებების ათიოდე წუთის შემდეგ დოლის გრიალ-ბრაგუნითა და თეთრი ბაირალის ფრიალით დუნკანი ციხესიმაგრიდან გავიდა. მას, წესის დაცვით, ფრანგი ოფიცერი მიეგება და მაშინვე მიაცილა იმ სახელგანთქმული მეომრის კარვამდე, რომელიც საფრანგეთის ჯარს წინამძღოლობდა.

ახალგაზრდა მოციქული მტრის სარდალმა უფროსი ოფიცრებითა და წითელკანიანთა იმ ბელადების გუნდით გარშემორტყმულმა მიიღო, რომელნიც თავიანთი ტომების მეომრებითურთ წამოჰყოლოდნენ ბრძოლის ველზე. ჰეიუარდი უცბად შედგა, როცა უკანასკნელ ჯგუფს გადაავლო თვალი და მაგუას ღვარძლიანი სახე შეამჩნია. იგი ცბიერი ველურისათვის ჩვეული წყნარი, მაგრამ პირქუში გამომეტყველებით ათვალეირებდა მას. ახალგაზრდა ვაცმა განცვიფრების გამომხატველი წამოძახილი ვერ შეიკავა, მაგრამ თავისი მოვალეობა მოაგონდა, დათ-

რგუნა ყოველი გრძნობა და მტრების წინამძღოლს მიუბრუნდა, რომელმაც რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა მისკენ.

მარკიზი მონკალში იმ დროს, რომლის ამბავსაც ჩვენ ვწერთ, ვაჟკაცობის ხანაში იყო და ბედნიერების მწვერვალზე იმყოფებოდა. მან ამ მდგომარეობაშიც ტკბილი ხასიათი შეინაჩრუნა და გამოირჩეოდა, როგორც წესრიგისადმი დიდი გულისყურით, ასევე რაინდული მამაცობით, რამაც სულ ორიოდვე წლის შემდეგ თავი წააგებინა აბრაჰამის ველზე. დუნკანმა მაგუას ბოროტ სახეს რომ მოაშორა თვალები, სიამოვნებით შეხედა ფრანგი სარდლის მოღიმარ, ნატიფ სახესა და კეთილშობილ მხედრულ გარეგნობას.

— Monsieur — უთხრა მონკალმმა, — J'ai beaucoup de plaisir à... bah!.. où est cet interprète?

— Je crois, Monsieur, qu'il ne sera pas nécessaire, — თავდაბლად მიუგო ჰეიუარდმა, — je parle un peu Français.

— Ah! J'en suis bien aise, — თქვა სარდალმა, შინაურულად მოჰკიდა მკლავში ხელი და კარავში შეიყვანა, რათა მათი ლაპარაკი არავის მოესმინა, — je désente ces fripons là; on ne sait jamais sur quell pied on est avec eux. Eh bien! Monsieur, — განაგრძო მან ფრანგულად, — თუმცა საამაყოდ მექნებოდა თქვენი მეთაურის სტუმრობა, მაინც ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მან ჯერონად მიიჩნია გამოჩენილი ოფიცრის გამოგზავნა.

ქათინაურით ნასიამოვნებმა დუნკანმა მდაბლად დაუკრა თავი, თუმცა გმირული გადაწყვეტილება კი ჰქონდა მიღებული, არ დამორჩილებოდა არავითარ ხიბლს, რომ რაიმე ზიანი არ მიეყენებინა თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის. მონკალში ერთი წუთით შედგა და თითქოს გონება მოიკრიბაო, განაგრძო:

— თქვენი ციხისთავი მამაცი ვაცია და კარგადაც შეუძლია ჩემი იერიშების გამკლავება. Mais, Monsieur, განა დრო არ არის

უფრო კაცთმოყვარეობას დავეკითხოთ, ვიდრე საკუთარ ვაჟვაცობას? ერთიც ისევე ახლავს გმირობას, როგორც მეორე!

— ჩვენც განუყრელად მიგვაჩნია ეგ ღირსებანი, — მიუგო ღიმილით დუნკანმა, — მაგრამ სანამ თქვენი აღმატებულების გულმოდგინება ერთისაკენ გვიბიძგებს, ჩვენ ჯერ კიდევ ვერა ვხედავთ მეორისადმი მიმართვის განსაკუთრებულ საჭიროებას.

ახლა მონკალმმაც ოდნავ დაუკრა თავი, მაგრამ ქათინაურებს შეჩვეული კაცის იერით ერთი წამის ფიქრის შემდეგ დასძინა:

— ეგებ ჩემმა დურბინდმა მომატყუა და თქვენს სიმაგრეებს უკეთ შეუძლიათ გაუწიონ წინააღმდეგობა ჩვენს ბარბაზებს, ვიდრე მეგონა. თქვენ იცით ჩვენი ძალები?

— ჩვენი ვარაუდები მერყეობს, — დაუდევრად მიუგო დუნკანმა, — მაგრამ უმაღლეს რიცხვს ოცი ათასი კაცისათვის არ გადაუჭარბებია.

ფრანგმა ტუჩზე იკბინა და თვალები დააშტერა მოსაუბრეს, თითქოს მისი ფიქრების წაკითხვა უნდაო. მერე მისთვის ჩვეული ხალისით განაგრძო, თანაც ვითომ უდასტურებდა ნათქვამი რიცხვის სიმართლეს, თუმცა ხვდებოდა, რომ სტუმარს ეს თვითონაც არ სჯეროდა.

— უხეირო ქათინაურია. ჩვენი, ჯარისკაცების, სიფხიზლისათვის, ბატონო. როგორც უნდა ვეცადოთ, რაოდენობის დაფარვას ვერასოდეს ვახერხებთ. მერედა, თუკი ეს სადმე შესაძლებელია, კაცი იფიქრებს, ამ ტყეებში ყველაზე უფრო ადვილი იქნებაო. თუმცა თქვენ ნაადრევად მიგაჩნიათ კაცთმოყვარეობის მხარეს დადგომა, — ეშმაკური ღიმილით დასძინა მან, — მაგრამ ნება მიბოძეთ, დარწმუნებული გახლდეთ, რომ თავაზიანობა არ დავიწყებია ისეთ ახალგაზრდას, როგორიც თქვენ ბრძანდებით. კომენდანტის ასულები, მე მგონი, ციხესიმაგრეში ალყის შემორტყმის შემდეგ მოხვდნენ.

– მართალია, ბატონო, მაგრამ მაგით ჩვენ სულაც არ შეგვისუსტებია გულმოდგინება, პირიქით, ისინი თავიანთი მხნეობით სიმამაცის მაგალითს გვაძლევენ. მხოლოდ სიმტკიცე რომ იყოს საკმარისი ისეთი გამოჩენილი მეომრის უკუსაგდებად, როგორც ბატონი მონკალმი ბრძანდება, მე უილიამ-ჰენრის დაცვას სიამოვნებით მივანდობდი იმ მანდილოსნებიდან უფროსს.

– ჩვენ ერთი ბრძნული წესი გვაქვს ჩვენს საღურ კანონებში, რომელიც ამბობს: „საფრანგეთის გვირგვინი არასოდეს არ უნდა გადავიდეს ლახვრიდან ჯარაზზე“, – თქვა ცოტა გაცხარებით და მკვახედ მონკალმმა, მაგრამ მაშინვე ძველებური გულდია და ზრდილობიანი კილოთი დაუმატა: – ვინაიდან ყოველი კეთილშობილი თვისება მემკვიდრეობითია, მე მჯერა თქვენი სიტყვისა; თუმცა, როგორც მოგახსენეთ კიდეც, მამაცობას თავისი ზღვარი აქვს და კაცთმოყვარეობა არ უნდა დავივიწყოთ. იმედი მაქვს, ბატონო, თქვენ აღჭურვილი ხართ უფლებით, ციხესიმაგრის დანებების თაობაზე მომელაპარაკოთ.

– განა თქვენს აღმატებულებას ასეთი სუსტი ჰგონია ჩვენი ძალები, რომ დარწმუნებული ბრძანდება სიმაგრის დათმობის აუცილებლობაში?

– არ მინდა, ალყა ისე გაჭიანურდეს, რომ ჩემი წითელკანიანი მეგობრები გაღიზიანდნენ, – მონკალმმა უპასუხოდ დატოვა კითხვა და განაგრძო, – მე ახლაც მიჭირს, მათი ქმედება ომის წესებს დავუქვემდებარო.

ჰეიუარდი დუმდა, რადგან მოაგონდა ახლახან განცდილი საფრთხისაგან თავის დაღწევის ამბავი და თვალწინ წარმოუდგა იმ უმწეო არსებათა სახეები, რომლებიც მთელი მისი ტანჯვა--წვალების მონაწილენი იყვნენ.

– Ces messieurs là, – თქვა მონკალმმა, – განსაკუთრებით საზარლები არიან, როცა მათ ატყუებენ, ალბათ იცით, რა ძნე-

ლია მათი შეკავება, როცა გაშმაგდებიან. Eh bien, Monsieur! მოვილაპარაკოთ დანებების პირობებზე.

— ვშიშობ, რომ თქვენი აღმატებულება უილიამ-ჰენრის ძლიერებასა და მეციხოვნე ჯარის შესაძლებლობებთან დაკავშირებით ცდება!

— მე კვებეკთან კი არა, მიწაყრილებიანი სიმაგრის გარშემო ვდგავარ, რომელსაც ორი ათას სამასი გულადი კაცი იცავს, — იყო მოკლე, მაგრამ თავაზიანი პასუხი.

— ჩვენი სიმაგრეები მართლაც მიწისაა... და არც კვიპ--დაიმონდის კლდეებზე მდებარეობს, მაგრამ ისინი იმ სანაპიროზე დგანან, დამლუპველი რომ გამოდგა დისკაუსა და მისი მამაცი ჯარისთვის. ამასთან, ორიოდ საათის სავალზე ძლიერი რაზმი იმყოფება, რომელიც ჩვენი თავდაცვის საშუალებათა ნაწილად მიგვაჩნია.

— რაღაც ექვსი თუ რვა ათასი კაცი, — მიუგო მონკალმმა, — რომლებიც სანგრებში უფრო უშიშრად არიან, ვიდრე გარეთ.

ახლა ჰეიუარდს დაუდგა წყენისაგან ტუჩზე კბენის ჯერი, მოსაუბრემ ასე გულგრილად რომ მოიხსენია რაზმი, რომლის რაოდენობაც, თვითონაც კარგად იცოდა, გაზვიადებული იყო. ცოტა ხანს ორივე დადუმდა. მერე მონკალმმა ისეთი კილოთი განაგრძო, რომ, ჩანდა, სჯეროდა, ჩემი სტუმარი მხოლოდ დანებების პირობების შემოსათავაზებლად მოვიდაო. ჰეიუარდიც, თავის მხრივ, ცდილობდა შეეტყო, რა გაიგო მან ბარათიდან. ოღონდ ვერც ერთის ხრიკებმა ვერ გაჭრა და გაჭიანურებული და ფუჭი მოლაპარაკების შემდეგ დუნკანი წამოვიდა, თუმცა ისე, რომ საინტერესო საქმისა ვერაფერი გაიგო. მონკალმმა კარვის შემოსასვლელამდე მიაცილა იგი და კვლავ გაუმეორა, სთხოვეთ ციხესიმაგრის კომენდანტს, სასწრაფოდ შემხვდესო.

აქ გაიყარნენ. დუნკანი წინანდებურად ოფიცრის თანხლებით დაბრუნდა ფრანგების მოწინავე ხაზზე, საიდანაც დაუყოვნებ-

ლივ გაეშურა ციხესიმაგრისაკენ, იქიდან კი თავისი მეტაურის
ბინისაკენ.

ედგარი: სანამ ბრძოლას დაიწყებდეთ, ეს წერილი გახსენით.
შექსპირი. „მეფე ლირი“

მაიორი ჰეიუარდი რომ მოვიდა, მანრო თავის ქალიშვილებთან ერთად მარტო იყო ოთახში. ალისა მუხლზე ჩამოსჯდომოდა მოხუცს, ნატიფი თითებით შუბლზე ჭალარა თმას უყოფდა და ეალერსებოდა. კორაც იქვე ახლოს იჯდა და უმცროსი დის ცულ-ლუტობას დედობრივი ალერსით შეჰყურებდა. არა მარტო განვლილი, არამედ ახლანდელი საფრთხეც კი ერთი წუთით დავიწყებას მისცემოდა. გეგონებოდათ მოკლე, დროებითი ზავით უსარგებლიათო. ამ სიწყნარესა და მყუდროებაში ქალიშვილებს შიში გადავიწყებოდათ, ძველ მეომარს კი — საზრუნავი. თავისი მოციქულობის შედეგის სასწრაფოდ გადაცემის მოწადინე დუნკანი გაუფრთხილებლად შევიდა ოთახში და კარგა ხანს ტკბებოდა მათი ცქერით. ალისამ სარკეში მისი გამოსახულება შეამჩნია. გაწითლებული ქალწული მამის მუხლიდან ჩამოხტა და გაოცებულმა ხმამაღლა შესძახა:

— მაიორი ჰეიუარდი!

— სად არის ყმაწვილი? — იკითხა მამამ, — ფრანგთან ცოტა ენის მოსაფხანად გავგზავნე. ოჰო! ბატონო ჩემო, ახალგაზრდა ბრძანდები და ცქვიტი ხართ!

მამამ შვილები დაითხოვა, მაგრამ ახალგაზრდა კაცისათვის მოციქულობის ამბის კითხვის ნაცვლად ბურგზე ხელებდაწყობილი, თავჩაღუნული და ღრმა ფიქრებში წასული, ერთხანსბოლ-თას სცემდა. ბოლოს თავი ასწია. მშობლიური სიყვარულით გაბრწყინებული თვალები შეანათა დუნკანს და შესძახა:

— ორივე ჩინებული გოგოა, ჰეიუარდ. ყველას შეუძლია მათით იამაყოს!

— თქვენ მოგეხსენებათ ჩემი აზრი თქვენი ქალიშვილების შესახებ, ბატონო მანრო.

— მართალია, ყმაწვილო, მართალი, — შეაწყვეტინა სულსწრაფმა ბერიკაცმა, — სწორედ აპირებდით კიდევ გულის უფრო ფართოდ გადაშლას მაგ საქმეზე მოსვლის დღეს; მაგრამ მე ვფიქრობდი, ძველ ჯარისკაცს არ შეჰფეროდა გვირგვინის კურთხევაზე ლაპარაკი და საქორწინო ოხუნჯობანი, როცა მტერი კარს იყო მომდგარი! მაგრამ ვცდებოდი, დუნკან; ვცდებოდი მაშინ, ყმაწვილო, და ახლა მზად ვარ მოვისმინო, რასაც იტყვით!

— მიუხედავად იმ სიამოვნებისა, რომელსაც თქვენი ნათქვამი მანიჭებს, ბატონო, მე ეს-ეს არის, მონკალმისაგან სიტყვა მოგიტანეთ...

— ჯანდაბას ფრანგი და მთელი მისი ლაშქარი, ბატონო ჩემო! — შესძახა კუშტად წარბშეკრულმა ძველმა მეომარმა, — ის ჯერ კიდევ არ დაპატრონებია უილიამ-ჰენრის და ვერც ვერასოდეს დაეპატრონება. ოღონდ კი უები ვაცური ვაცი გამოდგეს. არა, ბატონო ჩემო, ღვთის მადლით, ჩვენ ჯერ არა ვართ ისე, რომ ითქვას, მანრო იმდენად გაჭირვებულია, საკუთარი ოჯახის პატარა საქმისთვისაც ვერ მოუცლიაო. დედათქვენი ჩემი გულითადი მეგობრის ერთადერთი შვილი იყო, დუნკან, და ახლა სწორედ თქვენ უნდა მოგისმინოთ, თუნდაც წმინდა ლუის მთელი რაინდობა თვით ფრანგი წმინდანის წინამძღოლობით ერთად მოადგეს ჩვენს სიმაგრეს და წყალობასავით შეგვევედროს ერთი სიტყვის თქმას. ან ეგ რაინდობის როგორი ხარისხია, როცა მისი ყიდვა შაქრის კასრებით შეიძლება! მერე ის თქვენი ორგროშიანი სამარკიზოები! შავი ნარის ორდენია ყველაზე ძველი და საპატიო, რაინდობის ჭეშმარიტი მცნება: „Nemo me impune lacessit!“ მაგ ორდენის რაინდი წინაპრებიც გყავდნენ, დუნკან,

რომლებიც შოტლანდიის რაინდობის სამკაულს წარმოადგენდნენ.

ჰეიუარდმა როცა დაინახა, რომ მისი უფროსი ღვარძლიან სიამეს პოულობდა ფრანგი სარდლის დანაბარების აბუჩად აგდებაში, გადაწყვიტა, დანებებოდა მოხუცის ჟინიანობასა და გაგულისებას, რომელიც დიდხანს მაინც არ გაგრძელდებოდა. ამიტომ ასეთ საჩოთირო საკითხზე, რამდენადაც შეეძლო, წყნარად მიუგო:

— მე, როგორც მოგეხსენებათ, ბატონო, გავკადნიერდი და გთხოვეთ, პატივი დაგედოთ და შვილად გეცანით.

— ჰო, ყმაწვილო, თქვენ ძალიან მკაფიოდ გამოთქვით სათქმელი! მაგრამ ერთი მიბრძანეთ, ბატონო ჩემო, ქალსაც გააგებინეთ?

— სინდისს გეფიცებით, არა, — გულმხურვალედ შესძახა დუნკანმა, — მაშინ ხომ ნდობას შევბღალავდი, ამისთანა საქმისათვის ჩემი მდგომარეობით რომ მესარგებლა!

— თქვენ პატიოსანი კაცი ხართ, მაიორო ჰეიუარდ, მაგრამ კორა მანრო ძალიან წინდახედული და საბრიანი ქალიშვილია, თანაც ჭკვიანი, მამის მზრუნველობაც კი არ სჭირდება.

— კორა?!

— დიახ... კორა! ჩვენ ხომ მის მანროსადმი თქვენს გრძნობებზე ვლაპარაკობთ, არა, ყმაწვილო?

— მე... მე... მე მგონი, მისი სახელი არ მიხსენებია, — წაილულულა დაბნეულმა დუნკანმა.

— მაშ, ვისი შერთვისათვის მთხოვდით დასტურს, მაიორო ჰეიუარდ? — დაეკითხა მოხუცი მეომარი და წელში გაიმართა.

— თქვენ გყავთ მეორე, არანაკლებ მომხიბლავი ქალიშვილი.

— ალისა? — შესძახა მამამ ისეთივე გაოცებით, როგორითაც ახლახან დუნკანმა გაიმეორა მისი დის სახელი.

— დიახ, მასზე მოგახსენებდით, ბატონო.

ახალგაზრდა კაცი კრიჭაშეკრული ელოდა, რას უპასუხებდა მოხუცი. რამდენიმე წუთს მანრო განიერი და სწრაფი ნაბიჯებით დააბოტებდა ოთახში. ბოლოს ჰეიუარდის წინ შედგა, თვალი თვალში გაუყარა და ათრთოლებულმა მიმართა:

— დუნკან ჰეიუარდ, მე მიყვარდით იმის გულისთვის, ვისი სისხლიც ძარღვებში გიჩქეფთ; მიყვარდით კარგი თვისებების გამო; მეგონა, ჩემს შვილს გააბედნიერებდით. მაგრამ მთელი ეს ჩემი სიყვარული მძულვარებად შეიცვლება, თუ დავრწმუნდები, რომ რასაც ვშიშობ, მართალი გამოდგა.

— ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩემმა ქცევამ ან ფიქრმა ეგეთი ცვლილება გამოიწვიოს! — შესძახა ჭაბუკმა.

მანრომ ჩათვალა, შეუძლებელია, იგი ჩემს ფიქრებს ხვდებოდესო; ახალგაზრდა კაცის გამომეტყველების სისპეტაკემ დააშოშმინა და საგრძნობლად შერბილებული კილოთი განაგრძო:

— ჩემს სიძეობას აპირებთ, დუნკან, და თქვენი სასიამაოროს თავგადასავალი კი არ იცით. დაბრძანდი, ყმაწვილო, და ორიოდე სიტყვით გადაგიშლით ჩემს ტკივილს.

ახლა მონკალმის შემონათვალა ორივეს დავიწყებოდა. ორივენი დასხდნენ და სანამ მოხუცი მეომარი მცირე ხანს სევდიან ფიქრებს წაეღო, ჭაბუკი ძლივს მალავდა მოუთმენლობას. ბოლოს პოლკოვნიკმა ხმა ამოიღო.

— უკვე იცით, მაიორო ჰეიუარდ, რომ მე ძველი და პატივცემული ოჯახის შვილი ვარ, — დაიწყო შოტლანდიელმა, — თუმცა ჩვენს ოჯახს, შესაძლოა, არ გააჩნდა იმდენი ქონება, რაც მის პატივს შეესაბამებოდა. დაახლოებით თქვენი ხნის ვიქნებოდი, როცა ერთგულების სიტყვა მივეცი ალისა გრეჰემს, გვარიანი შეძლების მქონე მეზობელი მემამულის ერთადერთ ქალიშვილს. მაგრამ მამამისმა უარი გვითხრა. მეც ისე მოვიქეცი, როგორც პატიოსან კაცს შეეფერებოდა: წამოვედი სამშობლოდან

და სამხედრო სამსახურში შევედი. ბევრი მხარე ვნახე და ბევრი სისხლიც დავღვარე სხვადასხვა ქვეყანაში, სანამ უესტ-ინდოეთის კუნძულებზე მოვხვდებოდი. იქ ბედმა შემახვედრა იმას, ვინც შემდეგ ჩემი მეუღლე და კორას დედა გახდა. იგი იყო იმ კუნძულებზე მემამულის ასული მანდილოსნისაგან, რომლის უბედურებაც ის იყო, თუკი უბედურებას ვუწოდებთ, — ამყად თქვა მოხუცმა, — რომ იმ კლასის შორეული შთამომავალი გახლდათ, ასე უსინდისოდ რომ გადააქციეს ფუფუნებაში მყოფი ხალხის მონებად! მაგრამ კაცი, რომელიც გაბედავს და წამოაყვედრებს ჩემს შვილს მის სისხლს, მაშინ ჩემი მამობრივი გულისწყრომის მთელ სიმძიმესაც იწვნევს! ჰო, მაიორო ჰეიუარდ, თქვენ თვითონაც ხომ სამხრეთის მკვიდრი ხართ, სადაც ამ საცოდავებს მდაბალ რასად მიიჩნევენ!

— ეგ, სამწუხაროდ, მართლაც ეგრეა, ბატონო, — თქვა დაბნეულმა დუნკანმა, თან ვეღარ შეძლო თვალი გაესწორებინა მოსაუბრისათვის.

— და თქვენ ამისთვის ჰკიცხავთ ჩემს შვილს! არ კადრულობთ, რომ ჰეიუარდების სისხლი შეურიოთ ასე მდაბიური სისხლის პატრონს... როგორი ტურფა და ღირსეულიც უნდა იყოს თვითონ, არა? — მრისხანედ დაეკითხა ეჭვით აფორიაქებული მშობელი.

— ღმერთმა დამიფაროს ასეთი უღირსი ცრურწმენისაგან! — მიუგო ჰეიუარდმა. თუმცა გულის სიღრმეში მაინც გრძნობდა ასეთ განწყობას, — თქვენი უმცროსი შვილის სიტურფეს, სილამაზესა და მომხიბლობას, პოლკოვნიკო, ადვილად შეუძლია აგისხნათ ჩემი გულისთქმის მიზეზები და გამათავისუფლოს მაგ ბრალდებისაგან.

— მართალი ხართ, ბატონო ჩემო, — მიუგო მოხუცმა და კვლავ მშვიდი კილოთი დაიწყო ლაპარაკი, — ეგ გოგო პირწავარდნილი დედაა, როცა მაგის ხნისა იყო და სანამ მწუხარებას

გამოცდიდა. მისი გარდაცვალების შემდეგ, ქორწინებით გამდიდრებული, შოტლანდიაში დავბრუნდი და განა დაიჯერებთ, დუნკან? ტანჯული ანგელოზი გაუთხოვარი დარჩენილიყო, თანაც ისეთი კაცის გულისათვის, რომელმაც დაივიწყა! მან ამაზე მეტიც ჩაიდინა, ბატონო: ყურადღება არ მიაქცია ჩემს ორგულობას და რადგან დაბრკოლება აღარ გველოებოდა, ცოლად გამომყვა.

— და გახდა ალისას დედა? — შესძახა დუნკანმა.

— გახდა, — უპასუხა მოხუცმა, რომელსაც სახის კუნთები უთამაშებდა, — და ძვირადაც დაუჯდა მისი გაჩენა, მაგრამ იგი წმინდანთა შორის არის ზეცაში, ბატონო, და არც კი შეჭფერის ისეთ კაცს, რომელსაც ცალი ფეხი სამარეში უდგას, დასტიროდეს ასეთ კურთხეულ ბედს. მხოლოდ ერთადერთი წელი ვიყავი მასთან — ბედნიერების მცირე ხანი იმისთვის, ვინც მთელი თავისი ახალგაზრდობა დარდში გაატარა!

მოხუცის მწუხარებაში იყო რაღაც ისეთი დიდებული და ღრმა მოწიწების გამომწვევი, რომ ჰეიუარდმა ნუგეშისცემისათვის კრინტის დაძვრაც ვერ შეჰბედა. მანრო ველარ გრძნობდა, რომ მარტო არ იყო. ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ლოყებზე და მერე იატაკზე ეცემოდა. ბოლოს იგი შეირხა, თითქოს გონზე მოვიდაო. წამოდგა, გაიარ-გამოიარა, მაღალი მხედრული იერით მიუახლოვდა თანამოსაუბრეს და ჰკითხა:

— ხომ არაფერი გაქვთ ჩემთვის გადმოსაცემი, მაიორო ჰეიუარდ, მარკიზ დე-მონკალმისაგან?

დუნკანი შეკრთა და აღელვებული ხმით ნახევრად გადავიწყებული დანაბარების გამეორებას შეუდგა. არ არის აუცილებელი, დაწვრილებით შევჩერდეთ ფრანგი სარდლის მიკიბულ-მოკიბულ, თუმცა კი ზრდილობიან სიტყვა-პასუხზე, რომლითაც მან თავი აარიდა ჰეიუარდის ყოველ ცდას, დაეტყუებინა თავისთვის საინტერესო ამბავი. მანროს გულში მამის აღელვებულმა

გრძნობებმა ნელ-ნელა ადგილი მოვალეობის შეგნებას დაუთმო და როცა ახალგაზრდა კაცმა დაასრულა, მის წინაშე იდგა ძველი მეომარი, ჯარისკაცის შეურაცხყოფილი გრძნობებით გულამღვრეული.

— საკმარისია, რაც თქვით, მაიორო ჰეიუარდ! — შესძახა გაცხარებულმა ბერიკაცმა, — მაგ ვაუბატონმა მოსალაპარაკებლად მიმიწვია და როცა მე ჩემი ღირსეული მოადგილე ვაახლე — რადგან სწორედ რომ ასეთი ხართ, დუნკან, წლოვანებით როგორი ახალგაზრდაც უნდა იყოს თქვენ — გამოცანით მიპასუხა!

— ეგებ მოადგილე იმას უფრო ნაკლებ ღირსეულად მიაჩნია, ჩემო ბატონო, — ღიმილით მიუგო დუნკანმა, — თანაც გაიხსენეთ, რომ მიწვევა, რომელსაც ახლა იმეორებს, ციხესიმაგრის უფროსისადმი იყო მომართული და არა მისი მოადგილისადმი.

— მერე, ბატონო, განა მოადგილე აღჭურვილი არ არის მისგან ძალაუფლებითა და ღირსებით, ვინც საქმე მიანდო? მანროსთან მოლაპარაკება ნებავს! პატიოსნებას ვფიცავ, ძალიან მინდა იმ კაცთან შეხვედრა, თუნდაც მხოლოდ იმისთვის, რომ დავანახოთ ჩვენი მტკიცე გამომეტყველება, რომელსაც ვინარჩუნებთ მიუხედავად მისი მრავალრიცხოვანი ჯარისა და მისი წინადადებისა — დავნებდეთ! არცთუ ცუდი პოლიტიკა იქნება ასეთი ნაბიჯი, ყმაწვილო!

დუნკანმა, რადგან სჯეროდა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ახლა იმ ბარათის შინაარსის სასწრაფოდ გაგება იყო, რომელიც მზვერავს გამოატანეს, სიამოვნებით დაუკრა კვერი მოხუცის მოსაზრებას.

— უეჭველია, მის გულდაჯერებულობაზე ნამდვილად იმოქმედებს ჩვენი სიმტკიცის ხილვა.

— ნეტავი, ბატონო ჩემო, დღისით მონახულებდეს ციხესიმაგრეს და ისიც იერიშით მომავალი რაზმითურთ. ომის მშვენიერება და ვაჟკაცობა წაახდინა, მაიორო, თქვენი მუსიე ვობა-

ნის სამხედრო ხელოვნებამ. ჩვენი წინაპრები შორს იყვნენ მაგ მეცნიერული სიმხდარისგან!

— ეგ შეიძლება მართალი იყოს, ბატონო, მაგრამ ახლა იძულებულები ვართ, ხელოვნებას ხელოვნება დაუუპირისპიროთ. რას მიბრძანებთ მოლაპარაკების საკითხზე?

— უნდა შევხვდე ფრანგს და თანაც ყოველგვარი შიშისა და ყოყმანის გარეშე, ერთი სიტყვით, ბატონო, როგორც ჩვენს მხედრულ ღირსებას შეჰფერის. წადით, მაიორო ჰეიუარდ, ნაღარის ხმით აცნობეთ და შიკრიკიც გაგზავნეთ, რომ მათ ჩვენი მისვლა შეატყობინონ. მხლებელთა მცირე გუნდიც წავიყვანოთ, ასეთი პატივი საჭიროა სახელმწიფოს ღირსების დასაცავად... და ყური მიგდეთ, დუნკან, — დაუმატა მან ჩურჩულით, თუმცა მარტონი იყვნენ, — იქნებ ურიგო არ იყოს პატარა დამხმარე რაზმიც გვყავდეს ახლოს, თუ ამ საქმეში ღალატმა იჩინა თავი.

დუნკანმა ამ ბრძანებით ისარგებლა და ოთახიდან გავიდა. იგი აუცილებელ განკარგულებათა გასაცემად გაეშურა. სულ ორიოდე წუთი იყო საჭირო, რომ ჯარისკაცთა პატარა რაზმი შეეკრიბა და ბაირალიანი შიკრიკიც გაეგზავნა შესატყობინებლად, ციხესიმაგრის კომენდანტი მოდისო. როცა ორივე საქმე მოითავა, მცველების ჯგუფს სიმაგრის კარისაკენ წაუძღვა, რომლის ახლოსაც მეთაური დახვდათ. როგორც კი სალაშქროდ გასვლის ჩვეულებრივი წესი შეასრულეს, მოხუცი მეომარი და მისი ახალგაზრდა თანამოლაშქრე, მცველი გუნდის თანხლებით, ციხესიმაგრიდან გავიდნენ.

ასიოდე ნაბიჯის გავლის შემდეგ მათ შესახვედრად მომავალი ფრანგი სარდლის მხლებელი პატარა რაზმი დაინახეს, რომელიც ციხესიმაგრესა და მოალყეთა ბატარეებს შორის მდებარე მომცრო ხევიდან გამოვიდა. თავისი სანგრებიდან გამოსვლისა და მტრის წინაშე გამოჩენის წუთიდან მანრომ დიდებული იერი მიიღო და ნამდვილი მხედრული ნაბიჯით გაემართა წინ. რო-

გორც კი თვალი მოჰკრა მონკალმის ქუდზე მოფრიალე თეთრ ფრთას, თვალები შეუპოვრობის ცეცხლით აენტო, ხნიერება აღარც კი ეტყობოდა.

– ბიჭებს გადაულაპარაკეთ, ფხიზლად იყვნენ, ყმაწვილო, – უთხრა დაბალი ხმით დუნკანს, – თოფ-იარაღიც მზად იქონიონ, თორემ ლუის ქვეშევრდომებს კაცი ვერ ენდობა.

მას მოახლოებული ფრანგების დოლის ბაგაბუგმა ლაპარაკი შეაწყვეტინა. მერე ორივე გუნდიდან თეთრბაირადიანი მედრო-შეები გამოვიდნენ და შოტლანდიელიც შედგა, უკან რაზმი ამოუდგა. როგორც კი მისალმება მოათავეს, მონკალმი სწრაფი, მოხდენილი ნაბიჯით გამოემართა მათკენ, თან ქუდი მოუხადა მოხუც მემარს და თავაზიანობის ნიშნად თითქმის მიწას შეახო. თუ მანროს ზვიადი და ვაჟკაცური გარეგნობა ჰქონდა, სამაგიეროდ ფრანგს მოხდენილობა და სინატიფე გამოარჩევდა. ერთხანს ორივენი ხმაამოუღებლად, ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდნენ ერთმანეთს. მერე, როგორც მის ხარისხსა და მოლაპარაკების ხასიათს შეეფერებოდა, მონკალმმა დაარღვია დუმილი. მანროსადმი ჩვეულებრივი მისასალმებელი სიტყვების შემდეგ დუნკანს მიუბრუნდა და ღიმილით განაგრძო, თან მხოლოდ ფრანგულად ლაპარაკობდა:

– მოხარული ვარ, ბატონო, რომ ამ საუბარზე თქვენი დასწრებით გვასიამოვნებთ.

დუნკანმა ქათინაურისათვის თავი დაუკრა. მერე მონკალმი მიუტრიალდა თავის მცველ რაზმს და მიმართა:

– En arrière, mes enfants – il fait chaud: retirez vous un peu!

სანამ მაიორი ჰეიუარდიც მიბაძავდა ნდობის ამ მაგალითს, თვალი მოავლო ველს და დაინახა, რომ გარშემო ტყეების კიდებიდან წითელკანიანების მრავალრიცხოვანი ჯგუფები ცნობისმოყვარეობით უთვალთვალებდნენ მათ შეხვედრას.

— ბატონი დე-მონკალმი აშკარად ხედავს ჩვენი მდგომარეობის სხვაობას, — მოახსენა საგონებელში ჩავარდნილმა დუნკანმა და თან იმ საშიშ მტერზე ანიშნა, რომელიც ყოველ მხარეს მოჩანდა, — მცველი რაზმი რომ უკან დაეწიოთ, ჩვენ აქ მტრის ხელში აღმოვჩნდებით.

— ბატონო, თქვენი უშიშროების თავდებია თავისი პატიოსანი სიტყვით un gentil-homme Français, — მიუგო მონკალმმა და გაფიცვებით დაიდო გულზე ხელი, — და ეს საკმარისი უნდა იყოს.

— დიახ! უკან დაიხიეთ, — მიუბრუნდა მხლებელი გუნდის მეთაურ ოფიცერს დუნკანი, — უკან დაიხიეთ, ისე, რომ საუბრის ხმა არ გწვდებოდეთ, და ბრძანებას ელოდეთ.

მანრო შეშფოთებით უყურებდა ამ მოქმედებას და განმარტებაც მოითხოვა.

— თქვენთვისვე ჯობია, ბატონო, უნდობლობა არ გამოვამჟღავნოთ, — მიუგო დუნკანმა, — ბატონმა დე-მონკალმა სიტყვა მოგვცა.

— ეგ ყველაფერი იქნებ მართალია, ბატონო ჩემო, მაგრამ დიდად არ მწამს მაგ მარკიზების.

— გავიწყდებათ, ჩემო ბატონო, რომ საქმე გვაქვს ევროპასა და ამერიკაში თავის ვაჟკაცობით გამოჩენილ სარდალთან. მისი სახელის მქონე მხედართან არაფერია საშიში.

მოხუცი დაემორჩილა, ოღონდ სახეზე კვლავ უნდობლობა ეტყობოდა, მტრისადმი მემკვიდრეობით ჩანერგილი ზიზღით რომ უფრო უნდა ყოფილიყო გამოწვეული, ვიდრე სხვა საბაბით. მონკალმი წყნარად ელოდა ამ მოკლე, ხმადაბალი საუბრის დამთავრებას; მერე უფრო ახლოს მივიდა და შეხვედრის მიზგზზე ჩამოაგდო ლაპარაკი.

— თქვენს უფროსს ვთხოვე, ამ მოლაპარაკებაზე მობრძანებულიყო, ბატონო, ვინაიდან, მე მგონი, დამარწმუნებინებს თავს, რომ მან უკვე ყველაფერი მოიმოქმედა, რაც კი აუცილებელი

იყო მისი ჯარის მხედრული ღირსების დასაცავად და ახლა კაც-თმოყვარე რჩევასაც ათხოვებს ყურს. მუდამ იმის მოწმე ვიქნები, რომ იგი მამაცურ წინააღმდეგობას გვიწევდა და განაგრძობდა ბრძოლას, სანამ ოდნავი იმედი კიაფობდა.

როცა ეს მანროს გადაუთარგმნეს, მან ამაყად, მაგრამ საკმაოდ თავაზიანად მიუგო:

— როგორც არ უნდა ვაფასებდე ბატონი მონკალმის ასეთ სიტყვებს, იგი უფრო ძვირფასი მაშინ გახდება, როცა დავიმსახურებთ.

ფრანგ სარდალს გაეღიმა, დუნკანმა პასუხის შინაარსი რომ მოახსენა და შენიშნა:

— რასაც ახლა ასე ხალისით ვადასტურებთ, როგორც სანაქებო მამაცობას, შემდეგში ეგ შეიძლება ფუჭ ჯიუტობად იქცეს. იქნებ ინებებდა ბატონი პოლკოვნიკი ჩემი ბანაკი ენახა, დარწმუნებულყოფილად ჩვენს მრავალრიცხოვნებაში და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანაში.

— ვიცი, რომ საფრანგეთის მეფეს კარგად ემსახურებიან, — მიუგო შეუპოვარმა შოტლანდიელმა, როგორც კი დუნკანმა თარგმნა დაასრულა, — თუმცა ჩემს ხელმწიფესაც დიდი და ერთგული ჯარი ჰყავს.

— თუმცა, ეს ჯარი, ჩვენდა საბედნიეროდ, ამჟამად აქ არ არის, — თქვა მონკალმმა, რომელსაც სულმა წასძლია და თარჯიმანს აღარ დაუცადა, — ომს თავისი ბედისწერა აქვს, რომლისადმი დამორჩილებაც ვაჟუცაცის წესია.

— რომ მცოდნოდა, ბატონ მონკალმს ინგლისური ესმოდა, მე თავს შევიკავებდი თარჯიმნობისაგან, — თქვა განაწყენებულმა დუნკანმა.

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო, — თქვა ფრანგმა და შავგვრემან ლოყაზე სიწითლე შეეპარა, — დიდი განსხვავებაა უცხო ენის გაგებასა და ლაპარაკს შორის; ამიტომ გთხოვთ, გვითარგმნეთ, —

მერე მცირე ხანს შედგა და განაგრძო: — ჩვენ დავზვერეთ თქვენი სიმაგრეები, ბატონებო, და მე ვიცი მათი მდგომარეობა.

— ჰკითხე ფრანგ სარდალს, მის დურბინდს თუ შეუძლია მისწვდეს ჰადსონს, — თქვა ამაყად მანრომ, — და თუ იცის, როდის და სად გამოჩნდება უების ჯარი.

— დაე, გენერალმა უებმა თვითონვე გაგცეთ პასუხი, — მიუგო ცბიერმა მონკალმმა, მანროს გაშლილი წერილი გაუწოდა და განაგრძო: — მანდედან შეიტყობთ, ბატონო, რომ მას ფიქრადაც არ აქვს ჩემი ჯარის შეწახება.

მოხუცმა მეომარმა დუნკანის თარგმანის მოსმენამდე სტაცა ხელი ქაღალდს. ის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა წერილის შინაარსს. მაგრამ კითხვისას, მის ამაყ მხედრულ გამომეტყველებას ნელ-ნელა ცვლიდა მწუხარება, ტუჩებიც აუკანკალდა. მერე წერილი ხელიდან გაუვარდა და თავი დახარა. ეტყობოდა, იმედები ერთი ხელის მოსმით გაუცრუვდა. დუნკანმა ქაღალდი ხელში აიტაცა და მოუბოდიშებლად გადაავლო თვალი. უფროსი სასწრაფოდ დანებებას ურჩევდათ, თანაც უმატებდა, თქვენს საშველად ერთი კაცის გამოგზავნაც არ შემიძლიაო.

— ეს არ შეიძლება ყალბი იყოს! — შესძახა დუნკანმა, როდესაც ბარათი დაათვალიერა, — უები აწერს ხელს და მტრისგან ხელში ჩაგდებული წერილი უნდა იყოს!

— მიღალატა იმ კაცმა! — მწარედ ამოიგმინა მანრომ, — ჩირქი მომიცხო სახელს, აქამდე ჩრდილი რომ არ მოსდგომია; ჩემს ჭაღარას ლაფი დაასხა!

— ეგრე ნუ იტყვით! — წამოიძახა დუნკანმა, — ციხესიმაგრეც და ჩვენი სახელიც ჯერ კიდევ ჩვენს ხელთ არის! ისეთ ფასად გავყიდოთ ჩვენი სიცოცხლე, რომ მტრებს ძვირად დაუჯდეთ!

— გმადლობ, შვილო! — შესძახა მოხუცმა, რომელიც აქამდე გახევებული იდგა, — შენ ერთხელ კიდევ მოაგონე მანროს თავი-

სი მოვალეობა. ჩვენ დავბრუნდებით და იმ სანგრებს უკან გავითხრით საფლავებს!

— ბატონებო, — თქვა მონკალმმა თანაგრძნობით და ერთი ნაბიჯი გადადგა მათკენ, — თქვენ კარგად არ გცნობიათ ლუი დე სენ ვერანი, სანამ გაბრუნდებოდეთ, ჩემი პირობა მოისმინეთ.

— რას ამბობს ფრანგი, — მკაცრად იკითხა ძველმა მეომარმა, — თავი მოაქვს, რომ შეიპყრო მშვერავი და ხელთ იგდო შტაბიდან გამოგზავნილი წერილი? ბატონო ჩემო, ურჩევნია მოხსნას ეს ალყა!

დუნკანმა აუხსნა მისი ნათქვამი.

— გისმენთ, — მშვიდად დაუმატა მოხუცმა ჯარისკაცმა.

— ციხესიმაგრის დაცვა ახლა შეუძლებელია, — თქვა მისმა სულგრძელმა მტერმა, — ჩემს ხელმწიფეს აუცილებლად სჭირდება მისი დანგრევა, მაგრამ რაც შეგეხებათ თქვენ და თქვენს მამაც მოლაშქრეებს, ჯარისკაცისათვის ძვირფას არც ერთ შეღავათზე უარს არ გეტყვით.

— ჩვენი დროშები? — იკითხა ჰეიუარდმა.

— წაიღეთ ინგლისში და აჩვენეთ თქვენს მეფეს.

— ჩვენი იარაღი?

— გქონდეთ, თქვენზე უკეთ სხვა ვერავინ იხმარს!

— ჩვენი წასვლა და სიმაგრის დათმობა?

— ყველაფერი, რაც კი შეიძლება, თქვენთვის საპატიო პირობებში ჩატარდება.

დუნკანი შეთავაზებული პირობების გადასათარგმნად ახლა თავის მეთაურს მიუბრუნდა, რომელსაც გული აუჩუყა ასეთმა უჩვეულო და მოულოდნელმა დიდსულოვნებამ.

— წადი, დუნკან, — თქვა მან, — წაჰყევი ამ მარკიზს, მართლაც მარკიზი რომ ყოფილა, თავის კარავში და მოაგვარე ყველაფერი. იმდენ ხანს ვიცოცხლე, რომ ჩემს მოხუცებულობაში ორ რამეს მოვესწარი, რომელთა ნახვის იმედი არასოდეს მქონია: ინ-

გლისელს, ამხანაგის შველას რომ უფრთხის, და ფრანგს – ისე პატიოსანს, რომ თავის უპირატესობას არ იყენებს!

ამის თქმაზე კვლავ თავი დახარა მოხუცმა ჯარისკაცმა და ციხესიმაგრისაკენ გზას ნელა გაუდგა. მისი დაღვრემილი სახე ავი ამბების მომასწავებელი იყო აღელვებით მომლოდინე მეციხოვნე ჯარისთვის.

ხელშეკრულების დასადებად ჰეიუარდი დარჩა. იგი დაღამებისას მივიდა ციხესიმაგრეში და ციხისთავთან გამართული საიდუმლო თათბირის შემდეგ კვლავ გაბრუნდა. მაშინ უკვე საჯაროდ გამოცხადდა, რომ საბრძოლო მოქმედება შეწყდა, რადგან მანრომ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც ციხესიმაგრე დილას მტერს უნდა გადასცემოდა; მეციხოვნე ჯარი ინარჩუნებდა იარაღს, ბარგს და, მაშასადამე, მხედრული თვალსაზრისით – პატივსაც.

საქსოვს ვქსოვთ; ძაფი დაგრეხილია. ქსოვილი მოიქსოვა, საქმე შესრულებულია.

გრეი. „ოდა პინდარეს“

მოწინააღმდეგეთა ჯარები, რომლებიც ჰორიკონის ნაპირებზე იდგნენ, ისე მოიქცნენ 1757 წლის ცხრა აგვისტოს ღამეს, როგორც მაშინ მოიქცეოდნენ, ევროპის რომელიმე უმშვენიერეს ველზე რომ შეხვედროდნენ ერთმანეთს. დამარცხებულები ნირწამხდარნი იყვნენ, გამარჯვებულები კი ზეიმობდნენ. მაგრამ მწუხარებასაც და სიხარულსაც საზღვარი აქვს. უსაზღვრო ტყეების სიწყნარეს მხოლოდ მოწინავე სადარაჯო გუნდიდან რომელიმე ფრანგის ხალისიანი წამოძახილი არღვევდა, ან ციხესიმაგრის სანგრებიდან მომავალი მუქარის ხმა. განთიადისას ეს ხმებიც მიწყდა.

სწორედ ამ დროს საფრანგეთის ბანაკიდან კაცი გამოვიდა. ის დაუბრკოლებლად გაატარა ჯარისკაცმა, რომელიც საფრანგეთის მხედართმთავრის მყუდროებას დარაჯობდა. კაცი სწრაფად მიდიოდა კარვების პატარა ქალაქში უილიამ-ჰენრის მიმართულებით. შემხვედრ გუშაგებს სწრაფად უხსნიდა რაღაცას და გზას განაგრძობდა.

იგი მიემართებოდა ბანაკის ცენტრიდან მოწინავე ხაზისაკენ და მიაღწია კიდევ ჯარისკაცს, რომელიც მტრის სიმაგრესთან უახლოეს საგუშაგოზე იდგა. მის მოახლოვებაზე ჩვეულებრივი შეძახილი გაისმა:

- Qui vive?
- France, – იყო პასუხი.
- Le mot d'ordre?

– La vktoire, – თქვა მეორემ და ისე ახლოს მიიწია, რომ ხმამაღალი ჩურჩული გასაგონი ყოფილიყო.

– C'est bien, – მიუგო გუშაგმა და მომართული თოფი კვლავ მხარზე გაიღო; – vous vous promenez bien matin, Monsieur!

– Il est nécessaire d'être vigilant, mon enfant, – შენიშნა მეორემ. როცა ახლოს ჩაუარა, წამოსასხამის კალთა დაუშვა, ჯარისკაცს სახეში ჩახედა და კვლავ გზა განაგრძო ბრიტანელთა ციხესიმაგრისაკენ. გუშაგი შეკრთა, საპატიო საღმის ნიშნად აღმართული თოფი ისევ მხარზე გაიღო და საგუშაგოზე წინ და უკან სიარული განაგრძო, თან წაიბუტბუტა:

– Il faut être vigilant, en vérité; je crois que nous avons là un vaporal qui ne dort jamais!

ოფიცერი გზას განაგრძობდა; ვითომც არ გაუგონია სიტყვები, გაოცებულ გუშაგს რომ დასცდა და აღარც შემდგარა, სანამ არ მიაღწია დაბალ სანაპიროს, ციხესიმაგრის წყალზე გადამდგარ აღმოსავლეთის ბურჯს. მიმალული მთვარის შუქი სწორედ იმდენად ანათებდა საგნებს, კაცი მათ მოხაზულობას დაინახავდა. ოფიცერი ხეს ამოეფარა. იგი ყურადღებით ათვალიერებდა ინგლისის ციხესიმაგრის ჩაბნელებულ და მდუმარე სანგრებს. ცნობისმოყვარის ან უბრალო მაყურებლის თვალით კი არ უცქერდა სიმაგრეებს, არამედ წერტილიდან წერტილზე ისე გადაჭქონდა მზერა, ჩანდა, სამხედრო საქმეში გამოცდილი იყო. ბოლოს, ეტყობა, დაკმაყოფილდა. მოუთმენლად გახედა აღმოსავლეთის მთის მწვერვალს, თითქოს დილის მოახლოებას ელისო. უკვე ის-ის იყო გამობრუნებას აპირებდა, ბურჯის უახლოესი ქიმიდან ხმაური შემოესმა.

სწორედ მაშინ ადამიანის ლანდი გამოჩნდა, რომელიც მოუახლოვდა მიწაყრილის კიდეს, დადგა და ეტყობოდა, იმანაც დაუწყო თვალიერება ფრანგთა ბანაკის შორეულ კარვებს. მერე თავი მიიბრუნა აღმოსავლეთისაკენ, თითქოს მასაც გათენება

ეჩქარებოდა. ამ კაცის სევდიანი, ჩაფიქრებული იერი მოთვალ-
თვალეს მის ვინაობას ახვედრებდა. მან ფრთხილად შემოუარა
ხის ძირს, მაგრამ უკვე სხვა ხმამ მიიქცია მისი ყურადღება. ეს
იყო წყლის დაბალი, თითქმის ვერგასაგონი დგაფუნის ხმა, რო-
მელსაც შემდეგ კენჭების ჩხარუნი მოჰყვა. და მან თვალი მოჰ-
კრა ტბიდან ამოსულ ლანდს, რომელიც უხმაუროდ მოიპარებო-
და და მისგან რამდენიმე ნაბიჯზე შეჩერდა. ლანდმა თოფი გად-
მოიღო, მაგრამ სროლა ვეღარ მოასწრო.

— ჰუჰ! — შესძახა წითელკანიანმა, რომელსაც ასე უცნაურად
და მოულოდნელად წაუხდინეს ვერაგული განზრახვა.

ფრანგმა ოფიცერმა კრინტის დაუძრავად დაადო მხარზე ხე-
ლი ინდიელს, გამოიყვანა, წამოსასხამი მოიშორა (მონკალმი
იყო), გულზე დაკიდებული წმინდა ლუის ჯვარი გამოაჩინა და
მკაცრად ჰკითხა:

— ეს რას ნიშნავს? განა ჩემმა შვილმა არ იცის, რომ ნაჯახია
დამარხული ინგლისელებსა და მათ კანადელ მამას შორის?

— ჰურონებმა რაღა ქნან? — მიუგო წითელკანიანმა დამახინ-
ჯებული ფრანგულით, — არც ერთ მეომარს ერთი სკალპიც არ
უშოვია, ფერმკრთალსახიანები კი უკვე დამეგობრდნენ!

— ოჰო! ცბიერი მელა ხარ? მე მგონია, ეს გულმოდგინების გა-
დაჭარბებაა ისეთი მეგობრისაგან, რომელიც ახლახან ჩვენი
მტერი იყო! რამდენი მზე ჩავიდა, რაც ცბიერი მელა ინგლისე-
ლებს ებრძვის?

— სად არის ეგ მზე? — იკითხა პირქუშმა ველურმა, — მთის
იქით. ახლა ბნელა, სიცივეა. მაგრამ როცა იგი კვლავ გამოაშუ-
ქებს, სინათლე და სითბო იქნება. ცბიერი მელაც თავისი ტომის
მზეა. ღრუბლები და მრავალი მთა იყო მოქცეული მასა და მის
ხალხს შორის. ახლა კი იგი ბრწყინავს და ზეცა მოწმენდილია!

— ცბიერ მელას რომ გავლენა აქვს თავის ხალხზე, კარგად ვიცი, — თქვა მონკალმმა, — რადგან გუშინ მათ სკალპებზე ნადირობდა, დღეს კი მას საბჭოს ცეცხლთან უგდებენ ყურს!

— მაგუა დიდი ბელადია!

— მაშ, დაე, ასწავლოს მან თავის ერს, როგორ მოეპყრან ისინი ჩვენს ახალ მეგობრებს!

— რატომ წამოიყვანა კანადის ბელადმა თავისი ახალგაზრდები ტყეში და რად ესროდა ზარბაზანს იმ მიწის სახლს? — ჰკითხა გამჭრიახმა ინდიელმა.

— რომ დამეპყრო იგი. ჩემი ბატონისაა მიწა და თქვენს მამას უბრძანეს, გაერევა აქედან უნებართვოდ ჩამოსახლებული ინგლისელები. ისინი დასთანხმდნენ წასვლას და ახლა უკვე აღარ უწოდებს მტრებს.

— კეთილი. მაგუამ სისხლით შესაღებად ამოიღო ნაჯახი. იგი ახლა პრიალებს, როცა ის გაწითლდება, მაშინ დაიმარხება!

— მაგრამ მაგუამ საზეიმო ფიცი დადო, ლაქა არ მოეცხო საფრანგეთის შრომანისათვის. მლაშე ტბის იქითელი დიდი მეფის მტრები მისი მტრებიც არიან, მეგობრები კი ჰურონების მეგობრები იქნებიან.

— მეგობრები! — გაიმეორა წითელკანიანმა ზიზღით, — აბა, მისცეს მისმა მამამ ხელი მაგუას!

მონკალმმა, რომელიც გრძნობდა, რომ მის ირგვლივ შემოკრებილ მეომარ ტომებზე გავლენის შენარჩუნება დათმობით უფრო შეეძლო, ვიდრე ძალით, უნდოდად შეუსრულა მოსაუბრეს თხოვნა. ველურმა ფრანგ სარდალს თითი დაადებინა მკერდის ღრმა ნაჭრილობეზე და ამაყად ჰკითხა:

— ჩემი მამა სცნობს ამას?

— რომელი მეომარი არ იცნობს? ნატყვიარია.

— ამას? — განაგრძო მაგუამ და შიშველი ზურგი მიუშვირა.

— ეს?.. ჩემი შვილისათვის სასტიკი შეურაცხყოფა მიუყენებიათ! ვინ ჩაიდინა ეს?

— მაგუას ეძინა ინგლისელთა უიგუამებში და სახრეებმა დაადეს ნიშანი, — უპასუხა წითელკანიანმა ბოლმიანი ღიმილით. მერე საკუთარი ღირსების თანდაყოლილი შეგნებით კვლავ გონს მოეგო და დასძინა: — წადი, ასწავლე შენს ახალგაზრდებს, რომ ზავია! ცბიერმა მელამ იცის, როგორ ელაპარაკოს ჰურონ მეომარს!

ველურმა საჭიროდ აღარ ჩათვალა სიტყვის გაგრძელება და არც პასუხს დაუცადა, თოფი მკლავზე გადაიდო და ჩუმად გაემართა ტყისაკენ, სადაც მისი ტომი იდგა. ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე გუშაგები ეხმაურებოდნენ, მაგრამ ის ამაყად და პირქუშად განაგრძობდა გზას და აინუნშიაც არ აგდებდა ჯარისკაცთა შეძახილებს, რომლებიც იმიტომ ინდობდნენ, რომ იერით, სიარულითა და შეუპოვრობით ცნობდნენ ინდიელს.

შეწუხებული მონკალში კარგა ხანს იყო იქ, სადაც ინდიელმა დატოვა. იგი ღრმად ჩაეფიქრებინა მის ქცევას. ახლა იგრძნო იმ ადამიანების პასუხისმგებლობის სიმძიმე, რომლებიც არაფერს ერიდებიან თავიანთი მიზნის მისაღწევად და მთელი საფრთხე იმ მანქანის ამოძრავებისა, რომლის მართვაც ადამიანის ძალ-ღონეს აღემატება. მერე ფიქრებიდან გამოერკვა და კარვისკენ მიმავალმა ჯარის გაღვიძების ბრძანება გასცა.

ფრანგების დოლების პირველმა ხმამ ციხესიმაგრის გულში პოვა გამოძახილი და მალე მთელი ტაფობი სამხედრო მუსიკის ჰანგებმა აავსო. გამარჯვებულები მხიარულად სცემდნენ ნაღარას, სანამ ბანაკის უკანასკნელმა ჯარისკაცმაც კი არ იპოვა თავის ადგილი. მაგრამ როცა ბრიტანელთა დუდუკების ხმა გაისმა, ნაღარები დადუმდნენ. ამასობაში გათენდა კიდეც და როცა საფრანგეთის ჯარი სარდლის ჩამოვლისათვის დაეწყო, ბრწყინვალე მზის სხივები უკვე კიაფობდა აბრჭყვიალებულ რიგებში. ახ-

ლა უკვე საჯაროდ გამოაცხადეს კარგად ცნობილი გამარჯვების ამბავი და ციხესიმაგრის კარის სადარაჯო რჩეული რაზმი გამოყვეს, რომელმაც სარდლის წინ ჩაიარა.

სხვაგვარი სანახავი იყო ინგლისელ-ამერიკელთა ჯარი. როგორც კი გაფრთხილების ნიშანი გაისმა, გასამგზავრებლად მოემზადნენ. წარბშეჭმუნხილი, სიამაყეშელახული ჯარისკაცები თოფებს იღებდნენ, ქალები და ბავშვები აქეთ-იქით დარბოდნენ, ზოგს ბარგი ეჭირა ხელში, ზოგი კი ნაცნობ ჯარისკაცს ეძებდა.

მანრო თავისი მდუმარე ჯარის წინ მტკიცე, მაგრამ დაღვრემილი სახით გამოვიდა. ცხადი იყო, მოულოდნელი დარტყმა ღრმად დააჩნდა მის გულს, თუმცა კი ცდილობდა ვაჟკაცურად გამკლავებოდა თავს დატეხილ უბედურებას.

დუნკანს გული ატკინა მოხუცის უსიტყვო და მძიმე მწუხარების დანახვამ. თვითონ უკვე მოეთავებინა თავისი საქმეები და პოლკოვნიკისგან ახალ დავალებას ელოდა.

— ჩემი შვილები! — იყო მოკლე, მაგრამ მრავლისმთქმელი პასუხი.

— ღმერთო, შემიწყალე! განა მათთვის უკვე მზად არ არის ყველაფერი?

— დღეს მე მხოლოდ ჯარისკაცი ვარ, მაიორო ჰეიუარდ, — უთხრა ძველმა მეომარმა, — ყველა, ვინც აქ არის, ასევე ჩემი შვილები არიან!

დუნკანისათვის ეს საკმარისი იყო. ერთი წამითაც კი აღარ დაუყოვნებია, მანროს ბინას მიაშურა და წასასვლელად გამზადებულ დებს სწორედ დაბალი შენობის ზღურბლზე მიუსწრო. მათ გარს ეხვივნენ ატირებული ქალები, რომლებიც მათ გვერდით თავს შედარებით უსაფრთხოდ გრძნობდნენ. თუმცა კორას ლოყები გაფითრებოდა და სახეზეც აღელვება ეტყობოდა, სიმტკიცე მაინც შეენარჩუნებინა. ალისას კი თვალები დასწითლებოდა და ემჩნეოდა, რა დიდხანს და მწარედ ეტირა. ორივე მაინც

დაუფარავი სიამოვნებით შეხვდა ახალგაზრდა კაცს და, წინანდლისაგან განსხვავებით, პირველად უფროსი გამოელაპარაკა.

— ციხესიმაგრე დავკარგეთ, — სევდიანი ღიმილით თქვა მან, — მაგრამ, მე მგონი, ჩვენი პატიოსანი სახელი კი გვრჩება!

— ჩვენი ღირსება ახლა უფრო ბრწყინვალეა, ვიდრე ოდესმე ყოფილა! მაგრამ, ძვირფასო ქალბატონო მანრო, დროა, სხვებზე ნაკლებად იზრუნოთ და ცოტა თქვენს თავსაც მიხედოთ. მხედრული წესრიგი... სიამაყე... ის სიამაყე, რომელსაც თქვენ ასე აფასებთ... მოითხოვს, რომ მამათქვენი და მე ცოტა ხანს ჯარს არ მოვცილდეთ. მაშ, სადღა ვიშოვოთ თქვენთვის შესაფერი დამცველი ამ ალიაქოთსა და არეულობაში?

— ჩვენ არავინ გვინდა, — უთხრა კორამ, — ვინ გაბედავს აწყენინოს ან შეურაცხყოს ასეთი მამის ქალიშვილი ამნაირ დროს?

— მართო ვერ დაგტოვებთ, — განაგრძო ჭაბუკმა და შეშფოთებით მიმოიხედა ირგვლივ, — ხომ იცით, ალისა თქვენსავით არ არის დაჯილდოებული მტკიცე ხასიათით და ღმერთმა იცის, შიშით რა დღე დაადგება.

— იქნებ მართალიც იყოთ, — გაიღიმა კორამ, მაგრამ ადრინდელზე გაცილებით სევდიანად, — ყური უგდეთ, ბედმა უკვე გამოგვიგზავნა მეგობარი.

დუნკანმა ყური მიუგდო და ნათქვამის აზრს მიხვდა. მის სმენას აღმოსავლეთი კუთხეებისათვის ასე ნაცნობი სასულიერო საგალობლის დაბალი და დინჯი ხმა მისწვდა. ახლოს მდგარი შენობის ერთ ოთახში იყო დავითი, რომელიც გალობაში აქსოვდა თავის რწმენას. დუნკანმა დაიცადა, სანამ ხელის დაქნევაზე არ მიხვდა, რომ ჰანგი დასრულდა. მერე მივიდა და ორიოდე სიტყვით აუხსნა დავითს თავისი სურვილი.

— ჭეშმარიტად, — მიუგო ისრაელთა მეფის ერთგულმა და გულალაღმა მიმდევარმა, როცა ახალგაზრდა კაცმა სათქმელი უთხრა, — ბევრი საამური და ტკბილი რამ ვპოვე მაგ ქალწულებ-

ში და ჯერ არს, რომ ჩვენ, რომელნიც ერთად ვიყავით ამდენ საფრთხეში, მშვიდობიანობის დროსაც ერთად დავრჩეთ. მაშინვე ვეახლები, როგორც კი დავასრულებ ჩემს დილის საგალობელს, რომელსაც ახლა სადიდებელია აკლია. თქვენც ხომ არ შემომიერთებთ ხმას, მეგობარო? საზომი ჩვეულებრივია და კილოს სახელი არის „საუთუელი“.

მერე დავითმა ხელში პატარა წიგნი აიღო, კილო გამობომა და დიდი გულმოდგინებით დაიწყო და დაასრულა საგალობელი. ჰეიუარდი იძულებული გახდა, დამთავრებამდე დაეცადა და როცა დაინახა, რომ დავითმა სათვალე მოიძრო და წიგნი თავის ადგილას შეინახა, განაგრძო:

— თქვენი ვალია, თვალყური ადევნოთ, რომ ვერავინ გაბედოს მანდილოსნებთან მიკარება რაიმე ავი განზრახვით, არავინ შეურაცხყოს ისინი, თქვენ მათი ოჯახის შინამოსამსახურეებიც შეგეშველებიან.

— კეთილი.

— შესაძლოა ინდიელები ან მაწანწალა ჯარისკაცები მოგიბტნენ, მაგრამ თქვენ დანებების პირობებს შეახსენებთ და დაემუქრებით, რომ თქვენს ამბავს მონკალმს მოახსენებთ. ეს საკმარისი იქნება.

— თუ არა და, მე ვიცი, რაც იქნება საკმარისი, — უთხრა დავითმა და თავისი წიგნი უჩვენა, — აქ ისეთი სიტყვებია, ისინი თავის დროზე სათანადო გულმოდგინებით რომ წარმოითქვას, უფრო სწორედ, დაგუგუნდეს, გამშაგებულებსაც კი დააწყნარებს: „რად მძვინვარებენ წარმართები ასე სასტიკად!..“

— საკმარისია, — თქვა ჰეიუარდმა და საგალობელი შეაწყვეტინა, — ჩვენ ერთმანეთის გულისთქმა გვესმის. ახლა დროა, ჩვენს მოვალეობებს მივხედოთ.

გამუტი ხალისით დაეთანხმა და სასწრაფოდ ქალიშვილები-საკენ გაემართნენ. კორა თავაზიანად შეეგება თავის ახალ, უც-

ნაურ მფარველს. ალისასაც ძველებური, ცუღლუტი ღიმილი გაუკრთა გაფითრებულ სახეზე, როცა ჰეიუარდს ზრუნვისათვის მადლობას უხდიდა. დუნკანმა შემთხვევით ისარგებლა და დებს უთხრა, რომ რაც კი შეიძლებოდა, ყველაფერი გააკეთა და დარწმუნებული იყო, ეს საკმარისი იქნებოდა მათ დასაცავად. მერე მხიარულად დასძინა, როგორც კი რამდენიმე მიღზე გავაცილებ მოწინავე რაბმს ჰადსონისაკენ, მაშინვე თქვენთან დავბრუნდებიო და დაუყოვნებლივ გაუდგა გზას.

ამასობაში წასვლის ნიშანი მისცეს და ინგლისელთა მოწინავე რაბმი დაიძრა. ამ ხმაზე დები შეკრთნენ, თვალი მოავლეს ირგვლივ და ფრანგთა ქვეითი ჯარის თეთრი მუნდირები დაინახეს — ისინი უკვე დაპატრონებოდნენ ციხესიმაგრის კარს. გეგონებოდათ ვეება ღრუბელმა გადაუარათ თავზეო. აიხედეს და მიხვდნენ, რომ საფრანგეთის სახელმწიფო დროშის ქვეშ იდგნენ.

— წავიდეთ, — თქვა კორამ, — აქ ყოფნა უკვე აღარ შეშვენის ინგლისელი ოფიცრის შვილებს!

ალისა მკლავზე მოეჭდო დას და ერთად დატოვეს მოედანი.

ალაყაფის კარში რომ გადიოდნენ, ფრანგმა ოფიცრებმა თავის დაკვრით გამოაცილეს, ურიგო არაფერი უკადრებიათ. რადგან ყველა ურემი ავადმყოფებსა და დაჭრილებს დასჭირდათ, კორამ გადაწყვიტა, ფეხით ევლო. ბევრ დაჭრილსაც ფეხით უწევდა სიარული, რადგან ურემი ყველას არ ეყო. კვნესითა და ოხვრით ტოვებდნენ ციხესიმაგრეს.

როდესაც სანგრებს გასცდნენ და გაშლილ ველზე გამოვიდნენ, ასეთი სურათი გადაეშალათ: მარჯვნივ, ცოტა უკან და მოშორებით, საფრანგეთის ჯარი ჩამწკრივებულიყო, მონკალმს ერთად შეეკრიბა თავისი რაბმები. ისინი ყურადღებით, მაგრამ ჩუმად უცქერდნენ დამარცხებულთა სვლას. არ დაუკლიათ პირობებით გათვალისწინებული სამხედრო პატივი და არც ქირდვა-დაცინვა უკადრებიათ. დაახლოებით სამი ათასამდე ინ-

გლისელი ნელა მიემართებოდა წინ და თანდათან უახლოვდებოდა იმ ადგილს, საიდანაც ჰადსონის გზა ტყეში შედიოდა. ტყის ნაპირებთან დიდ სიგრძეზე წითელკანიანები იდგნენ. ისინი მტერს უთვალთვალედნენ და მათზე თავდასხმისაგან მხოლოდ ფრანგების ჯარი თუ აკავებდათ.

ჰეიუარდის წინამძღოლობით მიმავალმა მოწინავე რაზმმა უკვე მიაღწია ხეობას, როცა კორას ყურადღება ჩამორჩენილი ჯარისკაცების ჯგუფიდან მომავალმა აყალმაყალმა მიიპყრო. ერთი პროვინციელი ჯარისკაცი ჯგუფს ჩამორჩენოდა, დაუმორჩილებლობისთვის კი იმით დასჯილიყო, რომ თავისი ნივთები ვიდააცას წაერთმია. ის ქონებას უბრძოლველად არ ელევოდა. ბრძოლაში სხვებიც ჩაერთნენ. მალე წითელკანიანებიც მოგროვდნენ. სწორედ ამ დროს კორამ თვალი მოჰკრა მაგუას, რომელიც თანამემამულეებში დაძვრებოდა და მათ რაღაცას ელაპარაკებოდა. ქალები და ბავშვები შეჩერდნენ, მაგრამ ყველაფერი მალე გაირკვა და ხალხმაც ისევ ტაატით განაგრძო გზა.

ველურებმა უკან დაიხიეს და თითქოს აღარც აპირებდნენ მტრის დაბრკოლებას. მაგრამ ქალები რომ გაუსწორდნენ, ველურ ჰურონს თვალი მოსჭრა ერთი ქალის თავსაფრის ჭყეტელა ფერებმა. ისიც მაშინვე ეცა და წართმევა მოუნდომა. უფრო შიშისაგან გაოგნებულმა, ვიდრე თავისი ნივთის სიყვარულით შეპყრობილმა ქალმა თავსაფარში ბავშვი გაახვია და მიიხუტა. კორა, ის-ის იყო, აპირებდა ქალისათვის ერჩია, მიაშავე ეგ ძონძიო, რომ ველურმა ხელი გაუშვა თავსაფარს და ახლა აწივლებული თოთო ბავშვი გამოჰგლიჯა. დედამ ყველაფერი მიანება დახარბებულ ინდიელებს და თავგანწირვით მივარდა შვილის გამოსახსნელად. წითელკანიანმა ბოროტად გაიღიმა და ცალი ხელი გამოიშვირა ბავშვის თავსაფარში გაცვლის ნიშნად, მეორე ხელი კი ფეხში მოეწვლო ჩვილისათვის და თავზე იტრიალებდა, თითქოს გამოსასყიდი ფასის აწევა უნდაო.

— აი... აი... აგერ... სულ... რაც გინდა... ყველაფერი! — გაჰკიოდა დაფეთებული ქალი და ტანსაცმელს იგლეჯდა, — წაიღე ყველაფერი, ოღონდ ჩემი შვილი დამიბრუნე!

ველურმა ზიზღით გადაყარა ფასდაკარგული ძონძები და რაკი შენიშნა, თავსაფარი უკვე სხვამ ჩაიგდო ხელშიო, უფრო გააფრდა. ბავშვი კლდეს შეახეთქა და მერე ქალს ფეხებთან მიუგდო. ერთ წამს დედა სასოწარკვეთილების გამომსახველ ქანდაკებასავით იდგა და გაოგნებული დასცქეროდა შვილის ცხედარს, რომელიც წუთის წინ გულში ჰყავდა ჩახუტებული და სახეში შეჭდიმოდა. მერე თვალები და სახე ზეცას მიაპყრო, თითქოს ევედრება, წყევლა მოუვლინოს ამ საზარელი საქმის ჩამდენსო. ამ დროს ინდიელმა მასაც ტომაჰაუკით გაუპო თავი. დედა ჩაიკეცა, დავარდა და მომაკვდავი, შვილს სიყვარულით ჩაეკრა.

ამ დროს მაგუამ შემადრწუნებელი ყიჟინა დასცა. გაფანტული წითელკანიანები ნაცნობ ძახილზე ადგილიდან მოწყდნენ და ისეთი ჭყვილი ატეხეს, როგორიც იშვიათად ამოსულა ადამიანის პირიდან.

ამ ნიშანზე ორი ათასზე მეტი გამძვინვარებული ველური გამოვარდა ტყიდან და თავპირისმტვრევით მოაშურა ველს. შეუძლებელია იმის აღწერა, რაც იქ მოხდა. ყველგან სიკვდილი მეფობდა. გამძვინვარებული მკვლევლები დიდხანს კეპავდნენ ადამიანებს. სისხლის ნაკადი ნიაღვარივით მოედინებოდა. ინდიელები გაახელა და გააგიჟა ამ სანახაობამ, ბევრი მათგანი იჩოქებდა და აღგზნებით ეწაფებოდა ალისფერ სითხეს.

ჯარმა თავდამსხმელების დაფრთხობა სცადა. ცდამ ნაწილობრივ ნაყოფი გამოიღო, თუმცა ბევრი მხედარი დაიღუპა.

ამ ყოფაში არავინ იცოდა, რამდენი დრო გავიდა. ათი წუთი იქნებოდა (მთელ ერთ საუკუნედ კი ეჩვენებოდათ), რაც ზარდაცემული და სასომიხდილი დები ერთ ადგილას გაშეშებულიყვნენ. ყოველი მხრიდან კვილი, კვნესა და წყევლა-კრულვა ის-

მოდა. ამ დროს ალისამ თვალი მოჰკრა მამამისის ზორბა ფიგურას, რომელიც სწრაფად მიეშურებოდა საფრანგეთის ჯარისაკენ. იგი მონკალმთან მიდიოდა და არავითარ საფრთხეს არ ეპუებოდა. სურდა, ის რაზმი მოეთხოვა, რომელსაც მონკალმი ადრე შეჰპირდათ. ორმოცდაათამდე პრიალა ნაჯახი და დაკბილული ლახვარი ემუქრებოდა მის სიცოცხლეს, მაგრამ ველურები, უსასტიკესი მძვინვარების დროსაც კი პატივს სცემდნენ მის წოდებასა და შეუპოვარ სიმშვიდეს. მაგუა კი მას სწორედ იმ მხარეს ეძებდა, საიდანაც პოლკოვნიკი ახლახან წამოვიდა.

— მამა... მამა... აქ ვართ! — შეჰკვივლა ალისამ, როცა მამამ შორიახლოს ჩაუარა, — მოგვეშველე, მამა, თორემ დავიღუპებით!

ალისამაც დაიკვივლა, მაგრამ ამაოდ. მართალია, ერთ წამს თითქოს მისწვდა მოხუცის ყურს მისი ხმა, რადგან იგი შედგა და მიაყურა, მაგრამ უცებ ალისა უგრძნობლად დაეცა და კორამაც მის გვერდით ჩაიმუხლა. მანრომ კი უკმაყოფილოდ გაიქნია თავი და გზა განაგრძო.

— ქალბატონო, — თქვა გამუტმა, რომელსაც, ფიქრადაც არ მოსვლია, მინდობილი საქმისათვის ეღალატა, — ეს ჭეშმარიტად ეშმაკთა ბეიმია და ქრისტიანისათვის შეუფერებელია აქ დაყოვნება. ავდგეთ და გავიქცეთ!

— წადით, — უთხრა კორამ და თან უგრძნობელ დას დაჰყურებდა, — გადაირჩინეთ თავი. მე ველარ მიშველით.

დავითმა ხელის უბრალო, მაგრამ საგულისხმო მოძრაობაზე შეატყო, რომ მისი გადაწყვეტილება შეუსცვლელი იყო. მან ერთ წუთს თვალი გადაავლო შავგვრემან ხალხს, ჯოჯოხეთურ საქმეს რომ ჩადიოდნენ და მღელვარება დაეტყო.

— თუ ებრაელმა ბიჭმა შეძლო თავისი ქნარის ხმითა და წმინდა საგალობლის სიტყვებით დაეცხრო საულის ბოროტი ვნება, ურიგო არ იქნება, აქაც ვცადოთ მუსიკის ძალა, — თქვა მან. მერე

რაც კი შეიძლებოდა მაღალი ხმით დასძახა ისეთი ჰანგი, რომელიც ამ ყურისწამლებ წიოკშიც ისმოდა. არაერთი ველური მიიჭრა, რათა უმწეო დები გაეძარცვა და მათი სკალპები ხელში ჩაეგდო; მაგრამ როცა დავითის უძრავ ფიგურას შეხედავდნენ, შედგებოდნენ და ყურს უგდებდნენ. გაცემა მალე მოკრძალებით ეცვლებოდათ, ისინი აშკარად გამოხატავდნენ კმაყოფილებას იმ სიმტკიცისადმი, რომლითაც თეთრი მეომარი მღეროდა. წარმატებით გამხნეებული დავითი მთელ ძალ-ღონეს იკრებდა და გატაცებით გალობდა. უჩვეულო ბგერები მისწვდა ერთი ველურის ყურსაც, რომელიც გაშმაგებული დარბოდა ჯგუფიდან ჯგუფში. ემჩნეოდა, ღირსეულ მსხვერპლს ეძებდა.

ეს გახლდათ მაგუა, რომელსაც სიამის კვილი აღმოხდა, როცა ძველი ტყვეები კვლავ თავის ხელში დაიგულა.

— წამო, — უთხრა მან და ხელი კაბაზე დაადო კორას, — ჰურონის უიგუამი ღიაა. ის არ ჯობია ამ ადგილს?

— შორს! — შესძახა კორამ, თან თვალები დაიფარა, რომ მისი ამაზრბენი სახე არ დაენახა.

წითელკანიანმა სიცილი დააყარა და უთხრა:

— ეს წითელია, მაგრამ თეთრი ძარღვების სისხლით!

— ურჩხულო! შენს სულზეა ეს სისხლი, სისხლის მთელი ზღვა; შენ ატეხე ეს ხოცვა-ჟლეტა.

— მაგუა დიდი ბელადია! — მიუგო გოროზად ველურმა, — შავთმიანი წამოვა მის ტომში?

— არასოდეს! დამკარი და მოიკალი ჯოჯოხეთური შურისძიების წყურვილი.

მაგუა ერთი წუთით შედგა, მერე ხელი სტაცა ალისას მსუბუქ და უსიცოცხლო სხეულს და ტყისაკენ გასწია.

— შესდექ! — დაიკვივლა კორამ და ინდიელს გამოუდგა, — ბავშვს ხელი გაუშვი, არამზადავ! რას შვრები?

მაგრამ მაგუა მის ძახილს ყურს არ ათხოვებდა.

— მოითმინეთ... ქალბატონო... მოითმინეთ! — მისძახოდა გამუტი გაოგნებულ კორას, — წმინდა ხიბლი ეს-ეს არის იწყებს მოქმედებას და მალე იხილავთ კიდევ ამ შემადრწუნებელი ღრიანცელის დაწყნარებას.

ბოლოს, როცა შენიშნა, რომ ქალი ყურს არ უგდებდა, დავითიც აედევნა, თან გალობას აგრძელებდა. ამ ყოფით გაიარეს დაჭრილებსა და დახოცილებს შორის. კორას სიცოცხლე არაერთხელ იყო საფრთხეში, მაგრამ წითელკანიანებს დავითის ხილვა აოცებდათ და აჩერებდათ.

მაგუამ იცოდა, როგორ არიდებოდა საფრთხეს, როგორ დაეღწია თავი მდევრისათვის და ტყეში დაბალი ხევით შევიდა. იქ სწრაფად იპოვა ცხენები, რომლებიც მოგზაურებმა ცოტა ხნის წინ დატოვეს. მათ მცველად მაგუასავით მძვინვარე და ბოროტი სახის ველური იდგა. ცბიერმა მელამ ერთ ცხენზე ალისა შესვა და კორას ანიშნა, მეორეზე შენ შეჯექიო.

მიუხედავად შიშისა, კორასათვის ერთგვარი შვება იყო ველზე დატრიალებული სისხლიანი სანახაობისაგან თავის დაღწევა. იგი ცხენზე შეჯდა და ისეთი ვედრებითა და სიყვარულით გაიწოდა ხელები დისაკენ, რომ ჰურონიც კი ვერ აღუდგა წინ. მან ალისაც კორას შეუსვა ცხენზე, აღვირს ხელი მოჰკიდა და ტყის სიღრმისაკენ აიღო გეზი. დავითიც ცხენს მოახტა და დაედევნათ.

ისინი მალე შეუდგნენ აღმართს; კორა ვერ ხვდებოდა, საით მიდიოდნენ. როცა მთის დავაკებულ თხემს მიაღწიეს და აღმოსავლეთის ფლატეს მიუახლოვდნენ, მან იცნო ადგილი, რომელზეც ერთხელ ადრეც ავიდა მზვერავის მეგობრული მფარველობით. აქ ცხენიდან ჩამოხტნენ და ველს გადახედეს.

იქ ჯერ კიდევ იბრძოდნენ. სიკვდილის მახვილი მანამდე არ შეჩერებულა, სანამ წითელკანიანებმა შურისძიების წადილი არ დაიკმაყოფილეს. მერე კი დაჭრილების კვნესა და კივილიც მოზეიმე ველურების ყიჟინაში ჩაიკარგა.

სთქვით, რაც გინდოდეთ. კაცის მკვლელი, ნამუსიანიმიწოდეთ თუნდა; რადგან მოვკალ არა ძულებით, არა, ნამუსის გულისათვის მოვკალ მე იგი!

შექსპირი. „ოტელო“

სისხლიანი ამბავი, რომელიც წინა თავის ბოლოს მოვიხსენიეთ, კოლონიათა ისტორიაში „უილიამ-ჰენრის ხოცვა-ჟლეტის“ სახელითაა ცნობილი. ახლა უკვე დრომ ბურუსში გახვია ეს საქმე და ათასებმა, რომლებმაც იციან, რა გმირულად დადო თავი მონკალმმა აბრაჰამის ველზე, ისიც უნდა შეიტყონ, რამდენად აკლდა მას ის ზნეობრივი სიმამაცე, ურომლისოდაც ვერც ერთი კაცი ვერ იქნება ჭეშმარიტად დიდი. მის მაგალითზე მრავალი ფურცელი შეიძლება დაიწეროს ადამიანური ნაკლის შესახებ, იმის შესახებ, რა ადვილია სულგრძელმა ვაჟკაცმა პიროვნული ღირსება ამპარტავნების გამო დაკარგოს. სამართლიანობა და პრინციპულობა კი პოლიტიკურ ხრიკებს შესწიროს. ვინაიდან ისტორიას, როგორც სიყვარულს, მიდრეკილება აქვს, გამოგონილი შარავანდედით შემოსოს თავისი გმირები. შესაძლოა ლუი დე სენ ვერანი შთამომავლობის თვალში თავისი ქვეყნის გულადი დამცველი იყოს, მისი გულგრილობა კი ოსუეგოს და ჰორიკონის ნაპირებზე დავიწყებას მიეცემა.

ციხესიმაგრის დაპყრობის შემდეგ უკვე მესამე დღე იწურებოდა, მაგრამ მკითხველს ჯერ კიდევ ვერ მოვაშორებთ „წმინდა ტბის“ ნაპირებს. უკანასკნელი ნახვისას, სიმაგრის მიდამოები ბრძოლის ასპარეზი იყო, ახლა კი იქ სიწყნარე და სიკვდილი გამეფებულიყო. გამარჯვებულები წასულიყვნენ და მათი ბანაკი, რომელიც ასე ცოტა ხნის წინათ ჟრიაბულს მოეცვა, ახლა მიტო-

ვებული ქოხების გროვა იყო. ციხესიმაგრისგან დამწვარი კოჭები, დამსკდარი ზარბაზნების ნამსხვრევები, მიგლეჯილ--მოგლეჯილი ქვითკირის კედლები, ერთი სიტყვით, გაუდაბურებული ადგილი და დარჩენილიყო.

მზის ჩასვლამდე დაახლოებით ერთი საათით ადრე, ხსენებულ დღეს, ხუთი კაცი გამოჩნდა იმ ადგილას, სადაც ჰადსონის გზა ტყეში შედიოდა და დანგრეული ციხესიმაგრისაკენ გამოემართა. თავდაპირველად ნელა და ფრთხილად მოიწევდნენ, თითქოს ეზარებოდათ ან ეშინოდათ იქ შესვლა. წითელკანიანისთვის დამახასიათებელი სიფრთხილითა და სიცქვიტით მოუძლოდა გუნდს წინ ჭაბუკი, რომელიც ყოველ პატარა ბორცვზე ადიოდა დასაზვერად და მერე ანიშნებდა ამხანაგებს, ამა და ამ გზით ჯობია გამოვლათ. არც მის უკან მომავლებს აკლდათ სიფრთხილე და წინდახედულობა. ერთი მათგანი, ისიც წითელკანიანი, განზე მოდიოდა და მოახლოვებული საფრთხის უმცირესი ნიშნის გამოცნობას კარგად მიჩვეული თვალთ ცდილობდა. დანარჩენი სამნი თეთრები იყვნენ. ისინი კვალში ჩასდგომოდნენ უკან დახეულ ჯარს.

წინ მიმავალი ჭაბუკი, მკვირცხლად რომ მიაბიჯებდა ველზე, ხანდახან შეავლებდა ხოლმე თვალს რომელიმე დასახიჩრებულ გვამს და აღელვებას ძლივს ფარავდა. მის წითელკანიან ამხანაგს კი ნანახი სრულიადაც არ აძრწუნებდა. იგი ისე წარბშეუხრელად ჩაუვლიდა დახოცილთა გროვებს, რომ ამას მხოლოდ ხანგრძლივი და ძვალ--რბილში გამჭდარი გამოცდილება თუ შეაძლებინებდა. ერთ-ერთს, თმაჭალარას, სახედანაოჭებულს, მხედრული იერისა და ნაბიჯის მქონეს, არ რცხვენოდა, ხმამაღლა ამოეგმინა, როცა თვალში საზარელი სურათი მოხვდებოდა. მის გვერდით მომავალი ახალგაზრდა კაცი ცახცახებდა, მაგრამ გულისთქმას თრგუნავდა, ბოლოს მიმავალი კაცი კი საერთოდ არ მალავდა განცდებს.

მკითხველმა ალბათ გამოიცნო მოჰიკანები და მათი თეთრი მეგობარი მზვერავი, მანროსა და ჰეიუარდთან ერთად. აქ მართლაც შვილების საძებრად წამოსული მამა იყო. მას ახლდნენ იმათ ბედ-იღბალთან ასე მჭიდროდ დაკავშირებული ჭაბუკი და ერთგული ვაჟკაცები.

როცა წინ მიმავალმა უნკასმა ველის შუაგულს მიაღწია, ერთი დაიკვილა. მხლებლები მაშინვე მასთან გაჩნდნენ. ახალგაზრდა მეომარი ქალების გვამების გროვასთან შემდგარიყო. მიუხედავად ამაზრზენი და შემადრწუნებელი სანახაობისა, მანრო და ჰეიუარდი მისცვივდნენ და კორასა და ალისას დაუწყეს ძებნა. გაუხარდათ, როცა გვამებს შორის მათ ვერ მიაგნეს. ფიქრებში წასულები მდუმარედ იდგნენ დახოცილთა გროვასთან, მზვერავი რომ მიუახლოვდათ. სახეაღწეილმა განრისხებით გადაავლო თვალი სამწუხარო სურათს და ხმამაღლა დაიწყო.

— ბევრ შემადრწუნებელ ბრძოლის ველზე ვყოფილვარ, ბევრიც მივლია სისხლიან კვალზე, — თქვა მან, — მაგრამ ეშმაკის ხელი აქ რომ ჩანს, ასე აშკარად არსად მინახავს! შურისძიება ინდიელთა გრძნობაა და ვინც მიცნობს, ისიც იცის, რომ ჩემს ძარღვებში შეურეველი სისხლი ჩქეფს, მაგრამ ამას ვიტყვი აქ, ღვთის წინაშე, რომ თუ ეგ ფრანგები ოდესმე კიდევ გამოჩნდებიან, მოიპოვება თოფი, რომელიც მანამდე არ მოისვენებს, სანამ კაჟს ნაპერწკალი სცვივა და თოფისწამალი იფეთქებს!.. ტომაჰაუკსა და დანას კი იმათ ვუთმობ, ვინც უფრო დააჯილდოვა ბუნებამ მათი მოხმარების ნიჭით. რას იტყვი, ჩინგაჩგუკ, — დასძინა მან დელავერულად, — წითელი ჰურონები იამაყებენ ამით თავიანთ დიაცებთან, როცა დიდი თოვლი მოვა?

მოჰიკანთა ბელადის შავგვრემან სახეს რისხვისა და წყენის ელვამ გადაჰკრა, დანას ხელი გაიკრა, მერე თვალი აარიდა სანახაობას და ისეთი მშვიდი გამომეტყველება მიიღო, თითქოს თავის დღეში არაფერს აუღელვებიაო.

— მონკალმო! — განაგრძო აღშფოთებულმა მზვერავმა, — ამბობენ, დადგება დრო, როცა სიცოცხლეში ჩადენილი ყოველი საქმე გაისინჯება და თანაც ისეთი თვალით, რომელსაც სიკვდილის შვილთა ცთუნება ბინდს ვერ გადააკრავს. ვაი, იმ ცოდვილს, ვინც უნდა გადმოხედოს ამ ველს და პასუხი აგოს თავის ნახელავზე! ოჰო!.. მე თეთრკანიანი არ ვიყო, თუ აი, იქ საქონრეაგლეჯილი წითელკანიანი არ ეგდოს! ნახე, დელავერო, იქნებ უგზო-უკვლოდ დაკარგული ვინმე თქვენიათ და უნდა დაიკრძალოს, როგორც გულად მეომარს შეშვენის. თვალეში გატყობ, საგამორო, ვინმე ჰურონი გადაიხდის ამის სამაგიეროს, სანამ შემოდგომის ქარი ამ სისხლის სუნს გაფანტავდეს.

ჩინგაჩგუკი დასახიჩრებულ გვამთან მივიდა, გადააბრუნა და მასში იმ ექვსი ტომისა თუ ერის ერთ-ერთი წარმომადგენელი ამოიცივნო, რომელნიც ინგლისელთა მხარეზე კი იბრძოდნენ, მაგრამ სამკვდრო-სასიცოცხლო შუღლი ჰქონდათ საკუთარ ხალხთან. მკვდარს ფეხი ბიზლით წაჰკრა და ისეთი გულგრილობით შეტრიალდა, თითქოს ნადირის ლეში ყოფილიყო. მზვერავი მიხვდა მის ქცევას და კვლავ თავის გზას მიჰყვა, თანაც ფრანგ სარდალს კიცხვავდა.

— მხოლოდ მიუწვდომელი სიბრძნე და უსაზღვრო ძალა გაბედავს, ერთბაშად მოსპოს მრავალი ადამიანი, — დაუმატა მან, — რადგან მხოლოდ ერთადერთს მას ძალუძს ჩასწვდეს სასჯელის აუცილებლობას. მერედა, ვის შეუძლია უფლის ქმნილებათა შეცვლა? მე ცოდვად მიმაჩნია, მეორე ხარირემი მოვკლა, სანამ პირველი არ შეჭმულა, თუ წინ ლაშქრობა ან საფარში ჯდომის განზრახვა არ გვიდევს. სხვა საქმეა რამდენიმე მეომრის პირისპირ ბრძოლა, რადგან მათი ნიჭია, დაიხოცონ თოფით ან ტომაჰაუკით ხელში, თავიანთი ბუნების შესაბამისად, თეთრები არიან თუ წითელკანიანები... უნკას, აქეთ წამოდი, შვილო, და მიუშვი

ყორანი მინგოს გვამზე. გამოცდილებით ვიცი, მაგათ ძალიან უყვართ ონეიდას ხორცი.

— ჰუჰ! — შესძახა ახალგაზრდა მოჰიკანმა. იგი ფეხის წვერებზე შემდგარიყო და წინ დაკვირვებით იცქირებოდა. მისმა ხმამ და მოქმედებამ დააფრთხო ყორანი, რომელმაც სხვა ნადავლი მოძებნა.

— რა ამბავია, ბიჭო? — წაიჩურჩულა მზვერავმა და თან ნახტომისათვის გამზადებულ ავაზასავით მოიხარა, — ღმერთმა ქნას, ალაფის ძებნაში შეგვიანებული ფრანგი იყოს. დარწმუნებული ვარ, „ნადირთმჟღეტი“ დღეს განსაკუთრებით შორს მისწვდება.

უნკასი ხმაამოუღებლად მოსწყდა ადგილს, თვალის დახამხამებაში კორას საცხენოსნო მწვანე პირბადის ნაფლეთი ააცალა ერთ ჯაგს და ზეიმით ააფრიალა. ახალგაზრდა მოჰიკანის ქმედებაზე ყველა მის გვერდით გაჩნდა.

— ჩემი შვილი! — წამოიძახა მანრომ, — მაჩვენეთ ჩემი შვილი!

— უნკასი ეცდება, — იყო მოკლე პასუხი.

უბრალო, მაგრამ მნიშვნელოვანი დაპირება მამას თითქოს არც გაუგონია, მან ხელი სტაცა პირბადის ნაგლეჯს და მოჭმუჭნა, თან ბუჩქნარს გაფაციცებით ათვალიერებდა.

— აქ დახოცილები არ ჩანან! — თქვა შიშისაგან თითქმის ჩამწყდარი ხმით ჰეიუარდმა, — ეტყობა, ქარიშხალს აქეთ არ გადმოუვლია.

— ეგ ისევე აშკარაა, როგორც ზეცა ჩვენს თავზე, — მიუგო დინჯმა და აუღელვებელმა მზვერავმა, — მაგრამ თვით იმას, ან მის გამძარცველებს მაინც ამ ბუჩქთან გაუვლიათ, რადგან მასსოვს, ეს ნაჭერი ყველასთვის საამო სახეს რომ ფარავდა. უნკას, მართალი ხარ; შავთმიანი აქ იყო და დამფრთხალი შველივით მიქროდა ტყისაკენ. ვისაც გაქცევა შეუძლია, მოსაკლავად არ დადგება! აბა, შევუდგეთ მისი ნაფეხურების ძებნას, ინდიელის

თვალს თვით ზუზუნა ჩიტიც ვერ გამოაპარებს თავის კვალს ჰაერში.

ამ განკარგულებაზე ახალგაზრდა მოჰიკანი წინ გაიჭრა და მზვერავს არც კი დაესრულებინა ლაპარაკი, რომ უკვე გამარჯვების ყიჟინაც მოისმა. იქ რომ მიაღწიეს, წიფლის ქვედა ტოტზე მოჰკრეს თვალი იმ პირბადის კიდევ ერთ ნაგლეჯს.

— ნელა, ნელა, — თქვა მზვერავმა და თავისი გრძელი თოფით გზა გადაუღობა სულსწრაფ ჰეიუარდს, — ახლა ჩვენ ვიცით ჩვენი საქმე, ნაკვალევი უნდა შევისწავლოთ.

— ღმერთმა დაგლოცოს, ღირსეულო ადამიანო! — შესძახა აღელვებულმა მამამ, — მაშ, სად არიან ჩემი შვილები?

— მათი გეზის არჩევანი ბევრ რამეზეა დამოკიდებული. თუ მარტონი წავიდნენ, ძალიან ადვილი შესაძლებელია, რომ წრეში იტრიალებენ და მაშინ ჩვენგან თორმეტიოდე მილზე თუ იქნებიან. ოღონდ თუ ჰურონებმა ან ფრანგების სხვა რომელიმე ინდიელებმა იგდეს ხელთ, შესაძლოა, ახლა კანადის საზღვრის ახლოსაც იყვნენ. მაგრამ ეგ არაფერია! — დასძინა დინჯმა მზვერავმა, როცა მსმენელებს აღელვება და იმედგაცრუება შეატყო, — მოჰიკანები და მე აქ კვალის ერთ ბოლოში ვართ და მეორესაც უეჭველად ვიპოვით, თუნდაც ასი ლიეს იქითაც იყოს. წყნარად, უნკას, გავიწყდება, რომ ოდნავ შესამჩნევ კვალს ტოვებს ქალი!

— ჰუჰ! — შესძახა ჩინგაჩგუკმა, რომელიც ჯაგნარში გაკეთებულ გასაძრომს სინჯავდა და მოსაუბრეებს დაბლა რაღაცას ანიშნებდა.

— აქ აშკარად კაცის ნაფეხურები აჩნია! — შესძახა ნაჩვენებ ადგილზე დახრილმა ჰეიუარდმა, — გუბის ნაპირზე გაუვლიათ, შეუძლებელია ამ კვალის სხვა რამეში არევა, დაუტყვევებიათ!

– ეგ ჯობია ტყეში შიმშილით სიკვდილს, – მიუგო მზვერავმა, – დაიხარე, უნკას, და ნახე, რა შეიძლება ვიფიქროთ ამ ნაკვალევზე, ხომ ნამდვილად მოკასინისაა და არა სხვა ფეხსაცმლის?

ახალგაზრდა მოჰიკანი დაიხარა, ნაკვალევს ფოთლები მოაშორა და ისეთი გულმოდგინებით გასინჯა, როგორც ჩვენს დროში საეჭვო თამასუქს გასინჯავენ. ბოლოს წამოდგა. კმაყოფილი იყო თავისი გამოკვლევის შედეგით.

– აბა, ბიჭო, რას ამბობს? – შეეკითხა მზვერავი.

– ცბიერი მელაა.

– ოჰო! ისევ ის ცოფიანი ეშმაკი! თავისას მანამდე არ მოიშლის, სანამ არ მოკვდება.

ჰეიუარდმა უხალისოდ მოისმინა ეს ცნობა და თქვა:

– ერთი მოკასინი ისე წააგავს მეორეს, რომ ალბათ რაიმე შეცდომა უნდა იყოს.

– ერთი მოკასინი მეორეს ჰგავსო! თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ ბრძანოთ, ერთი ფეხი მეორეს ჰგავსო, თუმცა ყველამ ვიცით, რომ ზოგი გრძელია, ზოგი – მოკლე, ზოგი განიერი, და ზოგი ვიწრო, ზოგს მაღალი ბურგი აქვს, ზოგს – დაბალი, ზოგს შიგნით აქვს შეხრილი თითები, ზოგს – გარეთ! ერთი მოკასინი ისევე არ ჰგავს მეორეს, როგორც ერთი წიგნი – მეორეს; თუმცა ვინც ერთის წაკითხვა იცის, იშვიათად შეუძლია მეორის ნიშნების გამოცნობაც. ყველაფერი ეს კი სწორედ სასიკეთოდ არის გარიგებული, რადგან ყველა კაცს თავის ბუნებრივ უპირატესობას ანიჭებს. მოდი, მეც ვნახავ, უნკას, არც წიგნს დააკლდება რამე და არც მოკასინს, მათზე ერთის მაგიერ ორი აზრი რომ გამოითქვას, – მზვერავი ჩაუკვირდა და მალე დასძინა, – მართალი ხარ, ბიჭიკო, სწორედ ის ნაფეხურია, ჩვენ რომ ხშირად გვინახავს. მზვერავი ინდიელი ყოველთვის უფრო განზე ადგამს ფეხის წვერს, ვიდრე ჩვეულებრივი წითელკანიანი და ეს საერთოდ ლოთისთვისაა დამახასიათებელი, გინდა თეთრკანიანი იყოს და

გინდა წითელკანიანი, სიგრძე-სიგანეც იგივეა! დახედე, საგამო-
რო, შენც არა ერთხელ გაგიზომია მისი ნაფეხური.

ჩინგაჩგუკმაც ნახა და ერთი სიტყვა წარმოთქვა:

— მაგუა.

— ეს დადგენილი ამბავია: აქ გაუვლიათ შავთმიანსა და მაგუ-
ას.

— ალისას კი არა? — იკითხა შეშფოთებულმა ჰეიუარდმა.

— მისი ჯერ არაფერი ნიშანი არ გვინახავს, — მიუგო მზვერავე-
მა და დაკვირვებით მოათვალიერა გარშემო ხეები, ბუჩქები და
მიწა, — იქ რა არის? უნკას, მომირბენინე ის ნივთი, აგერ იმ კუნე-
ლის ბუჩქზე რომ ჩანს.

ინდიელმა მეომარმა მოუტანა. მზვერავემა მაღლა ასწია საგა-
ნი და სანამ რამეს იტყოდა გულიანად გაიცინა:

— ეს ხომ მგალობლის საპიპინო ხელსაწყოა! უნკას, დაათვა-
ლიერე ისეთი ფეხის ნაკვალევი, რომელიც იმსიგრძე უნდა იქ-
ნეს, რომ ექვსი ფუტის და ორი გოჯის სიმაღლე მოყანყალე ადა-
მიანის სხეული დაიჭიროს. ცოტა იმედი მომეცა, რაკი იმ უბე-
დურმა კიკინს თავი დაანება და ალბათ რაიმე უკეთესს მოჰკიდა
ხელი.

— ყოველ შემთხვევაში, ნდობისათვის მაინც არ უღალატია, —
თქვა ჰეიუარდმა, — და კორა და ალისა სულ უმეგობროდ არ
დარჩენილან!

— ჰო, — თქვა ქორის თვალმა, თოფი ძირს დაუშვა და ზედ და-
ეყრდნო, — სიმღერას არ მოაკლებს! მაგრამ განა მას შეუძლია
სადილისთვის ირემი მოუკლას, წიფლების ხავსის მიხედვით
ატაროს, ანდა ჰურონს ყელი გამოსჭრას? თუ ესენი არ შეუძლია,
გზაში შეხვედრილი პირველი კატა-ჩიტიც კი უფრო ჭკვიანი ყო-
ფილა მაგაზე.

— აქ არის სხვა ნაკვალევიც, — უთხრა ჰეიუარდმა, რომელმაც
სიამოვნებით შეცვალა დავითის შეურაცხმყოფელი საუბარი,

რადგან მისდამი ახლა უდიდესი მადლიერების გრძნობით იყო გამსჭვალული.

— ფრთხილად შეეხეთ ფოთლებს, თორემ კვალს წაახდენთ. — ეგა? ეგ შავთმიანის ნაფეხურს ჰგავს!

— სად არის? დამანახვეთ ჩემი შვილის ნაფეხურები! — შესძახა მანრომ, ბუჩქები გადასწია და ნაკვალევთან სიყვარულით დაიხარა.

კვალი მკაფიოდ ჩანდა. მოხუცი ჯარისკაცი დაბინდული თვალებით დაჰყურებდა და მანამდე არ ამდგარა, სანამ ჰეიუარდმა არ შეამჩნია, რომ მწარედ ტიროდა. ჭაბუკმა მოინდომა, მოხუცი მეომრის მწუხარება როგორმე გაეფანტა და მზვერავს უთხრა:

— რაკი კვალს მივაგენით, გზას გავუდგეთ. ამ დროს ერთი წუთიც კი ტყვეებს საუკუნედ მოეჩვენებათ.

— სწრაფად მხტუნავი ირემი დიდხანს დევნას კი ვერ უძლებს! — მიუგო ქორის თვალმა, — ჩვენ ვიცით, რომ ცოფიანმა ჰურონმა გაიარა... შავთმიანმაც... მგალობელმაც, მაგრამ სადღაა ქერათმიანი და ცისფერთვალა? თუმცა პატარაა და გულადობითაც ვერ დაიკვებნის, მაგრამ ტურფა და საამური მომუსაიფე კი არის. გულშემატკივარი აღარავინ დარჩენია, რომ მასზე იბრუნოს?

— ღმერთმა ნუ ქნას, ასობით არ ჰყოლოდეს! განა ახლა მის კვალსაც არ მივდევთ? მე კი მანამდე არ დავეხსნები ძებნას, სანამ თვითონ მას არ ვიპოვი!

— მაშინ ჩვენ სხვადასხვა გზით უნდა წავიდეთ, რადგან აქ მისი ნაკვალევი არ არის.

ჰეიუარდი შეცბა, გამგზავრების სურვილი გაუქრა. მზვერავს ყურადღება არ მიუქცევია მისი განწყობის ასე ნაუცბათევი გადასხვაფერებისათვის და მცირე ხნის ფიქრის შემდეგ განაგრძო:

— ამ ტყე-ღრეში სხვა ისეთი ქალი არ მოინახება, რომ შავთმიანის ან მისი დისტანა ნაფეხურები დატოვოს! ჩვენ ვიცით, რომ ერთი აქ იყო, მაგრამ მეორე? მოდით, გავყვეთ ნავალს და

თუ ვერაფერი ვნახეთ, უკან დავბრუნდეთ და სხვა კვალს დავადგეთ. გასწიე, უნკას, და თვალი გეჭიროს გამხმარ ფოთლებზე; მე ბუჩქებს დავუკვირდები, მამაშენი კი — მიწას. აბა, დავიძრათ, მეგობრებო, მზე უკვე ჩასვლას აპირებს!

— ისეთი არაფერია, რომ მეც გავაკეთო? — ჰკითხა შეწუხებული მამაშენი.

— თქვენ? — მოტრიალდა მშვერავი, რომელიც უკვე წინ წასულიყო, — დიახ, თქვენ შეგიძლიათ უკან მოგვდიოთ და იფრთხილოთ, რომ ნაკვალევს ფეხი არ დაადგათ.

ცოტა ხანში წითელკანიანები შედგნენ და მიწაზე რაღაც ნიშნებს გულისყურით დაუწყეს სინჯვა. მამა-შვილი აჩქარებით და ხმამაღლა ლაპარაკობდა და ხან აღფრთოვანებით დასცქეროდნენ მიწას, ხან ერთმანეთს შეჰყურებდნენ.

— პატარა ფეხის ნაკვალევი იპოვეს! — შესძახა მშვერავმა, თავის საქმეს თავი მიანება და წინ გაემართა, — რა ამბავია აქ! ამ ადგილას ჩასაფრებულნი ყოფილან! აქ ისევ იმ გვერდელად მოსიარულე ცხენების ნაკვალევი! ახლა კი მთელი საიდუმლო გამორკვეულია და ყველაფერი ისევე მკაფიოა, როგორც ჩრდილოეთის ვარსკვლავი შუადამისას. დიახ, აქ შემსხდარან ცხენებზე. პირუტყვები მაგ ხეზე ყოფილან მიბმული; აგერ იქ კი ფართო ბილიკი მიდის ჩრდილოეთით, პირდაპირ კანადისაკენ.

— მაგრამ ალისას... უმცროსი მის მანროს კვალი ჯერ კიდევ მაინც არ ჩანს, — თქვა დუნკანმა.

— თუ უნკასისაგან სწორედ ახლახან მიწიდან აღებული რაღაც ბრჭყვიალა, პატარა სამკაული არ გამოდგა მისი. მომაწოდეთ ერთი, ყმაწვილო, რომ ჩვენც გავსინჯოთ.

ჰეიუარდმა იცნო ალისას საყვარელი სამკაული, რომელიც საბედისწერო დილას ყელზე დაუნახა სატრფოს. ჩაბლუჯა განძი და დიდხანს იკრავდა გულში.

– ფუჰ! – წამოიძახა განაწყენებულმა ქორის თვალმა და თავი დაანება თოფის ლულით ფოთლების ქექვას, – მხედველობის შესუსტება დაბერების ნიშანია. ეგეთი ბრტყვიალა რამე იყო და არ ჩანდა!

– მაშ, მეტი მიზები გვაქვს, არ დავაყოვნოთ გამგზავრება, – მიუგო ჰეიუარდმა, – გავწიოთ!

– ახალგაზრდა სისხლი და ფიცხი სისხლი თითქმის ერთი და იგივეაო, ამბობენ. ჩვენ ციყვებზე სანადიროდ წასვლას კი არ ვაპირებთ, ანდა ჰორიკონში ირმის შედენას, არამედ მთელი დღეები და ღამეები გზას უნდა ვადგეთ და გადავიაროთ ისეთი უდაბური ადგილები, სადაც ადამიანს ფეხი იშვიათად დაუკარებია და სადაც წიგნებიდან შეძენილი ცოდნა ვერას გიშველის. ინდიელი თავის დღეში არ შეუდგება ასეთ ლაშქრობას, თუ ყალიონი არ მოსწია და მე თუმცა თეთრკანიანი ვარ, მათ ამ ადათს პატივს ვცემ, რადგან ვხედავ, რომ ბრძნულია. ამიტომ ახლა უკან გავბრუნდებით, ამაღამ ძველი ციხესიმაგრის ნანგრევებში დავანთებთ ცეცხლს, დილით კი დასვენებულები მზად ვიქნებით, ჩვენს საქმეს შევუდგეთ.

ჰეიუარდმა მზვერავს მაშინვე შეატყო, რომ შეკამათება ამაო იქნებოდა. მანროს კვლავ დაეუფლა ის გულგრილობა და უხალისობა, რომელიც თავს დატეხილი უბედურების შემდეგ დასჩემდა და რისგანაც ალბათ მხოლოდ რაიმე სიახლე თუ იხსნიდა. ახალგაზრდა კაცი დაემორჩილა აუცილებლობას, მოხუც მეომარს მკლავში ხელი მოჰკიდა და ინდიელებსა და მზვერავს მიჰყვა, რომლებიც უკვე ველზე გასასვლელ ბილიკს მიუყვებოდნენ.

სალარინო: კიდევ რომ ვერ გადაგიხადოს დროზე, დარწმუნებული ვარ, ხორცს არ მოსთხოვ. აბა, რა მოსახმარია მისი ხორცი.

შაილოკი: ანკესზე გამომადგება თევზის მოსატყუებლად; თუ სხვას ვერაფერს დაანაყრებს, შურისძიებას ხომ მაინც გამძღობს.

შექსპირი. „ვენეციელი ვაჭარი“

როცა მგზავრები უილიამ-ჰენრის ნანგრევებში შევიდნენ, ჩამომდგარმა სალამოს ბინდბუნდმა კიდევ უფრო საზარელი გახადა არემარე. მზვერავი და მისი ამხანაგები მაშინვე შეუდგნენ ღამის გასათევად მზადებას, თანაც ისეთი გულმოდგინებითა და წინდახედულობით, რომ აშკარად იგრძნობოდა, რა მძიმე შთაბეჭდილება მოეხდინა მათზე ახლახან ნანახ შემადრწუნებელ სანახაობებს. კოჭების რამდენიმე ნატეხი გაშავებულ კედელს მიაყუდეს: უნკასმა ისინი ტოტების თხელი ფენით დაფარა და დროებითი თავშესაფარიც მზად იყო. როცა მუშაობა დაამთავრა, ახალგაზრდა ინდიელმა თავის ულაზათო ხუხულაზე მიუთითა. ჰეიუარდიც მიუხვდა და ფრთხილად შეიყვანა შიგ მანრო. ეულად დარჩენილი მოხუცი თავის სევდიან ფიქრებთან დატოვა დუნკანმა და გარეთ გამოვიდა — თვითონ ისეთი აფორიაქებული იყო, რომ არ სცხელოდა მოსვენებისთვის.

სანამ ქორის თვალი და წითელკანიანები ცეცხლს დაანთებდნენ და გამხმარი დათვის ხორცისაგან შემდგარ ღარიბულ ვახშამს შეუდგებოდნენ, ჰეიუარდი დანგრეული ციხესიმაგრის ბურჯებს შორის მოქცეულ იმ კედელთან მივიდა, რომელიც ჰორიკონს გადაჰყურებდა. ქარი ჩამდგარიყო და კედლის ძირას, ქვი-

შიან ნაპირს დინჯად ეხლებოდნენ ტალღები. თითქოს გაათრე-
ბული ქროლვით დაღლილი ღრუბლები გაფანტულიყვნენ. აქა--
იქ წითელი, ცეცხლოვანი ვარსკვლავი გამოკრთებოდა მოლივ-
ლივე ნისლებში და სუსტ შუქს ჰფენდა მოღუშულ ზეცას.

დუნკანი დიდხანს ათვალიერებდა ამ დამაღონებელ სანა-
ხაობას. მისმა თვალმა მიწაყრილის შუაგულიდან, სადაც ქორის
თვალი და ინდიელები ცეცხლს შემოსხდომოდნენ, მკრთალ
შუქზე გადაინაცვლა, მერე კი დიდხანს და გულმოდგინედ დააც-
ქერდა ჩამოწოლილ სიბნელეს, პირქუში უდაბნოსავით რომ გა-
დაშლილიყო იმ მხარეს, სადაც დახოცილები განისვენებდნენ.
ჰეიუარდს მოეჩვენა, რომ იქიდან რაღაც უცნაური ხმაური მოის-
მოდა, თუმცა ისეთი გაურკვეველი, რომ, რისი ხმა იყო კი არა,
საერთოდ მართლა რაიმე გაისმა თუ არა, ამის თქმაც გაჭირდე-
ბოდა. ჭაბუკს თავისი ავი წინათგარძნობისა შერცხვა, პირი
წყლისაკენ იბრუნა და სცადა, გული მის მოლივლივე ბედაპირზე
არეკლილი ვარსკვლავების ცქერისთვის გადაეყოლებინა. ბო-
ლოს, წყვდიადში სრულიად გარკვევით გაისმა ხმა. დუნკანმა
გულისთქმა ვეღარ დაიმორჩილა, მზვერავი მოიხმო და სთხოვა,
ჩემთან ამოდი მიწაყრილზეო. ქორის თვალმა მკლავზე გა-
დაიდო თოფი და არხეინი და მშვიდი იერით გამოემართა. ეტყო-
ბოდა, მათი სამყოფელი უშიშარ ადგილად მიაჩნდა.

— ყური უგდეთ, — თქვა დუნკანმა, როცა მზვერავი დინჯად
ამოუდგა მას მხარში, — ველიდან რაღაც ხმაური ისმის. იქნებ
მონკალმს ჯერ კიდევ მთლად არ დაუნებებია თავი აქაურობი-
სათვის.

— მაშინ ყურები სჯობნებია თვალებს, — მშვიდად მიუგო მზვე-
რავმა, რომელსაც ყბები დათვის ხორციით გამოეტენა და ბურ-
ტყუნით ლაპარაკობდა, — მე თვითონ ვნახე ტაიში რომ ჩაიკეტა
მთელი თავისი ჯარით; რადგან მაგ თქვენს ფრანგებს უყვართ,

როცა რაიმე ჭკვიანური საქმე მოუხდებოდა, უკან გაბრუნდნენ და გამარჯვების აღსანიშნავად ცეკვა-თამაში და ლხინი გამართონ.

— არ ვიცი. ინდიელი იშვიათად იძინებს ომის დროს და ეგებ ძარცვისათვის ჩამორჩა აქ თავის ტომს რომელიმე ჰურონი. კარგი იქნება, ცეცხლს ჩავაქრობდეთ და დავუდარაჯდებოდეთ... ყური უგდეთ! მე მგონი, გესმით ხმაური!

— ინდიელი უფრო იშვიათად დაძრწის მკვდრების ახლოს. თუმცა მზად არის სიცოცხლეს გამოასალმოს მტერი, იგი ჩვეულებრივ სკალპით კმაყოფილდება, თუ სისხლი ამღვრეული არა აქვს და გაშმაგებული არ არის; მაგრამ როგორც კი სულს საბოლოოდ ამოხდის, მერე მტრობას ივიწყებს და ამჯობინებს, მკვდრებმა თავისთვის მშვიდად განისვენონ. სულელები რომ ვილაპარაკოთ, მაიორო, თქვენი აზრით, წითელკანიანებისა და ჩვენი, თეთრების საიქიო, ერთი და იგივე იქნება?

— შეჭველია... შეჭველია, მე მგონია, კიდევ ისმის! თუ ეს წითელებზე შრიალებს ფოთლები?

— ჩემი აზრით, — განაგრძო ქორის თვალმა და ერთი წამით გულგრილი და უბრუნველი იერით იქით იბრუნა პირი, საითაც დუნკანი უთითებდა, — მგონია, რომ სამოთხე ბედნიერებისათვის არის დაწესებული და რომ ადამიანები იქ თავიანთი ხასიათისა და ნიჭის მიხედვით მოხვდებიან. ამიტომ ვფიქრობ, რომ წითელკანიანი არ უნდა იყოს დაშორებული ჭეშმარიტებას, როცა სწამს, იქ პოვებს დიდებულ სანადირო ადგილებს, რომლებსაც მათ თქმულებებში ახსენებენ; ამის გამოა, რომ არც მგონია, დიდი დამცირება იყოს ნამდვილი თეთრკანიანისათვის...

— გესმით? კიდევ! — შეაწყვეტინა ჰეიუარდმა.

— ჰო, ჰო; როცა საჭმელი შემოაკლდება, ანდა როცა უხვად მოეპოვება, მგელმა გათავხედება იცის, — აუღელვებლად თქვა მზვერავემა, — სინათლე და დრო რომ იყოს, მაგ ოხრების ტყავებ-

საც ვიშოვიდით! მაგრამ საიქიო ცხოვრების შესახებ, მაიორო, მღვდლებისაგან გამიგონია დაბებში, ზეცა განსვენების ადგილიაო. ოღონდ ადამიანებს დროსტარებაზე სხვადასხვა შეხედულება აქვთ. პირადად ჩემთვის, და მე ამას მოგახსენებთ განგების განწესებისადმი პატივისცემით, დიდი ვერაფერი შეღავათი იქნება, როცა გული მოძრაობისა და ნადირობისაკენ მიმიწევს, თუ იმისთანა სახლებში გამომკვეტეს, რომლებზეც ისინი ქადაგებენ.

დუნკანმა უფრო გაამახვილა სმენა და ქორის თვალს უთხრა:

— ძნელია იმ გრძნობებზე ლაპარაკი, რაც უკანასკნელ უდიდეს ცვლილებას მოჰყვება.

— სწორედ დიდი ცვლილება იქნება ისეთი კაცისათვის, რომელსაც მთელი თავისი დღენი ცის ქვეშ გაუტარებია, — მიუგო გულწრფელად თავისი ხელობის ერთგულმა მზვერავმა, — მაგრამ დიდი ნუგეშია იმის ცოდნა, რომ ღმობიერ უფალს ვემსახურებით, თუმცა ყველა ჩვენგანი თავისებურად... რა დადის იქ?

— განა მგლები არ დაშლივინებენ, როგორც თავად თქვით?

ქორის თვალმა ნელა გააქნია თავი და ანიშნა, ისეთი ადგილისაკენ გაჰყოლოდა, სადაც ცეცხლის შუქი ვერ სწვდებოდა. მზვერავი დიდხანს დაძაბულად უსმენდა, ეგებ კვლავ განმეორებულიყო ის ხმაური, რომელმაც შეაკრთო. მაგრამ მისი სიფხიბლე, ეტყობა, ამაო გამოდგა, რადგან უშედეგო დუმილის შემდეგ დუნკანს წასჩურჩულა:

— უნკასს უნდა დავუძახოთ. ბიჭს ინდიელთა შეგრძნება აქვს და ისეთი რამის გაგონება შეუძლია, რაც ჩვენ არ გვესმის. მართალია თეთრკანიანი ვარ, მაგრამ ჩემს ამ ნაკლს ვერ უარვყოფ.

ახალგაზრდა მოჰიკანი დაბალი ხმით ებაასებოდა მამას, მაგრამ ბუკიოტის ხმა რომ გაიგონა, შეკრთა, ფეხზე წამოიჭრა და ჩაშავებული მიწაყრილისაკენ გაიხედა. მზვერავმა ძახილი

გაიმეორა და თვალის დახმახმებაში დუნკანმა მიწაყრილის გასწვრივ მათკენ ცოცვით მომავალი უნკასი შეამჩნია.

ქორის თვალმა დელავერთა ენაზე ორიოდ სიტყვით აუხსნა საქმის ვითარება. როგორც კი მისი გამოძახების მიზეზი შეიტყო, უნკასი ბალახზე განერთხო. მეომრის უძრაობით გაოცებულმა ჰეიუარდმა, რომელსაც ცნობისმოყვარეობა უღიტიწებდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მისკენ დაიხარა. მხოლოდ მაშინდა აღმოაჩინა, რომ უნკასი გამქრალიყო.

— რა იქნა მოჭიკანი? — დაეკითხა მზვერავს იგი და გაოცებისაგან უკან მიაწყდა, — დავინახე სწორედ აქ რომ გაწვა და დაფიცებაც კი შემეძლო, რომ ისევ აქვე იწვა!

— ჩუ! ხმადაბლა ილაპარაკეთ, რადგან არ ვიცით, ვისი ყური გვისმენს. მინგოები კი გამჭრიახი ხალხია. უნკასი მინდორშია და თუ სადმე მაკვები დაძრწიან ჩვენ გარშემო, თავის თანასწორს პოვებენ კიდევ.

— მაშ, თქვენ გგონიათ, რომ მონკალმს ყველა თავისი ინდიელი თან არ წაუყვანია? მოდი, შევატყობინოთ ჩვენს ამხანაგებს, რომ იარაღასხმულნი ვიყოთ.

— კრინტი არ დაძრათ, თუ სიცოცხლე რამედ გიღირთ. გახედეთ საგამორს, როგორი დიდებული ინდიელი ბელადივით მისჯდომია ცეცხლს! თუ წყვდიადში ვინმეა ჩასაფრებული, ვერაფერს შეატყობენ სახეზე, რომ ჩვენ რაიმე საფრთხეს ვგრძნობთ.

— მაგრამ თუ შეამჩნევენ სიკვდილი არ ასცდება! მისი სხეული ცეცხლის შუქზე გამოჩნდება და ეგ იქნება პირველი მსხვერპლი.

— ახლა მართალს ამბობთ, — ჩვეულებრივზე უფრო მეტი შემოფოთება დაეტყო მზვერავს, — მაინც, რას ვიზამთ! ერთადერთ დაეჭვებულ გამოხედვასაც კი შეუძლია მანამდე გვაქციოს თავდასხმის მსხვერპლად, სანამ დასახვედრად მოვემზადებოდეთ. მან იცის, რომ რაკი მე უნკასს დავუძახე, ესე იგი, სუნი ავიღეთ,

ახლა კი ვაცნობებ, რომ მინგოების კვალს ვადგავართ და ინდიელის ალღო უკარნახებს, როგორ უნდა მოიქცეს.

მზვერავმა თითები პირზე მიიღო და ისე დაისისინა, რომ შემკრთალი დუნკანი პირველად განზე გახტა, ეგონა, გველიაო. ხელებზე თავდაყრდნობილი ჩინგაჩგუკი ფიქრებში წასული იჯდა; მაგრამ როგორც კი გაიგონა იმ ცხოველის გამაფრთხილებელი ხმა, რომლის სახელიც ერქვა, წელში გაიმართა და შავი თვალები მკვირცხლად მოავლო ირგვლივ. ამ მოულოდნელი და იქნებ უნებური მოძრაობის გარდა გაცემა ან შემფოთება სხვა არაფრით გამოუხატავს, თოფი ახლოს ეგდო. ტომაჰაუკი, რომელიც სარტყლიდან ცოტა ამოწეული ჰქონდა, ახლა მიწაზე დავარდა. თვითონაც მოეშვა, ვითომ მოსასვენებლად. ისეთი სიმშვიდითა და სიმამაცით ელოდა შედეგს, როგორიც მარტოოდენ ინდიელს შეუძლია.

დაუკვირვებელ თვალს მოჰიკანი მთვლემარედ მოეჩვენებოდა, მაგრამ მას ნესტოები გაგანიერებოდა, თავი ცოტათი გადაეხარა და გულმოდგინედ აკვირდებოდა ყოველ საგანს.

— შეხედეთ! — მკლავზე ხელი მოუჭირა და წასჩურჩულა ქორის თვალმა ჰეიუარდს, — იცის, რომ მისმა ერთმა გამოხედვამ ან განძრევამ შეიძლება გეგმა ჩაგვიფუშოს და იმ წუწკების მსხვერპლად გვაქციოს...

სიტყვა თოფის გრიალმა გააწყვეტინა. იმ ადგილზე, რომელსაც ჰეიუარდი ჯერ კიდევ აღტაცებითა და განცვიფრებით დაშტერებოდა, ცეცხლის ნაპერწკლების ბული ავარდა. მეორე გახედვამ იგი დაარწმუნა, რომ ჩინგაჩგუკი ამ ალიაქოთში უკვე გამქრალიყო. ამასობაში მზვერავმა თოფი გადმოიღო, სასროლად გამართა და მოუთმენლად დაუწყო ლოდინი მტრის გამოჩენას. მაგრამ ჩინგაჩგუკის სიცოცხლებზე ამ ერთადერთი და უნაყოფო შეტევის შემდეგ თავდასხმის ცდა შეწყდა. ერთი-ორჯერ მოეჩვენათ, რომ ბუჩქები აშრიალდა, თითქოს რაღაც სულიერი მოძრა-

ობდა და არც გაუვლია დიდ ხანს, რომ ქორის თვალმა აღნიშნა, მგლები ისე იძურწებიან, თითქოს საკუთარ სამფლობელოში შეჭრილ თავხედებს გაურბიანო. რამდენიმე წუთის დუმილის შემდეგ წყალში ტყაპანის ხმა მოისმა და მაშინვე თოფის გრიალიც მოჰყვა.

— უნკასია! — შესძახა მზვერავმა, — ბიჭს მარჯვე თოფი აქვს! მის ხმას ისევე კარგად ვიცნობ, როგორც მამა — შვილის ლაპარაკს, რადგან სანამ უკეთესს ვიშოვიდი, ჩემი იყო.

— ეს რას უნდა ნიშნავდეს? — იკითხა დუნკანმა, — ჩვენ გვითვალთვალებენ და, ჩანს, ნიშანში ვართ ამოღებულნი.

— გაქეჩილი მუგუზლები ამტკიცებს, რომ კარგი არაფერი იყო განზრახული, ეს ინდიელი კი გვიდასტურებს, რომ არაფერი დაგვშავებია, — მიუგო მზვერავმა, ისევ მკლავზე გადაიდო თოფი და გასწია ჩინგაჩგუკისაკენ, რომელიც სწორედ ახლახან კვლავ ცეცხლის ახლოს გამოჩნდა, — რა ამბავია, საგამორო? მართლა მინგოები დაგვესხნენ თავს, თუ მართო ერთი იმ ქვემძრომთაგანია, რომელნიც კუდში აედევნებიან ხოლმე მემართა რაბმს, რომ დახოცილებს ააცალონ სკალპები და მერე თავის დიაცებთან იტრაბახონ, ასეთი და ასეთი დღე დავაყარეთ ფერმკრთალსახიანებსო?

ჩინგაჩგუკი მშვიდად დაჯდა თავის ადგილას და მანამ არ დაუძრავს კრინტი, სანამ არ დაათვალიერა მუგუზალი, რომელსაც მისთვის ასე საბედისწერო ტყვია მოხვდა. ამის შემდეგ იგი პასუხად ცალი თითის აწევით და ერთადერთი სიტყვის თქმით დაკმაყოფილდა:

— ერთი.

— მეც ეგრე ვიფიქრე, — მიუგო ქორის თვალმა და თვითონაც დაჯდა, — და რაკი ტბას მანამდე მიაღწია, სანამ უნკასი სროლას მოასწრებდა, საეჭვო აღარ უნდა იყოს, რომ ის თაღლითი ტყუილებს დაფქავს, ვითომდა დიდი თავდასხმა მოაწყო და

კვალში ჩაუდგა ორ მოჰიკანს და ერთ თეთრ მონადირეს, რადგან ოფიცრები ხომ სათვალავში ჩასაგდებნი არ არიან ამისთანა შეკინკლავებაში. კეთილი, იყბედოს. ნებისმიერ ხალხში მოიპოვება პატიოსანი კაცი, თუმცა ღმერთმა იცის, რომ მაკვებში ეგეთები იშვიათია, რომელიც გაარჩევს მატრაკვეცას, როცა იგი უთავბოლოდ ბაქიბუქობს! იმ არამზადის ტყვიას ზედ შენს ყურის ძირთან გაუზზუნია, საგამორო.

ჩინგაჩგუკმა გულგრილად გადახედა ნატყვიარ ადგილს და ისეთი იერით დაუბრუნდა ძველებურ მდგომარეობას, რომ ემჩნეოდა, ასეთი უბრალო ამბავი ნირს ვერ შეუცვლიდა. სწორედ ამ დროს უნკასიც შემოვიდა წრეში და ცეცხლს ისეთივე მშვიდი სახით მიუჯდა, როგორითაც მამამისი.

ამ ყველაფერს ჰეიუარდი დიდი ცნობისმოყვარეობითა და განცვიფრებით შეჰყურებდა. ეჩვენებოდა, თითქოს მონადირეებს აზრთა გაცვლა-გამოცვლის რაღაც იდუმალი ძალა გააჩნდათ, რომლებიც მან საკუთარი დაკვირვების უნარით ვერ შეამჩნია.

— რა დაემართა ჩვენს მტერს, უნკას? — ჰკითხა დუნკანმა, — თქვენი თოფის ხმა მოგვესმა და იმედი გვექონდა, ტყუილად არ გაირჯებოდით.

ახალგზარდა ბელადმა სანადირო ხალათის კალთა გადაიწია და გამოაჩინა თმის საბედისწერო ბლუჯა, რომელიც გამარჯვების ნიშნად წამოეღო. ჩინგაჩგუკი ერთხანს გულმოდგინედ სინჯავდა სკალპს, მერე ხელიდან აშკარა ზიზღით გააგდო და შესძახა:

— ფუჰ! ონეიდა!

— ონეიდა! — გაიმეორა მზვერავმა და გაბრაზებული წამოიჭრა, რათა სისხლიანი ნიშანი დაეთვალიერებინა, — ღმერთმანი, თუ ონეიდები გვიდგანან კვალში, ყველა მხრიდან ეშმაკებით ვიქნებით გარშემორტყმულნი! თეთრკანიანი იტყვის, მინგოს კინკრიხოაო, თითქოს სკალპი წიგნის ფურცელი იყოს, თმის ყო-

ველი ღერი კი — ასო. რა უფლება აქვთ ქრისტიან თეთრკანიანებს, იტრაბახონ თავიანთი სწავლულობით, როცა ველურს შეუძლია ამოიკითხოს ისეთი ენა, რომელსაც თეთრების ყველაზე ბრძენი ადამიანებიც კი ასავალ-დასავალს ვერ გაუგებენ?! შენ რას იტყვი, ყმაწვილო, ვინ იყო ის არამზადა?

უნკასმა მზვერავს შეხედა და ტკბილი ხმით უპასუხა:

— ონეიდა.

— კიდევ ონეიდა! როცა ერთი ინდიელი ამტკიცებს, ჩვეულებრივ — მართალია; მაგრამ როცა სხვაც დაუჭერს მხარს, მაშინ სულ უტყუარი იქნება!

— საწყალს, ფრანგებში ავერიეთ, — თქვა ჰეიუარდმა, — თორემ მეგობარზე ხელს არ აღმართავდა.

— საომრად მოხატული მოჰიკანი ჰურონში აერიოს? მაშინ თქვენც ასევე აგერეოდით ერთმანეთში მონკალმის თეთრად გამოწყობილი გრენადერები „სამეფო ამერიკელთა ჯარის“ წითელქურთუკიანებში, — მიუგო მზვერავმა, — არა, არა, იმ გველმა იცოდა თავისი საქმე. არც დიდი შეცდომაა აქ ჩადენილი, რადგან დელავერსა და მინგოს არაფრად ეჭაშნიკებათ ერთმანეთი, თუნდაც მათი ტომები ერთ მხარეს იბრძოდნენ თეთრკანიანთა ომში. ამიტომ, მართალია, ონეიდებიც ჩემს ხელმწიფეს ემსახურებიან, მაგრამ მეც კი არ დავიწყებ ბევრ ყოყმანს და ტყვიას მივაყოლებ იმ წუწკებს, ბედმა გზაში თუ შემახვედრა.

— ეგ ჩვენი ხელშეკრულებების დარღვევა და თქვენთვის უღირსი საქციელი იქნება.

— როცა ადამიანი დიდხანს ცხოვრობს რომელიმე ხალხში, — განაგრძო ქორის თვალმა, — ისინი თუ პატიოსანი ხალხია და თვითონაც არამზადა არ არის, ერთმანეთი შეუყვარდებიან. უდავოა, რომ თეთრების ცბიერებამ მოახერხა მეგობრული და მტრული ტომების ერთმანეთში არევ-დარევა, ასე რომ, ჰურონები და ონეიდები, რომელნიც, შეიძლება ითქვას, ერთ ენაზე ლა-

პარაკობენ, ერთმანეთს სკალპებს აცლიან და დელავერებიც ასევე ორად არიან გაყოფილები. მცირე ნაწილი დიდი საბჭოს კერას დასტრიალებენ თავს, საკუთარი მდინარის პირას და მინგოების მხარდამხარ იბრძვიან, უმრავლესობა კი კანადაშია მავებთან ძველი მტრობის გამო. ამგვარად ყველაფერი აირია და ომის წესრიგიც დაირღვა. წითელკანიანს მაინც არ უყვარს პოლიტიკის ყოველი ცვლილებისათვის ფეხის აყოლება! ასე რომ, მოჰიკანსა და მინგოს შორის არსებული სიყვარული ძალიან წააგავს თეთრ კაცსა და გველს შორის არსებულ დამოკიდებულებას.

— მწყინს მაგის მოსმენა, რადგან დარწმუნებული ვიყავი, ჩვენს საზღვრებში მობინადრე ადგილობრივ მცხოვრებლებს იმდენად სამართლიანად და ზნეკეთილ ხალხად მივაჩნდი, რომ ჩვენს დავასაც თავიანთ დავად მიიჩნევდნენ.

— რატომ? — თქვა მზვერავმა, — დარწმუნებული ვარ, ბუნებრივია, საკუთარ დავას მიანიჭებს კაცი უპირატესობას. მე, ჩემი მხრივ, სიმართლე მიყვარს და ამიტომ არ ვიტყვი, მინგო მძულდეს, რადგან ეს იქნებ არც შეეფერებოდეს ჩემს ფერსა და რწმენას, მაგრამ ახლავე უნდა დავძინო, რომ ალბათ ღამის ბრალია, თორემ „ნადირთმულეთის“ ხელიც ერეოდა ჩასაფრებულ ონიედას სიკვდილში.

ამის შემდეგ ჯიუტმა მონადირემ, რომელიც აგრერიგად არც დაგიდევდათ, რა გავლენა მოახდინა მისმა მჭევრმეტყველებამ თანამოკამათის აზრებზე, საუბარი შეწყვიტა. ჰეიუარდი მიწაყრილისაკენ გაემართა. იგი იმდენად შეშფოთებული იყო და იმდენად ნაკლებ იცნობდა უდაბურ ტყეებში ომიანობის საქმეს, რომ ვერაგული თავდასხმის საფრთხის გამო გულმშვიდად ვერ გაჩერდებოდა. მზვერავსა და მოჰიკანებს კი ეს ამბავი დიდად არ აღელვებდათ. იმ მკვეთრმა და დიდხანს ნავარჯიშევმა გრძნობებმა, რომელთა ძალაც ასე ხშირად სცილდება ჩვეულებრივი

გულდაჯერებულობის საზღვრებს, საფრთხის აღმოჩენის შემდეგ შეაძლებინა მათ, მისი სიდიდე და ხანგრძლივობა დაედგინათ. იმ სამში, ჩანდა, ახლა აღარც ერთს ეპარებოდა იოტისოდენა ეჭვი თავიანთ სრულ უშიშროებაში. ამას ადასტურებდა სამზადისი, რომელსაც ისინი მალეც შეუდგნენ მომავალი სამოქმედო გეგმისათვის ბჭობის გასამართავად.

ერებისა და თვით ტომების აღრევა, რომელიც ქორის თვალმა მოიხსენია, იმხანად უმაღლეს წერტილამდე იყო ასული. ენისა და საერთო წარმოშობის მთავარი დამაკავშირებელი ჯაჭვი ბევრგან გაწყდა და მისი ერთ-ერთი შედეგი ის იყო, რომ დელავერი და მინგო (როგორც უწოდებდნენ ექვსი ერის კავშირის ხალხს) ერთ მხარეს იბრძოდნენ, ხოლო უკანასკნელი ჰურონის სკალპს ეძებდა, თუმცა კი დარწმუნებული იყო, რომ მათ საერთო წინაპარი ჰყავდათ. დელავერებიც ასევე იყვნენ გაყოფილნი. თუმცა წინაპართა ძველი მიწის სიყვარული მოჰიკანთა საგამორს და მის თანამოძმეთა მცირე გუნდს ინგლისის მეფის დროშის ქვეშ აკავებდა. მისი ერის გაცილებით დიდი ნაწილი ბრძოლის ველზე მონკალმის მოკავშირედ ითვლებოდა. როგორც ვიცით, დელავერები ან ლენაპები თავს იმ მრავალრიცხოვანი ხალხის მამამთავრებად აცხადებდნენ, რომელიც ოდესღაც ამერიკის აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი შტატების უმეტეს ნაწილს ფლობდა და რომლის უძველესი და პატივცემული წევრი იყო მოჰიკანთა თემი.

რასაკვირველია, მზვერავსა და მის თანამოლაშქრეებს კარგად ჰქონდათ შეგნებული ყველა უმცირესი ინტერესი, რომელმაც მეგობარს მეგობრის წინააღმდეგ აღამართვინა ხელი, ნამდვილი მტრები კი ერთმანეთს ამოუყენა მხარში, და თათბირსაც ამ განწყობილებით შეუდგნენ. დუნკანი იმდენად იცნობდა ინდიელთა ადათებს, რომ მიხვდა, რატომ შეუნთეს კვლავ ცეცხლს და მეომრები, ქორის თვალის გამოუკლებლად, ასე დინჯი და დარ-

ბაისლური იერთ რატომ დასხდნენ აბოლებული კოცონის ირგვლივ. ჰეიუარდი ისე მოთავსდა მიწაყრილის კუთხეში, რომ შეძლებოდა იმის დანახვა, რაც ციხესიმაგრის შიგნით ხდებოდა, თანაც თვალი გარეგან საფრთხეზეც სტეროდა და შეძლებისდაგვარად მოთმინებით დაუწყო ლოდინი ბჭობის შედეგს.

ხანმოკლე დუმლის შემდეგ ჩინგაჩგუკმა რბილი ქვისაგან გამოთლილ ჩიბუხს მოუკიდა. როცა საკმაოდ შეისუნთქა დამამებელი სურნელება, ჩიბუხი მზვერავს გადააწოდა. ჩიბუხმა სამჯერ შემოიარა მდუმარე წრე. მერე საგამორმა, როგორც უხუცესმა და უფრო მაღალი რანგის პირმა, რამდენიმე წყნარი და დარბაისლური სიტყვით დაიწყო მსჯელობა. მას მზვერავმა ჩამოართვა სიტყვა, ჩინგაჩგუკმა კვლავ გასცა პასუხი, როცა ქორის თვალი შეეკამათა. ახალგაზრდა უნკასი კი წყნარად და მოწიწებით უგდებდა ყურს მათ, სანამ ქორის თვალმა თავაზიანობის გულისათვის იმასაც არ ჰკითხა აზრი. ჰეიუარდმა სხვადასხვა მოლაპარაკის ქცევაზე შეატყო, რომ მამა-შვილი სადავო საკითხში ერთ მხარეს იყვნენ, თეთრკანიანი კი მეორე მხარეს იცავდა. კამათი ნელ-ნელა გაცხარდა და სრულიად აშკარა გახდა, რომ მოლაპარაკენი მთელი გულითა და სულით ჩაებნენ სჯა-ბაასში.

მიუხედავად მეგობრული დავის თანდათან გაფიცებისა, ყველაზე დარბაისლური ქრისტიანული შეკრებების მონაწილე პატივცემულ სულიერ მამებსაც კი შეეძლოთ ამ მოკამათეთა თავშეკავებულობისა და თავაზიანობის მიხედვით ზომიერების სასარგებლო გაკვეთილი მიეღოთ. უნკასის სიტყვებსაც ისეთივე გულისყურით უსმენდნენ და ისე შორს იყვნენ სულსწრაფობისგან, რომ არც ერთი კრინტს არ დასძრავდა, სანამ ნათქვამის აზრს არ ჩაუფიქრებოდა.

მოჰიკანები ისეთი მკაფიო და ბუნებრივი ხელის მოძრაობით ლაპარაკობდნენ, რომ ჰეიუარდს მაინცდამაინც არ გასჭირვებია

მათი მსჯელობისთვის გულისყურის მიღევნება. მეორე მხრივ, მზვერავის ნალაპარაკევი მისთვის უფრო ბუნდოვანი იყო, რადგან თეთრკანიანთა ძნელად მოსაშორებელი ამპარტავნობის გამო, იგი ლაპარაკობდა ცივი და შეუფერადებელი კილოთი, რომელიც ინგლის-ამერიკელთა ნებისმიერი ფენის კაცს ახასიათებს, როცა აღელვებული არ არის. ნიშნებით ტყის გზის ხშირი გამოხატვის წყალობით აშკარა იყო, რომ ინდიელები ხმელეთით მგზავრობას ანიჭებდნენ უპირატესობას, ხოლო ქორის თვალის განმეორებული ხელის გაქნევა ჰორიკონისაკენ ადასტურებდა მის რჩევას, ტბით გადასვლა ჯობიაო.

ამ უკანასკნელს ყველაფერზე ეტყობოდა, ფეხქვეშ ნიადაგი სწრაფად ეცლებოდა და ის იყო, საქმე მის საწინააღმდეგოდ უნდა გადაწყვეტილიყო, რომ გზზე წამოიჭრა, ინდიელთა იერი მიიღო და წითელკანიანთა მჭევრმეტყველებისათვის დამახასიათებელი მთელი ხელოვნება გამოიყენა. ხელი აიშვირა, მიუთითა მზის კვალზე და იმდენჯერ გაიმეორა ხელის მოძრაობა, რამდენი დღეც საჭირო იყო მათი მიზნის მისაღწევად. შემდეგ დაასურათა გრძელი და შემალონებელი გზა კლდეებსა და ხეობებს შორის. უგრძნობლად მძინარე მანროს ხნიერება და ქანცმიხდილობა ისე თვალსაჩინოდ დახატა, არ შეიძლებოდა, კაცს გამოჰპარვოდა, რომ ამაზე ლაპარაკობდა. დუნკანი მიხვდა, მასაც შეეხნენ, რადგან მზვერავმა მისკენ გამოიშვირა გაშლილი ხელისგული. მერე გაითამაშა ნავის მჩატე და მოხდენილი მოძრაობის სურათი, რომელიც თვალსაჩინოდ დაუპირისპირა მოღლილი კაცის ლასლასს. საუბარი ონეიდას სკალპზე მითითებით დაასრულა. ჩანდა, სასწრაფოდ გამგზავრების საჭიროებას ამტკიცებდა, თანაც ისე, რომ კვალი არ დაეტოვებინათ.

მოჰიკანები დინჯად უსმენდნენ და სახეზე ეტყობოდათ, რომ მზვერავის ნათქვამი დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა მათზე. ამ ლაპარაკმა ნელ-ნელა გავლენა იქონია და ქორის თვალის სიტ-

ყვას მოწონების შეძახილები მოჰყვა. უნკასმა და მამამისმა ისე ალაღად და მორჩილად დათმეს საკუთარი, ადრე გამოთქმული მოსაზრებები, რომ დიდი და განათლებული ხალხის წარმომადგენელთა თვალში მერყევი მოღვაწის სახელის მოპოვებით უეჭველად გაიფუჭებდნენ პოლიტიკურ კარიერას.

როგორც კი სადავო საკითხი გადაწყდა, კამათი და მასთან დაკავშირებული ყველაფერი, გარდა შედეგისა, თითქოს დავიწყებას მიეცა. ქორის თვალს არც კი მიმოუხედავს ირგვლივ, რომ დამსწრეთა თვალებში თავისი გამარჯვება ამოეკითხა, არხეინად გაიშოტა მინელებული ცეცხლის წინ და ძილს მისცა თავი.

მოჰიკანებმა, რომელთაც აქამდე მთელი დრო სხვების საქმისათვის ზრუნვას შესწირეს, ახლა, როგორც იქნა, მცირე ხნით თავისთვისაც მოიცალეს. ჩინგაჩგუკმა მაშინვე მოიშორა თავიდან ინდიელი ბელადის მკაცრი და სასტიკი იერი და სიყვარულის გამომხატველი ნაზი და საღალღობო კილოთი დაუწყო მუსაიფი შვილს. უნკასიც სიამოვნებით აჰყვა მამას.

სიცილსა და ალერსში გართული მამა-შვილის ლაპარაკის მუსიკალობის ახსნა მათთვის, ვისაც ეს ტკბილხმოვანება არასოდეს სმენია, შეუძლებელია.

მამა სიამოვნებით ადევნებდა თვალს შვილის მოხდენილ და სხარტ მოძრაობას და ყოველთვის ღიმილით პასუხობდა მის გადამდებ, ხმადაბალ სიცილს. სისასტიკის აღარავითარი კვალი აღარ ემჩნეოდა საგამორის სახეს. სიკვდილის გამომსახველი მთელი მისი მოხატულობა და აღჭურვილობა მასხარას ნიღაბს უფრო ჰგავდა, ვიდრე სიშმაგის დამადასტურებელ ნიშნებს.

ერთი საათის ტკბილი ბაასის შემდეგ ჩინგაჩგუკმა განაცხადა, მეძინებო, თავზე მოსასხამი წაიხურა და მიწაზე დაწვა. უნკასმა ნაკვერცხლები ისე შეაგროვა, რომ რაც შეიძლებოდა უკეთ და-

ეთბო მამის ფეხები და დასაძინებელი ადგილი ციხის ნანგრევებს შორის მოძებნა.

ამ გამოცდილ მონადირეთა არხეინი ქცევით გულგამაგრებულმა დუნკანმა მიჰბაძა მათ და შუალამეს ჯერ კიდევ ბევრი აკლდა, რომ დანგრეული ციხესიმაგრის შუაგულში მყოფნიც ღრმა ძილში იყვნენ.

ალბანეთის მიწავ, ნება მიბოძე, მოგაპყრო თვალი შენ, თავ-
ბეხელაღებული ვაჟკაცების ქედმოუხრელო სამშობლოვ.

ბაირონი. „ჩაილდ ჰაროლდი“

ცა ჯერ კიდევ ვარსკვლავებით იყო მოჭედილი, როცა ქორის
თვალმა მძინარენი გამოაღვიდა. ლამის გასათევად სახელდახე-
ლოდ გაკეთებული ქობის შემოსასვლელთან მდგარი მონადირე
დაბალი ხმით ჯერ კიდევ ეძახდა მათ, რომ მანრო და ჰეიუარდი
უკვე ფეხზე იდგნენ. როცა თავშესაფრიდან გამოვიდნენ, მათი
მომლოდინე მზვერავი იქვე ახლოს დახვდათ. მისალმების ნაც-
ვლად გამჭრიახმა ბელადმა მრავლისმეტყველად ანიშნა, სიჩუ-
მე დაიცავითო.

— კრინტი არ დაძრათ, — წაიჩურჩულა მან, როცა ისინი მიუახ-
ლოვდნენ, — თეთრკანიანის ხმა იშვიათად ეხამება ტყეებს, რო-
გორც იმ ბეჩავი კაცის, მგალობლის, მაგალითზე დავინახეთ. წა-
ვიდეთ, — განაგრძო მან და ციხესიმაგრის გალავნისაკენ მიბ-
რუნდა, — მოდით, აქედან თხრილს ჩავყვეთ და ეცადეთ, სიარუ-
ლის დროს ქვებსა და ხის ნაჭრებს დაადგათ ფეხი.

თანამგზავრები დაემორჩილნენ, თუმცა ერთ მათგანს მთელი
ამ საგანგებო სიფრთხილის მიზეზი ჯერ კიდევ ვერ შეეგნო. რო-
ცა ისინი დაბალ თხრილში ჩავიდნენ, რომელიც სამი მხრით უვ-
ლიდა მიწაყრილებით შემობღუდულ ციხესიმაგრეს, გზა თით-
ქმის სრულიად ჩახერგილი დახვდათ ნანგრევებისაგან. მაგრამ
მაინც მოახერხეს მზვერავთან ერთად გაძრომა და ჰორიკონის
ქვიშიან სანაპიროს მიაღწიეს.

— ეს ისეთი კვალია, რომელსაც ცხვირის გარდა სხვა ვერაფე-
რი აღმოაჩენს, — გადახედა გამოვლილ ძნელ გზას მზვერავმა, —

ბალახი მუხთალი ხალიჩაა ლტოლვილი კაცის ფეხისათვის, ხე-სა და ქვაზე კი მოკასინი კვალს არა ტოვებს. თქვენ რომ თქვენი დაჭედილი წაღები გცმოდათ, მაშინ მართლაც ცოტა საშიში იქნებოდა! მაგრამ საგულდაგულოდ გამოყვანილი ირმის ტყავით კაცი თამამად შეიძლება მიენდოს კლდოვან გზას. უფრო ახლოს მოაყენე ნავი, უნკას, თორემ ეს ქვიშა ისევე მკაფიოდ დაიმჩნევს ნაკვალევს, როგორც ჰოლანდიელების კარაქი. ნელა, ყმაწვილო, ნელა! ნაპირს არ შეეხოს, თორემ ის წუწკები მიხვდებიან, რა გზით წავედიოთ.

ახალგაზრდა კაცმა ნავი ფრთხილად მოუახლოვა ნაპირს. მზვერავმა ნანგრევებიდან პირდაპირ ნავზე გადადო ფიცარი და ოფიცრებს ანიშნა, გადადითო. ამის შემდეგ ყველაფერი ისევე ისე აურ-დაურია, როგორც მანამდე იყო. მერე ქორის თვალმა ისე მოახერხა არყის ხის ქერქის პატარა ნავამდე მისვლა, რომ არავითარი ნიშანი აღარ დაუტოვებია. ჰეიუარდს ხმა არ ამოუღია, სანამ ინდიელებმა ნავი ნიჩბების ფრთხილი მოსმით ცოტა არ მოაშორეს ციხესიმაგრეს და აღმოსავლეთით მდებარე მთებიდან ტბის მოსარკულ ზედაპირზე დაცემული ფართო ჩრდილის ბოლში არ შევიდნენ. მაშინ კი იკითხა:

— რა საჭირო იყო ასე ჩუმი და აჩქარებული წამოსვლა?

— ონეიდას სისხლს ამ სუფთა წყლის შეღებვა რომ შესძლებოდა, — მიუგო მზვერავმა, — თქვენი თვალებიც გასცემდა პასუხს მაგ კითხვას. დაგავიწყდათ ის ჩასათრებული ქვემძრომი, უნკასმა რომ მოკლა?

— სულაც არა; მაგრამ ხომ თქვით, მარტო იყო. მკვდრებისა კი რაღად უნდა გვეშინოდეს?

— ჰო, მარტო სჩადიოდა არამზადობას. მაგრამ ისეთი ტომის შვილს, რომელსაც ამდენი მეომარი ჰყავს, განა უნდა ეშინოდეს: ჩემი სისხლი ისე დაიღვრება, რომ მალევე რომელიმე სულთმობრძავ მტერს უკანასკნელი ყვირილი არ აღმოხდესო?!

— მაგრამ ჩვენი აქ ყოფნა... პოლკოვნიკ მანროს გავლენა საკმაოდ დაგვიცავს ჩვენს მოკავშირეთა რისხვისაგან, განსაკუთრებით ასეთ შემთხვევაში, როცა ის ბეჩავი ღირსი იყო თავისი ხვედრისა. ნეტავი, ერთი ნაბიჯითაც არ გადაგეხვიათ ჩვენი სწორი გეზიდან ასე მცირე მიზეზის გულისათვის.

— თქვენ გგონიათ, იმ არამზადის თოფის ლულა განზე გადაიწეოდა, თუნდაც თვით მისი უმაღლესობა მეფე მდგარიყო მის წინაშე? — მიუგო შეუპოვარმა მზვერავმა, — მაშ, რატომ არ დაამარხვინა ჰურონებს ტომაჰაუკები მთავარმა ფრანგმა, კანადის გენერალ-გუბერნატორი რომ არის, თუ თეთრკანიანის ნათქვამს ასეთი დიდი გავლენა აქვს ინდიელზე?

ჰეიუარდს საპასუხო სიტყვა მანროს გმინვამ გააწყვეტინა; მცირე დუმილის შემდეგ კი კვლავ დაუბრუნდა მსჯელობის საგანს.

— მარკიზი მონკალმი მაგ შეცდომისათვის მხოლოდ თავის ღმერთს გასცემს პასუხს, — განაცხადა საზეიმო კილოთი.

— დიახ, ახლა კი საბუთიანად ლაპარაკობთ, რადგან მაგას პატიოსანი რწმენა უდევს საფუძვლად. უზარმაზარი განსხვავებაა ინდიელთა ტომებსა და ტყვეებს შორის თეთრმუნდირიანების რაზმის ჩაყენებასა და გაშმაგებული ველურის „შივლო ჩემო“-თი დარწმუნებას შორის. არა, არა, — თქვა მზვერავმა და უკან გახედა უილიამ-ჰენრის ბუნდოვან ნაპირს, რომელიც სწრაფად შორდებოდათ და თავისი ჩუმი, წრფელი სიცილით გაიცინა.

— წინაც და უკანაც თუ მტრები გვეყოლება, ჩვენი მგზავრობა ძალიან სახიფათო იქნება!

— სახიფათო? — მშვიდად გაიმეორა ქორის თვალმა, — არა, არცთუ ძალიან სახიფათო, რადგან მახვილი ყურითა და გამჭრიახი თვალების წყალობით შეგვიძლია მოვახერხოთ და იმ წუპაკებს რამდენიმე საათით წინ გავუსწროთ. ხოლო თუ თოფისთვის ხელის მოკიდება დაგვიჭრდა, სამმა ჩვენგანმა ისე ჩი-

ნებულად იცის მისი ხმარება, რომ ამ მხარეში არავის ჩამოუვარდებიან. სახიფათო არა, მაგრამ, შესაძლოა, ასე ვთქვათ, ხალისიანი, მკვირცხლი მგზავრობა კი გვექონდეს. ეგებ შეტაკება--წაკინკლავება, ანდა სხვა ამგვარი დროსტარებაც შეგვხვდეს, მაგრამ ყველგან იშოვება კარგი საფარი და ტყვია-წამალიც ბლომადა გვაქვს.

ჰეიუარდის მიერ საფრთხის შეფასების ხარისხი მზვერავის აზრებისაგან განსხვავდებოდა, რადგან პასუხის ნაცვლად იგი ახლა ხმაამოუღებლად იჯდა, ნავს კი უკვე მრავალი მილი გაეფლო. ინათა და ტბის ვიწროებშიც შევიდნენ. სწრაფად და ფრთხილად მიიპარებოდნენ ურიცხვ პაწია კუნძულებს შორის. მონკალმმა თავის ჯართან ერთად ამ გზით დაიხია უკან და მგზავრებმა იცოდნენ, რომ ცოტა ინდიელებს მაინც მოიტოვებდა უკან თავისი ჯარის ზურგის გასამაგრებლად და რაზმებს ჩამორჩენილთა მოსაგროვებლად. ამიტომ სრუტეს ჩუმად და ფრთხილად მიუახლოვდნენ.

ჰეიუარდი ცნობისმოყვარეობით ათვალეფრებდა ყველაფერს. ერთი მხრივ ადგილმდებარეობის სილამაზე სტაცებდა თვალს, მეორე მხრივ კი ავი წინათგრძნობა არ ეშვებოდა, და ის-ის იყო დარწმუნდა, რომ ამ უკანასკნელს ტყუილად ვაწუხებინებდი თავსო, როცა ჩინგაჩგუკის ნიშანზე ნიჩბებმა მოძრაობა შეწყვიტა.

— ჰუჰ! — შესძახა უნკასმაც იმავე დროს, როცა მამამისმა ნავის გვერდზე ხელის მსუბუქი დარტყმით ანიშნა საფრთხის სიახლოვე.

— რა ამბავია? — იკითხა მზვერავმა, — ტბა ისეა მოკრიალებული, თითქოს თავის დღეში ნიაფი არ გაჰკარებოდეს. მის ზედაპირზე რამდენიმე მილზეც კი ვხედავ ყველაფერს და რაღაც ცხოველის წყლიდან ამოყოფილი შავი თავის მეტს ვერას ვამჩნევ!

ინდიელმა მძიმედ ასწია ნიჩაბი და გაიშვირა იქით, საითაც თვითონაც თვალმოუშორებლად იცქირებოდა. დუნკანმაც გააყოლა თვალი მისი ხელის მოძრაობას. რამდენიმე ათეული ნაბიჯით წინ კიდევ ერთი დაბალი, ტყიანი პატარა კუნძული მდებარეობდა, მაგრამ ისე მშვიდი და წყნარი ჩანდა, თითქოს იმას კაცის ფეხი არასოდეს დაჰკარებოდა.

— ხმელეთისა და წყლის გარდა მე ვერას ვხედავ, — თქვა მან, — და საამური სანახავიც არის!

— ჩუმად! — გააწყვეტინა მზვერავმა. — ჰო, საგამორო, შენ უმიზეზოდ არასოდეს არაფერს ჩადიხარ! მარტო ფერი გადაჰკრავს და მაინც არ არის ბუნებრივი. ხედავთ ნისლს, კუნძულის თავზე; ჯანღს ვერც უწოდებთ, რადგან ღრუბლის ზოლს უფრო წააგავს.

— ეგ წყლის ოხშივარია.

— მაგას ბავშვიც კი იტყვის. მაგრამ რაღა უნდა იყოს კვამლის ის მოშავო ქობა, ქვემოთ მხარეს რომ გასდევს და ძირს, თხილნარში იკარგება მისი კვალი? ეგ ცეცხლისაა, ოღონდ ისეთი ცეცხლისა, რომელიც, ჩემი აზრით, უკვე ნელდება.

— მაშ, მოდით, გავეშუროთ იმ ადგილისაკენ და ბოლო მოვუღლოთ ჩვენს ეჭვებს, — უთხრა დუნკანმა, — ხალხი ცოტა უნდა იყოს, რადგან ბევრი ვერც მოთავსდებოდა მიწის ასეთ პატარა ნაგლეჯზე.

— თუ თქვენს წიგნებში ამოკითხული წესების, ანდა თეთრკანიანთა გამჭრიახობის მიხედვით იმსჯელებთ ინდიელთა ხრიკებზე, დაბნევა და იქნებ სიკვდილიც არ აგცდეთ, — მიუგო ქორის თვალმა და თან ადგილს მისთვის ჩვეული გამჭრიახობით სინჯავდა, — თუ ნებას მიბოძებთ ჩემი აზრი მოგახსენოთ ამ საქმეში, ვიტყვი, რომ ჩვენ მხოლოდ ორი არჩევანი მოგვეპოვება: ერთია — უკან უნდა დავბრუნდეთ და თავი დავანებოთ ჰურონების დევნას.

— არასოდეს! — შესძახა ჰეიუარდმა გაცილებით ხმამაღლა, ვიდრე ეს მათ ახლანდელ მდგომარეობას შეესაბამებოდა.

— კეთილი, კეთილი, — ქორის თვალმა სასწრაფოდ ანიშნა, დამშვიდდიო, — თვითონაც სწორედ მაგ აზრისა ვარ, თუმცა ჩემი გამოცდილების მიხედვით საჭიროდ მივიჩნეე ყველაფერი მეთქვა. მაშ, განვაგრძოთ გზა და თუ ინდიელები ან ფრანგები არიან ჩასაფრებულნი ვიწროებში, იმ გადმოკიდებულ მთებს შორის უნდა გავძვრეთ. მართალს არ ვამბობ, საგამორო?

ინდიელმა პასუხად ნიჩაბი წყალში ჩაუშვა და ნავი დაძრა. რადგან ნავის მართვა მასვე ჰქონდა მინდობილი, მისი გადაწყვეტილება ამ მოქმედებამ ცხადი გახადა. ყველამ გულმოდგინედ მოუსვა ნიჩბები და რამდენიმე წამში კიდევ მიაღწიეს ისეთ წერტილს, საიდანაც შეეძლოთ მთლიანად დაენახათ კუნძულის ჩრდილოეთი ნაპირი, აქამდე რომ არ მოჩანდა.

— აი, სად უნდა იყვნენ ყველა ნიშნის მიხედვით! — წაიჩურჩულა მზვერავმა, — ორი ნავი და კვამლი! იმ წუწკებს ჯერ კიდევ ვერ გამოუტანებიათ თვალი ჯანლში, თორემ უკვე გავიგონებდით წყეულ ყიჟინას. აბა, ერთად, მეგობრებო... უკან ვიტოვებთ მათ და მალე უკვე ტყვიაც ვეღარ მოგვწვდება.

თოფის კარგად ნაცნობმა ჭახანმა, სრუტის წყნარ ზედაპირზე ტყვიების ხტუნვამ და კუნძულიდან მოდენილმა ყურთასმენის წამლებმა კვილიმა უცბად გააწყვეტინა სიტყვა და მიახვედრა, რომ ისინი უკვე შეამჩნიეს. თვალის დახამხამებაში რამდენიმე ინდიელი ჩახტა ნავეებში და საჩქაროდ გამოუდგნენ მათ. დუნკანის დაკვირვებით, მომავალი ბრძოლის ამ ნიშნებს ოდნავი ცვლილებაც კი არ გამოუწვევია მისი სამი თანამგზავრის გამომეტყველებასა და მოქმედებაში, მხოლოდ ნიჩბების უფრო შეწყობით მოსმას შეუდგნენ და ნავი ისე გააქროლეს, თითქოს ცოცხალი არსება ყოფილიყო.

— მაგ მანძილზე გეჭიროს ისინი, საგამორო, — უთხრა ქორის თვალმა და აულელვებლად გაიხედა უკან, მხარმარცხნივ, თან ნიჩბის მოსმას განაგრძობდა, — სწორედ ამ მანძილზე გამიჩერე ისინი. მაგ ჰურონებს მთელ თავის ერში არ მოეპოვებათ ისეთი თოფი, ამ სიშორეს მოსწვდეს; მაგრამ „ნადირთმჟლეტს“ კი ისეთი ლულა აქვს, რომ კაცი თამამად ენდობა.

რაკი დარწმუნდა, რომ მართო მოჰიკანებიც მოახერხებდნენ საჭირო მანძილის შენარჩუნებას, მზვერავმა ნიჩაბი ფრთხილად გადადო გვერდზე და საბედისწერო თოფს მოჰკიდა ხელი. სამჯერ მიიღო იგი მხარზე და ის იყო, მისი ამხანაგები გასროლას ელოდნენ, სამჯერვე ძირს დაუშვა და ინდიელებს სთხოვა, ცოტა კიდევ ახლოს მოუშვით მტრებიო. ბოლოს მისი ბეჯითი, გამჭრიახი და ჟინიანი თვალი თითქოს დაკმაყოფილდა და მარცხენა ხელზე გადადებული ლულა ნელ-ნელა მაღლა ასწია ნიშანში ამოსაღებად, რომ ნავის თავში მჯდომი უნკასის შეძახილმა ერთხელ კიდევ დაანებებინა თავი სროლისათვის.

— ახლა რაღა მოხდა, ყმაწვილო? — იკითხა ქორის თვალმა, — მაგ შეძახილით შენ სიკვდილს გადაარჩინე ერთი ჰურონი, გაქვს კი მიზმები ასეთი ქცევისათვის?

უნკასმა მიუთითა ცოტა წინ, კლდიანი ნაპირისაკენ, საიდანაც კიდევ სხვა საბრძოლო ნავი გამოემურა სწორედ გზის გადასაჭრელად. ახლა უკვე მძიმე განსაცდელში ჩაცვივდნენ. მზვერავმა გადადო თოფი და კვლავ ნიჩაბს მიუბრუნდა, ჩინგაჩგუკმა კი ნავის ცხვირი ოდნავ დასავლეთისკენ მიმართა, რათა მანძილი გაედიდებინა მათ ნავსა და ახალ მტრებს შორის. ამასობაში იმათაც გაახსენეს თავი, რომლებიც უკან გაშმაგებული, მხიარული ყიჟინით მოსდევდნენ. შემაფიქრიანებელმა სურათმა მანროც კი გამოარკვია.

— მოდით, გავიდეთ ხმელეთზე, კლდეებში, — ნაცადი მეომრის მტკიცე კილოთი თქვა მან, — და ბრძოლა გავუმართოთ ვე-

ლურებს. ღმერთმა ნუ ქნას, რომ მე, ან ვინმე ჩემიანი კიდევ ოდესმე მიენდოს ლუის რომელიმე ხელქვეითს!

— ვისაც ინდიელთა ომში გამარჯვება სურს, — მიუგო საქმეში გართულმა მშვერავმა, — არ უნდა ითაკილოს აქაურებისაგან სწავლა. უფრო ნაპირის გასწვრივ მიმართე, საგამორო; უკვე თავს ვუვლით იმ წუწკებს და ეგებ ახლა ჩვენი ჯობნა შორ მანძილზე შეჯიბრით სცადონ.

ქორის თვალი არ შემცდარა, რადგან ჰურონებმა როგორც კი დაატყეს, რომ აღებული გემით უკან რჩებოდნენ, გზა გაამრუდეს. მალე ორივე ნავი პარალელურ მდგომარეობაში აღმოჩნდა ერთმანეთისაგან ორასიოდე იარდის დაშორებით. ახლა უკვე მთლიანად სისწრაფეში შეჯიბრად გადაიქცა მათი ბრძოლა. მსუბუქი ნავები ისე გამალებით მიცურავდნენ, რომ ტბა მათი ქიმების წინ თითქოს დუღდა. ალბათ ამის გამო, და იმიტომაც, რომ ყველა ხელი ნიჩბებისათვის სჭირდებოდათ, ჰურონებს მაშინვე არ გამოუყენებიათ თოფები. ლტოლვილებისათვის მეტად მძიმე იყო ძალ-ღონის ასე დაძაბვა და დიდხანს ვერც გაუძლებდნენ. მდევრები მეომართა რიცხვით სჯობდნენ. მშვერავმა მოუსვენრად დაიწყო აქეთ-იქით ცქერა, თითქოს თავის დაღწევის რაიმე ახალ ღონეს ეძებსო.

— მზისაგან ცოტა კიდევ შემოაბრუნე ნავი, საგამორო, — თქვა შეუპოვარმა მონადირემ, — ვხედავ, ეგ არამზადები ერთ კაცს ათავისუფლებენ თოფის სასროლად. ერთმა გადატეხილმა ძვალმა, შესაძლოა, სკალპებიც დაგვაკარგვინოს. კიდევ უფრო შემოაბრუნე მზისაგან და ჩვენ შორის კუნძულს მოვიქცევთ.

ხრიკმა უსარგებლოდ არ ჩაიარა. ცოტა წინ დაბალი კუნძული იყო და რაწამს მდევრის თვალს ბუჩქები ჩამოეფარა, მაშინვე გააორკეცეს გულმოდგინება. ორი ნავი უსწრაფესად გასცდა კუნძულის უკანასკნელ დაბალ წერტილს, ოღონდ ლტოლვილები უფრო წინ იყვნენ.

— არცის ხის ქერქის კარგი ცოდნა გამოგიჩენია, უნკას, ჰურონების ნავეებში ეს რომ ამოარჩიე, — გაიღიმა, ალბათ უფრო მარულაში დაწინაურებით, ვიდრე საბოლოოდ თავის დაღწევის შესაძლებლობით კმაყოფილმა მზვერავმა, — ეს წუწკები მთელ თავიანთ ძალ-ღონეს კვლავ ნიჩბებს ახმარენ და იძულებულნი ვართ, ჩვენი სკალპების გულისათვის ამ ბრტყელი ხის ნაჭრებით ვიბრძოლოთ, ბოლავარდნილი ლულისა და უტყუარი თვალის ნაცვლად! ღრმად და შეწყობით მოვეუსვათ, მეგობრებო!

— სროლას აპირებენ, — შესძახა ჰეიუარდმა, — და რაკი ერთ ხაზზე ვართ, არც აგვაცდენენ.

— მაშ, თქვენ და პოლკოვნიკი ნავის ფსკერზე გაწექით, — უბრძანა მზვერავმა, — და ამით სამიზნეს შევამცირობთ.

ჰეიუარდმა ღიმილით გასცა პასუხი:

— ვერაფერი კარგი მაგალითი იქნება, მაღალი რანგის სამხედრო პირები რომ ჩაიყუჟონ, როცა რიგით მეომრებს ცეცხლისათვის მკერდი მიუშვებიათ!

— ღმერთო, ჩემო! აი, ეს არის თეთრი კაცის სიმამაცე! — შესძახა მზვერავმა, — და მისი ბევრი სხვა თვისების მსგავსად, ესეც უაზროა. თქვენ გგონიათ, საგამორი, უნკასი ან თუნდაც მე, ნამდვილი თეთრკანიანი, დაუფიქრდებოდით ბრძოლაში საფარი მოგვეძებნა, როცა სხეულის აშკარად გამოჩენა საქმეს არაფერს არგებდა? აბა, რისთვის ააგეს ფრანგებმა თავიანთი კვებეკი, თუ ბრძოლა ყოველთვის გაშლილ ველზე უნდა გაიმართოს?

— რასაც ამბობ, სრული ჭეშმარიტებაა, ჩემო მეგობარო, — მიუგო ჰეიუარდმა, — მაგრამ ჩვენი ადათი უფლებას არ გვაძლევს, ისე მოვიქცეთ, როგორც თქვენ გსურთ.

ჰურონებისაგან თოფების ერთბაშად დაცლამ საუბარი გააწყვეტინათ და მათ ირგვლივ ტყვიები რომ აზუმუნდა, დუნკანმა თვალი მოჰკრა ზურგისაკენ თავმობრუნებულ უნკასს, რომელიც მას და მანროს უყურებდა. მიუხედავად მტრის სიახლოვისა და

თვითონ პირადად მისი დიდ საფრთხეში ყოფნისა, ახალგაზრდა მეომარს განცვიფრების გარდა სხვა არანაირი გრძნობა არ გამოუხატავს. ვერ იჯერებდა, რომ არსებობდა ისეთი ხალხი, რომელიც ტყუილად უშვერდა გულს ტყვიას. ჩინგაჩგუკი ალბათ უკეთ იცნობდა თეთრი ადამიანების შეხედულებებს, რადგან ნიჩბებისთვის ერთი წამითაც არ მოუშორებია თვალი. მაღე ტყვიამ გააგდებინა ბელადს მჩატე, კარგად გამოთლილი ნიჩაბი და შორს გასტყორცნა. ჰურონებმა ყიჟინა ატეხეს და კიდევ მოაყოლეს ერთი ბათქი. უნკასმა რკალი შემოხაზა საკუთარი ნიჩბით და ნავი რომ სწრაფად გასრილდა, ჩინგაჩგუკმა კვლავ ხელთ იგდო თავისი ნიჩაბი, მაღლა ჰაერში შეათამაშა, მოჰიკანთა საომარი ყიჟინა დასცა და მერე მთელი თავისი ძალ-ღონით კვლავ ნავის მართვას მიუბრუნდა.

უკან, ნავებიდან უცბად მოისმა ხმამაღალი ყვირილი: „დიდი გველი“, „გრძელი თოფი“, „ფეხმალი ირემი“ და ამან თითქოს კიდევ უფრო გააფიცხა მღვერები. მზვერავმა მარცხენა ხელით აიტაცა „ნადირთმჟლეტი“, მაღლა ასწია და გამარჯვებულის იერით მუქარით დაუქნია მტრებს. ველურებმა შეურაცხყოფას კივილით უპასუხეს და ბათქიც მოადევნეს. ტყვიებს წკაპაწკაპი გაუდიოდა ტბაზე და ერთმა მათგანმა პატარა ნავის ქერქიც კი გახვრიტა. ამ საბედისწერო წამებში მოჰიკანებს ემოცია არც კი დასტყობიათ, მათი უძრავი სახის ნაკვეთები არც იმედს გამოხატავდა, არც შეშფოთებას; მზვერავმა მიაბრუნა თავი და თავისებური ჩუმი სიცილით უთხრა ჰეიუარდს:

— წუწკებს უყვართ თავიანთი თოფების ხმის ყურისგდება; მაგრამ მინგოებში არ მოიპოვება ისეთი თვალი, მოქანავე ნავში უტყუარი მიზნის ვარაუდი რომ დაიჭიროს! ხედავთ, იმ ბრიყვებმა ერთი კაცი გაათავისუფლეს თოფების გამტენად და, არაბუსტი გამონგარნიშებითაც კი, ახლა მათი ორი ფუტის გავლაში ჩვენ სამს გავდივართ.

დუნკანს, რომელიც არც ისე არხეინად გრძნობდა თავს მანძილთა ასეთი შეფარდებით, როგორც მისი ამხანაგები, მაინც გაუხარდა, რომ თავიანთი სიმარჯვისა და მტრების დაბნეულობის წყალობით საგრძნობლად დაწინაურდნენ. ჰურონებმა მალე კიდევ დაცალეს თოფები. ერთი ტყვია ქორის თვალის ნიჩბის პირს მოხვდა, ოღონდ არ დაუზიანებია.

— კეთილი,— თქვა მზვერავმა და თან ცნობისმოყვარე თვალთ გასინჯა ოდნავ ჩაკბილული ნატყვიარი, — ეს ბაღლსაც ვერ გაუკაწრავდა კანს, ჩვენისთანა გამობრძმედილ ხალხს ხომ სულ ვერაფერს დააკლებს. აბა, მაიორო, თქვენ თუ ამ გათლილ ხის ნაჭერს იხმართ, მე „ნადირთმჟღეტს“ ჩავრევ ამ მუსაიფში.

ჰეიუარდმა ნიჩაბს ხელი სტაცა და საქმეს ისეთი გულმოდგინებით შეუდგა, რომელიც სიმარჯვისა და გამოცდილების ნაკლებობას უნაზღაურებდა; ქორის თვალმა კი ფაღია გასინჯა, მერე სწრაფად ამოიღო მიზანში და ესროლა. მოწინავე ნავის თავში ასეთივე განზრახვით წამომდგარი ჰურონი უკან მიაწყდა, თოფი ხელიდან გაუსხლტა და წყალში ჩავარდა. იმავე დროს მისმა ამხანაგებმა შეწყვიტეს ნიჩბების მოსმა, მდევართა ნავეებმა ერთად მოიყარეს თავი და შედგნენ. ჩინგაჩგუკმა და უნკასმა ეს შესვენება სულის მოსათქმელად გამოიყენეს, თუმცა დუნკანი კვლავ თავგამოდებით განაგრძობდა შრომას. მამა-შვილმა ერთმანეთს მხოლოდ ახლა შეავლო ცნობისმოყვარე თვალი, რომელიმეს ხომ არაფერი ავნო სროლამო; რადგან ორივემ ჩინებულად იცოდა, რომ ამისთანა მძიმე გასაჭირშიც კი არც ერთი კვნესა ან შეძახილი არ წამოსცდებოდათ, თუნდაც რამე დამართოდათ. სისხლის რამდენიმე მსხვილი წვეთი მოგორავდა საგამორის ბეჭზე, რომელმაც როცა შენიშნა, რომ უნკასმა თვალი დააშტერა, მუჭით ამოიღო ცოტა წყალი, მოიბანა ლაქა და ამგვარად აცნობა, არაფერი დამშავებიაო.

– ნელა, ნელა, მაიორო, – უთხრა მზვერავმა, რომელმაც ამა-სობაში კვლავ გატენა თოფი, – ჩვენ უკვე იმ სიშორეს ვართ, რომ თოფი ველარც გამოამუღავნებს თავის მშვენიერ თვისებებს. ხომ ხედავთ, ის ჭინკები თათბირობენ. დაე, სათოფე მანძილზე მოგვიახლოვდნენ. ამისთანა საქმეში ჩემი თვალი არ მოტყუვდება. ისე ვატრევ მთელი ჰორიკონის სიგრძეზე, რომ თავს დავდებ, თუ მათი ტყვია, ბევრი-ბევრი, კანს გაუკაწრავს ვინმეს, „ნადირთმუღეტი“ სამში ორს მაინც გამოასალმებს სიცოცხლეს.

– ჩვენი საქმე გვავიწყდება, – შეახსენა დუნკანმა, – ღვთის გულისთვის, ვისარგებლოთ ამ წარმატებით და უფრო მოვშორდეთ მტრებს.

– დამიბრუნეთ ჩემი შვილები, – ხრინწიანი ხმით ამოიგმინა მანრომ, – ნულარ ეთამაშებით მამის მწუხარებას, დამიბრუნეთ ბავშვები!

უფროსების განკარგულებებისადმი ჩვეული პატივისცემით მოპყრობამ მორჩილება ასწავლა მზვერავს. შორეულ ნავეს უკანასკნელად გახედა, ძლივს მოსწყვიტა თვალი, გადადო თოფი, დაქანცულ დუნკანს ნიჩაბი გამოართვა და მოუსვა თავისი ძარღვიანი ხელით, რომელსაც დაღლა თითქოს არასოდეს ეკარებოდა. მას მხარი აუბეს მოჰიკანებმაც და რამდენიმე წუთში წყლიდან მომხდურ მტერს იმდენად დაშორდნენ, რომ ჰეიუარდმა შვებით ამოისუნთქა.

ტბა ახლა გაფართოვდა. იმის ნაცვლად, რომ დასავლეთ ნაპირს გაჰყოლოდნენ, საითაც მათ გზა ედოთ, ფრთხილმა მოჰიკანმა გეზი უფრო იმ მთებისაკენ აიღო, რომელთა უკანაც მონკალმმა, როგორც ცნობილი იყო, თავისი ჯარი გაიყვანა ციხესიმაგრე ტიკონდეროგაში. რაკი ჰურონებმა, ეტყობოდა, თავი დაანებეს დევნას, გადაჭარბებული სიფრთხილე საჭირო აღარ იყო. მაგრამ რამდენიმე საათის განმავლობაში ამ გეზისათვის

არ გადაუხვევიათ, სანამ ტყის ჩრდილოეთის დაბოლოების ახლოს ერთ ყურეს არ მიაღწიეს. აქ ნავი რიყებზე გამოათრიეს და ყველანი ხმელეთზე გადმოსხდნენ. ქორის თვალი და ჰეიუარდი ახლოს, ფლატიან ნაპირზე ავიდნენ, საიდანაც მზვერავმა ქვემოთ გადაშლილი წყლის სივრცის გულმოდგინე დათვალიერების შემდეგ დუნკანს პატარა შავ საგანზე მიუთითა, კონცხის ახლოს რომ ფარფატებდა, მრავალი მილის დაშორებით.

— ხედავთ იმას? — ჰკითხა მზვერავმა. — აბა, რად მიიჩნევდით მაგ წერტილს, ამ უდაბურ ადგილებში მართო რომ ყოფილიყავით თქვენი, თეთრკანიანთა, ცოდნის ამარა?

— მანძილი და სიდიდე რომ არა, ჩიტი მეგონებოდა.

— ეგ არყის ხის ქერქის ნავი გახლავთ და მენიხბეებად მძვინვარე, ცბიერი მინგოები სხედან შიგ. თუმცა ტყიან ადგილებში მცხოვრებლები ისეთი თვალებით არიან დაჯილდოებულნი, როგორც არ დასჭირდებათ დაბა-ქალაქების მობინადრეებს, რადგან მხედველობას ხელსაწყოებით იუმჯობესებენ, მაინც ვერანაირი ადამიანური გრძნობა ვერ დაინახავს ყველა იმ საფრთხეს, ჩვენ ამჟამად რომ დაგვეტრიალებს თავს. ეს არამზადები თავს ისე გვაჩვენებენ, ვითომ სამხრის ჭამაში იყვნენ გართულნი, მაგრამ როგორც კი ჩამოხნელდება, მეძებარი ძაღლებივით ჩაგვიდგებიან კვალში. გზა-კვალი უნდა ავუბნოთ, ანდა ცბიერი მელას დევნაზე უნდა ავიღოთ ხელი.

— სულაც არ მომწონს ის კვამლი, კლდებზე რომ მიცოცავს ნავის თავზე, — განაგრძო ფიქრებში გართულმა მზვერავმა, — თავს დავდებ, თუ ჩვენ გარდა სხვებიც არ ხედავდნენ და არ ხვდებოდნენ მის აზრს. აბა, ლაპარაკი რას უშველის, დროა საქმეს მივხედოთ!

ქორის თვალმა დაზვერვას თავი დაანება და ღრმად ჩაფიქრებული სანაპიროზე ჩავიდა. თავის დაკვირვების შედეგები დელავერთა ენაზე ამხანაგებს გააცნო და მოკლე, გულმოდგინე

თათბირი გაიმართა. როცა იგი დაასრულეს, სამივენი მაშინვე თავიანთი ახალი გადაწყვეტილებების განხორციელებას შეუდგნენ.

ნავი მხრებზე შეიძეს და ტყეში შევიდნენ, თან რაც შეიძლება განიერ და მკაფიო კვალს ტოვებდნენ. მალე მიაღწიეს წყლის კალაპოტს, გადალახეს და განაგრძეს გზა, სანამ ვრცელ და მოშიშვლებულ კლდეს არ მიადგნენ. ამ ადგილიდან, სადაც მათი ნაფეხურები, სავარაუდო იყო, რომ აღარ დაეტყობოდა, კვლავ პატარა მდინარისაკენ დაბრუნდნენ, ოღონდ ძალიან ფრთხილად. ახლა წყლის კალაპოტს დაჰყვნენ ტბამდე, რომელშიც მაშინვე ისევ ჩაუშვეს ნავი. ამ ადგილზე ტბის სანაპიროს ბუჩქნარი ფარავდა და ამ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობების საფარქვეშ, მოთმინებითა და გულმოდგინებით მიიკვლევდნენ გზას, სანამ მზვერავმა არ განაცხადა, მე მგონი, კარგი იქნება, თუ ხმელეთზე ერთხელ კიდევ გადავსხდებითო.

იქ მანამდე დაიცადეს, სანამ მწუხრმა მიდამო და საგნები ბინდბუნდში არ გაახვია. მაშინ კი ისევ დაადგნენ თავიანთ გზას და სიბნელის წყალობით ჩუმად და მტკიცედ მიაშურეს დასავლეთის ნაპირს. მთის დაკბილულ სანაპიროზე, საითაც ისინი მიემართებოდნენ, დუნკანის თვალი გარკვევით ვერაფერს არჩევდა, მაგრამ მოჰიკანი გამოცდილი მესაჭის გულდაჯერებით შევიდა საკუთარი გუმანით არჩეულ პატარა ნავსაყუდელში.

ნავი ტყეში შეიტანეს და გულმოდგინედ დამალეს ტოტების ქვეშ. მერე მოლაშქრეებმა იარაღი და აბგები აიღეს. მზვერავმა მანროსა და ჰეიუარდს განუცხადა, მე და ინდიელები მზად ვართ, გზა განვაგრძოთო.

თუ იქ კაცი მოხვდა, რწყილივით დაიღუპება.

შექსპირი . „უინძორელი მხიარული ქალები“

მგზავრები იმ მხარის საზღვარზე გადასხდნენ, რომელიც დღესაც კი ისევე ნაკლებად არის ცნობილი შეერთებული შტატების მაცხოვრებლებისათვის, როგორც არაბეთის უდაბნოები, ანდა თათართა ტრამალები. ეს იყო უნაყოფო, ოღროხოლო, მკაცრი კუთხე, რომელიც შამპლეინის შენაკადებს ჰადსონის, მოჰაუკის და წმინდა ლავრენტის შენაკადებისაგან ჰყოფს. ჩვენ მიერ აღწერილი ამბების შემდეგ მის გარშემო მდიდარი დაბები გაშენდა, თუმცა მონადირისა და ველურის მეტს აქამდეც კი არავის შეუღწევია მის მკაცრსა და უდაბურ ადგილებში.

რაკი ქორის თვალსა და მოჰიკანებს ხშირად გადაელახათ ამ უდაბნოს მთები და ხეობები, ისინი უყოყმანოდ შეიჭრნენ მის ჯურღმულებში. მგზავრები დიდხანს მიიწევდნენ წინ გაჭირვებით. გზას ხან ვარსკვლავების შუქზე მიიკვლევდნენ, ხან რომელიმე წყლის კალაპოტს მისდევდნენ, სანამ მგვერავმა არ გამოაცხადა შესვენება. ინდიელებთან მცირე მოთათბირების შემდეგ ცეცხლი დაანთეს და ღამის გასათევად მოემზადნენ.

მანრომ და დუნკანმა მიბაძეს გამოცდილი ამხანაგების მაგალითს და მათზე დანდობილებმა, თუ შეუწუხებლად არა, უშიშრად მაინც დაიძინეს. ნამი უკვე აორთქლებულიყო, მგესაც გაეფანტა ჯანღი და მძლავრ, კაშკაშა შუქს აფრქვევდა ტყის სიღრმეში, როცა მგზავრები კვლავ დაიძრნენ.

რამდენიმე მილის შემდეგ ქორის თვალმა, რომლის ბელადობითაც მიდიოდნენ, უფრო დინჯი და ფრთხილი ნაბიჯით განაგრძო სვლა. იგი ხშირად ჩერდებოდა ხეების გასასინჯად და

ნაკადულსაც კი ისე არ გადავიდოდა, გულმოდგინედ რომ არ შეემოწმებინა წყლის სიღრმე, სისწრაფე და ფერი. ხანდახან ჩინგაჩგუკსაც ეკითხებოდა რჩევას. ერთ-ერთი თათბირის დროს ჰეიუარდმა შენიშნა, რომ უნკასი წყნარად და მოთმინებით იდგა, ოღონდ, ეტყობოდა ცნობისმოყვარეობით უსმენდა უფროსებს. დუნკანს ძალიან უნდოდა მიემართა ახალგაზრდა ბელადისათვის და მისი აზრი გაეგო მათი მომავალი მგზავრობის თაობაზე, მაგრამ ინდიელის მშვიდმა და ღირსეულმა ქცევამ მიახვედრა, რომ ისიც მთლიანად უფროსი თანამოლაშქრეების გამჭრიახობაზე იყო მიხედობილი. ბოლოს მზვერავმა ინგლისურად დაიწყო ლაპარაკი და მაშინვე გამომჟღავნდა მათი შემათიქრიანებელი გარემოება.

— როცა აღმოვაჩინე, რომ ჰურონების გზა ჩრდილოეთისაკენ მოემართებოდა, — თქვა მან, — დიდი გამოცდილება აღარ იყო საჭირო, დაგვესკვნა, რომ ისინი ხეობებს გამოჰყვებოდნენ და ჰადსონსა და ჰორიკონს შორის დაიჭერდნენ გემს, სანამ კანადის წყლებს არ მიაღწევდნენ, რომლებიც პირდაპირ ფრანგების ქვეყნის შუაგულში ჩაიყვანდა მათ. ჩვენ კი, აი, უკვე სკარუნის მიდამოებში ვართ და ნაკვალევის ნიშანწყალიც არ შეგვხვედრია. ადამიანის ბუნება სუსტია და იქნებ სწორედ ვერც ავუღეთ კვალს ალღო.

— ღმერთმა დაგვიფაროს მაგისტანა შეცდომისაგან! — შესძახა დუნკანმა, — მოდით, ისევ უკან გავყვეთ ჩვენს კვალს და უფრო გულმოდგინედ ვათვალიეროთ. უნკასს ხომ არაფერი აქვს სათქმელი ამ გასაჭირში?

ახალგაზრდა მოჰიკანმა სწრაფად გადახედა მამას, მაგრამ მყის დაიბრუნა თავის დინჯი გამომეტყველება და კრინტი არ დაუძრავს. ჩინგაჩგუკმა შეამჩნია მისი თვალის მოძრაობა, ხელი დაუქნია და ნება დართო, თქვიო. როგორც კი ეს ნებართვა მიიღო, უნკასის სერიოზულ, მკაცრ სახეს მაშინვე გადაურბინა

საზრიანობისა და სიხარულის შუქმა. ირემივით მოსწყდა ადგილს, აიჭრა პატარა ფერდობზე, ორიოდ ათეული ნაბიჯით წინ, და ახალ ნაყარ მიწაზე შედგა, რომელიც ისე გამოიყურებოდა, თითქოს ახლახან აჩიქნულა რაიმე მძიმე ცხოველის გავლით. ყველამ თვალი გააყოლა ამ ანაზღეულ მოძრაობას და ჭაბუკის მოზვიმე იერში თავიანთი გამარჯვების ამბავი ამოიკითხეს.

— ეს ხომ კვალია! — შესძახა მზვერავმა და მიაშურა იმ ადგილს, — ამ ბიჭს თავის წლოვანებასთან შედარებით სწრაფი თვალი და გამჭრიახი ჭკუა აქვს.

— საოცარია, რომ ამდენ ხანს შეიკავა თავი და არ გვითხრა, — წაიბუტბუტა დუნკანმა მის გვერდით.

— უფრო საოცარი ის იქნებოდა, ნებადაურთველად რომ ამოეღო ხმა! არა, არა, მარტო თეთრკანიანმა ახალგაზრდა კაცმა, რომელიც წიგნებიდან სწავლობს და თავის ცოდნას ფურცლებით ზომავს, შეიძლება წარმოიდგინოს, რომ მისი ცოდნაც, მისივე ფეხებივით წინ უსწრებს მამამისისას. მაგრამ სადაც მასწავლებელი გამოცდილებაა, მოწაფე ხვდება წლების ფასს და შესაფერისადაც სცემს პატივს.

— შეხედეთ! — თქვა უნკასმა და ჩრდილოეთისა და სამხრეთისაკენ მიუთითა, ორივე მხარეს დამჩნეული განიერი კვალის ამკარა ნიშნებზე, — შავთმიანი ყინვისაკენ წასულა.

— მეძებარსაც კი არასოდეს აუღია ასე კარგად ნაკვალევის სუნი, — მიუგო მზვერავმა და მყის დაადგა ნაჩვენებ გემს, — ბედი გვწყალობს, ბედი და, ცხვირაბზეკილებმაც კი შეგვიძლია კვალში მივდიოთ. აი, ბაჯბაჯა პირუტყვებიც აქ ყოფილან — ეს ჰურონი სწორედ თეთრი გენერალივით მგზავრობს! მაგ წუწკისათვის ცოდვას უწევია და გაგიჟებულა! კარგად დაუკვირდი ბორბლების კვალს, საგამორო, — განაგრძო მან, თან კვლავ იმედმოცემული უკან იხედებოდა კმაყოფილი სიცილით, — ის ბრიყვი მალე

ეტლშიც გამოიჭიმება! მერედა, ამ საზღვარზე სამი წყვილი საუკეთესო თვალი მაინც არ მისდევდეს უკან!

მზვერავის ხალისიანობამ და დევნის განსაცვიფრებელმა წარმატებამ ყველას იმედი აღუძრა. ისინი სწრაფად მიეშურებოდნენ წინ. თუ კლდე, პატარა მდინარე ანდა ჩვეულებრივზე უფრო მაგარი ნიადაგის ნაკვეთი გაწყვეტდა ნაკვალევის ჯაჭვს, მზვერავის უტყუარი თვალი შორიდანვე ამჩნევდა ამას. მათი წინსვლა გააიოლა იმაში დარწმუნებამ, რომ მაგუას აუცილებლად მიეჩნია ხეობების გაყოფებით მოგზაურობა; ეს გარემოება კი საერთო მიმართულების გეზს ამართლებდა. ხშირი იყო ცრუ ნაკვალევი და ნაუცბათევი გადახვევები, როცა კი პატარა მდინარე ანდა ნიადაგის მოყვანილობა ამას ხელს უწყობდა. მაგრამ მდევარი არ მოტყუვდა: ყოველთვის მანამდე აღმოაჩენდნენ შეცდომას, სანამ ცრუ კვალზე დროს დაკარგავდნენ.

ნაშუადღევს სკარუნი გადალახეს. ერთი ქედიდან დაბლობში რომ ჩაეშვნენ, რომელშიც სწრაფი მდინარე მიედინებოდა, უცებ იმ ადგილს წააწყდნენ, სადაც ცბიერი მელა და მისი გუნდი შეჩერებულიყო. წყაროსთან ჩამქრალი მუგუზლები ეყარა, ირმის ხორცის ნარჩენები აქეთ-იქით იყო მიმოფანტული და ხეებს აშკარად ეტყობოდა, რომ ცხენებს დიდხანს გულმოდგინედ ეწიწვნათ ისინი. ცოტა მოშორებით ჰეიუარდმა პატარა ფანჩატური აღმოაჩინა, რომლის ქვეშაც, გული ეუბნებოდა, რომ კორამ და ალისამ მოისვენეს. მაგრამ ამ ადგილის გარშემო მიწაზე ნავალი იყო და ადამიანებისა და პირუტყვების ნაფეხურები მკაფიოდ ეტყობოდა, მაგრამ კვალი უცბად გაქრა.

ადვილი იყო ცხენების ნაკვალევის მიყოლა, მაგრამ ემჩნეოდა, რომ უპატრონოდ დახეტიალობდნენ და მართლ საკვების ძებნაში თუ იყვნენ გართულნი. ბოლოს უნკასი, რომელმაც მამამისთან ერთად სცადა ოთხფეხების კვალში ჩადგომა, მათ ახალ ნაფეხურებს წააწყდა. სანამ კვალის მიყოლას გააგრძე-

ლებდა, თავისი წარმატების ამბავი ამხანაგებს აცნობა და ვიდრე ისინი ამ საგანზე თათბირობდნენ, ჭაბუკი კვლავ გამოჩნდა — ორივე ფაშატი მოჰყავდა, რომელთაც უნაგირები დამსხვრეოდათ და ჩულები მიწით გასვროდათ, ეტყობოდათ, რამდენიმე დღეს თავიანთ ნებაზე ერბინათ.

— ეს რას უნდა ნიშნავდეს? — გაფითრდა დუნკანი და ირგვლივ მოავლო თვალი, თითქოს შიშობს, ბუჩქნარმა და ფოთლებმა რაიმე შემადრწუნებელი საიდუმლო არ გამოამჟღავნონო.

— იმას, რომ ჩვენი მგზავრობა უკვე დასასრულს უახლოვდება და მტრის ქვეყანაში ვართ, — მიუგო მზვერავმა, — ამ არამზადას რომ მდევარი ჰყოლოდა და ნაბ ქალიშვილებს უცხენოდ არ შესძლებოდათ სიარული, შეიძლება მათთვის სკალპები აეცალა. მაგრამ რაკი მტერი არ ეგულეოდა ზურგს უკან და თანაც ამისთანა ამტანი პირუტყვები ჰყავდა, მათ ბუმსაც არ აუფრენდა. ვიცო, რასაც ფიქრობთ და სირცხვილი თქვენი ფერის ხალხს, რომ მაგ ფიქრებისათვის მიზეზი მოგეპოვებათ. მაგრამ ვისაც ჰგონია, რომ თუნდაც მინგო ავად მოეპყრობა დიაცს, გარდა მისთვის ტომაჰაუკით თავის გახეთქვისა, არც ინდიელის ბუნებისა სცოდნია რაიმე და არც ტყის ადათებისა. მე გავიგე, ფრანგების ინდიელები ჩამოვიდნენ ამ მთებში ცხენირმებზე სანადიროდ და ჩვენ მათი ბანაკის ახლომახლო მიდამოებში შევდივართ. და რატომ არ უნდა იყვნენ აქ ისინი? ამ მთებში ვაცმა დილის და საღამოს ზარბაზნის ხმა ყოველდღე შეიძლება გაიგონოს ტიკონდეროგადან, რადგან ფრანგებს ახალი სიმაგრეების ხაზი გაჰყავთ მეფის სამფლობელოებსა და კანადას შორის. მართალია, ცხენები აქ გვყავს, მაგრამ ჰურონები წასულნი არიან. მაშ, მოვძებნოთ კვალი, რომლითაც ისინი წავიდნენ.

ქორის თვალი და მოჰიკანები ახლა დიდი გულმოდგინებით შეუდგნენ საქმეს. რამდენიმე ასეული ნაბიჯის მანძილი შემოხა-

ზეს და ყველას თავისი ნაკვეთი მიუჩინეს. მაგრამ დათვალე რე-
ბამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. ნაფეხურები ბევრი იყო,
ოღონდ ყველა ისეთი ადამიანებისას წააგავდა, რომელნიც
დაეხეტებოდნენ, მაგრამ სადმე წასვლა კი ფიქრად არ მოს-
დიოდათ.

— ამ ხრიკში უთუოდ ჯადოსნობა ურევია! — შესძახა ქორის
თვალმა, როცა ინდიელების იმედგაცრუებულ გამომეტყველე-
ბას ჰკიდა თვალი, — წყაროდან უნდა დავიწყოთ, საგამორო, და
სულ გოჯა-გოჯად გადავქექოთ მიწა. ჰურონმა ვერ უნდა დაიტ-
რაბახოს თავის ტომში, ისეთი ფეხი მაქვს, კვალს არ ტოვებსო.

მზვერავი გულმოდგინედ შეუდგა ძიებას. არც ერთი ფოთო-
ლი, ჯოხი თუ ქვა არ დარჩენიათ გადაუბრუნებელი, რადგან
ცნობილი იყო, რომ ხრიკიანი ინდიელები მათ ხშირად იყენებ-
დნენ კვალის დასაფარავად. მაინც ვერაფერი აღმოაჩინეს. ბო-
ლოს უნკასმა, რომელიც სიმკვირცხლის წყალობით სხვებზე ად-
რე მორჩა თავის საქმეს, მიწით გადაღობა მღვრიე რუ, წყარო-
დან რომ გამოდიოდა და სხვა მხარეს მიუშვა. როგორც კი ჯე-
ბირს ქვემოთ ვიწრო კალაპოტში წყალი დაიწრიტა, იგი დაიხარა
და დააკვირდა. გამარჯვების ძახილმა მყის გააგებინა ყველას,
რომ ახალგაზრდა მეომარმა კვალი აღმოაჩინა. მთელი გუნდი
იმ ადგილას შეჯგუფდა, სადაც უნკასი უთითებდათ სქელ და ნო-
ტიო ქვიშის ფენაზე დაჩნულ მოკასინის ანაბეჭდზე.

— ეს ბიჭი თავისი ხალხის სიამაყე იქნება! — შესძახა ქორის
თვალმა და ისეთი აღტაცებით დაუწყო სინჯვა ნაკვალევს, რო-
გორითაც რომელიმე ბუნებისმეტყველი დააკვირდებოდა მა-
მონტის ეშვს, — ჰოდა, ეკლადაც დაესობა გულზე ჰურონებს. მაგ-
რამ ეს მაინც არ არის ინდიელის ნაფეხური! სიმძიმის დაწოლა
ქუსლზე ეტყობა, თითქოს რომელიმე ფრანგ მოცეკვავეს მისი
ტომისათვის ცეკვა ესწავლებინოს! უკან დაბრუნდი, უნკას, და

მგალობლის ფეხის ზომა მომირბენინე. მის მშვენიერ ანაბეჭდს სწორედ იმ კლდესთან შეხვდები, მთის ფერდობზე.

სანამ ჭაბუკი დავალებას შეასრულებდა, მზვერავი და ჩინგაჩგუკი ნაფეხურებს ათვალეირებდნენ. ზომები ერთმანეთს დაემთხვა და ქორის თვალმა გამოაცხადა, დავითის კვალია — წაღები ერთხელ კიდევ გამოუცვლევინებიათ მოკასინებზეო.

— ახლა ისე მკაფიოდ შემიძლია წარმოვიდგინო ყველაფერი, თითქოს თავად მეყურებინოს ცბიერი მელას ხრიკებისათვის, — დასძინა მან, — რადგან მგალობლის ნიჭი უმთავრესად მის ყანყრატოსა და ფეხებში დევს, ის წინ გაიძლოლეს, და დანარჩენები კი მის ნაფეხურებში ადგამდნენ ფეხს.

— მაგრამ, — შესძახა დუნკანმა, — მე ვერ ვხედავ...

— ქალების ნაფეხურებს, — ჩამოართვა სიტყვა მზვერავმა, — იმ არამზადამ როგორღაც მოახერხა ეტარებინა ისინი, ვიდრე გულს არ დააჯერებდა, რომ ახლა კი ყველა მდევარს გზა-კვალი დავუბნიეო. თავს დავდებ, თუ ბევრი ათეული ნაბიჯის გავლა დაგვჭირდეს მათი პაწია, კობტა ფეხების კვალის სანახავად.

ახლა რუს მიჰყვნენ, თან თვალს არ აშორებდნენ უწყვეტ ნაკვალევს. წყალი მალე კვლავ დაუბრუნდა თავის ძველ კალაპოტს, მაგრამ მზვერავი ორივე მხარეს უკვირდებოდა მიწას და იცოდა, რომ კვალი ისევ მის ფსკერს მისდევდა. ნახევარ მიღზე მეტი გაიარეს. მერე კი შედგნენ, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ ჰურონებს ჯერ კიდევ არ დაეტოვებინათ წყალი.

ბედმა გაუღიმათ, რადგან მკვირცხლმა უნკასმა მალე იპოვა ნაფეხური ხავსის პატარა ნაგლეჯზე, რომელზეც, ეტყობოდა, ინდიელს დაუდევრობით დაებიჯებინა ფეხი. მან აღმონაჩენის მიმართულების მიხედვით დაიჭირა გეზი, რომელიც იქვე ბუჩქნარში შეუძღვა და კიდევ წააწყდა სწორედ ისეთივე ახალთახალსა და მკაფიო ნაკვალევს, როგორიც წყარომდე მოდიოდა. კიდევ

ერთმა შეძახილმა აუწყა დანარჩენებს, რომ ჭაბუკს ბედმა გაულიმა და მაშინათვე ძიებაც შეწყდა.

— სწორედ ინდიელთა საზრიანობითაა მოწყობილი, — თქვა მზვერავმა, როცა ყველანი შეიკრიბნენ იმ ადგილის გარშემო, — და თეთრკანიანის თვალებს კიდევ დააბრმავებდნენ.

— განვაგრძოთ გზა? — იკითხა ჰეიუარდმა.

— წყნარად, წყნარად; ჩვენ ვიცით ჩვენი გზა, მაგრამ კარგი იქნება, საქმის გარემოებანიც ავწონ-დავწონოთ. ესაა ჩემი სწავლა-განათლება, მაიორო, და თუ კაცი წიგნს ყურადღებას არ მიაქცევს, განგების გაშლილი ხელიდან ბევრს ნურაფერს გამოეღის. ყველაფერი ნათელია ერთის გარდა: რანაირად მოახერხა იმ წუწკმა ნაბი ქმნილებების გადაყვანა უკვალოდ. თვით ჰურონიც კი არ იკადრებდა, რომ მათი ნატიფი ფეხები წყალს დაჰკარებოდა.

— ეს ხომ არ დაგვეხმარება საიდუმლოების გამოცნობაში? — საკაცის მაგვარ ნაშთზე მიუთითა ჰეიუარდმა, რომელიც სახელდახელოდ შეეკრათ ტირიფის წნელებით, შემდეგ კი, როგორც უკვე გამოუსადეგარი, დაუდევრად მოესროლათ.

— ყველაფერი ცხადია! — შესძახა გახარებულმა ქორის თვალმა, — იმ არამზადებმა ერთი წუთის გზას საათობით წვალე-ბა მოანდომეს, რომ კვალი დაეფარათ. მომაწოდე ირმის ტყავის თასმა, უნკას, ერთი ამ ფეხის ზომა ავიღო. ღმერთმანი, ბავშვისაზე უფრო გრძელი არ არის, ქალიშვილები კი მაღლები და ტანადები არიან!

— ჩემი გოგონების ნაბი ფეხები ასეთ გასაჭირს ვერ გაუძლებენ! — თქვა მანრომ, რომელიც თავისი შვილების მსუბუქ ნაფეხურებს სიყვარულით დაჰყურებდა, — ალბათ მათ გასავათებულ სხეულებსღა ვიპოვით.

— მაგ შიშისათვის მიზეზი ნაკლებად ჩანს, — დინჯად გააქნია თავი მზვერავმა, — ეს გახლავთ მტკიცე და სწორი, თუმცა მსუბუ-

ქი და არცთუ გრძელი ნაბიჯი. დახედეთ, ქუსლი არც კი დაჰკარებია მიწას. აქ შავთმიანს პატარა ნახტომიც გაუკეთებია ფესვიდან ფესვზე. არა, რამდენადაც ჩემი ცოდნა მარწმუნებს, ჯერჯერობით არც ერთი არა ჩანს მისავათებული. მგალობელს კი დაუწყია ფეხსუსტობა და ბორძიკი, როგორც აშკარად ეტყობა მის ნავალს. აი, იქ ფეხი დასხლეთია, აქ ბარბაცითა და ტორტმანით უვლია, იქ კი თითქოს თხილამურებით მისრიალებდაო. ის კაცი, ვინც ნიადაგ სიმღერას არის გადაყოლილი, ფეხების სათანადოდ გავარჯიშებას, რასაკვირველია, ვერ შეძლებს.

ამ მკაფიო, მარტივი დასაბუთებით გამხნეებული და კმაყოფილი მგზავრები ცოტა ხნით შეჩერდნენ, სახელდახელოდ, მსუბუქად დანაყრდნენ და შემდეგ კვლავ გზას დაადგნენ.

ერთი საათიც არ იყო გასული, ქორის თვალმა სისწრაფეს საგრძნობლად მოუკლო და ეჭვიანად მიმოიხედა, თითქოს მოახლოებულ საფრთხეს გრძნობსო. მალე კვლავ შედგა და შეიცადა, სანამ ყველა დაეწეოდა.

— ჰურონების სუნი მცემს, — უთხრა მოჰიკანებს, — მათ ბანაკს ვუახლოვდებით. საგამორო, შენ მთის ფერდობს გაჰყევი, მარჯვნივ. უნკასი ნაკადულს გასდევს მარცხნივ, მე კი ნაკვალევს დავადგები. თუ რაიმე ამბავი მოხდა, ჩვენი ნიშანი ყვავის სამი დაჩხავლება იქნება. ერთი მათგანი ჰაერშიც შევამჩნიე — კიდევ ერთი ნიშანი, რომ ჩვენ ბანაკის სიახლოვეს ვართ.

ინდიელები სიტყვის შეუბრუნებლად შეუდგნენ საქმეს, ხოლო ქორის თვალმა თეთრკანიანების თანხლებით ფრთხილად განაგრძო გზა. ჰეიუარდი მალე გვერდში ამოუდგა თავიანთ მეგზურს — სული მისდიოდა, როდის მოჰკრავდა თვალს იმათ, ვისაც ასე წვალეებითა და ღელვით მოსდევდა. მზვერავმა უთხრა, ტყის პირას მიდი და ჩემს მოსვლას დაუცადეო, რადგან უნდოდა რაღაც საეჭვო ნიშნების საქმე გამოერკვია ცოტა გვერდით. ღუნკანი დაემორჩილა და მალე ისეთ ადგილას აღმოჩნდა, საიდა-

ნაც უცნაური და მოულოდნელი სანახაობა გადაეშალა თვალწინ.

რამდენიმე აკრზე ხეები გაკაფული იყო და ზაფხულის ნაზი დაისის ელვარება ეფრქვეოდა ახოს. იმ ადგილიდან ცოტა მოშორებით, სადაც დუნკანი იდგა, პატარა მდინარე თითქოს ტბად გუბდებოდა და მთიდან მთამდე გაშლილი ტაფობის უმეტეს ნაწილს ფარავდა. ამ ვრცელი აუზიდან წყალი ისე სწორ და წყნარ ჩანჩქერად გადმოდინდა, რომ ადამიანის ნახელავად მოეჩვენებოდა კაცს. მიწისაგან გაკეთებული ასიოდე ქოხი იდგა ტბის ნაპირას და თვით წყალშიც. მათი მომრგვალებული სახურავები განსაცვიფრებლად იყო მოლესილი ავდრისაგან დასაფარავად და უფრო მეტ გულმოდგინებასა და წინდახედულებას მოწმობდა, ვიდრე ინდიელები იჩენდნენ თავიანთი მუდმივი საცხოვრებლების მიმართ. ერთი სიტყვით, მთელი სოფელი თუ დაბა, რაც გნებავთ, ის უწოდეთ, გაცილებით უფრო გეგმიანად და კოხტად იყო გაშენებული, ვიდრე, თეთრკანიანების აზრით, ჩვეულებრივ ინდიელებს ჰქონდათ წესად. ოღონდ მიტოვებული კი ჩანდა — ყოველ შემთხვევაში, ერთხანს ასე ფიქრობდა დუნკანი, მაგრამ მალე რამდენიმე ადამიანიც დალანდა: დაოთხილები მოიწევდნენ მისკენ და ეტყობოდათ უკან რაღაც მძიმე, საბარელ მანქანას მოათრევდნენ. სწორედ იმ დროს რამდენიმე შავი თავი გამოჩნდა, თუმცა ისინი საფრიდან საფარში ისეთი სისწრაფით გადარბოდნენ, რომ არავითარ საშუალებას არ იძლეოდნენ მათ განწყობილებაზე ანდა საქმიანობაზე დაკვირვებისათვის. ამ საეჭვო და უცნაური მოძრაობებით შეშფოთებულმა ჰეიუარდმა, ის-ის იყო, ყვავების ჩხავილის მსგავსი ნიშნის მიცემას დააპირა, რომ იქვე მის ახლოს ფოთლების შრიალმა მიახედა უკან.

დუნკანი შეკრთა და უნებურად რამდენიმე ნაბიჯით უკანაც დაიხია, როცა ასიოდე ნაბიჯის მანძილზე უცხო ინდიელი შეამჩნია. მაგრამ მყის მოვიდა გონს და განგაშის ატეხის მაგივრად,

რაც შესაძლოა საბედისწერო გამომდგარიყო მისთვის, გაუნძრევლად დარჩა და ამ კაცის მოქმედებას დაუწყო თვალთვალი.

ინდიელს დუნკანი არ შეუმჩნევია. ისიც სოფლის ქოხებისა და მისი მოსახლეობის ცქერაში გართულიყო. მისი სახის გამომეტყველების დანახვა შეუძლებელი იყო, რადგან იგი სასაცილო მოხატულობას დაეფარა. თუმცა როგორც დუნკანმა შეატყო, სევდიანი იერი უფრო უნდა ჰქონოდა, ვიდრე სასტიკი. თმა ჩვეულებისამებრ გადაპარსული ჰქონდა. ჩითის დაგლეჯილი წამოსასხამი ნახევრად უფარავდა სხეულს, ხოლო შარვლად უბრალო პერანგი გამოეყენებინა. შიშველი ფეხები ეკალბარდებისაგან მწარედ ჰქონდა დაკაწრულ-დაგლეჯილი; თუმცა ტერფებზე დათვის ტყავის ჩინებული მოკასინები ეცვა. საერთოდ, საცოდავი გარეგნობა ჰქონდა.

დუნკანი ისევ ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა ინდიელს, როცა მზვერავი ჩუმად და ფრთხილად ამოეტუბა გვერდში.

— ხომ ხედავთ, მათ დაბას თუ ბანაკს მოვალწიეთ, — წაიჩურჩულა ახალგაზრდა კაცმა, — ერთ-ერთი ველური აგერ აქაც კი დგას და ჩვენი შემდგომი წინსვლისათვის ძალიან საჩოთირო მდგომარეობა უჭირავს.

ქორის თვალი შეკრთა და თოფი გადმოიტრიალა, როცა ამხანაგის თითის გასწვრივ უცხოს მოჰკრა თვალი. მერე სახითათო ლულის ტუჩი ძირს დაუშვა და ისედაც გრძელი კისერი უფრო წაიგრძელა.

— ეს თაღლითი ჰურონი არ არის, — თქვა მან, — და არც კანადის რომელიმე ტომისა უნდა იყოს! მაინც, ტანსაცმელზე ეტყობა, რომ თეთრკანიანი გაუძარცვავს. მონკალმმა შეძრა ტყეები თავისი ლაშქრობის გამო და კაცისმკვლელი არამზადების ხროვა შეყარა! ხომ არ შეგინიშნავთ, სად უდევს თოფი ან მშვილდი?

— არ ეტყობა, რომ იარაღი ჰქონდეს; არც ბრაზი ემჩნევა. განგაშს რომ არ ატეხდეს და არ შეატყობინებდეს ამხანაგებს, რომ-

ლებიც, როგორც ხედავთ, წყალთან დაძვრებიან, ამისაგან, სხვა მხრივ, საშიში არაფერი გვაქვს.

მზვერავი მოუბრუნდა ჰეიუარდს და განცვიფრებით შეათვალიერა. მერე თავშეუკავებელი, გულიანი სიცილი აუტყდა, თუმცა რაც შეეძლო, ხმაურისგან თავს იკავებდა.

— „ამხანაგებს, რომლებიც წყალთან დაძვრებიან!“ — გაიმეორა ქორის თვალმა მისი სიტყვები და დაუმატა: — ეგ არის სწავლა და ბავშვობის ხანის დაბებში გატარება! თუმცა ამ წუპაკს გრძელი ფეხები კი აქვს და ნდობა არ შეიძლება. თქვენ თოფი არ მოაშორეთ, მე კი ბუჩქნარებიდან წამოვეპარები და ცოცხლად შევიპყრობ. არამც და არამც არ ისროლოთ!

მზვერავი ნაწილობრივ უკვე მიიძალა ბუჩქნარში, რომ ჰეიუარდმა ხელის აქნევით შეაყენა და ჰკითხა:

— თუ საფრთხეში დაგინახეთ, მაშინაც არ გავბედო სროლა?

ქორის თვალი ერთ წუთს დააცქერდა ისეთი კაცით, რომელმაც არ იცოდა, როგორ მიეღო ეს კითხვა. მერე თავი დაუქნია და კვლავ ჩუმი სიცილით უპასუხა:

— თუნდაც მთელი რაზმის მაგივრადაც დასცხეთ, მაიორო!

იგი თვალის დახამხამებაში ჩაიძალა ფოთლებში. რამდენიმე წუთში კვლავ გამოჩნდა. სწორედ თავისი მომავალი ტყვის ბურგს უკან მიცოცავდა. კაცს რამდენიმე ნაბიჯზე რომ მიუახლოვდა, ჩუმად და ნელა წამოდგა. ამ წუთას წყლის ტყლაშუნის ხმა მოისმა და დუნკანმა თვალი შეასწრო, როგორ ჩაეშვა ერთბაშად ასიოდე შავი სხეული პატარა ტბაში. ახალგაზრდა კაცმა ხელი მოუჭირა თოფს და კვლავ მის ახლო მდგარ ინდიელს მიაპყრო თვალი. განგაშის ატეხის ნაცვლად, ველურს, რომელიც ვერაფერს გრძნობდა, კისერი სულელური ცნობისმოყვარეობით წაეგრძელებინა, თითქოს ისიც ჩაბნელებულ ტბაზე ამტყდარ ფაცაფუცს უთვალთვალეხსო. ამასობაში ქორის თვალმა უკვე შემართა კიდევ ხელი მის თავზე, მაგრამ რაკილა მიზნში არ ჰქონ-

და, ისევ ძირს დაუშვა და კვლავ ხანგრძლივი, ოღონდ ჩუმი ხით-ხითი ატეხა. როცა გული იჯერა, თავის მსხვერპლს ყელში წვდომის ნაცვლად, მხარზე ხელი მსუბუქად დაუტყაპუნა და ხმამაღლა შესძახა.

— ვითომ რაო, ძმობილო, ხომ არ გინდა თახვებს ასწავლო გალობა?

— ჭეშმარიტად, — მიუგო უცნობმა, — მე მგონი, განგება, რომელმაც ძალა მიანიჭა მათ, ასე კარგად განეფითარებინათ მიმადლებული ნიჭი, არც ხმაზე ეტყვის უარს, რათა მის სადიდებლად იღაღადონ.

ბოტომი: ყველა შევიკრიბეთ?

კუინსი: სწორედ, სწორედ; და აქ საოცარი მოხერხებული ადგილიც არის გასამეორებლად.

შექსპირი. „ზაფხულის ღამის სიზმარი“

აღწერაზე უკეთ თვით მკითხველი წარმოიდგენს ჰეიუარდის განცვიფრებას. ჩასაფრებული და უჩუმრად მოსიარულე ინდიელები უცბად ოთხფეხა ცხოველებად იქცნენ; ტბა — თახვების გუბედ; ჩანჩქერი — ამ ბეჯითი და გონიერი პირუტყვებისაგან გაკეთებულ საგუბარად; ხოლო მტრად ნაგულები კაცი — გალობის მასწავლებელ დავით გამუტად. ამ უკანასკნელის იქ ყოფნამ იმედი აღუძრა და ახალგაზრდა კაცი დაუყოვნებლივ გამოიჭრა საფრიდან.

გამხიარულებული ქორის თვალი ვეღარ დაწყნარდა. ტლანქი ხელით მოურიდებლად ატრიალებდა აქეთ-იქით თვინიერ გამუტს და წამდაუწუმ გაიძახოდა, ყოჩაღ ჰურონებს ასე ჩინებულად რომ გამოუწყვიხართო. მერე ხელი სტაცა და ისე ღონივრად ჩამოართვა, უწყინარ დავითს თვალებზე ცრემლი მოადგა.

უცბად ყვავის ჩხავილმა გააყრუა არემარე და დავითმა თითები დაიცო ყურები. თვით ჰეიუარდმაც კი, რომელმაც წინასწარ იცოდა ამ ხმის ამბავი, ზემოთ აიხედა, იქნებ ფრინველი დავინახო.

მზვერავმა სიცილი განაგრძო და თან ხელი გაიშვირა დანარჩენებისკენ, რომლებიც ამ ნიშანზე უკვე უახლოვდებოდნენ მათ, — ამ მუსიკასაც აქვს ღირსებები — ორ ჩინებულ თოფს ამომიყენებს მხარში, რომ აღარაფერი ვთქვათ დანებსა და ტომაჰაუკებ-

ზე. მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ უვნებელი ხართ. აბა, ქალიშვილების ამბავი გვითხარი.

— ისინი წარმართებს ჰყავთ ტყვედ, და თუმცა სულიერად იტანჯებიან, ხორციელი სიმშვიდე და მოსვენება არ აკლიათ.

— ორივე? — დაეკითხა სულშეგუბებული ჰეიუარდი.

— სწორედ. თუმცა მგზავრობა მწარე გვექონდა და საზრდო მცირე, გარდა იმისა, რომ ძალდატანებით წამოგვიყვანეს ასე შორს ტყვეობაში, ჩვენ სხვა არა გვექონდა რა საჩივლელი.

— კურთხეულ იყავ მაგ სიტყვებისათვის, — შესძახა აცახცახებულმა მანრომ, — მაშ, ჩემს შვილებს კვლავ უვნებლად ვიხილავ!

— ვერ გეტყვით, რომ მათი ხსნა ახლოს იყოს, — სიტყვა ჩამოართვა დავითმა, — ამ ველურების ბელადს ისეთი ბოროტი სული შესჯდომია, რომ ყოვლად ძლიერის გარდა სხვა ვერაფერი მოდრეკს. მის სულს არც გალობა ეკარება და არც ლაპარაკი.

— სად არის ის წუწკი? — ფიცხლად შეაწყვეტინა მზვერავმა.

— დღეს თავისი ახალგაზრდებით ცხენ-ირმებზე ნადირობს; ხვალ კი, ასე გავიგე, უფრო შორს წავლენ ამ ტყეებში, კანადის საზღვართან უფრო ახლოს. უფროსი ასული მეზობელ ხალხთანაა წაყვანილი. მათი ბინები იმ კლდის იქით მდებარეობს. უმცროსი კი ჰურონების ქალებსა ჰყავთ დატოვებული. მათ ბანაკამდე აქედან ორიოდე მილი იქნება.

— ალისა, ჩემი ალისა! — წაიბუტბუტა ჰეიუარდმა, — მაშ, დასთან ყოფნის ნუგეშიც მოჰკლებია?

— ჭეშმარიტად, მაგრამ რამდენადაც კი გალობით ხოტბადიდებას ძალუძს მწუხარე სულისადმი შვების მინიჭება, არ უტანჯია.

— მაშ, გალობის გულიცა გაქვს?

— ოღონდ უფრო სერიოზული და საზეიმო ხასიათის გალობისა. თუმცა უნდა ვაღიარო, რომ მიუხედავად მთელი ჩემი ცდისა,

ქალწული მაინც უფრო ხშირად ტირის, ვიდრე ილიმის. ამისთანა დროს წმიდა საგალობლებისაგან თავს ვიკავებ. მაგრამ ბევრი ტკბილი და საამური წუთიც გაგვიტარებია გულსავსე თანხმობაში, როცა ველურების სმენას ჩვენი ხმების მაღლა აწევით ვაოცებთ.

— თავისუფლად რატომღა გიშვებენ ასე შორს?

დავითმა ისეთი გამომეტყველება მიიღო, რომელსაც, მისი განზრახვით, მოკრძალებული სიმდაბლის იერი უნდა გამოეხატა და თვინიერი ხმით უპასუხა:

— ბევრი არაფერი აქვს თავის საქები ჩემისთანა ჭიას. მართალია, გალობას დროებით ძალა დაეკარგა იმ საზარელ ბრძოლის ველზე, რომელიც ჩვენ გამოვიარეთ, მაგრამ თავისი გაფლენა კვლავ დაიბრუნა თვით ამ წარმართთა სულებზეც კი და ახლა მე ხელს აღარავინ მიშლის ჩემს ნებაზე ვიარო.

მზვერავს გაეცინა, შუბლზე ნიშანდობლივად დაიკაკუნა თითი და თითქოს უფრო გასაგებად ახსნა დავითისათვის განსაკუთრებული შეღავათის მიცემის ამბავი:

— ინდიელები შეშლილს არასოდეს ერჩიან. მაგრამ გზა ხომ თვალწინ გახსნილი გქონდა, რატომ არ გამოჰყევი საკუთარ კვალს და ედუარდში არ მოიტანე ამბავი?

დავითმა თვინიერი გამომეტყველებით უპასუხა:

— თუმცა ჩემი სული გაიხარებდა საქრისტიანო ადგილების კიდევ ერთხელ ხილვით, ჩემი ფეხი ჩემდამი მონდობილ ნაბასულებს იებუიტების კერპთაყვანისმცემლურ მხარეშიც კი წაჰყვებოდა და ერთი ნაბიჯითაც არ დაიხევდა უკან, სანამ ისინი ტყვეობაში მწუხარებით ილევოდნენ და ჭკნებოდნენ.

თუმცა დავითის ხატოვანი ლაპარაკისა იქ მყოფებს ბევრი არაფერი ესმოდათ, მისი თვალების წრფელმა, მტკიცე გამომეტყველებამ და პატიოსან სახეზე აღმურის ავარდნამ მისახვედრი აღარაფერი დატოვა. უნკასი თავშეკავებული მოწონებით შეჰყუ-

რება, ხოლო მამამისმა კმაყოფილება ჩვეული, მრავლის-
მთქმელი შეძახილით გამოხატა. მზვერავმა თავი გაიქნია და
მიუგო:

— ღმერთს არასოდეს ჰქონია ფიქრად, რომ კაცმა მთელი თა-
ვისი უნარი ყანყრატოში მოიქცოს, სხვა და უკეთესი ნიჭი კი
მიივიწყოს! მაგრამ ეს კაცი ვილაც ტუტუცი დედაკაცების ხელში
მოხვედრილა, მაშინ როცა თავისი განათლება ლურჯი ცის ქვეშ
და მშვენიერი ტყის წიაღში უნდა შეეძინა. აი, მეგობარო, ამ შენს
საპიპინოს ცეცხლში შეკეთებას ვუპირებდი, მაგრამ რაკი ძალი-
ან აფასებ, გქონდეს და იმდენი აპიპინე, რამდენიც გენებოს!

ჰეიუარდმა მგალობელს საკრავით ტკბობა არ აცადა და შე-
კითხვები მიაყარა. დავითმა არცთუ მჭევრმეტყველებით მოუთ-
ხრო თავიანთი ამბავი:

მაგუამ მანამდე შეიცადა მთაზე, სანამ წასვლისათვის უშიშა-
რი დრო დადგებოდა. მაშინ ჩამოვიდა და გეზი კანადისაკენ
აიღო, ჰორიკონის დასავლეთი ნაპირის გასწვრივ. რაკი ცბიერი
ჰურონი ბილიკებს იცნობდა და კარგადაც იცოდა, რომ მდეურის
შიში მაშინვე არ უნდა ჰქონოდა, აუჩქარებლად მგზავრობდნენ.
თვით მაგუაც იჩენდა რიდს, რომლითაც ინდიელები ეპყრობიან
მათ, ვის ჭკუასაც დიდი სული მიჰკარებია, ამიტომ მგალობელს
მოთმინებით იტანდა. ღამდამობით ტყვეებისადმი დიდ ზრუნვას
იჩენდნენ; ერთი მხრივ, ტყის ნესტს რომ არაფერი ევნო მათ-
თვის, მეორე მხრივ კი, რომ არ გაქცეულიყვნენ. ცხენები წყა-
როსთან გაუშვეს, როგორც ამას მზვერავიც მიხვდა, და მიუხედა-
ვად სიშორისა და ნაკვალევის სიგრძისა, უკვე ხსენებული ხრი-
კები იხმარეს, რათა თავშესაფარ ადგილამდე მიმყვანი კვალის
ყოველი ნასახი მოესპოთ. როცა ბანაკში მივიდა, მაგუამ თავის
მზაკვრულ ბუნებას არ უღალატა და ტყვეები გააცალკევა. კორა
მეზობელ ხეობაში დროებით დაბანაკებულ ტომს გაუგზავნეს,
თუმცა დავითმა სრულიად არაფერი იცოდა ადგილობრივ

მცხოვრებთა ადათებისა და ისტორიისა და არ შეეძლო რაიმე დამაკმაყოფილებელი ცნობა მოეწოდებინა მათი სახელის ან ხასიათის შესახებ. მან მხოლოდ ის იცოდა, რომ მათ უილიამ-ჰენრის წინააღმდეგ ბოლოდროინდელ ლაშქრობაში მონაწილეობა არ მიეღოთ. ჰურონებივით ისინიც მონკალმის მოკავშირენი იყვნენ და მეგობრული, თუმცა კი ფხიზელი ურთიერთობა ჰქონდათ ომის მოყვარე, ველურ ხალხთან, რომელთანაც დროებით, მათდა არასასიამოვნოდ, ასე ახლოს ყოფნა არგუნათ ბედმა.

მოჰიკანები და მზვერავი ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტ, დაბნეულ მოთხრობას აშკარად თანდათან მზარდი ცნობისმოყვარეობით უგდებდნენ ყურს და სწორედ მაშინ, როცა დავითმა სცადა, იმ თემის საქმიანობა განემარტა, რომელშიც კორა იყო დატოვებული, ქორის თვალი ჯიქურ დაეკითხა:

— მათი დანების მოყვანილობა შეამჩნიე? ინგლისური იყო თუ ფრანგული?

— ჩემი ფიქრი მაგისტანა ამაო საგნებისაგან შორს იყო — უფრო ქალწულთა ნუგეშისცემის საქმეს დასტრიალებდა თავს.

— დადგება დრო, როცა ასე ასათვალისწინებელ ამაოებად აღარ ჩათვლი ველურის დანას, — უპასუხა მისი ყვეყნობისადმი ზიზღით გამსჭვალულმა მზვერავმა, — მოსავლის აღების ლხინებს იხდიან თუ არა, ანდა ხომ არაფერი შეგიძლია გვითხრა მათი ტომის ტოტემის თაობაზე?

— მოსავლისა და მარცვლეულისა გულუხვი ლხინი გვექონდა, რადგან რძეში დამბალი მარცვალი პირისთვისაც ტკბილია და სტომაქისთვისაც საამური. ტოტემისა კი არა მესმის რა. ოღონდ თუ ეგ რაიმე გზით ინდიელთა მუსიკის ხელოვნებას ეხება, საკითხავიც არ არის. ისინი არასოდეს შეაწყობენ ხმებს ღვთის სადიდებლად და ეტყობათ, ყველაზე ურჯულო კერპთაყვანისმცემლები არიან.

— მაგაში კი ცილსა სწამებ ინდიელის ბუნებას. თვით მინგოც კი თაყვანს სცემს ჭეშმარიტ ღმერთს! ეგ თეთრების მოჩმახულია, და ამას ვამბობ ჩემი ფერის ხალხის სამარცხვინოდ, — რომ თითქოს მეომარი მუხლს იდრეკდეს თავის საკუთარი ნახელავი გამოსახულებების წინაშე. მართალია, ისინი ცდილობენ ბოროტ სულთან დაზავებას, ვინ არ ეცდება ამას ისეთ მტერთან, რომელსაც ვერ მოერევა, მაგრამ შემწეობასა და დახმარებას მხოლოდ დიდი და კეთილი სულისაგან მოელიან.

— ეგ შეიძლება ეგრე იყოს, — თქვა დავითმა, — მაგრამ მინახავს საღებავებით მოხატული იმათი უცნაური და საარაკო გამოსახულებანი, რომლებისადმი მათ აღტაცებასა და ზრუნვას სულიერი აღგზნების სუნი უდის. განსაკუთრებით ერთი გამოირჩევა და ერთობ საძაგელი და ამაზრბენი რამ არის.

— გველი ხომ არ იყო? — სასწრაფოდ იკითხა მზვერავმა.

— მაგის მსგავსი: ის გახლდათ საზიზღარი მღოღავი კუს გამოსახულება!

— ჰუჰ! — ერთხმად შესძახეს მოყურადე მოჰიკანებმა. მზვერავმა კი ისეთი ვაცის იერით გადააქნია თავი, რომელმაც მნიშვნელოვანი, მაგრამ არასასიამოვნო ამბავი შეიტყო. მაშინ მამამ დელავერთა ენაზე ისეთი ღირსებით დაიწყო ლაპარაკი, რომ თვით იმათი ყურადღებაც კი მიიპყრო, რომლებსაც მისი ნათქვამი არ ესმოდათ. მისი ხელის მოძრაობა მეტყველი და ენერგიული იყო. ერთხელ მაღლა ასწია მკლავი, ძირს დაშვებისას და განზე გადაიგდო მსუბუქი წამოსასხამის ნაოჭები და თითი მკერდზე მიიღო, თითქოს თავისი ნათქვამის დადასტურება ამ მოქმედებით უნდაო. დუნკანმა თვალი მიადევნა მის მოძრაობას და შენიშნა, რომ ბელადის შავგვრემან მკერდზე ლურჯი საღებავით ლამაზად, ოღონდ მქრქალად, სწორედ ახლახან ნახსენები ცხოველი იყო გამოხატული. ყველაფერმა, რაც კი ოდესმე გაეგონა დელავერთა უზარმაზარი ტომების განცალკევების შესახებ,

თავში გაუელვა ჰეიუარდს და ცნობისმოყვარეობამ ისე გაიტაცა, რომ ძლივს იკავებდა თავს მოხერხებული შემთხვევის მოლოდინში, რათა იმასაც სიტყვა ჩაერთო. მაგრამ მას მზვერავმა დაასწრო:

— ჩვენ ისეთი რამ აღმოვაჩინეთ, რაც, მართლ ღმერთმა იცის, კარგი იქნება ჩვენთვის თუ ცუდი. საგამორი დელავერთა მაღალი შთამომავლობისაა და კუთა დიდი ბელადი გახლავთ! ამათი მოდგმის ნაწილი რომ ურევია იმ ხალხში, რომელთა ამბავიც მგალობელმა გვითხრა, აშკარაა. თავის ყანყრატოს ნაღარად გადაქცევის ნაცვლად მისი სუნთქვის თუნდაც ნახევარი ჭკვიანურ საკითხებს რომ მოხმარებოდა, შეგვეძლო გაგვეგო, რამდენი მეომარი ჰყავთ. სახიფათო გზას ვადგავართ, რადგან პირნაქცევ მეგობარს ხშირად უფრო მტრული გული აქვს, ვიდრე მტერს, რომელიც შენს სკალპს დაეძებს!

— ამიხსენით, — უთხრა დუნკანმა.

— გრძელი და სევდიანი ამბავია და არც მიყვარს მისი გახსენება, რადგან ვერ უარყყოფთ, რომ ბოროტება უმთავრესად თეთრკანიანი ადამიანების ჩადენილია, მაგრამ ეს იმით დასრულდა, რომ ძმამ ძმაზე აღმართა ტომაჰაუკი და მინგო და დელავერი ერთ საომარ ბილიკზე მოახვედრა!

— მაშ, თქვენ გგონიათ, კორა იმ ხალხთანაა?

მზვერავმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია, ეტყობოდა ძალიან უნდოდა, ასეთ არასასიამოვნო საგანზე ლაპარაკი შეეწყვიტა. მოუთმენელმა დუნკანმა დების გასათავისუფლებელი რამდენიმე ნაჩქარევი და თავგანწირული გეგმა გადმოშალა. მანროს თითქოს ჩამოსცლოდა გულგრილი უხალისობა და ახალგაზრდა კაცის გიჟურ გეგმებს გატაცებით უსმენდა. მაგრამ როცა მიჯნური დაწყნარდა, მზვერავმა სცადა, დაერწმუნებინა იგი, რომ წინდაუხედავი აჩქარება ისეთ საქმეში, რომელიც მათ-

გან უდიდეს სიღინჯეს, საზრიანობასა და მამაცობას მოითხოვდა, დიდი სისულელე იქნებოდა.

— კარგი იქნება, — დასძინა მან, — ეს კაცი ჩვეულებისამებრ უკან დაბრუნდეს, ქალებს ჩვენი ამბავი შეატყობინოს და ბანაკში დარჩეს მანამ, სანამ ჩვენი ნიშნით არ გამოვიძახებთ სათათბროდ. მეგობარო, ხომ გააჩრევ ყვავის ჩხავილს უიპის სტვენისაგან?

— ეგ საამური ფრინველია, — მიუგო დავითმა, — ნაზი და სევდიანი ჰანგი აქვს! თუმცა ტემპი კი აჩქარებული და უსწორმასწორო ახასიათებს.

— ეს ბუყბუყაზე ლაპარაკობს, — თქვა მზვერავმა, — მაშინ, რაკი მისი სტვენა მოგწონს, ეგ იყოს შენი ნიშანი. გახსოვდეს, როცა სამჯერ ზედიზედ გაიგონებ უიპის ხმას, იქ უნდა მოხვიდე ბუჩქებში, სადაც ვარაუდით, ის ფრინველი უნდა იყოს...

— მოიცადეთ, — გააწყვეტინა სიტყვა ჰეიუარდმა, — მეც თან მივყვები.

— თქვენ?! — შესძახა განცვიფრებულმა ქორის თვალმა, — მზის ცქერა მოგბებრებიან?

— დავითი ცოცხალი საბუთია, რომ ჰურონები შეიძლება მოწყალენიც იყვნენ.

— კი, მაგრამ დავითს ისე შეუძლია მოიხმაროს თავისი ყანყრატო, რომ ეგრე უკუღმართად ვერც ერთი ჭკუათამყოფელი კაცი ვერ მოახერხებს ნიჭის გამოყენებას.

— მეც შემიძლია შევასრულო გიჟის, სულელის, გმირის... ერთი სიტყვით, რაც, ან ვინც გნებავთ, იმის როლი... ოღონდ ჩემი სატრფო დავიხსნა ამ ტყვეობიდან. ნულა მეწინააღმდეგებით — გადაწყვეტილი მაქვს!

ქორის თვალი ერთხანს გაოცებისაგან ენაჩავარდნილი შეჭყურებდა ახალგაზრდა კაცს. მაგრამ დუნკანმა, რომელიც, მზვერავის სიმარჯვისა და დამსახურებისადმი ხათრით, აქამდე კრინ-

ტის დაუძრავად ემორჩილებოდა მის განკარგულებებს, ახლა თავი ჯიუტად ასწია. მან ხელი აიქნია იმის ნიშნად, რომ საწინააღმდეგო აზრის მოსმენა არ სურდა, მერე კი უფრო წყნარი კილოთი განაგრძო:

— თქვენ გაქვთ საშუალებები სახის შესაცვლელად — მეც შემცვალეთ. მომხატეთ კიდევ, თუ გნებავთ. ერთი სიტყვით, რადაც გინდათ, იმად მაქციეთ... თუნდაც მასხარად.

— მე ჩემდათავად ვერ ვიტყვი, რომ განგებისაგან ერთხელვე კაცისათვის მინიჭებულ სახეს გადასხვაფერება ესაჭიროებოდეს, — წაიბურტყუნა უკმაყოფილოდ მზვერავმა, — როცა ომში სალაშქროდ გზავნი რაზმებს, იმას მაინც მიიჩნევთ გონივრულად, ნიშნებისა და დაბანაკების ადგილების თაობაზე შეთანხმდეთ, რომ თქვენმა მომხრეებმა იცოდნენ, როდის და სად უნდა ელოდონ მეგობარს?!

— გამიგონეთ, — შეაწყვეტინა დუნკანმა, — ხომ მოისმინეთ ტყვეების ამ ერთგული მხლებლისაგან, რომ ინდიელები ორ ტომს, თუ სულაც ორ სხვადასხვა ხალხს წარმოადგენენ. ერთ მათგანს, რომელიც დელავერთა შტოდ მიგაჩნიათ, ჰყავს, როგორც თქვენ ეძახით, შავთმიანი, მეორე, უმცროსი ქალიშვილი კი უეჭველად ჩვენს აშკარა მტრებთან, ჰურონებთან არის. ჩემი ვალია, უკანასკნელებთან ვცადო ბედი. ამიტომ სანამ თქვენ თქვენი მეგობრებითურთ ერთი დის განთავისუფლების საქმეში იქნებით ჩაბმულნი, მე მეორეს გავათავისუფლებ, ანდა თავს შევწირავ.

ახალგაზრდა მეომარი ნაპერწკლებს ყრიდა თვალებიდან, მის ხმას თითქოს რიხიც მოემატა. ქორის თვალმა აღარ იცოდა, როგორ შეეცვალა ასეთი გადაწყვეტილება. ალბათ ამ განზრახვაში იყო ისეთი რამ, რაც შეესაბამებოდა მისსავე შეუპოვარ ბუნებასა და ფათერაკებისადმი ფარულ სიყვარულს, ამიტომ მზვე-

რავს უცბად გადაუსხვაფერდა გუნება და თვითონაც მისი გეგმისაკენ გადაიხარა.

— ეგრე იყოს, — მიუგო გულკეთილი ღიმილით, — წყალზე მიმავალ ხარირემს მეწინავეობა შეშვენის და არა კუდში ჩანჩალი! ჩინგაჩგუკს სხვადასხვანაირი საღებავები აქვს. ჩამოჯექით ჯირკბე და თავს დავდებ, თუ ნამდვილ სულელს არ დაგამგვანოთ.

დუნკანი დაემორჩილა და მოჰიკანი საქმეს შეუდგა. თავისი ერის ყოველგვარ საქმეში დაოსტატებულმა, მარჯვედ და სწრაფად გამოსახა ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის მეგობრული იერი. ყველაფერი, რაც შეიძლებოდა, იქაურებს საექვოდ მოსჩვენებოდათ, საგულდაგულოდ მიჩქმალა; ერთი სიტყვით, მეომრის გარეგნობის ყოველი წვრილმანიც კი ტაკიმასხარის ნიღაბს ანაცვალა. ასეთი მოვლენა იშვიათი არ იყო ინდიელებში და დუნკანს, თავისი ფრანგულის ცოდნით, მოკავშირე და მეგობარ ტომებს შორის მოხეტიალე ტიკონდეროგელ თვალთმაქცად შეეძლო გაესაღებინა თავი.

როცა მიიჩნიეს, რომ უკვე სათანადოდ იყო მოხატული, მზვერავმა ბევრი მეგობრული რჩევა მისცა. შეთანხმდნენ ნიშნებზე და დათქვეს ადგილი, სადაც უნდა შეყრილიყვნენ გამარჯვების შემთხვევაში. მანროსა და მის ახალგაზრდა მეგობარს შორის გამოთხოვება უფრო სევდიანი და მგრძნობიარე იყო. მაგრამ მოხუცი მანც გულგრილად განშორდა დუნკანს. დიდი მწუხარება რომ არა, პატიოსან და გულმხურვალე მანროს ეს არასოდეს დაემართებოდა. მზვერავმა განზე გაიყვანა ჰეიუარდი და გაუძღავნა განზრახვა, მოხუც მეომარს სადმე უშიშარ თავშესაფარში დავტოვებ ჩინგაჩგუკის თანხლებით, მე და უნკასი კი, ჩვენ რომ დელავერები გვგონია, იმ ხალხის ამბავს გამოვიკვლევთ. მერე კიდევ გაუმეორა რჩევა-დარიგებანი და ისეთი საზეიმო, გულთბილი სიტყვებით დაემშვიდობა, რომ დუნკანზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა:

— აბა, ღმერთმა დაგლოცოთ! სწორედ ისეთი სულის სიმტკიცე გამოიჩინეთ, როგორც მე მიყვარს, რადგან ეს ხომ ჭაბუკის ღირსებაა, განსაკუთრებით ისეთისა, ვისაც სისხლი უდუღს და გული საგულეს აქვს. მაგრამ ერწმუნე კაცის გაფრთხილებას, რომელმაც დასაბუთებით იცის, რომ მთელი თქვენი ვაჟკაცობა და ისეთი მახვილგონიერება, რომელიც წიგნებიდან არ ამოიკითხება, საკმარისი არაა, რათა მინგოს ცბიერებას სძლიოთ, ანდა მის მამაცობას გადააჭარბოთ! ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! თუ ჰურონებმა ხელთ იგდეს თქვენი სკალპი, ენდეთ, იმის დაპირებას, რომელსაც ორი გულადი მეომარი კიდევ უდგას მხარში, რომ იმ სკალპის ყოველ ღერში თითო სიცოცხლეს გადავახდევინებთ მაგ გამარჯვებისათვის! განგებამ დალოცოს ჩვენი საქმე, რომელსაც მაინც სასიკეთო პირი უჩანს და გახსოვდეთ: თუ იმ წუწკების ჯობნა გინდათ, სამართლიანია, ისეთი ხერხებიც გამოიყენოთ, როგორც თეთრკანიანის ბუნებრივ ნიჭს არც კი შეესაბამებოდეს!

დუნკანმა გულიანად ჩამოართვა ხელი ღირსეულ ამხანაგს, ერთხელ კიდევ ჩააბარა თავისი მოხუცი მეგობარი, თვითონაც წარმატება უსურვა და დავითს ანიშნა, წავიდეთო. ქორის თვალი კარგა ხანს აშკარა აღტაცებით გაჰყურებდა თავმჯეხელალებულ, გამბედავ ახალგაზრდას, შემდეგ ეჭვით გააქნია თავი, შემოტრიალდა და ტყის სიღრმისაკენ გაუძღვა თავის გუნდს.

დუნკანისა და დავითის გზა სწორედ თახვების ახოსა და მათი ტბის გაყოლებამზე იდო. როცა ჰეიუარდი მარტო დარჩა გულუბრყვილო და გასაჭირში ნაკლებად გამოსაყენებელ ადამიანთან, მაშინღა იგრძნო, რა მძიმე საქმეს მოჰკვიდა ხელი. დუნკანს არ შეეძლო, აუღელვებლად ეფიქრა იმ უთანასწორო ბრძოლაზე, რომელშიც ასე განუსჯელად ჩაება. მერე ალისას სახე წარმოუდგა თვალწინ, მისი გასაჭირი, და თავისი მდგომარეობის ყოველი

საშიშროება უეცრად აღარაფრად მოეჩვენა. გასამხნევებლად დავითს შეეხმინა და უფრო სწრაფად გასწია წინ.

ნაგუბარს თითქმის ნახევარი წრე რომ დაარტყეს, ნაპირს მოშორდნენ და იმ ხეობის დაბალ ზეგანს აუყვნენ, რომელშიც აქამდე მგზავრობდნენ. ნახევარ საათში მეორე ახოს კიდეს მიაღწიეს. სრულიად ბუნებრივმა გრძნობამ მცირე ხნით შეაფერხა დუნკანი — არ უნდოდა, დაეტოვებინა თავიანთი დაბურული ბილიკი. შესვენებით ისარგებლა და რაც კი შეიძლებოდა, კარგად დაათვალიერა მიდამო.

ნაკაფის მოპირდაპირე მხარეს, იმ ადგილის ახლოს, სადაც მდინარე კლდეზე გადმოქუხდა, სამოცამდე ქოხი მოჩანდა. დუნკანმა დაისის ბინდბუნდში ოცი თუ ოცდაათი საგანი შეამჩნია. ქოხების წინ, მაღალი, სქელი ბალახიდან დროდადრო ამოიწეოდნენ და მერე კვლავ გაუჩინარდებოდნენ, თითქოს მიწამ ჩაყლაპაო. ამ მოულოდნელი გაელვებით ისინი უფრო ბნელ მოფარფატე მოჩვენებებს ჰგავდნენ. ერთი წამით გამოჩნდებოდა გამხდარი, შიშველი სხეული, გიჟურად აიქნევდა მკლავებს და ის ადგილი, სადაც გამოჩნდა, კვლავ ცარიელდებოდა. სხეული კი ახლა უცბად სხვაგან, უფრო შორს იელვებდა, ანდა ასეთივე უცნაურ მოქმედებას უკვე მეორე მიჰბაძავდა. დავითმა რომ შენიშნა, თანამგზავრი ფეხს ითრევსო, თვალი გააყოლა მისი ხედვის მიმართულებას და ჰეიუარდს უთხრა:

— აქ ბევრი ნაყოფიერი ნიადაგია დაუმუშავებელი და თავის ქების ცოდვილი ვნების გარეშე შემოძლია ვთქვა, რომ ამ წარმართთა სამყაროში ჩემი ყოფნის მცირე დროში ბევრი კეთილი თესლი მოიბნა გზის პირებში.

— ეს ტომები ნადირობას უფრო ეტანებიან, ვიდრე სხვა საქმიანობას, — მიუგო ჰეიუარდმა, რომელმაც მის ნათქვამს ვერ მიხვდა.

– სულისათვის სიხარული უფროა, ვიდრე ჯათა, ხმა აღიმაღლოს ღალადისათვის. მაგრამ ფუჭად ღუპავენ ეს ბიჭუნები თავიანთ ნიჭს. იშვიათად შემხვედრია სხვა ამათი ხნისანი, რომლებისთვისაც ბუნებას ასე უხვად მიენიჭებინოს გალობის უნარი; და ჭეშმარიტად არც არავინ არის ისეთი, რომ მაგათზე უდიერად ეპყრობოდეს ამ საქმეს. უკვე სამი ღამე გავატარე აქ, სამ სხვადასხვა დროს შევკრიბე ეს ცუდლუტები წმიდა გალობის სათქმელად და სამჯერვე ისეთი ჭყვილითა უპასუხეს ჩემს ცდას, რომ სისხლი გამეყინა ძარღვებში!

– ვისზე ლაპარაკობთ?

– აი, ამ ეშმაკის კერძებზე, თავიანთ ძვირფას წუთებს იმ ფუჭ მანჭვა-გრეხაში რომ ფლანგავენ. ეჰ! დისციპლინის მარგებელი სისასტიკე ნაკლებად არის ცნობილი ამ თავის ნებაზე მიშვებულ ხალხში! არყის ხეების ქვეყანაში წკეპლას ვერასოდეს დაინახავს კაცი და განგების ყველაზე რჩეული მადლი ამისთანა ყვირილში რომ იხარჯება, ეგ რაღა გასაკვირია.

დავითმა ყურებზე ხელები აიფარა, რომ მოზარდების ხროვის ყიჟინა არ გაეგონა, რომელმაც ტყე შეძრა. დუნკანს დამცინავმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე საკუთარი წამიერი ცრუმორწმუნეობის მასხრად აგდების ნიშნად და მტკიცედ წარმოთქვა:

– განვაგრძოთ გზა!

გალობის მასწავლებელი ყურებზე ხელების მოუშორებლად დაემორჩილა და ორივენი მხნედ გაუდგნენ გზას იმ ადგილისაკენ, რომელსაც დავითი ხანდახან „ფილისტიმელთა ბანაკს“ ეძახდა.

მაგრამ ნადირი ხომ ნადირია, დევნაში მოფონების უფლება მაინც შეიძლება ერგებოდეს; სანამ მწევრებს მივუსევდეთ, ანდა მშვილდს მოვზიდავდეთ, ირემს მანძილში შელავათს ვანიჭებთ, მაგრამ აბა, ვინ მოსთვალა, გაიძვერა მელა სად, როგორ ან როლის გაუბამთ ხაფანგში ანდა მოუკლავთ?

უ. სკოტი. „ტბის ბანოვანი“

ადგილობრივ მცხოვრებლებს წესად არ აქვთ სოფლის ირგვლივ შეიარაღებული გუშაგების დაყენება. ინდიელმა ყოველი საფრთხის მოახლოების ამბავი მანამდე იცის, სანამ იგი ჯერ კიდევ შორს არის. ამიტომ, ჩვეულებრივ, ენდობა ტყის ნიშანთა ცოდნას და იმ ბილიკების სიგრძე-სიძნელეს, მისთვის ყველაზე საშიში მტრებისაგან რომ ჰყოფს. მაგრამ თუ მტერი რაიმე უკუღმართი შემთხვევის წყალობით როგორმე გაუსხლტა ფხიზელ მზვერავებს, ბინების ახლოს იშვიათად წააწყდება განგაშის ამტებს გუშაგებს. გარდა ამ საზოგადო წესისა, ფრანგი მეფის მეგობარმა ტომებმა ჩინებულად იცოდნენ ახლახან მტრისთვის მიყენებული დარტყმის სიმძიმე და ბრიტანეთის ტახტის ქვეშევრდომი მოშულარი ერების მხრიდან რაიმე საფრთხის შიში არ ჰქონდათ.

ამიტომ, როცა დუნკანი და დავითი თამაშში გართული იმ ბავშვების შუაგულში აღმოჩნდნენ, მოზარდების მთელ ხროვას ერთხმად აღმოხდა ყურის წამღები გამაფრთხილებელი კივილი და თითქოს ჯადოქრობის ძალით, მისულებს წამსვე თვალწინ გაუქრნენ. შიშველი სხეულები საღამოს ბინდბუნდში ისე ეხამებოდა ჩამჭკნარ ბალახს, რომ კაცს ეგონებოდა, მართლა მიწამ ჩაყლა-

პაო. მაგრამ როცა განცვიფრებული დუნკანი კარგად დააკვირდა, ყველგან შავ, მკვირცხლ თვალებს წააწყდა.

იყო წუთი, როცა ახალგაზრდა ჯარისკაცი სიამოვნებით დაიხედა უკან, მაგრამ თვით ყოყმანიც კი უკვე გვიან იყო. ბავშვების კივილზე უახლოესი ქოხის კართან თორმეტამდე მეომარი გამოჩნდა და პირქუშად დაუწყეს ლოდინი მათ შორის ასე მოულოდნელად გამოჩენილთა მიახლოებას.

ამისთანა სანახაობას ნაწილობრივ შეჩვეულმა დავითმა სწორედ იმ შენობისაკენ აიღო გეზი, რომელსაც, ჩანდა, იოლად ვერაფერი შეარყევდა. ეს გახლდათ სოფლის მთავარი ნაგებობა, რომელშიც ტომი ბჭობასა და საჯარო კრებებს მართავდა ინგლისის სამფლობელოების საზღვრებზე დროებით ყოფნისას. დუნკანს გაუძნელდა არხეინი იერის მიღება, როცა კარის ზღურბლზე შეკგუფებულ ინდიელთა შორის მიიკვლევდა გზას. მაგრამ რაკი შეგნებული ჰქონდა, რომ სიცოცხლის შენარჩუნება მხოლოდ სულის სიმტკიცეზე იყო დამოკიდებული, თანამგზავრის საზრიანობას მიენდო, ფეხდაფეხ მისდია და შეეცადა, გონება მოეკრიბა. ერთ წამს ძარღვებში სისხლი გაეყინა, მაგრამ გრძნობები დაიმორჩილა და ქოხის შუაგულისაკენ განაგრძო გზა. გამუტის მიბაძვით ქოხის კუთხეში მიყრილი გროვიდან სურნელოვანი ტოტები გამოაძრო და ჩუმად დაჯდა.

როგორც კი სტუმარმა გამოიარა, დაკვირვებით მაცქერალი მეომრები შემოსვლელს მოშორდნენ, შემოეხვივნენ და მოთმინებით ელოდნენ, სანამ ხმას ამოიღებდა. გაცილებით უფრო ბევრი მათგანი დაუდევრად მიყრდნობოდა სწორ სვეტებს; სამიოთხი უხუცესი ბელადი, მათი ჩვეულებისამებრ, მიწაზე დაჯდა ცოტა წინ.

დუნკანმა სინათლით ისარგებლა, რათა მასპინძლების სახეებზე მათი განწყობა ამოეკითხა, მაგრამ გამჭრიახობამ ბევრი ვერაფერი უშველა. წინ მსხდომი ბელადები არც კი უყურებდნენ

მას. თვალები მიწისთვის ისე დაემტერებინათ, რომ ვერ შეატყობდი, პატივისცემას გამოხატავდნენ თუ უნდობლობას. ჩრდილში მდგარნი ნაკლებად იკავებდნენ თავს. დუნკანმა მალე შენიშნა მათი ცნობისმოყვარე, მალული მზერა.

ბოლოს ერთმა ჭალარაშერეულმა, მაგრამ დაკუნთულმა ვაჟკაცმა ნაბიჯი გადმოდგა და ლაპარაკი დაიწყო. იგი უაიანდოტა ანუ ჰურონთა ენაზე ლაპარაკობდა, ამიტომ ჰეიუარდს მისი სიტყვები არ ესმოდა, თუმცა ხელის მოძრაობაზე ატყობდა, რომ უფრო მშვიდად იყო ნათქვამი, ვიდრე გაჯავრებით. დუნკანმა თავი გაიქნია და ანიშნა, პასუხის გაცემა არ შემიძლიაო.

— ჩემი ძმებიდან ნუთუ არავინ იცის ფრანგული ან ინგლისური? — იკითხა ფრანგულად და კრებულს თვალი მოავლო.

მაგრამ პასუხი არავის გაუცია.

— საწყენი იქნებოდა ჩემთვის, — განაგრძო დუნკანმა. რაც კი შეეძლო, მარტივ გამოთქმებს იყენებდა, — მერწმუნა, რომ ამ ბრძენი და მამაცი ერისაგან არავის ესმის ის ენა, რომელსაც დიდი ხელმწიფე ხმარობს, როცა თავის შვილებს ელაპარაკება. მისი გული დამძიმდება, თუ დარწმუნდა, მისი წითელი მეომრები ასე მცირე პატივს სცემენ!

ამას ხანგრძლივი დუმილი მოჰყვა. არავის გამოუმჯღავნებია, რა შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე მისმა შენიშვნამ. ჰეიუარდმა რაკი იცოდა, რომ დუმილს დიდად აფასებდნენ მისი მასპინძლები, ისარგებლა ამ ადათით, რათა გონება მოეკრიბა. ბოლოს იმავე მეომარმა, რომელიც ადრე გამოელაპარაკა, გასცა პასუხი და კანადური ადგილობრივი კილოკავით ცივად ჰკითხა:

— როცა ჩვენი დიდი მამა ელაპარაკება თავის ხალხს, ჰურონის ენით ელაპარაკება?

— იგი არ განასხვავებს თავის შვილებს, მათი კანის ფერი თუნდა წითელი იყოს, შავი ან თეთრი, — განაგრძო ორჭოფუ-

ლად ლაპარაკი დუნკანმა, — მამაცი ჰურონებით, უმთავრესად, კმაყოფილია.

— მაშინ რაღას იტყვის იგი, — იკითხა ფრთხილმა ბელადმა, — როცა შიკრიკები იმ სკალპებს დაუთვლიან, ხუთი ღამის წინათ იენგიების თავზე რომ იზრდებოდნენ?

— ისინი მისი მტრები იყვნენ, — თქვა დუნკანმა და უნებურად გააჟრჟოლა, — და, უეჭველია, იტყვის, კარგია. ჩემი ჰურონები ძალიან მამაცები არიანო.

— ჩვენი კანადელი მამა კი ეგრე არ ფიქრობს. წინ ცქერისა და ინდიელების დაჯილდოების მაგიერ მისი თვალები უკან იყურებიან. ის მკვდარ იენგიებს ხედავს, ჰურონებს კი — არა. ეს რას უნდა ნიშნავდეს?

— დიდ ბელადს ფიქრები უფრო მეტი აქვს, ვიდრე ენები. ის იმას უკვირდება, მის ბილიკზე მტრები არ იყვნენ.

— მკვდარი მეომრის ნავი ჰორიკონს ვედარ გადასცურავს, — მოიღუშა ინდიელი, — მისი ყურები ღიაა დელავერებისათვის, რომლებიც ჩვენი მეგობრები არ არიან, ისინი კი უვსებენ მათ ტყუილებით.

— შეუძლებელია! მან მიბრძანა მე, რომელმაც ვიცი განკურნების ხელოვნება, წამოვსულიყავი მის შვილებთან, დიდი ტბების წითელ ჰურონებთან და მეკითხა, ვინმე ავად ხომ არ არის.

დუნკანის ამ ცნობას კვლავ ხანგრძლივი დუმილი მოჰყვა. თითქოს ამ განცხადების სიმართლესა თუ სიყალბეს იძიებენო, ერთბაშად ყველა ისეთი დაკვირვებითა და გამჭრიახობით დაამტერდა ახალგაზრდა ვაცს, რომ მათი დაკვირვების ობიექტს შედეგის მოლოდინში ააცახცახა. მაგრამ იგი კვლავ იმავე მოლაპარაკემ იხსნა.

— განა კანადის ჭკვიანი ვაცები კანს იხატავენ? — ცივად განაგრძო ჰურონმა, — ჩვენ გაგვიგონია იმათი ტრაბახი, ფერმკრთალი სახეები რომ აქვთ.

— როცა ინდიელი ბელადი თავის თეთრ მამებთან მოდის, — მიუგო დუნკანმა მტკიცედ, — იგი განზე დებს თავის ბიზონის ტყავს, რათა მისთვის შეთავაზებული პერანგი ჩაიცვას. ჩემმა ძმებმა მომხატეს და მეც ასე დავდივარ.

მოწონების ხმადაბალ ბუტბუტზე დაეტყობო, რომ ტომისადმი ნათქვამ ქათინაურს კმაყოფილებით შეხვდნენ. უფროსმა ბელადმა მოწონება ხელის მოძრაობით გამოხატა და მისი თანამემამულეების უმეტესობამაც მხარი აუბა — ყველამ ხელი გამოიშვირა და სიამოვნების ძახილი აღმოხდათ. დუნკანმა შვებით ამოისუნთქა, ეგონა გამოცდის სიმძიმე გადავითანო და ვინაიდან დამაჯერებელი ამბავიც უკვე მომზადებული ჰქონდა ნაკისრი ცრუ ხელობის გასამართლებლად, საბოლოო გამარჯვების იმედი უფრო სარწმუნო მოეჩვენა.

მცირე ხნის დუმილის შემდეგ, თითქოს გონებას იკრებს, რათა შესაფერი პასუხი გასცეს სტუმრის ნათქვამსო, სხვა მეომარი წამოდგა. ის იყო, პირის გაღებას აპირებდა, რომ, ტყიდან დაბალი, მაგრამ შემადრწუნებელი ხმა მოისმა და ამას მოჰყვა მაღალი, ყურისწამლები, მგლის ყმუილის მსგავსი კვილი. თავზარდამცემმა ხმამ დუნკანი წამოახტუნა. იმავე წამს ქოხიც დაიცალა და ჰაერიც ხმამაღალი ყიჟინით შეიძრა. ახალგაზრდა კაცმა ველარ მოახერხა თავის შეკავება, მოსწყდა ადგილს და არეულდარეული ბრბოს შუაგულში გაჩნდა, რომელიც სოფლის საზღვრებში მყოფ თითქმის ყოველ სულიერს შეიცავდა: კაცები, ქალები, ბავშვები, მოხუცები, მისუსტებულები და ღონიერები — ყველანი გამოფენილიყვნენ. ზოგი ხმამაღლა ყვიროდა, ზოგი გიჟური სიხარულით უკრავდა ტაშს და რაღაც მოულოდნელი შემთხვევის გამო, ველურ სიამოვნებას გამოხატავდა. ჰეიუარდი მალე მიხვდა, რაც ხდებოდა.

ულრანი ტყიდან გამომავალ ერთ-ერთ ბილიკზე მეომრების წკრივი გამოჩნდა და ნელა გამოემართა ბინებისაკენ. წინ მომა-

ვალს ხელში მოკლე ძელი ეჭირა, რომელზეც, როგორც შემდეგ გამოირკვა, ადამიანის რამდენიმე სკალპი ეკიდა. შემადრწუნებელი ხმები, დუნკანმა რომ გაიგონა, იყო ის, რასაც თეთრები „სასიკვდილო კივილს“ ეძახიან. ჰეიუარდი მიხვდა, რომ ეს კივილი გამარჯვებულ მეომართა რაზმის მოულოდნელი დაბრუნებით იყო გამოწვეული. გულში უხაროდა, რომ თვითონ მას არაფერი ეხებოდა.

ახლად მოსული მეომრები ქოხებიდან ასიოდე ნაბიჯში შედგნენ. მათი შემზარავი და შემადრწუნებელი კივილი, რომელსაც თანაბრად უნდა წარმოედგინა დახოცილთა გოდება და გამარჯვებულთა ზეიმიც, შეწყდა. ერთ-ერთმა მათგანმა ხმამაღლა რაღაც სიტყვები დაიძახა, რომლებსაც ხალხში დიდი ალიაქოთი მოჰყვა. ძნელია მთელი სისრულით გადმოვცეთ ველური აღტყინება, რომლითაც ინდიელებმა მეომრების შეტყობინება მიიღეს. თვალის დახამხამებაში მთელი სოფელი გაშმაგებული აურზაურის ასპარეზად იქცა. მეომრებმა დანები იძრეს, ორ რიგად ჩამწკრივდნენ და ორღობესავით გზა გააკეთეს. ქალებმა აიტაცეს კეტები და ნაჯახები და გაიქცნენ, რათა თვითონაც მიეღოთ მონაწილეობა უკეთურ თამაშში, რომელიც ის-ის იყო უნდა დაწყებულიყო. ბავშვებიც კი არ დაკლებიან — ბიჭებმა, რომლებსაც იარაღის ტარება ჯერ არც შეეძლოთ, მამებს სარტყლებიდან ტომაჰაუკები ამოაცალეს, რიგებში შეიპარნენ და თავიანთი მშობლების ველურ ქცევას მიჰბაძეს.

ახლში გაფანტულ ფიჩხის გროვებს წინდახედულმა ბებერმა ჩამოუარა და იმდენს მოუკიდა ცეცხლი, რამდენიც მომავალი სანახაობის გასანათებლად იქნებოდა საჭირო. მთელი სანახაობა საოცარ სურათს წარმოადგენდა, რომელსაც ჩარჩოდ ფიჭვების შავი, მაღალი ზღუდე ჰქონდა შემოვლებული. ახლახან დაბრუნებული ჰურონები ყველაზე შორს იდგნენ, მათზე ცოტა წინ კი — ორი კაცი.

ერთი მათგანი გამართული იდგა და მზად იყო თავის ბედისწერას გმირულად შეხვედროდა, მეორეს კი თავი ჩაეღუნა, თითქოს შიშისაგან დამბლა დასცემია ან სირცხვილი სწვავსო. დუნკანი გაფაციცებით აღევნებდა თვალყურს პირველის მოძრაობას და როცა მისი საოცრად მოხდენილი და სხარტი ტანის მშვენიერ მოხაზულობას დააკვირდა, სცადა, თავი დაერწმუნებინა, რომ ამ ახალგაზრდა ტყვეს გადარჩენის უმცირესი შანსი მაინც ჰქონდა. თავისდა უნებურად ჰურონების შიგა რიგებს მიუახლოვდა და ცნობისმოყვარეობით დაუწყო ცქერა სანახობას. სწორედ ამ დროს კივილი გაისმა. ორ მსხვერპლში უფრო დათრგუნული, არ განძრეულა; მეორე კი ირმის სიმკვირცხლითა და სისწრაფით მოსწყდა ადგილს და თვალის დახამხამებაში გაცცდა მრისხანე ბრბოს. ამ ხრიკს ასეული ხმის წყევლა-კრულვამ უპასუხა. აღელვებული ხალხი გამშაგებით მოედო იქაურობას.

ადვილი მისახვედრია, რომ დასჯის წყურვილით გახელდებული მტრების ასეთ სიმრავლეში გაქცეულს სულის მოთქმის საშუალება არ ექნებოდა. იყო ერთადერთი წუთი, როცა კაცს ეგონებოდა, ტყვეს მიაღწევსო, მაგრამ მთელმა გუნდმა გადაუჭრა გზა და უკან, უღმობელი მდევრების შუაგულისაკენ გამოაგდეს. ის შემოტრიალდა, კოცონის ალში გაირბინა, უვნებლად გაუსხლტა ხალხს და ახოს მოპირდაპირე მხარეს გაჩნდა. აქაც რამდენიმე ხნიერი და წინდახედული ჰურონი დახვდა და გამოაბრუნეს.

უცნაურად აბელილ და მბორგავ ადამიანთა შავ მასაში აღარაფერი გაირჩეოდა. ჩანდა აღმართული მკლავები, მოელვარე დანები და საშინელი კეტები, მაგრამ, ეტყობოდა, ალაღბედზე იქნევდნენ. თავზარდამცემ შთაბეჭდილებას დედაკაცების ყურისწამღები წივილ-კივილი და მეომართა გამშაგებული ყიჟინა აძლიერებდა. ხანდახან დუნკანი მოჰკრავდა ხოლმე თვალს ტყვეს, რომელიც თავგანწირული ნახტომით მიაპობდა ბრბოს.

უცბად ხალხი იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც ჰეიუარდი იდგა. უცნობი კვლავ გამოჩნდა ამ ალიაქოთში. მაგრამ ადამიანის ძალ-ღონე დიდხანს ვეღარ აიტანდა ასეთ დაძაბულობას. ამას ალბათ ტყვეც გრძნობდა. მან ისარგებლა ერთ წამს ოდნავ ღიად დარჩენილი ადგილით, გამოუსხლტა მეომრებს და თავგანწირულად, და როგორც დუნკანს მოეჩვენა, უკანასკნელად, სცადა ტყემდე მიღწევა. ლტოლვილმა თითქოს იცის, ახალგაზრდა ჯარისკაცისაგან არაფერი საფრთხეა მოსალოდნელი — რომ ჩაუქროლა, თითქმის გვერდი გაჰკრა მას. მაღალი, ზორბა ჰურონი ფეხდაფეხ მოსდევდა და საბედისწერო დარტყმით ემუქრებოდა. დუნკანმა ფეხი დაუდო და გაშმაგებული ინდიელი მიწას დაასკდა. ეს გარემოება ტყვემ ფიქრზე უსწრაფესი მოძრაობით გამოიყენა, შემოტრიალდა, მეტეორივით გაიელვა დუნკანის თვალწინ და მთავარი ქობის კარის წინ მდგარ პატარა, მოხატულ სვეტს მიეყრდნო.

დუნკანი შეშინდა, ტყვის გადარჩენაში მონაწილეობა ჩემთვისაც საბედისწერო არ გამოდგესო, მაშინვე მოშორდა იმ ადგილს და ბრბოს მიჰყვა. ხალხი მოლუშული და გაბრაზებული იყო, რომ სიკვდილით დასჯის ნახვის იმედი გაუცრუვდათ. ცნობისმოყვარეობამ ჰეიუარდი აიძულა, უცნობს მიახლოებოდა. ტყვეს ცალი ხელი მფარველი სვეტისათვის მოეხვია და მძიმედ, აჩქარებით სუნთქავდა, მაგრამ თავს ნებას მაინც არ აძლევდა, ტანჯვა ოდნავ მაინც გამოემჟღავნებინა. მის პიროვნებას ახლა უხსოვარი დროიდან დადგენილი, წმინდა ადათი იცავდა: სანამ ტომი იმსჯელებდა და მის ბედს გადაწყვეტდა.

ჰურონთა ენაზე არ მოიძებნებოდა სალანძღავი სიტყვა, რომ იმედგაცრუებულ ქალებს არ ეთქვათ გადარჩენილი უცნობისათვის. ისინი აბუჩად იგდებდნენ მის აქეთ-იქეთ წყვეტებას და მწარედ დასცინოდნენ: ფრთების ღირსი ხარ, რადგან ისრისა და დანის ხმარება არ იციო. ყოველივე ამას ტყვე უპასუხოდ ტოვებ-

და და მხოლოდ ღირსებითა და ზიზღით სავსე გამომეტყველებით უყურებდა, რაც ბრბოს უფრო ახელებდა. სწორედ ამ დროს ეშმაკმა დედაბერმა, რომელმაც თადარიგი დაიჭირა და ფინხის გროვებს ცეცხლი წაუკიდა, ხალხში გზა გამოიკვლია და ტყვის წინაშე ასპარეზი გაითავისუფლა. კუდიანის გარეგნობას ადვილად შეეძლო მისთვის გრძნეულის სახელი მოეპოვებინა. მან დაცინვით გაიშვირა გრძელი, გაძვალტყავებული ხელი და ლენაპთა ენაზე, რომელსაც მსხვერპლი უკეთ გაიგებდა, ხმამაღლა მოჰყვა ყბედობას:

— მოიხედე, დელავერო, შენი ერი დიაცების მოდგმაა და თოხი უფრო შეჭფერის შენს ხელებს, ვიდრე თოფი! თქვენი დედაკაცები ირმების დედები არიან; მაგრამ თქვენს შორის დათვი, გარეული კატა ან გველი რომ გაჩნდეს, გადაიკარგებით! ჰურონი გოგონები კაბას შეგიკერავენ და ქმარს გამოგინახავენ!

ამ იერიშს ხმამაღალი ხარხარი მოჰყვა, მაგრამ უცნობს თავი გაუნძრევლად ეჭირა და ოდნავაც არ იმჩნევდა ვინმეს იქ ყოფნას.

ტყვის თავშეკავებულობით გაცოფებულმა ბებერმა დონიჯი შემოიყარა და ხელახლა გადმოუშვა უშვერი სიტყვების ნიაღვარი, მაგრამ კვლავ ამაოდ. მართალია, თავის ხალხში ლანძღვის ხელოვნების გამოჩენილი ოსტატის სახელი ჰქონდა გავარდნილი და ახლაც, მეტისმეტი თავგამოდებისგან ქაფი მოადგა პირზე, გაქვავებულ უცნობს ერთი კუნთიც კი ვერ შეარხევინა. ვაჟკაცის შეუპოვრობით გამოწვეული შთაბეჭდილება სხვა მაყურებლებსაც გადაედო. ერთმა მოზარდმა დედაბრის დახმარება მსხვერპლის თვალწინ ტომაჰაუკის ტრიალით სცადა, მაგრამ ტყვემ სინათლისკენ მოაბრუნა თავი და ყმაწვილს ზვიადი იერით გადმოხედა, მეორე წამში კი კვლავ წყნარად მიეყრდნობოძს. მაგრამ ეს ერთი შერხევაც საკმარისი აღმოჩნდა, რომ დუნკანს დატყვევებულში უნკასი ამოეცნო.

გაოგნებისაგან სუნთქვაშეკრული და მეგობრის საბედისწერო მდგომარეობაში ყოფნით თავზარდაცემული ჰეიუარდი უკან მიაწყდა. სწორედ ამ დროს გააფთრებულ ბრბოში ერთმა მეომარმა გამოიკვლია გზა. ხელის მკაცრი მოძრაობით ქალებს და ბავშვებს ანიშნა, განზე გადაექითო; უნკასს მკლავში ხელი მოჰკიდა და სათათბირო ქოხის კარისაკენ წაიყვანა. მათ მიჰყვნენ ყველა ბელადი და ყველაზე გამორჩენილი მეომრები, რომელთა შორის აწრიალებულმა ჰეიუარდმაც მოახერხა ისე შეძრომა, რომ ყურადღება არავის მიუქცევია.

რამდენიმე წუთს მოუნდნენ რანგისა და გავლენის შესაბამისად ქოხში განლაგებას. ხნიერი და მთავარი ბელადები ვრცელი ნაგებობის კარგად განათებულ ნაწილში, ხოლო უმცროსები და უფრო დაბალი რანგისანი კი უკან განლაგდნენ. ქოხის შუაგულში, სწორედ სახურავში დატოვებული ნახვრეტის ქვეშ უნკასი იდგა — წყნარი, მედიდური და შეუპოვარი. იმის ამაყ და ზვიად ქცევას უკვალოდ არ ჩაუვლია — მტრები უცნობის გაბედულების წინაშე აღტაცებას ვერ მალავდნენ.

სულ სხვაგვარად იყო იმ კაცის საქმე, რომელიც დუნკანმა თავისი მეგობრის გვერდით მდგარი დაინახა და რომელიც მთელი ამ გამშაგებელი ღრიანცელის დროს დევნაში ჩარევის ნაცვლად, სირცხვილისა და თავლაფდასხმულობის გამომხატველი ქანდაკებასავით დარჩა თავჩაქინდრული. მისთვის ხელი არავის გაუწვდია. ის ისე შევიდა ქოხში, თითქოს ბედისწერა ერეკებაო, რომლის მსჯავრსაც იგი, ეტყობოდა, უდრტვინველად ემორჩილებოდა. ჰეიუარდმა პირველივე შესაძლებლობა გამოიყენა, რომ ის კაცი შეეთვალაიერებინა, გული კი უკანკალებდა, კიდევ ნაცნობ სახეს არ შევეფეთოლო, მაგრამ უცნობი გამოდგა და, რაც კიდევ უფრო გაუგებარი იყო, ჰურონ მეომარს ჰგავდა.

როცა ყველამ შესაფერი ადგილი დაიჭირა და ქოხში სამარისებური სიჩუმე დამყარდა, მკითხველისათვის უკვე ნაცნობმა ჭა-

ღარა ბელადმა ლენი-ლენაპთა ენაზე ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი.

— დელავერო, — თქვა მან, — მართალია, დიაცთა ერისა ხარ, შენ თვითონ ვაჟკაცი გამოდექი. გაჭმევდი, მაგრამ ვინც ჰურონთან შეექცევა საჭმელს, მისი მეგობარი უნდა გახდეს. მშვიდობით მოისვენე დილას მზის ამოსვლამდე, მაშინ გეტყვით ჩვენს სიტყვას.

— შვიდ ღამეს და ამდენივე ზაფხულის დღეს ვმარხულობდი ჰურონების კვალში ჩამდგარი, — ცივად მიუგო უნკასმა, — ლენაპის შვილებმა იციან, როგორ უნდა იარონ სიმართლის გზაზე და ჭამისათვის კი დრო არ დაკარგონ.

— ორი ჩემი ახალგაზრდა შენს ამხანაგს დაედევნა, — განაგრძო მეორემ და თითქოს ყურადღება არ მიაქცია დატყვევებულის ტრაბახს, — როცა ისინი დაბრუნდებიან, მაშინ იტყვიან ჩვენი ბრძენი ვაცები, მოკვდები თუ იცოცხლებ!

— განა ჰურონს ყურები არ ასხია? — ზიზღით შესძახა უნკასმა, — რაც თქვენი ტყვეა, დელავერმა ნაცნობი თოფის ხმა ორჯერ გაიგონა. თქვენი ახალგაზრდები აღარასოდეს დაბრუნდებიან!

ამ დაბეჯითებულ მტკიცებას დუმილი მოჰყვა. დუნკანი მიხვდა, მოჰიკანმა მზვერავის საბედისწერო თოფი ახსენაო, წინ გადმოიხარა, რათა დაჰკვირვებოდა, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა იგი გამარჯვებულებზე, მაგრამ ბელადი მხოლოდ ამ უბრალო პასუხით დაკმაყოფილდა:

— თუ ლენაპები ასე მარჯვენი არიან, რატომღა არის მათი ყველაზე გულადი მეომარი აქ?

— ის ფეხდაფეხ მისდევდა გაქცეულ ლაჩარს და მახეში გაება!

უნკასმა ამ პასუხისას თითი განმარტოებული ჰურონისაკენ გაიშვირა, მაგრამ ასეთ უღირს საგანზე სიტყვის გაგრძელება აღარ იკადრა. პასუხმა დიდი ჩოჩქოლი გამოიწვია. ყველამ

მწყრალად გაიხედა მითითებული კაცისაკენ და ხალხში ხმადაბალი, მრისხანე ბუტბუტი გაისმა.

ამასობაში, შუაგულში მსხდომი უფრო ხნიერი ბელადები მოკლე, ნაწყვეტ-ნაწყვეტი წინადადებებით თათბირობდნენ. მერე კვლავ ხანგრძლივი, საზეიმო დუმილი გამეფდა. ყველა დამსწრემ იცოდა, რომ ეს დუმილი მძიმე და მნიშვნელოვანი მსჯავრის წინამორბედი იყო. უკან მდგომნი ფეხის წვერებზე დგებოდნენ, ერთი წამით თვით ბრალდებულსაც კი დაავიწყდა სირცხვილი და წამოიწია, რათა თვალი ბელადების ჩაშავებული კრებულისათვის მოეფლო. ბოლოს დუმილი ხშირად ნახსენებმა ხნიერმა მეომარმა დაარღვია. ის წამოდგა, ჩაუარა გაუნძრევლად მდგარ უნკასს და ღირსეული, მედიდური იერით დამნაშავის წინაშე შედგა. ამ დროს წრეში გემოხსენებული დამტყვნარი დედაბერი შემოვიდა უცნაური ცეკვით. ხელში ჩირაღდანი ეჭირა და ალბათ ერთგვარი შელოცვის გაურკვეველ სიტყვებს ბუტბუტებდა.

როცა უნკასს მიუახლოვდა, აგიზგიზებული ჩირაღდანი ისე დაიჭირა, რომ წითელი შუქის ელვარება მთელ მის სხეულს მისდგომოდა და მისი სახის ოდნავი მოძრაობაც კი გამოეჩინა. მოჰიკანი ბელადი კვლავ მტკიცედ და ამაყად იდგა, აინუნშიც არ აგდებდა დედაბრის დაჟინებულ მზერას და ისე გულმოდგინედ იყურებოდა შორს, თითქოს მის წინ აღმართულ ვერც ერთ დაბრკოლებას ვერ ხედავდა. დედაბერი კმაყოფილი სახით მოსცილდა უნკასს და ახლა თავის დამნაშავე თანამემამულეს მიმართა.

ახალგაზრდა ჰურონის საომრად მოხატულ, მშვენივრად გამონაკვეთულ სხეულს ოდნავ ფარავდა სამოსი. დუნკანმა ზიზღით იბრუნა პირი, როცა დაინახა, რომ მსხვერპლი სულთმობრძავით იმანჭებოდა. დედაკაცმა ის-ის იყო ხმადაბალი, მწუხარე

ცმული წამოიწყო ამ დამაღონებელი, სამარცხვინო სურათის დანახვაზე, რომ ბელადმა ხელი გაიწოდა და განზე გასწია იგი.

— დრეკადო ლერწამო, — მიმართა მან ახალგაზრდა ბრალდებულს საკუთარ ენაზე, — თუმცა დიდმა სულმა თვალისთვის საამური შეგქმნა, უკეთესი იქნებოდა, არ დაბადებულიყავი. შენი ენა სოფელში გრძელია, ბრძოლაში კი — მოკლე. არც ერთი ჩემი ახალგაზრდა მეომარი შენზე უფრო ღრმად არ ჩაასობს ტომაჰაუკს ომის სვეტს და არც ერთი შენზე უფრო მსუბუქად — იენგიებს. მტერმა იცის შენი ზურგის მოყვანილობა, მაგრამ არასოდეს უნახავს შენი თვალის ფერი. სამჯერ გამოგიწვიეს მათ და სამჯერვე დაივიწყე პასუხი. შენ სახელს აღარასოდეს ახსენებს შენი ხალხი — ის უკვე დავიწყებულიც არის!

როცა ბელადი დინჯად წარმოთქვამდა ამ სიტყვებს და ყოველი წინადადების ბოლოს ჩერდებოდა, ბრალდებულმა მოწიწების ნიშნად თავი ასწია. სირცხვილი, ელდა და ამპარტავნება მის მეტყველ ნაკვთებზე ერთმანეთს ებრძოდა. უცბად სიამაყის გრძნობამ იმძლავრა: იგი წამოდგა, მკერდი გადაიღელა და თვალი გაუსწორა ბასრ, ალაპლაპებულ დანას, რომელიც უკვე შეემართა უღმობელ მსაჯულს. როცა მახვილი ნელა ჩაესო გულში, მან გაიღიმა კიდევ, თითქოს სიხარულით, რომ სიკვდილი იმაზე უფრო ნაკლებ საშინელი გამოდგა, ვიდრე ეგონა და დაენარცხა გაქვავებული და შეუდრეკელი უნკასის ფერხით.

ბებერმა ხმამაღლა, გულისგამგმირავად დაიკვილა, ჩირაღდანი მიწაზე დაახეთქა და ყველაფერი წყვდიადში გახვია. მაყურებელთა მთელი კრებული დამფრთხალი სულებივით გაილალა ქოხიდან და დუნკანს ეგონა, მხოლოდ მე და ინდიელთა სამსჯავროს ჯერ კიდევ სულთმობრძავი მსხვერპლია დავრჩით.

ასე იტყოდა ბრძენი: მეფეები დაუყოვნებლივ წყვეტენ თათბირს და წინამძღოლიც ეთანხმება მათ.

პოუპის „ილიადა“

ერთი თვალის დახამხამება კმაროდა, რათა ჭაბუკი თავის შეცდომაში დარწმუნებულიყო. მკლავში ღონივრად მოუჭირეს ხელი და მერე უნკასის დაბალმა ხმამ ყურში წასჩურჩულა:

— ჰურონები ძალღები არიან! ჯაბანის სისხლის დანახვა მეომარს ვერასოდეს შეაკრთობს. „ჭალარა თავი“ და საგამორი სამშვიდობოს იმყოფებიან და ქორის თვალის თოფსაც არ სძინავს. წადი: უნკასი და „ხელგაშლილი“ ახლა უცნობები არიან. კმარა!

ჰეიუარდი სიამოვნებით მოისმენდა კიდევ უფრო მეტს, მაგრამ მისმა მეგობარმა დროულად უბიძგა ხელი კარისაკენ და თავიდან ააცილა საფრთხეში ჩავარდნა, რომელიც შეიძლებოდა მათი ნაცნობობის გამომჟღავნებას მოჰყოლოდა. იგი ზღაბვნივით, უხალისოდ დაემორჩილა აუცილებლობას, გავიდა და ქოხის ახლოს შემოჯარულ ბრბოში შეერია. მინელებული კოცონები მკრთალ, შავ ბუნდოვან შუქს ჰფენდა წინ და უკან მდუმარედ მთარულ შავ ფიგურებს. დროდადრო ჩვეულებრივზე უფრო კაშკაშა შუქი გაიელვებდა ხოლმე ქოხის წყვდიადში და ჰურონის გვამთან ასვეტილ უნკასს აჩენდა.

მალე მეომართა პატარა ჯგუფი ისევ ქოხში შევიდა, გამოიტანეს უსულო ცხედარი და იქვე ახლოს ტყისაკენ წაიღეს. ამბის ასე საზეიმო ვითარებით დასრულების შემდეგ დუნკანი, რომელსაც არც არავინ ეკითხებოდა რამეს და არც ყურადღებას აქცევდა, ქოხებს შორის ხეტიალს მოჰყვა და სცადა როგორმე აღმოეჩინა

მისი კვალი, ვისი გულისთვისაც თავი საფრთხეში ჩააიგდო. ალისას ბედზე ფიქრის გარდა ახლა კიდევ ახალი დარდიც დაერთო და ხელი შეუწყო მის იქ დარჩენას. მთელ სოფელს შემოუარა, ყველა ქოხში შეიჭვრიტა, მაგრამ იმედი სულ უცრუვდებოდა. უნაყოფო ძიებას რომ თავი დაანება, კვლავ სათათბირო ქოხში დაბრუნდა. გადაწყვიტა დავითი მოეძებნა.

როცა შენობას მიაღწია, რომელიც, აღმოჩნდა, თანაბრად ასრულებდა სამსჯავროსა და დასჯის ადგილის მოვალეობას, დუნკანმა შენიშნა, რომ შფოთი უკვე დამცხრალიყო. მეომრები ისევ შეკრებილიყვნენ, წყნარად აბოლებდნენ და დინჯად მუსაიფობდნენ ჰორიკონის სათავეში ამას წინათ მომხდარ ლაშქრობაზე. დუნკანის დაბრუნებას უნდა მოეგონებინა მათთვის, რომ საეჭვო სტუმარი ჰყავდათ, მაგრამ თითქოს არავის შეუმჩნევია. ამდენად, ახლახან მომხდარი შემადრწუნებელი ამბავი მისთვის სასარგებლო გამოდგა და საკუთარი გრძნობების გარდა სხვა მოკარნახე არ დასჭირვებია, რათა ასეთი ხელსაყრელი შემთხვევის გამოყენება გადაეწყვიტა.

იგი უყოყმანოდ შევიდა ქოხში და მასპინძლების მსგავსად, დარბაისლურად ჩამოჯდა. უნკასი კვლავ იმ ადგილას იდგა, სადაც მან დატოვა. დავითი არ ჩანდა. ტყვეს სხვა არაფერი ზღუდავდა, გარდა იქვე ახლოს მდგომი ახალგაზრდა ჰურონის გამჭრიახი თვალისა; თუმცა ერთი შეიარაღებული მეომარიც მიყრდნობოდა ვიწრო ბოძს, რომელიც წირთხლის მაგივრობას ასრულებდა. სხვა მხრივ, ტყვე სრულიად თავისუფალი ჩანდა. იგი კვლავ მთლიანად გამოსთიშოდა საუბარს და ნატიფად გამოკვეთილ ქანდაკებას უფრო ჰგავდა, ვიდრე ცოცხალ ადამიანს.

ჰეიუარდს რაიმე აბეზარი, კადნიერი ქცევით საფრთხეში თავის ჩაგდება არ უნდოდა, რადგან საკუთარი თვალთ ნახა, რა სწრაფად გამოჰქონდა მსჯავრი ამ ხალხს და მაშინვე აღასრულებდა კიდევ. ლაპარაკს ჩუმად, ფიქრებში ყოფნა ერჩია, რაკი

მისი ნამდვილი მდგომარეობის გამომჟღავნება შეიძლებოდა საბედისწეროც გამომდგარიყო. ამ ჭკვიანური გადაწყვეტილების საწინააღმდეგოდ, დუნკანის მასპინძლები, ეტყობოდა, სხვა-რიგად ფიქრობდნენ. დიდხანს არ მჯდარა იგი თავის ადგილზე, რომელიც საგანგებოდ ცოტა ბნელი ამოარჩია, რომ ფრანგულად მოლაპარაკე მეორე ხნიერმა მეომარმა მიმართა:

— ჩემი კანადელი მამა თავის შვილებს არ ივიწყებს! მადლობელი ვარ. ავი სული დაჰპატრონებია ერთი ჩემი ახალგაზრდა მეომრის ცოლს. გამჭრიახ უცხოელს შეუძლია დააფრთხოს იგი?

ჰეიუარდმა ცოტა რამ იცოდა თაღლითობისა, ამისთანა შემთხვევაში რომ იყენებენ ინდიელები. მაშინვე დაატყო, რომ ეს საქმე შეიძლებოდა სასიკეთო გამომდგარიყო თავისი მიზნებისათვის. ამიტომ ძნელი იყო ამჟამად ვინმეს შეეთავაზებინა სხვა რაიმე წინადადება, რომელიც ამაზე მეტად ასიამოვნებდა. იცოდა, ჩემი მოგონილი ხელობის ღირსების დაცვაც საჭიროაო — დაითრგუნა გრძნობები და შესაბამისი იდუმალებით უპასუხა:

— სულები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ზოგი სიბრძნის ძალას ემორჩილება, ზოგი კი ძალიან მძლავრია.

— ჩემი ძმა დიდი მკურნალია! — თქვა ცბიერმა ინდიელმა, — ხომ სცდის?

დასტურის აღმნიშვნელი ხელის მოძრაობა იყო პასუხი. ჰურონი ამით დაკმაყოფილდა, კვლავ თავის ჩიბუხს მიუბრუნდა და წასვლისათვის შესაფერ დროს ელოდა. ფიცხი ჰეიუარდი გულში წყევლიდა ინდიელების ადათებს და იძულებული იყო, ისეთივე გულგრილი იერი მიეღო, როგორსაც ბელადი ინარჩუნებდა, რომელიც ნამდვილად სნეული ქალის ახლო ნათესავი იყო. დუნკანის ვარაუდით, ერთი საათის მერე, ჰურონმა გადადო ჩიბუხი და მკერდზე წამოსასხამი შემოიხვია. სწორედ ამ დროს, ზორბა მოყვანილობის მეომარი შემოვიდა და ტოტების იმ დაბალი გროვის ერთ ბოლოში დაჯდა, რომლის მეორე მხარეც დუნ-

კანს ეჭირა. ჰეიუარდმა შეშფოთებით გადაავლო თვალი მეზობელს და იგრძნო, რომ დაუძლეველი შიშით აუცახცახდა ტანი, როცა ასე ახლოს იხილა მაგუა.

ამ ცბიერი და შიშის ზარის დამცემი ბელადის უეცარმა დაბრუნებამ ჰურონს წასვლა გადაადებინა. ჩიბუხებს ისევ ცეცხლი მოუკიდეს. ახალმოსულმაც კრინტის გაუღებლად ამოიძრო სარტყლიდან ტომაჰაუკი, გატენა ჩიბუხი და ისე არხეინად შეუდგა მოწევას, თითქოს ორი დამქანცველი დღე არ გაეტარებინოს ნადირობაში. ამ ყოფაში გავიდა ათამდე წუთი, რომელიც ათ საუკუნედ ეჩვენა დუნკანს, და მეომრებიც კარგად გაეხვივნენ თეთრი კვამლის ნისლში. ერთმა მათგანმა დინჯად წარმოთქვა:

— მოხვედ მშვიდობით! ჩემს მეგობარს ცხენირემი შეხვდა?

— ახალგაზრდები მათი სიმძიმის ქვეშ ბარბაცებენ, — მიუგო მაგუამ, — „დრეკადი ლერწამი“ დაადგეს ნადირობის ბილიკს და იგი შეხვდება მათ.

აკრძალული სახელის ხსენებას ავბედითი დუმილი მოჰყვა. უმრავლესობა მიწას დააშტერდა, მაგრამ რამდენიმე უფრო ახალგაზრდა და ნაკლებ გამოჩენილი მეომარი ველურ, აღგზნებულ თვალებს აბრიალებდა თმათეთრი ინდიელისაკენ, რომელიც ტომის ორ ყველაზე გამოჩენილ ბელადს შორის იჯდა. იერსა და ტანსაცმელზე არაფერი ემჩნეოდა ისეთი, რომელიც ამგვარი განსაკუთრებული ყურადღების ღირსი შეიძლება ყოფილიყო. გარშემო მყოფი უმრავლესობის მსგავსად ერთ წუთზე მეტხანს იმასაც მიწისთვის ჰქონდა დაშტერებული თვალი; მაგრამ ბოლოს, როცა შეპარვით თვალის მოვლება გაბედა, შენიშნა, რომ ყველანი მას უცქერდნენ. მაშინ წამოდგა და ხმა აიმაღლა.

— ტყუილია, — თქვა მან, — მე შვილი არ მყოლია! ვისაც ეგ სახელი ერქვა, დავიწყებულია. მისი ფერმკრთალი სისხლი ჰურონის ძარღვებიდან არ წამოშობილა. ბოროტმა ჩიპეუებმა გააბრიყვეს ჩემი დედაკაცი! დიდმა სულმა ბრძანა, უის-ენ-ტუშის გვა-

რი მოსპოსო... ბედნიერია, ვინც იცის, რომ მისი მოდგმის ავი მასთან ერთად კვდება! მე მოვრჩი!

მერე მამამ აქეთ-იქით მიმოიხედა, თითქოს მსმენელთა თვალში მოწონებას ეძებო. მაგრამ მისი ხალხის მკაცრი ადათები სასტიკ მოთხოვნილებას უყენებდა დაუძღურებულ ბერიკაცს. მისი თვალების გამომეტყველება ეწინააღმდეგებოდა ხატოვან, ტრაბახა ენას, ხოლო შავგვრემანი, დანაოჭებული სახის ყოველი კუნთი შინაგანი ტკივილით ეგრიხებოდა. მერე პირი იბრუნა, თითქოს ხალხის ცქერაზე გული წაუხდაო, პირზე წამოსასხამი აიფარა და ინდიელის უხმო ნაბიჯით გავიდა გარეთ, რათა საკუთარ ბინაში ეპოვა მასავით მოხუცი, მიტოვებული და უშვილო დედაბრის თანაგრძნობა.

ინდიელებს, რომელთა რწმენით, ხასიათის ღირსება და ნაკლი მემკვიდრეობით გადაეცემა, დუმილი არ დაურღვევიათ. მაშინ ბრდილობით, რომელიც ბევრი უფრო განათლებული საზოგადოების წევრისასაც არაფრით ჩამოუვარდებოდა, ერთმა ბელადმა ახალგაზრდების ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანა და მხიარულად დაიწყო ლაპარაკი, ოღონდ თავაზიანობისათვის მაგუსს მიმართა, როგორც ახლად მოსულს:

— დელავერები დაძრწოდნენ ჩემი სოფლის ირგვლივ, თათლის გეჯების გარშემო მოხეტიალე დათვებივით. მაგრამ ვინ მოასწრებს ჰურონს მძინარს?

სამეხედ გამზადებული ჩამოწოლილი ღრუბლის სიშავეც კი არაფერი იქნებოდა მაგუსს სახის გამომეტყველებასთან, რომელმაც შესძახა:

— ტბების დელავერები?

— არა. ისინი, დიაცთა კაბებს საკუთარი მდინარის ნაპირებზე რომ ატარებენ. ერთმა მათგანმა ჩაუარა ტომს.

— ჩემმა ახალგაზრდებმა ააძრეს სკალპი?

— კარგი ფეხები ჰქონდა, თუმცა, მკლავი კი თოხისთვის უკეთესი აქვს, ვიდრე ტომაჰაუკისათვის, — მიუგო მეორემ და ხელი გაუნძრევლად მდგარი უნკასისაკენ გაიშვირა.

ღიაცური ცნობისმოყვარეობის გამომჟღავნებისა და მისთვის საძულველი ხალხის დატყვევებული შვილის ცქერის ნაცვლად მაგუა მოწევას განაგრძობდა, თუმცა გულში მოხუცი მამის სიტყვაში გადაკრული ამბები გაუკვირდა, არაფერი უკითხავს — თავისი კითხვები უფრო მოხერხებული დროისათვის გადადო. კარგა ხნის შემდეგ გამობერტყა ჩიბუხი, კვლავ თავის ადგილას გაიკეთა ტომაჰაუკი, მოიჭირა სარტყელი, წამოდგა და პირველად გაიხედა უკან მდგარი ტყვისაკენ. ფიქრებში გართულმა უნკასმა თვალი მოჰკრა მის მოძრაობას, უცბად მოტრიალდა და მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა. თითქმის ერთ წუთს ამ ორ გულად და ქედმოუდრეკელ სულს შეუპოვრად ჰქონდა თვალი თვალში გაყრილი და ოდნავაც არ კრთებოდა. უნკასის სხეული თითქოს გაგანიერდა, ნესტოები ხაფანგში მომწყვდეული ვეფხვივით დაებერა, მაგრამ მაინც ისე შეუდრეკლად იდგა, კაცს მისი ტომის ომის ღვთაების გამოსახულება ეგონებოდა. მაგუას გამომეტყველებამ ნელ-ნელა დაკარგა გამომწვევი ხასიათი, გამამაგებელი სიხარული დაეტყო, ღრმად ამოისუნთქა და ხმამაღლა დაიძახა მრისხანე სახელი:

— ფეხმალი ირემი!

ყველა მეომარი ამ კარგად ცნობილი სახელის გაგონებაზე ფეხზე წამოიჭრა. საძულველი და თანაც პატივდებული სახელი თითქმის ერთხმად გაიმეორეს და ეს ხმა ქოხის გარეთაც გაიჭრა. შემოსასვლელის ახლოს მყოფმა ქალებმა და ბავშვებმა გამოძახილივით აიტაცეს სიტყვები და მწუხარე კივილიც მოაყოლეს. ეს ხმა ჯერ კიდევ არ მიმწყდარიყო, რომ კაცებში ჩოჩქოლი მიწყნარდა. ყველა დაჯდა, თითქოს თავიანთი აჩქარებულობისა

შერცხვათო, თუმცა დიდი ხნის განმავლობაში ტყვისთვის თვალი არ მოუცილებიათ.

უნკასი გამარჯვებით ტკბებოდა. სახეზე ზიზღი აღბეჭდოდა. მაგუამ თვალი მოჰკრა ამ გამომეტყველებას, აღმართა ხელი და მუქარით დაუქნია ტყვეს. სამაჯურზე მიმაგრებული ვერცხლის სამკაულები ხელის აღელვებული რხევის დროს აჟღარუნდნენ, თითქოს შურისძიებას ხმას უწყობენო, როცა ცბიერმა მელამ ინგლისურად შესძახა:

— მოჰიკანო, შენ მოკვდები!

— სამკურნალო წყლები ვეღარ გააცოცხლებენ დახოცილ ჰურონებს! — მიუგო უნკასმა დელავერთა ტკბილ ენაზე, — მდელვარე მდინარეს მიაქვს მათი ძვლები! მათი კაცები დიაცები არიან; მათი ქალები — ბუკნაჭოტები. წადი, თავი მოუყარე ძაღლ ჰურონებს, რომ მეომარი ნახონ. ჩემი ნესტოები შეურაცხყოფილია — ლაჩრის სისხლის სუნი სცემს!

უკანასკნელი სიტყვა გულზე მოხვდათ და აბუჩად აგდებამ გაამწარათ. ბევრ ჰურონს, მათ შორის, მაგუასაც, ესმოდა უცხო ენა, რომლითაც ტყვე ლაპარაკობდა. ცბიერმა ინდიელმა შენიშნა და მაშინვე ისარგებლა კიდევ ხელსაყრელი შემთხვევით. ბეჭიდან ტყავის მსუბუქი წამოსასხამი გადაიგდო, გაიშვირა მკლავი და მისმა მზაკვრულმა მჭევრმეტყველებამ გადმოხეთქა. როგორც უნდა შესუსტებულიყო მისი გავლენა, მშობლიურ ხალხში მისი სიმამაცე და მჭევრმეტყველის სახელი უდავო იყო. მას ყოველთვის ჰყავდა მსმენელები და იშვიათად, რომ თავის მხარეზე არ გადმოებირებინა ისინი. ამჟამად მის ბუნებრივ უნარს შურისძიების მძაფრი წყურვილიც აძლიერებდა.

კვლავ მოუთხრო მათ გლენის კუნძულზე იერიშის, ამხანაგების დახოცვისა და ყველაზე საშიში მტრებისგან თავის დაღწევის ამბები. მერე იმ მთის ბუნება და მდებარეობა აღწერა, რომელზეც ტყვეები აიყვანა. ქალიშვილების მიმართ სისხლიან გან-

ზრახვასა და მის ჩაფუშულ ბოროტ წადილზე კრინტი არ დაუძრა და პირდაპირ „გრძელი თოფის“ გუნდის მოულოდნელ თავდასხმასა და მის საბედისწერო დასასრულზე გადავიდა. აქ შედგა და თვალი მოავლო მსმენელთ, ვითომდა განსვენებულთა ხსოვნისადმი მოწიწების ნიშნად, მაგრამ სინამდვილეში კი, სურდა დაჰკვირვებოდა, რა შთაბეჭდილება მოახდინა მისი სიტყვის შესავალმა. ჩვეულებისამებრ, ყველა მას შეჰყურებდა. გაუნძრევლად და დაძაბულად უსმენდნენ.

შემდეგ მაგუამ ხმას დაუწია, რომელიც აქამდე მკაფიო, მძლავრი და მაღალფარდოვანი იყო და მიცვალებულების ღირსებათა დახასიათებას შეუდგა. არც ერთი ღირსება, რომელიც შესაძლო იყო ინდიელს მოსწონებოდა, მხედველობიდან არ გამოჩენია. ისე, რომ ასე ცოტა ოჯახებისაგან შემდგარ ტომში მოახერხა ყველა ის სიმი აეჟღერებინა, რომელსაც თავის მხრით შეეძლო, გამოძახილი ეპოვა რომელიმეს გულში.

— ჩემი ახალგაზრდების ძვლები, — დაასრულა მან, — განა ჰურონთა სასაფლაოზეა? თქვენ იცით, რომ არა. მათი სულები ჩამავალი მზისკენ წავიდნენ და უკვე დიდ წყლებს გადადიან ბედნიერი სანადირო ადგილებისაკენ. მაგრამ ისინი უსურსათოდ არიან წასულნი, უთოფოდ, ფეხშიშველნი და ტანშიშველნი... განა ეს შეიძლება? განა მათი სულები მართალთა ქვეყანაში მშვიერი იროკეზებისვით ანდა ქალაჩუნა დელავერებისვით უნდა შევიდნენ? ჩვენი მამა-პაპანი ხომ იფიქრებენ უაიანოტთა ტომს რა დამართნიაო? ისინი წარბშეჭმუხნით გადმოხედავენ თავიანთ შვილებს და იტყვიან: წადით, ჩიპეუები მოსულან აქ ჰურონების სახელითო. ძმებო, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ მიცვალებულნი. წითელკანიანს არაფერი ავიწყდება. ისინი შველას გვთხოვენ, ჩვენი ყურები კი დახშულია; ისინი გვეძახიან, არ დავივიწყოთო. როცა დაინახავენ მათ უკან ლასლასით მიმავალი მოჰიკანის სულს, ეცოდინებათ, რომ ჩვენ ისინი გვახსოვს.

მაშინ კი ბედნიერად განაგრძობენ გზას და ჩვენი შვილებიც იტყვიან: რასაც უკეთებდნენ ჩვენი მამები თავიანთ მეგობრებს, ჩვენც ასე უნდა გავუკეთოთ იმათო. რა არის იენგი? ბევრი დახლოცეთ, მაგრამ მიწა მაინც ფერმკრთალია. ჰურონის სახელზე დატოვებულ ლაქას მხოლოდ ინდიელის ძარღვებიდან დადენილი სისხლი მობანს. მაშ, დაე, ეს დელავერი მოკვდეს!

ორატორის მჭევრმეტყველი კილოთი წარმოთქმული ასეთი მხურვალე სიტყვა იშვიათად ჩაივლის ამაოდ. მაგუამ ისე მზავრულად გადახლართა ერთმანეთში თავის მსმენელთა მიდრეკილებანი რელიგიურ ცრურწმენასთან, რომ თანამემამულეთა სულებისათვის მსხვერპლის შესაწირად ადათისაგან უკვე შემზადებულმა მათმა გონებამ სრულიად დაკარგა კაცთმოყვარეობის ყოველი ნიშანწყალი და შურისძიებით აანთო. განსაკუთრებით ერთი მეომარი, ველური და შმაგი შესახედაობის ვაჟკაცი, უსმენდა მოლაპარაკეს დიდი გულისყურით. სახე ყოველ წამს ეცვლებოდა, ბოლოს კი გაბოროტება გამოესახა.

მაგუამ რომ დაამთავრა, წამოხტა, საშინლად დასტყვივლა და ჩირაღდნის სინათლებზე თვალი მოჰკრეს მის თავზე დატრიალებულ პატარა ნაჯახს. მოქმედება და კივილი ისე მოულოდნელი იყო, რომ ველარავინ შეაჩერებდა მის სისხლიან განზრახვას. უცებ გეგონებოდათ, მისი ხელიდან ელვარე სხივი გამოვარდაო. ეს გატყორცნილი ტომაშაუკი იყო. ბასრმა იარაღმა უნკასს ქოჩორში გაკეთებული მოკლე საომარი ფრთა წაჰკვეცა და ქოხის თხელი კედელი გააპო.

დუნკანმა დაინახა ეს საშიში მოძრაობა და წამოხტა. გული, მართალია ყელში ეჩრებოდა, მაგრამ მეგობრის საშველად იყო აღტყინებული. როცა უნკასს ნასროლი ასცდა, შიში აღტაცებად შეეცვალა. უნკასი წყნარად იდგა. მარმარილო არ იქნებოდა იმაზე ცივი, მშვიდი და მტკიცე, როგორც მისი გამომეტყველება. შემდეგ, თითქოს ებრალება, სიმარჯვე რომ აკლიაო, — რაც

ასე საბედნიერო კი აღმოჩნდა მისთვის, — გაიღიმა და თავის ენაზე ზიზღით ორიოდ სიტყვა წაიბუტბუტა.

— არა! — თქვა მაგუამ, როცა დარწმუნდა ტყვე გადარჩაო, — მზემ უნდა იხილოს მისი შერცხვენა. დიაცებმა უნდა ნახონ ამის ათრთოლებული ხორცი, თორემ ჩვენი შურისძიება ბაღღურ თამაშს ემგვანება. აბა, წაიყვანეთ ეგ იქ, სადაც სიწყნარეა, ვნახოთ, დელავერს თუ შეუძლია ღამით დაძინება, დილით კი სიკვდილი!

ახალგაზრდებმა, რომელთაც პატიმრის გუშაგობა ჰქონდათ დაკისრებული, მაშინვე ლაფნის თოკებით გაუკრეს მკლავები და ღრმა, ავის მომასწავებელი დუმილის თანხლებით ქოხიდან გაიყვანეს. კარის ზღურბლს რომ მიაღწია, უნკასი მხოლოდ მაშინ შედგა. მოიხედა და ელვისებურ, მედიდურ გამოხედვაში, რომლითაც შეათვალიერა გარშემო მტრების წყება, დუნკანმა ისეთი ნაპერწკალი შეამჩნია, რაც მისდა სასიხარულოდ, შეიძლებოდა ისე აეხსნა, რომ უნკასს ჯერ კიდევ არ დაჰკარგოდა იმედი.

მაგუა დაკმაყოფილდა გამარჯვებით, თუ ძალიან იყო გართული თავის საიდუმლო გეგმებით — მეტი გამოკითხვები აღარ დაუწყია. წამოსასხამი შეიბერტყა, მკერდზე შემოიხვია და ისიც გარეთ გავიდა — აღარ გამოსდევნებია საქმეს, რომელიც შეიძლებოდა საბედისწერო გამხდარიყო მის გვერდში მყოფი ადამიანისათვის. ჰეიუარდმა საშიში და გამჭრიახი მტრის წასვლის შემდეგ შვებით ამოისუნთქა. მაგუას სიტყვით გამოწვეული ჩოჩქოლი ნელ-ნელა ჩადგა. მეომრები ისევ დასხდნენ და კვამლის ღრუბელმა კიდევ ერთხელ აავსო ქოხი. თითქმის ნახევარ საათს კრინტი არ დაძრულა და განზეც კი არავის გაუხედავს.

ბელადი, რომელმაც დუნკანს შველა სთხოვა, მოწვევის დამთავრების შემდეგ საბოლოოდ მოემზადა წასასვლელად. ცრუ ექიმს თვითონ ანიშნა, მომყვიო და კვამლის ღრუბლიდან თავდაღწეულმა დუნკანმა უზომოდ გაიხარა, რომ, როგორც იქნა,

გრილი და გამახალისებელი ზაფხულის საღამოს სუფთა ჰაერის ჩასუნთქვას ეღირსა.

იმ ქოხებისაკენ წასვლის მაგიერ, რომლებიც ჰეიუარდმა ტყუილად შემოიარა, მისმა თანამგზავრმა განზე გადაუხვია და სოფლის თავს წამომდგარი მთის ძირისაკენ გაემართა. მის ფუძეს ირგვლივ ჯაგნარი ერტყა და საჭირო გახდა დაკლავნილ, ვიწრო ბილიკს გაჰყოლოდნენ. ბავშვებს განეახლებინათ მინდორზე თამაში და დიდების მიბაძვით მფარველ სვეტამდე გარბენობანას თამაშობდნენ. თამაში ნამდვილისათვის უნდოდათ დაემსგავსებინათ, ამიტომ ერთმა ყველაზე გამბედავმა ბიჭმა რამდენიმე მუგუზალი დააგდო აქამდე დაწვას გადარჩენილ ფიჩხის გროვებზე. კოცონის აგიზგიზებულმა ალმა ბელადსა და დუნკანსაც გაუნათა გზა.

ინდიელი შედგა, თითქოს ყოყმანობდა, განვაგრძო გზა თუ არაო. ამასობაში შავი და უცნაური სულიერი წამოეწიათ. ვეებერთელა, შავმა ბურთმა, რომელიც თავიდან უძრავი ჩანდა, ახლა იმნაირად დაიწყო სიარული, რომ დუნკანმა ვერაფერი გაუგო. ცეცხლს კიდევ მოემატა შუქი და მისი ალი უფრო მკაფიოდ მიადგა ამ საგანს. მაშინ დუნკანმაც კი იცნო მოუსვენარ და უგერგილო მოძრაობაზე — ეს ნამდვილად დათვი იყო. ხმამაღლა, გააფთრებით ღრიალებდა და ხანდახან მისი ბრჭყვიალა თვალის გუგებიც კი გამოჩნდებოდა, თუმცა სხვა არავითარი მტრული ნიშანი არ გამოუმჟღავნებია.

დუნკანმა რაკი იცოდა, რომ დათვს ხშირად იშინაურებენ ინდიელები, თანამგზავრს მიჰბაძა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ტომს შეჩვეული რომელიმე ამგვარი პიროტყვი ჯაგნარში გამოსულიყო საჭმლის საძებრად. მას გვერდით მშვიდობიანად ჩაუარეს. ჰურონმა, რომელმაც თავდაპირველად ასე ფრთხილად გამოარკვია უცნაური სტუმრის ვინაობა, ახლა სრულიადაც აღარ ცნო საჭიროდ, თუნდაც ერთი წამი დაეხარჯა შემდგომი

კვლევა-ძიებისათვის; მაგრამ ჰეიუარდი კი ვერ ახერხებდა, წამ-დაუწუმ უკან არ გაეხედა შიშით. მისი შეშფოთება სულაც არ გამ-ქრალა, როცა შენიშნა, რომ ნადირიც ბილიკს დასდგომოდა და კვალდაკვალ მოსდევდა მათ. უნდოდა ხმა ამოეღო, მაგრამ სწო-რედ იმ დროს ინდიელმა ხის ქერქის კარი გააღო და მთის გულ-ში გაკეთებულ გამოქვაბულში შევიდა.

დუნკანიც მიჰყვა და თხელი კარი მოიხურა, მაგრამ ნადირი უკან შემოჰყვა. ახლა ისინი კლდეებს შორის სწორ და გრძელ ტალანში მიაბიჯებდნენ. დუნკანი ჰურონს ერთი ნაბიჯითაც არ სცილდებოდა. დათვი ფეხდაფეხ მისდევდა და ერთ-ორჯერ ვეება თათებიც დაადო ზურგზე, თითქოს უნდოდა დაეშალა, ჯურ-ღმულში ასე ღრმად ნულარ მიდიხარო.

რამდენ ხანს გაუძლებდა ჰეიუარდის ნერვები ამას, ძნელი სათქმელია. საბედნიეროდ, ხსნა მალე იპოვეს: მათ წინ გამუდ-მებით მოკიაფე სუსტ შუქამდე მიაღწიეს.

დიდი გამოქვაბულები ტლანქად, ქვით, ძელებითა და ხის ქერქით რამდენიმე ოთახად იყო გაყოფილი. ზემოთ დარჩენილი ღია ადგილიდან დღისით დღის სინათლე ჩამოდიოდა, ღამით კი ცეცხლი და ჩირაღდნები ეწეოდნენ მზის მაგივრობას. აქ შეეგ-როვებინათ ჰურონებს თავიანთი დოვლათი, განსაკუთრებით ის, რაც ტომის საკუთრებას შეადგენდა. როგორც ახლა გამოირკვა, აქვე შემოეყვანათ სნეული ქალი — მათი რწმენით, ზებუნებრივი ძალების მსხვერპლი — იმ განზრახვით, რომ მის მტანჯველს ქვის კედლებში შეღწევა უფრო გაუჭირდებოდა, ვიდრე ქობის ფოთლოვან საფარში. სამყოფელი, რომელშიც დუნკანმა და მისმა მეგზურმა პირველად შედგეს ფეხი, მთლიანად ამ ქალს ჰქონდა დათმობილი. ინდიელი მიუახლოვდა მის საწოლს, რომელსაც ირგვლივ ქალები ეხვივნენ, მათ შუაგულში კი ჰეიუარ-დმა, თავისდა გასაოცრად, დავითი შენიშნა.

ცრუ მკურნალი ერთი თვალის გადავლებით მიხვდა, რომ ავადმყოფის მორჩენა არ შეეძლო. სნეული დამბლადაცემულივით იწვა, ხალხს ვერ ამჩნევდა და საბედნიეროდ, ველარც ტკივილებს გრძნობდა. ჰეიუარდს სულაც არ სწყენია, ოინბაზური შელოცვები ისეთი ადამიანის მიმართ რომ უნდა აღესრულებინა, რომელიც იმდენად იყო დაძაბუნებული, რომ მათი ფუჭად ან წარმატებით ჩავლა აღარც აინტერესებდა. ოდნავი სინდისის ქენჯნა, რომელიც განზრახული ტყუილის გამო იგრძნო, მაშინვე გაუქრა ამ სურათის დანახვაზე და გონება მოიკრიბა, რათა თავისი როლი შესაფერისი გულმოდგინებით შეესრულებინა. ამ დროს შეამჩნია, რომ, ის-ის იყო, აპირებდნენ ამ საქმეში მისთვის დაესწროთ — უნდოდათ მუსიკის ძალა ეცადათ სნეულის განკურნებისათვის.

როცა ჰეიუარდი და ინდიელი ბელადი შემოვიდნენ, გამუტი მზად იყო გალობისთვის, მცირე ხანს შედგა, მერე კი თავისი სტვირით კილო ამოარჩია და შეუდგა ჰიმნის გალობას, რომელიც ალბათ მართლაც მოახდენდა სასწაულს, რწმენას აქ გასავალი რომ ჰქონოდა. როცა ჰეიუარდს საგალობლის უკანასკნელი ჰანგები ჩაესმოდა, სახტად დარჩა, რომ ამ ბგერებს მის ბურგს უკან ნახევრად ადამიანური და ნახევრად ზეადამიანური ხმით იმეორებდა ვიღაც, მიმოიხედა და გამოქვამბულის ჩრდილში უკანა ფეხებზე მჯდარი დათვი დაინახა. მისი ტანი ამ ცხოველისათვის დამახასიათებელ ყაიდაზე ირწეოდა, თანაც ერთგვარი დაბალი ღრიალით იმეორებდა ბგერებს, რომლებიც ცოტათი წააგავდნენ მგალობლის ჰანგს.

ასეთი უცნაური გამოძახილისაგან დავითზე დატოვებული შთაბეჭდილება შეიძლება უფრო წარმოიდგინოს ვაცმა, ვიდრე აღწეროს. მგალობელმა თვალები დააჭყიტა, თითქოს ყურებს არ ენდობაო და უზომო განცვიფრებისაგან ენა ჩაუვარდა. ჰეიუარდისათვის მნიშვნელოვანი ამბის შესატყობინებლად მო-

ფიქრებული გეგმა სულ დაუბნია ისეთმა გრძნობამ, რომელიც ძალიან წააგავდა შიშს, მაგრამ, რომელიც, თვითონ მისი რწმენით, მხოლოდ გაცემა იყო. მისი ზეგავლენით დავითმა ხმამაღლა შეჰყვირა: „ის თქვენ გელით და აქვე ახლოაო!“ და კისრისტეხით გაიჭრა გამოქვაბულიდან.

სნაგი: ლომის როლი ხომ არ დაგიწერია? თუ დაწერე, გეხვე-
წები, ეხლავე მომეცი, სწავლაში ნელი ვარ.

კუინსი: მაგას ადვილად ისწავლი, რადგან ღრიალის მეტი
არაფერია.

„ზაფხულის ღამის სიზმარი“. შექსპირი

ეს სანახაობა სასაცილოც იყო და დარბაისლურიც. მხეცი
კვლავ განაგრძობდა მოუსვენარ ბაჯბაჯს, ოღონდ მისი სასეირო
ცდა, დავითის ჰანგისათვის ხმა შეეწყო, იმწამსვე შეწყდა, რო-
გორც კი მგალობელმა ასპარეზი დათმო. გამუტმა უკანასკნელი
სიტყვები მშობლიურ ენაზე შესძახა და დუნკანი მიხვდა, რომ აქ
რალაც ფარული აზრი იმალებაო. მაგრამ ამ დროს ბელადი
ავადმყოფის სარეცელთან მივიდა და უცნობის სიმარჯვის და-
ნახვის მოსურნე იქ შეჯგუფებულ ქალთა მთელ ცნობისმოყვარე
გუნდს ანიშნა, გამეცალეთო. ისინი ხმაამოუღებლივ, ოღონდ
უხალისოდ კი დაემორჩილნენ და როცა წავიდნენ, ინდიელმა
გონებამიხდილ ქალზე მიუთითა და უთხრა:

— ახლა ჩემმა ძმამ თავისი ძალა გვიჩვენოს.

რაკი ასე აშკარად მოუწოდეს, დაეწყო ნაკისრი მოვალეობის
შესრულება, ჰეიუარდი მიხვდა, ოღნავი შეყოყმანებაც კი სახი-
ფათო იქნებოდა. ამიტომ სცადა, გონება მოეკრიბა და შელოც-
ვების წარმოსათქმელად მომზადებულიყო. სათუოც არ იყო,
რომ ასეთ ყოფაში იგი რაიმე საბედისწეროს თუ არა, საეჭვო
შეცდომას მაინც ჩაიდენდა, დაწყების ცდა ნადირის ბრაზიან
ღრიალს რომ არ ჩაეშალა. სამჯერ სცადა საქმეს შესდგომოდა
და სამჯერვე წააწყდა ამ ახირებულ წინააღმდეგობას და ყოველი

ახალი ჩარევა უფრო და უფრო გააფთრებული და მუქარით აღსავსე ჩანდა.

— ეს არსებანი ეჭვიანები არიან, — თქვა ჰურონმა, — მე წავალ. ძმაო, ეს ქალი ჩემი ერთ-ერთი უმამაცესი ახალგაზრდა კაცის ცოლია და მისთვის ძალ-ღონეს ნუ დაზოგავ. დაწყნარდი, — დასძინა მან და აბორგებულ მხეცს ანიშნა, დაშოშმინებულიყო, — მივდივარ!

ბელადმა მაშინვე შეასრულა თავისი სიტყვა და ახლა დუნკანი ამ მიყრუებულ, მივარდნილ სამყოფელში მარტოდმარტო აღმოჩნდა უმწეო ავადმყოფთან და მძვინვარე, საშიშ მხეცთან ერთად. ნადირი დათვისათვის დამახასიათებელი საზრიანობით უკვირდებოდა ინდიელის მოძრაობას, სანამ კარის გაჯახუნების ხმამ არ დაარწმუნა, რომ ისიც გავიდა გამოქვაბულიდან. მაშინ კი მობრუნდა, ბაჯბაჯით მივიდა დუნკანთან და კაცივით გამართულად დაჯდა მის წინაშე. ჭაბუკი შემოფოთებული იყურებოდა აქეთ-იქით, ეგებ რამე იარაღს მოვკრა თვალით, რათა სათანადოდ გამკლავებოდა თავდასხმას, რომელსაც იგი ახლა უკვე დაბეჯითებით მოელოდა.

მაგრამ, ეტყობოდა, ცხოველს უცბად შეეცვალა გუნება. უკმაყოფილო ბურღუნის გაგრძელების, ანდა რაიმე ნიშნით გაბრაზების კიდევ გამომჟღავნების ნაცვლად ბანჯგვლიანი სხეული აუცახცახდა, თითქოს კრუნჩხვებით შეიძრაო. ვეებერთელა, ტლანქ თათებს დაღრჭენილ დრუნჩზე იფათურებდა და სანამ ჰეიუარდი მის ამ მოქმედებას გიჟივით მიშტერებოდა, მძვინვარე შესახედაობის თავი ცალ მხარეს გადავარდა და მის მაგივრად მზვერავის გამხიარულებული სახე გამოჩნდა.

— ჩუმად! — მოუწოდა ფრთხილმა მონადირემ და თავი შეაკავებინა ჰეიუარდს განცვიფრების შეძახილისაგან, — არამზადები გარშემო დაძრწიან და ყოველი ხმა, რომელიც ჯადოქრობის საქმისათვის შესაფერი არ იქნება, ყველას თავზე დაგვახვევს!

— ამიხსენით ამ შენიღბული მასხარაობის აზრი. ასე რატომ გასწირეთ თავი?

— ეჰ! გონიერებას და ვარაუდს ხშირად შემთხვევა სჯობია, — მიუგო მზვერავმა, — მაგრამ რაკი ამბავი ყოველთვის თავიდან იწყება, მეც ყველაფერს დალაგებით მოგახსენებ. ჩვენი განშორების შემდეგ პოლკოვნიკი და საგამორი თახვების ძველ ბუნაგში მოვათავსე, სადაც ჰურონებისაგან ისე არიან დაცულნი, თითქოს ედუარდის ციხესიმაგრეში ისხდნენ; რადგან მაგ თქვენს შორეულ ჩრდილო-დასავლელ ინდიელებს ჯერ კიდევ ძალიან არ შემოსჩვევიან ვაჭრები და ამიტომ კვლავ ძველებურად მოწიწებით ეპყრობიან თახვს. მერე უნკასი და მე, როგორც შევთანხმდით, მეორე სოფლისაკენ გავემართეთ. ნახეთ ყმაწვილი?

— ჩემდა სამწუხაროდ! ტყვედ არის ჩავარდნილი და მზის ამოსვლისას სიკვდილით დასჯა აქვს მისჯილი.

— გული მიგრძნობდა, რომ ეგ იქნებოდა მისი ბედისწერა, — ჩამოართვა სიტყვა მზვერავმა უფრო შერყეული და ნაკლებ ხალისიანი კილოთი. მაგრამ მალე დაიბრუნა თავისი ბუნებრივი, მტკიცე ხმა და განაგრძო, — მისი ავი ბედია ნამდვილად ჩემი აქ ყოფნის მიზეზი, რადგან აბა, როგორ იქნება, რომ ეგეთი ბიჭი ჰურონებს დარჩეთ! რა დრო დაუდგებათ მაგ წუწკებს, რომ „ფეხმალი ირემი“ და „გრძელი თოფი“, როგორც ისინი მეძახიან, ერთსა და იმავე ბოძს მიაკრან! თუმცა რატომ მეძახიან ამ სახელს, ვერ გავიგე — ჩემი „ნადირთმულეტის“ ღირსებანი ისევე ნაკლებად ჰგავს მაგ ნამდვილ კანადურ თოფებს, როგორც საჩიბუხე ქვა — კაქს!

— განაგრძეთ თქვენი ამბავი, — უთხრა მოუთმენლად ჰეიუარდმა, — რა ვიცით, როდის დაბრუნდებიან ჰურონები?

— მაგათი ნუ გეშინია. შემლოცავს თავისი დრო სჭირდება, ახალშენებში მოხეტიალე ხუცის მსგავსად. ჩვენ ისევე არ შეგვიშლიან ხელს, როგორც მისიონერს — ორსაათიანი ქადაგების

დაწყების წინ. ჰოდა, უნკასი და მე უკან დაბრუნებული არამზადების გუნდს წავაწყდით. ყმაწვილმა მზვერავის კვალობაზე სულწასულობა გამოიჩინა; თუმცა, იმ საქმეში, რაკი ფიცხი სისხლი აქვს, იმდენად არც იყო გასამტყუნარი. ბოლოს და ბოლოს, ერთი ჰურონი ლაჩარი გამოდგა და მისმა დევნამ ჩასაფრებული მტრების ხელში ჩააგდო.

— ძვირად კი დაუჯდა იმას თავის მანკიერება! — შესძახა დუნკანმა.

მზვერავმა მრავლისმეტყველად გამოსვა ყელში ხელი და თავი დააქნია, თითქოს ამბობდა, „მივხვდი, რისი თქმაც გინდაო“. ამის შემდეგ ისევ განაგრძო უფრო ხმამაღლა, თუმცა არცთუ უფრო გასაგები ენით:

— ბიჭი რომ დამეკარგა, როგორც შეგიძლიათ განსაჯოთ კიდევ, მოვუბრუნდი ჰურონებს. მათ ერთ თუ ორ მეომართან მომიხდა შეტაკება; მაგრამ ამის ხსენებაც არ ღირს. ამნაირად, ის წუპაკები რომ დავხოცე, მერე მშვიდობიანად მოვადექი სოფელს. მაშინ, ჩემმა ბედმა სწორედ იმ ადგილას მიმიყვანა, სადაც ამ ტომის ყველაზე სახელოვანი ჯადოქარი აპირებდა გადაცმას, როგორც მე კარგად მივხვდი, ეშმაკთან რაღაც დიდი ბრძოლის გასამართავად; თუმცა აბა, რატომ უნდა ვუწოდო ამას ბედი, როცა, ახლა მგონია, ეს განგების განსაკუთრებული ბრძანებით მოხდა? ამგვარად, თავში საზრიანად ჩარაკუნებით, დროებით ფეხები გავაჭიმინე ცრუპენტელა არამზადას; ვახშმად ცოტაოდენი თხილის ტოტები ჩაუწურეთე პირში, რომ ღრიალი არ აეტეხა; მისი მოკაზმულობა ჩემს ნებაზე მოვიხმარე და თვითონ ვიკისრე დათვის როლი, რათა საქმე გამეგრძელებინა.

— და განსაცვიფრებლადაც შეასრულეთ ეგ როლი! თვითონ ცხოველსაც კი აჯობეთ.

— ღმერთო ჩემო, მაიორო, — მიუგო ქათინაურით ნასიამოვნებმა მონადირემ, — მე ხომ უნიჭო მოწაფე ვიქნებოდი, ამდენ

ხანს ტყეში ვსწავლობ და ასეთი ნადირის ქცევისა და ხასიათის წარმოდგენა რომ არ მცოდნოდა! გარეული კატა ანდა ჯიქი რომ ყოფილიყო, აი, მაშინ გაყურებინებდით კარგ სეირს! მაგრამ ასეთი ცხოველის მიბაძვა არც ძალიან გასაოცარია; თუმცა ისიც შეიძლება, დათვს ზოგმა დათვობაშიც გადააჭარბოს! დიახ, დიახ, ყველა მიმბაძველმა არ იცის, რომ ბუნებრივი ყოფაქცევის გადაჭარბებით წარმოდგენა უფრო ადვილია, ვიდრე თანაბარი ძალით გამოსახვა. მაგრამ მთელი საქმე ჯერ კიდევ წინ გვიდევს! ნაზი არსება სად არის?

— ღმერთმა იცის! ყველა ქოხი დავათვალიერე სოფელში და მისი ყოფნის ოდნავი კვალიც ვერსად შევნიშნე ამ ტომში.

— ხომ გაიგონეთ, მგალობელმა რა თქვა გაქცევამდე: „ის აქვე ახლოს არის და გელითო“.

— მე იძულებული ვარ, დავიჯერო, რომ ამ უბედურ ქალზე გადამიკრა სიტყვა.

— ის ყვეყნი დაფრთხა და დანაბარები აურია, მაგრამ უფრო ღრმა აზრი უნდა ყოფილიყო შიგ. აქ ისეთი კედლებია, მთელი დაბების გასაყოფად ივარგებს. დათვმა ბობღვა უნდა იცოდეს, ამიტომ მე მოვათვალიერებ აქაურობას. იქნებ თაფლის ქილები იყოს დამალული ამ კლდეებში და, ხომ იცით, მე ისეთი პირუტყვი ვარ, ტკბილეულობას ვეტანები.

მზვერავს თავისივე ოინაბობაზე გაეცინა, თანაც კედელზე აცოცება დაიწყო და ასვლაში სწორედ დათვის ულაბათო ქცევას ჰბაძავდა. მაგრამ როგორც კი კედლის თავს მიაღწია, იქიდან ჩუმად ყოფნის ნიშანი უჩვენა და სწრაფადვე ჩამოცურდა.

— აქ არის, — წაიხურულა მან, — და იმ კარით შეგიძლიათ შეხვიდეთ მასთან. სანუგემო სიტყვას გადავძახებდი საბრალოს, მაგრამ ჩემისთანა ურჩხულის დანახვას შეიძლება სულაც ჭკუიდან შეეშალა. თუმცა, მაიორო, ეგრე მოხატული, თქვენც მინცდამაინც ვერ ბრძანდებით მიმზიდველი შესახედაობისა.

დუნკანმა, რომელიც უკვე გარბოდა, ამ გულის გასატეხი სიტყვების გაგონებაზე უკან დაიხია.

— განა ასეთი საზარელი ვარ? — შეწუხებული დაეკითხა ქორის თვალს.

— იქნებ მგელი ვერ დააფრთხოთ, ანდა ამერიკელთა სამეფო ჯარისკაცებს სროლა ვერ დააშლევინოთ, მაგრამ მე კი მახსოვს, უფრო სასიამოვნო იერი გქონდათ, მაიორო, — ცივად მიუგო მზვერავმა, — ეგ ზოლიანი ცხვირპირი სულაც არ ეხამუშებათ ინდიელ დიაცებს, მაგრამ თეთრი ქალები თავიანთი ფერისას ამჯობინებენ. აგე, — დასძინა მან და იქით მიუთითა, სადაც კლდიდან წყალი გადმოწანწკარებდა და სანამ გასავალს იპოვიდა მახლობელ ნაპრალებში, პატარა, ბროლივით კამკამა გუბებს ქმნიდა, — სულ ადვილად შეგიძლიათ საგამორის ნათხუპნი მოიშოროთ, ხოლო უკან რომ გამობრუნდებით, შევეცდები, ხელახლა თავად შეგამკოთ. ჯადოსნისათვის ისევე ჩვეულებრივი საქმეა მოხატულობის შეცვლა, როგორც დაბა-ქალაქებში დარდიმანდებისათვის კოხტა ტანსაცმლის გამოცვლა.

ტყის კაცს ბევრი ლაპარაკი აღარ დასჭირებია. იგი ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, დუნკანმა წყალს რომ მიაშურა. თვალის დახამხამებაში ჩამორეცხა საღებავი და კვლავ სანდომიან ჭაბუკად იქცა. თავის სატრფოსთან შესახვედრად გამზადებულმა, ნაჩქარევად მიატოვა ამხანაგი და ნაჩვენები კარის იქით გაქრა. მზვერავი გულკეთილად უცქერდა და ბუტბუტით გზას ულოცავდა. ამის შემდეგ ძალიან მშვიდად შეუდგა ჰურონთა საკუჭნაოს დათვალიერებას — გამოქვაბულს, სხვათა შორის, თავიანთი ნანადირევის საცავადაც იყენებდნენ.

დუნკანს შორეული მბჟუტავი შუქის გარდა სხვა არაფერი უნათებდა გზას, მაგრამ ისიც პოლარული ვარსკვლავივით გამოადგა მიჯნურს. გამოქვაბულში, რომელიც უხვად იყო მოფენილი უილიამ-ჰენრის უბედური ციხესიმაგრედან გამოტაცებული

ნადავლით, დუნკანმა მიფერმკრთალებული, აღელვებული და შეძრწუნებული, მაგრამ კვლავ მშვენიერი ქალიშვილი იპოვა. ალისა დავითს შეემზადებინა სტუმრობისათვის.

— დუნკან! — შესძახა ქალმა ათრთოლებული ხმით.

— ალისა! — გამოეხმაურა ჰეიუარდი, კისრისტეხით გადაიქროლა ზანდუკებზე, ყუთებზე, საჭურველსა და ავეჯზე და მის გვერდით დაერჭო.

— ვიცოდი, დუნკან, რომ არასოდეს მიმატოვებდით, — უთხრა მან და რომ შეხედა, ერთი წამით სიამის შუქი მოეფინა დაღვრემილ სახეზე, — მაგრამ მარტო ხართ! რაც არ უნდა მადლიერი ვიყო ასე დაუვიწყებლობისათვის, მაინც მინდა ვიფიქრო, რომ სულ მარტო არა ხართ!

დუნკანმა შენიშნა, ქალი ისე ცახცახებდა, ეტყობოდა ფეხზე დგომა აღარ შეეძლო. ამიტომ წყნარად დასვა და დალაგებით მოუთხრო ძირითადი ამბები, რომლებიც აქამდე აღვწერეთ. სულგანაბული ალისა გატაცებით უგდებდა ყურს. ახალგაზრდა კაცმა გაკვრით მოიხსენია თავზარდაცემული მამის მწუხარება — უფრთხოდა, ქალიშვილი მეტად არ აელვლებინა, მაგრამ ალისას მაინც წასკდა ცრემლები. დუნკანის ალერსმა ცოტა დაამშვიდა და ამის შემდეგ ბოლომდე, თუ სულ გულდამშვიდებით არა, გულისყურით მაინც უსმენდა.

— ახლა, ალისა, — დასძინა მან, — კიდევ რამდენი რამ არის თქვენგან მოსალოდნელი. ჩვენი გამობრძმედილი და დაუფასებელი მეგობრის, მზვერავის დახმარებით, შეგვიძლია თავი დავაღწიოთ ამ ველურ ხალხს, მაგრამ მთელი თქვენი სიმტკიცე უნდა მოიკრიბოთ. გახსოვდეთ, საყვარელი მშობელი გელოდებათ და დიდად არის მისი და თქვენი ბედნიერებაც დამოკიდებული თქვენს გულმოდგინებაზე.

— განა სხვანაირად შემიძლია მოვიქცე მამისათვის, ვინც ამდენი რამ ჩაიდინა ჩემი გულისთვის?

— და აგრეთვე ჩემთვისაც! — განაგრძო ჭაბუკმა და ნაზად მოუჭირა ხელი მის ხელს, რომელიც თავის ორივე ხელში ეკავა.

უმანკო და გაოცებულმა შემოხედვამ დუნკანი დაარწმუნა, რომ აუცილებელი იყო უფრო მკაფიოდ გამოეთქვა აზრი.

— აქ არც ადგილია, არც დრო, თავი შეგაწყინოთ ჩემი სურვილების გამოსატყობით, ალისა, — დაუმატა მან, — მაგრამ ჩემსავით დატვირთულ ვის გულს არ უნდა სიმძიმისაგან განთავისუფლება? ამბობენ, უბედურება ყველაზე უფრო მტკიცე დამაკავშირებელიაო. თქვენი გულისთვის ჩვენმა საერთო ტანჯვამ ბევრი ადარაფერი დატოვა ასახსნელი მამათქვენსა და ჩემს შორის.

— მერე, ჩემი ძვირფასი კორა, დუნკან? რასაკვირველია, კორა არ დავიწყებიათ?!

— დავიწყებიათო! სულაც არა! ამაზე მეტად იშვიათად თუ დაუტირიათ ოდესმე ქალი. თქვენი პატივცემული მამა ერთმანეთში არ არჩევდა შვილებს, მაგრამ მე... ალისა, ნუ გეწყინებათ ჩემი ნათქვამი და, ჩემთვის მისი ღირსება ცოტა დაჩრდილული იყო...

— მაშ, თქვენ ჩემი დის ფასი არ გცოდნიათ, — შესძახა ალისამ და ხელი გამოსტაცა ხელიდან, — ის კი ყოველთვის თავის უძვირფასეს მეგობრად მიგიჩნევთ!

— სიამოვნებით დავიჯერებ მაგას, — მიუგო დუნკანმა აჩქარებით; — ნეტავ, უფრო მეტადაც გვიყვარდეს ერთმანეთი; მაგრამ თქვენთან, ალისა, მამათქვენის თანხმობით, კიდევ უფრო ახლო და ძვირფას კავშირს ვესწრაფვი.

ქალიშვილი აცახცახდა და ერთი წამით პირიც იბრუნა მისი ნაზი სქესისათვის ჩვეული გრძნობების გავლენით; მაგრამ აღელვებამ მალე გადაუარა და დაწყნარდა, თუ შინაგანად არა, გარეგნულად მაინც.

— ჰეიუარდ, — უთხრა მან და უმანკოდ და ნდობით შეჰყურებდა თვალებში, — სანამ ჩემს დაყოლიებას გააგრძელებდეთ, ჯერ

მშობელი მაჩვენეთ და მისი ჭეშმარიტი დალოცვა მომასმენინეთ.

„მეტს არ ვიტყვოდი, მაგრამ ამაზე ნაკლების თქმა კი აღარ შემეძლო“, ის იყო, უნდა ეპასუხა ჭაბუკს, რომ ბეჭზე მსუბუქმა ხელის დარტყმამ პირში სიტყვა გააწყვეტინა. წამოხტა, აბეზარი ხელისშემშლელისკენ შეტრიალდა და მაგუას გაბოროტებულ სახეს შეეფეთა. ველურის ხორხისმიერი ხითხითი დუნკანს სატანის ჯოჯობეთურ დაცინვად ჩაესმა. წამიერ მძაფრ და ნაუცბათევ გულისთქმას რომ აჰყოლოდა, მაშინ ჰურონს ეძგერებოდა და თავიანთი ბედ-იღბლის გადაწყვეტას სამკვდრო-სასიცოცხლო შებრძოლებას მიანდობდა, მაგრამ რაკი არავითარი იარაღი არ ებადა და არ იცოდა, ვინ ედგა ცბიერ მტერს ზურგს უკან, თან მოვალედაც გრძნობდა თავს, უვნებლად გადაერჩინა ის, ვინც სწორედ ახლა უძვირფასესი იყო მისთვის, გაჩერდა.

— რა გნებავს? — წყნარად დაიკრიფა გულხელი ალისამ; თან ცდილობდა, საზარელი შიში იმ ჩვეული ცივი, თავშეკავებული იერით დაეფარა, რომლითაც იგი იღებდა ხოლმე თავისი დამტყვევებლის სტუმრობას.

გახარებულმა ინდიელმა კვლავ სასტიკი სახე მიიღო, თუმცა წინდახედულად დაიხია უკან ახალგაზრდა კაცის მუქარით აღსავსე ცეცხლოვანი გამოხედვის წინაშე. ერთხანს დაკვირვებით ათვალიერებდა ტყვეებს, მერე განზე გადგა და მორი მიადო კარს, ოღონდ არა იმას, რომლითაც დუნკანი შემოვიდა. ჰეიუარდი დარწმუნდა, უეჭველად დავიღუპეო, ამიტომ ალისა მკერდზე მიიკრა და ბედისწერასთან შესახვედრად მოემზადა, რომელსაც არცთუ ძალიან ემდუროდა. მაგრამ მაგუა მაშინვე რაიმე ძალმომრეობის გამოყენებას არ ფიქრობდა. ეტყობოდა, მან ჯერ ისეთი თადარიგი დაიჭირა, რომ ახალი ტყვე ვერ გაჰქცეოდა, აღარც შეუხედავს გამოქვაბულის შუაგულში მდგარი გაქვავებული ადამიანებისათვის, სანამ სრულიად არ მოსპო იმ საიდუმ-

ლო გასასვლელით თავის დაღწევის ყოველი იმედი, რომლითაც თვითონ ისარგებლა. ჰეიუარდი თვალყურს ადევნებდა მის ყოველ მოძრაობას და კვლავ მტკიცედ იდგა. ალისა გულში ჩაეკრა და იმდენად ამაყად და თანაც სასოწარკვეთილად გრძნობდა თავს, რომ შებრალების თხოვნა ამდენჯერ პირში ჩალაგამოვლებული მტრისათვის ფიქრადაც არ მოსდიოდა. როცა მაგუამ საქმე მოათავა, პატიმრებს მიუახლოვდა და ინგლისურად თქვა:

— ფერმკრთალსახიანები ჭკვიან თახვებს აბამენ ხაფანგში, მაგრამ წითელკანიანებმა იენგიების შეპყრობაც იციან!

— ჰურონო, რაც გინდა მიყავი! — შესძახა ჰეიუარდმა, რომელსაც გადაავიწყდა, რომ მისი სიცოცხლე ორმაგ წილს შეიცავდა, — შენ და შენი შურისძიება ერთნაირად მეზიზღებით!

— ვითომ თეთრი კაცი ამავე სიტყვებს იტყვის ბოძთან? — დაეკითხა მაგუა, თან ნათქვამს დამცინავი ღიმილიც დააყოლა და ამით გამომჟღავნა, როგორ არ სჯეროდა მისი სიმტკიცისა.

— აქაც, მარტოდმარტო შენს პირისპირ ყოფნისასაც, — განაგრძო შეუპოვრად ჰეიუარდმა, — და მთელი შენი ხალხის წინაშეც!

— ცბიერი მელა დიდი ბელადია! — მიუგო ინდიელმა, — ის წავა და მოიყვანს თავის ახალგაზრდებს, რომ ნახოს, წამების დროს რა ვაჟკაცურად შეუძლია ფერმკრთალს სიცილი.

ამ სიტყვებით მიბრუნდა და, ის-ის იყო, წასვლა დააპირა იმ ტალანით, რომლითაც დუნკანი შემოვიდა, რომ ხმადაბალი, ბრაზიანი ბრდღვინვა მოესმა. კარში დათვი გამოჩნდა, ჩვეული მოუსვენრობით აქეთ-იქით რომ ირჩეოდა. მაგუაც სნეული ქალის მამასავით ერთხანს დაკვირვებით ათვალიერებდა. იგი გაცილებით მაღლა იდგა თავისი ტომის მდაბიურ ცრუმორწმუნეობაზე და როგორც კი იცნო ჯადოსნის სახელგანთქმული სამოსელი, გულგრილი ზიზღით დააპირა მის გვერდით ჩავლა. მაგრამ კიდევ უფრო ხმამაღალმა ღრიალმა შეაჩერა. მერე თითქოს გადაწყვიტა, ბოლო მოუღოს მასხარაობასო, კარისაკენ

გასწია. ცოტა წინ წამოსულმა ცრუ პირუტყვმა მის წინაშე ნელ--ნელა უკან დაიხია, ვიდრე კვლავ გასასვლელს არ მიადგა, მაშინ კი დადგა უკანა ფეხებზე და წინა თათებით ჰაერის ტორვას მოჰყვა.

— ბრიყვო! — შესძახა ჰურონთა ენაზე ბელადმა, — წადი და ბავშვებთან და ქალებთან ილაზღანდარე, კაცებს კი თავისი საქმე აცალე!

მან კიდევ სცადა, გვერდი აეგლო თაღლითისთვის, ღირსადაც არ უცვნია, დანით, ანდა სარტყელში გარტობილი პრიალა ტომაჰუკით დამუქრებოდა. უეცრად ნადირმა მკლავები, თუ უფრო სწორად — ფეხები, გაშალა და მძლავრად მოეხვია. ჰეიუარდი ამ ყველაფერს სულგანაბული უთვალთვალეობდა. ჯერ ხელი უშვა ალისას, მერე რაღაც ფუთის ირგვლივ შემოხვეული ირმის ტყავის თასმა აიღო და როცა მზვერავის მტრის ტანზე მილურსმნული ორივე ხელი დაინახა, ისიც მივარდა და საიმედოდ მიაჯაჭვა იმ ადგილზე. ხელ-ფეხზე ოცი ნახვევი მაინც შემოუჭირა იმაზე უფრო სწრაფად, ვიდრე ჩვენ ამ ამბის გადმოცემას მოვახერხებდით. მრისხანე ჰურონი რომ მაგრად გაითოკა, მზვერავმა ხელი უშვა და დუნკანმა უმწეო მტერი ბურგზე დააწვინა.

ამ ალიაქოთში მაგუა თუმცა თავგამოდებით იბრძოდა, სანამ არ დარწმუნდა, რომ ისეთი კაცის ხელში იყო ჩავარდნილი, რომელსაც მასზე ძლიერი კუნთები ჰქონდა, ერთი კრინტიც არ დასცდენია. მაგრამ როცა ქორის თვალმა, თავისი საქციელის მოკლედ ახსნის მიზნით, ნადირის ბანჯგვლიანი თავი გადაიძრო და საკუთარი მკაცრი, წრფელი სახე დაანახვა ჰურონს, ცბიერი მელას სიმშვიდე იმდენად შეირყა, რომ გაკვირვების ჩვეული ძახილი აღმოხდა:

— ჰუჰ!

— ოჰო! ენა ამოიდგი? — თქვა მისმა აუღელვებელმა მეტოქემ, — ეგ ჩვენს დასალუპავად რომ არ გამოიყენო, პირიც უნდა ამოგიკეტო.

რაკი დრო აღარ ითმენდა, მზვერავი საჩქაროდ შეუდგა ამის განხორციელებას და როცა ინდიელს პირი ამოუჩურთა, მისი მტერი უკვე თამამად შეიძლებოდა ჩაგვეთვალა ბრძოლისუნარდაკარგულად.

— რა გზით შემოვიდა ეგ თაღლითი? — იკითხა მზვერავმა, თავის საქმეს რომ მორჩა.

დუნკანმა დაანახვა ის კარი, რომლითაც მაგუა შემოვიდა და რომელიც ახლა ისე იყო ჩახერგილი, რომ იქიდან სწრაფად გასვლა გაძნელებოდა.

— წამოიყვანეთ ნაზი არსება, — განაგრძო მისმა მეგობარმა, — მაშინ ჩვენ მეორე კარით უნდა გავეშუროთ ტყისაკენ.

— ეგ შეუძლებელია! — შესძახა დუნკანმა; — შიშმა თავზარი დასცა ალისას და გონებაშიხდილი წევს. ალისა, ჩემო ტკბილო, ჩემო თვალისჩინო ალისა, გამოფხიზლდი. გაქცევის დრო დადგა. ტყუილი ცდაა, ესმის, მაგრამ განძრევა არ შეუძლია. წადით, კეთილშობილო და ღირსეულო მეგობარო, გადაირჩინეთ თავი, მე კი ჩემი ბედისწერის ამარა დამტოვეთ!

— ყოველ კვალს თავისი ბოლო აქვს და ყოველი უბედურება რაღაცას გვასწავლის! — მიუგო მზვერავმა, — ინდიელთა ტანსაცმელში შეახვიეთ, ხელში აიყვანეთ და მომყევით. დანარჩენი მე მომანდეთ.

დუნკანი ფაციფუცით ასრულებდა განკარგულებებს, ხოლო როგორც კი ქორის თვალმა ლაპარაკი დაასრულა, ხელში აიტაცა ალისას მსუბუქი სხეული და ფეხდაფეხ აედევნა მზვერავს. სწრაფად გაეშურნენ გასასვლელისაკენ. როცა ქერქის პატარა კარს მიუახლოვდნენ, გარეთ ჩოჩოლზე მიხვდნენ, რომ ავად-

მყოფის მეგობარ-ნათესავებს მოეყარათ თავი და მოთმინებით ელოდნენ გამოქვაბულში შესვლის ნებართვას.

— მე თუ პირი გავადე, — წაუჩურჩულა ქორის თვალმა, — ჩემი ინგლისური, რომელიც თეთრკანიანის ტემპარიტი ენაა, იმ წუწკებს მიახვედრებს, რომ მათ შორის მტერია შეპარული. თქვენ უნდა გამოელაპარაკოთ თქვენი კილოკავით, მაიორო, და უთხრათ; ბოროტი სული გამოქვაბულში ჩავკეტეთ, ქალი კი ტყეში მიგვყავს, რომ ჯანზე მოსაყვანი ბალახეული ვიპოვოთ-თქო. მთელი თქვენი ეშმაკობა მოიხმარეთ, რადგან ეგ აქ კანონიერი საქმეა.

კარი ცოტათი გაიღო, თითქოს გარედან ვიღაცა უგდებს ყურსო, და მზვერავი იძულებული გახდა რჩევა-დარიგებანი შეეწყვიტა. მზვერავმა გაშმაგებული ბრდღვინვით გაგლიჯა ქერქის კარი და დათვური ბაჯბაჯით გამოვიდა გარეთ. დუნკანი კვალდაკვალ მისდევდა და მალე ოციოდე შეშფოთებული ადამიანის შუაგულში ამოყო თავი.

ბრბომ ცოტა უკან დაიწია და საშუალება მისცეს მამას და, როგორც ეტყობოდა, ქალის ქმარს, დუნკანს მიახლოვებოდნენ.

— ჩემმა ძმამ განდევნა ავი სული? — ჰკითხა უფროსმა, — რა უჭირავს ხელში?

— შენი შვილი, — უპასუხა მოღუშულად დუნკანმა, — სენი მოვაცილეთ მას; იგი კლდეებშია გამომწყვდეული, დიაცი ცოტა მოშორებით მიმყავს, რომ შემდგომი თავდასხმების გასამკლავებლად მოვამაგრო. ის მაშინ იქნება ახალგაზრდა კაცის ქოხში, როცა მზე კვლავ ამოვა.

როდესაც მამამ უცხოელის სიტყვების აზრი ჰურონთა ენაზე გადათარგმნა, შეეტყოთ, რომ ეს ამბავი ესიამოვნათ. თვითონ ბელადმა ხელი დაუქნია დუნკანს, გზა განაგრძეო და მტკიცე ხმითა და მედიდური იერით ხმამაღლა წარმოთქვა:

– წადი... მე ვაჟკაცი ვარ, შევალ კლდეში და შევებრძოლები იმ ბოროტს!

ჰეიუარდი ამ შემაშფოთებელმა სიტყვებმა შეაჩერა:

– ჩემი ძმა ხომ არ გაგიჟებულა! – შესძახა მან, – გამხეცებული ხომ არ არის! შეხვდება სნეულებას და იგი შეიჭრება მასში; ანდა გამოაგდებს გარეთ სნეულებას და ის გამოედევნება მის ქალიშვილს ტყეში. არა, დაე, ჩემი შვილები გარეთ ელოდონ და თუ ავი სული გამოჩნდა, კეტებით დაჩეჩქვონ. ის ცბიერია და ამიტომ მთაში დაიმალება, როცა დაინახავს, რამდენი აპირებს მასთან ბრძოლას.

ამ გაფრთხილებამ სასურველი გავლენა მოახდინა. გამოქვაბულში შესვლის ნაცვლად მამამ და ქმარმა გაიძრეს ტომაჰაუკები და გამოსასვლელთან ჩამოსხდნენ, რათა თავიანთი ავადმყოფი ქალის მტანჯველზე შური ეძიათ. ამავე განზრახვით ქალებმა და ბავშვებმაც ბუჩქებს ტოტები დაამტვრიეს, ზოგმა კი კლდის ნამსხვრევები დაიჭირა ხელში. ამ ხელსაყრელ წუთში ცრუ ჯადოსნებიც მიიმალნენ.

ქორის თვალი თან ენდობოდა ინდიელთა ცრუმორწმუნეობის სიმძლავრეს, თანაც არ ავიწყდებოდა, რომ ჭკვიანი ბელადები უფრო იტანდნენ, ვიდრე ნამდვილად სწამდათ იგი. ახლანდელ გასაჭირში მან კარგად იცოდა დროის ფასი. რამდენ ხანსაც არ უნდა გაგრძელებულიყო მტრების მოტყუება და როგორც არ უნდა შეეწყო ხელი მისი გეგმებისათვის, ინდიელის გამჭრიახ ბუნებაზე ზეგავლენის მომხდენი სულ ოდნავი საეჭვო მიზეზიც კი ალბათ საბედისწერო გამოდგებოდა. ამიტომ ისეთი ბილიკი ამოიჩინა, რომელზეც უფრო შეუმჩნეველები დარჩებოდნენ და სოფელში შესვლის მაგიერ, ნაპირ-ნაპირ შემოუარეს მას. კოცონების მინელებულ სინათლეზე, შორს ჯერ კიდევ მოჩანდნენ ქოხიდან ქოხში მოსიარულე მეომრები. მაგრამ ბავშვებს კი თავი დაენებებინათ თამაშისათვის, ტყავის ლოგინებში ჩაწო-

ლილიყვნენ და უკვე ღამის სიწყნარე ჭარბობდა ასე მშფოთვარე და მნიშვნელოვანი საღამოს ალიაქოთსა და აურზაურს.

აღისა სუფთა ჰაერმა მოასულიერა და რადგან უფრო ფიზიკურად იყო მისუსტებული, ვიდრე გონებრივად, აღარც დასჭირვებია ახსნა-განმარტება, რა როგორ მოხდა.

— მე თვითონ ვცდი წამოსვლას, — თქვა მან, როცა ტყეში შევიდნენ და ლოყებიც შეუფაკლდა, უფრო ადრე რომ ვერ შეძლო, დუნკანის მკლავები მოემორებინა, — უკვე აღარ მიჭირს რა.

— არა, აღისა, ჯერ კიდევ ძალიან სუსტადა ხართ.

ქალწულმა ნაზად გაიბრძოლა თავის დასაღწევად და ჰეიუარდი იძულებული გახდა, უხალისოდ დაესვა ძვირფასი ტვირთი. დათვის განმასახიერებლისათვის, რასაკვირველია, სრულიად უცხო იყო მიჯნურის სათუთი გრძნობები, როცა მას მკლავები თავისი სატრფოსათვის ჰქონდა შემოჭდობილი და ალბათ ასევე გაუგებრად ეჩვენებოდა ის გულწრფელი სირცხვილი, რომელიც აღონებდა ათრთოლებულ აღისას, როცა ისინი ასე ბეჯითად მიიწევდნენ წინ. მაგრამ საკმაო მანძილზე რომ გამოსცდნენ ქოხებს, მზვერავი შედგა და ისეთ საგანზე ჩამოაგდო საუბარი, რომელიც მართლა საფუძვლიანად ესმოდა.

— ეს ბილიკი პატარა მდინარესთან მიგიყვანთ, — თქვა მან, — გაჰყევით მის ჩრდილო ნაპირს, სანამ ჩანჩქერთან არ ჩახვალთ. ადით ხელმარჯვნივ სერზე და მეორე ხალხის ცეცხლებსაც დაინახავთ. იქ უნდა მიხვიდეთ და მთარველობა სთხოვოთ. თუ ნამდვილი დელავერები არიან, გადარჩებით. შორს გაქცევა ამ ნაზ არსებასთან ერთად ამჟამად შეუძლებელია. ჰურონები ჩავიდგებიან კვალში და ათიოდე მილის გავლამდე ჩვენს სკალპებს ხელთ იგდებენ. წადით და ზეცა იყოს თქვენი შემწე!

— მერე თქვენ? — ჩაეკითხა გაოცებული ჰეიუარდი, — ჩვენ ხომ აქ არ ვმორდებით ერთმანეთს?

— ჰურონებს დელავერთა სიამაყე უპყრიათ. მოჰიკანთა სახელოვანი მოდგმის უკანასკნელი ნაშეიერი მათ ხელშია, — მიუგო მზვერავმა, — უნდა წავიდე და ვცადო, რისი გაკეთებაც შემიძლია მისთვის. ისინი რომ თქვენს სკალპს დაპატრონებოდნენ, მაიორო, როგორც დაგპირდით, თქვენი თმის ყოველ ღერს თითო არამზადა შეეწირებოდა; მაგრამ თუ ახალგაზრდა ბელადი მიაკრეს საწამებელ ბოდს, ინდიელები იმასაც ნახავენ, როგორც შეუძლია სიკვდილი ნამდვილ თეთრკანიანს!

დუნკანს სულაც არ სწყენია, ტყის შეუპოვარმა მცხოვრებმა აშკარა უპირატესობა რომ მიანიჭა იმას, ვინც მას თავის შვილობილად მიაჩნდა და კვლავ განაგრძობდა ყველა მიზეზის ჩამოთვლას ასეთი თავგანწრული ცდის გასამართლებლად. ჰეიუარდს ალისა წამოემშველა და თავისი ხვეწნა-მუდარაც დაურთო, რომ თავი დაენებებინა ქორის თვალს განზრახვისათვის, რომელიც ასე სახიფათო ჩანდა, გამარჯვების იმედი კი ძალიან მცირე იყო. მათმა მჭევრმეტყველებამ და მოხერხებამ არ გაჭრა. მზვერავი გულდასმით, მაგრამ მოუთმენლად უგდებდა ყურს და ბოლოს კამათი ისეთი პასუხით დაასრულა, რომლის კილომაც მყის დაადუმა ალისა და ჰეიუარდიც დაარწმუნა, შემდგომი წინააღმდეგობის გაწევა უნაყოფო იქნებაო.

— გამიგონია, — თქვა მან, — ახალგაზრდობაში არის ისეთი გრძნობა, რომელიც კაცს ქალთან იმაზე უფრო მტკიცედ აკავშირებს, ვიდრე მამას — შვილთან. იქნებ ეგრეც იყოს. მე იშვიათად ვყოფილვარ იქ, სადაც ჩემი ფერის ქალები ცხოვრობენ, მაგრამ შეიძლება ბუნების ნიჭი მართლაც ამნაირი იყოს დასახლებულ ადგილებში! სიცოცხლე და, ყველაფერი, თქვენთვის ძვირფასი გასწირეთ თქვენ, რომ ეს ნაზი არსება დაგეხსნათ და მე მგონია, რაღაც მაგდაგვარი განწყობილება უნდა ედოს საფუძვლად ჩემს გრძნობებს. მე თუ მკითხავთ, მე შევასწავლე ყმაწვილს თოფის ნამდვილი ბუნება და კარგადაც გადამიხადა ამისთვის! ბევრ

სისხლიან შეტაკებაში მიბრძოლია მის გვერდით და მანამდე, სანამ ერთ ყურში მისი თოფის ხმა მესმოდა, მეორეში კი საგამორისა, ვიცოდი, მტერი ვერ წამომეპარებოდა. ზამთარსა და ზაფხულში, ღამესა და დღეს ერთად დავეხეტებოდით უდაბურ ადგილებში, შევექცეოდით ერთნაირ საჭმელს, ერთს რომ ეძინა, მეორე გუშაგობდა; და სანამ იტყოდნენ, რომ უნკასი საწამებლად წაიყვანეს, მე კი იქვე ახლოს ვიყავი... ჩვენ ყველას, რა ფერის კანიც არ უნდა გვქონდეს, ერთი უფალი გვყავს და იმას დავიმოწმებ, რომ სანამ მოჰკანი ბიჭი დაიღუპებოდეს მეგობრის არყოლის მიზეზით, კეთილის რწმენა უნდა გაქრეს დედამიწის ბურგზე და „ნადირთმჟღეტი“ ისეთივე უვნებელ ხელსაწყოდ უნდა იქცეს, როგორც მგალობლის საპიპინოა!

დუნკანმა მზვერავის მკლავს ხელი უშვა. ქორის თვალი მიტრიალდა და მტკიცე ნაბიჯით გაემართა ისევ ქოხებისაკენ. გამარჯვებულმა და მაინც დანადვლიანებულმა ჰეიუარდმა და მისმა სატრფომ ერთხანს თვალი გააყოლეს მიმავალს, შემდეგ კი ერთად დაადგნენ გზას დელავერთა შორეული სოფლისაკენ.

ბოტომი: მოდი მეც ლომს ვითამაშებ.

შექსპირი. „ზაფხულის ღამის სიზმარი“

მიუხედავად მტკიცე გადაწყვეტილებისა, ქორის თვალს გათვალისწინებული ჰქონდა ის დაბრკოლებები და ფათერაკები, რომლებიც ელოდა. სოფელში დაბრუნებისას მისი გამჭრიახი, ნაცადი გონება დაძაბულად მუშაობდა. ისიც იცოდა, რომ მტერი სიფრთხილით არ ჩამოუვარდებოდა. უპირველეს ყოვლისა, ის მაგუსასა და ჯადოსანს მოუსწრაფედა სიცოცხლეს უშიშროების უზრუნველსაყოფად. ასეთი ქცევა, როგორი შესაბამისიც უნდა ყოფილიყო ინდიელის ბუნებისათვის, სრულიად შეუფერებელი იქნებოდა წმინდა სისხლის შთამომავლობით მოტრახახე თეთრკანიანისათვის. ამიტომ იყო, რომ მიენდო წნელებსა და თასმებს, რომლითაც შეკრული ჰყავდა თავისი ტყვეები და პირდაპირ ქოხების შუაგულისაკენ აიღო გეზი.

საცხოვრებლებს რომ მიუახლოვდა, ნაბიჯი შეანელა და ცდილობდა, არც ერთი მეგობრული თუ მტრული ნიშანი არ გამოჰპარვოდა. სხვებზე ცოტა წინ ერთი მიტოვებული ქოხი იდგა. შუა გზაში მიეტოვებინათ მისი აგება, ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი მასალის, ხე-ტყისა და წყლის, ნაკლებობის მიზეზით. მკრთალი შუქი გამოსჭვიოდა მაინც მის ნაპრალებში, რაც ადასტურებდა, რომ, მიუხედავად დაუსრულებლობისა, ქოხი ამჟამად ცარიელი არ იყო. მაშინ მზვერავმა იქით გასწია იმ წინდახედული სარდალივით, რომელიც მთავარი იერიშის მიტანამდე ჯერ მტრის მოწინავე პოზიციების მოსინჯვას აპირებს.

დათვივით ოთხზე დამდგარი ქორის თვალი პატარა ნახვრეტთან მიბობდა, საიდანაც მთელი შიდა ნაწილის დათვალიერება

შეეძლო. ეს დავით გამუტის ბინა გამოდგა. აქ დაბრუნებულიყო, ავი წინათგრძნობებით აღსავსე და განგების მფარველობაზე მორჩილად მინდობილი გალობის ოსტატი. სწორედ იმ წუთს, როცა მზვერავმა მის უშნო გარეგნობას მოჰკრა თვალი, სწორედ ეს ტყის მცხოვრები, უცნაური დათვი, იყო მართოდ მყოფი ადამიანის ფიქრების საგანი.

მგალობლის არეული გამომეტყველებით მზვერავი მიხვდა, დავითი ძალიან დაბნეული იყო. ის ტოტებზე იჯდა, რომლებსაც დროდადრო ნელ ცეცხლს უკეთებდა და მწუხარე ფიქრებში გართულს თავი ხელზე დაეყრდნო.

გამჭრიახ ქორის თვალს გაახსენდა, როგორ თავქუდმოგლეჯით მოსწყდა სნეული დედაკაცის სასთუმალს დავითი და ეჭვი გაუჩნდა მისი მძიმე ფიქრების თაობაზე. პირველად ქოხს შემოუარა და როცა დარწმუნდა, სრულიად განმარტოებით დგას და მისი მობინადრე, ეტყობა, სტუმრიანობისაგან დაზღვეულიაო, გაბედა დაბალ კარში შესვლა და პირდაპირ გამუტის წინაშე წარდგომა. მგალობელი ისე იჯდა, რომ ცეცხლი შუაში ჰქონდათ მოქცეული და როცა ქორის თვალი უკანა ფეხებზე დაჯდა, თითქმის ერთმა წუთმა გაირბინა, რომლის განმავლობაშიც ხმაამოუღებლად უმზერდნენ ერთმანეთს. დათვის ანაზღვეულმა და უცნაურმა შემოჭრამ თითქმის შეარყია დავითის რწმენა და სიმტკიცე. კამერტონზე მოაფათურა ხელი და დაბნეულად წამოდგა, რათა მუსიკის ძალით ეცადა ავი სულის განდევნა.

— ბნელო და უცნაურო ურჩხულო! — შესძახა მან, თანაც აკანკალებული ხელებით იმარჯვებდა სათვალეს და მისი ყოველი გასაჭირის უებარ წამალს — ფსალმუნის თარგმანს ეძებდა, — არ ვიცი შენი განზრახვა, მაგრამ თუ რაიმეს ფიქრობ ეკლესიის უმდაბლესი მსახურის პიროვნებისა და უფლებათა წინააღმდეგ, უსმინე ისრაელის ჭაბუკის შთავგონებულ სიტყვებს და მოინანიე!

დათვს უცნაურად აუთახთახდა ბანჯგვლიანი ფერდები და კარგად ნაცნობმა ხმამ გასცა პასუხი:

— გადადე ეგ შენი საპიპინო იარაღი და ყანყრატოსაც მეტი მორცხვობა ასწავლე. ხუთიოდე მკაფიო და გასაგები სიტყვა ერთი საათის ტყვივლად ღირს ახლა.

— რა ხარ შენ? — ჰკითხა თავდაპირველი განზრახვის აღსრულების უნარწარმეულმა და სუნთქვაშეკრულმა დავითმა.

— შენსავით ადამიანი და ის, ვინც ისევე ნაკლებად არის შებღალული დათვის სისხლით, როგორც თავად შენ. ასე მალე დაგავიწყდა, ვინ მოგცა ეგ ტუტუცური საკრავი, ხელში რომ გიჭირავს?

— ასე როგორ შეიძლება? — ცოტა გულს მოეშვა დავითს, როცა ჭემმარიტების შუქი მიადგა, — ბევრი სასწაული ვიხილე წარმართთა შორის ყოფნისას, მაგრამ ამისთანა — ნამდვილად არაფერი!

— აბა, აბა, — უთხრა ქორის თვალმა და თავისი პატიოსანი სახე გამოაჩინა, რათა უკეთ დაერწმუნებინა მოყოყმანე თანამოსაუბრე, — შეგიძლია საკუთარი თვალით დაინახო კანი, რომელიც იქნებ ისეთი თეთრი არ იყოს, როგორიც ნაზი ქმნილებებისა, მაგრამ ქარისა და მზის ნამოქმედარის გარდა სხვა წითელი ელფერი არ ადევს. აბა, ახლა საქმეს შევუდგეთ.

— ჯერ ქალწულისა და იმ ჭაბუკის ამბავი მითხარით, ასე მამაცურად რომ ეძიებდა მას, — გააწყვეტინა სიტყვა დავითმა.

— ჰო, მათ ბედნიერად დააღწიეს თავი ამ არამზადების ტომაჰაუკებს! მაგრამ არ შეგიძლია უნკასის კვალზე დამაყენო?

— ყმაწვილი კაცი მონობაში იმყოფება და ვშიშობ, მისი სიკვდილი გადაწყვეტილია. დიდად ვწუხვარ, რომ ასე კარგი მიდრეკილებების მქონე ადამიანი გაუნათლებლად უნდა დაიღუპოს და მე გამოვნახე ერთი ჩინებული ჰიმნი...

— ვერ მიმიყვან იმასთან?

– ეგ საქმე ძნელი არ იქნება, – მიუგო დავითმა ყოყმანით, – თუმცა ძალიან ვშიშობ, თქვენი იქ მისვლა შემსუბუქების მაგივრად კიდევ უფრო გააუარესებს მის ბედს.

– აღარ არის სიტყვები საჭირო, მხოლოდ წამიძიხი, – ქორის თვალმა ისევ დაიფარა სახე და ქოხიდან გასვლით მაგალითი უჩვენა.

გზაში მზვერავმა დაადგინა, რომ მის თანამგზავს უნკასთან შესვლა მოეხერხებინა. ამ საქმეში ხელი შეეწყო იმ კეთილ განწყობილებას, ერთ-ერთი გუშაგის მხრიდან რომ მოეპოვებინა, რომელიც რაკი ცოტა ინგლისურს ამტკვრევდა, დავითმა თავის სარწმუნოებაზე მოსაქცევად ამოირჩია. რამდენად ხვდებოდა ჰურონი თავისი ახალი მეგობრის ზრახვებს, ცოტა არ იყოს, საეჭვოა, მაგრამ საგანგებო ყურადღება ველურსაც სიამოვნებდა. არ არის საჭირო, აღვწეროთ გამჭრიახი ხერხები, რომლებითაც მზვერავმა მიაძინა დავითს ეს ცნობები პირიდან ამოგლიჯა. აქ ვერც მის რჩევა-განკარგულებებზე შევჩერდებით, ყველა აუცილებელი ცნობის სრულად შეტყობის მერე რომ წარმოთქვა, რადგან ყველაფერს გზადაგზა მოგიტხრობთ.

უნკასის საპატიმრო ქოხი პირდაპირ სოფლის შუაგულში იდგა და სხვა ქოხებთან შედარებით, თითქოს ყველაზე ძნელი იყო შეუმჩნეველად მასთან მიახლოება ანდა იქიდან გამობრუნება. მაგრამ ქორის თვალის გეგმაში სულაც არ შედიოდა ფარულად მოქმედება. გადაცმულობასა და ნაკისრები როლის შესრულების საკუთარ უნარს დაენდო და ყველაზე აშკარა და პირდაპირი გზა ირჩია ქოხისაკენ, თუმცა სიბნელემაც გაუწია ცოტაოდენი მფარველობა. ბიჭებს უკვე ეძინათ, ხოლო ყველა ქალი და მეომართა უმრავლესობა თავიანთ ქოხებში იყო შესული. მხოლოდ ოთხი თუ ხუთი მეომარი შერჩენილიყო უნკასის საპყრობილის კართან და ფხიზლად უთვალთვალებდნენ ტყვეს.

გამუტისა და ყველაზე გამოჩენილი ჯადოსნის კარგად ცნობილ ნილაბში გამოწყობილი მისი თანამგზავრის დანახვაზე, მაშინვე აქეთ-იქით გაიწიეს და შესასვლელისაკენ გზა გაათავისუფლეს; ოღონდ სულ წასვლის განზრახვა ნამდვილად არ ემჩნეოდათ. პირიქით, აშკარა იყო, უფრო მოუნდათ იქ დარჩენა, რადგან დამატებითი ცნობისმოყვარეობა აღუძრა მათ იმ შელოცვებმა, რომელთაც, რასაკვირველია, ამნაირი სტუმრობიდან მოელოდნენ. რაკი მზვერავს ჰურონებთან ლაპარაკი მათ ენაზე სრულიად არ შეეძლო, იძულებული გახდა, საუბარი მთლიანად დავითისთვის მიენდო. მიუხედავად გულუბრყვილობისა, მგალობელმა ჩინებულად გამოიყენა მიღებული რჩევა-- დარიგებანი და მასწავლებლის ყველაზე დიდი იმედები გაამართლა.

— დელავერები დიაცები არიან! — შესძახა მან. იგი მიმართავდა იმ ინდიელს, რომელსაც ცოტათი ესმოდა მისი ენა, — იენგივებმა, ჩემმა ბრიყვმა თანამემამულეებმა, უთხრეს, ტომაჰაუკები აიღეთ და თქვენს კანადელ მამებს დასცხეთო და მათ დაივიწყეს თავიანთი სქესი. ჩემს ძმას ხომ სწადია გაიგოს, „ფეხმალი ირემი“ როგორ იხვეწება, კაბა, მომეცითო, და დაინახოს, ბოძთან როგორ ტირის იგი ჰურონების წინაშე?

თანხმობის მტკიცე იერით წარმოთქმულმა „ჰუჰ“ წამოძახილმა დაუდასტურა ველურის კმაყოფილება, თუკი დიდი ხნის საძულველი და ძალიან საშიში მტრის ამნაირი ყოფის მოწმე გახდებოდა.

— მაშინ განზე გადგეს და ჭკვიანი კაცი შეუბერავს იმ ძაღლს! უთხარი ეს ჩემს ძმებს.

ჰურონმა დავითის ნათქვამი განუმარტა ამხანაგებს, რომლებიც, თავის მხრივ, გეგმას კმაყოფილებით უგდებდნენ ყურს. მათ ცოტა დაიწიეს შესასვლელიდან და ანიშნეს ვითომდა ჯადო-

ქარს, შედიო, მაგრამ დავითმა, დამორჩილების ნაცვლად, ადგილიდან ფეხი არ მოიცივალა და დაიბრდღვინა.

— ჭკვიან კაცს ეშინია, ჩემმა შებერვამ ჩემს ძმებსაც არ წაართვას სიმაძავე, — განაგრძო დავითმა, რომელმაც ნართაულად ნანიშნები უფრო მკაფიოდ განმარტა, — ამიტომ ისინი მოშორებით უნდა დადგნენ.

ჰურონები, რომელნიც ამისთანა უბედურებას მათ თავზე მოვლენილ უმძიმეს ბედშავობად მიიჩნევდნენ, ერთად მიაწყდნენ უკან და ისეთი ადგილი დაიკავეს, სადაც ხმა არ მისწვდებოდა, მაგრამ ქობის შესასვლელისთვის თვალყურის დევნება კი შეეძლოთ. მაშინ, თითქოს გული დაიშოშმინა მათი უშიშარ ადგილას ყოფნით, მზვერავი აუჩქარებლად შევიდა შიგნით. ქობში დუმილი და სიბნელე სუფევდა, რადგან აქ მხოლოდ ტუსადი იყო ეულად და განათებითაც მარტო კერიის ცეცხლის მინელებული ნაკვერცხლებიღა ანათებდა.

მაგარი წნელებით ხელფეხშებორკილი უნკასი შორეულ კუთხეში იყო მიწოლილი. როცა შესაბარი პირუტყვი პირველად წარსდგა ახალგაზრდა მოჭიკანის წინაშე, ყმაწვილმა ერთი თვალის გადავლების ღირსადაც კი არ ცნო ნადირი. მზვერავმა დავითი კართან დატოვა, რომ გული დაეჭვრებინა, არავინ გვითვალთვალესო და მიზანშეწონილად მიიჩნია, შენიღბული ყოფილიყო, სანამ არ დარწმუნდებოდა, მარტონი დავრჩითო. ამიტომ ლაპარაკის მაგიერ, სცადა, ცხოველის დამახასიათებელი მანჭვა-გრეხით ემოქმედა. ახალგაზრდა მოჭიკანს თავდაპირველად ეგონა, მტრებმა ნამდვილი მხეცი შემომიგდეს დასაძიძგნად და გულადობის გამოსაცდელადო, მაგრამ ცხოველის ქცევაში ზოგი ისეთი ნაკლი შენიშნა, რომ მაშინვე მიხვდა სიყალბეს. ქორის თვალს რომ სცოდნოდა, მარჯვე უნკასი რა არასახარბიელოდ აფასებდა მისი მსახიობობის უნარს, ალბათ განაწყენებული, ცოტას კიდევ გააგრძელებდა თამაშს, მაგრამ ახალ-

გაზრდა კაცის თვალეში გამოხატული ზიზღი იმდენნაირად შეიძლებოდა ამოხსნილიყო, რომ ღირსეულ მზვერავს ასცდა დამცირების გრძნობა, რომელიც შეაწუხებდა, ეს დაუფასებლობა რომ შეემჩნია. ამიტომ როგორც კი დავითმა დათქმული ნიშანი მისცა, მძვინვარე ღრიალის მაგივრად ხმადაბალი სისინი გაისმა ქოხში.

უნკასს კედლისათვის მიეყრდნო ზურგი და თვალეები დაეხუჭა, თითქოს ამ საზიზღარი და უკეთური სანახაობის ცქერა აღარ უნდაო, მაგრამ გველის სისინის გაგონებისთანავე წამოიძარტა და მიიხედ-მოიხედა, სანამ მისი გამჭრიახი თვალი ბანჯგვლიან ურჩხულს არ მიადგა და აღარც მოუცილებია, თითქოს ჯადოს ძალამ მიიზიდაო. კვლავ გაისმა იგივე ხმა, რომელიც აშკარად ნადირის პირიდან გამოდიოდა. ჭაბუკმა ერთხელ კიდევ მოავლო თვალი და როცა წინანდებურად ისევ მხეცს დააშტერდა, ღრმა, შეგუბებული ხმით წამოიძახა:

— ჰუჰ!

— გადაუჭერი შესაკრავები! — უთხრა ქორის თვალმა დავითს, რომელიც, ის-ის იყო, მათ მიუახლოვდა.

მგალობელმა შეასრულა განკარგულება და უნკასს ხელფეხი გაუთავისუფლა. იმავე წამს ცხოველის გამხმარი ტყავიც აშარიშურდა და თავად მზვერავიც წამოდგა ფეხზე. მოჰიკანი, ეტყობა, მაშინვე მიხვდა, როგორ გაჩნდა აქ მისი მეგობარი და არც ენით და არც გამომეტყველებით აღარ გაუმჟღავნებია გაკვირვების რაიმე ნიშანი. ქორის თვალმა ბანჯგვლიანი სამოსი მოიცილა, რაც უბრალოდ ტყავის თასმების გახსნით მოხდა, გრძელი, ალაპლაპებული დანა იძრო და უნკასს ხელში ჩაუდო.

— წითელი ჰურონები გარეთ დგანან და მზად უნდა ვიყოთ, — თქვა მან და იმავე დროს თითი დაადო სხვა ამისთანავე იარაღს — ორივე, იმ საღამოს მტრებზე გამოჩენილი მისი სიმარჯვის შედეგი იყო.

— წავიდეთ! — თქვა უნკასმა.

— საით?

— კუებთან — ისინი ხომ ჩემი პაპის შვილები არიან!

— ჰო, ყმაწვილო, — თქვა მზვერაგმა ინგლისურად — იმ ენით, რომელსაც იგი ხშირად მიმართავდა ხოლმე, როცა ცოტა ფიქრებში გაერთობოდა; — მჯერა, ერთი და იგივე სისხლი გიდგათ ძარღვებში, მაგრამ დრომ და მანძილმა მცირედ შეცვალა მისი ფერი! რა უნდა ვუყოთ კართან მდგარ მინგოებს? ისინი ექვსნი არიან, ეს მგალობელი კი სათვალავში ჩასაგდებაც არ არის.

— ჰურონები მკვებარები არიან! — ზიზღით შესძახა უნკასმა, — მათი ტოტემი ცხენირემია და ლოკოკინასავით დაღოდავენ. კუს შთამომავალი დელავერები კი ირმებსაც ასწრებენ!

— ჰო, ყმაწვილო, რასაც ამბობ, მართალია. არც მეეჭვება, რომ სირბილში მთელ მათ ხალხს აჯობებ. ორმილიან პირდაპირ შეჯიბრში მისასწრებ კიდევ და სულსაც მოიბრუნებ, სანამ რომელიმე მათი არამზადა მეორე სოფლის სანახებს მიაღწევდეს, მაგრამ თეთრ კაცს ძალა ხელებში უფრო აქვს, ვიდრე ფეხებში. პირადად მე არავისზე ნაკლებად არ შემიძლია ჰურონისთვის თავის გახეთქვა, ოღონდ სირბილზე თუ მიდგა საქმე, ეგ თაღლითები უეჭველად მაჯობებენ.

უნკასი, რომელიც უკვე კართან მისულიყო და მზად იყო გარეთ გასაჭრელად, ისევ უკან გამოტრიალდა და ძველებურად ქოხის სიღრმეში დადგა. საკუთარ ფიქრებში ღრმად გართულ ქორის თვალს არც შეუნიშნავს მისი მოქმედება, ისევ განაგრძობდა ლაპარაკს უფრო თავისთვის, ვიდრე ამხანაგის გასაგონად.

— ბოლოს და ბოლოს, — ამბობდა ის, — უაზრობაა ერთი კაცი შებორკო მეორის გულისათვის. ამიტომ, უნკას, სჯობია შენ გაქცევით უშველო თავს, მე კი ძველებურად ტყავს მოვიცვამ და სისწრაფის მაგიერ ხრიკს მივენდობი.

ახალგაზრდა მოჰიკანს კრინტი არ დაუძრავს, მხოლოდ გულ-
ხელი დაიკრითა და ქოხის კედლის დამჭერ ბოძს მიეყრდნო.

— აბა, — თქვა მზვერავმა და ცოტა გაკვირვებით გადახედა
მას, — რაღას უცდი? მე ჯერ კიდევ საკმაო დრო დამრჩება, რად-
გან ის წუწკები პირველად შენ გამოგიდგებიან.

— უნკასი დარჩება, — იყო წყნარი პასუხი.

— რისთვის?

— რომ იბრძოლოს მისი მამის ძმასთან ერთად და მოკვდეს
დეღავერთა მეგობართან ერთად.

— ჰო, ბიჭო, — მიუგო ქორის თვალმა და თავისი რკინის თი-
თები მოუჭირა უნკასის ხელს, — მე რომ დაგეტოვებინე, ეგ უფ-
რო მინგოს საქციელი იქნებოდა, ვიდრე მოჰიკანისა, მაგრამ მა-
ინც ვიფიქრე, ესეც შემომეთავაზებინა, რაკი ვიცი, ახალგაზ-
რდებს, ჩვეულებრივ, სიცოცხლე უყვართ. მაშ, ბრძოლაში თუ
პირდაპირი მამაცობა შეუძლებელია, ხრიკით უნდა გავიდეთ
იოლას. ჩაიცვი ტყავი — ეჭვი არ მეპარება, დათვის როლის თა-
მაშს ჩემსავით მაინც მოახერხებ.

როგორიც უნდა ყოფილიყო უნკასის აზრი თავის შესაძლებ-
ლობებზე, მის სერიოზულ სახეს საკუთარი უპირატესობის არა-
ვითარი ნიშანწყალი არ დასტყობია. ხმაამოუღებელივ, სწრაფად
გამოეწყო ნადირის ტყავში და დაუწყო ლოდინი, შემდეგ რა გან-
კარგულების მიცემას მიიჩნევდა საჭიროდ მისი უფროსი ამხანა-
გი.

— ახლა, მეგობარო, — მიუბრუნდა ქორის თვალი დავითს, —
რადგან ნაკლებად ხარ შეჩვეული უდაბურ ადგილებში
დროებით სახმარ სამოსს, ჩაცმულობის გამოცვლა ძალიან მო-
გიხდება. აი, აილე ჩემი მონადირის ხალათი და ქუდი და მომეცი
შენი წამოსასხამი და ქუდი. შენი წიგნი, სათვალე და საპიპინოც
უნდა მათხოვო; თუ ოდესმე კიდევ შევხვდით ერთმანეთს უკეთეს
დროს, ყველაფერს ისევ უკან მიიღებ მრავალი მადლობით.

დავითი ჩამოთვლილ ნივთებს ისეთი მზადყოფნით შეეღია, რომ მისი ხელგაშლილობა დიდად მოსაწონი იქნებოდა, მართლა მრავალმხრივ მოგებული რომ არ დარჩენილიყო ამნაირი გაცვლით. ქორის თვალს დიდი ხანი არ დასჭირვებია ნათხოვარი ტანსაცმლის მოსარგებად და როგორც კი მისი გამჭრიახი, მკვირცხლი თვალები სათვალეებით დაიფარა და თავზეც მაუდის სამკუთხა ქუდი წამოიკოსა, რადგან სიმალლითაც არ განსხვავდებოდნენ, ვარსკვლავების შუქზე ადვილად შეიძლებოდა მგალობლად გასაღებელიყო. სამზადისის მოთავეებისთანავე მზვერავი მიუტრიალდა დავითს და განშორების წინ დაარიგა:

— ძალიან მშიშარა ხარ? — ჯიქურ დაეკითხა მას, რათა სანამ დარიგებას შეუდგებოდა, მთელი საქმის ვითარება სათანადოდ ჰქონდა გათვალისწინებული.

— მე მშვიდობიანი ხელობის კაცი ვარ და ჩემს ბუნებასაც, მდაბლად მგონია, დიდი მიდრეკილება აქვს სათნოებისა და სიყვარულისაკენ, — უპასუხა მის ვაჟკაცობაზე ასე პირდაპირი თავდასხმით ცოტა განაწყენებულმა დავითმა, — მაგრამ ვერავინ დამაბრალებს, რომ თუნდაც უკიდურეს გასაჭირში ოდესმე მეღალატოს უფლის რწმენისათვის.

— შენთვის უმთავრესი საფრთხე იმ წამში იქნება, როცა ველურები აღმოაჩენენ, რომ მოტყუებულნი არიან. თუ მაშინვე არ გაგიხეთქეს თავი, მერე შენი ახირებულობა დაგიფარავს და მაშინ კი დიდი იმედი უნდა გქონდეს, რომ შენს ლოგინში დალევს სულს. თუ დარჩები, აქ, ჩრდილში უნდა მიჯდე და უნკასის როლი იკისრო, სანამ ინდიელები სიყალბეს გამოამჟღავნებდნენ. როცა, როგორც უკვე გითხარი, შენი განკითხვის ჟამიც დადგება, მაშინ აირჩიე: ან გამოიქეცი ან აქ დარჩი.

— ჭეშმარიტად, — თქვა მტკიცედ დავითმა, — დავრჩები დელავერის მაგივრად; მამაცურად და სულგრძელად იბრძოდა იგი ჩემთვის და ამაზღე მეტსაც ჩავიდენ მისი გულისთვის.

— ვაჟკაცურად ლაპარაკობ და უფრო ჭკვიანური წვრთნა რომ მიგელო, კიდევ უკეთესი კაცი დადგებოდი. ჩაღუნე თავი და ფეხები შესწიე — მათმა მოყვანილობამ შეიძლება დროზე ადრე გაგცეს. რაც კი შესაძლებელია, დიდხანს ნუ დაძრავ კრინტს და კარგი იქნება, როცა ხმას ამოიღებ, უცბად თუ შენებურად შემოსძახებ. ეს ინდიელებს გაახსენებს, რომ შენ სხვა ადამიანებივით არ მოგეთხოვება პასუხი. თუ მაინც აგაძრეს სკალპი, — თუმცა იმედი მაქვს და დარწმუნებულიცა ვარ, ამას არ იზამენ, — გჯეროდეს, რომ უნკასი და მე არ დავივიწყებთ მაგ საქმეს და შურს ვიძიებთ, როგორც შემვენის ჭეშმარიტ მეომრებსა და ერთგულ მეგობრებს.

— შესდექით! — შესძახა დავითმა, როცა მიხვდა, რომ ამ ფიციტ აპირებდნენ ისინი წასვლას; — მე ერთი უღირსი და ბეჩავი მიმდევარი ვარ იმისი, ვინც შურისძიების წყეულ ცნებას არ ქადაგებდა! ამიტომ, მე თუ დავიღუპე, ჩემს სულს მსხვერპლს ნუ შესწირავთ; პირიქით, მიუტევეთ კიდევ მკვლევებს; და თუ საერთოდ ოდესმე მოიგონებთ, დაე, ლოცვით მოიგონებდეთ, მათი გონების განათლებისა და მარადიული კეთილდღეობისათვის!

ღრმად ჩაფიქრებული მზვერავი შედგა.

— ეგ მოძღვრება, — თქვა მან, — ტყის კანონისაგან განსხვავებულია! და მაინც საუცხოო და კეთილშობილურია მაგაზე ფიქრი. — მერე მძიმედ ამოიოხრა. ეს ალბათ ერთ-ერთი უკანასკნელი იყო იმ ყოფის მოსაგონებლად, რომელიც ამდენი ხანია მიატოვა და დასძინა: — მე თვითონაც ისე მიინდა მოვიქცე, როგორც ნამდვილი თეთრკანიანი, თუმცა ყოველთვის არ არის ოლი ინდიელთანაც ისევე მოპყრობა, როგორც ერთმორწმუნე

ქრისტიანთან. ღმერთმა დაგლოცოს, ძმაო; დარწმუნებული ვარ, შენი ალლო მცდარი არ უნდა იყოს, თუ საქმეს ჯეროვნად ავწონ--დავწონით და მარადისობას გავხედავთ; თუმცა ბევრადა ვართ დამოკიდებულნი ბუნებრივ ნიჭსა და ცდუნების ძალაზეც.

ეს რომ თქვა, მობრუნდა და გულიანად ჩამოართვა ხელი დავითს, შემდეგ კი სწრაფად გავიდა ქოხიდან და ნადირის ახალი განმასახიერებელიც თან გაიყოლა.

როგორც კი ქორის თვალმა შენიშნა, ჰურონები მითვალთვალევენო, თავისი მაღალი ტანი დავითივით გაჯგიმა, ხელი წინ გაიშვირა და შეუდგა, თავისი აზრით, ფსალმუნის გალობას. ველურების ჯგუფთან ახლოს გავლისას ხმასაც უმატებდა. სულ ახლოს რომ მიაღწიეს, ინგლისურის მცოდნე ჰურონმა ხელი გამოიწოდა და მისი აზრით, გალობის მასწავლებელი შეაჩერა.

— დელავერი ძაღლი შეშინებულია? — იკითხა მან, თან წინ გადმოიხარა და ბუნდოვან სინათლეზე ჩააშტერდა, რომ მგალობლის სახის გამომეტყველება შეემჩნია: — გაიგონებენ ჰურონები მის კვნესას?

მაგრამ მხეცმა ისე მძვინვარედ და ბუნებრივად დაიბრდღვინა, რომ ახალგაზრდა ინდიელმა ხელი უშვა ქორის თვალს და განზე გახტა. ქორის თვალმა, რომელსაც ეშინოდა, ხმა მიღალატებს და ცბიერი მტრების ხელში ჩამაგდებსო, სიამოვნებით ისარგებლა ამ ჩარევით და ხელახლა ისეთი მჭახე ხმით შეუდგა გალობას, რომ ამას, ალბათ, უფრო განათლებულ საზოგადოებაში, როგორც იტყვიან, „უდიდეს მარცხად“ ჩაუთვლიდნენ. თუმცა თავის მსმენელებში უბრალოდ დამატებითი საბუთი მიენიჭა, როგორც ჭკუაზე შერყეულს. ინდიელების პატარა ჯგუფმა უკან დაიხია და, მათი ფიქრით, ჯადოსანსა და მის ზეშთაგონებულ თანაშემწეს გზა დაუთმო.

უნკასისა და მზვერავის მხრიდან მხოლოდ ჩვეულებრივ სიმა-
მაცეს არ მოითხოვდა მედიდური და დარბაისლური ნაბიჯით ქო-

ხების წინ ჩავლა; განსაკუთრებით, მაშინ, როცა შენიშნეს, რომ ცნობისმოყვარეობამ შიშს სძლია და გუშაგები ქოხს მიუახლოვდნენ, რათა თავიანთი თვალით ენახათ შელოცვის შედეგი. დავითის წინდაუხედავ და მოუთმენელ, ოღნავ შერხევასაც კი შეეძლო მათი გამომჟღავნება.

თავზეხელაღებულები სოფელს გასცდნენ და უკვე სწრაფად უახლოვდებოდნენ ტყის საფარს, რომ იმ ქოხიდან, სადაც უნკასი იყო დაპატიმრებული, ხმამაღალი და გაგრძელებული კვილი მოისმა. მოჭიკანი წამოხტა და ისე შეიბერტყა თავისი ბანჯგვლიანი სამოსი, თითქოს ცხოველი, რომელსაც იგი გამოსახავდა, რაღაც თავგანწირული საქმის ჩადენას აპირებდა.

— მოიცა! — მხარში ხელი ჩაავლო მეგობარს მზვერავმა, — ერთი კიდევ დასჭყვივლონ! ჯერ მარტო განცვიფრებისა იყო.

მაგრამ ლოდინი აღარ დასჭირვებიათ, რადგან იმავ წამს ყურისწამლები ყიჟინა ატყდა. უნკასმა ტყავი გაიძრო. ქორის თვალმა მსუბუქად დაჰკრა ბეჭზე ხელი და ფეხაკრეფით გასწია წინ.

— აბა, ეძიონ ახლა ჩვენი კვალი მაგ ეშმაკებმა! — თქვა მზვერავმა, ბუჩქის ძირიდან მთლიანად აღკაბმული ორი თოფი გამოაძრო, შეათამაშა „ნადირთმჟლეტი“ და უნკასსაც მიაწოდა იარაღი: — ორი მაინც ვერ ასცდება სიკვდილს, თუ გვიპოვებს!

მერე თოფის ლულები ისე დაუშვეს, როგორც ნადირის შესახვედრად გამზადებულმა მონადირეებმა, წინ გაეშურნენ და ტყის ჩაშავებულ წყვდიადში მიიმაღნენ.

ანტონიუსი: მესხომება. როს კეისარი ისურვებს რასმე, აღსრულებაც თან უნდა მოჰყვეს.

შექსპირი. „იულიუს კეისარი“

უნკასის სატუსალოსთან მდგარმა ველურებმა, როგორც ვნახეთ, ჯადოსნის სუნთქვის შიშს სძლიეს და ფრთხილად, გულის ფანცქალით მიიპარნენ ჭუჭრუტანასთან, საიდანაც ცეცხლის მკრთალი შუქი გამოკრთოდა. რამდენიმე წუთს დავითი მართლაც თავიანთ ტუსაღად მოეჩვენათ, მაგრამ სწორედ ის მოხდა, რასაც ქორის თვალი შიშობდა: გრძელი სხეულის კიდურების მოუხერხებლად ჭერით დაღლილმა მგალობელმა ნელ-ნელა ფეხების გაშლა დაიწყო, სანამ მისი ვეებერთელა ტერფი პირდაპირ არ მიადგა ნაკვერცხლებს. თავდაპირველად ჰურონებს ეგონათ, დელავერი ჯადოქრობას დაუმახინჯებიაო; მაგრამ როცა დავითმა, რომელმაც არ იცოდა, თუ უთვალთვალეზდნენ, თავი მოატრიალა და ტუსაღის მკაცრი და ამაყი ნაკვეთების მაგიერ მისი მიამიტი, თვინიერი სახე გამოჩნდა, ინდიელები ერთად შეცვივდნენ ქობში, მოურიდებლად სტაცეს ხელი პატიმარს და თვალთმაქცობაც გამომჟღავნდა. მაშინ გაისმა პირველი კვილი, ლტოლვილებმა რომ გაიგონეს. ამას მოჰყვა შურისძიების წყურვილით სავსე, გაცოფებული და მრისხანე ღრიალი. დავითი, რომელიც მაინც მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე, დაეფარა მეგობრების გაქცევა, იძულებული გახდა ერწმუნა, ჩემი აღსასრულის ჟამი დადგაო. რაკი წიგნი და სტვირი აღარ გააჩნდა, ძალაუნებურად თავის მახსოვრობას უნდა დანდობოდა, რომელიც იშვიათად ღალატობდა გაჭირვებისას; ხმამაღალი, გულმხურვალე ჰანგი წამოიწყო და სცადა, იმქვეყნად გამგზავ-

რება სულთათანას შესავალი ლექსის გალობით შეემსუბუქები-
ნა. ინდიელებმა ამით დროულად გაიხსენეს მისი ჭკუამცდარო-
ბის ამბავი, მგალობელი ადგილზე მიატოვეს და გარეთ გამოქ-
ცეულებმა, როგორც ზემოთ ვთქვით, მთელი სოფელი შეძრეს.

ინდიელი მეომარი რანაირადაც იბრძვის, ასევე სძინავს —
არავითარი დასაცავი საფარი არ გააჩნია. ამიტომ, რა წამს გან-
გაშის ხმა გაისმა, ორასი მეომარი უკვე ფეხზე იდგა და მზად იყო
ბრძოლისა თუ დევნისათვის, ერთი იქნებოდა საჭირო თუ
მეორე, სულ ერთია. მაშინვე ყველამ შეიტყო გაქცევის ამბავი.
მთელი ტომი ერთბაშად მიაწყდა სათათბირო ქოხს და მოუთმენ-
ლად ელოდნენ ბელადების განკარგულებას. ბრძნული რჩევის-
თვის ცბიერი მაგუას იქ ყოფნა, რაღა თქმა უნდა, აუცილებელი
იყო. ახსენებდნენ მის სახელს და ყველა გაკვირვებით იცქირე-
ბოდა გარშემო, ის რომ არ ჩანდა. მაშინ შიკრიკები აფრინეს მის
ქოხში.

ამასობაში რამდენიმე ყველაზე მკვირცხლსა და ყველაზე
ფრთხილ ახალგაზრდასაც უბრძანეს, მთელი ნაკაფისთვის ტყე--
ტყე შემოევლო, რათა დარწმუნებულიყვნენ, მათ საეჭვო მეზობ-
ლებს, დელავერებს არაფერი ავი ხომ არ ჰქონდათ განზრახუ-
ლი. ქალები და ბავშვები წინ და უკან დარბოდნენ და, ერთი სიტ-
ყვით, მთელი სოფელი კვლავ გამშაგებულ, ველურ არეულობას
მოეცვა. მაგრამ ალიაქოთის ეს ნიშნები თანდათან გაქრა და
რამდენიმე წუთში უხუცესი და ყველაზე გამოჩენილი ბელადები
სამძიმო თათბირისათვის შეიკრიბნენ ქოხში.

მალე ყაყანი მოისმა. მიხვდნენ, ხალხის გროვა უახლოვდე-
ბოდათ. მოსალოდნელი იყო, მათგან რაიმე ისეთი შეეტყოთ,
რომელიც ახალი ამბის საიდუმლოებას ახსნიდა. გარეთ მდგომი
ბრბო გაიპო და რამდენიმე მეომარი შევიდა შიგნით, რომელ-
თაც ბეჩავი ჯადოსანი შეიყვანეს, ამდენ ხანს ასე მტკივნეულად
გაკოჭილი რომ დატოვა მზვერავმა.

თუმცა ამ კაცს ძალიან არათანაბრად აფასებდნენ ჰურონები — ზოგს გულუბრყვილოდ სჯეროდა მისი ძალა, სხვებს კი თვალთმაქცად მიაჩნდათ, ახლა ყველა გაფაციცებით უსმენდა. როცა მისი მოკლე ამბავი დასრულდა, ავადმყოფი ქალის მამა წამოდგა წინ და, თავის მხრით, ორიოდე შინაარსიანი გამოთქმით მოუთხრო მათ, რაც იცოდა. ამ ორმა ნაამბობმა სათანადო მიმართულება მისცა შემდგომ ძიებას, რომელსაც ინდიელები უკვე მათთვის დამახასიათებელი სერიოზულობითა და გამჭრიახობით შეუდგნენ.

გამოქვაბულისაკენ დაბნეული და უთავბოლო ბრბოსავით თავქუდმოგლეჯით გაქცევის მაგივრად, კვლევა-ძიებისათვის მხოლოდ ათი ყველაზე ჭკვიანი და მამაცი ბელადი გამოარჩიეს. რაკი დრო აღარ ითმენდა, არჩევანის გაკეთებისთანავე, დასახელებული კაცები ერთად წამოდგნენ და ხმის ამოუღებლად გაემართნენ. გამოქვაბულის შესასვლელთან, წინ მიმავალმა უმცროსებმა გზა უფროსებს დაუთმეს და მათი გუნდი დაბალ, ჩაბნელებულ ტალანს ისეთი მეომრების სიმტკიცით გაჰყვა, რომლებიც მზად იყვნენ, თავი გაეწირათ საკუთარი ხალხის კეთილდღეობისათვის; თუმცა, ამასთანავე, გულში კი ეეჭვებოდათ იმ ძალის ბუნება, რომელთანაც შეებმა განებრახათ.

გამოქვაბულის წინა ნაწილი ჩაბნელებული იყო. სნეული ქალი თავის ადგილას, ძველებურ მდგომარეობაში იწვა. ყველამ ხნიერ ბელადს მიაპყრო თვალი. უსიტყვო ბრალდებით განაწყენებული და უცნაური ამბით შეწუხებული ბელადი მივიდა საწოლთან, დაიხარა და ეჭვით დახედა ავადმყოფს, თითქოს კიდევ არ სჯერა, ნამდვილად ის არის თუ არაო. მისი ქალიშვილი მკვდარი იყო.

ჭეშმარიტმა ბუნებრივმა გრძნობამ ერთი წამით სძლია და დამწუხრებულმა მოხუცმა მეომარმა თვალეებზე ხელი მიიფარა.

მერე კი გულისთქმას მოერია, პირდაპირ შეხედა ამხანაგებს, ხელი გაიშვირა გვამისაკენ და მშობლიურ ენაზე თქვა:

— ჩემი ახალგაზრდა კაცის ცოლმა დაგვტოვა! დიდი სული გაბრაზებულია თავის შვილებზე.

ეს სამწუხარო ამბავი საზეიმო დუმილით მოისმინეს. მცირე ხანს სიჩუმის შემდეგ, ის-ის იყო, ერთ-ერთმა უფროსმა ინდიელმა ხმის ამოდება დააპირა, რომ გვერდითა სამყოფელიდან რაღაც შავი საგანი გამოგორდა პირდაპირ იმ ოთახის შუაგულში, სადაც ისინი იდგნენ. რახან არ იცოდნენ, ბუნების რა არსებებთან ჰქონდათ საქმე, ყველამ უკან დაიხია და გაოცებით უმზერდნენ, სანამ საგანი სინათლეში არ მოხვდა, ცალი ბოლო შემადრწუნებლად არ წამოსწია და მაგუს დაღრეცილი, მაგრამ მაინც მძვინვარე და კუშტი სახე არ გამოჩნდა. ამ გამომჟღავნებას განცვიფრების ხმამაღალი, საერთო შეძახილი მოჰყვა.

ოღონდ როგორც კი შენიშნეს, რა ყოფაშიც იყო ბელადი, რამდენიმე დანამ იელვა და ხელ-ფეხი და პირი გაუთავისუფლეს. ჰურონი წამოდგა და თავისი ბუნაგიდან გამოვარდნილი ლომივით შეიბერტყა ტანი. კრინტი არ დასცდენია, თუმცა მისი ხელი კი ნერვიულად აცოდვილებდა დანის ტარს, ხოლო დაბღვერილი თვალები გულდასმით აშტერდებოდა ხალხს, თითქოს ეძებდა, პირველად ვისზე ეყარა ჯავრი.

უნკასისა და მზვერავის, და თვით დავითის ბედიც, რომ ამ წამს მათზე ხელი არ მიუწვდებოდა მაგუს, თორემ ბოლმა, რომელიც ყელში ებჯინებოდა, აღარ გადაადებინებდა მათ სიკვდილს, რაგინდ დახვეწილი ტანჯვა-წამებით დახოცვის გეგმებიც არ უნდა ჰქონოდა სამომავლოდ. როცა ყოველ მხარეს მართო მეგობრების სახეები დაინახა, კბილები გააღრჭიალა და რადგან მსხვერპლი ვერ იპოვა, ბოლმა გულში ჩაიბრუნა. მაგუსაც ცოფება ყველა დამსწრემ კარგად შენიშნა და ისედაც თითქმის სიგიჟემდე მისული ბელადის გაგულისება უფრო რომ არ

გაემძაფრებინათ, რამდენიმე წუთს ყველა დუმდა. მაგრამ როცა შესაფერისი დრო გავიდა, უხუცესმა დაიწყო ლაპარაკი.

— ჩემი მეგობარი მტერს წასწყდომია! — უთხრა მან, — იგი ახლოს არსად არის, რომ ჰურონებმა შური იძიონ?

— დაე, მოკვდეს დელავერი! — მეხივით დაიგრუხუნა მაგუამ.

კვლავ ჩამოვარდა ხანგრძლივი, მძიმე დუმილი, რომელიც წინანდებურად სათანადო სიფრთხილის დაცვით იმავე კაცმა დარღვია.

— მოჰიკანი ფეხმალია და შორს ხტის, — თქვა მან, — მაგრამ ჩემი უმცროსები კვალში უდგანან.

— გაიქცა? — ისეთი ღრმა, ხორხისმიერი ხმით იკითხა მაგუამ, თითქოს ბგერები პირდაპირ გულის სიღრმიდან ამოსდისო.

— ავი სული მოგვევლინა და დელავერმა თვალები დაგვიყენა.

— ავი სულიო? — გაიმეორა ცბიერმა მელამ მწარედ, — ეს ის სული გახლავთ, ამდენ ჰურონს რომ წაართვა სიცოცხლე, ის სული, ჩემი ახალგაზრდები რომ დახოცა „ჩანჩქერიან მდინარესთან“, სკალპები რომ აართვა მათ „სამკურნალო წყაროსთან“ და რომელმაც ახლა ხელები შეუკრა ცბიერ მელას!

— ვის გულისხმობს ჩემი მეგობარი?

— ვის და იმ ძაღლს, ფერმკრთალ კანქვეშ ჰურონის გული და გამჭრიახობა რომ აქვს — გრძელ თოფს.

ამ საშინელი სახელის გაგონებამ მსმენელები ააფორიაქა. მაგრამ როცა იდროვეს, ამბავს ჩაუფიქრდნენ და გაახსენდათ, რომ მრისხანე, თავგებულადებული მტერი თვით სოფლის შუაგულში ტრიალებდა. განცვიფრება საზარელ გაშმაგებად შეეცვალათ და მთელი ის გამძვინვარებული გულისწყრომა, რომელიც მაგუას ჰქონდა, ელვის სისწრაფით მის ამხანაგებსაც გადაედო. ზოგი მათგანი კბილების კრაჭუნს მოჰყვა, სხვები თავის გრძნობას ყვირილით გამოთქვამდნენ, ზოგი კი ისე გიჟურად იქ-

ნევდა ჰაერში ხელებს, თითქოს მათი გულისწყრომის საგანს ასე უნდა მიაყენონ დარტყმაო. მაგრამ უეცარი გაშმაგება ასევე მალე დაცხრა და ისევ სიწყნარე დამყარდა.

მაგუამაც თავის მხრივ ჩასაფიქრებელი დრო იპოვა და ყოფაქცევა შეიცვალა – იმნაირი კაცის იერი მიიღო, რომელმაც იცოდა, ასეთი სამძიმო საქმის მნიშვნელობის შესაბამისად, რა ეფიქრა ან რა მოემოქმედა.

– წავიდეთ ჩემს ხალხთან, – თქვა მან, – ისინი გველოდებიან!

დამსწრენი დუმილით დაეთანხმნენ. ყველანი გამოვიდნენ გამოქვაბულიდან და სათათბირო ქოხში დაბრუნდნენ. როცა დალაგდნენ, ყველა მაგუას მიაცქერდა. ამ ნიშანზე მიხვდა, რომ საერთო თანხმობით საკუთარი თავგადასავლის მოყოლას აკისრებდნენ. იგი წამოდგა და ორჭოფობის გარეშე, დაუფარავად თქვა თავისი ამბავი. დუნკანისა და ქორის თვალის თვალთმაქცობა, რასაკვირველია, სააშკარაოზე გამოიტანა და ყველაზე ცრუმორწმუნეებსაც კი საჭოჭმანო აღარაფერი დარჩენიათ მომხდარ ამბებში. სრულიად ცხადი იყო, რომ ისინი აბუჩად აიგდეს და სამარცხვინოდ გააწბილეს. როცა დაასრულა და დაჯდა, შეკრებილი ტომი თავიანთი მტრების როგორც გამბედაობით, ისე წარმატებით გაშტერებული შეჭყურებდა ერთმანეთს. შემდგომი ფიქრი შურისძიების ღონისძიებათა და შესაძლებლობათა გამონახვა იყო.

დამატებით გაგზავნეს მდევარი გაქცეულთა კვალში ჩასადგომად, მერე კი ბელადები თათბირს შეუდგნენ. ბევრი სხვადასხვა ხრიკი წამოაყენეს ერთიმეორეზე ხნიერმა მეომრებმა. მაგუა ყველას პატივისცემით უგდებდა ყურს. ამ გამრჭიახმა ველურმა დაიბრუნა თავისი ცბიერება და თავშეკავებულობის უნარი და ახლა მიზნისაკენ ჩვეული სიფრთხილითა და სიმარჯვით მიისწრაფოდა. როცა ყველა მსურველმა გამოთქვა აზრი, მხოლოდ

მაშინ მოემზადა საკუთარი მოსაზრებების სათქმელად. მის ნათქვამს მეტი სიმძიმე შემატა იმ გარემოებამაც, რომ მდევრად გაგზავნილთაგან ბევრი უკვე დაბრუნდა კიდეც და მოახსენა, გაქცეულებმა ჩვენი საექვო მოკავშირეების, დელავერების, მეზობელ სოფელში იპოვეს თავშესაფარიო. ამ მნიშვნელოვანი ცნობით მარჯვედ ისარგებლა ბელადმა და ფრთხილად გადაუშალა თანამემამულეებს თავისი გეგმები და, როგორც მისი მჭევრმეტყველებისა და მზაკვრობისაგან იყო მოსალონდელი, სრულიად უკამათოდაც დაითანხმა ისინი.

უკვე მოგახსენეთ, რომ იმ წინდახედულების თანახმად, რომელსაც იშვიათად ღალატობენ ინდიელები, დები მაშინვე გააცალკევეს, როგორც კი ჰურონთა სოფელს მიაღწიეს. მაგუამ ადრევე აღმოაჩინა, რომ ალისა თუ ხელში ეყოლებოდა, ყველაზე უკეთ ამით შეინარჩუნებდა კორას. ამიტომ, როცა ისინი ერთმანეთს დააშორა, უმცროსი თავისთან ახლოს ჰყავდა, ხოლო რომელსაც უფრო აფასებდა, მოკავშირეებს მიაბარა. ეს თადარიგი მხოლოდ დროებითი იყო და როგორც ინდიელთა უცვლელი ადათის თანახმად, ასევე მეზობელთა გულის მოგების მიზნითაც ჩაიდინა მაგუამ.

ინდიელის გულში მუდამ ანთებული შურისძიების წყურვილით შეგულიანებული ბელადი კვლავ დიდი ყურადღებით ეპყრობოდა თავის პირად საქმეს. ახალგაზრდობის დამთხვეულობანი და მუხანათობა ხანგრძლივი, მტკივნეული მონანიებით უნდა გამოესყიდა, სანამ მშობელ ხალხში თავისი ნდობის მთლიანად აღდგენას მოახერხებდა; ხოლო ნდობის გარეშე კი ინდიელთა ტომში გავლენა არ არსებობს. ამ საჩოთირო, დახლართულ მდგომარეობაში, ცბიერ წითელკანიანს ძალ-ღონე არ დაუზოგავს თავისი ზეგავლენის გასაძლიერებლად და მისი ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი ხრიკი მძლავრი და საშიში მეზობლის კეთილგანწყობილების მოპოვება აღმოჩნდა. ცდის შე-

დეგებმა სრულიად გაამართლა მისი მოქმედების გეზი, რადგან ჰურონები სულაც არ იყვნენ თავისუფალნი ბუნების იმ წამყვანი ცნებისაგან, რომელიც აიძულებს კაცს, სწორედ იმდენად დააფასოს თავისი ნიჭი და უნარი, რამდენადაც სხვებს უღირს ისინი.

რამდენიმე ბელადმა დელავერებზე უეცარი თავდასხმის კარგად მოფიქრებული, ვერაგული გეგმები წამოაყენა. მათი ბანაკის დაპყრობის შემდეგ ჩვენს ტყვეებსაც უკან დავიბრუნებთო; რადგან ყველა თანახმა იყო, რომ მათი სახელი, ინტერესები და დახოცილი თანამემამულეების მშვიდობა და ბედნიერება დაბეჯითებით მოითხოვდა შურის საძიებლად სწრაფად შეეწირათ რამდენიმე მსხვერპლი. მაგრამ ასე ძნელად განსახორციელებელი და ასე საეჭვო შედეგის გეგმათა უკუგდება მაგუსა დიდად არ გასჭირვებია. ჩვეული სიმარჯვით დაასაბუთა მათი გეგმების ალაღბედობა და მცდარობა და მხოლოდ ყველა საწინააღმდეგო რჩევის გაბათილების შემდეგ გაბედა საკუთარი გეგმის წამოყენება.

მან მსმენელთა თავის მოქონვით დაიწყო. ჩამოთვალა მრავალი სხვადასხვა შემთხვევა, რომელშიც ჰურონებმა თავიანთი მამაცობა და სიქველე გამოამჟღავნეს შეურაცხმყოფელთა დასჯის საქმეში. მერე გადაუხვია და დიდი ხოტბა შეასხა სიბრძნის ღირსებას. როცა საფუძვლიანად შეაქო სიფრთხილე, იგი შეუდგა იმის დასაბუთებას, როგორ შეესაბამებოდა მისი გამოყენება ტომის დღევანდელ მდგომარეობას. ერთი მხრივ, მან თქვა, რომ მათი დიდი ფერმკრთალი მამა, კანადის გუბერნატორი, მკაცრი თვალით უყურებდა თავის შვილებს მას შემდეგ, რაც მათი ტომაჰაუკები ისევ გაწითლდა; მეორე მხრივ — სხვა ენაზე მოლაპარაკე, რიცხვით იმდენივე რაოდენობის ხალხს განსხვავებული ინტერესები ჰქონდა, ჰურონები არ უყვარდა და ხალისითაც გამოიყენებდნენ ყოველნაირ საბაბს, რათა მათთვის სახელი

გაეტეხათ დიდი თეთრი ბელადის წინაშე. მერე თქვა, რომ აუცილებელია ასეთ ორჭოფულ მდგომარეობაში გონებას მეტად დავეკითხოთ, ვიდრე გულსო. როცა შენიშნა, მოხუცები კვერს უკრავდნენ მის კეთილგონიერებას, ხოლო ბევრი ყველაზე მძვინვარე და გამოჩენილი მეომარი კი ამ დახლართულ გეგმებს მოღუშული უგდებდა ყურს, იგი მზაკვრულად კვლავ იმ საგანს დაუბრუნდა, რომელიც ყველაზე მეტად მოსწონდათ. ბევრი ილაპარაკა მათი სიბრძნის ნაყოფზე, რომელიც, მან თამამად განაცხადა, სრული და საბოლოო ტრიუმფი იქნებოდა მათ მტრებზე. ბუნდოვნად იმ ამრითაც კი გადაჰკრა სიტყვა, რომ მათ წარმატებას სიფრთხილე კიდევ უფრო დააჩქარებდა. ერთი სიტყვით, საომარი განწყობილება ისე შეუბავა ხრიკებს, რომ ყველას იმედი ჩაესახა, თუმცა ვერავინ იტყოდა, რომ მისი ზრახვები კარგად გაიგო.

საქმის ასეთი ვითარების შემქმნელი ორატორი ანდა პოლიტიკოსი, როგორც უნდა შეაფასოს შთამომავლობამ, ჩვეულებრივ, თანამედროვეთა შორის სახელგანთქმულია. ყველამ წარმოიდგინა, რომ იმაზე მეტი იგულისხმებოდა, ვიდრე წარმოითქვა და ირწმუნეს, რომ დაფარული ამრი სწორედ ისეთი იყო, როგორიც საკუთრივ მას შეეძლო გაეთვალისწინებინა.

საქმის ასეთ ვითარებაში საკვირველი არ არის, რომ მაგუსა საზრიანობამ გაიმარჯვა. ტომი დათანხმდა ფრთხილად, დინჯად ემოქმედა და მთელი საქმის წარმართვა ერთხმად მიანდო იმ ბელადს, რომელმაც ასეთი ბრძნული და საგულისხმო ხერხი შთააგონა.

მაგუამ ახლა კი მიაღწია მთელი მისი მზაკვრობისა და ცდების ერთ დიდ მიზანს: გატეხილი სახელი აღიდგინა თავისი ხალხის თვალში და საქმეების მეთაურობაც კი ჩააბარეს. იგი მართლაც გახდა მბრძანებელი და მანამ, სანამ გავლენის შენარჩუნებას შეძლებდა, ვერც ერთი ხელმწიფე ვერ გაუტოლდებოდა

ძალაუფლებით. ამიტომ მოთათბირის გარეგნობა მოიშორა და აღიჭურვა მისი თანამდებობის ღირსების გასაძლიერებლად საჭირო დარბაისლური, მბრძანებლური იერით.

სხვადასხვა მხარეს მალემსრობლები გაგზავნეს ამბის გასაგებად. მზვერავებს უბრძანეს, დელავერთა სოფელს მიუახლოვდით და ჩუმად დაათვალიერეთ, მეომრები თავიანთ ქოხებში გაუშვეს, ოღონდ დააბარეს, თქვენი სამსახური მალე დაგვჭირდებაო; ქალებსა და ბავშვებსაც უბრძანეს, დაიშალეთ და ჩუმად იყავით. როცა ეს თადარიგი მოთავდა, მაგუამ სოფელში ჩამოიარა. სტუმრადაც შევიდა აქ-იქ, სადაც, სავარაუდოდ, მისი სტუმრობა ქოხის პატრონს ეამებოდა. მეგობრებს რწმენა განუმტკიცა, მოყოყმანენი შეამაგრა და ყველას გული მოინადირა, მერე კი საკუთარი ქოხისაკენ გაუდგა გზას. ჰურონთა ბელადის ცოლი, თავისი ხალხიდან გაქცევის დროს რომ მიატოვა, უკვე გარდაცვლილი იყო. შვილები არ ჰყავდა და ახლა მარტოდმარტო ცხოვრობდა ქოხში. ეს ქოხი სწორედ ის დანგრეული, განმარტოებული ნაგებობა იყო, რომელშიც დავითი იჯდა. იმ იშვიათ შემთხვევებში, როცა ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ, მაგუამ მგალობელს ამაყი უპირატესობის ზიზღნარევი გულგრილობით იტანდა.

აქ შეაფარა თავი მაგუამ, როცა საქმეები მოათავა. თუმცა სხვებს ეძინათ, მას არც სურდა მოსვენება. ვინმე საკმაოდ ცნობისმოყვარე რომ გამოჩენილიყო და ახლად არჩეული ბელადის ყოფაქცევითვის ეთვალთვალა, მას თავის ქოხის კუთხეში მიმჯდარს დაინახავდა. შინ დაბრუნების წუთიდან მოყოლებული მანამდე, სანამ მეომრებს დაუნიშნა შეკრების პაემანი, მომავალი გეგმების ფიქრებში იყო გართული. ხანდახან ქოხის ნაჩვრეტებში სიო შემოუბერავდა და ნაკვერცხლებზე მოფარფატე დაბალი ალი მერყევ შუქს ჰფენდა მოღუშული განდეგილის გარეგნობას. ასეთ წუთებში პირქუში ველური ბნელეთის ხელმწიფეს ჰგავდა,

რომელიც საკუთარ მოჩმახულ ბოროტ ზრახვებს ჩაჰკირკიტებდა და უკეთურ გეგმებს აწყობდა.

მაგრამ ჯერ კიდევ ალიონამდე ბევრად ადრე, მეომრები ერთმანეთის მიყოღებით შემოვიდნენ მაგუას განმარტოებულ ქოხში. ყველა თოფ-იარაღში იყო ჩამჯდარი, ოღონდ ყველას ერთნაირად მშვიდობიანი მოხატულობა ჰქონდა.

მაშინ მაგუა წამოდგა, წასვლის ნიშანი მისცა და თვითონვე ჩადგა სათავეში. ისინი სათითაოდ მისდევდნენ წინამძღოლს იმ კარგად ცნობილი წესრიგით, რომელიც სახელგანთქმულია, როგორც „ინდიელთა მწკრივი“.

დეღავერთა ბანაკისაკენ პირდაპირ მიმავალ ბილიკზე დადგომის ნაცვლად, მაგუამ თავისი გუნდი ერთხანს მდინარის მიხვეულ-მოხვეულ ნაპირს დააყოლა და თახვების პატარა ხელოვნურ ტბას ჩაუარა. მართალია, თავის ძველებურ სამოსელში გამოწყობილი მაგუა ტყავის წამოსასხამის ზემოდან მელიის გამოსახულებას ატარებდა, მისი გუნდის ერთ ბელადს საკუთარ ნიშნად ანუ ტოტემად თახვი ჰქონდა. ამ კაცს რომ პატივისცემა რაიმენაირად არ დაედასტურებინა და ჩაველო თავის ვითომდა ნათესავების ასეთი მძლავრი თემისათვის, მკრეხელობაში ჩამოერთმეოდა, ამიტომ შეჩერდა და რაც შეიძლებოდა ალერსიანი, მეგობრული სიტყვებით დაიწყო ლაპარაკი, თითქოს უფრო ჭკვიან არსებებს მიმართავსო. ცხოველებს თავისი ბიძაშვილები უწოდა; გაახსენა მათ, ჩემი გავლენაა მიზეზი, უვნებლად რომ რჩებით, მაშინ, როცა იმდენი ხარბი ვაჭარი აქებებს ინდიელებს, დახოცეთო. სამომავლოდაც აღუთქვა მათ წყალობა, ოღონდ მოუწოდა, მადლიერნი იყავითო. ახსენა ლაშქრობა, ახლა თვითონ რომ მონაწილეობდა და თავაზიანად სთხოვა, თავიანთი ნათესავებისათვის ის სიბრძნე გაეზიარებინათ, რომლითაც ასე სახელგანთქმულნი იყვნენ ისინი.

ამ არაჩვეულებრივი სიტყვის წარმოთქმის დროს მოლაპარაკის ამხანაგები სერიოზულობითა და გულისყურით უსმენდნენ. ერთი-ორჯერ წყლის ზედაპირზე შავი თავი გამოჩნდა და ჰურონმა სიხარული გამოხატა, ჩემს სიტყვებს ფუჭად არ ჩაუვლიაო. ლაპარაკი რომ დაასრულა, სწორედ მაშინ დიდი თახვის თავი გამოჩნდა ერთი ბუნაგის შესასვლელთან, რომლის თიხის კედლები ჩამონგრეული იყო და ჰურონთა გუნდს მიტოვებულები ეგონა. ნდობის ამგვარი გამოცხადება მოლაპარაკემ დიდად სასიამოვნო ნიშნად მიიღო და თუმცა პირუტყვმა სასწრაფოდ შემალა თავი, მაინც მრავალი მადლობა და ხოტბა მიუძღვნა.

როცა მაგუამ ჩათვალა, საკმაოდ დრო შეეწირა მეომრის ნათესაურ გრძნობათა დაკმაყოფილებასო, კვლავ წასვლის ნიშანი მისცა. როცა ყველა ინდიელი უხმო ნაბიჯით დაიძრა, რომელსაც უბრალო კაცის ყური ვერც გაიგონებდა, იმავე პატივცემული შესახედლობის თახვმა ერთხელ კიდევ გაბედა საფრიდან თავის გამოყოფა. რომელიმე ჰურონს უკან რომ მოეხედა, შეამჩნევდა, ცხოველი ისეთი ცნობისმოყვარეობითა და გამჭრიახობით უთვალთვალებდა მათ მოძრაობას, რომ ადვილად შეიძლებოდა საზრიანი არსება ჰგონებოდა კაცს. როცა ინდიელთა გუნდი ტყეში შევიდა, მაშინღა გამომჟღავნდა ყველაფერი: ცხოველი მთელი ტანით გამობობლდა ბუნაგიდან, ბეწვიანი ნიღაბი ჩამოეცალა და ჩინგაჩგუკის მოღუშული, დაძაბული სახე გამოჩნდა.

მოკლედ თქვი, გეხვეწები; თორემ ხომ ხედავ, არა მცალიან.
შექსპირი. „აურზაური არაფრის გამო“

დელავერთა ტომს, თუ უფრო ნახევარტომს, რომლის ახლანდელი საბანაკო ადგილი ჰურონების დროებით ბინებთან ასე ახლოს იყო, დაახლოებით იმდენივე მეომრის გამოყვანა შეეძლო, რამდენიც ჰურონებს. თავიანთი მეზობლების მსგავსად ისინიც მონკალმს წამოჰყლოდნენ ინგლისის სამფლობელოებში და თავდასხმებს აწყობდნენ მოჰაუკების სანადირო ადგილებზე. თუმცა მიზანშეწონილად მიეჩნიათ, ადგილობრივი მკვიდრებისათვის ასე ჩვეული უცნაური თავშეკავებით, სწორედ მაშინ არ ამოსდგომოდნენ მათ მხარში, როცა ყველაზე უფრო საჭირო იყო. ფრანგები თავიანთი მოკავშირის ამ მოულოდნელ განდგომას სხვადასხვანაირად ხსნიდნენ. უმეტესობის აზრით, მათზე გავლენა იქონია იმ ძველი ხელშეკრულებისადმი მოწიწებამ, რომლის ძალითაც ოდესღაც იროკეზების სამხედრო მფარველობა მიიღეს და ახლა თავიანთ წინანდელ ბატონებთან შეხვედრა არ ესიამოვნებოდათ. რაც შეეხება თვით ტომს, იგი დაკმაყოფილდა, თავისი ელჩების პირით, ინდიელებისთვის დამახასიათებელი ლაკონიურობით მოეხსენებინა მონკალმისათვის: ჩვენი ნაჯახები დაჩლუნგებულია და მათ გალესვას დრო სჭირდებაო. კანადის ფრთხილმა გამგებელმა ბრძნულად არჩია, უმოქმედო მეგობარს დასჯერებოდა, ვიდრე რაიმე ქცევით ან წინდაუხედავი სიმკაცრით იგი აშკარა მტრად მოეკიდებინა.

იმ დილით, როცა მაგუა თავის მდუმარე გუნდს თახვების ქალაქიდან ტყეში შეუძღვა, დელავერთა ბანაკს მზემ დახედა. ქალები ქოხიდან ქოხში გადარბოდნენ. ზოგი დილის საუზმის კე-

თებას შესდგომოდა, ზოგიც გაფაციცებით ირთვებოდა. მეომრები უქმად იდგნენ ჯგუფ-ჯგუფად და უფრო ფიქრებში იყვნენ გართულნი, ვიდრე მუსაიფში. სანადირო იარაღები უხვად ჩანდა ქოხებს შორის; მაგრამ არავინ მიდიოდა. აქა-იქ ზოგიერთი მეომარი სინჯავდა თავის იარაღს იმ გულისყურით, რომელსაც იშვიათად აღირსებენ საჭურველს, როცა ტყის ნადირთა გარდა სხვის შეხვედრას არ მოელოდნენ. ხანდახან მთელი ჯგუფის თვალები ერთბაშად მიაჩერდებოდა სოფლის შუაგულში მდგარი მოზრდილ ქოხს, თითქოს მათი საერთო ფიქრის საგანი ის იყო.

ამასობაში, კლდის იმ ბაქნის უკიდურეს ნაპირზე, რომელზეც სოფელი იყო გაშლილი, კაცი გამოჩნდა. უიარაღოდ იყო და მისი მოხატულობა უფრო არბილებდა, ვიდრე აძლიერებდა მისი მკაცრი და შესამჩნევი სახის ბუნებრივ სისასტიკეს. როცა დელავერების დასანახად მთელი ტანით გამოცხადდა, შედგა და მშვიდობიანი განზრახვის ნიშნად ხელი ჯერ ზეცისკენ აიშვირა, მერე კი გულმხურვალედ მიიღო მკერდზე. სოფლის მცხოვრებლებმა მის სალამს ხმადაბალი, კეთილგანწყობილი ბუბუნით უპასუხეს და მეგობრული განწყობილების იმნაირადვე გამოხატვით გაამხნევეს. ამ წახალისებით შეგულიანებული შავგვრემანი კაცი მოშორდა კლდის ბუნებრივი ბაქნის კიდეს და დარბაისლური ნაბიჯით გამოემართა პირდაპირ სოფლის შუაგულისაკენ. სანამ მოდიოდა, მის მკლავებსა და კისერზე გაკეთებული ვერცხლის მჩატე სამკაულების ჟღარუნისა და ირმის ტყავის მოკასინებზე შემოვლელი ზანზალაკების წკარუნის გარდა სხვა არაფერი ისმოდა. გზად თავაზიანად ესალმებოდა კაცებს, ქალებს კი ყურადღებასაც არ აქცევდა. როცა იმ ჯგუფს მიაღწია, რომელშიც, საერთო ზვიად შეხედულებებზე ეტყობოდათ, მთავარი ბელადები შეკრებილიყვნენ, უცნობი შეჩერდა და მაშინ კი დაინახეს დელავერებმა, რომ მათ წინაშე მდგარი სხარტი და ტანადი პიროვნება ჰურონთა სახელგანთქმული ბელადი ცბიერი მელა იყო.

იგი მოლუშულებმა ეჭვიანად მიიღეს. წინ მდგომი მეომრები განზე გადგნენ და ამით გზა გაუხსნეს თავიანთ გამორჩენილ მჭევრმეტყველს, რომელმაც ჩრდილოეთის მკვიდრთა ყველა ენა იცოდა.

— კეთილი იყოს ბრძენი ჰერონის მობრძანება, — თქვა დელავერმა მაკვების ენაზე, — იგი სუკ-კოტაშის მისართმევად მოვიდა თავის ტბელ ძმებთან?

— დიახ, — მოახსენა მაგუამ და აღმოსავლელი ხელმწიფის ღირსეულობით მოიხარა ქედი.

ბელადმა ხელი გაიწოდა, მეორეს მაჯაში ჩაავლო და ერთხელ კიდევ მეგობრულად მიესალმენ ერთმანეთს. მერე დელავერმა სტუმარი საუბმისათვის ქოხში მიიწვია. ორი მეომარი სამი-ოთხი მოხუცის თანხლებით დინჯად გაუდგა გზას. ტომის დანარჩენ ნაწილს კი გული ეღეოდა სურვილით, შეეტყო ამ უჩვეულო სტუმრობის მიზეზი, მაგრამ სულწასულობა ოდნავაც არ გამოუმჟღავნებიათ.

მოკლე და ღარიბული საუბმის განმავლობაში ძალიან დაკვირვებული საუბარი გააბეს, რომელიც მთლიანად მაგუას ამასწინანდელ ნადირობას შეეხებოდა. შეუძლებელია ფრიად განსწავლულსა და ბრძილ ადამიანს ეჩვენებინა თავი ისე, თითქოს ეს სტუმრობა ჩვეულებრივი რამ ყოფილიყო, როგორც მასპინძლები ახერხებდნენ; თუმცა ყველა იქ დამსწრემ აშკარად იცოდა, რომ ვიზიტი რაღაც საიდუმლო საქმესთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული და ალბათ არცთუ მცირე მნიშვნელობა ექნებოდა მათთვის. როცა ყველა დანაყრდა, ქალებმა ხონჩები და აყროები წაიღეს და ორივე მხარე მოემზადა ჭკუის გამოსაცდელი მძაფრი და გონებაამახვილური ჭიდილისთვის.

— ჩემი დიდი კანადელი მამის სახე კვლავ მობრუნდა მისი ჰერონი შვილებისაკენ? — იკითხა დელავერთა მჭევრმეტყველმა.

– სხვარიგად განა როდის ყოფილა? – მიუგო მაგუამ, – იგი ჩემს ხალხს „ყველაზე საყვარელს“ ეძახის.

დელავერმა მოლუშვით დაუკრა კვერი იმაზე, რაც იცოდა, რომ ტყუილი იყო, და განაგრძო:

– თქვენი ახალგაზრდების ტომაჰაუკები ძალიან გაწითლდა!

– დიახ, მაგრამ ახლა დაჩლუნგებული და პრიალაა, რადგან იენგიები გაიჟლიტნენ, დელავერები კი ჩვენი მეზობლები არიან!

მეორემ ხელის მოხდენილი მოძრაობით ცნო მშვიდობიანობის მაუწყებელი ქათინაური, ოღონდ კრინტი არ დაუძრავს. მაშინ მაგუამ, თითქოს იმ ხოცვა-ჟლეტის გახსენებამ მოაგონაო, იკითხა:

– ჩემი ტყვე ხომ არ აწუხებს ჩემს ძმებს?

– იგი სასურველი სტუმარია.

– ჰურონებსა და დელავერებს შორის ბილიკი მოკლე და გახსნილია. დაე, ჩემს დიაცებს გამოუგზავნონ, თუ აწუხებს ჩემს ძმას.

– იგი სასურველი სტუმარია, – კიდევ უფრო დაბეჯითებით გაუმეორა დელავერთა ბელადმა.

მაგუა რამდენიმე წუთს დადუმდა, თითქოს გულგრილად მიიღო კორას ხელში ჩასაგდები ამ პირველი ცდის მარცხი.

– ჩემი ახალგაზრდები ხომ არ ეცილებიან დელავერებს მთების სანადირო ადგილებში? – განაგრძო მან ბოლოს.

– ლენაპები თავიანთი მთა-გორების ბატონ-პატრონები არიან, – მიუგო მეორემ ამაყად.

– კეთილი. სამართლიანობა წინამძღვრობს წითელკანიანს! რატომ უნდა გააპრიალონ თავიანთი ტომაჰაუკები და გალესონ დანები ერთმანეთის საწინააღმდეგოდ? განა სამტროდ ფერმკრთალსახიანები აღარ არიან?

– მართალია! – შესძახა ერთხმად ორმა-სამმა მსმენელმა.

მაგუამ ცოტა შეიცადა, რომ მის სიტყვებს გული მოეღობო დელავერებისათვის და მერე დასძინა:

— უცხო მოკასინები ხომ არ ყოფილა ტყეში? ჩემს ძმებს თეთრი კაცების ნაკვალევი ხომ არ უნახავთ?

— დაე, მოვიდეს ჩემი კანადელი მამა! — ბანზე აუგდო სიტყვა მეორემ, — შვილები მზად არიან მის შესახვედრად.

— დიდი ბელადი ინდიელთა უიგუამებში ჩიბუხის მოსაწევად მოდის. ჰურონები ასევე ამბობენ, კეთილი იყოს მისი მობრძანებაო. მაგრამ იენგიებს გრძელი ხელები და დაუღალავი ფეხები აქვთ! ჩემმა ახალგაზრდებმა თითქოს იენგიების კვალი დალანდეს დელავერთა სოფლის სანახებში!

— ისინი ლენაპებს მძინარს ვერ მოასწრებენ.

— კეთილი. თვალგახელილ მეომარს შეუძლია მტერი დაინახოს, — თქვა მაგუამ და ერთხელ კიდევ მოსინჯა ნიადაგი სხვაგან, როცა ნახა, რომ ვერ შეძლო თანამოსაუბრის ზრახვათა განჭვრეტა, — მე საჩუქრები მოვართვი ჩემს ძმას. მისი ერი არ დასდგომია ომის ბილიკს, რადგან იფიქრეს, კარგი არ არისო; მაგრამ მათ მეგობრებს ახსოვდათ, ისინი სად ცხოვრობდნენ.

თავის ხელგაშლილობის ამბავი რომ მოახსენა, ცბიერი ბელადი წამოდგა და მასპინძლების თვალწინ საჩუქრები გადმოშალა. ეს უმთავრესად იაფფასიანი, წვრილმანი ბიზილ-პიპილები იყო, რომლებიც უილიამ-ჰენრიში დახოცილ და ტყვედ შეპყრობილ ქალებს წაჰგლიჯეს. მზაკვარმა ჰურონმა ამ წვრილმანი ნივთების განაწილებაში კიდევ უფრო მეტი სიმარჯვე გამოიჩინა, ვიდრე შერჩევაში. უფრო ძვირფასი ნივთები ჯერ ორ ყველაზე გამოჩენილ მეომარს მიართვა, რომელთაგან ერთი მისი მასპინძელი იყო; მერე კი თავის რიგზე შერჩეული და მოხდენილი ქათინაურებით ისე შეკაზმ-შეალამაზა უმცროსებისათვის დარიგებული ძღვენი, რომ განაწყენების ყოველი საფუძველი გამოაცალა მათ. ერთი სიტყვით, მთელ ამ საზეიმო ვითარებაში,

ხელსაყრელ-სასარგებლო ისე ოსტატურად იყო შეზავებული პირფერობასთან, რომ საჩუქრების გამცემს სრულიად არ გაძნელებია მსმენელთა თვალეში ხელგაშლილობისა და ქება--დიდების ასე მარჯვედ შეხამების შედეგი ამოეკითხა.

მაგუას ამ გამოზომილმა და თვალთმაქცურმა ნაბიჯმა მაშინვე გამოიღო ნაყოფი. დელავერებს სახის მკაცრი, მოღუშული გამომეტყველება გულითადი იერით შეეცვალათ. მასპინძელმა, რამდენიმე ხანს ნაალაფევის თავისი უხვი წილის განსაკუთრებული კმაყოფილებით სინჯვის შემდგომ, კიდევ დაბეჯითებით გაიმეორა სიტყვები:

— ჩემი ძმა ბრძენი ბელადია. კეთილი იყოს მისი მობრძანება!

— ჰურონებს უყვართ თავიანთი მეგობარი დელავერები, — სიტყვა ჩამოართვა მაგუამ, — და რატომაც არ უნდა უყვარდეთ! ისინი ერთი და იმავე მზით არიან შეფერილნი და იმათი მართალი კაცები გარდაცვალების შემდეგ ერთსა და იმავე ადგილებში ინადირებენ. წითელკანიანები ერთმანეთს უნდა ემეგობრობდნენ და ფხიზელი თვალი ეჭიროთ თეთრ კაცებზე. ჩემს ძმას ჯაშუშების კვალი ხომ არ შეხვედრია ტყეში?

დელავერს, რომლის სახელიც „გულმაგარს“ ნიშნავდა, ფრანგებმა „ლე ჩოეურდურ“—ად რომ თარგმნეს, გადაავიწყდა ის სიჯიუტე, რამაც, ეტყობოდა, ასე ნიშანდობლივი სახელწოდება მოუპოვა. სახის გამომეტყველება შეურბილდა და პასუხის გაცემაც ამჯერად უფრო პირდაპირ ინება.

— უცხო მოკასინების კვალი იყო ჩემი ბანაკის ახლოს. მათი კვალი ჩემს ქოხშიც შემოვიდა.

— გაჰყარა ჩემმა ძმამ ის ძაღლები? — ჰკითხა მაგუამ.

— ეგ არ იქნება. უცხოელს ყოველთვის სიამოვნებით იღებენ ლენაპის შვილები.

— უცხოელს, მაგრამ არა ჯაშუშს!

– განა იენგიები თავიანთ დიაცებს გზავნიან ჯაშუშებად? ჰურონმა ბელადმა ხომ თქვა, ქალები ბრძოლაში შევიპყარიო?

– მას სიცრუე არ უთქვამს. იენგიებმა თავიანთი მზვერავეები გამოგზავნეს. ისინი ჩემს უიგუამებში იყვნენ, მაგრამ იქ ვერავინ იპოვეს ისეთი, რომ ეთქვა, კეთილი იყოს თქვენი მობრძანებაო. მაშინ ისინი დელავერებისაკენ გამოიქცნენ, რადგან ამბობენ, დელავერები ჩვენი მეგობრები არიანო; მათ თავიანთ კანადელ მამას ზურგი შეაქციესო!

ეს გადაკრული სიტყვა კარგად მოხვდა მიზანს და უფრო დაწინაურებულ საზოგადოებაში ალბათ მაგუას ფხიანი დიპლომატის სახელს მოუპოვებდა. მათი ტომის ამასწინანდელი განდგომის წყალობით, თვითონაც ჩინებულად მოეხსენებოდათ დელავერებს, ბევრი საყვედური ხვდათ თავიანთი ფრანგი მოკავშირეების მხრიდან და ახლა გრძნობდნენ, რომ მომავალში მათ მოქმედებას ეჭვითა და უნდობლობით დაუწყებდნენ ცქერას. დიდი გამჭრიახობა არ იყო საჭირო მიზეზ-შედეგების ძიებაში, რათა გაეთვალისწინებინათ, რომ საქმის ასეთი ვითარება ალბათ საზიანო გამოდგებოდა მთელი მათი მომავალი ცხოვრებისათვის. მათი შორეული სოფლები, სანადირო ადგილები, ასეულობით ქალი და ბავშვი, აგრეთვე სამხედრო ძალების მნიშვნელოვანი ნაწილი მთლიანად საფრანგეთის სამფლობელოთა საზღვრებში იყო მოქცეული. ამიტომ ეს ამაღელვებელი ცნობა, როგორც მაგუა ვარაუდობდა, შეშფოთებით თუ არა, აშკარა უსიამოვნებით მაინც მიიღეს.

– პირდაპირ სახეში შემომხედოს ჩემმა ძმამ, – თქვა გულმაგარმა, – ნახავს, რომ იგი უცვლელია. მართალია, ჩემი ახალგაზრდები არ გასულან საომარ ბილიკზე, მაგრამ სიზმარი ნახეს, მაგას ნუ იზამთო. დიდი თეთრი ბელადი კი უყვართ და პატივსაც სცემენ.

— მერე განა ის ეგრე იფიქრებს, როცა გაიგებს, რომ მის უდიდეს მტერს მისი შვილების ბანაკში აპურებენ? როცა ეტყვიან, მოსისხლე იენგი თქვენს კართან ეწევა ჩიბუხსო! რომ ფერმკრთალსახიანი, რომელმაც მისი იმდენი მეგობარი დახოცა, დელავერებში დასეირნობს! არა... ჩემი დიდი კანადელი მამა სულელი არ არის!

— ვინ არის ის იენგი, დელავერები რომ უნდა უფრთხოდნენ? — ჩამოართვა სიტყვა მეორემ, — რომელმაც ჩემი ახალგაზრდები დახოცა? რომელიც ჩემი დიდი მამის მოსისხლე მტერია?

— გრძელი თოფი!

დელავერთა მეომრები შეკრთნენ, როცა კარგად ცნობილ სახელს მოჰკრეს ყური და განცვიფრებაზე დაეტყოთ, რომ მხოლოდ ახლა გაიგეს პირველად, საფრანგეთის ინდიელ მოკავშირეთა შორის ასეთი სახელგანთქმული მეომარი მათ ხელში რომ იყო.

— რას გულისხმობს ჩემი ძმა? — იკითხა გულმაგარმა ისეთი კილოთი, რომელიც გაკვირვების ელფერით სრულიად არ შეესაბამებოდა მისი რასისათვის ჩვეულ სიდინჯეს.

— ჰურონი არასოდეს ტყუის, — მიუგო მაგუამ ცივად, თავი ქოხის კედელს მიაყრდნო და თავისი მსუბუქი წამოსასხამი შავგვრემან მკერდზე შემოიხვია, — დაე, დელავერებმა გადათვალონ თავიანთი ტყვეები: — ნახავენ, რომ ერთის კანი არც წითელია, არც ფერმკრთალი.

ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა. მერე ბელადი განზე გადგა, ამხანაგებს მოეთათობირა და ტომის კიდევ რამდენიმე გამოჩენილი ადამიანის მოსაყვანად ხალხი აფრინა.

მეომარი მეომარზე რომ შემოდრიოდა ქოხში, სათითაოდ, რიგრიგობით ატყობინებდნენ მაგუსასგან ახლახან გადმოცემულ მნიშვნელოვან ცნობას. ინდიელები ჩვეული დაბალი, ღრმა, ხორხისმიერი შეძახილით გამოთქვამდნენ გაოცებას. ამ-

ბავი ერთიდან მეორემდე გადადიოდა, სანამ მთელი ბანაკი ერთიანად არ შეიძრა. ქალებმა თავი დაანებეს საქმეს, რათა მოთათბირე მეომართაგან შემთხვევით ხმამაღლა ნათქვამი სიტყვებისათვის მოეკრათ ყური. ბიჭებმა თამაში მიატოვეს, უშიშრად დაძვრებოდნენ მამებს შორის და ცნობისმოყვარეობითა და აღტაცებით აცეცებდნენ თვალებს, საძულველი მტრის თავგზიფლადებულობაზე ასე აშკარად გამოხატული განცვიფრების მოკლე შეძახილები რომ ესმოდათ. ერთი სიტყვით, ყოველი საზრუნავი გვერდზე გადადეს, ყველა სხვა საქმე მიაგდეს, რათა ტომს შეძლებოდა თავისუფლად, საკუთარი ადათის მიხედვით საჯაროდ გამოეთქვა თავისი ნება-სურვილი.

როცა ჩოჩქოლი ცოტა მინელდა, მოხუცები გულმოდგინედ შეუდგნენ სჯა-ბაასს, ასეთ საჩოთირო, მძიმე მდგომარეობაში რა მოემოქმედნათ თავიანთი ტომის პატივისა და უშიშროების დასაცავად. მთელ ამ წრიალსა და საერთო აურზაურში, მაგუა ძველებურად იჯდა და თითქოს ისე გულგრილად, კაცს ეგონებოდა, შედეგი სულაც არ აინტერესებსო. მაგრამ მის ფხიბელ თვალს მასპინძლების მომავალ ზრახვათა არც ერთი ნიშანი არ გამოჰპარვია.

დეღავერთა ბჭობა მოკლე იყო. ამის შემდეგ საბეიმო და კანონიერი საერო ყრილობა უნდა გამართულიყო. რადგან ასეთი კრებები იშვიათი იყო, და მხოლოდ საგანგებო ვითარებაში იწვევდნენ, გამჭრიახი ჰურონი დარწმუნდა, რომ მთელი მისი გეგმების ბედი საბოლოოდ ახლა გადაწყდებოდა. ამიტომ გამოვიდა ქობიდან და ხმის ამოუღებლად გაემართა ბანაკის წინ გაშლილი ადგილისაკენ, სადაც მეომრები იწყებდნენ თავმოყრას.

ნახევარ საათამდე დრო გავიდა, სანამ ყველანი, თვით ქალებისა და ბავშვების ჩათვლით, თავიანთ ადგილებს დაიჭერდნენ. როცა მზე იმ მთის ქედზე გადმოდგა, რომლის ფერდობზეც დე-

ლავერებს ბანაკი გაეშალათ, უმეტესობა დალაგებული იყო. დელავერების რიცხვი თითქმის ათასს აღემატებოდა.

მხოლოდ და მხოლოდ უხუცესებსა და ყველაზე ნაცად ვაჟკაცებს ჰქონდათ უფლება, ხალხისათვის მოეხსენებინათ თავშეყრის საგანი. თუმცა, ხნიერი მეომარი, რომელიც ხმის ამოდების უპირატესი უფლებით სარგებლობდა, დუმდა, თითქოს რაღაც სიმძიმეს შეუწუხებიაო. დუმილის ხანგრძლივობა უკვე გაცილებით გადასცდა ჩვეულებრივ, მოსაფიქრებელ შეყოვნებას, რომელიც ყოველთვის წინ უძღვის ბჭობას; მაგრამ თვით ყველაზე პატარა ბიჭუნასაც კი არ დასტყობია მოუთმენლობის ანდა გაოცების რაიმე კვალი.

ბოლოს გაისმა ხმადაბალი ჩურჩული და ყველა ფეხზე წამოდგა. იმწამს, ზემოხსენებული ქობის კარი გაიღო, სამი კაცი გამოვიდა და დინჯად გამოემართა ყრილობის ადგილისაკენ. სამივენი მოხუცები იყვნენ, მაგრამ შუაში მდგომი, რომელიც სიარულისას თავის ამხანაგებს ეყრდნობოდა, იმდენ წელს ითვლიდა, ადამიანის მოდგმას იშვიათად რომ ღირსებია. მისი ოდესღაც კედარივით მაღალი და სწორი სხეული ახლა საუკუნეზე მეტი სიმძიმის ქვეშ მოდრეკილიყო. ინდიელის მკვირცხლი, მსუბუქი ნაბიჯი დაჰკარგოდა და მის ნაცვლად იძულებული იყო, ლასლასით გადაეღახა მანძილი. მისი დანაოჭებული სახის ფერი უცნაურ კონტრასტს ქმნიდა ბეჭებზე დაფენილ სქელ, გრძელ, თეთრ კულულებთან.

ტანსაცმელი მამამთავარს მდიდრული და შესანიშნავი ეცვა, თუმცა ტომის ადათის შესაბამისად — სადა. საუცხოო ტყავების წამოსასხამზე გარდასულ დროთა სხვადასხვა ბრძოლის იეროგლიფური სურათები გამოეხატათ. მკერდს მრავალი მედალი უმშვენებდა, ზოგი სქელი ვერცხლისა, ერთი-ორი კი ოქროსიც, მისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე სხვადასხვა ქრისტიან ხელისუფალთა ნაბოძები. ოქროსივე სამაჯურები და ფეხის რგო-

ლები ეკეთა. გაშლილ თმაზე ვერცხლის დიადემა ჰქონდა შემოსალტული, რომელშიც სირაქლემას სამი გიშრისფერი ფრთა გაერტო. ტომაჰაუკიც ვერცხლისა ჰქონდა, ხოლო დანის ტარი — ოქროსი.

ეს ტამენუნდი იყო. მაგუას ხშირად სმენოდა ამ ბრძენი და სამართლიანი დელავერის ქება. მისი სახელი იმდენად იყო განდიდებული, რომ მას თვით დიდ სულთან იდუმალი კავშირის იშვიათ ნიჭსაც კი მიაწერდნენ და შემდეგში ეს სახელი, ოდნავ შეცვლილი სახით, მისი ძველი ქვეყნის თეთრ დამპყრობლებსაც გადაეცა, როგორც ვეებერთელა სახელმწიფოს მფარველი წმინდანისა. ამიტომ ჰურონთა ბელადი აღტყინებით გამოიჭრა ბრბოდან ისეთ ადგილას, საიდანაც შეეძლებოდა უფრო კარგად დაეთვალიერებინა იმ კაცის სახე, რომლის გადაწყვეტილებაც ალბათ დიდ გავლენას იქონიებდა მის ბედ-იღბალზე.

მოხუცს თვალები ჰქონდა დახუჭული, თითქოს ადამიანთა ნამოქმედარის ცქერით დაიღალაო. მაგუა შესამჩნევ ადგილას იდგა, მაგრამ მოხუცმა ისე ჩაუარა, რომ არც კი დაუნახავს. ორ პატივცემულ მხლებელზე დაყრდნობილი გაემართა ამაღლებული ადგილისაკენ და ხელმწიფის ღირსების შეგნებითა და მამობრივი იერით დაჰდა ხალხის შუაგულში.

არაფერი შეედრებოდა მოწიწებასა და სიყვარულს, რომლითაც თავისი ხალხი შეეგება ამ უკვე უფრო საიქიოს, ვიდრე სააქაოს კუთვნილ ადამიანს. მთავარმა ბელადებმა მისი ხელები მოკრძალებით დაიწყვეს თავებზე, უფრო ახალგაზრდები მის წამოსასხამზე შეხებით ანდა მასთან მხოლოდ მიახლოებით დაკმაყოფილდნენ. ახალგაზრდა მეომრებიდან მხოლოდ ყველაზე გამოჩენილებმა თუ გაბედეს ამ უკანასკნელი მოქმედების აღსრულება. ხალხის უმრავლესობამ საკმარის ბედნიერებად ჩათვალა მართო ეცქირა სათაყვანო და უზომოდ საყვარელი ადა-

მიანისათვის. შემდეგ ბელადებმა კვლავ უკან დაიხიეს და მთელ ბანაკში ღრმა, სამარისებური სიწყნარე გამეფდა.

ცოტა ხნის მერე, რამდენიმე ახალგაზრდა, რომელთაც ტამენუნდის ერთ-ერთმა მოხუცმა მხლებელმა ჩურჩულით მისცა განკარგულება, წამოდგა და იმ ქოხში შევიდა, მთელი დილის განმავლობაში უკვე საყოველთაო ყურადღების საგანი რომ იყო. რამდენიმე წუთში კვლავ გამოჩნდნენ, სამსჯავროს ადგილისაკენ ის პირები მოჰყავდათ, რომლებისთვისაც ეს ყველაფერი მოეწყობო. ბრბო ორად გაიპო, ხოლო როცა ჯგუფი შიგნით შემოვიდა, კვლავ შეიკრა და ადამიანთა სხეულების დიდ, სქელ რკალად შემოევლო იმ ადგილს.

ხალხი დალაგდა; მაშინ წამოდგა მეფე აქილევსი და ასე ბრძანა.

პოუპის „ილიადა“

ტყვეებიდან კორა ყველაზე წინ იდგა და ალისასთვის მაგრად ჩაეჭიდა ხელები. მიუხედავად იმისა, რომ ყოველი მხრიდან ველურები შემოჯარულიყვნენ, შიშს ვერ დაეჯაბნა მამაცი ქალწული და მაინც თვალს არ აშორებდა აცახცახებულ ალისას. იქვე, მათ ახლოს ჰეიუარდი იდგა. ქორის თვალი ცოტა უკან დამდგარიყო, უნკასი კი მათ შორის არ ჩანდა.

როცა კვლავ სრული სიჩუმე დამყარდა და ჩვეულებრივმა, შთამაგონებელმა დუმილმა განვლო, მამამთავრის გვერდში მჯდომი ორი მოხუცი ბელადიდან ერთი წამოდგა და მკაფიო ინგლისურით ხმამაღლა იკითხა:

— რომელია ჩემი ტყვეებიდან გრძელი თოფი?

არც დუნკანს და არც მშვერავს კრინტი არ დაუძრავთ. ოღონდ ჰეიუარდმა ირგვლივ მოავლო თვალი პირქუშ, მდუმარე თავყრილობას და მაშინვე უკან მიაწყდა, როცა მაგუას ბოროტ სახეს შეეფეთა. მიხვდა, რომ ამ მზაკვარი ველურის იდუმალი ხელი ტრიალებდა მთელი საერთო კრების წინაშე ამჟამად მათი წარდგენის საქმეში და გადაწყვიტა, ყოველი ღონისძიებით დაებრკოლებინა მისი ავი ზრახვების განხორციელება. იგი მოწმე იყო ინდიელთა ერთი მსჯავრის აღსრულებისა და ახლა ძრწოდა, მეორე მაგალითი ჩემი ამხანაგი არ გამოდგესო. ამ გასაჭირში, მოფიქრებისათვის დრო საერთოდ არ ჰქონდა, უცბად გადაწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, დაეცვა მეგობარი. მაგრამ სა-

ნამ ხმის ამოღებას მოასწრებდა, კითხვა კიდევ უფრო ხმამაღლა და მკაფიოდ გაიმეორეს.

— მოგვეცით იარაღი, — ფიცხად მიუგო ახალგაზრდა კაცმა, — და იმ ტყეში დაგვაყენეთ, ჩვენი საქმენი ილაპარაკებენ ჩვენ მაგივრად!

— ეს არის ის მეომარი, რომლის სახელმაც ყურები გამოგვიჭედა? — ბელადმა ჰეიუარდი ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა, — რამ მოიყვანა თეთრი კაცი დელავერთა ბანაკში?

— გასაჭირმა. მე მოვედი საჭმლის, თავშესაფრისა და მეგობრების გულისთვის.

— ეგ ტყუილია. ტყე სავსეა ნადირით. მეომარს მოწმენდილი ცის გარდა სხვა საფარი არ სჭირდება, ხოლო დელავერები მეგობრები კი არა, მტრები არიან იენგიებისა. გაჩუმდი — შენმა პირმა ილაპარაკა, გულს კი არაფერი უთქვამს.

დუნკანი ცოტა დაიბნა, აღარ იცოდა, რა გზას დასდგომოდა და ხმა ვერ ამოიღო. მაგრამ მზვერავე, რომელიც აქამდე გულმოდგინედ უგდებდა ყურს ყველაფერს, ახლა თამამად წადგა წინ და ახსნა-განმარტების საქმე ითავა:

— მე რომ ხმა არ ამოვიღე გრძელი თოფის დაძახებაზე, ეს არც სირცხვილით მომსვლია და არც შიშით; რადგან არც ერთი და არც მეორე პატიოსან კაცს არ ახასიათებს. მაგრამ მე არა ვცნობ მინგოების უფლებას, სახელი დაარქვან იმას, რაც სრული სიცრუეა — „ნადირთმჟლეტი“ ნამდვილი შაშხანიანი თოფია და არა კარაბინი, გრძელი თოფი. მე ის კაცი გახლავართ, რომელსაც ოჯახში ნათანიელი უწოდეს, საკუთარი მდინარის ნაპირებზე მცხოვრებმა დელავერებმა — ქორის თვალი, იროკებებმა კი თავხედურად „გრძელი თოფი“ დაარქვეს და არც დაეკითხნენ მას.

ყველას თვალი, რომლებიც აქამდე დაკვირვებით, პირქუშად სინჯავდნენ დუნკანს, ახლა ასე განთქმული სახელის ახალი დამჩემებლის გაჯგიმულ, რკინის აღნაგობას მიაჩერდა.

— ჩემმა ძმამ თქვა, — გველი შემოიპარა თქვენს ბანაკშიო, — მიუბრუნდა ბელადი მაგუას, — ეგ რომელია?

ჰურონმა მზვერავზე მიუთითა.

— განა ბრძენმა დელავერმა მგლის ყმუილს უნდა დაუჯეროს? — შესძახა დუნკანმა, რომელმაც კიდევ უფრო დაიბეჯითა, რომ მის ძველ მტერს ავი ზრახვები ჰქონდა, — ძალი არასოდეს ტყუის, მაგრამ როდის ყოფილა, მგელს სიმართლე ეთქვას!

მაგუას თვალები აენტო, მაგრამ მაშინვე მოაგონდა თავშეკავების აუცილებლობა და დარწმუნებულმა, რომ გამჭრიახ ინდიელებს სადავო საკითხში ჭეშმარიტების დადგენა არ შეეშლებოდათ, ხმის ამოუღებლად ზიზღით იბრუნა პირი. არც მოტყუებულა, რადგან მორიგი მცირე თათბირის შემდეგ ფრთხილი დელავერი კვლავ მიუბრუნდა მას და ძალიან თავაზიანი ენით ბელადების გადაწყვეტილება აცნობა.

— ჩემს ძმას მატყუარა უწოდეს, — თქვა მან, — და მისი მეგობრები განაწყენებულები არიან. ისინი დაამტკიცებენ, რომ მან სიმართლე თქვა. მიეცით ტყვეებს თოფები და დაადასტურონ, რომელია ის კაცი.

მაგუამ თავი ისე დაიჭირა, თითქოს ეს ხერხი, რომელიც ჩინებულად იცოდა, მისდამი უნდობლობით იყო გამოწვეული, ქათინაურად მიიჩნია და კმაყოფილმა, რომ მის სიმართლეს მზვერავისებრი მარჯვე მსროლელი დაიცავდა, მოწონების მანიშნებელი ხელის მოძრაობით უპასუხა. მოდავეებს ხელში მიაჩერეს თოფები და უბრძანეს, ესროლათ ხალხის თავებს ზემოთ, მათგან დაახლოებით ორმოცდაათ იარღზე კუნძზე შემოდებული თიხის ქოთნისათვის.

ჰეიუარდს გულში ჩაეცინა მზვერავთან ამნაირი შეჯიბრზე, თუმცა გადაწყვიტა, მანამდე არ გამოტეხილიყო, სანამ მაგუას ზრახვებს არ შეიტყობდა. მერე დიდი გულმოდგინებით გამართა თოფი, დაუმიზნა და ესროლა. ტყვია რამდენიმე გოჯის დაშორებით მოხვდა ხეს და კმაცოფილების ერთსულოვანმა შეძახილმა აუწყა, რომ ნასროლი იარაღის ხმარებაში სიმარჯვის დამადასტურებელ საბუთად მიიჩნიეს. თვითონ ქორის თვალმაც კი დაიქნია თავი, თითქოს ამბობდა, რასაც მოველოდი, იმაზე უკეთესი იყო. მაგრამ გამარჯვებულ მსროლელთან შეჯიბრების განზრახვის გამომჟღავნების ნაცვლად, იგი თითქოს ერთ წუთზე მეტხანს იდგა თოფზე დაყრდნობილი. ამ თავდავიწყებიდან მალე გამოაფხიზლა ერთმა ახალგაზრდა ინდიელმა, რომელმაც თოფები მიაწოდა მათ. მან ხელი მხარზე დაადო და დამტვრეული ინგლისურით უთხრა:

— ფერმკრთალსახიანს შეუძლია იმას მოარტყას?

— დიახ, ჰურონო! — შესძახა მზვერავმა, მარჯვენა ხელში მოკლე თოფი აიღო შეათამაშა და მაგუას მიმართა: — მე შემიძლია ახლა მოგარტყა შენ და დედამიწის ბურგზე ვერანაირი ძალა ვერ დამიშლის ამ საქმეს! მონავარდე ქორი არ იქნება ისე გულდაჯერებული მტრედის შეპყრობაში, როგორც ამ წუთს მე ვარ შენს სიკვდილში, ტყვიის დახლა რომ მინდოდეს! მაგრამ ამას იმიტომ არ ვაკეთებ, რომ ჩემი ფერი მიკრძალავს და თან იქნებ უბედურებაც დავატეხო ნაბ, უმანკო თავებს! თუ გაგიგონია ღვთის სახელი, მაშ, მადლი შესწირე საკუთარ გულში, რადგან მიზეზი ნამდვილად მოგეპოვება!

მზვერავის აღმურავარდნილმა სახემ და განრისხებულმა თვალებმა ყველა მსმენელი შეაშინა. დელავერებს სუნთქვა შეეკრათ, ხოლო თვითონ მაგუა, მაშინაც კი, როცა მტრის თავშეკავების უნარი ეჭვებოდა, ისევ ისე გაუნძრევლად და წყნარად დარჩა ადგილზე, თითქოს შეზრდიყო.

– ესროლე, – გაუმეორა გვერდით მდგომმა ახალგაზრდა დელავერმა მზვერავს.

– რას ვესროლო, ბრიყვო, რას? – შესძახა ქორის თვალმა, რომელიც გაგულისებული კვლავ ჰაერში იქნევდა იარაღს, თუმცა მაგუას უკვე აღარ მიშტერებოდა.

– თეთრი კაცი თუ ის მეომარია, რომლის სახელსაც იჩემებს, – თქვა ხნიერმა ბელადმა, – უფრო ახლოს მოარტყას მიზანს.

მზვერავმა ხმამაღლა, დამცინავად გადაიხარხარა. მერე მძიმედ დაუშვა თოფის ლულა და, თითქოს დაცემის ბიძგის წყალობით, დაცალა. ქოთნის ნამსხვრევები ჰაერში გაიფანტა. თითქმის იმავე თვალის დახამხამებაში თოფის მიწაზე დაცემის მძიმე ჯახანიც გაისმა – ქორის თვალმა ზიზღით გააგდო ხელიდან.

ამ უცნაურმა სანახაობამ პირველად სრული აღტაცება გამოიწვია. მერე დაბალმა, ოღონდ თანდათან მზარდმა ჩურჩულმა გაირბინა ხალხში და კამათში გადაიზარდა. ზოგი აშკარად გამოხატავდა თავის კმაყოფილებას ასეთი უმაგალითო სიმარჯვის დანახვაზე, ტომის გაცილებით მეტი ნაწილი კი იმ რწმენისაკენ იხრებოდა, რომ ნასროლმა შემთხვევით გაუმართლა. ჰეიუარდს არ დაუყოვნებია და კვერი დაუკრა აზრს, რომელიც მის მტკიცებას მხარს უჭერდა.

– შემთხვევა იყო! – შესძახა მან, – ვის შეუძლია დაუმიზნებლად სროლა!

– შემთხვევა! – გაიმეორა გაღიზიანებულმა ქორის თვალმა, რომელიც ახლა ჭიუტად ცდილობდა, რადაც უნდა დასჯდომოდა, დაემტკიცებინა თავისი ვინაობა და აინუნშიც არ აგდებდა ჰეიუარდის საიდუმლო ნიშნებს, ხელი შემიწყე მტრების ცდუნებაშიო, – მაგ ცრუპენტელა ჰურონსაც შემთხვევა ჰგონია? მიეცით მაგასაც თოფი და პირისპირ დაგვაყენეთ. დაე, განგება და ჩვენმა თვალებმა გადაწყვიტონ ჩვენ შორის საქმე! ამას მე

თქვენ ვერ შემოგთავაზებთ, მაიორო, რადგან ჩვენ ერთი მოდგმისანი და ერთი ხელმწიფის ქვეშევრდომნი ვართ.

ჯიუტი ქორის თვალი ალბათ კიდევ გაფიცხებით განაგრძობდა საკუთარი ვინაობის დამტკიცებას, ხნიერი დელავერი ერთხელ კიდევ რომ არ ჩარეულიყო საქმეში.

— ღრუბლებიდან გამოსული ქორი, როცა უნდა, მაშინ შებრუნდება უკან, — თქვა მან, — მიეცით ისევ თოფები!

ამჯერად მზვერავემა მოუთმენლად სტაცა ხელი თოფს; მაგუას აღარ ჰქონდა შიშის მიზეზი, თუმცა მსროლელის მოძრაობას მანც ეჭვით ადევნებდა თვალს.

— აბა, ახლა დავამტკიცოთ, ამ დელავერთა ტომის წინაშე, რომელი ვჯობივართ, — შესძახა მზვერავემა და თავის თოფის კონდახს ის თითი დაუკაკუნა, რომელსაც ამდენი საბედისწერო ჩახმახი ჰქონდა გამოკრული, — ხომ ხედავთ იმ ხეზე დაკიდებულ აყიროს, მაიორო? თუ ამ საზღვრებზე გამოსადეგი მსროლელი ბრძანდებით, აბა, იმას მოარტყით!

დუნკანმა შენიშნა საგანი და მოემზადა. აყირო ჩვეულებრივი პატარა ჭურჭული იყო, ინდიელები რომ ხმარობდნენ და სრული ასი იარდის დაშორებით ერთი პატარა ფიჭვის გამხმარ ტოტზე ირმის ტყავის თასით ეკიდა. თავმოყვარეობის გრძნობამ ახალგაზრდა ჯარისკაცს შეჯიბრების საბაბიც კი გადაავიწყა. უკვე გამოჩნდა, რომ იმის სიმარჯვე სულაც არ იყო აბუხად ასაგდები და ახლა გადაწყვიტა, უკეთ გამოემზებურებინა თავისი საუკეთესო თვისებები. მისი სიცოცხლე ამ სროლის შედეგზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, უფრო გულმოდგინედ და ფრთხილად დუნკანი მაშინაც კი ვერ ამოიღებდა საგანს მიზანში. თოფი ისროლა და სამმა-ოთხმა ახალგაზრდა ინდიელმა, რომელნიც გრიალის მოსმენისთანავე გაცვივდნენ, ყვირილით აუწყა, რომ ტყვია ხეს მოხვედროდა, სამიზნიდან სულ ცოტათი გვერდზე. მეომრებმა მოწონებით შეჰყვირეს, შემდეგ კი მის მეტოქეს მიაცქერდნენ.

– მშვენიერია ამერიკელთა სამეფო ჯარისთვის, – მოიწონა ქორის თვალმა და ერთხელ კიდევ გაიცინა თავისებური სიცილით, – მაგრამ ჩემი თოფიც რომ ხშირად ამდენზე სცდებოდეს მიზანს, ბევრი კვერნა, რომლის ბეწვსაც მანდილოსნები ატარებენ, ისევ ტყეში ინავარდებდა; ბევრი სისხლიანი მინგო კი, საიქიოს რომ გაემგზავრა, სწორედ დღევანდლამდე არ მოიშლიდა თავის ავკაცობას პროვინციებში. იმედი მაქვს, ამ აყიროს პატრონ დედაკაცს ამისთანები სხვაც ექნება უიგუამში, რადგან ეს ველარასოდეს დაიჭერს წყალს!

ამ ლაპარაკში მზვერავმა ფალიაზე წამალი შეასწორა და თოფი შეაყენა. როცა მიზანს გაუსწორდა, ერთ წამს გაშეშდა, გეგონებოდათ ორივე, კაცი და თოფი, ქვისგან არიან გამოკვეთილნიო. თოფმა ცეცხლის ელვარე, კაშკაშა ბოლად იფეთქა. ახალგაზრდა ინდიელები კვლავ წინ გაიჭრნენ, მაგრამ დაბრუნებისას მათმა იმედგაცრუებულმა სახეებმა გამოამჟღავნეს, რომ ტყვიის კვალი ვერსად აღმოეჩინათ.

– გამეცალე, – უთხრა მოხუცმა ბელადმა მზვერავს ზიზღნარევი კილოთი, – შენ ძაღლის ტყავში გახვეული მგელი ხარ. მე იენგიების „გრძელ თოფს“ უნდა ველაპარაკო!

– ეჰ! მე რომ ის თოფი მქონოდა, რომელმაც თქვენში ეგ სახელი მომიპოვა, აყიროს გახვრეტის ნაცვლად, ვიკისრებდი, თასმა გამეწყვიტა და ჭურჭელი ძირს ჩამომეგდო! – მიუგო ქორის თვალმა და წარბიც არ შეუხრია ბელადის კილოზე, – სულელებო, ამ ტყეების მარჯვე მსროლელის ნატყვიარის პოვნა თუ გინდათ, თვითონ სამიზნეში უნდა დაათვალიეროთ და არა მის გარშემო.

ინდიელი ჭაბუკები მყის მიხვდნენ მისი ნათქვამის აზრს, რადგან ამჯერად იგი დელავერთა ენაზე ლაპარაკობდა. აყირო ხიდან ჩამოგლიჯეს, აღტაცებული ყვირილით ჰაერში შეათამაშეს და ხალხს გახვრეტილი ფსკერი დაანახვეს. ტყვია ყელში შესუ-

ლიყო და შუაგულის ზემო ნაწილში მოხვედროდა. ყველა დამსწრე მეომარს სიამოვნების გამომხატველი ხმამალალი შეძახილი აღმოხდა. ამან დავა გადაწყვიტა. ცნობისმოყვარე, აღტაცებული თვალები, კვლავ ჰეიუარდს რომ მისჩერებოდნენ, მზვერავის გარუჯული სახისაკენ მიბრუნდა. როცა ჩოჩქოლი მინელდა, ხნიერმა ბელადმა ისევ განაგრძო საქმე.

— რატომ გინდოდა ჩემი ყურების დახშობა? — უთხრა მან დუნკანს, — განა დელავერები სულელები არიან, რომ ჭიქი კატი-საგან ვერ გაარჩიონ?

— ისინი კიდევ ნახავენ, რომ ჰურონი მგალობელი ჩიტი ბრძანდება, — თქვა დუნკანმა, რომელმაც სცადა ადგილობრივ მკვიდრთა ხატოვანი ენა ეხმარა.

— კეთილი. ჩვენ გავიგებთ, ვის შეუძლია ვაჟკაცთა ყურის დახშობა. ძმალ, — დასძინა ბელადმა და თვალები მაგუას მიაპყრო, — დელავერები გისმენენ.

ჰურონი წამოდგა და საკუთარი ღირსების შეგნებით გაემართა რკალის შუაგულისაკენ, ტყვეებს პირისპირ დაუდგა და სალაპარკოდ მოემზადა. მაგრამ ხმის ამოღებამდე, დინჯად მოაფლო თვალი ცნობისმოყვარე სახეების მთელ კრებულს, თითქოს თავის გამოთქმებს მსმენელთა გაგების უნარს უფარდებდესო. ქორის თვალს ისე გადახედა, როგორც პატივსაცემ მტერს; დუნკანს კი უზომოდ მძულვარებით შეხედა; ალისასთვის კი თითქმის არ მიუქცევია ყურადღება; მაგრამ როცა მტკიცე, ამაყ და ტურფა კორას მოჰკრა თვალი, ერთ წამს დააშტერდა და მერე ბნელი ზრახვებით აღვისილმა კანადურ კილოკავზზე დაიწყო ლაპარაკი, რომელიც დამსწრეთა უმრავლესობას ესმოდა.

— ადამიანთა შემქმნელმა სულმა სხვადასხვა ფერი მიანიჭა მათ, ზოგი დათვზე შავია. ამათზე თქვა, მონები უნდა იყვნენო და ბრძანა, მუდამ იმუშაონ თახვებივითო. როცა სამხრეთის ქარი უბერავს, დიდი მლაშე წყლის ნაპირებიდან, სადაც დიდ ნავებს

გადაჰყავთ ისინი ჯოგებად, მათ კვნესას გაიგონებთ... ზოგი ტყის ყარყუმზე ფერმკრთალსახიანი გააჩინა და უბრძანა, ვატრები ყოფილიყვნენ; ძაღლები — თავიანთი დიაცებისათვის და მგლები — თავიანთი მონებისათვის. მან მისცა ამ ხალხს მტრედის ბუნება; მარად დაუღალავი ფრთები; ხის ფოთლებზე უმრავლესი ახალგაზრდობა და მთელი ქვეყნიერების გადასანსვლის მადა. მისცა გარეული კატის ცრუ კნავილის მსგავსი ენები, კურდღლისებური გულები, ცბიერება ღორისა (და არა მელისა) და მკლავები ცხენირმის ფეხებზე უფრო გრძელი. თავისი ენით ყურებს უხშობს ინდიელს; გული ასწავლის, მის ომებში ბრძოლისათვის ქირა გადაუხადოს მეომრებს; ცბიერება ჩააგონებს, როგორ მოუყაროს თავი მთელი ქვეყნის დოვლათს; და მკლავები მოუხვევია ადგილებისათვის მლაშე წყლის ნაპირებიდან დიდი ტბის კუნძულებამდე. ავად ხდება გაუმაძღრობით. ღმერთმა საკმაო მისცა და მაინც ყველაფერს ეპოტინება. ასეთები არიან ფერმკრთალსახიანები.

— დიდმა სულმა ზოგი იმ მშებზე უფრო ბრწყინვალე და წითელი კანის ფერისანი შექმნა, — განაგრძო მაგუამ და ხელი შთაგონებით გაიშვირა მზისკენ, ნისლმოდებულ ცაზე ძლივს რომ კრთოდა, — და ესენი ჩამოაყალიბა თავის გუნებისად, მისცა მათ ეს კუნძული ისე, როგორც შექმნილი ჰქონდა იგი — ხეებით დაფარული და ნადირით სავსე. ქარი მათ ახლებს უკეთებდა; მზე და წვიმა უმწიფებდა ხილს და მოდიოდა თოვლი, რომ ეთქვა მათთვის, მადლიერნი იყავითო. რად უნდოდათ სამგზავრო შარაგზები! როცა თახვები მუშაობდნენ, ისინი ჩრდილში იწვნენ და უყურებდნენ. ზაფხულობით ნიავი აგრილებდათ; ზამთრობით ტყავები ათბობდათ. თუ ერთმანეთს ებრძოდნენ, მხოლოდ იმისათვის, რომ ეჩვენებინათ, ვაჟკაცები ვართო. ისინი იყვნენ გულადები, ისინი იყვნენ სამართლიანები, ისინი იყვნენ ბედნიერები.

მოლაპარაკე აქ შეჩერდა და კვლავ მოავლო ირგვლივ თვალი, რათა გაეგო, მისი ნათქვამი გულში მოხვდათ თუ არა მსმენელებს. ყველა მას მიშტერებოდა. თავები მალლა აეწიათ, ნესტოები დაჰბეროდათ, თითქოს ყოველი იქ დამსწრე თავის თავში ძალასა და სურვილს გრძნობდა — თვითონვე, მარტოდმარტო გამოესწორებინა მისი რასის მიმართ გამოჩენილი უსამართლობა.

— დიდმა სულმა თუ სხვადასხვა ენა მისცა წითელ შვილებს, — განაგრძო მან დაბალი, ისევ სევდიანი კილოთი, — ეს იმიტომ, რომ ყველა ცხოველს შესძლებოდა მათი გაგება. ზოგი თოვლში მოათავსა, თავიანთ ბიძაშვილ დათვთან. ზოგი ჩამავალი მზის ახლოს დააბინავა, სანადირო ადგილების გზაზე. ზოგი — დიდი, მტკნარი წყლების გარშემო მიწებზე; მაგრამ ყველაზე უფრო დიდსა და მის საყვარელ ხალხს მლაშე ტბის ქვიშები უბოძა. იციან ჩემმა ძმებმა ამ გამორჩეული ხალხის სახელი?

— ლენაპე! — ერთსულოვანად შესძახა ოცამდე ხმამ.

— ეგ იყო ლენი-ლენაპე; — თქვა მაგუამ და ქედი მოიდრიკა თითქოსდა მათი ძველი დიდებისადმი პატივისცემის ნიშნად, — ეს გახლდათ ლენაპის ტომები! მზე ამოდოდა მლაშე წყლიდან და ჩადოდა ტკბილ წყალში და არასოდეს იმალებოდა მათი თვალებისაგან. მაგრამ მე, ტყეების მკვიდრი ჰურონი, რად უნდა ვუყვებოდე ბრძენ ხალხს საკუთარ გადმოცემებს? რად უნდა მოვავგონებდე მათი შეურაცხყოფის ამბავს, მათ ძველ დიდებას, საქმეებს, ბრწყინვალებას, ბედნიერებას, აგრეთვე დანაკარგებს, დამარცხებებს, გასაცოდავებას? განა მათ შორის არ იმყოფება ისეთი ვინმე, რომელმაც ეს ყველაფერი თავისი საკუთარი თვალით ნახა და იცის, რომ მართალია? მე ვთქვი. ჩემი ენა დუმს, მაგრამ ყურები კი გახსნილი მაქვს.

როგორც კი შეწყდა მოლაპარაკის ხმა, ყველა სათაყვანო ტამენუნდისაკენ მიტრიალდა. დაჯდომის წუთიდან აქამდე მამამ-

თავრის ბაგეები არ გახსნილა, არც სიცოცხლის სხვა რაიმე ნიშანწყალი დასტუბობია. იჯდა იგი სიბერისგან მოდრეკილი და თითქოს ვერც გრძნობდა, სად იმყოფებოდა მთელი ამ ხნის განმავლობაში. მაგუას ხმის საუცხოოდ გამოზომილ ბგერებზე შეგრძნების მცირე ნიშანი დაეტყო და ერთი-ორჯერ თავიც ასწია. მაგრამ როცა ხრიკიანმა ჰურონმა მისი ერის სახელი ახსენა, მოხუცებულმა თვალები გაახილა და ისე მოდუნებული, უაზრო გამომეტყველებით გადმოხედა შეკრებილ ხალხს, კაცს აჩრდილი ეგონებოდა.

მერე წამოდგომა სცადა, მხლებლები შეეშველნენ, მბრძანებლური იერით გაიმართა, თუმცა სისუსტისაგან ტორტმანებდა.

— ვინ ახსენებდა ლენაპის შვილებს? — ბრძანა მან და მისი ხმა მკაფიოდ გაისმა სამარისებურ სიჩუმეში, — ვინ ამბობს გარდასულ საქმეთა ამბავს? განა კვერცხი მატლად არ იქცევა? მატლი — ბუზად, ბუზი კი არ ქრება? რატომ იხსენებენ დელავერების იმ კარგ დროს, რომელიც წავიდა? ჯობს მადლი მოვახსენოთ მანიტოს იმისათვის, რაც დაგვრჩენია.

— ეს გახლავთ უაიანდოტი, — თქვა მაგუამ და ახლოს მივიდა მოხუცთან, — ტამენუნდის მეგობარი!

— მეგობარი! — გაიმეორა ბრძენმა, შუბლი კუმტად შეჭმუხნა და იმ მრისხანების კვალი დააჩნდა, რომელიც ახალგაზრდობაში მას თავზარდამცემ იერს ანიჭებდა, — განა ქვეყანა მინგოების ხელშია? რამ მოიყვანა აქ ჰურონი?

— სამართალმა. მისი ტყვეები მის ძმებსა ჰყავს და თავის საკუთრებისთვის მოვიდა.

ტამენუნდმა პირი იბრუნა ერთ-ერთი მხლებლისაკენ და ყური მიუგდო მის მოკლე ახსნა-განმარტებას. მერე მომჩივანს მოუტრიალდა და ერთხანს გულისყურით დააცქერდა; ამის შემდეგ კი დაბალი, უხალისო ხმით თქვა:

– სამართლიანობა დიდი მანიტოს კანონია. ჩემო შვილებო, აჭამეთ უცხოელს პური. მერე, ჰურონო, წაიყვანე შენი საკუთრება და წადი.

ამ საზვიამო მსჯავრის წარმოთქმის შემდეგ უხუცესი ჩამოჯდა და ისევ დახუჭა თვალები. არ მოიპოვებოდა იმდენად გაბედული დელავერი, თუნდაც ჩურჩულით რომ დასცდენოდა სიტყვა ამ განაჩენის საწინააღმდეგოდ, შეკამათებაზე ხომ არაფერი ითქმის. ჰეიუარდსა და მზვერავს მაშინვე ოთხი-ხუთი ახალგაზრდა მეომარი მისცვივდა და თვალის დახამხამებაში გათოკეს.

მაგუამ ჯერ მოზეიმე იერით გადახედა შეკრებილებს, სანამ თავისი განზრახვის აღსრულებას შეუდგებოდა. რაკი დარწმუნდა, კაცები ხელს ველარ შემიშლიანო, იმას დააშტერდა, ვისაც ყველაზე უფრო აფასებდა. კორამ მის მზერას ისეთი წყნარი და მტკიცე გამოხედვა დაუპირისპირა, რომ ჰურონი შედრკა. ოღონდ მერე კვლავ გაიხსენა ძველი ხერხი: მოაცილა ალისა მეომარს, რომელსაც იგი მიყრდნობოდა, აიყვანა ხელში, თავი დაუქნია ჰეიუარდს, მომყევით და შემოჯარულ ბრბოსაც ანიშნა, გზა მომეცითო. მაგრამ კორა, მისი მოლოდინის წინააღმდეგ უხუცესის ფეხებთან მიიჭრა და ხმამაღლა შესთხოვა:

– სამართლიანო და დიდებულო დელავერო, შენი სიბრძნისა და ძლევამოსილებისაგან სასოებით ველით შეწყალებას! ნუ უსმენ მაგ მზაკვარ და უსინდისო ურჩხულს, სიცრუით რომ გესლავს შენს ყურს, რათა თავისი სისხლიანი წყურვილი დაიკმაყოფილოს. შენ, ამდენ ხანს რომ გიცოცხლია და წუთისოფლის ბოროტება გიწვნევია, გეცოდინება როგორც შეუმსუბუქო უბედურება დაჩაგრულთ!

მოხუცმა მძიმედ გაახილა თვალები და ერთხელ კიდევ გადახედა ხალხს. მავედრებლის ხმამაღალი, გამჭვალავი ხმის გაგონებისას ნელა გადაიტანა მზერა ქალზე და დაჟინებით დააქცერდა. კორას მუხლი მოეყარა, ერთმანეთს ჩახლართული ორივე

ხელი გულზე მიეჭირა და მოხუცისადმი თაყვანისცემის მაგვარი გრძნობით შემეყურე, მშვენიერ, გაცოცხლებულ ქანდაკებას ჰგავდა. ტამენუნდს სახის გამომეტყველება თანდათანობით გადაუსხვაფერდა. გულგრილობა აღტაცებამ შეცვალა და ნაწილობრივ საზრიანობის შუქი მოეფინა სახეზე. იგი დაუხმარებლად, თითქოს ძალდაუტანებლადაც წამოდგა და ისეთი მტკიცე ხმით იკითხა, რომ მსმენელები გააოცა:

— ვინ ხარ შენ?

— ქალი. თუ გნებავთ, საძულველი ერის წარმომადგენელი — იენგი, მაგრამ ისეთი, რომელსაც არაფერი დაუშავებია შენტვის და რომელსაც არც შეუძლია, რაიმე ავნოს შენს ხალხს, კიდევ რომ უნდოდეს. იგი შემწეობას ითხოვს.

— მითხარით, შვილებო, — განაგრძო მამამთავარმა ჩახრინწული ხმით და გარშემო მდგომთ მიმართა, თუმცა თვალები კი მაინც არ მოუშორებია მუხლმოყრილი კორასათვის, — სად არიან დაბანაკებულნი დელავერები?

— იროკეზების მთებში, ჰორიკონის კამკამა წყლების იქით.

— ბევრი მცხუნვარე ბაფხული მოვიდა და წავიდა, — განაგრძო ბრძენმა, — რაც ჩემი საკუთარი მდინარის წყალი დავლიე. მიკუნონის შვილები ყველაზე სამართლიანი თეთრკანიანები არიან; მაგრამ მათ სწყუროდათ და თავისთვის დაიჩემეს იგი. განა ისინი ამისშორესაც მოგვდევენ?

— ჩვენ არავის მივდევთ; არაფერს ველტვით, — უპასუხა გულმხურვალედ კორამ, — ჩვენდა უნებურად ტყვედ მოგვიყვანეს თქვენში. ახლა მხოლოდ იმას გთხოვთ, ნება გვიბოძოთ, მშვიდად წავიდეთ. შენ ხომ ტამენუნდი ბრძანდები, მამა, მსაჯული, მე ვიტყვოდი, თითქმის წინასწარმეტყველი ამ ხალხისა?

— ტამენუნდი ვარ, მრავალი დღის მომსწრე.

— ახლა შვიდიოდე წელი იქნება მას შემდგე, რაც შენი ხალხის ერთი შვილი ხელთა ჰყავდა ერთ თეთრ ბელადს ამ პროვინ-

ციის საზღვრებზე. მან განაცხადა, კეთილი და სამართლიანი ტამენუნდის სისხლისა ვარო. „წადიო, — უთხრა თეთრმა კაცმა, — შენი მშობლის გულისათვის გამითავისუფლებიხარო“. გახსოვს იმ ინგლისელი მეომრის სახელი?

— მახსოვს, რომ როცა მოცინარი ბიჭუნა ვიყავი, — მიუგო ტამენუნდმა მოხუცებისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებული, უცნაური მახსოვრობის წყალობით, — ზღვის ნაპირას ქვიშაზე ვიდექი და თვალი მოვკარი დიდ ნავს, გედისაზე უფრო თეთრი და არწივზე განიერი ფრთები რომ ჰქონდა და მზის ამოსვლის მხრიდან მოდიოდა...

— არა, არა, მე ასეთ შორეულ ხანაზე არ მოგახსენებ; იმ წყალობაზე ვლაპარაკობ, შენს ნათესავს რომ მიანიჭა ერთმა ჩემიანმა, შენი ყველაზე ახალგაზრდა მეომრის ხსოვნაში.

— ეგ მაშინ ხომ არ მოხდა, იენგიები და ჰოლანდიელები რომ ებრძოდნენ ერთმანეთს დელავერთა სანადირო ადგილებისათვის? მაშინ ტამენუნდი ბელადი იყო და პირველად გაცვალა მშვილდი ფერმკრთალსახიანების ელვაზე...

— არც მაშინ, — ჩამოართვა სიტყვა კორამ, — მას მერე კიდევ დიდი დრო გავიდა. მე გუშინდელ ამბავს მოგახსენებ.

— მხოლოდ გუშინ იყო, — განაგრძო კვლავ მოხუცმა მიყრუებული ხმით, — ლენაპის შვილები ქვეყნიერების ბატონები რომ იყვნენ! მლაშე ტბის თევზები, ტყეების ფრინველები, ნადირები და მენგუე საგამორებად ცნობდნენ მათ.

იმედგაცრუებულმა კორამ მწუხარედ ჩაჰკიდა თავი. მერე ისევ ასწია სანდომიანი სახე და თვით მამამთავრის არაამქვეყნიურ ხმაზე არანაკლებ გულის გამჭვალავი კილოთი განაგრძო:

— მითხარი, ტამენუნდი მამაა?

მოხუცმა გასავათებულ სახეზე გამოხატული კეთილი ღიმილით მიუთითა კორას ხალხისკენ და უპასუხა:

— მთელი ერის.

— მე ჩემთვის არაფერს გთხოვ. შენი და შენიანების მსგავსად, დიდებულო ბელადო, — განაგრძო ქალმა, ხელები გულზე გამწარებით მიიჭირა, — ჩემი წინაპრების წყევლამ უწია მათ შთამომავალს. მაგრამ, აი, აქამდე ჯერ არასოდეს უწვნევია ზეციური რისხვის სიმძიმე. ის შვილია მოხუცი, დაძაბუნებული ბერიკაცისა, რომლის დღეები დათვლილია. იგი ბევრს, ძალიან ბევრს უყვარს და იმდენად ძვირფასია, რომ ცოდოა, ამ არამზადის მსხვერპლად იქცეს.

— მე ვიცი, რომ ფერმკრთალსახიანები ზვიადი და ხარბი ხალხია. ვიცი, რომ ისინი იჩემებენ არა მარტო მთელ ქვეყნიერებას, არამედ მიიჩნევენ, რომ მათი ფერის ყველაზე უმდაბლესი ადამიანი წითელკანიანთა საჩემებსაც კი სჯობია. მათი ტომების ძაღლები და ყვავები, — განაგრძო მოხუცებულმა ბელადმა ისე, რომ თავჩაღუნული კორას ტანჯვისათვის ყურადღება არ მიუქცევია, — ყეფასა და ჩხავილს ატეხენ, სანამ თოვლივით თეთრსისხლიანის გარდა სხვა ქალს შეიყვანდნენ თავიანთ უიგუამებში. მაგრამ, დაე, ნუ იტრაბახებენ მანიტოს წინაშე. ისინი ამ ქვეყანაში მზის ამოსვლის მხრიდან შემოვიდნენ და ეგებ მერე მზის ჩასვლის მხრიდან წავიდნენ! მე ხშირად მინახავს, კალიები ფოთლებისაგან რომ ფცქვნიდნენ ხეებს, მაგრამ ყვავილობის ხანა მაინც ყოველთვის დგებოდა!

— მართალია, — თქვა კორამ და ღრმად ამოისუნთქა, თითქოს თავდავიწყებისაგან გამოერკვაო. თავი ასწია, მბზინვარე თმა უკან გადაიყარა და ანთებული თვალები გამოუჩნდა, რომლებიც საოცრად ეწინააღმდეგებოდა მკვდარივით გაფითრებულ მის სახეს, — მაგრამ რატომ არ უნდა გვქონდეს გამოკითხვის უფლება? ჯერ კიდევ არის შენი ხალხის ერთი კაცი, რომელიც არ მოუყვანიათ შენ წინაშე? სანამ მოზეიმე ჰურონს გაუშვებდე, მოუსმინე იმასაც!

როცა შენიშნეს, ტამენუნდმა ყოყმანით მიმოიხედა, ერთმა თანხმლებმა მოახსენა:

— ის გველია — იენგიების ნაქირავები წითელკანიანი. საწამებლად ვინახავთ.

— დაე, მოვიდეს, — თქვა ბრძენმა.

მერე ტამენუნდი კვლავ დაეშვა თავის ადგილზე და სანამ ახალგაზრდები მის განკარგულებას შეასრულებდნენ, ისეთი დუმილი გამეფდა, რომ ტყიდან დილის მსუბუქ სიოზე მოფარფარე ფოთლების შრიალი ხმაც კი მკაფიოდ ისმოდა.

უარს თუ მეტყვით, მაშინ ფუი, სამართალს თქვენსას! ვენეციაში კანონს ძალა არა ჰქონია! სამართალს ვითხოვ, მიპასუხეთ, მომცემთ თუ არა?

შექსპირი. „ვენეციელი ვაჭარი“

სიჩუმე ჩამოვარდა. მერე შეტორტმანებული ხალხი გაიპო, კვლავ შეიკრა და უნკასი ცოცხალი რკალის შიგნით აღმოჩნდა. ბრძენის სახეს მიშტერებული თვალეზი აღტაცებით ამჯერად ტყვის ახოვან, უნაკლო აღნაგობას დააშტერდა. მაგრამ ვერც ვითარებამ, რომელშიაც იგი აღმოჩნდა, ვერც განსაკუთრებულმა ყურადღებამ, რომელიც დაიმსახურა, ოღნავაც ვერ შეაცვლევინა ნირი ახალგაზრდა მოჰიკანს. დინჯად, დაკვირვებით მიმოიხედა და ბელადების მოღუშული სახეების აშკარა მტრულ გამომეტყველებასაც ისევე მშვიდად გაუსწორა თვალი, როგორც ბავშვების ცნობისმოყვარე მზერას. მაგრამ როცა ბოლოს ტამენუნდის გარეგნობა მოხვდა მხედველობის არეში, თვალი ისე დააშტერა, თითქოს სხვა ყველაფერი დაავიწყდაო. მერე ნელი, უხმო ნაბიჯით მივიდა ბაქანთან და სწორედ ბრძენის ფეხების დასაყრდენის წინ გაჩერდა. აქ იდგა ის მოხუცისაგან შეუძინევლად, თუმცა თვითონ კი გაფაციცებით აკვირდებოდა, სანამ ერთმა ბელადმა უხუცესს მისი მოყვანის ამბავი არ გააგებინა.

— ტყვე რა ენით ელაპარაკება მანიტოს? — იკითხა მოხუცმა თვალგაუხეღელად.

— როგორც მისი მამა-პაპანი, — მიუგო უნკასმა, — დელავერის ენით.

ამ მოულოდნელ აღიარებაზე ხალხში ხმადაბალმა, მძვინვარე ღრიალმა გაირბინა, რაც შეიძლებოდა შეგვედარებინა ლო-

მის ბრდღვინვისათვის, როცა მისი გულისწყრომა პირველად იღვიძებს. შთაბეჭდილება ბრძენზეც ასევე ძლიერი მოახდინა, თუმცა სხვაგვარად გამოიხატა. ხელი თვალებზე მოისვა, თითქოს თავიდან უნდა მოიშოროს ეს სამარცხვინო სანახაობაო, თანაც თავის დაბალი, ხორხისმიერი ხმით ახლახან გაგონილ სიტყვებს იმეორებდა.

— დელავერის ენით! მე იმდენი ვიცოცხლე, რომ ვიხილე, ლენაპის ტომები როგორ გამორეკეს თავიანთი საბჭოს კერიდან და დამფრთხალი ირემის ჯოგვივით გაიფანტნენ ისინი იროკეზების მთებში! ვიხილე უცხო ხალხის ნაჯახებმა ხეობებში როგორ დაუშვეს ძირს ტყეები, რომლებიც ზეცის ქარიშხლებს დაეზოგათ! ნადირები, მთებში რომ დაძრწიან და ფრინველები, ხეების თავზე რომ დანავარდობენ, ვიხილე, კაცები უიგუამებში ცხოვრობდნენ, მაგრამ წინათ არასდროს შემხვედრია ისეთი მდაბალი დელავერი, რომელიც გესლიანი გველივით შემოცოცებულიყოს თავისი ერის ბანაკებში.

— მგალობელ ჩიტებს ნისკარტები გაუღიათ, — მიუგო უნკასმა თავისი ტკბილი ხმით, — და ტამენუნდს მათი გალობა სმენია.

ბრძენი შეკრთა და გვერდზე გადახარა თავი, თითქოს რაღაც გარდასული ჰანგის მიძწყდარი ბგერების დაჭერა უნდაო.

— ტამენუნდი სიზმარში ხომ არ არის! — შესძახა მან, — რა ხმა მისწვდა მის ყურს? განა ზამთრები უკან გაბრუნდნენ? კვლავ ბაფხული დაუდგება ლენაპის შვილებს?

დელავერთა წინასწარმეტყველის ბაგეთაგან დასხლეტილი ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტი წინადადებების შემდეგ საზეიმო, მოწიწებული დუმილი გამეფდა. ხალხმა მისი გაუგებარი ლაპარაკი მაშინვე უზენაეს სულთან გასაუბრებად მიიჩნია და ფარული ძრწოლით ელოდა სასწაულის გამოცხადების შედეგს. მაგრამ ხანგრძლივი და უდრტვინველი მდუმარების მერე, ერთმა ხნიერმა კაცმა, რაკი შენიშნა, რომ ბრძენს გადაავიწყდა მათი მსჯელო-

ბით საგანი, გაბედა კვლავ შეეხსენებინა ტყვის იქ ყოფნის ამბავი.

— მუხთალი დელავერი ცახცახებს ტამენუნდის ხმის მოლოდინში, — უთხრა მან, — ეს არის მეძებარი ძაღლი, რომელიც ყეფს, როცა იენგიები კვალს უჩვენებენ.

— თქვენ კი, — მიუგო უნკასმა და კუშტად მიმოიხედა ირგვლივ, — გოშიები ხართ, რომლებიც წკაფწკაფებთ, როცა ფრანგი თავი ნანადირევის ნარჩენებს გადმოგიყრით!

ოცმა დანამ გაიელვა ჰაერში და იმდენივე მეომარი წამოიჭრა ფეხზე ამ მწარე და ეგებ კიდევ დამსახურებულ პასუხზე; მაგრამ ერთ-ერთმა ბელადმა ანიშნა, თავი შეიკავეთო და კვლავ სიწყნარე აღადინა. ეს საქმე შესაძლოა უფრო გაძნელებულიყო კიდევ, ტამენუნდი რომ არ შერხეულიყო და არ დასტყობოდა, რომ კიდევ აპირებდა ლაპარაკს.

— დელავერო, — განაგრძო ბრძენმა, — შენ არა ხარ ღირსი მაგ სახელისა. ჩემს ხალხს მრავალი ზამთარია, კაშკაშა მზე აღარ უნახავს და მეომარი, რომელიც ღრუბლებში მყოფ თავის ტომს გაექცევა, ორჯერ უფრო მოღალატეა. მანიტოს კანონი სამართლიანია. ასეთია იგი, სანამ მდინარენი ჩქეფენ და მთები დგას; სანამ ყვავილი გამოდის და ქრება ხეებზე, ასეთიც უნდა იყოს იგი. ეს თქვენია, შვილნო ჩემნო; გაუჩინეთ სამართალი, რაც ეკუთვნის!

მაშინ კი მთელი ერის პირიდან ერთბაშად ამოხეთქა შურისძიების ყიჟინამ, მათი მძვინვარე და უღმობელი ბრახვების შემადრწუნებელმა წინამორბედმა. ამ გაჭიანურებულ და ველურ ჭყვივილ-ჟივილში, ერთმა ბელადმა მაღალი ხმით გამოაცხადა, რომ ტყვეს მიესაჯა ცეცხლით წამება. წრედ შემოვლებული ხალხი დაიშალა და კმაყოფილი ჟივილ-ხივილის ხმა სასწრაფო მზადების ფუსფუსსა და ალიაქოთს შეერია. ჰეიუარდმა გიჟივით გაიბრძოლა, რომ გუშაგებს დასხლეთოდა. ქორის თვალმა უჩ-

ვეულო შეშფოთებით დაიწყო აღგზნებული თვალების ცეცება, კორამ კი ისევ მუხლი მოიყარა მამამთავრის ფერხთა წინაშე, რომ ერთხელ კიდევ ეთხოვა შეწყალება.

მთელი ამ განსაცდელის წუთებში, მხოლოდ და მხოლოდ უნკასმა შეინარჩუნა სიმშვიდე. წარბშეუხრელად უცქეროდა მზადებას და როცა მწამებლები შესაპყრობად მიუახლოვდნენ, მტკიცე და ამაყი სახით შეეგება. ერთმა მათგანმა ხელი სტაცა ახალგაზრდა მეომარს მონადირის ხალათში და ერთი დაქნევით ჩამოჰგლიჯა ტანიდან. მერე გიჟური სიამოვნების კვილით მივარდა მორჩილ მსხვერპლს და წამების სვეტისაკენ წაყვანა დაუპირა. მაგრამ იმ წამს, როცა მისთვის თითქოს ყველაზე უცხო იყო ღმობიერების გრძნობა, ველურს ისე ანაზღეულად წაუხდა ნირი, გეგონებოდათ, უნკასს ზებუნებრივი ძალა გამოესარჩლა. თვალის კაკლები თითქოს ბუდეებიდან გადმოსცვივდა, პირი დააღო და განცვიფრებისაგან მთელი სხეული გაუშემდა. მერე ნელი, გამოზომილი მოძრაობით ასწია ხელი და თითი ტყვის მკერდს მიაშვირა. გაოცებული ამხანაგები გარს შემოეხვივნენ და ყველას თვალი მასავით გულმოდგინედ დააშტერდა პატარა კუს გამოსახულებას, რომელიც ბაცი ცისფერი წამლით მშვენივრად იყო ამოსვირინგებული მკერდზე.

ერთ წამს უნკასი ტკბებოდა თავისი ზეიმით და წყნარად იღიმებოდა ამ სურათზე. მერე ხელის ამაყი, ზვიადი მოსმით ანიშნა ბრბოს, უკან დაიხიეთო; მეფური იერით დადგა ერის წინ და ხალხში ატეხილი აღტაცების ჩურჩულზე უფრო მაღალი ხმით ლაპარაკი დაიწყო.

— ლენი-ლენაპის ვაჟკაცნო! — თქვა მან, — ჩემს მოდგმას დედამიწა უჭირავს! თქვენი სუსტი ტომი ჩემს ზურგს ეყრდნობა! დელავერის ანთებულ რა ცეცხლს ძალუძს ჩემს მამა-პაპათა შვილის დაწვა? — დასძინა მან და ამაყად მიიშვირა თითი თავის კანზე გამოსახული მარტივი გერბისაკენ, — სისხლი, რომელიც ასე-

თი ძირიდან მოდის, მოაშთობს თქვენს ალს! ჩემი მოდგმა ერთა მამამთავარია!

— ვინ ხარ შენ? — დაეკითხა ტამენუნდი, რომელიც უფრო მონასმენის საოცარმა კილომ წამოაყენა ფეხზე, ვიდრე ტყვის ლაპარაკში ნაგულისხმევმა რაიმე აზრმა.

— უნკასი, ძე ჩინგაჩგუკისა, — მიუგო ტყვემ, თან კრძალვით იბრუნა პირი ხალხისაგან და მოხუცის მდგომარეობისა და ასაკისადმი მოწიწების ნიშნად თავი დახარა, — დიდი უნამისის ძისა.

— ტამენუნდის ჟამი ახლოა! — შესძახა ბრძენმა, — ბოლოს როგორც იქნა, დღე მიეახლა ღამეს! გმადლობ, მანიტო, რომ გამოჩნდა ვაჟკაცი, რომელიც დაიკავებს ჩემს ადგილს საბჭოს კერასთან. უნკასი, შვილი უნკასისა ნაპოვნია! დაე, მომაკვდავი არწივის თვალებმა ამომავალ მზეს შეხედოს!

ჭაბუკი მსუბუქად, მაგრამ ამაყად ავიდა ბაქანზე, საიდანაც მთელი აჩოჩქოლებული და გაოცებული კრებული კარგად ხედავდა. ტამენუნდი დიდხანს უყურებდა მისი სანდომიანი, ამაყი სახის ნაკვთების ყოველ ხაზს.

— ტამენუნდი განა ბავშვია? — შესძახა ბოლოს გაოგნებულმა წინასწარმეტყველმა, — განა ამდენ ზამთარს სიზმარში ვიყავი, ჩემი ხალხი უდაბნოს ქვიშასავით რომ განაბნიეს ხის ფოთლებზე უმრავლესმა იენგიებმა? ტამენუნდის ისარი ახალგაზრდა ირემსაც ველარ დააფრთხობს; მისი მკლავი გამხმარი მუხის რტოსავითაა დამჭკნარი; მას ლოკოკინაც კი გაასწრებს შეჯიბრში; მაგრამ მის წინ დგას უნკასი, როგორც მაშინ, როცა ისინი ფერმკრთალსახიანებზე სალაშქროდ მიდიოდნენ! უნკასი, თავისი ტომის ჯიქი, ლენაპის უფროსი ძე, მოჰიკანთა უბრძნესი საგამორი! მითხარით, დელავერნო, განა ტამენუნდს მთელ ას ზამთარს ეძინა?

ამ სიტყვებს მოდევნებულმა ურყევმა დუმილმა, დაადასტურა ის უსაზღვრო მოწიწება, რომლითაც ხალხმა თავიანთი მამამ-

თავრის ნათქვამი მიიღო. ვერავის გაეხედა კრინტის დაძვრა, თუმცა ყველანი სულგანაბულნი ელოდნენ, რა მოჰყვებოდა ამას. მაგრამ მხოლოდ უნკასმა, რომელიც გამორჩეული შვილის სიყვარულითა და მოკრძალებით შეჰყურებდა მოხუცს სახეში, საკუთარი მაღალი, აღიარებული ხარისხის წყალობით შეჰკადრა პასუხი.

— მას შემდეგ, რაც ტამენენუდის მეგობარი სალაშქროდ მიუძღოდა თავის ხალხს, — მისი მოდგმის ოთხმა მეომარმა იცხოვრა და დალია სული. კუს სისხლი მრავალ ბელადს ჰქონდა ძარღვებში, მაგრამ ყველანი დაუბრუნდნენ მიწას, საიდანაც ისინი მოვიდნენ, გარდა ჩინგაჩგუკისა და მისი ვაჟიშვილისა.

— მართალია... მართალი! — სიტყვა ჩამოართვა ბრძენმა. — ჩვენი ბრძენი კაცები ხშირად იტყოდნენ, „შეურეველთა“ მოდგმის ორი მეომარი იენგიების მთებში არისო. ამდენ ხანს რატომ იყო მათი ადგილები ცარიელი დელავერთა ბჭობის კერებთან?

ამ სიტყვებზე ჭაბუკმა ასწია თავი, რომელიც ოდნავ მოდრეკილი ჰქონდა მოკრძალების ნიშნად და ისე ხმამაღლა წარმოთქვა, რომ ხალხსაც გაეგონა.

— ოდესმე ჩვენ იქ გვეძინა, სადაც მლაშე ტბის ლაპარაკის გაგონება შეგვეძლო, მისი მრისხანების ჟამს. მაშინ ქვეყნის გამგებელნი და საგამორები ვიყავით, მაგრამ როცა ფერმკრთალსახიანი გამოჩნდა ყოველ ნაკადულთან, ნადირს მივდიეთ უკან ჩვენი ერის მდინარისაკენ. დელავერები წასულიყვნენ! მთელი მათი რიცხვიდან მხოლოდ მცირეოდენი მეომრებიღა შემორჩენილიყვნენ, რომ თავიანთი საყვარელი მდინარის წყალი ესვათ. მაშინ თქვეს ჩემმა მამა-პაპებმა: „აქ ვინადიროთ. მდინარის წყალი მლაშე ტბას ერთვის. ჩამავალი მზის მხარეს რომ წავიდეთ, იმ მდინარეებს მივადგებით, ტკბილი წყლის დიდ ტბებში რომ ჩადიან. იქ მოჰიკანები დაიხოცებიან, როგორც ზღვის თევზები — ანკარა წყაროებში. როცა მანიტო მზად იქნება და ბრძანებს,

„მოდითო“, მდინარეს დაუყვებით ზღვისაკენ და ჩვენს საკუთრებას კვლავ დავეპატრონებით“. ასეთია, დელავერო, კუს შვილთა რწმენა! ჩვენი თვალები მიმართულია ამომავალი და არა ჩამავალი მზისაკენ! ჩვენ ვიცით, საიდანაც ამოდის იგი, მაგრამ არ ვიცით, საით მიდის. კმარა!

ლენაპის ვაჟკაცები რიდით უგდებდნენ ყურს მის სიტყვებს. თვითონ უნკასი გამჭრიახი თვალით უკვირდებოდა თავისი მოკლე ახსნა-განმარტებისაგან მოხდენილ შთაბეჭდილებას და ნელა-ნელა ჩამოსცილდა მბრძანებლური იერი, როცა შეამჩნია, მსმენელები დაკმაყოფილდნენო. მაშინ კი უფრო მშვიდად დაუწყო თვალიერება ტამენუნდის ამაღლებულ დასაჯდომს ირგვლივ შემოჯარულ მდუმარე ურდოს და გათოკილი ქორის თვალი შენიშნა პირველად. იგი ადგილიდან მოსწყდა, მიიჭრა მეგობართან, გაგულისებულმა საკუთარი დანით გადაჭრა თასმები და ბრბოს ანიშნა, გზა მომეცითო. მოღუშული, ყურადღებით მაცქერალი ინდიელები ხმის ამოუღებლად დაემორჩილნენ. მერე უნკასმა ჩაჰკიდა ხელი მზვერავს და მამამთავართან მიიყვანა.

— მამავ, — უთხრა მან, — მოხედე ამ ფერმკრთალსახიანს; სამართლიან, პატიოსან ვაჟკაცსა და დელავერთა მეგობარს.

— მიკუონის შვილია?

— არა, მაგრამ იენგიებში სახელგანთქმული და მაკვების ბარდამცემი მეომარია.

— რა სახელი მოიპოვა თავის საქმეებით?

— ჩვენ ქორის თვალს ვეძახით, — მიუგო უნკასმა და დელავერული გამოთქმა იხმარა, — რადგან თვალი არასოდეს უმტყუნებს. მინგოები უკეთ იცნობენ სიკვდილით, მათ მეომრებს რომ ანიჭებს. მათთვის იგი „გრძელი თოფია“.

— გრძელი თოფი! — შესძახა ტამენუნდმა, თან გაახილა თვალები და მკაცრად შეხედა მზვერავს, — ჩემს შვილს კარგად არ უქნია, მაგას რომ მეგობარს უწოდებს.

— ასე იმიტომ ვუწოდებ, რომ კიდევ ნამდვილად არის, — უპასუხა ახალგაზრდა ბელადმა ძალიან მშვიდად, მაგრამ მტკიცე გამომეტყველებით, — თუ უნკასის მოსვლა დელავერთათვის საამური, მაშ, ქორის თვალის მათ მეგობრებში ყოფილა.

— ფერმკრთალსახიანმა ჩემი ახალგაზრდები დახოცა. მისი სახელი ლენაპის შვილებისათვის მოქნეული დარტყმებით განდიდდა.

— თუ ვინმე მინგომ აგრე ჩასჩურჩულა ყურში დელავერებს, ამით მხოლოდ გამოააშკარავა, რომ ის მგალობელი ჩიტია, — თქვა მზვერავმა, რომელმაც ახლა კი საჭიროდ მიიჩნია, თავი ემართლებინა ამისთანა შეურაცხმყოფელი ბრალდების წინაშე, — მე რომ მაკვებს ვხოცავდი, ისეთი კაცი არ გახლავარ, ეს უარყო, თანდაც მათ საკუთარ ბჭობის კერებთანაც კი; მაგრამ შეგნებულად რომ ჩემს ხელს ოდესმე ვინმე დელავერისათვის ევნოს, ეგ ჩემი ნიჭისა და უნარის ბუნებას ეწინააღმდეგება, რომელიც მეგობრულადაა განწყობილი მათდამი და ყველაფერ იმისადმი, რაც მათ ერს ეკუთვნის.

მოწონების ხმადაბალი შეძახილები გაისმა მეომრებში და ისეთი ადამიანების გამომეტყველებით გადახედეს ერთმანეთს, რომელნიც პირველად ჩახვდნენ თავიანთ შეცდომას.

— სად არის ჰურონი? — ბრძანა ტამენუნდმა, — განა მან ყურები დამიხშო?

მაგუა, რომლის გრძნობებიც, უნკასის ზეიმის განმავლობაში, შეიძლება ადამიანმა გაცილებით უფრო უკეთ წარმოიდგინოს, ვიდრე აღწეროს, ახლა მამამთავრის წინაშე თამამად წარდგომით გამოეხმაურა ამ კითხვას.

— სამართლიანი ტამენუნდი, — თქვა მან, — არ დაიტოვებს იმას, რაც ჰურონმა ათხოვა.

— მითხარი ჩემო ძმისწულო, — წარმოთქვა ბრძენმა, თან პირი მორიდა ცბიერი მელის პირქუშ სახეს და სიამოვნებით და-

აცქერდა უნკასის უფრო წრფელსა და ალაღ იერს, — უცხოელს მოეპოვება გამარჯვებულის უფლება შენზე?

— არავითარი. ჰიქი შეიძლება დედაკაცებისაგან დაგებულ მახეშიაც გაეხას, მაგრამ ის მძლავრია და იცის, როგორ ამოხტეს იქიდან.

— გრძელი თოფი?

— დასცინის მინგოებს. წადი, ჰურონო, ჰკითხე თქვენს დიაცებს, რა ფერისა იყო დათვი!

— უცხოელი და თეთრი ქალწული, ჩემს ბანაკში რომ მოვიდნენ?

— მათ გზა ხსნილი აქვთ მგზავრობისათვის.

— და ქალი, ჰურონმა რომ დაუტოვა ჩემს მეომრებს?

უნკასმა ხმა აღარ ამოიღო.

— და ქალი, მინგომ რომ მოიყვანა ჩვენს ბანაკში? — გაიმეორა ტამენუნდმა წარბშეკვრით.

— ის ჩემია! — შესძახა მაგუამ და გალაღებულმა მუქარით დაუქნია ხელი უნკასს, — მოჰიკანო, შენ იცი, რომ ის ჩემია!

— ჩემი შვილი დუმს, — თქვა ტამენუნდმა და სცადა, პასუხი ამოეკითხა სახეზე, რომელიც ჭაბუკმა მისგან იბრუნა.

— ეგრეა, — იყო ხმადაბალი და მოკვეთილი პასუხი.

ჩამოვარდა მოკლე და ამაღელვებელი დუმილი, რომლის განმავლობაშიაც სრულიად აშკარად ეტყობოდა, რა უნდობლად და უხალისოდ ცნო ხალხმა მინგოს მოთხოვნის სამართლიანობა. ბოლოს ბრძენმა, მხოლოდ მის სიტყვაზე რომ იყო დამოკიდებული გადაწყვეტილება, მტკიცე ხმით ბრძანა:

— ჰურონო, წადი.

— როგორც თვითონ მოვიდა, სამართლიანო ტამენუნდ? — დაეკითხა ცბიერი მაგუა; — თუ დელავერთა პატიოსნებისადმი რწმენით აღვსილი ცბიერი მელის უიგუამი ცარიელია. გაამაგრე მაგუა თავისი საკუთრებით.

მოხუცი ერთხანს თავისთვის ჩაფიქრდა. მერე გადაიხარა ერთი თავისი დარბაისელი ამხანაგისაკენ და ჰკითხა:

— ჩემი ყურები ღიაა?

— ეგ მართალია.

— ეს მინგო ბელადია?

— უპირველესი თავის ერში.

— ქალო, რაღა გინდა! დიდ მეომარს მიჰყავხარ ცოლად. წადი, შენი მოდგმა აღარ გადაშენება.

— ათასჯერ მირჩევნია, გადაშენდეს, — შესძახა ზარდაცემულმა კორამ, — ვიდრე ასეთი გათახსირება მხედეს წილად!

— ჰურონო, ამის გონება თავის მამა-პაპათა კარვებშია. ძალით წაყვანილი ქალი უიგუამს გააუბედურებს.

— ეგ თავის ხალხის ენით ლაპარაკობს, — სიტყვა ჩამოართვა მაგუამ და მწარე დაცინვით შეავლო თვალი მსხვერპლს, — ვაჭრების მოდგმისაა და ალერსიანი შეხედვის გულისთვის ღიჭინებს. დაე, ტამენუნდმა თავისი სიტყვა ბრძანოს!

— მიიღე გამოსასყიდი ფასი და ჩვენი სიყვარული.

— იმის გარდა, რაც თვითონ მოიყვანა აქ, სხვა არაფერი უნდა მაგუას თქვენგან.

— მაშ, წაიყვანე შენი საკუთრება და წადი, დიდი მანიტო გვიკრძალავს, რომ დელავერი უსამართლოდ გაისარჯოს.

მაგუა წინ წამოდგა და ტყვეს მძლავრად ჩაბლუჯა მკლავში ხელი, დელავერებმა ხმაამოუღებლად დაიხიეს უკან და კორაც, თითქოს შეიგნო, წინააღმდეგობა ამაო იქნებოაო, მოემზადა, გაუძალიანებლად დამორჩილებოდა თავის ბედს.

— შესდექ, შესდექ! — შესძახა დუნკანმა და წინ გადახტა; — ჰურონო, იქონიე შებრალება! მაგის გამოსასყიდი ფასი ისე გაგამდიდრებს, რომ შენი ხალხის კაცს ჯერ არასოდეს ღირსებია.

— მაგუა წითელკანიანია, მას არ ესაჭიროება ფერმკრთალსახიანების მძივები.

– ოქრო, ვერცხლი, თოფისწამალი, ტყვია, ყველაფერი, რაც მეომარს სჭირდება, შენს უიგუამში იქნება, ყველაფერი, რაც დიდ ბელადს შეშვენის.

– ცბიერი მელა ძალიან მძლავრია, – შესძახა მაგუამ და გამ-
მაგებით შეარხია ხელი, რომლითაც კორას მორჩილი მკლავი
ჩაებლუჯა, – მან თავისი გულის ჯავრი იყარა.

– ღმერთო! – შესძახა ჰეიუარდმა, – განა ეს მოსათმენია?
შენ, სამართლიანო ტამენუნდ, შენ გევედრები წყალობას!

– დელავერის სიტყვები ითქვა, – მიუგო ბრძენმა, თან დახუჭა
თვალები და თავის ადგილზე დაეშვა, სულიერი და ხორციელი
ჯაფით თანაბრად ქანცმიხდილი, – ვაჟკაცები ორჯერ არ ლაპა-
რაკობენ.

– ბელადმა ფუჭად დრო არ უნდა დახარჯოს ერთხელ ნათქვა-
მი სიტყვის გაბათილებაში, – თქვა ქორის თვალმა და დუნკანს
ანიშნა, გაჩუმდიო, – მაგრამ ისიც ჭკვიანურია, ყოველმა
მეომარმა კარგად მოზომოს, სანამ თავის ტყვეს თავში ტომაჰა-
უკს დასცემდეს. ჰურონო, მე შენ არ მიყვარხარ. არც ის შემიძ-
ლია გითხრა, რომ რომელიმე მინგოს ოდესმე დიდი სიკეთე ენა-
ხოს ჩემი ხელიდან. სწორი იქნება, თუ დავასკვნით, რომ თუკი ეს
ომი მალე არ დამთავრდა, კიდევ ბევრი თქვენი მეომარი შემ-
ხვდება მე ტყეებში. მაშ, გონებაში აწონ-დაწონე, ამ ქალიშვი-
ლისთანა ტყვის მიყვანა გირჩევნია შენს ბანაკში, თუ ჩემისთანა
კაცისა, რომლის ხელცარიელად დანახვაც უზომოდ გაახარებს
შენს ხალხს.

– „გრძელი თოფი“ განა ქალს შესწირავს სიცოცხლეს? – შე-
ყოყმანდა მაგუა, რომელსაც უკვე გადადგმულიც ჰქონდა ნაბიჯი
თავისი მსხვერპლიანად.

– არა, არა; მე მაგდენი არ მითქვამს, – მიუგო ქორის თვალ-
მა და სათანადო სიფრთხილით უკან დაიხია, როცა შეამჩნია, მა-
გუა რა გაფაციცებით უგდებდა ყურს მის წინადადებას, – ეგ ხომ

არათანაბარი გაცვლა-გამოცვლა იქნებოდა, რომ ახალგაზრდა და ფორმაში მყოფი მეომარი ამ საზღვრებზე მცხოვრებ თუნდაც ყველაზე რჩეულ ქალში მიგვეცა. მე შემეძლო დავთანხმებულიყავი ზამთრის ბინებში დაბრუნებას ახლა, სულ ცოტა ექვსი კვირით ადრე ფოთოლთა ჩამოცვენამდე, იმ პირობით, თუ ქალწულს გაათავისუფლებ.

მაგუამ ცივად, ამრეზით გაიქნია თავი და მოუთმენლად ანიშნა ბრბოს, გზა მომეცითო.

— მაშ, კარგი, — დაუმატა მზვერავმა, ნახევრად ჯერ კიდევ მოყოყმანე კაცის იერით, — გარიგებაში „ნადირთმჟღეტსაც“ ჩამოვალ. დაიჯერე გამოცდილი მონადირის სიტყვა, ამ თოფის ბადალი პროვინციებში არ მოიძებნება.

მაგუამ მაინც არ აღირსა პასუხი და კვლავ ცდილობდა, გზა გაეკვლია ბრბოში.

— ეგებ, — დასძინა მზვერავმა, რომელიც თავის მოჩვენებით არხეინობას სწორედ იმავე შეფარდებით კარგავდა, რა შეფარდებითაც მეორე ამჟღავნებდა გულგრილობას გაცვლა-გამოცვლისადმი, — ამ იარაღის ნამდვილი ღირსება რომ ვასწავლო თქვენს ახალგაზრდებს, მაშინ მაინც გავათანაბროთ ჩვენი ნათქვამი პირობების მცირე უთანხმოებანი.

ცბიერმა მელამ განრისხებით უბრძანა დელავერებს, რომელნიც კვლავ გაუვალ კედლად შემორტყმოდნენ, იქნებ წინადადებას ყური ათხოვოსო, გზა მიეცათ და თვალების ბრიალით იმუქრებოდა, თუ არადა, კვლავ თქვენი „წინასწარმეტყველის“ უტყუარ სამართალს მივმართავო.

— რაც მოსახდენია, ადრე თუ გვიან მოხდება, — განაგრძო ქორის თვალმა და სევდიანი, მორჩილი გამომეტყველებით მიუბრუნდა უნკასს, — არამზადას ესმის თავისი ხელსაყრელი მდგომარეობის ამბავი და იყენებს კიდევ! უფალმა გაკურთხოს, შვილო, შენ უკვე იპოვე მეგობრები საკუთარ, ნამდვილ ნათესავ-

თა შორის და იმედი მაქვს, ისეთივე ჭეშმარიტ მეგობრობას გაგიწევინ, როგორც ზოგი სხვა ვინმე, რომელსაც ინდიელის სისხლი არა ჰქონია. მე კი, ადრე თუ გვიან, მაინც უნდა მოვკვდე; ოღონდ, საბედნიეროდ, მხოლოდ ცოტა დამტირებელი მომეპოვება! ბოლოს და ბოლოს, ასე ჩანს, სულაც ის თაღლითები მოახერხებენ ჩემი სკალპის ხელში ჩაგდებას. ასე რომ, ერთი-ორი დღე დიდ განსხვავებას ვერ შექმნის დროის მარადიულ სათვალავში. უფალმა გაკურთხოს, — დაუმატა ტყის მკვიდრმა და გვერდზე თავგადახრილს სახის ნაკვთები შეუთამაშდა, მაგრამ მყისვე გასწორდა და ჭაბუკს დაღონებით შეხედა, — ორივენი მიყვარდით, შენ და მამაშენი, უნკას, თუმცა ჩვენი კანის ფერი არცთუ ერთნაირია და ჩვენი უნარიც ცოტა განსხვავდება ერთმანეთისაგან. უთხარი საგამორს, რომ უდიდეს გასაჭირშიც არასოდეს დამვიწყებია იგი, შენ კი ხანდახან მომიგონე, როცა ბედნიერ კვალზე იდგები. თანაც გახსოვდეს, ყმაწვილო, ერთი საიქიო იქნება თუ ორი, იმ ქვეყანაში მოიპოვება ბილიკი, რომელზეც პატიოსანი ადამიანები კვლავ შეიძლება ერთმანეთს შეხვდნენ. ჩემს თოფს იქ იპოვი, სადაც დავმალეთ. აიღე და გქონდეს ჩემს სახსოვრად. და ყური მიგდე, ბიჭო, რაკი ბუნებითი ნიჭი და უნარი არ გიკრძალავს შურისძიებას, ცოტა ხელგაშლილად იხმარე მინგოებზე. ეგებ მაგან შეგიმსუბუქოს ჩემი დაკარგვის მწუხარება და გულს მოგიფონოს. ჰურონო, ვიღებ შენს წინადადებას, გაუშვი ქალი. მე ვარ შენი ტყვე.

მოწონების თავშეკავებული, მაგრამ მკაფიო ჩურჩული გაისმა ხალხში ამ სულგრძელ შეთავაზებაზე. ამ ვაჟკაცურ საქციელზე დელავერთა თვით უმძვინვარეს მეომრებსაც კი გამოხეტათ სახეზე სიამოვნება. მაგუა შედგა და ერთ მღელვარე წამს, შეიძლება ითქვას, ორჭოფობდა. მერე თვალი შეავლო კორას ისეთი გამომეტყველებით, რომელშიც უღმობლობა და თაყვანისცემა

უცნაურად იყო ერთმანეთში გადახლართული და საბოლოოდ გადაწყვიტა.

თავის უკან გადაგდებით გამოხატა თავისი ზიზღი ამ წინადადებისადმი და მტკიცე, ბეჯითი ხმით წარმოთქვა:

— ცბიერი მელა დიდი ბელადია, მას მხოლოდ ერთი ჭკუა აქვს. წამოდი, — დაუმატა მან და მოურიდებლად დაადო ხელი მხარზე კორას, რომ მისთვის ნაბიჯი გადაედგმევინებინა, — ჰურონი მეომარი ყბედი არ არის. ჩვენ წავალთ!

ქალწულმა ამ შეურაცხყოფაზე ამაყი, ქალური თავშეკავებით დაიხია უკან, შავი თვალები აენტო და სახეზე ცეცხლი წაეკიდა.

— მე თქვენი ტყვე ვარ და თავის დროს მზად ვიქნები თუნდაც სასიკვდილოდ წამოგყვეთ, მაგრამ ძალადობა არ არის საჭირო, — ცივად უთხრა მან და მაშინვე ქორის თვალს მიუბრუნდა, — სულგრძელო მონადირევ! გულითა და სულით გმადლობთ. თქვენი მსხვერპლი ამოა და არც შეიძლება მისი მიღება, მაგრამ მაგ თქვენს კეთილ განზრახვაზე კიდევ უფრო მეტი სამსახურის გაწევა შეგიძლიათ ჩემთვის. ამ სასომიხდილ ბავშვს ნუ მიატოვებთ, სანამ უშიშარ ადგილას არ ჩაიყვანთ. ვერ ვიტყვი, რომ მამამისი დაგაჯილდოებთ, რადგან თქვენისთანა კაცი ადამიანთა ყოველ ჯილდოზე მაღლა დგას, მაგრამ იგი მადლობას გეტყვით და დაგლოცავთ. მერე ნაბიჯი გადადგა დუნკანისაკენ, რომელსაც მისი უგრძნობად მყოფი და ეჭირა და უფრო დაბალი ხმით განაგრძო: — არაა საჭირო, გითხრათ, თვალისჩინივით მოუაროთ თქვენს საუნჯეს, — საკუთარი მშვენიერი, მაგრამ ალისაზე ნაკლებ ქათქათა ხელი სევდიანად დაადო დის ფერმიხდილ შუბლს, აქეთ-იქით გადაუწია ჩამოშლილი ოქროსფერი თმა და ხმა ჩაუწყდა. სახე დის სხეულზე დაიხარა. გრძელი, მწველი კოცნის შემდეგ წამოდგა; მკვდრისფერი ედო, მაგრამ ანთებულ თვალებში ერთი ცრემლიც არ უბრწყინავდა; მერე მიბრუნდა და

მთელი თავისი ძველებური, ამაყი იერით უთხრა ველურს: — ახლა, ბატონო ჩემო, თუ გნებავთ, წამოგყვებით.

— ჰო, წადი, — შესძახა დუნკანმა და ალისა ინდიელ ქალიშვილს მისცა მკლავებში, — წადი, მაგუა, წადი. ამ დელავერებს თავიანთი კანონები აქვთ, რომლებიც უკრძალავს მათ შენს დაბრკოლებას; მაგრამ მე... მე არაფერი მიჭერს. წადი, ბოროტო ურჩხულო... რაღას აყოვნებ?

ძნელია აღწეროთ სახის ის გამომეტყველება, რომლითაც მაგუა უგდებდა ყურს დადევნების ამ მუქარას. პირველად სიხარულის მძაფრი და აშკარა გრძნობა აუთამაშდა, თუმცა მალევე დათრგუნა ცბიერი გულგრილობის ნიღბით.

— ტყე თავისუფალია, „ხელგაშლილს“ შეუძლია დაგვედევნოს, — მხოლოდ ეს უპასუხა მან.

— შესდექ! — შესძახა ქორის თვალმა, ხელი სტაცა მკლავში დუნკანს და ძალით შეაჩერა, — თქვენ არ იცით მაგ ეშმაკის ხრიკები. საფარში შეგიტყუებთ და სიცოცხლესაც გამოგასალმებთ.

— ჰურონო, — ჩაერია ახლა უნკასი, რომელიც, თავისი ხალხის მკაცრი ადათების მორჩილი, აქამდე ყველაფერს მხოლოდ გულდასმით და ბეჯითად უგდებდა ყურს, — ჰურონო, დელავერთა სამართალი მანიტოსაგან მოდის. შეხედე მზეს. იგი ახლა ჰემლოკის ზემო ტოტებში ჩანს, შენი ბილიკი მოკლე და ხსნილია. როცა მზე ხეების კენწეროებს ასცდება, მაშინ ვაჟკაცები დაადგებიან თქვენს კვალს.

— ყვავის ჩხავილი მესმის! — მოაძახა მაგუამ დამცინავი ხარხარით, — გზა! — დაუმატა მან და მუქარით დაუქნია ხელი ბრბოს, რომელიც ნელ-ნელა გაიპო და გზა დაუთმო, — სადაა დელავერთა კაბები? დაე, თავიანთი მშვილდ-ისარი და თოფები უაიანდოტებს გამოუგზავნონ. მაშინ ექნებათ საჭმელად ნანადირევი, სათოხნელად კი — სიმინდი. ძაღლებო, კურდღლებო, ქურდებო... მომიფურთხებია თქვენთვის!

მისი გამოსათხოვარი დაცინვა სამარისებური, ავის მომასწავებელი დუმილით მოისმინეს და სტუმარ-მასპინძლობის ინდიელთა ურღვევი კანონებით დაცულმა მოზვიმე მაგუამ, ამ მწარე სიტყვებით, თავისი მორჩილი ტყვის თანხლებით შეუფერხებლად გასწია ტყისაკენ.

ფლუელენი: პიჭების და პარგიპარხანის დახოცვა! ეს ხომ პირდაპირ ომის ყოველი ადათის წინააღმდეგია. დამიჯერეთ, ეს სწორედ იგეთი არამზადობაა, რომა, ქვეყნის ზურგზე ამისთანა არც გაგონილა.

შექსპირი. „მეფე ჰენრი V“

სანამ მიმავალი მტერი ჯერ კიდევ მოჩანდა, ხალხი გაუნძრევლად იდგა, გეგონებოდათ, ჰურონის კეთილისმყოფელ რაღაც ძალას მოუჯადოებია და ადგილზე გაუშეშებიანო; მაგრამ როგორც კი იგი თვალს მიეფარა, გაშმაგებული, მძლავრი ვნებებით აბორგებული მყის შეტორტმანდა და აჩოჩქოლდა. ამაღლებულ ადგილას მდგომ უნკასს თვალი არ მოუშორებია კორასათვის, სანამ ტყის ფოთლებში არ გაუჩინარდა. მაშინ ჩამოვიდა ძირს, ხმაამოუღებლად გაიარა ბრბოში და იმ ქოხში მიიმალა, საიდანაც იგი ამას წინათ გამოვიდა. რამდენიმე დარბაისელი და უფრო დაკვირვებული მეომარი, რომელთაც ახალგაზრდა ბელადის ჩავლისას მის თვალეებში რისხვის ნაპერწკლები შენიშნეს, იმ ადგილისაკენ გაჰყვნენ, თავისი ფიქრების მოსაკრებად რომ აიჩრია მან. ამის შემდეგ ტამენუნდი და ალისა წაიყვანეს და ქალებსა და ბავშვებსაც უბრძანეს, დაიშალეთო. ამ მძიმე, მნიშვნელოვან ჟამს ბანაკი ფუტკრების აშლილ სკას ჰგავდა, რომელიც მხოლოდ თავიანთი დედა ფუტკრის გამოჩენას ელოდა, რათა შორეულ გადაფრენას შესდგომოდა.

ბოლოს ერთი ახალგაზრდა მეომარი გამოვიდა უნკასის ქოხიდან. მძიმე, სალაშქრო სვლისებური მოზომილი ნაბიჯით მივიდა ჯუჯა ფიჭვთან, კლდოვანი ტერასის ნაპრალში რომ ამოსულიყო. შემოატყავა ქერქი და მერე კრინტის დაუძრავად კვლავ

იქ შეებრუნდა, საიდანაც გამოვიდა. მალე მას მეორე მოჰყვა, რომელმაც ხეს ტოტები შემოასხიპა და შიშველი ღეროდა დატოვა. მესამემ მუქი წითელი საღებავის ზოლებით შეაფერადა სვეტი. ერის მთავართა საომარი ზრახვების დამადასტურებელი მთელი ეს ნიშნები გარეთ მდგომმა კაცებმა პირქუში, ავის მომასწავებელი დუმილით მიიღეს. დასასრულ, თვითონ მოჰიკანი გამოჩნდა. თითქმის მთელი ტანსაცმელი განეძარცვა და მშვენიერი სახის ნახევარიც მრისხანე შავი საღებავით დაეფარა.

უნკასი დინჯი, დარბაისლური სვლით მიეახლა სვეტს, ძველებური ცეკვის მსგავსი გამოზომილი ნაბიჯებით დაუწყო შემოვლა, თან თავისი საომარი სიმღერის ველური და უსწორმასწორო ჰანგი შემოსძახა. ბგერები ადამიანური ხმის უკიდურეს საზღვრებს აღწევდა; ხანდახან ნაღვლიანი იყო და ნაზი სევდით აღბეჭდილი თვით ფრინველის გალობასაც ემეტოქებოდა, ხანაც ანაზღეული შეძახილების სიმძლავრით ჟრჟოლას ჰგვრიდა მსმენელებს. სიტყვები ცოტა იყო და ხშირად მეორდებოდა; ღვთაებისადმი რაღაც ვედრების თუ ჰიმნის მსგავსი მიმართვიდან თანდათან მეომრის განზრახვის ამბავზე გადადიოდა:

მანიტო! მანიტო! მანიტო!შენ დიდი ბრძანდები...შენ კეთილი ბრძანდები...შენ ბრძენი ბრძანდები...მანიტო! მანიტო!შენ სამართლიანი ბრძანდები!ზეცაში, ღრუბლებში, ოჰ! ვხედავბევრ ლაქას... ბევრ შავს... ბევრ წითელს...ზეცაში, ოჰ! ვხედავ ბევრ ღრუბელს.ტყეებში, ჰაერში, ოჰ! ისმისკვივლი, გაგრძელებული ყიჟინა და ყვირილი...ტყეებში, ოჰ! ისმისყურისწამლები კვივლი.- მანიტო! მანიტო! მანიტო!მე სუსტი ვარ... შენ ძლიერი ბრძანდები... მე ვყოყმანობ...მანიტო! მანიტო!შენ შემეწიე!

პირველი შემოვლის დასასრულს, ლენაპის ერთმა დარბაისელმა და დიდად დაფასებულმა ბელადმაც მიჰბაძა მის მაგალითს და მსგავს ჰანგზე, ოღონდ საკუთარი სიტყვებით შემოსძახა სიმღერა. მეომარი მეომარს ჩაება ცეკვაში და თანდათანო-

ბით ყველა სახელგანთქმული და გავლენიანი მეომარი წრეში მოექცა. საზარელი სანახაობა იყო: ბელადების მძვინვარე შესახედლობასა და მუქარის გამომხატველ სახეებს კიდევ უფრო ამძაფრებდა მათი ყელიდან ამოსული საშინელი ჰანგები. სწორედ მაშინ უნკასმა ღრმად ჩაასო ტომაჰაუკი სვეტში და დაჰკვივლა ისეთი კილოთი, რომელიც მის საკუთარ საომარ ძახილად უნდა მიგვეჩნია. ამ მოქმედებამ აუწყა ხალხს, რომ მომავალ ლაშქრობაში მოჰიკანმა აიღო ხელში უმთავრესი ძალაუფლება.

ეს გახდა ნიშანი, რომელმაც ერის მთვლემარე ვნებანი გამოაღვიძა. ასამდე ახალგაზრდა, აქამდე რომ თავს იკავებდნენ თავიანთი ასაკის რიდით, გახელებულები ერთსულოვნად მისცვივდნენ თავიანთი მტრის სიმბოლურ გამოსახულებას და ნაფოტ--ნაფოტ დაკუწეს.

როგორც კი ხეს შემოჰკრა, უნკასი მაშინვე გამოვიდა წრიდან და მზეს ახედა, რომელიც ის-ის იყო, აღწევდა იმ წერტილს, როცა მაგუასთან დადებულ დროებით ზავს ყავლი უნდა გასვლოდა. ეს ამბავი ხალხს მალევე აუწყა ხელის მოძრაობით. აღგზნებულმა ურდომ სიამოვნების გამომხატველი ყურისწამლები, ხმამაღალი ყიჟინით მიანება თავი ომობანას თამაშს, რათა ნამდვილი ომისთვის შემზადებულიყო.

ამასობაში დუნკანმა ალისა უშიშარ ადგილზე დაიგულა და უმაღვე მზვერავი მოძებნა. სახეზე ეტყობოდა, ისიც რა სულწასული ელოდა მომავალ ბრძოლას. მაგრამ ქორის თვალი იმდენად იყო შეჩვეული საომარ სიმღერებსა და ადგილობრივ მკვიდრთა ლაშქრობისთვის მზადების სცენებს, რომ მის წინაშე გამართული სანახაობის მიმართ დიდი ცნობისმოყვარეობა არ გამოუმჟღავნებია. იგი მხოლოდ ხანდახან გადაავლებდა თვალს იმ მეომართა რიცხვს, რომელნიც ერთიმეორის მიყოლებით გამოთქვამდნენ მზადყოფნას, უნკასს ბრძოლის ველზე ხლებოდნენ. ამ მხრივ იგი მალე დაკმაყოფილდა, რადგან, როგორც უკვე

მოგახსენეთ, ახალგაზრდა ბელადს მალე შეუერთდა მთელი ერის ყველა მეომარი. როცა ეს არსებითი საკითხი ასე დამაკმაყოფილებლად გადაწყდა, „ნადირთმულეებისა“ და უნკასის თოფის მოსატანად ინდიელი ბიჭი აფრინეს ტყის პირისაკენ, სადაც დელავერთა ბანაკში შემოსვლამდე თავიანთი იარაღი დამალეს. თავისი დიდად დაფასებული თოფის მომტანად სხვა რომ აირჩია, მზვერავისათვის არ უღალატია მისთვის ჩვეული სიფრთხილის გრძნობას. მან ჩინებულად იცოდა, რომ მაგუა მარტო არ იყო მოსული და ისიც იცოდა, რომ მთელი ტყის პირის გასწვრივ ჰურონთა ჩასაფრებული ჯაშუშები თვალს არ აშორებდნენ თავიანთი ახალი მტრების ყოველ მოძრაობას. ამიტომ თვითონვე რომ გაეკეთებინა ეს, მისთვის საბედისწერო იქნებოდა. სხვა რომელიმე მეომარსაც უკეთესი დღე არ დაადგებოდა; ბიჭს კი ალბათ მანამდე მაინც არანაირი საფრთხე არ ელოდა, სანამ მისი განზრახვა გამომჟღავნდებოდა. როცა ჰეიუარდი ამოუდგა მხარში, მზვერავი აუღელვებლად ელოდებოდა ამ ცდის შედეგს.

ბიჭი კარგად იყო დარიგებული და თვითონაც არ აკლდა სიყოჩაღე. ასეთი ნდობით გაამაყებულმა არხეინად გადაიარა ნაკაფი და ტყეში იმ ადგილის ცოტა დაშორებით შევიდა, სადაც თოფები ეგულებოდა დამალული. მაგრამ როგორც კი ფოთლებში მიიმალა, დაეტყო, მისი შავგვრემანი სხეული გველივით როგორც მიცურავდა სასურველი განძისაკენ. მან იმარჯვა — მეორე წამში ორივე ხელში ჩაბღუჯული ნადავლით გამოჩნდა. უჩვეულო სიმკვირცხლით მოხტოდა ფერდობზე. ტყიდან უეცარმა გასროლამ დაადასტურა, რომ მზვერავი არ ცდებოდა. ბიჭმა აბუჩად ამგდები შეძახილით უპასუხა და მყის მეორე ტყვიაც მოაყოლეს სხვა საფრიდან. ზეიმით ასწია მაღლა თოფები და გამარჯვებულის იერით გაემართა სახელოვანი მონადირისაკენ, რომელმაც პატივი სცა და ასეთი დიდებული საქმე დაავალა.

ქორის თვალმა „ნადირთმუღლეთი“ კმაყოფილებით ჩამოართვა, ჯერ გამჭრიახი, მცოდნე თვალით გასინჯა თოფი, ერთი ათჯერ თუ თხუთმეტჯერ გახსნა და დაკეტა ფალია. შემდეგ მიუბრუნდა ბიჭს და ალერსიანად დაეკითხა, ხომ არაფერი დაგშავებიაო. პატარამ ამაყად შეხედა სახეში, მაგრამ კრინტი არ დაუძრაავს.

— ოჰო! ვხედავ, ყმაწვილო, იმ არამზადებს შენთვის მკლავი გაუკაწრავთ! — მზვერავმა აიღო მომთმენი ბიჭის ხელი, რომელიც საკმაოდ ღრმად გაეჭრა ტყვიას, — მაგრამ ცოტაოდენი დაფხვნილი თხმელის ფოთოლი ჯადოსავით მოგიხდება. მე კი წარჩინების ნიშნად უამპუმს შემოგახვევ! მეომრის ხელობას შენ ადრე შეუდექი, ჩემო მამაცო. სამარეში, გეტყობა, სხვა მრავალ საპატიო ნაჭრილობევსაც წაიღებ. ბევრი ახალგაზრდა ვიცი, რომელთაც სკალპები უშოვიათ, მაგრამ ამისთანა ნიშანი კი არ მოეპოვებათ! წადი, — უთხრა მას, როცა მკლავი შეუხვია, — შენ ბელადი იქნები!

ბავშვი წავიდა. ამ ჭრილობით იგი უფრო მეტად ამაყობდა, ვიდრე მეფის ბრძენი კარისკაცი — თავისი ალისფერი ბაფთით, და თანატოლებში მედიდურად გაერია. დელავერებმა მხნე, ოღონდ სუსტი ბიჭუნას ნაცვლად, ამ საქმისათვის უფრო შესაფერი გულადების პატარა რაზმს უბრძანეს, გარეკეთ ჩასაფრებულებიო. დავალება მაშინვე შესრულდა, რადგან ჰურონების უმეტესობამ თავისთავადაც დაიხია უკან, როცა მიხვდნენ, რომ ისინი აღმოაჩინეს. დელავერებმა თავიანთი ბანაკიდან საკმაოდ მანძილზე მისდიეს, მერე კი შეჩერდნენ განკარგულებათა მოლოდინში, შიშობდნენ, საფარში არ შეგვიტყუონო. რაკი ორივე რაზმი ისევ ჩასაფრდა, ტყეში კვლავ სიწყნარე და დუმილი დამყარდა.

მშვიდმა, მაგრამ მაინც მოუთმენელმა უნკასმა ბელადები შემოიკრიბა და თავისი ჯარი გაანაწილა. მან ხალხს წარუდგინა

ქორის თვალი, როგორც მეომარი, რომელიც ხშირად გამოეცადათ და ყოველთვის გაემართლებინა ნდობა. როცა ნახა, ჩემს მეგობარს მოწონებით შეხვდნენ, იმასავით ყოჩაღი, მარჯვე და შეუპოვარი ოცი კაცის მეთაურობა ჩააბარა. მან გააცნო დელავერებს ჰეიუარდის ხარისხი იენგიების ჯარში და იმდენივეს უფროსობა მიანდო. მაგრამ დუნკანმა არ ინდომა; აღიარა, მზვერავის გვერდით მოხალისედ ბრძოლა მირჩევნიაო. ამის შემდეგ ახალგაზრდა მოჭიკანმა სხვადასხვა დელავერი ბელადი დანიშნა სხვადასხვა საპასუხისმგებლო საქმისათვის და რადგან ახლა უკვე დროც აღარ ითმენდა, გალაშქრების ბრძანება გასცა. ხალისით, მაგრამ კრინტის დაუძრავად, მას ორასზე მეტი მეომარი დაემორჩილა.

ისინი დაუბრკოლებლად შევიდნენ ტყეში და არც შეხვედრიან რაიმე საშიშ სულიერს. მაშინ გაიცა ბრძანება, შესდევითო და ბელადები შეიკრიბნენ, რათა „ჩურჩულით ბჭობა“ გაემართათ. თათბირზე ლაშქრობის მრავალი გეგმა დაისახა, მაგრამ მათ ფიცხ წინამძღოლს არც ერთი არ მოეწონა. უნკასი რომ საკუთარ გულისთქმას აპყლოდა, ახლავე, წამის დაუხანებლად გაუძღვებოდა თანამოლაშქრეებს იერიშზე და უცბად შეაგდებდა სასწორზე ბრძოლის ბედს; მაგრამ ამნაირი ქცევა მის თანამემამულეთა ყველა ადათისა და შეხედულების წინააღმდეგი იქნებოდა. ამიტომ იგი იძულებული იყო, სიფრთხილე გამოეჩინა, რომელსაც, თავის ახლანდელ სულიერ მდგომარეობაში, სწყევლიდა. მას ყური უნდა მიეგდო რჩევისათვის, რაზეც მისი გაფიცებული გული ბორგავდა, რადგან თვალწინ საფრთხეში მყოფი კორა და მაგუას თავხედობა ედგა.

მრავალი წუთი გავიდა უნაყოფო თათბირში. შემდეგ ერთი კაცი გამოჩნდა მტრის მხრიდან. იგი ისე გამალეებით მოისწრაფოდა, რომ ადამიანს ეგონებოდა, ალბათ სამშვიდობო მოლაპარაკების დასაწყებად გამოგზავნილი მოციქულიაო. მაგრამ

როცა ასამდე იარღზე მოუახლოვდა საფარს, რომლის უკანაც დელავერთა საბჭო თათბირობდა, უცნობმა სვლა შეანელა, ეტყობოდა, აღარ იცოდა, რა გეზი აეღო, და ბოლოს სულაც შედგა. ყველას თვალი ახლა უნკასს მიეხვინა, თითქოს ეკითხებოდნენ, რა ვქნათო.

— ქორის თვალო, — ჩაულაპარაკა ახალგაზრდა ბელადმა ხმადაბლა, — იმან კვლავ ვედარაფერი უნდა უთხრას ჰურონებს!

— მაგის აღსასრულის ჟამი დამდგარა! — მოკლედ თქვა მზვერავმა, თოფის ლულა ფოთლებში გაყო და გულმოდგინედ ამოიღო მიზანში; მაგრამ გამოკვრის მაგივრად ძირს დაუშვა ლულა და მისთვის ჩვეულ მხიარულებას მიეცა, — საბრალო ცოდვილი რომ ვარ, ის ცუდლუტი მინგოდ მეჩვენა, — თქვა მან, — მაგრამ როცა ჩემი თვალი მის წიბოებს სინჯავდა სატყვიე ადგილის ამოსარჩევად, შენ წარმოიდგინე, უნკას, იმ მუსიკოსის საპიპინო დავინახე! მაშ, ბოლოს და ბოლოს, ეს ის კაცი გახლავთ, გამუტს რომ ეძახიან, რომლის სიკვდილი არავის არგებს და სიცოცხლე, თუ მის ენას სიმღერის გარდა სხვა რამეც ძალუძს, იქნებ გამოგვადგეს კიდევ ჩვენი საქმისათვის.

ამ სიტყვებით ქორის თვალმა გვერდზე გადადო თოფი, გაძვრა ბუჩქებში და როცა ხმის გასაგონ მანძილზე მიუახლოვდა დავითს, სცადა გაემეორებინა ის მუსიკალური ცდა, რომელმაც ასე უვნებლად და ბრწყინვალე წარმატებით გამოატარა ჰურონთა ბანაკი.

რადგან ერთხელ წინათაც ჰქონდა მოსმენილი ეს ბგერები, გამუტმა ახლა უკვე იცოდა, საიდან მოდიოდა ისინი. საწყალ კაცს, ეტყობოდა, თვალის დახამხამებაში დიდი ლოდი ჩამოსცილდა გულიდან, რადგან მაშინათვე ხმის მიმართულებით გამოსწია.

— აქ კი სამშვიდობოს ვართ, — შეეგება ქორის თვალი მგალობელს და უნკასსა და მის თანამოლაშქრეებზე მიუთითა, —

ახლა კი მინგოების ხრიკები გვიამბე წმინდა ინგლისურით და ხმის ყოველნაირი აწევ-დაწევის გარეშე!

დავითი გაოგნებისაგან ენაჩავარდნილი ათვალიერებდა მძვინვარე და მრისხანე შესახედლობის ბელადებს; მაგრამ ნაცნობი სახეების დანახვით გამხნეებულმა მალე მოიკრიბა იმდენი ძალ-ღონე, რომ გასაგები პასუხის მიცემა მოახერხა.

— წარმართები ბლომად არიან წამოსულნი, — თქვა დავითმა, — და, ვშიშობ, ავი განზრახვითაც. დიდი ღრიანცელი და მკრეხელური ბარბეიმი გამართეს ამ ერთი საათის წინათ თავიანთ სოფელში. ისეთი ალიაქოთი ატყდა, რომ ჭეშმარიტად ვეღარ გავუძელი და მშვიდობის საძიებლად დელავერებს მოვაშურე.

— შენი სმენა ბევრს ვერაფერს მოიგებდა აქეთ გამოქცევით, უფრო ფეხმალი რომ ყოფილიყავი, — მიუგო მზვერავმა ცოტა მკვახედ, — მაგრამ მაგას თავი დავანებოთ. სად არიან ჰურონები?

— ისინი ჩამალულნი წვანან ამ ადგილსა და მათ სოფელს შორის და იმდენნი არიან, რომ ჭკვიანური იქნებოდა, თუ ახლავე უკან გაბრუნდებით.

უნკასმა ამაყად გახედა ხეების წყებას, რომელთა უკანაც მისი ჯარი იყო შეფარებული და მერე იკითხა:

— მაგუა?

— მათ შორისაა. დელავერებთან დატოვებული ქალწული მოიყვანა, გამოქვაბულში დააბინავა და გაცოფებული მგელივით სათავეში ჩაუდგა თავის ველურებს. არ ვიცი, ასე რამ შეაშფოთა მისი სული.

— თქვენ ამბობთ, იგი გამოქვაბულში დატოვაო! — ჩაერია ლაპარაკში ჰეიუარდი, — კარგია, მისი სამყოფელი რომ ვიცით. არ შეიძლება ახლავე ვცადოთ რაიმე მის დასახსნელად?

უნკასი ფიცხად მიუბრუნდა მზვერავს და მერე ჰკითხა:

— რას იტყვის ქორის თვალი?

– მომეცი ჩემი ოცი თოფი. მარჯვნივ შევებრუნდები, გავყვები მდინარეს და თახვების ქოხებს რომ ჩავუვლი, საგამორსა და პოლკოვნიკს შევიერთებ. მაშინ გაიგონებ იქიდან კვილს – ასეთ ქარში კაცი ერთ მიღზეც მიაწვდენს ხმას. მერე, უნკას, შენ პირდაპირ შემოუტეე მათ. როცა ისინი სათოფე მანძილზე მოგვიახლოვდებიან, ჩვენ ისე დავცხებით, რომ, ამ საზღვრების ძველი მკვიდრის პატიოსან სიტყვას ვიძლევი, ლაფნის მშვილდით მოვდრეკთ მათ წყებას. ამის შემდეგ დავიპყრობთ მათ სოფელს და ქალს გამოვიყვანთ გამოქვაბულიდან.

– მე ძალიან მომწონს, – შესძახა დუნკანმა, რომელმაც შეამჩნია, რომ მზვერავს გულში უპირველეს მიზნად კორას განთავისუფლება ჰქონდა, – მე ძალიან მომწონს. მაშ, ახლავე შევუდგეთ კიდეც!

მცირე თათბირის შემდეგ გეგმა საბოლოოდ ჩამოაყალიბეს და უფრო მკაფიოდ განუმარტეს სხვადასხვა გუნდს; დათქვეს განსხვავებული ნიშნები და ბელადებიც დაიშალნენ – ყველამ თავისი ადგილისაკენ გასწია.

მაგრამ ჭირი გავრცელდება და მიცვალებულთა დასაწვავი კოცონები იმრავლებს მანამდე, სანამ დიდი მეფე გამოსასყიდი ფასის აუღებლად თავის საკუთარ ქრისეში არ გაგზავნის ცისფერთვალეა ქალწულს.

პუოპის „ილიადა“

უნკასი თავის ძალებს რომ ანაწილებდა, მთელი იმ დროის განმავლობაში, დაწყნარებული ტყე უკაცრიელი ჩანდა. დელავერებსა და მათი მტრების სოფელს შორის მოქცეული უღრანი ტყის ზოლი ისე გაყუჩებულიყო, თითქოს აქაურობას კაცის ფეხი არასოდეს გაჰკარებოდა, მაგრამ ქორის თვალი, რომელსაც ლაშქრობაში ახლა მოწინავეობა ჰქონდა დაკისრებული, იმდენად კარგად იცნობდა თავის მეტოქეთა ბუნებას, რომ მაცდუნებელ სიწყნარეს არ ენდობოდა.

როცა თავის რაზმს თავი მოუყარა, მზვერავმა მკლავზე გადაიდო „ნადირთმულეტი“ და უხმოდ ანიშნა, მომყევითო. და გამოატარა უკან, პატარა მდინარის კალაპოტისაკენ, რომელიც წინსვლის დროს გადმოლახეს. აქ შედგა, დაიცადა სანამ ყველა მისი სმენადქცეული მეომარი მოგროვდებოდა და დელავერთა ენაზე იკითხა:

— ჩემი ახალგაზრდებიდან ხომ არავინ იცის, ეს ხევი სად ჩავიყვანს?

ერთმა დელავერმა გამოიწოდა ორთითგაშლილი ხელი; აჩვენა, როგორ ერთდებოდნენ ეს თითები ძირში და უპასუხა:

— სანამ მზე თავის სიგანე მანძილზე გადაინაცვლებდეს, პატარა წყალი დიდში ჩავა.

— მეც ეგრე ვფიქრობდი, — მზვერავმა ხეების კენწეროებს შორის დატოვებულ ზოლს გააყოლა თვალი, — მისი მიმართულები-სა და მთების მოყვანილობის მიხედვით, კაცებო, ჩვენ ამის ნაპირების საფარქვეშ ვივლით, სანამ ჰურონების სუნს ვიკრავდეთ.

თანამოლაშქრეებმა თანხმობის მაუწყებელი ჩვეულებრივი მოკლე შეძახილით უპასუხეს. მაგრამ როცა შენიშნეს, ჩვენი წინამძღოლი უკვე გზის გადგომას აპირებსო, ერთმა თუ ორმა მეომარმა ანიშნა, ყველაფერი რიგზე არ არისო. ქორის თვალმა შეამჩნია მათი ნიშანდობლივი გადმოხედვა, მიბრუნდა და დაინახა, რომ გუნდს გალობის მასწავლებელიც წამოჰყოლოდა.

— იცი, მეგობარო, — დაეკითხა მზვერავი პირქუშად და ეგებ, ცოტა არ იყოს, ამაყადაც, — რომ ეს გახლავს მტრის ბურგში გაგზავნილი მეომრების გუნდი, არჩეული ფრიად თავგებულადებული საქმის შესასრულებლად, თანაც ისეთი კაცის მეთაურობით, რომელიც მათ უქმად არ დატოვებს? ხუთი, ბევრი-ბევრი ოცდაათი წუთიც არ გაივლის, რომ ჩვენ მკვდარი ან ცოცხალი ჰურონების სხეულებზე მოგვიხდება გადაბიჯება.

— თუმცა სიტყვიერად არავის შეუტყობინებია ჩემთვის თქვენი ზრახვები, — მიუგო დავითმა, რომელსაც სახე ცოტა ალექოდ და მუდამ წყნარი, დაბნეული თვალები უჩვეულო ცეცხლით უბრწყინავდა, — თქვენმა კაცებმა სიქემელების წინააღმდეგ საომრად მიმავალი იაკობის შვილები მომაგონა, რადგან მათ ბოროტად ეწადათ, ღვთისაგან რჩეული მოდგმის ქალი წაეყვანათ მეუღლედ. მე დიდი გზა გამოვიარე და დიდხანსაც დავეყვი, ავად თუ კარგად, იმ ქალიშვილთან ერთად, რომელსაც თქვენ ეძიებთ და მართალია, ომის კაცი არ გახლავარ, შეჭურვილი და ბასრმახვილიანი, მაგრამ მაინც სიხარულით მოვიქნევ ხელს მისი გულისათვის.

მზვერავი შეეყოყმანდა, თითქოს გონებაში სწონიდა, ასეთი უცანური მეომარი რაზმში ჩაერიცხა თუ არა და მერე უპასუხა:

— არანაირი იარაღის ხმარება არ იცი. მერწმუნე, რასაც მინგოები მიიღებენ, იმას უხვადაც აბრუნებენ უკან.

— თუმცა ბაქია და სისხლისმწყურვალ გოლიათი არა ვარ, — სიტყვა ჩამოართვა დავითმა და ჭრელი, უცნაური ტანსაცმელის ქვეშიდან შურდული გამოიძრო, — ებრაელი ყრმის მაგალითი არ დამვიწყებია. ამ ძველებური საომარი იარაღით ბევრი მივარჯიშია პატარაობისას და სიმარჯვემ ვეგებ არც ახლა მიმტყუნოს.

— ჰო, — დამცინავი თვალით გადახედა ქორის თვალმა, — მაგან შეიძლება ისრებსა და დანებშიც კი ივარგოს, მაგრამ ფრანგებისგან ჩამორიგებულ ჩინებულ შაშხანიან თოფებთან ვერას გახდება. თუმცა, თითქოს შენი ნიჭია ცეცხლიდან უვნებლად გამოსვლა და რაკი აქამდე ბედი გწყალობდა... მგალობელო, შეგიძლია წამოგვყვე. იქნებ ყიჟინის დროს საქმეც გაგიჩინოთ.

— გმადლობთ, მეგობარო, — უთხრა დავითმა, თანაც მისი სეხნია მეფის მსგავსად, პატარა მდინარის რიყიდან ქვებს იმარაგებდა, — თუმცა კაცისკვლის წადილი არა მაქვს, მაგრამ უკან რომ გაგებრუნებინე, ჩემი სული ძალიან შეწუხდებოდა.

— გახსოვდეს, — დაუმატა მზვერავმა, — ჩვენ საომრად მივდივართ და არა სასიმღეროდ. საომარ ყიჟინამდე თოფის გარდა სხვა არაფერი ლაპარაკობს.

დავითმა თავი დაუქნია იმის ნიშნად, მაგ პირობებზე თანახმა ვარო. მაშინ ქორის თვალმა ერთხელ კიდევ დაკვირვებით მოავლო თვალი თანამოლაშქრეებს და დაძვრის ნიშანი მისცა.

დაუბრკოლებლად მიაღწიეს იმ ადგილს, სადაც პატარა მდინარე უფრო მოზრდილს ერთვოდა და ოდნავაც არ უგრძნიათ, რომ მათი მოძრაობა ვინმემ შენიშნა. აქ მზვერავი კიდევ შედგა, რომ ტყისთვის შეევლო თვალი.

— ეტყობა, კარგი დღე გვექნება ბრძოლისათვის, — უთხრა ინგლისურად ჰეიუარდს და თვალი ღრუბლის დიდრონ ფთილებს შეავლო, — მზე და ბრჭყვიალა ლულა უტყუარ თვალთან ვერ

რიგდებიან. ყველაფერი ჩვენთვის ხელსაყრელადაა. ქარი იქიდან უბერავს და თავისთავად მცირე ამბავი არაა, რომ მათ ხმებსაც მოგვიტანს და კვამლსაც; მაშინ როცა, ჩვენ რომ გავისვრიტ, მერე თვალწინ სუფთა ხედი გვექნება.

მთელი ეს წვრილმანი თავისებურებანი მზვერავმა ახლა იმნაირი დაკვირვებითა და ცნობისმოყვარეობით შენიშნა, რომ ალბათ წინათ არც არასოდეს მიექცია მათთვის განსაკუთრებული ყურადღება. მან იცოდა, რომ ჰურონთა ბანაკი ნახევარი მილითაც კი აღარ იქნებოდა დაშორებული მდინარის აყოლებამდე და შეშფოთებული იყო, მტრის ოდნავი კვალიც რომ ვერ აღმოაჩინა. ერთი-ორჯერ სულმა წასძლია და კინადამ იერიშის ბრძანება გასცა, რათა უეცარი თავდასხმით ეცადათ სოფლის დაპყრობა; მაგრამ თავისი გამოცდილებით მალევე რწმუნდებოდა ამ უსარგებლო ცდის ფათერაკიანობაში. მერე გულმოდგინედ უგდებდა ყურს, უნკასის მხარეს მაინც ხომ არ არის ბრძოლის ხმაურიო; მაგრამ ქარის გაბზუნების მეტი არაფერი ისმოდა, რადგან ტევრის თავზე უკვე დაიწყო მან მძლავრ ტალღებად ქროლვა — ეტყობოდა, ქარიშხალი აპირებდა ამოვარდნას. ბოლოს თავის ჩვეულ მოუთმენლობას უფრო დაუჯერა, ვიდრე საკუთარი გამოცდილების რჩევას. გადაწყვიტა, თავისი რაზმის საფრიდან გამოყვანით საყოყმანო მდგომარეობისათვის საზღვარი დაედო და ფრთხილად, მაგრამ მტკიცედ აპყოლოდა მდინარეს.

ამ დაკვირვების დროს მზვერავი ჯაგნარში ჩაიმალა, მისი თანამოლაშქრენი კი ჯერ კიდევ იმ ხევში იყვნენ, რომელშიც უფრო მოზრდილი მდინარის შენაკადი ჩამოდიოდა. მაგრამ როცა ყური ხმადაბალ, ოღონდ მკაფიო ნიშანს მოჰკრეს, მთელი გუნდი აჩრდილებივით ამოცოცდა ზემოთ ნაპირზე და მდუმარედ შემოერთყა მას ირგვლივ. ქორის თვალმა ანიშნა, საითაც უნდოდა მათი წაყვანა და დაიძრა. რაზმი ერთ მწკრივად დაეწყო და ისე

ბეჯითად გაჰყვა მის ნაფეხურებს, რომ ჰეიუარდისა და დავითის გარდა, მარტო ერთი კაცის კვალი ემჩნეოდა.

მაგრამ როგორც კი გუნდი საფრიდან გამოვიდა, მაშინვე გაისმა თორმეტამდე თოფის გრიალი. ერთი დელავერი დაჭრილი ირემივით შეხტა ჰაერში და უსულოდ გაიშხლართა მიწაზე.

— უჰ! სწორედ ამნაირი თაღლითობისა მეშინოდა! — შესძახა მზვერავმა ინგლისურად და ელვის სისწრაფით დელავერულად დაუმატა: — ჩასაფრდით და ესროლეთ!

ამ განკარგულებაზე რაბში გაიფანტა და სანამ ჰეიუარდი გამოერკვეოდა, მარტო აღმოჩნდა დავითთან ერთად. საბედნიეროდ, ჰურონებმა უკან დაიხიეს და მათ ტყვიებს გადაურჩა. ოღონდ ეს სიტუაცია, ცხადი იყო, დიდხანს არ გაგრძელდებოდა, რადგან მზვერავმა თვითონვე მისცა დევნის მაგალითი — თოფი დაცალა და ხიდან ხემდე ხტომით მიიტანა იერიში მტერზე.

ეტყობოდა, თავდამსხმელი ჰურონების გუნდი ძალიან მცირერიცხოვანი იყო, თუმცა ნელ-ნელა ემატებოდნენ მეომრები, რადგან უკან, თანატომელებისკენ იხევდნენ. ჰეიუარდი მებრძოლებში გაერია, თანამოლაშქრეებივით ხეებს ამოეფარა და სროლა ატეხა. დაჭრილი ცოტა იყო, რადგან ორივე მხარე ხეებს ეფარებოდა. მაგრამ ბედი ნელ-ნელა ღალატობდა ქორის თვალსა და მის რაბმს. გამჭრიახმა ქორის თვალმა საფრთხე შენიშნა, ოღონდ არ იცოდა, რა ელონა. ხედავდა, რომ უკან დახვევა უფრო საშიშიც იყო, ვიდრე ადგილზე გამაგრება; თანაც შეამჩნია, მტერს მის ფრთაზე გადაჰყავდა მეომრები. ამ გასაჭირში, როცა უკვე ეგონათ, მტრის მთელი ტომი თანდათან გარს გვერტყმისო, იქიდან, სადაც უნკასი იდგა, ქვემოთ მდებარე დაბლობში, მებრძოლთა ყიჟინა და თოფების გრიალი მოისმა.

ამ იერიშის შედეგმა უმაღლვე იჩინა თავი. მტერმა მცირე რაბმილა დაუხვედრა ახალგაზრდა მოჰივანის გაშმაგებულ იერიშს. ქორის თვალი შეძახილებით ამხნევებდა თანამოლაშქრეებს და

მერე შეტევის ბრძანებაც გასცა. ამ ომში იერიში მარტივად ნიშნავდა საფრიდან საფარში, მტრისაკენ უფრო და უფრო ახლოს სწრაფვას. ამ საქმეში მაშინვე დაუჭირეს მხარი ამხანაგებმა და წარმატებითაც შეასრულეს ბრძანება. ჰურონები იძულებულნი გახდნენ, უკან დაეხიათ და ბრძოლის ასპარეზმა გაშლილი ადგილიდან, სადაც იგი დაიწყო, ჯაგნარში გადაინაცვლა. აქ კი ბრძოლა გაჭიანურდა, გაფიცხდა და თითქოს მისი შედეგიც საჭოჭმანო გახდა; რადგან, მართალია, დელავერთაგან არავინ მოუკლავთ, მაგრამ არახელსაყრელ მდგომარეობაში მოხვედრის წყალობით სისხლი ბლომად სდიოდათ.

ამ გასაჭირში ქორის თვალმა მოახერხა, იმავე ხეს ამოფარებოდა, რომელსაც ჰეიუარდი იყენებდა საფრად. თანამოლაშქრეების უმეტესობა ხმის მისაწვდენ მანძილზე, მის ცოტა მარჯვნივ განლაგებულიყო.

— თქვენ ახალგაზრდა კაცი ბრძანდებით, მაიორო, — უთხრა ქორის თვალმა, „ნადირთმჟღეტის“ კონდახი მიწაზე დაუშვა და მოღლილი ლულას დაერყდნო, — და ოდესმე იქნებ ჯარის წინამძღოლობაც გხვდეთ წილად ამ წუწკი მინგოების წინააღმდეგ. შეგიძლიათ, აქ დაუკვირდეთ ინდიელთა ომის სიბრძნეს. ის უმთავრესად დამოკიდებულია მარჯვე მკლავზე, სწრაფ თვალსა და კარგ საფარზე. ახლა აქ რომ ამერიკელთა სამეფო ასეული გყოლოდათ, ამ საქმეში როგორ გამოიყენებდით?

— ხიშტი გაიკაფავდა გზას.

— თეთრკანიანის აზრია თქვენს ნათქვამში. მაგრამ ასეთ ადგილას კაცი თან თავს უნდა დაეკითხოს, რამდენ სიცოცხლედ დაჯდება ეგ საქმე. ცხენი, — მზვერავმა ჩაფიქრებით გაიქნია თავი, — მრცხვენია ვალიარო, მაგრამ ადრე თუ გვიან ცხენი გადაწყვეტს ამისთანა შეტაკების ბედს. წითელკანიანის მოკასინს ნალიანი ჩლიქებიც დაუმატე და მისი თოფი ერთხელ რომ დაიცლება, კვლავ გასატენად ვეღარც შეჩერდება.

– ეს ისეთი საგანია, რომელიც შეიძლება სხვა დროს უფრო უკეთ განისაჯოს, – მიუგო ჰეიუარდმა, – შევეუტიოთ?

– არასდროს მეჩვენება ურიგო, სულის მოსათქმელი დრო მარგებელ ფიქრებში გაატაროს ადამიანმა, – თვინიერად უპასუხა მზვერავმა, – რაც შეეხება იერიშს, მე დიდად არაფრად მეპიტნავენა, რადგან მაგ ცდას ერთი-ორი სკალპი მაინც შეეწირება. და მაინც, თუ გვინდა უნკასს გამოვადგეთ, ჩვენ წინ მდგომი ეს არამზადები ახლავე უნდა მოვიშოროთ თავიდან!

მერე მკვირცხლად იბრუნა პირი და ინდიელებს მათსავე ენაზე გადასცა. მის სიტყვებს შეძახილით გამოეხმაურნენ და მიცემულ ნიშანზე ყოველი მეომარი სწრაფად მოსწყდა თავის საფარ ხეს. ამდენი სხეულის გამოჩენამ ნაჩქარევი და, მაშასადამე, უშედეგო ბათქი გამოიწვია ჰურონთა მხრიდან. დელავერები სულის მოსათქმელადაც აღარ შეჩერებულან – განიერი ნახტომებით მიაშურეს ტყეს. მზვერავი თოფის ქნევით მიუძღოდა მათ. რამდენიმე ხნიერმა და ცბიერმა ჰურონმა, რომლებიც ვერ აცდუნა მათი თოფების დაცლის მიზნით გამოყენებულმა ხრიკმა, ახლალა ისროლეს და დახოცეს კიდევ ხალხი: სამი მოწინავე მეომრის დაცემამ მზვერავის შიში გაამართლა. მაგრამ ამანაც ვეღარ შეაოკა იერიშის სიმძაფრე. დელავერები მათი ბუნებისათვის დამახასიათებელი მძვინვარებით შეიჭრნენ საფარში და გაშმაგებული თავდასხმით წინააღმდეგობის ყოველი კვალი მოსპეს.

ხელჩართული შეტაკება მხოლოდ ერთ წუთს გაგრძელდა. ჰურონებმა სწრაფად დათმეს ასპარეზი და უკან დაიხიეს. ამ მძიმე წუთში, როცა ბრძოლის შედეგი კვლავ საეჭვო გახდა, ჰურონების ზურგში თოფის ჭახანი გაისმა; მათ უკან, ახლში მდგარი რომელიღაც თახვის ბუნაგიდან ტყვია ზუმუნით გამოიჭრა და მძაფრი, შემადრწუნებელი საომარი ყიჟინაც მოჰყვა.

— ეს საგამორის ხმაა! — დაიძახა ქორის თვალმა და მის ყიჟინას თავისი მჭექარე ხმით გამოეპასუხა, — ჩვენ ახლა ისინი ორი მხრიდან მოვიმწყვდიეთ შუაში!

ზურგიდან ასე უეცარმა თავდასხმამ თავის შეფარების საშუალება მოუსპო და გული გაუტეხა ჰურონებს, რომელთაც იმედის გაცრუებისა და სასოწორკვეთილების გამომხატველი კივილი აღმოხდათ, ვაკეზე გაიფანტნენ და დადევნებული დელავერების ტყვიებმა და ნაჯახებმა ბევრი გამოასალმა სიცოცხლეს.

ქორის თვალმა საგამორს თავის რაზმზე მიუთითა და მისი მეთაურობა მოჰიკანთა ბელადს ჩააბარა. ჩინგაჩგუკი მზვერავის კვალს მიჰყვა და გუნდი კვლავ ჯაგნარში შეაბრუნა. გზადაგმა მისი კაცები სკალპებს აცლიდნენ დახოცილ ჰურონებს, თავიანთი მკვდრების გვამებს კი მალავდნენ; ბოლოს მიაღწიეს ისეთ ადგილს, რომელიც შესვენებისათვის შესაფერად მიიჩნიეს.

მოჰიკანი ვაკის ბოლოს გავიდა და გამოცდილი ყური მიუგდო ბრძოლის ხმაურს. აქა-იქ ხეების თავზე მსუბუქი ორთქლისებური ღრუბელი აღიოდა, რომელიც მიუთითებდა ადგილს, სადაც ჩვეულებრივზე მძაფრი ბრძოლა მიმდინარეობდა.

— ბრძოლის ასპარეზი ზემოთ მოიწევს, — თქვა დუნკანმა და ხელი გაიშვირა იქით, სადაც ახლახან დაიცალა თოფები, — ჩვენ შუა გზაზე ვდგავართ და რიგიანად ვერ ვიბრძოლებთ.

— ისინი ხეობისაკენ გაუხვევენ, სადაც ტყე უფრო ხშირია, — მიუგო მზვერავმა, — და ჩვენ სწორედ მათ ფლანგზე აღმოვჩნდებით. გასწიე, საგამორო. ხომ მიცნობ, მოჰიკანო, ამ სერიდან ვერც ერთი ჰურონი ვერ მოგექცევა ზურგში ისე, რომ „ნადირთმჟლეტმა“ არ შეგატყობინოს.

ინდიელი ბელადი ერთხანს კიდევ უკვირდებოდა ახლა სწრაფად ზემოთ მომავალი ბრძოლის ნიშნებს — ცხად საბუთს, რომ დელავერები იმარჯვებდნენ. არც კი დაძრულა ადგილიდან, სანამ როგორც მეგობრების, ისე მტრების მოახლოებაში დელა-

ვერთა ნასროლი ტყვიების მიხედვით არ დარწმუნდა. ქორის თვალმა და საგამორმა რამდენიმე ნაბიჯით დაიხიეს უკან, უფრო მოფარებული ადგილისაკენ და შედეგს ისეთი სიმშვიდით დაელოდნენ, რომელიც მხოლოდ დიდმა გამოცდილებამ შეიძლება შესძინოს კაცს ბრძოლის დროს.

თოფის ხმებს მალე უკვე აღარ მოჰყვებოდა ტყის გამოძახილები. მერე აქა-იქ, ტყიდან გამორეკილი მეომრები გამოჩნდნენ, რომლებიც გაშლილ ადგილას გამოსვლისთანავე, კვლავ იყრიდნენ თავს, რათა უკანასკნელად აქ გამკლავებოდნენ მტერს. ისინი სასოწარკვეთილი შეუპოვრობით ებლაუჭებოდნენ საფარს. ჰეიუარდს უკვე მოთმინება ეკარგებოდა და აღგზნებულ თვალებს არ აშორებდა ჩინგაჩგუკს. ბელადი მშვიდი სახით ისე დინჯად უთვალთვალებდა სანახაობას, გეგონებოდათ, იქ მხოლოდ ბრძოლის საცქერლად დაუსვამთო.

— დროა, დელავერმაც დასცხოს! — თქვა დუნკანმა.

— ჯერ არა, ჯერ არა, — მიუგო მზვერავემა, — როცა თავისი მეგობრების სუნს იკრავს, მაშინ აცნობებს მათ, რომ იგი აქ არის. უყურეთ, იმ ფიჭვების ჯგუფში იყრიან თავს, როგორც ფუტკრებმა იციან ფეხის მოკიდება გადაფრენის შემდეგ. ღმერთმანი, დიაციც კი მოახვედრებს ტყვიას ამისთანა ჯგროს!

იმავე წამს ყიჟინის ხმაც გაისმა და ჩინგაჩგუკისა და მისი რაზმის ბათქმე თორმეტამდე ჰურონი წაიქცა. მოდევნებულ ყვირილს ტყიდან საომარმა შეძახილმა უპასუხა, მერე კი ჰაერი ყიჟინამ შეაბანზარა. ტყიდან უნკასი გამოიჭრა ასამდე მეომრის თანხლებით. ჰურონები შედრკნენ და თავიანთი ხაზის შუაგული მიატოვეს.

ბრძოლა დანაწევრდა. დამფრთხალი ჰურონების ორივე ფრთამ კვლავ ტყეს მიაშურა თავდაცვისათვის, ფეხდაფეხ კი ლენაპის გამარჯვებული მეომრები მისდევდნენ. მაგრამ ჰურონების ერთი პატარა გუნდი ნელა იხევდა უკან ფერდობისაკენ,

რომელიც ჩინგაჩგუკმა და მისმა რაზმმა ახლახან დატოვა. ამ გუნდში მძვინვარე, შმაგი ქცევითა და ამაყი, მბრძანებლური იერით გამოირჩეოდა ერთი მეომარი.

რაწამს უნკასმა ცბიერ მელას მოჰკრა თვალი, ყველაფერი გადაავიწყდა. საომარი ძახილით ირგვლივ ექვსი თუ შვიდი მეომარი შემოიკრიბა, მოწინააღმდეგესთან რიცხოვრივ უთანასწორობას ყურადღება არ მიაქცია და მტერს მიაშურა. ცბიერი მელა გაფაციცებით უთვალთვალებდა მას. ოღონდ სწორედ მაშინ, როცა ეგონა, გაფიცებული ახალგაზრდა მოიერიშის წინდაუხედაობამ მისი თავი ხელში ჩამიგდო, სხვა შეძახილიც გაისმა და გრძელი თოფი გამოჩნდა თავის თეთრკანიან ამხანაგებთან ერთად. ჰურონმა მაშინვე იბრუნა პირი და სასწრაფოდ შეუდგა აღმართს.

მისალმებებისა და მილოცვების დრო არ იყო, რადგან უნკასი მაინც ქარის სისწრაფით განაგრძობდა დევნას. ამოდ მისძახოდა ქორის თვალი, საფრები გამოიყენო. ახალგაზრდა მოჰიკანი არ ეპუებოდა მტრების სახიფათო ცეცხლს და მალე იძულებული გახადა ისინი, მათაც ისევე თავქუდმოგლეჯით ერბინათ, როგორი სიფიცხითაც თვითონ მიქროდა. მდევრები და დევნილნი ფეხდაფეხ შეჰყვნენ ერთმანეთს უაიანდოტთა სოფელში.

ბინების სიახლოვით გულანთებული და სირბილით მოღალაული ჰურონები შეჩერდნენ და სასოწარკვეთილი გაშმაგებით დაიწყეს ბრძოლა თავიანთი საბჭოს ქოხის ირგვლივ. უნკასის ტომაჰაუკის, ქორის თვალის ტყვიებითა და მანროს ჯერ კიდევ ძარღვიანი მკლავის მეშვეობით მიწა მათი მტრების გვამებით მოიფინა. მაგუა გულადად იბრძოდა და საფრთხეს არ ერიდებოდა, მისი სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ ყოველ ცდას რაღაც სასწაულით უძვრებოდა. ცბიერ ბელადს, იმის დანახვაზე, ამხანაგები შემომეცალნენო, უსაზღვრო რისხვის, წყენისა და იმედგაცრუების გამომხატველი კივილი აღმოხდა და სიკვდილს

გადარჩენილი მხოლოდ ორი მეგობრის თანხლებით გაიჭრა იქიდან.

მაგრამ უნკასი, რომელიც აქამდე ამაოდ ეძებდა მას, უკან გამოენთო. ქორის თვალი, ჰეიუარდი და დავითიც ფეხდაფეხ მიჰყვნენ. თუმცა ყველაზე დიდი რამ, რასაც მზვერავი ახერხებდა, ის იყო, რომ თოფის ტუჩი თავის მეგობარზე წინ ჰქონდა გამწვრილი და მას პირდაპირ ნამდვილი ჯადოსნური ფარივით იცავდა. ერთხელ მაგუამ თითქოს მოიწადინა, კიდევ ერთხელ და საბოლოოდ ეცადა შურისძიება, მაგრამ ამ განზრახვაზე უმაღვე ხელი აიღო, შევარდა ჯაგნარში, რომელშიც მტრებიც შეჰყვნენ, და უცბად მკითხველისათვის უკვე ნაცნობ გამოქვაბულში შეიჭრა. ქორის თვალმა, რომელსაც მხოლოდ უნკასისადმი მოფრთხილების გრძნობა აკავებდა სროლისაგან, გამარჯვების ყიჟინა დასცა და შესძახა, ახლა კი ველარსად წაგვივაო. მდევრები სწორედ დროზე შეცვივდნენ გრძელ და ვიწრო შესასვლელში. გამოქვაბულის ბუნებრივ ტალანებსა და მიწისქვეშა დარბაზებში ასეულობით ქალისა და ბავშვის წივილ-კივილი ისმოდა.

ბნელი გასასვლელები უფრო და უფრო იხლართებოდა და ლტოლვილი მეომრების გარეგნობა თანდათან უფრო მკრთალად და იშვიათად გაიკიაფებდა. ერთხანს ეგონათ, კვალი სულაც დავკარგეთო, რომ გვირაბის ბოლოს თეთრი წამოსასხამი აფრიალდა, რომელიც, ეტყობოდა, ზემოთ, მთისაკენ მიიმართებოდა.

— ეს კორაა! — შეჰყვირა ჰეიუარდმა ისეთი ხმით, რომელშიაც ძრწოლა და სიხარული უცნაურად შერეოდა ერთმანეთს.

— კორა, კორა! — გაიმეორა უნკასმა და ირემივით გაქანდა.

ტყვეს თვალი რომ მოჰკრეს, გაათკეცებული ძალით განახლდა დევნა. მაგრამ ოღროჩოღრო, უსწორმასწორო და ადგილ--ადგილ თითქმის გაუვალი გზა უშლიდათ ხელს. უნკასმა თოფი ხელიდან გააგდო და თავდაუზოგავი სისწრაფით გაიჭრა წინ.

ჰეიუარდმაც მიჰბადა მის მაგალითს, თუმცა ორივე უმაღლვე დარწმუნდა, რომ აჩქარდნენ, რადგან კლდოვან ტალანში ჰურონების თოფის გრიალი გაისმა და ტყვიამ მსუბუქად გაკაწრა კიდევ ახალგაზრდა მოჰიკანი.

— ახლოს უნდა მივუდგეთ! — შესძახა მზვერავმა და თავგანწირული ნახტომით გადაუსწრო მეგობრებს, — თორემ ეგ არამზადები ამ მანძილზე ყველას სათითაოდ ამოგვჟლეტენ! ქალიშვილს თავიანთ საფრად იყენებენ!

ორ მეომარს კორა შუაში ჩაეყენებინა, მაგუა კი გაქცევის გზასა და მიმართულებას ურჩევდა მათ. ლამის გაგიჟებულმა უნკასმა და ჰეიუარდმა კიდევ უფრო მოუმატეს ისედაც ზეადამიანურ სისწრაფეს და გვირაბიდან მთის ფერდობზე იმ დროს მაინც გააღწიეს, რომ დევნილთა გაქცევის მიმართულება შეენიშნათ. გაქცეულებს გეზი აღმართისაკენ ეჭირათ.

თოფით დამძიმებული მზვერავი ცოტა ჩამორჩა მათ. უნკასი ჰეიუარდს უსწრებდა. ამ ყოფით გაუგონრად მოკლე ხანში გადალახეს კლდეები, ნაპრალები და დაბრკოლებები, რაც სხვა დროს და სხვა ვითარებაში თითქოს დაუძლეველად მოეჩვენებოდათ. კორას გამო შეფერხებული ჰურონები სწრაფად კარგავდნენ შეჯიბრებაში დაწინაურების უნარს.

— შესდექ, ძაღლო უაიანდოტო! — დაუყვირა, თან ალაპლაპებული ტომაჰუკი მოუქნია მაგუას უნკასმა, — დელავერი გოგო გეძახის, შეჩერდი!

— მე ველარ წამოვალ! — შესძახა კორამ და მიეყუდა კლდის ქიმს, რომელიც ღრმა უფსკრულს გადასცქეროდა, — თუ გინდა მომკალი, საზიზღარო ჰურონო, წამოსვლით კი აღარ წამოვალ.

ამ სიტყვებზე ჰურონთა ბელადმა დანა იძრო და ტყვეს მიუბრუნდა. მის სახეზე ურთიერთსაპირისპირო ვნებათა მძაფრი ჭიდილი იხატებოდა.

– ქალო, – უთხრა მან, – აირჩიე: ცბიერი მელიის უიგუამი ან დანა!

კორა მუხლებზე დაეშვა, სახეზე აღმურავარდნილმა თვალები ზევით აღაპყრო, ხელები ზეცისაკენ გაიწოდა და რწმენით აღსავსე ხმით წარმოთქვა:

– მე შენი ვარ! რაც გენებოს, ის დამმართე!

– ქალო, – გაუმეორა მაგუამ ხრინწიანად და ამოდ ცდილობდა მისი გაბრწყინებული თვალების მზერა დაეჭირა, – აირჩიე!

მაგრამ კორას არ ესმოდა და არც ყურადღებას აქცევდა მაგუას. ჰურონს სხეულის ყოველი ძარღვი უთრთოდა. ხელი მაღლა აღმართა, მაგრამ ორჭოფობდა, დაფეთებული, გაოგნებული სახით დაუშვა აღმართული მკლავი. თავის თავს ერთხელ კიდევ შეებრძოლა და ისევ აღმართა ბასრი მახვილი. სწორედ ამ დროს ყურის წამლები კვილი გაისმა მათ ზემოთ და საზარელი სიმაღლიდან კლდის ქიმზე გიჟივით გადმოხტა უნკასი. მაგუამ ერთი ნაბიჯით უკან დაიხია. იმწამს ერთმა მისმა ამხანაგმა შემთხვევით ისარგებლა და ქალს დანა გულში გაუყარა.

ჰურონი ვეფხვივით მივარდა შეურაცხმყოფელ თანამემამულეს, მაგრამ უნკასი გადაეღობა. გაგიჟებულმა მაგუამ ბურგში ჩასცა დანა ძირს გართხმულ დელავერს და თან ამ ლაჩრული საქმის ჩადენის დროს არაადამიანურად იღრიალა. მაგრამ უნკასი მაინც წამოვარდა ფეხზე, დაჭრილი ჯიქივით დააცხრა მტერს და კორას მკვლელი თავის ფერხთით დაანარცხა. მერე მკაცრი, მტკიცე სახით მიუბრუნდა ცბიერ მელას და თვალების გამომეტყველებაზე გამოეხატა ყველაფერი, რასაც ის ჩაიდენდა, ცოტაოდენი ღონე მაინც რომ ჰქონოდა. მაგუამ უმწეო დელავერს მკლავში სტაცა ხელი და სამჯერ ზედიზედ ჩასცა მკერდში დანა სანამ მისი მსხვერპლი, რომელიც უსაზღვრო ზიზღით უცქერდა მტერს, მკვდარი არ დავარდა მის ფეხებთან.

– შეიბრალები ჰურონო! – ზემოდან იყვირა შეძრწუნებისაგან სულშეგუბებულმა ჰეიუარდმა, – შეიბრალები და შენც შეგიბრალებენ!

გამარჯვებულმა მაგუამ სისხლიანი დანა აუქნია მავედრებელ ჭაბუკს და ისეთი ყურისწამლები, ველური და თანაც მხიარული ყვირილი აღმოხდა, რომ მისი შლეგური ზეიმის ბგერები იმათ ყურსაც კი მისწვდა, ვინც ათასამდე ფუტის ქვემოთ ხეობაში იბრძოდა. მას მზვერავის ბაგეებს მომწყდარმა საზარელმა ხმამ უპასუხა. მისი მაღალი ტანი მაშინვე გამოჩნდა – ისეთი გაბედული და თავგებულადებული ნაბიჯით მოქროდა სახიფათო ქარაფებზე, თითქოს ფრენა შეუძლიაო. მაგრამ როცა მონადირემ კლდის ქიმს მიაღწია, იქ მხოლოდ გვამები დახვდა.

მზვერავმა გამჭრიახი თვალი მხოლოდ ერთხელ გადაავლო დახოცილებს და მერე მძვინვარე მზერა მის წინაშე აღმართულ ფერდობზე გადაიტანა. მთის თხემზე, თავბრუდამხვევი სიმაღლის მწვერვალის სწორედ კიდებზე ხელებაწეული კაცი გადმომდგარიყო. ქორის თვალმა ისე დაუმიზნა თოფი, რომ მისი პიროვნების გამოცნობისათვის დრო აღარ დაუხარჯავს, მაგრამ როცა ქვემოთ ერთ-ერთ ლტოლვილს თავზე კლდის ლოდი დაეცა, პატიოსანი გამუტის აღშფოთებული და აღმურავარდნილი სახეც გამოჩნდა. მერე მაგუა გამოვიდა ნაპრალიდან, გულგრილად გადაალაჯა ფეხი თავისი უკანასკნელი თანამოლაშქრის გვამს, განიერ ნაპრალებზე გადახტა და ისეთ ადგილას ავიდა კლდეებზე, სადაც დავითს ხელი უკვე აღარ მიუწვდებოდა. კიდევ ერთი ნახტომი უფსკრულის თავზე მოაქცევდა და კიდევ გადარჩებოდა სიკვდილს, მაგრამ გადახტომამდე ჰურონი შედგა, მუქარით დაუქნია ხელი მზვერავს და გადმოსძახა:

– ფერმკრთალსახიანები ძაღლები არიან! დელავერები – დიაცები! მაგუა ტოვებს მათ კლდეებზე ყვავების საძიძვნად!

მერე ხრინწიანად გადაიხარხარა, თავგანწირული ნახტომი გააკეთა, ვერ უწია მიზანს და ჩამოვარდა; მაგრამ მოასწრო კლდისპირას ამოსული ჯაგნარისათვის ხელის მოვლება. ქორის თვალს სხეული გადასახტომად გამზადებული მხეცივით დაეძაბა, და აღგზნებისაგან ისე აუცახცახდა ტანი, რომ მისი ნახევრად აღმართული თოფის ტუჩი ქარზე მოფარფატე ფოთოლივით თრთოდა. მაგუამ მკლავების სიგრძეზე ჩამოუშვა სხეული და ფეხის დასაყრდენი ქიმი იპოვა. შემდეგ მოიკრიბა მთელი ძალ--ღონე, კვლავ შეეცადა და მუხლები კლდის პირას აიტანა კიდევ. როცა მტრის სხეული ყველაზე შეკუმშული იყო, მზვერავმა სწორედ ამ დროს მიიბჯინა მხარზე მთრთოლვარე იარაღი. თვით გარშემო მდგომი კლდეებიც ვერ იქნებოდა ისეთი უძრავი, როგორც თოფი გაქვავდა ერთი წამით. ტყვია გავარდა. ჰურონს ხელები მოუდუნდა და მისმა სხეულმა ცოტა უკან გადმოიწია, თუმცა მუხლები ჯერ კიდევ თავის ადგილას იყო. მტრისაკენ უჯიათი სახე მოაბრუნა და გულღრძო მუქარით დაუქნია ხელი, მაგრამ მაშინვე მოსწყდა კლდის პირს და მხოლოდ ერთ წამს ჩანდა, როგორ მიაპობდა მისი შავი სხეული ჰაერს თავდაღმა, სანამ მთაზე გაკრულმა ჯაგნარმა არ დათარა.

ისინი დიდხანს ყოჩაღად იბრძოდნენ, როგორც მამაცი ვაჟკაცები. დახოცილი მუსლიმები მიწაზე დაახვავეს. გაიმარჯვეს, მაგრამ მრავალგან დაკოდილი ბოზარისი დაეცა. გადარჩენილმა ორიოდე ამხანაგმა შენიშნა მისი ღიმილი, როცა ამაყმა „ვაშამ“ დაიგრგვინა და გაწითლებული ბრძოლის ველი იმათ დარჩათ. დაინახეს, მომაკვდავმა როგორ წყნარად მილულა თვალები, თითქოს ღამის მოსვენებას ეძლეოდა, ანდა, გეგონებოდათ, მზის ჩასვლისას ყვავილები პირს იკრავენო.

„მარკო ბოზარისი“, ჰალეკი

მეორე დღეს ამოსული მზე ლენაპის ხალხის ეროვნული გლოვის მოწმე გახდა. ბრძოლის ხმაური აღარ ისმოდა. დელავერებს გულიანად ეყარათ ძველი ჯავრი და, მტრების ერთი თემის სრულიად მოსპობით, ახლახან მენგუესთან მომხდარი განხეთქილებისათვისაც შური ეძიათ. ასობით ყორანი, მთების ხრიოკი მწვერვალების თავზე რომ დაფრინავდა, საბედისწერო შეტაკების საზარელი ადგილისაკენ მიუთითებდა. იქაური ომიანობის ამბებში გაწვრთნილ ყოველ თვალს შეეძლო ადვილად შეემჩნია ყველა უტყუარი ნიშანი იმ უღმობელი შედეგებისა, რომლებიც თან სდევს ინდიელთა შურისძიებას.

არ ისმოდა გამარჯვების მხიარული ხმები, არც ძღვევამოსილი ყიჟინა, არც საზეიმო სიმღერები. ყველაზე უკანასკნელ, ჩამორჩენილ მეომარსაც კი აეღო ხელი სასტიკ საქმიანობაზე, დაბრუნებულიყო და თანამემამულეთა გოდებას შეერთებოდა. თავმოწონება და აღფრთოვანება ნაღველს შეეცვალა და უმძვინვარესი ადამიანური ვნებანი უკვე ღრმა მწუხარებას დაეთრგუნა.

ქოხები დაცარიელებულიყო, მაგრამ დაღვრემილი ხალხი განიერ სარტყლად შემოვლებოდა ერთ ადგილს ბანაკის სიახლოვეს, საითაც მიემურებოდა ყოველი სულიერი. ყველას თავი მოეყარა სამარისებურ, ძრწოლისმომგვრელ დუმილში. ამ სულგანაბულ გალავანში ყველა ერთსა და იმავე გრძნობას შეეპყრო. ყველას თვალი წრის შუაგულს მისცივებოდა.

მკერდზე გრძელშავთმაჩამოშლილი ექვსი დელავერი ქალიშვილი განზე იდგა და სიცოცხლის ნიშანწყალი მხოლოდ იმაზე ეტყობოდათ, რომ დროდადრო კეთილსურნელოვან ბალახებსა და ველურ ყვავილებს აფრქვევდნენ სურნელოვანი მცენარეების რტოებისაგან შეკრულ საკაცეს, რომელშიც ინდიელთა წამოსასხამების სუდარის ქვეშ კორა განისვენებდა. მისი სხეული და პირისახე სამარადისოდ იყო დახურული ადამიანთა თვალისათვის. ფეხთით უბედური, უნუგემო მანრო უჯდა. უღრმეს მწუხარებას თავი თითქმის მიწამდე დაეხრევიანებინა მისთვის; დაღარულ შუბლზე კი, რომელიც მხოლოდ ნაწილობრივ დაეფარა ჩამოშლილი ჭაღარა თმის ხვეულებს, ტანჯვა ეწერა. გვერდით გამუტი ედგა; შიშველი თავი მზის სხივებისათვის შეემვირა, დაბნეული და შეწუხებული მგერა ჰქონდა. ხელში ლოცვანი ეჭირა. ჰეიუარდიც იქვე ხეს მიყრდნობოდა და ცდილობდა, შეეკავებინა გულს მოწოლილი ბოღმა, რომლის დართგუნვაც მთელი მისი ვაჟკაცური უნარის დაძაბვას მოითხოვდა.

მაგრამ რა სევდიანი და მწუხარე სახითაც არ უნდა წარმოვიდგინოთ ეს ჯგუფი, იგი მაინც გაცილებით ნაკლებ გულსაკლავი სანახავი იყო, ვიდრე მეორე, რომელსაც იმავე მოედნის მოპირდაპირე მხარე ეჭირა: მოჩანდა მშვიდი, დარბაისლური იერით ცოცხალივით მჯდარი, დიდებული სამკაულებით მორთული უნკასი. თავზე საუცხოო ფრთები ჰქონდა გაკეთებული, მძივებს, სამაჯურებსა და მედლებს უხვად მოეკაზმა მისი სხეული;

თუმცა მიმქრალი თვალები და უგრძობელი ნაკვთები აშკარად ეწინააღმდეგებოდა ამ ცრუ საზეიმო ელფერს.

სწორედ გვამის წინ, უიარალო ჩინგანგუკი იჯდა. აღარავითარი მოხატულობა და სხვა სამკაული აღარ გააჩნდა, გარდა მისი მოდგმის ცისფერი გერბისა, რომელიც წარუშლელად აღბეჭდოდა შიშველ მკერდზე. დიდი ხნის განმავლობაში, რაც ტომი ასე თავშეყრილი იდგა, მოჰიკან მეომარს მწუხარე თვალები არ მოუშორებია თავისი შვილის ცივი და უგრძობი სახისათვის. ისეთი გაშტერებული, დაჟინებული იყო მისი მზერა და ისეთი გაქვავებული — მისი სხეული, რომ უცხო ადამიანი ცოცხალს მიცვალებულისაგან ვერც გამოარჩევდა, მის გამომეტყველებაში ხანდახან ბელადის ტანჯვა რომ არ გამომკრთალიყო.

მზვერავიც გვერდით ედგა. მწუხარე ფიქრებში გართული თავის ერთგულ იარაღს დაყრდნობოდა; ტამენუნდს კი, რომელსაც მხარში ერის თავკაცები შესდგომოდნენ, იქვე ახლოს ეჭირა ამაღლებული ადგილი.

სწორედ წრის შიგნითა კიდესთან უცხო ერის სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ოფიცერი იდგა, წრის გარეთ კი, ამხედრებულ მხლებელთა შუაგულში, მისი საომარი ბედაური მოჩანდა — თითქოს მზად იყვნენ შორს გასამგზავრებლად. უცხოელს ჩაცმულობაზე ეტყობოდა, რომ კანადის გუბერნატორთან დაახლოებული, მნიშვნელოვანი თანამდებობის პირი უნდა ყოფილიყო. ახლა, რაკი თავიანთი მოკავშირეების მძვინვარე სიფიცხის წყალობით სამშვიდობო ზრახვებმა ამაოდ ჩაუარა, იგი მხოლოდ მდუმარე, სევდიანი მაყურებლის როლით უნდა დაკმაყოფილებულიყო.

დღის პირველი მეოთხედი იწურებოდა, ხალხი კი, ალიონიდან მოყოლებული, კვლავ ძველებურად სულგანაბული იდგა. თავშეკავებულ ქვითინზე უფრო მაღალ ხმას ვერსად გაიგონებდით და მთელი ხანგრძლივი, მტკივნეული დროის განმავლობა-

ში კუნთიც კი არავის შეურხევია, გარდა იმ სადა და გულისამა-
ჩუყებელი სამსახურისა, რომელსაც დროდადრო ნაზი ქალწუ-
ლის ხსოვნას უძღვნიდნენ. მხოლოდ ინდიელთა ვაჟკაცურ მოთ-
მინებასა და თავშეკავებას შეეძლო ასეთი გარინდების ატანა.

ბოლოს დელავერთა ბრძენმა გაიწოდა ხელი, მხრებზე დაეყ-
რდნო თავის მხლებლებს და წამოიმართა.

— ლენაპის ხალხო! — წართქვა მან ყრუ ხმით, — მანიტოს სახე
ღრუბელს ამოჭფარებია! მას თვალი აურიდებია თქვენთვის, ყუ-
რები დაუხშვია, ენა პასუხს არ იძლევა. თქვენ ვერ ხედავთ მას,
მაგრამ მისი მსჯავრი მაინც თქვენ თვალწინაა. დაე, გულები გახ-
სნლი გქონდეთ, პირს კი სიცრუე ნუ მოგეკარებათ. ლენაპის
ხალხო, მანიტოს სახე ღრუბელს ამოჭფარებია!

ამ უბრალო და თანაც თავზარდამცემ სიტყვებზე ისეთი ღრმა
და შესაზარი დუმილი ჩამოვარდა, ვითომ თვითონ იმ სათაყვანო
სულს წარმოეთქვას იგი. თვით უსულო უნკასის გვამიც კი უფრო
ცოცხალი ჩანდა იმ უმწეო, საბრალო და ბეჩავ ბრბოსთან შედა-
რებით, რომელიც ახლა მას შემორტყმოდა, მაგრამ როცა პირ-
ველი შთაბეჭდილება თანდათან მინელდა, მიცვალებულთა პა-
ტივსაცემად საგალობლისებური ჰანგი წამოიჩყეს ხმადაბალი
ბუტბუტით. ხმები ქალებისა იყო — ჟრუანტელის მომგვრელად
ნაზი და სევდიანი.

ერთ-ერთმა ქალიშვილმა უნკასი აღმოსავლური პოეტურო-
ბით შეამკო, რომელიც ინდიელებმა ალბათ მეორე კონტინენ-
ტის იმ კიდებებიდან მოიყოლეს, ამ ორი სამყაროს უძველესი ის-
ტორიების შემაერთებელ რგოლად რომ გვევლინება. ასული მას
„თავისი ტომის ჯიქს“ უწოდებდა, რომლის ნაბიჯი ახალგაზრდა
ირმის ნახტომს ჰგავდა, რომლის თვალი ბნელ ღამეში მოკიაფე
ვარსკვლავზე მეტად ანათებდა და ხმა მანიტოს მეხის გრგვინვა-
სავით ომახიანი იყო ომში. შემდეგ სხვებმა რიგრიგობით მიმარ-
თეს კორას ნაზი ხმით. არწმუნებდნენ, გულმხიარულად ყოფი-

ლიყო და მომავალი კეთილდღეობის ფიქრი არ ჰქონოდა. მისი თანამგზავრი ისეთი მეომარი იყო, ყოველი საფრთხისაგან დაიცავდა. ანუგეშებდნენ, „ლენაპის კურთხეულ სანადირო ტყე--ველში“ ისეთივე ლამაზი ხეობები, ისეთივე ანკარა ნაკადულები და ისეთივე სურნელოვანი ყვავილებია, როგორც „ფერ--მკრთალსახიანების ზეცაში“. მერე თავდავიწყებული აღგზნებით კიდევ ერთხელ ერთად შეასხეს ხოტბა მოჰიკანს. აღიარეს მისი კეთილშობილება, ვაჟკაცობა და დიდსულოვნება, ყოველივე, რაც კი შეშვენის მეომარს და ყოველივე, რაც შეიძლება ქალწულს უყვარდეს. თავიანთ აზრებს ფრიად შორეულ და ნართა--ულ წარმოდგენებში გამოხატავდნენ და ამჟღავნებდნენ, რომ მათი ნაცნობობის ამ მოკლე ხანაშიც კი ისინი თავიანთი სქესის ქვეცნობიერი შეგრძნებით მიხვდნენ მის ჭეშმარიტ გულის--თქმას. დელავერთა ქალიშვილებმა ვერ პოვეს მოწონება მის თვალში! იგი იმ მოდგმისა ბრძანდებოდა, რომელიც ოდესმე მლაშე ტბის ნაპირებზე ბატონობდა და მისმა გულმა კვლავ იმ ხალხისაკენ გაიწია, მის მამა--პაპათა საფლავების ახლოს რომ ბინადრობდნენ. რატომაც არ უნდა შევუწყოთ ხელი ასეთ გატაცებას! ქალწული თავისი ერის სხვა წარმომადგენლებზე უფრო წმინდა და დიდებული სისხლისა იყო, ამას ხომ ყველას თვალი შეამჩნევდა. მას შეეძლო, ტყის ცხოვრების ფათერაკიანობა შეუპოვრად აეტანა, რაც მისმა ყოფაქცევამ დაადასტურა. ახლა კი „დედამიწის ბრძენმა“ იგი ისეთ ადგილას გადაიყვანა, სადაც მონათესავე სულებს პოვეს და სამარდისოდ ბედნიერი იქნება.

მზვერავი, რომელსაც თეთრი ადამიანებიდან ერთადერთს ესმოდა სიტყვები, ცოტა გამოერკვა თავდავიწყებიდან და თავი გვერდზე გადასწია, რათა მათი აზრი დაეჭირა ქალიშვილების სიმღერაში. როცა სიტყვა ჩამოაგდეს კორასა და უნკასის მომავალ ყოფაზე, მან თავი ისე გაიქნია, თითქოს შეგნებული ჰქონდა

მათი მიამიტი რწმენის შეცდომა, კვლავ ძველებურად დაეყრდნო თოფს და ასე დარჩა ცერემონიის დასრულებამდე.

მსმენელთა ინდიელების ნაწილიდან მხოლოდ და მხოლოდ ჩინგაჩგუკი არ აქცევდა ყურადღებას არაფერს. მთელი ამ დროის განმავლობაში არც გაუხედავს სხვა მხარეს, არც რომელიმე კუნთი შერხევია შავგვრემანსა და მკაცრ სახეზე. თავისი შვილის ცივი და უსულო სხეული იყო მისთვის ყველაფერი.

გალობის დასრულების შემდეგ ხალხიდან დინჯად წამოდგა წინ დიდად სახელგანთქმული მეომარი, მკაცრი და დარბაისლური შესახედაობის ვაჟკაცი, რომელმაც განსაკუთრებით ახლახან მომხდარ ბრძოლაში ისახელა თავი და მიცვალებულის ახლოს დადგა.

— რად დაგვტოვე, უაპანაჩკების სიამაყევ? — მიმართა მან დაყრუებულ უნკასს, თითქოს უსულო გვამს ცოცხალი ადამიანის უნარი ჯერ კიდევ შერჩენიაო, — შენი ასაკი ხის კენწეროებში მყოფ მზეს ჰგავდა; შენი ბრწყინვალეობა შუადღის სინათლეს ჩრდილავდა. შენ წახვედი, ჭაბუკო მეომარო, მაგრამ უაიანდოტი წინ მიგიძღვის და სულთა სამყაროსაკენ ბილიკს ეკალბარდებისაგან გიწმენდს. ვისაც ბრძოლაში უნახავხარ, ვინ დაიჯერებს, რომ შენი სიკვდილი შეიძლებოდა? შენამდე ვის უჩვენებია ოდესმე უტაუასთვის ბრძოლის გზა? შენი ფეხები არწივის ფრთების მსგავსი იყო; შენი მკლავი — წაქცეულ ფიჭვზე უფრო მძიმე; შენი ხმა — ანიტოსას ჰგავდა, როცა იგი ღრუბლებში გრგვინავს. უტაუას ენა სუსტია, — დაუმატა მან და მწუხარე სახით მოავლო ირგვლივ თვალი, — გული კი უსაზღვროდ დამძიმებული. უაპანაჩკების სიამაყევ, რად დაგვტოვე?

მერე მას სხვები მიჰყვნენ რიგრიგობით, სანამ ერის ყველაზე წარჩინებული, უნარიანი და ნიჭერი ვაჟკაცების უმრავლესობამ არ უმღერა ან უთხრა თავისი წილი ხოტბა გარდაცვლილი ბელა-

დის სულს. როცა ყველამ დაასრულა, მთელ მინდორზე კვლავ სამარისებური დუმილი გამეფდა.

მერე დაბალი, გულიდან ამომავალი ხმა გაისმა, თითქოს შორეული მუსიკის მოგუდული მოძახილიაო. ამას მოჰყვა უფრო და უფრო მაღალი ბგერები, ვიდრე ყურს არ ჩასწვდა ჯერ გაგრძელებული და ხშირად განმეორებული შეძახილები, ბოლოს კი — სიტყვებიც. ჩინგაჩგუკი გოდებდა, თუმცა არც ერთს არ მიუხედავს მისკენ, არც ოდნავი მოუთმენლობა გამოუმჟღავნებია ვინმეს. ხმა ნელა-ნელა მისუსტდა და აკანკალდა, ბოლოს კი სულ მიწყდა, თითქოს მობერილმა სიომ შორს გაიტაცაო. საგამორმა ბაგეები მოკუმა, დადუმდა და მისი თვალგაშტერებული და გაქვავებული სხეული ადამიანის გამოსახულების მქონე, მაგრამ რაღაც უსულო ქმნილებას დაემგვანა. დელავერებმა, რომლებიც მიხვდნენ, რომ მამა ჯერ კიდევ არ იყო შემზადებული ასეთი მძიმე განცდის ასატანად, ხელი აიღეს თავდაპირველ განზრახვებზე და უცხოელი ქალწულის დაკრძალვის მზადებას შეუდგნენ.

ერთ-ერთმა ხნიერმა ბელადმა ნიშანი მისცა ქალებს, რომელნიც წრის იმ ნაწილის მახლობლად შეჯგუფულიყვნენ, სადაც კორას ცხედარი ესვენა. ქალიშვილები დაემორჩილნენ განკარგულებას, საკაცე თავიანთი მხრების დონემდე ასწიეს და წყნარი, მოზომილი ნაბიჯით გაემართენ, თან გზაში მიცვალებულის სადიდებელ სხვა ნაბ, ხმადაბალ, მწუხარე ჰანგს გალობდნენ. გამუტი, რომელიც ბეჯითად უკვირდებოდა, მისი ფიქრით, ასე წარმართული წესის აღსრულებას, ახლა დაიხარა და უგრძნობლად მყოფ მამას ყურში ჩასჩურჩულა:

— უკვე მიასვენებენ თქვენი შვილის ნეშტს. არ წავყვეთ და ქრისტიანული წესი არ შევუსრულოთ?

მანრო შეკრთა, თითქოს უკანასკნელი საყვირის ხმა ჩასწვდა ყურშიო; შეშფოთებული თვალი ერთხელ აჩქარებით მოავლო ირგვლივ, წამოდგა და ამ სადა სამგლოვიარო პროცესიას მხედ-

რული იერით გაჰყვა, თუმცა მშობლის ტანჯვა მთელი სიმძიმით აწვა. თვით ახალგაზრდა ფრანგიც შეუერთდა პროცესიას. იერზე ეტყობოდა, რომ ისიც ძალიან დაენადვლიანებინა მშვენიერი ქალის ნაადრევ და სავალალო აღსასრულს. მაგრამ როცა ტომის უკანასკნელი და უბეჩავესი დიაციც კი არეულ-დარეულად, ოღონდ მაინც მწყობრად მიმავალ ხალხს აედევნა, ლენაპის ვაჟკაცებმა კვლავ მდუმარე, სევდიანი და უძრავი წრე შეკრეს უნკასის ცხედრის გარშემო.

კორას დასაკრძალავად ფიჭვის კორომით დაფარული პატარა ბორცვი ამოერჩიათ. იმას რომ მიაღწიეს, ქალიშვილებმა ძირს დაასვენეს ცხედარი და ერთხანს, ჩვეული მოთმინებითა და თანდაყოლილი მოკრძალებით ელოდნენ ჭირისუფლებს. ბოლოს მზვერავმა, მხოლოდ მას რომ გაეგებოდა მათი ადათები, თავიანთ ენაზე უთხრა:

— ჩემი ასულები კარგად მოიქცნენ, თეთრი კაცები მადლობელნი არიან.

მოწონების დამადასტურებელი ამ სიტყვებით დაკმაყოფილებულმა ქალიშვილებმა დაიწყეს მიცვალებულის ჩასვენება არცის ქერქისაგან მარჯვედ და არცთუ უშნოდ გაკეთებულ კუბოში; შემდეგ კი იგი თავის ბნელსა და სამარადისო სამყოფელში ჩაუშვეს. სამარე ფოთლებითა და სხვა ბუნებრივი, ჩვეულებრივი საგნებით დაფარეს. შემდეგ ისევ შედგნენ, რომ თითქოს კითხულობდნენ, შემდეგ როგორღა მოვიქცეთო. სწორედ ამ დროს მათ კვლავ ქორის თვალმა მიმართა:

— ჩემმა ახალგაზრდა ქალებმა საკმაოდ იშრომეს, — თქვა მან, — ფერმკრთალსახიანის სულს საჭმელი და სამოსი არ სჭირდება. მე ვხედავ, — დასძინა ქორის თვალმა და თვალი მოჰკრა დავითს, რომელსაც იმნაირად ეჭირა ხელში წიგნი, რომ ეტყობოდა, საგალობლის თქმას აპირებდა, — რომ ქრისტიანული წესჩვევების ჩემზე უკეთესი მცოდნე აპირებს ლაპარაკს.

ქალები კრძალვით გადგნენ განზე. იმ ხნის განმავლობაში, რაც დავითი გალობდა, გაკვირვების არც ერთი ნიშანი, ანდა არც ერთი მოუთმენელი გამოხედვა არ დასტყობია მათ. ისე უსმენდნენ, გეგონებოდათ, უცხო სიტყვების შინაარსი ესმოდათ და იმ მწუხარებას, იმედსა და მორჩილებასაც გრძნობდნენ, რომელიც ქრისტიანული გალობიდან გამოსტვივოდა. დავითმა დაასრულა და მანროს დროც დადგა. მამამ ჭაღარა თავი მოიშიშვლა და გარშემორტყმულ მოკრძალებულ, წყნარად მდგარ ხალხს მტკიცე, საზრიანი გამომეტყველებით გადახედა. მერე ხელით ანიშნა მზვერავს, მისმინეო და თქვა:

— უთხარით ამ კეთილ და სათნო ქალებს, რომ გულგატეხილი და სასოწარკვეთილი ადამიანი მადლობას უძღვნის მათ. უთხარით, რომ არსი, რომელსაც ჩვენ ყველანი თაყვანს ვცემთ სხვადასხვა სახელით, არ დაივიწყებს მათ გულკეთილობას და რომ შორს არ არის ის დრო, როცა განურჩევლად სქესის, ხარისხისა და ფერისა, მისი ტახტის ირგვლივ შევიკრიბებით ყველა.

მოხუცი ჯარისკაცის აკანკალებული ხმით ნათქვამ ამ სიტყვებს მზვერავი ყურს უგდებდა და როცა მან ლაპარაკი დაასრულა, წყნარად გააქნია თავი, როგორც ისეთმა კაცმა, რომელსაც მათი დამაჯერებლობის ძალაში ეჭვი ეპარებოდა.

— ამათ რომ ეგ გადავცე, — თქვა მან, — იგივე იქნება, რომ ვუთხრა: ზამთარში თოვლი არ მოდის, ანდა მზე ყველაზე ფიციხად მაშინ ანათებს, როცა ხეები გაძარცულნი არიან ფოთლები-საგან.

შემდეგ მიუბრუნდა ქალებსა და მოხუცის მადლობა გადასცა. მანრომ ისევ ჩაჰკიდა თავი და მალე კვლავ წაიღო მწუხარე ფიქრებმა, როცა ზემოხსენებული ახალგაზრდა ფრანგი მორიდებით შეეხო იდაყვზე. როგორც კი დამწუხრებული ბერიკაცის ყურადღება მიიპყრო, ხელით ახალგაზრდა ინდიელების ჯგუფისაკენ

მიუთითა, რომელნიც მსუბუქი, მაგრამ მჭიდროდ დაფარული ტახტრევანით უახლოვდებოდნენ მათ და მერე მრავლისმეტყველად ანიშნა ზემოთ, მზისაკენ.

— მესმის, ბატონო, — ძალდატანებული მტკიცე ხმით მიუგო მანრომ, — ზეცის ნებას მეც ვემორჩილები. კორა, შვილო ჩემო! სასოწარკვეთილი მამის ლოცვა ახლა შენ რამეს რომ გარგებდეს, რა ბედნიერი იქნებოდი! აბა, მეგობრებო, — დასძინა მან და მედიდური, თუმცა შესაბრაალისი იერით მოავლო ირგვლივ თვალი, — აქ უკვე მოვიხადეთ ჩვენი მოვალეობა. წავიდეთ!

ჰეიუარდი სიამოვნებით დაემორჩილა მის განკარგულებას, რადგან ამით შორდებოდა იმ ადგილს, სადაც ყოველ წამს გრძნობდა, რომ, წუთიწუთზე თავშეკავების უნარი უღალატებდა. მაგრამ სანამ მისი თანამგზავრები ცხენებზე შესხდებოდნენ, დრო იხელთა, რათა ხელი ჩამოერთმია მზვერავისათვის და გაემეორებინა ადრევე დათქმული პირობა, ბრიტანეთის ჯარის სადგომებში კვლავ შევხვდეთ ერთმანეთსო. მერე თავის ბედაურს მოახტა, ჰკრა დეზი და გვერდში ამოუდგა ტახტრევანს, რომელსაც მხოლოდ იქიდან მოდენილი ხმადაბალი, თავშეკავებული სლუკუნის ხმაზე ეტყობოდა, რომ ალისა შიგ იჯდა. ისევ თავჩაქინდრულ მანროს დამწუხრებული, კრიჭაშეკრული ჰეიუარდი და დავითი მიჰყვნენ, მათ მონკალმის ადიუტანტი ახლდა თავისი ამალით — ქორის თვალის გარდა ყველა დანარჩენმა თეთრკანიანმა ჩაუარა თვალწინ დელავერებს და მალე კიდევ მიიმალნენ უღრან ტყეში.

მაგრამ კავშირი, რომელიც საერთო გასაჭირში ყოფნამ გააბა, ტყის ამ გულმართალ ბინადართა და შემთხვევით მათთან სტუმრად მოსულ უცხოელებს შორის, ასე ადვილად არ დარღვეულა. თეთრი ქალწულისა და მოჰიკანთა ახალგაზრდა მეომრის ამბავი მრავალ წელს ამოკლებინებდა მათ გრძელ ღამეებსა და მომქანცავ მოსაბეზრებელ ლაშქრობებს, ალაფთროვანებ-

და ახალგაზრდა, მამაც მეომრებს და თავიანთ მოსისხლე მტრებზე შურისძიების წყურვილით აღანთებდა. მალე არც მთელი ამ წუთიერი შეხლა-შემოხლის მონაწილე მეორეხარისხოვანი გმირები დავიწყებიათ.

მზვერავის წყალობით, რომელიც მას შემდეგ წლების განმავლობაში ასრულებდა შემაერთებელი რგოლის როლს მათსა და ცივილიზებულ სამყაროს შორის, შეიტყვეს, რომ „ჭაღარა-თავი“ მალე მიჰყვა თავის წინაპრებს; რომ „ხელგაშლილმა“ მისი გადარჩენლი ასული შორს, „ფერმკრთალსახიანების“ სოფლებში წაიყვანა, სადაც ბოლოს მან კიდევ შეწყვიტა ცრელმთა ღვრა და სახეზე ნათელი ღიმილი აუთამაშდა, რომელიც გაცილებით უფრო შეეხამებოდა მის ხალისიან და მხიარულ ბუნებას.

მაგრამ ეს ამბები ამ მოთხრობის დროზე უფრო გვიანდელ ხანას ეკუთვნის. თავისი ფერის ყველა ადამიანმა რომ მიატოვა, ქორის თვალი დაუბრუნდა იმ ადგილს, საითაც საკუთარი გულისთქმა ეწეოდა. მან სწორედ იმ დროს მიუსწრო, რომ ბოლოჯერ მოჰკრა თვალი უნკასის სახეს. მას დელავერები უკვე ახვევდნენ კიდევ ტყავების სამარადისო სამოსელში. ისინი შედგნენ, რათა ტყის მედგარი მკვიდრისათვის საშუალება მიეცათ მიცვალებულს გამოთხოვებოდა; ამის შემდეგ კი გვამი ისე შეახვიეს, რომ აღარასოდეს გახსნილიყო. მერე კიდევ ერთი პროცესია გაიმართა და მთელმა ერმა თავი მოიყარა ბელადის დროებითი საფლავის გარშემო — დროებითის, რადგან იქნებ, ოდესმე მომავალში მისი ძვლებიც თავისი ხალხის საფლავებს შორის გადაესვენებინათ.

საომარი და სანადირო იარაღიც იქვე დაუწყეს უნკასს. კუბოს ხვრელი დაუტოვეს, რომ სულს შესძლებოდა, როცა მოენებებოდა, ურთიერთობა ჰქონოდა თავის მიწიერ სამყოფელთან; ხელით აღსასრულებელი საქმეები რომ მოათავეს, ყველა იქ მყოფი დაკრძალვის სულიერ მხარეს მიუბრუნდა.

ჩინგაჩგუკი ერთხელ კიდევ მოექცა ყურადღების ცენტრში. მას ჯერ კიდევ არაფერი ეთქვა, ხალხი კი რაიმე მანუგეშებელსა და ჭკუის სასწავლებელ სიტყვას ელოდა სახელოვანი ბელადისაგან. ხალხის წადილს მიხვედრილმა მკაცრმა და თავდაჭერილმა მეომარმა თავი ასწია, მტკიცედ მოავლო თვალი ირგვლივ და პირველად გაისმა მისი ხმა მკაფიოდ და გასაგონად.

— რად გლოვობენ ჩემი ძმები? — გადახედა ჩინგაჩგუკმა მოღუშული, დამწუხრებული მეომრების წყებას, — რად ტირიან ჩემი ქალიშვილები, ახალგაზრდა კაცი ბედნიერი სანადირო ადგილების გზას რომ გაუდგა? ბელადმა ხომ თავისი სიცოცხლე დიდებით შემოსა. ის კარგი იყო, წესიერი იყო, მამაცი იყო. ვის ძაღუძს ამის უარყოფა? მანიტოს სწორედ ასეთი მეომარი სჭირდებოდა და მოუწოდა კიდევ თავისკენ. მე კი, ძე და მამა უნკასებისა, მე ფერმკრთალსახიანების ნაკაფში მდგარი ქერქგაცლილი ფიჭვილა ვარ. ჩემი მოდგმა აღარ არის მლაშე ტბის ნაპირებსა და დელავერთა სერებზე. მაგრამ ვინ იტყვის, რომ მისი ტომის გველს დაავიწყდა თავისი სიბრძნე? მე მარტო ვარ...

— არა, არა, — შესძახა ქორის თვალმა, რომელიც მეგობრის გაქვავებული სახის ნაკვთებს შესცქეროდა და ვეღარ გაუძლო განცდას, — არა, საგამორო, მარტო არა ხარ. ეგებ ჩვენი ფერი კი სხვადასხვა იყოს, მაგრამ ღმერთმა ერთსა და იმავე ბილიკზე გვარგუნა მგზავრობა. არც მე მყავს ნათესავი და, მეც შემიძლია ვთქვა შენსავით, — საკუთარი ერი. ის შენი ვაჟი იყო, ბუნებით წითელკანიანი და იქნებ თქვენი სისხლი უფრო ახლოც იყო ერთმანეთთან... მაგრამ თუ ოდესმე დავივიწყო ყრმა, რომელსაც ასე ხშირად უბრძოლია ომში ჩემ გვერდით და სძინებია ჩემ გვერდით მშვიდობიანობის დროს, დაე, მან, ვინც ჩვენ ყველანი შეგვქმნა განურჩევლად ჩვენი ფერისა და ნიჭ-უნარისა, დამივიწყოს! ბიჭმა დროებით მიგვატოვა, მაგრამ მარტო არა ხარ, საგამორო!

ჩინგაჩგუკმა ჩაბლუჯა ხელი, რომელიც გულაჩუყებულმა მზვერავმა გაუწოდა ახლად ნაყარი მიწის თავზე და ტყის ორმა მდგარმა, შეუპოვარმა მკვიდრმა თავი ჩაღუნა; ღაპაღუპით ჩამომდინარი ცრემლები რწყავდა უნკასის სამარეს.

შემზარავ სიჩუმეში, რომლითაც შეხვდნენ იმ მხარის ორი ყველაზე სახელოვანი მეომრის გრძნობათა ასეთ გადმოხეთქვას, ტამენუნდმა ხმა აღიმადლა ხალხის დასაშლელად:

— კმარა! — ბრძანა მან, — დაიშაღეთ, ლენაპის შვილნო. მანიტოს რისხვა არ დასრულებულა. რაღად უნდა დარჩეს ტამენუნდი? ფერმკრთალსახიანები არიან ქვეყნის ბატონები და წითელი კაცების დრო ჯერ კიდევ არ დამდგარა. ჩემი დღე ძალიან გაჭიანურდა. დილით უნამისის ძენი ბედნიერნი და მძლავრნი ვიხილე და დაღამებამდე ვიცოცხლე, რათა მოჰიკანთა ბრძენი მოდგმის უკანასკნელი მეომარიც დამენახა.